

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



**Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics**

**Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили
Институт языкознания имени Арнольда Чикобава**

Arn. Chikobava

**Works
VIII**

А. С. Чикобава

**Труды
VIII**

Tbilisi 2014 Тбилиси

არნოლდ ჩიქობავა

შრომები

VIII

თბილისი
2014

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჭ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), † **ნ. ანდღულაძე** (თბილისი), **ა. არაბული** (თავმჯდომარე, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), † **ნ. ბაბუნაშვილი** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **ი. ბრაუნი** (პოლონეთი), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თბილისი), **ტ. გურიევი** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ს. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიმაევი** (გროზნო), **ნ. შაჭავარიანი** (თბილისი), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაწოვი** (კარაჩაევსკი), **თ. უთურგაიძე** (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), † **კ. ჰ. შმიდტი** (გერმანია), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **რ. ჯანაშია** (თბილისი), **ა. ჰარისი** (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ც. ბარამიძე, ლ. ეზუგბაია, გ. კვარაცხელია, მ. სუხიშვილი,
ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**

ტომის რედაქტორი **გ. კვარაცხელია**

Editorial Council

I. Abdulaev (Makhachkala), † **N. Andguladze** (Tbilisi), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **A. Arabuli** (Chairman, Tbilisi), † **N. Babunashvili** (Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Brown** (Poland), **I. Chantladze** (Tbilisi), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **B. Outtier** (France), **S. Pazov** (Karachaevsk), † **K. H. Schmidt** (Germany), **Kh. Taov** (Nalchik), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

Ts. Baramidze, M. Chukhua, L. Ezugbaia, G. Kvaratskhelia,
V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **G. Kvaratskhelia**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN 978-9941-10-068-0 (მრავალტომეული)
ISBN (ტომი VIII)

ზოგადი ენათმეცნიერება

II

ძირითადი პრობლემები

General Linguistics

II

Core Problems

Общее языкознание

II

Основные проблемы

წიგნში განხილულია ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები: ენათმეცნიერების საგნის პრობლემა, ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდებისა და დარგობრივი მეთოდების საკითხები. დალაგებულია და კრიტიკულად გაანალიზებული ენათმეცნიერების მთავარი მიმდინარეობანი.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის.

The book deals with core problems of general linguistics : problem of linguistics subject, issues of linguistic as well as branch methods. Main linguistic directions are systematized and critically analyzed.

The work is intended for students as well as teachers.

В книге рассматриваются основные проблемы общего языкознания: проблема предмета языкознания, вопросы специальных методов языкознания и отраслевых методов, систематизированы и критически проанализированы основные направления языкознания.

Работа предназначена для студентов и преподавателей.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მეორე გამოცემის წინასიტყვა	15
პირველი გამოცემის წინასიტყვა	19

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზოგადი ენათმეცნიერება, მისი მიზანი და ამოცანები

§ 1. ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები	23
§ 2. შესასწავლი საგანი	23
§ 3. სპეციალური მეთოდები	24
§ 4. დარგები და მათი ურთიერთობა	25
§ 5. ენათმეცნიერების ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის	26
§ 6. რის მიხედვით წყდება ეს პრობლემები ზოგად ენათმეცნიერებაში?	27
§ 7. რა მიმართებაშია ზოგადი ენათმეცნიერება ენის ფილოსოფიასთან?	28

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი:

მთავარ მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი

§ 8. მთავარი მიმდინარეობანი	33
§ 9. ვ. ჰუმბოლდტის ნააზრევი ენის ფილოსოფიას ეკუთვნის	33

I. ნატურალიზმი

§ 10. ნატურალისტური კონცეფციის ელემენტები ფრ. ბოპთან	34
§ 11. ავგ. შლაიხერის შრომები თეორიულ-ენათმეცნიერული ხასიათისა	36
§ 12. ენის რაობა შლაიხერის გაგებით	38
§ 13. სისტემის სამი კლასი და განვითარების სამი პერიოდი ენაში	40

§ 14.	ენის ევოლუცია და გონი შლაიხერთან	42
§ 15.	ევოლუციის პროცესი ერთნაირია სხვადასხვა ენაში	44
§ 16.	ენის თვისებები ცალკეული ადამიანის ნებისყოფაზე დამო- უკიდებელია	44
§ 17.	ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის თვალსაზრისთა სხვა- ობა შლაიხერის გაგებით	45
§ 18.	რა პრინციპული სხვაობა გვაქვს შლაიხერის კონცეფციაში 1848 წ.	46
§ 19.	სქემა შლაიხერის შეხედულებათა 1850 წ.	47
§ 20.	შლაიხერის კონცეფცია „გერმანულ ენაში“	48
§ 21.	მცდარი და მართებული შლაიხერის კონცეფციაში	53
§ 22.	მაქს მიულერი და მისი „ლექციები ენის მეცნიერების შე- სახებ“	56
§ 23.	ენა და ადამიანი	57
§ 24.	ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებაა	57
§ 25.	ენათმეცნიერება („შედარებითი ფილოლოგია“) და ფილო- ლოგია	58
§ 26.	ენათმეცნიერება და უმწერლო ენები	59
§ 27.	რატომაა ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერება?	60
§ 28.	რა როლი ეკუთვნის ენის ცვლაში ინდივიდს?	62
§ 29.	ფონეტიკური ცვლისა და დიალექტების წარმოქმნის რაო- ბა მ. მიულერის გაგებით	66
§ 30.	სალიტერატურო ენა და დიალექტები	69
§ 31.	რაა საერთო ა. შლაიხერისა და მ. მიულერისათვის და ნი- შანდობლივი ნატურალიზმისათვის?	72

II. ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიაში

§ 32.	ისტორიული ფონეტიკის მიღწევები და ნეოგრამატიკოსთა ზოგადი პრინციპები	76
§ 33.	ისტორიზმის პრინციპი ნეოგრამატიკოსებთან	78
§ 34.	ისტორიზმი პაულთან და პრინციპთმოდღვრება	79
§ 35.	პაულის პრინციპთმოდღვრება და ხალხთა ფსიქოლოგია	83
§ 36.	ენა, როგორც ენათმეცნიერების ობიექტი პრინციპთმოდღვრე- ბის თვალსაზრისით	87
§ 37.	რაში მდგომარეობს ენის არსი პაულისათვის?	88

§ 38.	ნამდვილი რეალობა ინდივიდუალურ ენასლა აქვს	91
§ 39.	ინდივიდუალური ენა და საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი . . .	92
§ 40.	პაულის კონცეფციის კრიტიკული ანალიზი	93

III. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმი

§ 41.	ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმის მთავარი წარმომადგენლები	99
§ 42.	სოსიურის კონცეფციის საკვანძო პუნქტები	100
§ 43.	ენა და სიტყვა (მეტყველების აქტი) სოსიურთან	101
§ 44.	ენობრივი ნიშნის თვისებები	103
§ 45.	ენობრივი ნიშნის რაობა	105
§ 46.	სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობისათვის	106
§ 47.	სოსიურის კონცეფციის კრიტიკული ანალიზი	108
§ 48.	ანტ. მეიეს შეხედულებანი ენის განვითარების კანონზომიერების საკითხზე	118
§ 49.	ენის განვითარება და საზოგადოების სტრუქტურა	122
§ 50.	ენის სოციალურობა სტატიკაში	123
§ 51.	მეიეს დებულებათა შეფასება	125

IV. სტრუქტურალიზმი, როგორც სოსიურის კონცეფციის ტენდენციათა განვითარება

§ 52.	სტრუქტურალიზმის ძირითადი თეორიული დებულებები . . .	127
§ 53.	სტრუქტურალიზმის ანტიისტორიული ტენდენციები და ენის ფილოსოფია	133

V. ესთეტიზმი (უკიდურესი ინდივიდუალიზმი)

§ 54.	კ. ფოსლერი, ენის ფილოსოფია და ენათმეცნიერება	135
§ 55.	კ. ფოსლერის მთავარი შრომები	136
§ 56.	ენა, როგორც გონითი გამოსახულება და ინდივიდის შემოქმედება ფოსლერთან	137
§ 57.	ენის საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი ფოსლერის პირველ შრომაში („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“)	138
§ 58.	საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი ფოსლერის მეორე შრომაში („ენა, როგორც შემოქმედება...“)	143

§ 59.	ენის განვითარების მიზეზისათვის ფოსლერთან	144
§ 60.	ესთეტიზმისა და ფსიქოლოგიზმის ურთიერთობა ფოსლერთან	145
§ 61.	ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობა ფოსლერის გაგებით	146
§ 62.	კ. ფოსლერი და ბენედეტო კროჩე	146
§ 63.	უკიდურესი ინდივიდუალიზმი, როგორც იდეალიზმის წინაპირობა ფოსლერთან	147
§ 64.	ინდივიდუალისტური მონიზმის შეუძლებლობა და ესთეტიზმის მეცნიერული უსაფუძვლობა	148
§ 65.	ფსიქოლოგიზმი, როგორც იდეალიზმის მთავარი წყარო ენის რაობის გაგებაში	151

VI. ვულგარული სოციოლოგიზმი ენის რაობის გაგებაში

§ 66.	ენა, როგორც ზედნაშენი ნ. მართან	152
§ 67.	ენის კლასობრიობის საკითხი ნ. მართან	156
§ 68.	ენის სოციალურობის შესახებ ნ. მართან	162
§ 69.	ენათა ტრანსფორმაციისა და ენობრივ კატეგორიათა ინტერპრეტაციის შესახებ ნ. მართან	167

VII. ბიჰევიორიზმის ფიზიკალიზმი

§ 70.	ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიაში უოტსონის მიხედვით	168
§ 71.	შინაგანი მეტყველება და გაგების საკითხი ბიჰევიორიზმის მიხედვით	169
§ 72.	ენის საზოგადოებრივი ხასიათის საკითხი ბიჰევიორიზმის მიხედვით	171
§ 73.	ბიჰევიორიზმი და ენის რაობა ბლუმფილდთან	172
§ 74.	„სტიმული“ და „რეაქცია“ მეტყველების პროცესში	173
§ 75.	ბლუმფილდი თავისი თეორიის შესახებ	175
§ 76.	ბლუმფილდი და მენტალიზმი	176
§ 77.	ბლუმფილდი და „გაგების“ საკითხი	177
§ 78.	ენა და საზოგადოება ბლუმფილდის მიხედვით	178
§ 79.	ზოგადი დასკვნა ბლუმფილდის კონცეფციის შესახებ	179

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი: პოზიტიური ნაწილი

§ 80.	ენის ფუნქციები	182
§ 81.	ექსპრესიულისა და საკომუნიკაციო ფუნქციათა ხვედრი წონა	182
§ 82.	ენობრივი ნიშნის მასალა და ფუნქცია	188
§ 83.	ენობრივი ნიშანი და აღსანიშნი	192
§ 84.	ნიშნისა და აღსანიშნის კავშირისათვის	193
§ 85.	ენობრივი ნიშანი პირობითია	202
§ 86.	ენა, როგორც სოციალური მოვლენა (კოლექტივის კუთვნილება)	205
§ 87.	ენის სოციალურობა და ინდივიდუალური თავისებურება	216
§ 88.	ენის რა მოვლენებია სოციალური (კოლექტივისეული) და როდის აქეთ?	217
§ 89.	ნიშნის ობიექტური ფუნქცია და სუბიექტური დანართი	219
§ 90.	სუბიექტური დანართი, ეგზემიზმისა და ტაბუს საკითხი	220
§ 91.	სუბიექტური დანართის სხვაობა	222
§ 92.	კლასობრიობის საკითხი ენაში	223
§ 93.	სოციალურობისა და კლასობრიობის ფარდობისათვის ენაში	229
§ 94.	ენობრივი სისტემის რაობისათვის	229
§ 95.	ღირებულება-ცნებისათვის ენობრივ სისტემაში	233
§ 96.	მნიშვნელობისა და ღირებულების ურთიერთობისათვის ენობრივ სისტემაში	234
§ 97.	ენა და აზროვნება	236
§ 98.	როგორია პროცესი აზროვნების გამოვლენისა მეტყველებაში?	238
§ 99.	როგორია აზროვნებისა და მეტყველების გენეზისური ურთიერთობა?	240
§ 100.	ენის სპეციფიკის საკითხისათვის	242

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდები

§ 101.	საკითხის დასმისათვის	246
I. ისტორიული ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდები		
§ 102.	ისტორიულ-მედარებითი მეთოდის შემოღების ისტორიიდან	247
§ 103.	ისტორიულ-მედარებითი მეთოდი და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია	250

§ 104.	როგორ არკვევენ ენათა ნათესაობას?	253
§ 105.	ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ბგერითი შესატყვი- სობის საკითხი	256
§ 106.	შედარების ძირითადი წესები	258
§ 107.	რა ართულებს შედარებას?	261
§ 108.	შესადარებელ ოდენობათა გაერთმნიშვნელობა	266
§ 109.	შესატყვისობა, როგორც ძიების წარმმართველი საშუალება ისტორიის აღდგენისას	268
§ 110.	ბგერათა შესატყვისობის ისტორიული რაობისათვის	270
§ 111.	ნარევი ენა და შედარება	275
§ 112.	ცნება „ენათა კავშირის“ (Sprachbund) საკითხისათვის	277
§ 113.	ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ენის ისტორია	279

II. იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური მეთოდი

§ 114.	პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთო- დი იაფეტურ თეორიაში	280
§ 115.	რას ემყარება ოთხელემენტოვანი ანალიზი?	284
§ 116.	პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზის ნიმუ- შები	289
§ 117.	ოთხელემენტოვანი ანალიზის პრინციპი და დებულება ერ- თიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ (ენათა სტადი- ური კლასიფიკაცია)	296
§ 118.	სტადიური კლასიფიკაციის დაპირისპირება გენეალოგიური კლასიფიკაციისათვის, როგორც შედეგი ელემენტოვანი ანალიზის დაპირისპირებისა ისტორიულ-შედარებითი მე- თოდისათვის	297
§ 119.	ენის წარმოშობის საკითხი იაფეტურ თეორიაში და ოთხე- ლემენტოვანი ანალიზი	299
§ 120.	ინდოევროპეისტიკის კრიტიკა იაფეტურ თეორიაში და ოთხელემენტოვანი ანალიზი	300
§ 121.	რას ემყარება მოძღვრება ოთხი ლინგვისტიკური ელემენ- ტის შესახებ?	310
§ 122.	ზოგადი დასკვნა ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდის შესახებ	313
§ 123.	ახალი ეტაპი იაფეტურ თეორიაში — პალეონტოლოგიური მეთოდი უელემენტებოდ	314
§ 124.	უელემენტო პალეონტოლოგიური ანალიზი და ენის ისტორია	318
§ 125.	ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და ისტორიული ენათმეცნიერება	322

III. სტატიკური (აღწერიითი) ანალიზის მეთოდები

§ 126	სტატიკური (აღწერიითი) ანალიზის ამოცანა	326
§ 127	რა მნიშვნელობა აქვს სტატიკურ ანალიზს ისტორიისათვის? . .	327
§ 128	სტატიკური ანალიზის სიძნელეები ობიექტის (ენის) თავისებურებასთან დაკავშირებით	328
§ 129	სტატიკური ანალიზის სიძნელეები აღწერიითი გრამატიკის ისტორიასთან დაკავშირებით	330
§ 130.	სტატიკური ანალიზის საკითხი ისტორიული ენათმეცნიერების წარმომადგენლებთან	333
§ 131.	ნარევი თვალსაზრისი სტატიკური ანალიზის პროცესში . .	336

III.ა. წინადადება, როგორც სინტაქსის საგანი სწავლასხვა მიმდინარეობაში

§ 132.	წინადადება და სინტაქსი	336
§ 133.	წინადადების ლოგიკისტური განსაზღვრების ნიმუშები . .	337
§ 134.	წინადადების ლოგიკისტური განსაზღვრების ორი ვარიანტი . .	339
§ 135	ქვემდებარე (სუბიექტი), შემასმენელი (პრედიკატი) სინტაქსში ლოგიკიდან შემოდის	340
§ 136	აზროვნებითი და მეტყველებითი არისტოტელესთან	342
§ 137	ლოგიციზმის კრიტიკული ანალიზი	347
§ 138	წინადადების ფსიქოლოგისტური განსაზღვრებანი პაულისა და ვუნდტისა	355
§ 139.	მსჯელობა ფსიქოლოგიური გაგებით, როგორც საფუძველი წინადადებისა	356
§ 140.	ჰერბარტის ფსიქოლოგიის პრინციპები და პაულისეული განსაზღვრება წინადადებისა	357
§ 141.	მსჯელობის ფსიქოლოგია ვუნდტისა და წინადადების განსაზღვრება	359
§ 142.	მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა იერუზალემის მიხედვით	364
§ 143.	მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა ბრენტანოს მიხედვით . .	365
§ 144.	მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის საკითხი მარბეს ექსპერიმენტების მიხედვით	366
§ 145.	წინადადების ფსიქოლოგისტური განსაზღვრების შეფასება	369
§ 146.	წინადადების ნაწილთა საკითხი ფსიქოლოგისტებთან. ცნება „ფსიქოლოგისტური სუბიექტისა (resp. პრედიკატისა)“ გაბეღენცთან	372

§ 147.	წინადადების ნაწილთა საკითხი პაულთან	374
§ 148.	წინადადების ნაწილთა საკითხი ვუნდტთან	380
§ 149.	ოვსიანიკო-კულიკოვსკი წინადადების საკითხის შესახებ . .	382
§ 150.	ფორტუნატოვი წინადადების საკითხის შესახებ	386
§ 151.	შახმატოვი წინადადების საკითხის შესახებ	395
§ 152.	ფონეტიზმი და მორფოლოგიზმი. დელბრიუკი წინადადების საკითხის შესახებ	404
§ 153.	ბუდე წინადადების რაობის შესახებ	406
§ 154.	დერჟავინი წინადადებისა და მისი წევრების შესახებ . . .	410

III. ზოგადი დასკვნა სტატეკური (აღწერიითი) ანალიზის საკითხებზე

§ 155.	სტატეკური (აღწერიითი) ანალიზის ძირითად საკითხთა გადაწყვეტის გზები	412
მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ი	ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა	417

ვუძღვნი ამ კურსის პირველი მსმენელე-
ბის — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის,
პროფ. ბიძინა ფოჩხუასა და საქ. სსრ
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,
პროფ. თინათინ შარაძენიძის ხსოვნას

მეორე გამოცემის წინასიტყვა

1. „ზოგადი ენათმეცნიერება: ძირითადი პრობლემები“ პირველად ჩვენმა უნივერსიტეტმა 1945 წ. გამოსცა.

მასში გაანალიზებული იყო: ენის რაობა (უცხოური ენათმეცნიერების ძირითად მიმდინარეობებში, ნ. მარის „ახალ მოძღვრებაში ენის შესახებ“), ენის ისტორიის შესწავლისა და ენის სისტემის აღწერის სპეციალური მეთოდები (უმთავრესი).

ენის რაობის შესახებ მოხსენდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების გაერთიანებულ სხდომას ლენინგრადში 1940 წ. 27 მაისს (აკად. ივ. მეშხანინოვის წინადადებით).

ეს მოხსენება — რუსული ტექსტი ("Проблема языка как предмета лингвистики...") დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“, ტ. X, 1942, გვ. 355-409.

მოხსენების ძირითადი დებულებები ამოსავალი იყო წერილისათვის "О некоторых вопросах советского языкознания", რომლითაც დაიწყო საენათმეცნიერო დისკუსია გაზ. „პრავდის“ ფურცლებზე 1950 წლის 9 მაისს.

ამავე დებულებათა ვრცელი დასაბუთება მოცემულია ნაშრომში "Проблема языка как предмета языкознания", რომელიც „უჩხედვიზმა“ გამოსცა 1959 წ. როგორც უმაღლესი სკოლის დამხმარე სახელმძღვანელო.

ენობრივი სისტემის აღწერის პრინციპული საკითხები განხილული გვქონდა ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I (პირველი გამოცემა უნივერსიტეტისა, 1928 წ. მეორე გამოცემა „მეცნიერებისა“, თბ., 1968 წ., გვ. 1-127); არსებითი აქაც დარჩა.

იხ. აგრეთვე: "Описание системы языка и принцип гомогенности" (აქვე, დანართი, რეზიუმეს ნაცვლად, II).

2. 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შედეგად უარყოფილ იქნა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ პრეტენზია — საბჭოთა ერთადერთი ენათმეცნიერება მე ვარო. ეს პრეტენზია უსაფუძვლო იყო, ის აფერხებდა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებას.

უსაფუძვლო აღმოჩნდა დებულება კლასობრივი ენისა და ენის ზედნაშენურობის შესახებ; დასაბუთდა (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ენათმეცნიერება“).

რების საკითხები“; 1950) და დღესაც ძალაშია დებულება, რომ არ არსებობს კლასობრივი ენები (ენას ხალხი ქმნის, ენა ხალხისაა), რომ ენას ვერ მივიჩნევთ ზედნაშენად (თუმცა ენობრივი ნიშანი მეორეულია აღსანიშნის მიმართ); ენა არ იცვლება ბაზისის ცვლასთან კავშირში, ენა სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენაა, მასთან — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

ამჟამად სამეცნიერო სკოლების არსებობა საბჭოთა ენათმეცნიერებაში ისევე ბუნებრივად ითვლება, როგორც, ვთქვათ, საბჭოთა ფიზიკაში.

3. ამ წიგნის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ჩამოთვლილია ხუთი საყრდენი ზოგადი დებულება.

ა) „აზროვნება ენის შესახებ ენათმეცნიერებად აქცია ისტორიულმა თვალსაზრისმა“.

ბ) „ფუნქციის ერთგვარობა სტრუქტურის ერთგვარობას არ განსაზღვრავს“.

გ) „მხოლოდ საზოგადოება აქცევს ინდივიდს ისტორიულ არსებად, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა ენა“.

დ) „ენის ძირითადი ფუნქცია საკომუნიკაციო ფუნქციაა (ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება). ყველა სხვა ფუნქცია... საყრდენად და წინაპირობად საჭიროებს საკომუნიკაციო ფუნქციას: უიმისოდ ენა ვერ შეიქმნებოდა, რომც შექმნილიყო, ვერ განვითარდებოდა“.

ე) „ენა ურთიერთობისათვის გამოსაყენებელ ნიშანთა სისტემაა. ენობრივი ნიშანი მასალით ფიზიკურია (ბგერა, ქესტ-მიმიკა), დანიშნულებით — სოციალური (ურთიერთობის საშუალება). ფიზიკური მასალის ენობრივი ფაქტი ნიშანი რომ არ ყოფილიყო, ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო დისციპლინა აღმოჩნდებოდა“.

არც ერთ ამ დებულებას განვლილი 35 წლის მანძილზე ძალა არ დაუკარგავს: ავტორი მათ დღესაც იცავს.

კიბერნეტიკული (საინჟინრო) ენათმეცნიერების, როგორც მათემატიკური დისციპლინის ჩამოყალიბება უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, მოითხოვს ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერება ჰუმანიტარული მეცნიერებაა.

წიგნში განხილულ ზოგ საკითხს წინანდელი სიმწვავე ამჟამად შეიძლება არც ახლდეს, მაგრამ რთული საკითხის არსებითი ანალიზი მეცნიერებაში „არ ოდეს გვიზამს ზიანსა“.¹

¹ საქმეში ჩახედული მკითხველი, ვფიქრობ, შენიშნავს, რომ ფსიქოლოგიზმი-სადმი კრიტიკული დამოკიდებულება ეხება წარმოდგენათა ფსიქოლოგიას (ინდივიდუალურსაც, სოციალურსაც).

4. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ენათმეცნიერების ძირითად საკითხთა გაგებაში დიდი ცვლილებები შეიმჩნევა, მეტადრე ეს ითქმის უცხოეთის ენათმეცნიერების შესახებ.

რიგ ამ სადავო საკითხზე ავტორს საშუალება ჰქონდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება წერილობით. დავასახელებთ აქ ზოგ წერილს.

1. „ბიჰევიორიზმი ენის რაობის გაგებაში“ (1958),¹ შეტანილია ქვემოთ წიგნის ტექსტში სათაურით: „ბიჰევიორიზმის ფიზიკალიზმი“.

2. „თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზების შესახებ“ (1966).²

3. „ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ“ (1967).³

4. „შედარებითი ტიპოლოგია და შინაგანი რეკონსტრუქცია“ (1969).⁴

5. „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობისათვის საკომუნიკაციო ფუნქციასთან დაკავშირებით“ (1967).⁵

6. „ენა და ენის თეორია ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში“, 1973.⁶

7. „ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხები“, 1974.⁷

8. „ენათმეცნიერება და ისტორიზმი“, 1980.⁸

9. „ენის სისტემის აღწერა და ჰომოგენურობის პრინციპი“ (1981).⁹

¹ "Бихевиоризм в понимании сущности языка", "Филологические науки", №1 (1958), გვ. 19-28, ქართულად: „ენის რაობის ბიჰევიორისტული გაგება“ — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (იკე), IX-X, 1958, გვ. 1-13.

² "К вопросу о путях развития современной лингвистики" ჟურნ. "Вопросы языкознания" 1966, №4, გვ. 45-61; ქართულად: „თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზები“, კრებული: „თანამედროვე ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები“, I, თბ., 1966, გვ. 170-189.

³ "Лингвистика как интегральная наука о языке", კრებული "Проблемы языкознания", М., 1967, გვ. 15-20; ქართულად: „ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება“ — კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები“, II, თბ., 1967 გვ. 5-20.

⁴ "Сравнительная типология и внутренняя реконструкция (Предварительные замечания)" — Изв. ОЛЯ АН СССР, т. XXVIII (1969), გვ. 3-10.

⁵ "К вопросу о взаимоотношении мышления и речи в связи с ролью коммуникативной функции", კრებული: "Язык и мышление", М., 1967, გვ. 16-20.

⁶ "Язык и теория языка в философии и лингвистике" — Изв. ОЛЯ АН СССР, т. XXVII (1973), ნაკვ. 6, გვ. 519-523.

⁷ "Философские вопросы языкознания", — Изв. ОЛЯ АН СССР, т. XXXIII (1974), ნაკვ. 4, გვ. 312-319. ქართულად: „ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (იკე), XX (1978), გვ. 5-20, ერთვის აქვე წიგნს.

⁸ "Лингвистика и историзм", ჟურნ. "Вопросы языкознания", 1980, №6, გვ. 3-12 (ერთვის წიგნს — რეზიუმეს ნაცვლად).

⁹ Описание системы языка и принцип гомогенности, ჟურნ. "Вопросы языкознания", 1981, №4, გვ. 12-23 (ერთვის წიგნს „რეზიუმეს ნაცვლად“).

როგორც კრიტიკულ, ისე პოზიტიურ ნაწილში, ავტორი ცდილობს დაასაბუთოს თავისი აზრი.

ზოგ მკითხველს შეიძლება ეს საბუთიანობა დამაჯერებლად ეჩვენოს, ზოგს კიდეც — უკმარად. და ეს სათანადოდ დაასაბუთოს.

ყველა შემთხვევაში მეცნიერება დასაბუთებულ ცოდნას საჭიროებს, ამას ავტორი სპეციალისტის ვალდებულებად მიიჩნევს.

27.VII.1981 წ.

არნ. ჩიქობავა

პირველი გამოცემის წინასიტყვა

წინამდებარე შრომა განიხილავს ენათმეცნიერების საგნისა და სპეციალური მეთოდების საკითხს (გზადაგზა ენათმეცნიერების დარგებიცაა მსჯელობის საგანი). „ზოგადი ენათმეცნიერების“ ეს, მეორე, ნაწილი შინაგან კავშირშია პირველ, პრობლემეტიკულ, ნაწილთან.¹

როგორ წარმოიშვა ეს შრომა? როდესაც 1934 წ. ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა (საენათმეცნიერო) განყოფილება ჩამოყალიბდა, მის სასწავლო გეგმაში ენათმეცნიერების ორი კურსი იქნა შეტანილი: ერთი — ელემენტარული (პრობლემეტიკული — ე. წ. „ენათმეცნიერების შესავალი“), მეორე — ძირითადი, სისტემური. „შესავალს“ ისმენდა პირველი კურსი (ის საერთო იყო ფაკულტეტის სხვადასხვა განყოფილებათათვის); ძირითადი კურსი იკითხებოდა მხოლოდ კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა განყოფილებისათვის, ე. ი. ენათმეცნიერების სპეციალობის სტუდენტთათვის (მეოთხე კურსზე). პირველად ეს ძირითადი კურსი ჩატარდა 1937/38 აკადემიურ წელს.

ამ ძირითადი კურსის საჭიროება მაშინ (1935-1936 წწ.) სადავოდ მიაჩნდათ — უმაღლესი სკოლის კომიტეტის სასწავლო გეგმებში არა გვაქვს მსგავსი საგანი. სასწავლო პრაქტიკამ ენათმეცნიერების სწავლების ასეთი წესი გაამართლა. დღეს ამაზე აღარავინ დაობს.

საგნის არსებობა სადავო იყო. სახელმძღვანელოზე ლაპარაკიც ხომ მეტია: არა თუ ქართულად, რუსულ ენაზედაც შესაბამისი თემატიკის სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა (არც ახლაც). როგორც უნივერსიტეტის მუშაკი, ავტორი მოვალედ თვლიდა თავს, მიეცა მსმენელებისათვის დაწერილი სახით ის, რასაც ზეპირად ლექციებზე აწვდიდა. თავის ამ მოვალეობის მოხდის შესაძლებლობა ავტორს ამჟამად ეძლევა. ამრიგად, ეს შრომა საუნივერსიტეტო მუშაობის პროცესში შეიქმნა.

რა მიზანს ისახავს შრომა? უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, არამედ, რაც მთავარია, უნდა ასწავლოს **მეცნიერული აზროვნება**. ეს განსაზღვრავს წინამდებარე შრომის ერთს თავისებურებას: ავტორი ცდილობს ყველგან აჩვენოს, **რატომაა** ესა თუ ის დებულება მეცნიერულად მართებული თუ უმართებულო (სადაც ამის შესაძლებლობა არაა, აღნიშნულია,

¹ „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პრობლემეტიკული ნაწილი“, უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., მეორე გამოცემა — 1939 წ.

რომ საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება). მკითხველს საშუალება ეძლევა წამოყენებული დებულების დასაბუთების პროცესს თვალყური მიადევნოს და თავისი დამოკიდებულება დასამტკიცებელი დებულებისადმი (თუ თვით საკითხისადმი) გაარკვიოს.

ავტორი შეგნებულად ცდილობდა გვერდი არ აევლო აქტუალური საკითხებისათვის და არ გაენელებინა მათი სიმწვავე, არამედ სრული გარკვეულობით დაესვა ისინი. თუ მკითხველს გაცემული პასუხი არ დააკმაყოფილებს, საკითხის რაობა მაინც ხელშესახები იქნება.

მიზნის მიხედვით ეს შრომა სახელმძღვანელოა, საკითხთა **განხილვის წესის** მიხედვით კი არსებით მომენტებში გამოკვლევის ხასიათს ატარებს.

როგორია კრიტიკული და პოზიტიური ნაწილის ურთიერთობა? ენათმეცნიერების პრინციპული საკითხების შესახებ გარკვეულ დებულებათა წამოყენება არსებული რთული ვითარების **ანალიზს** მოითხოვდა. ეს ანალიზი (გვ. 22-161) ნეგატიურად წარმოგვიდგენს იმას, რაც პოზიტიურად შემდეგაა დასაბუთებული. ავტორი ცდილობდა გადმოეცა განსახილველი შეხედულება სათანადო დოკუმენტაციით, დაეღაგებინა და აეხსნა იგი სათანადო ავტორის შეხედულებათა კონტექსტში და შემდეგ მოეცა შეფასება. ამან დიდი ადგილი მოითხოვა. მაგრამ უამისოდ კრიტიკული ანალიზი მოგვცემდა მიუღებელი შეხედულების **მარტივ უარყოფას** და არა **დაძლევას**. მეცნიერული კრიტიკული ანალიზის **მიზანი კი სწორედ დაძლევაა** და **არა მარტივი უარყოფა** (ასეთი მარტივი უარყოფის ნიმუში ენათმეცნიერულს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ცოტა როდია).

რა დებულებებია საყრდენი?

1. აზროვნება ენის შესახებ ენათმეცნიერებად აქცია **ისტორიულმა თვალსაზრისმა**. ზოგადი ენათმეცნიერება ისტორიული ენათმეცნიერების თეორიაა (ეს წყვეტს ენის ფილოსოფიასთან და ფილოლოგიურ გრამატიკასთან ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხს: მათთვის უცხოა **განვითარების** თვალსაზრისი).

2. ერთდროულად **სხვადასხვა** ენა, სხვადასხვა დროს **ერთი და იგივე ენა** შეიძლება იყოს არსებითად განხვავებული თავისი აგებულებით (თვით აგებულების **ტიპის** სხვაობამდისაც კი: შდრ. ენა აფიქსებიანი და უაფიქსო...), **ფუნქციის** ერთგვარობა **სტრუქტურის** ერთგვარობას არ განსაზღვრავს — ესაა ამოსავალი ფაქტიცა და დანასკვიც იტორიული ენათმეცნიერებისა.

3. ინდივიდი ადამიანად შეიძლებაოდა გამხდარიყო მხოლოდ კოლექტივში (შრომის პროცესში და ამ პროცესთან დაკავშირებით); ადამიანად ქცეული ინდივიდის აზროვნება ამყამადაც ვერ განვითარდება სხვებთან ურთიერთობის გარეშე: მხოლოდ საზოგადოება აქცევს ინდივიდს ისტორი-

ულ არსებად. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალებაა ენა (უენოდ — ე. ი. ურთიერთობის ამ საშუალების გარეშე — ჯოგს მივიღებდით და არა საზოგადოებას).

4. ენის **ძირითადი ფუნქციაა** საკომუნიკაციო ფუნქცია: ენა, როგორც **ურთიერთობის საშუალება**. ყველა სხვა ფუნქცია (კერძოდ, ექსპრესიული — ენა, როგორც აზროვნების იარაღი...) საყრდენად და წინაპირობად საჭიროებს საკომუნიკაციო ფუნქციას: უმისოდ იგი ვერ შეიქმნებოდა; რომც შექმნილიყო, ვერ განვითარდებოდა.

5. ენა ურთიერთობისათვის გამოსაყენებელ ნიშანთა სისტემაა. ენობრივი ნიშანი **მასალით** ფიზიკურია (ბგერითი ენა, აქუსტ-მიმიკის ენა), **დანიშნულებით** — სოციალური (ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის საშუალება).

ენობრივი ნიშანი ფიზიკური მასალისა რომ არ იყოს (ყურით გასაგონი, თვალთ დასანახი), ურთიერთობის საშუალებად არ გამოდგებოდა, საკომუნიკაციო ფუნქცია არ ექნებოდა. ამგვარად, **ენის სოციალურობა** ენობრივი ნიშნის **ფიზიკურ მყოფობას** კი **არ გამოორიცხავს**, არამედ **უცილობლად გულისხმობს** (მდრ. ფსიქოლოგიზმის ძირითადი დებულება: ენობრივი ნიშანი ფსიქიკურია).

ფიზიკური მასალის ენობრივი ფაქტი **ნიშანი** რომ არ ყოფილიყო, ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო დისციპლინა აღმოჩნდებოდა.

ზემოსხენებული დებულებები ისტორიული ენათმეცნიერების რეალური შინაარსიდან გამომდინარეობს. ამ დებულებათა გარეშე არ დაიძლევა არც ფსიქოლოგიზმი და არც ანტიისტორიზმი. ამ დებულებათა გარეშე არ დაისმის და არ გადაწყდება სტატისტიკური ენათმეცნიერების მოუგვარებელი მწვავე საკითხებიც.

რა გვაქვს და რა უნდა გვქონდეს? 26 წლის წინათ გამოვიდა გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ (სამ ნაკვეთად). ეს იყო პირველი „ზოგადი ენათმეცნიერება“ ქართულ ენაზე. ეს შრომა იმხანად რუსულ ენაზე არსებულ ანალოგიურ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩეოდა შინაარსის სიმდიდრითა და საკითხთა დამუშავების მაღალი დონით. ამ სახელმძღვანელოზე — ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ. მათ შორის პირველი თაობა ის იყო, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორიც ეკუთვნის.

მას შემდეგ ენათმეცნიერულმა აზროვნებამ ჩვენში განვითარების საკმაო გზა განვლო. წინსვლა თვალსაჩინოა, თუ უკან მოვიხედავთ და იმას აღვნიშნავთ, რაც გაკეთებულა, მაგრამ ერთობ მცირე აღმოჩნდება, თუ იმას გავითვალისწინებთ, რაც უნდა გაკეთებულიყო და რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

ენებით მდიდარი ვართ. ენის მეცნიერებით (ე. ი. ენის თეორიით) ღარიბი ვერ ვიქნებით: ეს ჩამორჩენის მომასწავებელი იქნებოდა.

ავტორის სურვილი იყო ენათმეცნიერების პრინციპულ საკითხთა განხილვა მდგარიყო იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს **ჩვენი, სოციალისტური, მოწინავე მეცნიერების თეორია**.¹

მომდევნო თაობის ზნეობრივი ვალია წინა თაობის მიღწევა (მართალი მიღწევა!) **განავითაროს** (და არა იმეოროს). საბჭოთა ენათმეცნიერების ახალი კადრების ზრდა ჩვენში იმის საწინდარია, რომ ამ განვითარების ტემპები თანდათანობით უფრო სწრაფი იქნება. წინამდებარე შრომის მიზანია ამ განვითარებას ხელი შეუწყოს.²

არნ. ჩიქობავა

16.IX.1945

თბილისი

¹ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარი გვქონდა „ზოგადი ენათმეცნიერების“ I ნაწილის წინასიტყვაობაში.

² წიგნში განხილულ საკითხთაგან არა ერთი იყო წინათ სპეციალური მოხსენების საგანი:

1. „სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა“ — მოხსენდა საქართ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერ. განყოფილების VIII სესიას (24.X.1942), დაიბეჭდა „უნივერს. შრომ.“ ტ. XXVI b (1944); აქ შეკვეცითაა შეტანილი;

2. მ. მიულერის ნატურალისტური კონცეფციის შესახებ — მოხსენდა საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფ. X სესიას 27.II.1943 წ. (არ გამოქვეყნებულა);

3. „ა. შლაიხერის "Sprachvergleichende Untersuchungen", ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით“ — მოხსენდა უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრას 1944 წ. (არ გამოქვეყნებულა);

4. „ენათმეცნიერება და ენის ფილოსოფია“ იყო სპეციალური მოხსენების საგანი უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1945 წ. (არ გამოქვეყნებულა);

5. „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“, რაც შემოკლებითაა აქ გამოყენებული §§ 116-120 და § 145-ში, წაკითხული იყო მოხსენებად 1937 წლის თებერვალში ენის ინსტიტუტის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე და გამოქვეყნდა საქ. მეცნ. აკად. ფილიალის მოამბეში, ტ. I, ნაკვ. II, III;

6. წინადადების საკითხი სხვადასხვა მიმდინარეობაში მონოგრაფიული წესით განხილულია „მარტივი წინადადების პრობლემაში“, I (აქ მხოლოდ ერთი ნაწილის ნაწყვეტებია გამოყენებული);

7. „ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და ისტორიული ენათმეცნიერება“ — მოხსენდა მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერ. განყოფ. XVIII სესიას 5.III.1945 წ. (არ გამოქვეყნებულა; გამოყენებულია §§ 114, 115-ში);

8. ენის რაობის შესახებ მსჯელობას (თავი II და III, გვ. 1-198; თავი IV, გვ. 231-270) საფუძვლად უდევს მოხსენება "Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания" — მოხსენდა საკავშირ. მეცნიერ. აკადემ. ლიტერ. და ენის განყოფილების სესიას 1940 წ. 27 მაისს და გამოქვეყნდა „ენიკის მოამბეში“, ტ. X (1941), გვ. 355-409.

თავი პირველი

ზოგადი ენათმეცნიერება, მისი მიზანი და ამოცანები

§ 1. ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები. ზოგადი ენათმეცნიერება ენათმეცნიერების ნაწილია. მისი დანიშნულებაა მოგვცეს **ენისა** და **ენათმეცნიერების** ძირითადი პრინციპული საკითხების სისტემური ანალიზი.

ეს საკითხები თავს იყრის **ოთხი პრობლემის** გარშემო. ესენია:

1. ენათმეცნიერების **საგნის** პრობლემა,
2. ენათმეცნიერების **სპეციალური მეთოდების** პრობლემა,
3. ენათმეცნიერების **სტრუქტურის** (ე. ი. საენათმეცნიერო დარგებისა და მათი ურთიერთობის) პრობლემა,
4. პრობლემა ენათმეცნიერების **მიმართებისა სხვა მეცნიერებებთან.**

საგნის, სპეციალური მეთოდების, სტრუქტურისა და სხვა, მონათესავე, მეცნიერებათა შორის ადგილის საკითხი ყოველი მეცნიერებისათვის საკონსტიტუციო საკითხია.

მაშასადამე, ზოგადი ენათმეცნიერება **ენათმეცნიერების ფუძემდებელი პრობლემების** განხილვას ისახავს მიზნად.

§ 2. შესასწავლი საგანი. ხსენებული ოთხი პრობლემა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

საგნის საკითხი თავი საკითხია: შესასწავლი ობიექტის გამოყოფა აუცილებელი წინაპირობაა სამეცნიერო დისციპლინის არსებობისათვის: არ შეიძლება გვქონდეს მეცნიერება, თუ არა გვაქვს ის ობიექტი, რომლის შესწავლამაც სამეცნიერო დისციპლინა უნდა მოგვცეს.

შესასწავლი ობიექტია **სინამდვილის ფაქტი** მთლიანად ანდა მისი რომელიმე მხარე.

ამ **ფაქტის რაობა** მეცნიერული შესწავლის პროცესში თანდათანობით უფრო ნათელი ხდება: რაც უფრო ღრმად სწვდება მეცნიერული აზრი შესასწავლ ობიექტს, მით უფრო იცვლება, მდიდრდება ჩვენი წარმოდგენა ხსენებული ფაქტის შესახებ; მასში ვამჩნევთ ისეთ მხარეებს, რაც თავდაპირველად არავის ეფიქრებოდა. ამის კლასიკური ნიმუშია ნივთიერება და მისი ატომი, ე. ი. „განუყოფელი ნაწილი“. ამ ტერმინში ასახულია ბუნებისმეტყველების განვითარების განვლილი საფეხური: ამჟამად ატომი,

ეს „განუყოფელი ნაწილაკი“, გაიყო, მისი დაშლა მოხერხდა, ნივთიერების რაობაში მეცნიერებამ უფრო ღრმად ჩახედვა მოახერხა.

პროგრესმა, რომელსაც მიაღწია მეცნიერებამ სათანადო ობიექტის შესწავლისას, უნდა პოვოს გამონახულება ობიექტის **რაობის** გაგებაში. ობიექტის რაობის გაგება (განსაზღვრა) არ შეიძლება არ იყოს ცვალებადი: დროთა ვითარებაში იგი იცვლება, რამდენადაც ასახავს სათანადო სამეცნიერო დისციპლინის პროგრესს.

ობიექტის რაობის გაგებაშია აგრეთვე, რომ დაჩნდება შეხედულებათა სხვაობა, მიმდინარეობათა ნაირნაირობაც.

ამიტომაც, რომ შესასწავლი ობიექტი იმთავითვეა მოცემული ყოველ მეცნიერებაში, მაგრამ ამ ობიექტის განსაზღვრა, საყოველთაოდ აღიარებული და უდავო, იშვიათად თუა მოცემული რომელსამე მეცნიერებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესახებ. რა არის ენა? — ეს საკითხი ისევე მწვავეა ენათმეცნიერებისათვის, როგორც, მაგალითად, სამართლის მეცნიერებისათვის კითხვა — რა არის სამართალი, პოეტიკისათვის — რა არის პოეზია და ასე შემდეგ.

ობიექტის საკითხით იწყება ყოველი მეცნიერება და ობიექტის საკითხით თავდება იგი, და, ჩვეულებრივ, მით უფრო დიდია განსხვავება ამ საკითხზე გაცემულ პასუხებს შორის, რაც უფრო მეტი მიღწევა მოეპოვება სათანადო მეცნიერებას თავისი ობიექტის შესწავლისას.

§ 3. სპეციალური მეთოდები. ობიექტის პრობლემასთან შინაგან კავშირშია **სპეციალური მეთოდების** პრობლემა. სპეციალური მეთოდები ყოველ მეცნიერებას სჭირდება თავისი ობიექტის ანალიზისათვის მაშინ, როდესაც ძირითადი მეთოდები მეცნიერული აზროვნებისა ერთი და იგივეა ყველგან, სადაც კი მეცნიერული ცოდნის მოპოვებასთან გვაქვს საქმე. ამდენადვე ეს ძირითადი მეთოდები **ზოგადიცაა და საერთოც**. ეს ლოგიკის იმ დარგის საქმეა, რომელსაც მეთოდთა მოძღვრება, მეთოდოლოგია ეწოდება.

ზოგადი მეთოდოლოგიისაგან განსხვავებით **სპეციალური** მეთოდოლოგია სამეცნიერო დარგების მიხედვით იცვლება. ასეთია, მაგალითად, წყაროების კრიტიკის მეთოდები — ფილოლოგიაში, სპექტრული ანალიზის მეთოდი ნივთიერების ქიმიური შედგენილობის სარკვევად, ოსცილოგრაფია — ტვინის ფიზიოლოგიაში და სხვ.

სპეციალური მეთოდების ასეთი თუ ისეთი ხასიათი დამოკიდებულია შესასწავლ ობიექტზე; ხშირად აქ გარკვეული ზღვარია მოცემული: არ შეიძლება ასტრონომიამ მიმართოს ცის სხეულთა ექსპერიმენტულ შესწავლას; პირუკუ: ნივთიერებათა ქიმიურ თვისებათა შესწავლისას ლაბორატორიული ძიება ექსპერიმენტულა იყენებს (დაკვირვება ბუნებრივ პირობებში თუმცა შეუძლებელი არაა, მაგრამ მიზანშეუწონელია).

ზოგადი და ძირითადი მეთოდები მეცნიერული აზროვნებისა საყოველთაოდ არის და მყარიც. სპეციალური მეთოდები კი დროთა ვითარებაში იცვლება: კვლევა-ძიების პროცესში ბუნებრივად იქმნება ახალი ხერხები ობიექტის ანალიზისა; უფრო მიზანშეწონილი წესი (ხერხი) ცვლის ნაკლებ ეფექტურს.

პროგრესი მეცნიერებისა სპეციალური მეთოდების ცვლითაა შეპირობებული და ამ მეთოდების ცვლასაც აპირობებს.

სპეციალური მეთოდების ავკარგიანობა მოწმდება სათანადო მეცნიერების განვითარების ისტორიაში, სამეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკაში.

ზოგადი მეთოდოლოგია რომ საკმარისი იყოს და, მაშასადამე, სპეციალური მეთოდები რომ არ იყოს საჭირო, ყოველ განათლებულ ადამიანს შეეძლებოდა ყველა სამეცნიერო დისციპლინაში დაუბრკოლებლივ ეწარმოებინა კვლევა-ძიება. სამწუხაროდ, ეს, როგორც ცნობილია, ასე არაა. ქიმიკოსი ისტორიულ წყაროთა ფილოლოგიურ კრიტიკას ვერ მოახერხებს და — პირუკუ.

§ 4. დარგები და მათი ურთიერთობა. გარკვეული ობიექტის გარკვეული წესით შესწავლა (სპეციალური მეთოდების შემწეობით) შედეგად მოგვცემს ცოდნას. ეს ცოდნა მხოლოდ მაშინ მოგვცემს სამეცნიერო დისციპლინას, თუ იგი სისტემაშია მოყვანილი. ერთი და იგივე წინადადება შეიძლება ენათმეცნიერული შესწავლის პროცესში განვიხილოთ სხვადასხვა მხრივ და გავარკვიოთ: როგორია აზრითი კავშირი წინადადების წევრ-სიტყვათა შორის, როგორია ცალკეულ სიტყვათა შედგენილობა-აგებულება, რა ბუნება-თვისებისაა ის ბგერები, რომელთაგანაც ეს სიტყვები შედგება და სხვა. სტილისტიკური, მორფოლოგიური, ფონეტიკური თუ სხვა მომენტი, ცხადია, ერთმანეთში არ შეიძლება აგრიოთ: სხვადასხვა ხასიათის ცნობები სხვადასხვა დარგებში მოიყრის თავს.

ამა თუ იმ ობიექტის შესწავლისას მოპოვებული ცოდნა **დარგებში** მოიყრის თავს, როგორც კი მას მოვიყვანთ სისტემაში.

სამეცნიერო დისციპლინის დარგების საკითხი სათანადო ცოდნის სისტემაში მოყვანის პირდაპირი შედეგია.

აქედან ცხადია, რომ **ყოველ მეცნიერებაში მით უფრო მეტი დარგი გამოიყოფა, რაც უფრო ღრმადია შესწავლილი სათანადო ობიექტი და რაც უფრო მრავალფეროვანია ის ცოდნა, რომელიც ამ ობიექტის შესწავლისას მოვიპოვეთ.** ბუნებრივია, თუ ახლად ჩამოყალიბებული სამეცნიერო დისციპლინა შედარებით ღარიბია დარგებით, დიდი ხნის ისტორიის მქონე სამეცნიერო დისციპლინაში კი დარგების რაოდენობაც დიდია

და დარგების ურთიერთობაც რთული (ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სამეცნიერო დისციპლინის ხნოვანობა და დარგების რიცხვი ზუსტად ეფარდებიან ერთმანეთს: განვითარების ტემპებია მხედველობაში მისაღები).

ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში შემაჯავლი დარგები ქმნიან სათანადო დისციპლინის **სტრუქტურას**. ასე, მაგ., ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა წარმოვიდგენენ ენათმეცნიერების სტრუქტურას.

ინტენსიური განვითარების პროცესში იზრდება არა მხოლოდ დარგების რიცხვი; შესაძლოა ესა თუ ის დარგი დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად იქცეს. ამის კარგი მაგალითი გვაქვს ქიმიაში: არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია — დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინები უფროა ამჟამად, ვინემ ერთი სამეცნიერო დისციპლინის დარგები.

ამრიგად, **დარგების რიცხვის ზრდა** ცალკეულ სამეცნიერო დისციპლინის შიგნით და ამის შედეგად **სამეცნიერო დისციპლინის სტრუქტურის გამდიდრება-გართულება**, აგრეთვე თვით ამ დარგების გადაზრდა-ჩამოყალიბება **ახალ სამეცნიერო დისციპლინად** — მეცნიერული აზროვნების **წინსვლის შედეგაცაა და გამომჟღავნებაც**.

ბუნებრივია, თუ ეს მოვლენა ახასიათებს თითქმის ყველა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორიას მეტ-ნაკლებად.

რა დარგები გვაქვს ამა თუ იმ მეცნიერებაში და რა ურთიერთობაა ამ დარგებს შორის ობიექტისა და მიზან-თვალსაზრისის მხრივ, რა ხასიათისაა ამ დარგების ცნებები — ესა ქმნის **სამეცნიერო დისციპლინის სტრუქტურის** პრობლემას.

დარგთა **რაოდენობის** საკითხი ხშირად ისე მწვავედ არ იგრძნობა, — ტრადიცია ამარტივებს საქმის ვითარებას — როგორც დარგთა **ურთიერთობის** საკითხი. ყველაზე მოუგვარებელია ჩვეულებრივად სწორედ ეს საკითხი. სტაბილიზაცია აქ იმიტომაცაა ძნელი მისაღწევი, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიების უწყვეტი პროცესი ნიადაგ გვმატებს ახალ მასალასა და მით — ახალ მოსავარებელ საკითხებსაც (სისტემატიკის მხრივ).

§ 5. ენათმეცნიერების ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის.
შედარებით სადაა უკანასკნელი პრობლემა: რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ მეცნიერებას სხვა მეცნიერებათა შორის?

ეს საკითხი ბუნებრივად დაისმის მას შემდეგ, რაც გარკვეულია შესასწავლი საგნის, საჭირო სპეციალური მეთოდებისა და სტრუქტურის ვითარება, ე. ი. გარკვეულია ყველა ის ელემენტი, რაც ქმნის სამეცნიერო დისციპლინის ინდივიდუალობის საკითხს.

რა მეცნიერებათა წყებას განეკუთვნება მოცემული მეცნიერება, რა მეცნიერებებთან აქვს მას უფრო მჭიდრო კავშირი და რატომ — ამის გარკვევას გულისხმობს უკანასკნელი პრობლემა.

მისი დასმა (და გადაწყვეტაც) შესაძლებელია საგნის პრობლემის მიხედვითაც: **შესასწავლი საგნის ბუნება-თვისება განსაზღვრავს სათანადო მეცნიერების ადგილს მეცნიერებათა სისტემაში.** ყველაზე ბუნებრივია სწორედ ამ ნიშნის მიხედვით გადაწყდეს საკითხი, მით უფრო, რომ სპეციალური მეთოდების საკითხი დაქვემდებარებული, უფრო ზუსტად, ნაწარმოები (დერივატული) ხასიათისაა.

მაგრამ მეცნიერებათა კლასიფიკაციის ისტორიამ იცის საკითხის სხვაგვარი დასმაც: მოპოვებული **კოდნის ხასიათია** ზოგჯერ ამოსავალი კლასიფიკაციისათვის. მაშასადამე, მესამე პრობლემა — დარგობრივი აღნაგობისა (სტრუქტურისა) — უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებული, რომ უკანასკნელი პრობლემის განხილვისას ყველა შესაძლო თვალსაზრისის შემოწმება იყოს შესაძლებელი.

რას სწავლობს ენათმეცნიერება?

რა სპეციალური მეთოდებით?

რა დარგებისაგან შედგება იგი და როგორია ამ დარგების ურთიერთობა, სათანადო ცნებათა ბუნება-თვისება?

რა მეცნიერებათა წყებას განეკუთვნება ენათმეცნიერება?

— ეს ფუძემდებელი პრობლემებია, როგორც უკვე ვთქვით თავშივე, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები.

§ 6. რის მიხედვით წყდება ეს პრობლემები ზოგად ენათმეცნიერებაში? ზოგადი ენათმეცნიერება თავის პრობლემებს წყვეტს ენათმეცნიერული ემპირიული მასალის საფუძველზე, იმ მასალის საფუძველზე, რაც ენათა მეცნიერული შესწავლისასაა მოპოვებული, ცალკეულ ენათა მეცნიერულ გრამატიკებშია წარმოდგენილი: საენათმეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები არის და უნდა იყოს დასაყრდენი ზოგადი ენათმეცნიერებისათვის.

რაც უფრო მტკიცეა ეს დასაყრდენი, რაც უფრო მეტი ენაა მეცნიერულად შესწავლილი, მით უფრო მდიდარი იქნება ზოგადი ენათმეცნიერების შინაარსი, მით უფრო საფუძვლიანი იქნება მისი დებულებები, — და პირუკუ: თუ არცერთი ენა არ არის მეცნიერულად შესწავლილი, ზოგადი ენათმეცნიერება, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა, შეუძლებელია არსებობდეს.

განზოგადება საჭიროებს განსაზოგადებელ მასალას.

როგორღა მოიქცევა თეორეტიკოსი ენათმეცნიერი, თუ ემპირიული საენათმეცნიერო ძიების შედეგი არაა ერთნაირი და საკითხი სადავოა? ასეთ შემთხვევაში **საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკა და ენათმეცნიერების ისტორია** უნდა იყოს საკონტროლო ინსტანცია: **რამ და როგორ განსაზღვრა ენათმეცნიერული ცოდნის პროგრესი, რაა გამართლებული საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკით** — ასე უნდა დაისვას საკითხი.

სხვანაირად საკითხი ვერ დაისმის, თუ გვინდა ზოგადი ენათმეცნიერება იყოს ენათმეცნიერების ორგანული ნაწილი, **თეორიული განზოგადება** და **გააზრება ენათა მეცნიერული შესწავლისა**, მოწოდებული — ხელი შეუწყოს ენათა შემდგომ კვლევა-ძიებას.

თუ **ენათმეცნიერების მიზანია იკვლიოს ენა მის მიმართებაში აზროვნებასთან და კულტურასთან — ისტორიული განვითარების პროცესშიც და ამჟამადაც** (სისტემატური ანალიზის წესით), — **ზოგადი ენათმეცნიერების მიზანია ხელი შეუწყოს ამ კვლევა-ძიებას**.

ნაწილი, რაც გინდა მნიშვნელოვანიც იყოს იგი, მთელით განისაზღვრება და მთელს ექვემდებარება.

ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენათმეცნიერების ურთიერთობა ყოველთვის ასე არ ესმოდათ. ენათმეცნიერების თეორია ენათმეცნიერების პრაქტიკას, ე. ი. საენათმეცნიერო კვლევა-ძიების მიღწევებს არ მიჰყვებოდა და არ ასახავდა (ნაწილობრივ ეს ახლაც ასეა).

ამით **ზოგადი ენათმეცნიერება უახლოვდებოდა (და უახლოვდება) ენის ფილოსოფიას**.

§ 7. რა მიმართებაშია ზოგადი ენათმეცნიერება ენის ფილოსოფიასთან? თუ ზოგადი ენათმეცნიერება არის ენათმეცნიერების ნაწილი, ენის ფილოსოფია **ფილოსოფიის დარგს** წარმოადგენს: ენა შესწავლება ფილოსოფიის თვალსაზრისით, ფილოსოფიის **ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს**, ფილოსოფიური **დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი დ ა ნ** ამოსვლით.

ცხადია, **ენის ფილოსოფიის წარმომადგენელს არ ესაჭიროება ენათმეცნიერება** და მისი მონაცემები, ემპირიული საენათმეცნიერო მასალა. საკმარისია ისიც, რომ მოცემულია შესასწავლი ობიექტი — ენა. ენის ფილოსოფია (აპრიორულ) ფილოსოფიურ დებულებაზე დამყარებული თეორიაა ენისა.

სავსებით ბუნებრივია, თუ **ენის ფილოსოფია ისტორიულად წინ უსწრებს ენათმეცნიერებას**.

ჩამოყალიბებული სახე მას ეძლევა ე. წ. „ზოგად ანუ რაციონალურ გრამატიკაში“ (1660 წ.), რომელიც ენას განიხილავდა, როგორც ლოგიკუ-

რი აზროვნების განხორციელებას¹ და რომელიც შემდგომში (მეთვრამეტე საუკუნეში, ნაწილობრივ — მეცხრამეტეშიც) **ფილოსოფიური გრამატიკის** სახელით იყო ცნობილი.

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ინგლისელ ჰარისის შრომა: „ჰერმესი ანუ ფილოსოფიური გამოკვლევა ენისა და ზოგადი (უნივერსალური) გრამატიკის შესახებ“, რომელიც პირველად 1751 წელს გამოვიდა, 1794 წლამდის ხუთჯერ გამოიცა; ითარგმნა გერმანულ ენაზე 1788 წელს ევერბეკის (Ewerbeck) მიერ ფრანგულ ენაზე 1796 წელს თუროს (Thurot) მიერ.²

თანამედროვე ენის ფილოსოფიის ნიმუშად შეიძლება დავსახოთ რიხარდ ჰონიგსვალდის „ფილოსოფია და ენა“ (ბაზელი, 1937 წ.).³ ენის ფილოსოფია, — წერს ჰონიგსვალდი, — ესაა „მეცნიერება ენა-**ცნების** შესახებ“ („Wissenschaft vom Begriff der Sprache“ — ხსენ. შრომა, გვ. 6); „ენის ფილოსოფიაში აქ იგულისხმება მეცნიერება ენა-**ცნების** შესახებ, მეცნიერული განხილვა და მეთოდური დახასიათება იმ ფაქტისა, რომ საერთოდ „ენა“ და „ენები“ „არსებობს“ („მოიპოვება“ — dass es „Sprache“ und „Sprachen“ überhaupt „gibt“ — იქვე, გვ. 3).

როგორც ვხედავთ, აქ ფილოსოფიური რეფლექსიის საგანადაა ქცეული თვით ფაქტი ენის არსებობისა. ემპირიულ ენათმეცნიერებასთან კონტაქტს ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოველოდეთ. ჰონიგსვალდისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, არსებობს თუ არა ენის შესახებ სპეციალური მეცნიერება.

ამას ვერ ვიტყვით **ენის ფილოსოფიის** ისეთსავე წარმომადგენელთა შესახებ, როგორც არიან. ა. მარტი⁴ და მით უფრო ე. კასირერი⁵: ენათმეცნიერებას აქ სათანადო ანგარიში ეწევა, მეტადრე კასირერთან.

არსებითად ეგვე ითქმის **ენის ფსიქოლოგიის** შესახებ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან ყალიბდება ენათმეცნიერ შტაინთალისა და ფსიქოლოგ ლაცარუსის⁶ მიერ. ენის ფილო-

¹ რაციონალური გრამატიკის ზოგადი დახასიათება იხ. ავტორისავე შრომებში: „ზოგადი ენათმეცნიერება, I. პრობლემატიკული ნაწილი“, II გამოცემა (1939 წ.), გვ. 3-4; „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I (1928), გვ. 9-12.

² Harris: "Hermes or a Philosophical Inquiry Concerning Language and Universal Grammar". იხ. O. Funke: Studien zur Geschichte der Sprachphilosophie, 1928, გვ. 8.

³ Rich. Hönlingswald: "Philosophie und Sprache", Basel, 1937.

⁴ იხ. A. Marty: Untersuchungen zur Grundlegung der allgemeinen Grammatik und Sprachphilosophie, I, Halle a/S, 1908.

⁵ E. Cassirer: Philosophie der symbolischen Formen, I, Sprache, 1923.

⁶ იხ. H. Steinthal: Grammatik, Logik und Psychologie... 1855 (სხვა შრომები იხ. ბოლოს). M. Lazarus: Das Leben der Seele, 1876 (მეორე გამოცემა), I Bd. ორივე ავტორის მიერ დაარსებული Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft (1860-1890, გამოვიდა 20 ტომი).

სოფიისათვისაა ნიშანდობლივი: **ენა საშუალებაა ფსიქოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტისათვის.**

ამაზე ხაზგასმით მიუთითებს ხალხთა ფსიქოლოგიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მეოცე საუკუნისა ვილჰელმ ვუნდტი¹, როცა წერს ენათმეცნიერ დელბრიუკის შრომის² საპასუხოდ, სხვათა შორის, შემდეგ სტრიქონებს:

„...თუ მე ამ შრომას სათაურად მივეც არა „ენის ისტორია და ფსიქოლოგია“ (*"Sprachgeschichte und Psychologie"*), არამედ „ენის ისტორია და ენის ფსიქოლოგია“ (*"Sprachgeschichte und Sprachpsychologie"*), ეს იმიტომ, რომ სათაურის მეორე ნაწილმა უკვე უნდა მიუთითოს იმაზე, რომ ამ ორი დარგის ურთიერთობისას ამჟამად... სიმძიმის ცენტრი, ჩვენი აზრით, მეორე მხარეზეა მოქცეული...: ფსიქოლოგიური ცოდნის მოპოვებაზე ენის ფაქტებიდან და უწინარეს ყოვლისა ენის ისტორიიდან. ჩვენ დაგვჭირდებოდა ენა, რათა შეგვექმნა რთული ფსიქიკური პროცესების მკვიდრი ფსიქოლოგია მაშინაც კი, თუ აღმოჩნდებოდა — რაც მე, რასაკვირველია, არ მჯერა — რომ ენათმეცნიერება სრულებით არ საჭიროებს ფსიქოლოგიის დახმარებას...“³

ამრიგად, **ენის ფილოსოფია ფილოსოფიის დარგია**, ისევე როგორც **ენის ფსიქოლოგია — ფსიქოლოგიისა**. ორივე **საკუთარ მიზანს — ფილოსოფიურს** თუ **ფსიქოლოგიურს — ისახავს, ენა ორივესთვის საშუალებაა**. ასევე საშუალებაა ენათმეცნიერებაც, სადაც მისი ემპირიული მასალის გამოყენებას ვხვდებით (მართი, კასირერი, ვუნდტი).

ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგია განსხვავებულია ზოგადი ენათმეცნიერებისაგან არა მხოლოდ **მიზან-თვალსაზრისით**. განსხვავებულია შინაარსითაც: ზოგადი ენათმეცნიერების ოთხი ძირითადი პრობლემიდან ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგიაში პირველიაა ყურადღების ცენტრში: **რა არის ენა?** სხვა პრობლემები ან სრულებით არაა განხილული, ანდა მათ ეხებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ენის რაობის საკითხისთვისაა ეს საჭირო (მაგალითად, გრამატიკულ კატეგორიათა — სქესის, რიცხვის, დროის გენეზისის საკითხი ვუნდტის „ხალხთა ფსიქოლოგიაში“, კასირერის „სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფიაში“...).

¹ W. W u n d t: "Völkerpsychologie", I-II Bde: Die Sprache, Lpz. 1911, 1912 (მესამე გამოც.).

² იგულისხმება V. D e l b r ü c k-ის "Grundfragen der Sprachforschung mit Rücksicht auf W. W u n d t's Sprachpsychologie erörtert", Strassburg, 1901.

³ იხ. W. W u n d t: Sprachgeschichte und Sprachpsychologie", Lpz. 1901, გვ. 8-9. ეს შრომა პასუხია დელბრიუკის შრომა-რეცენზიაზე.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგია არც ლოგიკურად და არც ისტორიულად არაა შეპირობებული ენათმეცნიერებასთან; **მიზან-თვალსაზრისითა** და **შინაარსის** მიხედვით განსხვავდება იგი ზოგადი ენათმეცნიერებისაგან მაშინაც კი, როცა **სრულად** იყენებს ენათმეცნიერულ ემპირიულ მასალას.

ამიტომ: უნდა განვასხვავოთ **ენის (და ენათმეცნიერების) თეორია**, ენათმეცნიერულ საფუძველზე აგებული, ენათმეცნიერების საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამიზნული (**ზოგადი ენათმეცნიერება**)¹ და ენის თეორია, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის **თვალსაზრისზე** დამყარებული, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის **საჭიროებათათვის** განკუთვნილი (**ენის ფილოსოფია, ენის ფსიქოლოგია**). ზოგადი ენათმეცნიერების მაგივრობას ესენი ვერ გასწევენ.

განსხვავების გახაზვა კავშირის გაწყვეტას როდი ნიშნავს. პირიქით: **ეს კავშირი უნდა იყოს უფრო მჭიდრო**, ვიდრე იგი დღეს არის. ფაქტია, რომ არაერთ შემთხვევაში ზოგად ენათმეცნიერებაში არსებითი ხასიათის საკითხის დასმაცა და გადაწყვეტაც კი შეცვლილა ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის გავლენით (ეს ითქმის, მაგალითად, გრამატიკული **სქესისა**, აგრეთვე **ხელის ენის პირველობის** საკითხის შესახებ ვუნდტის ენის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, — მნიშვნელობისა და ფორმის პრობლემათა შესახებ. დაწვრილებით — სხვაგან).

იმ შემთხვევაშიც, როცა ენის ფილოსოფია სრულიად აპრიორულ მსჯელობას წარმოგვიდგენს ენის რაობის შესახებ (ფენომენოლოგიური ანალიზი ენისა!), ენათმეცნიერი-სპეციალისტისთვის ბევრი რამ საგულისხმო თუ საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს.

ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგია ვერ გასწევს ზოგადი ენათმეცნიერების მაგივრობას, მაგრამ თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერება ვერ ჩამოყალიბდება ჯეროვანი სახით, თუ ენის ფილოსოფიასა და ენის ფსიქოლოგიას არ გაეწია სათანადო ანგარიში.

ა გ გ. შ ლ ა ი ხ ე რ ი ს სიტყვები: „ენათმეცნიერებისაგან უნდა განვასხვავოთ ყველაზე უწინარეს ენის ფილოსოფია, მოძღვრება ენის იდეის შესახებ, სწორედ ისევე, როგორც ბუნებისმეტყველებისაგან — ნატურფი-

¹ ამ დასკვნაში არაფერი შეიცვლება იმის გამო, თუ აღმოჩნდება, რომ ზოგადი ენათმეცნიერების ესა თუ ის კონცეფცია სხვა დისციპლინათა პრინციპებს ემყარება (მაგ., იმავე ფსიქოლოგიისას); ეს გაართულებს ენის ფსიქოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების გარჩევას საქმეს და მით უფრო მკვეთრად გახაზავს ასეთი გარჩევას საჭიროებას.

ლოსოფია“¹ არსებითად სწორია, ოღონდ არ იქნებოდა ზუსტი, თუ ენის ფილოსოფიის ხვედრ წონას ნატურფილოსოფიისას გავუტოლებდით: მართალია, ენათმეცნიერების თეორიის ხვედრი წონა თანდათანობით მატულობს, მაგრამ ამჟამადაც ენის ფილოსოფიისა და ენის ფსიქოლოგიის ხვედრი წონა იმდენად სჭარბობს ენათმეცნიერების თეორიისას (ე. ი. ისტორიული ენათმეცნიერების თეორიისას), რომ ენის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად ვერ მივიღებდით სრულ წარმოდგენას ენის თეორიის შესახებ.

¹ A. S c h l e i c h e r: Die deutsche Sprache, Stuttgart, 1869 (II გამოცემა), გვ. 119.

თავი მეორე

ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი

მთავარ მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი

§ 8. მთავარი მიმდინარეობანი. საგნის პრობლემა პირველი ძირითადი პრობლემაა ყოველი მეცნიერების თეორიისათვის (§ 1). რას წარმოადგენს ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი? რა არის ენის არსი? ამ კითხვაზე ზოგადი ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობა სხვადასხვაგვარ პასუხს იძლევა; შეიძლება ითქვას, რომ **ენის რაობის** სხვადასხვაგვარი **გაგებაა ამოსავალი** ზოგადი ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებისათვის; ეს მიმართულებებია:

1. **ნატურალიზმი** (ავგ. შლაიხერი, მაქს მიულერი).
2. **ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი** (ჰერმ. პაული და, საერთოდ, ნეოგრამატიკოსები).
3. **ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმი** („ფრანგული სოციოლოგიური სკოლა“: ფერდ. დე-სოსიური, ანტ. მეიე, ჟ. ვანდრიესი, ბალი, სეშე).
4. **ესთეტიზმი** ანუ უკიდურესი ინდივიდუალიზმი (კარლ ფოსლერი — „იდეალისტური ნეოფილოლოგია“).
5. **ვულგარული სოციოლოგიზმი** (ნ. მარი — „ენის ახალი მოძღვრება“).
6. **ბიჰევიორიზმის ფიზიკალიზმი** (ლ. ბლუმფილდი).

§ 9. ვ. ჰუმბოლდტის ნაზრევი ენის ფილოსოფიას ეკუთვნის. ყველა ამ მიმდინარეობას თანაბარი ხვედრი წონა არც თავის დროზე ჰქონია და მით უფრო ამჟამად ვერ ექნება. ყველაზე ნაკლებ აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის ნატურალიზმი: მას ამჟამად უფრო ისტორიული ინტერესი ახლავს. და მაინც: ესაა საგნებით **ჩამოყალიბებული კონცეფცია**; მასთან, ესაა **პირველი** ზოგადი ლინგვისტიკური კონცეფცია ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერებისა.

ნატურალიზმი, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდამეათე წლებიდანაა წარმოდგენილი გარკვეული სახით. იმავე საუკუნის ოცდამეათე წლებს ეკუთვნის ვილჰელმ ჰუმბოლდტის საენათმეცნიერო ნაზრევი: 1836-1839 წწ. — ავტორის გარდაცვალების შემ-

დღე — გამოვიდა ვ. ჰუმბოლდტის ძირითადი შრომა: „კავი ენის¹ შესახებ“ — შესავლით „ადამიანის მეტყველების აღნაგობის სხვაობისა და ამ უკანასკნელის გავლენის შესახებ ადამიანის მოდგმის განვითარებაზე“.

ამ შრომის ავტორს, ვ. ჰუმბოლდტს, ხშირად უწოდებენ ენათმეცნიერების დამაარსებელს (ფრ. ბოპთან და იაკ. გრიმთან ერთად)². თუ ასეა, ვ. ჰუმბოლდტის კონცეფცია უნდა მიგვეჩნია ისტორიული ენათმეცნიერების **პირველ** თეორიულ კონცეფციად. ნამდვილად, ასეთი დასკვნა არაა სწორი: ვ. ჰუმბოლდტის ენათმეცნიერული ნააზრევი **ენის ფილოსოფიას** განეკუთვნება. ენის ფილოსოფიის შემოქმედთა შორის ვ. ჰუმბოლდტის ადგილი, მართლაც, მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ ამის ჩვენება **ენის ფილოსოფიის** ისტორიული გზის ანალიზს გულისხმობს. აქ ჩვენ ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს ვიხილავთ: ენის ფილოსოფიასა და ისტორიული ენათმეცნიერების თეორიას (ზოგად ენათმეცნიერებას) შორის კი არსებითი სხვაობაა (§ 7).

I. ნ ა ტ უ რ ა ლ ი ზ მ ი

§ 10. ნატურალისტური კონცეფციის ელემენტები ფრ. ბოპთან.

ნატურალიზმის ორი წარმომადგენელია ცნობილი: ავგ. შლახერი და მაქს მიულერი.

ნატურალიზმის ელემენტებს ვხვდებით ფრ. ბოპთანაც.

ფრ. ბოპმა რასმუს რასკთან ერთად საფუძველი ჩაუყარა შედარებითს გრამატიკას, მაგრამ მას არ მოუცია შედარებითი მეთოდის

¹ ასე იწოდება კუნძულ იავის მკვიდრთა ძველი ენა, რომელსაც წერილობითი დოკუმენტაცია აქვს ჩვენი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან. **კავი** ტერმინი ძვ. ინდური სიტყვაა და ნიშნავს „მწერალს“, კავი-ენა — მწერალთა ენა.

² ასე, მაგალითად, რ. შორი წერს: „ენათმეცნიერებაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის განვითარებისათვის ჰუმბოლდტის მნიშვნელობა უზარმაზარია. მისეული გავება ენისა, როგორც პროცესისა, როგორც შემოქმედებითი აქტიურობისა, ბუნებრივად იწვევს ენისადმი ისტორიული მიდგომის აუცილებლობას. ...ფილოლოგია ადგილს უთმობს ენათმეცნიერებას, როგორც ისტორიულ მეცნიერებას“ — იხ. "Краткий очерк истории лингвистич. учений с эпохи Возрождения до конца XIX в." — დართული აქვს წიგნს В. Томс е н: История языкознания до конца XIX в., Москва, 1938, გვ. 120.

გ. გაბელენცის სიტყვით — ვ. ჰუმბოლდტის „შრომები, თუ შეიძლება ითქვას, კლასიკური ტექსტია ზოგადი ენათმეცნიერებისა დღემდის“ — იხ. Die Sprachwissenschaft... Leipz., 1981, გვ. 28.

ენათმეცნიერების ფუძემდებლად ფ. ბოპსა და ი. გრიმთან ერთად მიიჩნევს ვ. ჰუმბოლდტს თ. ბენფეიცი, ოლონდ ამათ გვერდით ფრ. შლეგელიცაა დასახელებული. იხ. B e n f e y: Geschichte der Sprachwissenschaft, მიუნხენი, 1866, გვ. 806.

თეორია (ამ მეთოდის ბრწყინვალე გამოყენებამ, მკვლევრის შესანიშნავმა ალლომ შეუქმნა ფრ. ბოპს გენიალური მკვლევრის სახელი). ასეთ პირობებში არც უნდა მოველოდეთ, რომ ფრ. ბოპს **ენის რაობის** ანალიზი წარმოედგინა (თუ სხვა ზოგადი თეორიული საკითხები ერკვია).

ბერტ. დელბრიუკი სამართლიანად შენიშნავს: „როგორც ძნელია ვ. ჰუმბოლდტის „შესავლიდან კავი-ენაში“ გრამატიკული მაგალითები ამოვიღოთ, ისევე შეუძლებელია ბოპსის „შედარებითს გრამატიკაში“ ენათმეცნიერების თეორია და სისტემატიკა მოვიპოვოთ“¹. ამასთან, იმხანად შედარებითი ენათმეცნიერება ახლად ფეხადგმული სამეცნიერო დისციპლინა იყო იმისათვის, რომ თეორიული განზოგადებისათვის საკმარისი მასალა წარმოედგინა. და მაინც საინტერესოა ის ზოგადი ხასიათის გამონათქვამები, რომელთაც ფრ. ბოპი გზადაგზა იძლევა და რომელნიც ენის რაობას ეხებიან.

„შედარებითი გრამატიკის“ წინასიტყვაობაში ფრ. ბოპი წერს: „ამ წიგნში განზრახული მაქვს წარმოვადგინო ყოველივე ნათესაურის შემცველი — ალწერილობა თავფურცელზე მოხსენებული ენების **ორგანიზმისა**, გამოვიკვლიო მათი ფიზიკური და მექანიკური კანონები და იმ ფორმათა წარმოშობა, რომლებიც გრამატიკულ ურთიერთობას გამოსახავენ“ (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)².

„შედარებითი გრამატიკის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელს, მიშელ ბრეალს, ავტორისათვის მიუმართავს შეკითხვით და გამოუტყვევია, რომ ფიზიკურ კანონებში“ ფრ. ბოპი გულისხმობდა **ფონეტიკურ** კანონებს, ხოლო მექანიკურ კანონებში ივარაუდებოდა ხმოვანთა (და მარცვალთა) შეფარდებითი წონა ძირეულ მასალასა და აფიქსში; ფრ. ბოპი ფიქრობდა, რომ მან დაადასტურა გარკვეული შეფარდების არსებობა: თუ ფუძისეული მასალა „მიძიმე“, დაბოლოება „მსუბუქი“ იქნება და პირუკუ: „მსუბუქი“ ფუძეს „მიძიმე“ დაბოლოება მოუდისო; შდრ. ძვ. ინდ. e-mi „მივდივარ“ (e მიღებულია ძირეული i-საგან) და i-mas „მივდივართ“; გერმ. ich weiss „მე ვიცი“, მაგრამ wir wissen „ჩვენ ვიცი“...³

„ენათა ორგანიზმი“ ფრ. ბოპს თავისებურად აქვს გაგებულის: **ორგანიზმულია**, მისი აზრით, ყველაფერი, რაც ინდო-ევროპულის დასაბამიერი პერიოდებიდან მომდინარედ ითვლებოდა, არაორგანიზულია — რაც ინდოევროპულის თავდაპირველი წყობიდან არ გამოიყვანებოდა. საქმე ეხებოდა, ამგვარად, მორფოლოგიურ ფაქტებს, — ასე ვარაუდობს დელბრიუკი⁴.

¹ B. Delbrück: Einleitung... გვ. 65.

² იქვე, გვ. 65-66.

³ იქვე, გვ. 68.

⁴ B. Delbrück: Einleitung... გვ. 66.

ფრ. ბოპის შეხედულებათა დახასიათების თვალსაზრისით შემთხვევითი არაა, რომ ის ლაპარაკობს ფიზიკურ და მექანიკურ კანონებზე, აგრეთვე ენის ორგანიზმის შესახებ:

„ენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანული ბუნების სხეულები, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული კანონების მიხედვით, ვითარდება შინაგანი სასიცოცხლო პრინციპის მიხედვით და თანდათანობით კვდება (*absterben*) მაშინ, როდესაც მათ თავის თავისა უკვე აღარა გაეგებათ რა, იცილებენ (*ablagen*), ამახინჯებენ ანდა ბოროტად იყენებენ იმ ფორმებსა და ორგანოებს (*Glieder*), რომელნიც თავდაპირველად მნიშვნელობის მქონენი იყვნენ და შემდეგ კი თანდათანობით უფრო გარეგნული გახდნენ, ე. ი. იყენებენ მათ ისეთი მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი წარმოშობით არ იყვნენ განკუთვნილნი“¹.

ფრ. ბოპის ამ სიტყვების აზრი რომ გასაგები იყოს, უნდა მოვიგონოთ, რომ „კვდომა“ აქ პირველ ყოვლისა მორფოლოგიურ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებას გულისხმობს: ძველისძველ ვითარებაში ენა ფორმებით მდიდარია, თანდათანობით ფორმათა ფუნქციების პირვანდელი გაგება ბნელდება, ფორმების სიუხვე კლებულობს, ენა დაშლისა და კვდომის პროცესს ამჟღავნებს.

ამრიგად, რასაც ჩვენ ენის ისტორიულ განვითარებას ვუწოდებთ, ფრ. ბოპისათვის დაქვეითება — დაშლა — კვდომის პროცესს ეტოლება. ესაა გამოძახილი იმ გაგებისა, რომლის თანახმადაც ფორმათა ოდინდელი სიმდიდრე სრულყოფილების ნიშნად ესახებოდათ, შემდგომი ევოლუცია — დაშლა-რღვევად².

ენის მიჩნევა ორგანული ბუნების სხეულად და მეტადრე ენაში **ფიზიკური** (და **მექანიკური**) **კანონების ძიება ნიშანდობლივია ფრ. ბოპისათვის**. ვიმეორებთ, აქ ჩამოყალიბებული კონცეფცია არა გვაქვს. ხსენებული გამოთქმები ერთგვარად **მეტაფორული** ხასიათისა ჩანს.

მაინც ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამაში ერთგვარად უკუიფინება ბუნებისმეტყველების ძლიერი გავლენა, ის გავლენა, რომლის შედეგადაც ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა **ტერმინები** „ნათესაობა“, „მონათესავე ენები“, „ენათა ოჯახი“ (ბიოლოგიის სათანადო ცნებათა ანალოგიით).

§ 11. ავგ. შლაიხერის შრომები თეორიულ-ენათმეცნიერული ხასიათისა. ნატურალისტური კონცეფცია, როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, ჩამოყალიბებული სახითაა მოცემული ავგ უ ს ტ შ ლ ა ი ხ ე რ თ ა ნ და მ ა ქ ს მ ი უ ლ ე რ თ ა ნ.

¹ მოგვყავს Delbrück-ით, — იხ. იქვე, გვ. 66-67.

² ასეთი გაგება ენათა ევოლუციის პროცესისა უკვე ფრ. შლეგელთან გვაქვს.

ავგ. შლაიხერის თეორიული შეხედულებანი ენისა და ენათმეცნიერების შესახებ წარმოდგენილია შრომებში:

ა. „შედარებითი ენათმეცნიერული ძიებანი“ (*"Sprachvergleichende Untersuchungen"*) ორ ნაწილად: პირველი ნაწილი გამოვიდა 1848 წ., მეორე — 1850 წელს¹.

ბ. „გერმანული ენა“ (*"Die deutsche Sprache"*), პირველი გამოც., 1859 წ., მეორე — 1869 წ. (შლაიხერის გარდაცვალების შემდეგ).

გ. „ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის სახელმძღვანელო“ (*"Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen"*), პირველი გამოცემა 1861 წ.

თეორიული ნაწილი სამივე შრომის **შესავალშია მოცემული**. ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ორ ბროშურას: „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“ (*"Die Darwinische Theorie und die Sprachwissenschaft"*), 1863 წ.² და „ენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ბუნების ისტორიისათვის“ (*"Ueber die Bedeutung der Sprache für die Naturgeschichte des Menschen"*), 1865 წ.³

ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით მთავარია პირველი ორი შრომა („შედარებითი ენათმეცნიერული ძიებანი“ და „გერმანული ენა“). ძირითადი დებულებები ორივეში ერთია, სხვაობა დასტურდება პირველი შრომის ორ ნაწილს შორის: ენის რაობა შლაიხერს ერთნაირად ესმის 1848 წ. და სულ სხვაგვარად ახასიათებს მას 1850 წელს: ნატურალისტური კონცეფცია პირველად მოცემულია 1850 წელს შრომაში „ევროპის ენები“.

შლაიხერის კონცეფციის დახასიათებისას ჩვენთვის ამოსავალი იქნება ეს შრომა (თუმცა დავიმოწმებთ პირველ ნაწილსაც „ზეტაციზმის შესახებ“ (1848 წ.), როდესაც საკითხი ერთნაირადაა გაშუქებული და სათანადო არგუმენტაცია ამ პირველ ნაწილში უფრო მკვეთრად დაფორმებული ანდა ვრცლადაა წარმოდგენილი).

დამატებითი მასალა დაერთვის შრომიდან „გერმანული ენა“.

¹ პირველ ნაწილს ქვესათაურად აქვს „ენათა შედარებითი ისტორიისათვის“ (*"Zur vergleichenden Sprachengeschichte"*); მასში განხილულია ზეტაციზმის (მოტაციის) ე. ი. პალატალიზაციის) საკითხი. ამ ნაწილს დამოწმებისას შემოკლებით აღვნიშნავთ Zetaz. („ზეტაციზმი“).

მეორე ნაწილში საერთო სათაური არ მეორდება; ასეთად მოცემულია „ენათმეცნიერული ძიებანი“ (*"Linguistische Untersuchungen"*); ქვესათაურად კი აქვს: „ევროპის ენების სისტემატური მიმოხილვა“ (*"Die Sprachen Europas in systematischer Uebersicht"*). ამ ნაწილის დამოწმებისას ნახმარი იქნება Spr. Europ. („ევროპის ენები“).

² თარგმნილია რუსულად; მოიპოვება ქართული თარგმანიც პ. ჭარაიასი (გერმანულიდან), გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, 1889 წ.

³ რუსული თარგმანი; იხ. ჟურნ. Филол. записки, №3.

§ 12. ენის რაობა შლაიხერის გაგებით. „რა არის ენა? ენა აზროვნების გამოსახვის საშუალებაა; ენა ისევე საჭიროა აზროვნებისათვის, როგორც სხეული გონისათვის; მხოლოდ ენის საშუალებით შეიძლება აზროვნება“¹.

„რამდენადაც ენა — აზრის ბგერითად დანაწევრებული გამოსახულება — უკეთ აღმოგვცემს ბგერებში გონის ყველა მოძრაობას, მით უფრო სრულყოფილია იგი; რამდენადაც ბგერა ჩამორჩება აზრს, იმდენად ნაკლებ სრულყოფილი იქნება ენა“².

აზროვნებაში გაირჩევა მასალა და ფორმა; მასალაა ცნებები და წარმოდგენები, ფორმას ქმნის ცნებათა და წარმოდგენათა მიმართება ურთიერთთან.

აზროვნებაში ორივე უნდა გვქონდეს. ენაში მიმართება შეიძლება იყოს გამოხატული მეტად ან ნაკლებად, ცნება-წარმოდგენები კი არ შეიძლება არ იყოს გადმოცემული. წარმოდგენებსა და ცნებებს, რამდენადაც მათ ბგერითი გამოსახულება ეძლევა, **მნიშვნელობა** ეწოდება.

ამგვარად: **ენის რაობას განსაზღვრავს ის, თუ როგორაა მასში ბგერითად გამოსახული მნიშვნელობა** (ე. ი. ცნებები და წარმოდგენები) და **მიმართება**³.

მნიშვნელობა გადმოიცემა სიტყვის **ძირში**. იგი შეიძლება გამოვყოს ყველა ენაში. **მიმართება და მნიშვნელობა** ერთად ქმნიან სიტყვას: იმაზე, თუ როგორ გამოიხატებიან ისინი, დამოკიდებულია სიტყვის აგებულება, „სიტყვისწარმოება“ (იგულისხმება: ბრუნება და უღვლილება) და ამაზე კიდევ — წინადადების სტრუქტურა და ენის ხასიათი⁴. მხოლოდ მიმართების ბგერითი გამოხატულება შესაძლებელს ხდის ძირი მოგვევლინოს როგორც ზედსართავი თუ არსებითი სახელი, ზმნა..., მოგვევლინოს გარკვეულ ბრუნვაში, დროში, კილოში.

ენათა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ეს ნიშანი: როგორაა მასში გამოსახული მნიშვნელობა და მიმართება; სხვაგვარად ვერც იქნება: ენა აზრს გადმოგვცემს; აზრში კი წარმოდგენა-ცნებები და მიმართება გაირჩევა.

შლაიხერი განასხვავებს **სამგვარ შესაძლებლობას**:

პირველი შესაძლებლობა: ენაში მხოლოდ მნიშვნელობაა გადმოცემული, **მიმართებას ბგერითი გამოსახულება არა აქვს;** სიტყვა აქ გაუნაწევრებელი მტკიცე ერთიანობაა და მოგვაგონებს **კრისტალს**.

¹ "Man kann nur in einer Sprache denken" – Spr. Europ., გვ. 5.

² იქვე, გვ. 5-6.

³ იქვე, გვ. 6; ხაზი ავტორისაა.

⁴ იქვე, გვ. 6.

ასეთია ერთმარცვლიანი ენები (მაგალითად, ჩინური). მეტყველების ნაწილები (სიტყვის კატეგორიები **Wortkategorien**) ბგერითად არაა გარჩეული: ერთი და იგივე ბგერათკომპლექსი შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზმნა, ნაწილაკი... ნათესაობითი ბრუნვა... აწმყო, ნამყო ღრო... თხრობითი თუ კავშირებითი კილო... მიმართებას (ე. ი. სიტყვის გრამატიკულ ფუნქციას) განსაზღვრავს უპირატესად სიტყვის ადგილმდებარეობა¹.

მეორე შესაძლებლობა: ენაში **მიმართებაცაა გამოსახული ბგერითად**. მიმართება თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი. სათანადო ნაწილი შეიძლება მეტ-ნაკლებად მჭიდროდ უკავშირდებოდეს ძირს; ამისდა მიხედვით გვექნება ვარიაციები.

სიტყვა იშლება ნაწილებად — ამაშია განსხვავება წინა ტიპთან შედარებით, — მაგრამ არაა მტკიცედ შეკრული მთლიანობა. ამ ჯგუფის ენები ქმნიან აგლუტინაციურ ენათა კლასს... აგლუტინაციური ენის სიტყვა **მცენარეს** მოგვაგონებს.

მიმართების აღმნიშვნელი ბგერებიო — შენიშნავს შლაიხერი — წარმოშობით ძირეული მასალაა (**Bedeutungslaute**), მაგრამ მეტწილად გვევლინება მხოლოდ მიმართების აღმნიშვნელად და ხშირად ისეა დამახინჯებული, რომ ცნობა ჭირსო².

მესამე შესაძლებლობა: ერთმარცვლიან (ძირეულ) ენებში სიტყვის ერთიანობა გვაქვს, მაგრამ მიმართება არაა გამოსახული; აგლუტინაციურ ენებში მიმართება გამოსახულია, მაგრამ სიტყვას ერთიანობა აკლია. ენათა მესამე კლასში მიმართებაც ბგერითადაა გამოსახული და სიტყვის ერთიანობაც შენარჩუნებულია. ამას ვხვდებით ფლექსიურ ენებში.

ფლექსიურობა უმაღლესი საფეხურია: „მხოლოდ აქაა სიტყვის ორგანიზმში განვითარებული ჭეშმარიტი დანაწევრება, სიტყვა აქ არის ერთიანობა წევრთა მრავალფეროვნებაში“³. ასეთი აგებულების სიტყვა **ცხოველურ ორგანიზმს** შეესაბამება.

ამას მოსდევს დამახასიათებელი ადგილი: „თუ ენათა პირველ კლასში გვეძლეოდა მნიშვნელობისა და მიმართების გაუდიფერენცირებელი იგივეობა, მიმართების წმინდა თავისთავად ყოფნა, თუ მეორე კლასში მიმართებისა და მნიშვნელობის ბგერები დიფერენცირებული იყო, — მიმართება გამოყოფილია და თავისთავად მყოფობს, — მესამე კლასში ეს სხვაობა კვლავ ერთიანობაში იყრის თავს; ოღონდ ესაა განუსაზღვრელად უფრო

¹ Spr. Europe. გვ. 7.

² იქვე, გვ. 8.

³ Spr. Europ., გვ. 9.

მაღალი ერთიანობა, რადგანაც მას, როგორც სხვაობისაგან წარმოშობილს, ეს სხვაობა თავის წინაპირობად აქვს და მას, როგორც მოხსნილს, იგი თავის თავში ატარებს¹.

ა. შლაიხერი ხაზგასმით აღნიშნავს: პირველსა და მეორე კლასს, აგრეთვე მეორესა და მესამე კლასს შორის გარდამავალი საფეხურები არსებობსო. ენათა დაჯგუფების წარმოდგენილ სისტემაში ზოგადად ყველა ამჟამად უცნობიც, იპოვის ადგილს, რადგანაც იმ სამგვარ დამოკიდებულებაში, რომელიც მნიშვნელობასა და მიმართებას შორის არსებობს, ყველა შესაძლებლობაა ამოწურული².

§ 13. სისტემის სამი კლასი და განვითარების სამი პერიოდი ენაში. ასეთია ენათა კლასების სისტემა იმ სახით, რა სახითაც ეს ენები დღესაა ცნობილი; ენათა ხსენებული კლასების გარჩევა გამომდინარეობს **ენის არსიდან**; ეს კლასები **მომენტებია ენის ცნებაში**. რაც მომენტია ენის არსში, ის ენის განვითარებაში **პერიოდად** გვესახება; სისტემაში **ერთი მეორის გვერდით** გვევლინება ის, რაც განვითარებაში ერთი მეორეს მოსდევს³.

ამ დებულებას უფრო ვრცელი და მკაფიო დაფორმულება აქვს „შედარებით ენათმეცნიერულ ძიებათა“ პირველ ნაწილში:

„რაც სისტემატური განხილვის დროს ერთი მეორის გვერდით გვევლინება, ის ისტორიაში ერთი მეორეს მოსდევს; რაც იქ მომენტია, აქ პერიოდია; ეს ბუნებრივიცაა: სისტემა არსებულის გადმოცემაა, ისტორია—ქმნადობის პროცესში მყოფისა, ყოფნა კი გულისხმობს ქმნადობას. ის, რაც არის, ქმნადობის შედეგია...“

ისტორიულ ქმნადობაში არც ერთი პერიოდი არ ისპობა შემდგომი პერიოდით; შემდგომს შეაქვს მხოლოდ რაღაც ახალი არსებულში, რითაც, რასაკვირველია, წინანდელი მეტ-ნაკლებად იცვლება: განვითარების ყოველი უფრო მაღალი საფეხური შეიცავს, როგორც მოხსნილ მომენტს, ყველა წინანდელს. მაგრამ თუკი ერთი მეორის შემდეგ გამოვლენილი მომენტები განავრცობენ არსებობას, ისინი ერთი მეორის გვერდით მდგომთა ურთიერთობაში აღმოჩნდებიან: ისტორიისა და სისტემის იგივეობა აქედან თავის თავად გამოდის.

¹ საჭიროდ მიგვაჩნია დედნის სათანადო ადგილი მოვიყვანოთ: "Begegneten wir in der ersten Sprachklasse der differenzlosen Identität von Bedeutung und Beziehung, dem reinen Ansich der Beziehung, war das zweite die Differenzierung in Beziehungs und Bedeutungslaute, das Heraustreten der Beziehung in ein gesondertes lautliches Dasein für sich, so schliesst sich in der dritten Sprachklasse jene Differenz wieder zur Einheit zusammen, aber zu einer unendlich höheren Einheit, weil sie aus der Differenz erwachsen, diese zu ihrer Voraussetzung hat und als aufgehoben in sich befasst" – Spr. Europ., გვ. 9.

² იქვე, გვ. 10.

³ იქვე, გვ. 10.

სისტემისა და ისტორიის ამ მატერიალური იგივეობის პირობებში ძალა აქვს დასკვნას ერთის მიხედვით მეორის შესახებ: თუ ერთი მათგანი ცნობილია, მეორის შესახებ დარწმუნებით შეიძლება დავასკვნათ; ანდა, პირიქით: არაა საჭირო არავითარი დასკვნა, არამედ მხოლოდ თვალსაზრისის შეცვლა, ფორმალური შებრუნება¹.

ამგვარად, **ენათა სამ კლასში** მოცემულია **ენის განვითარების სამი საფეხური**. ეგვე ითქმის ბუნების შესახებ: ბუნების სხეულთა სისტემაში სამი სახეობა — კრისტალი, მცენარე, ცხოველი — წარმოგვიდგენს ეპოქებს დედამიწის განვითარებაში...²

„...მცენარეს წინაპირობად აქვს მინერალი, როგორც მოხსნილი მომენტი, ცხოველს, პირიქით, — მცენარე... სრული უფლებით შეგვიძლია ისტორიულ განვითარებაში მინერალური ორგანიზმი, როგორც პირველი, მცენარე, როგორც მეორე, ცხოველი, როგორც მესამე, წარმოვიდგინოთ“³.

ერთმარცვლიანი (ე. ი. ძირეული), აგლუტინაციური და ფლექსიური ენები განვითარების ერთ ხაზზე მოექცა.

მოსალოდნელი იყო, განვითარების პროცესს გარკვეული შინაარსი ჰქონოდა: ფლექსიურობა მით უფრო გაძლიერებულყო, რაც უფრო აქეთ მოვდივართ განვითარების თანამედროვე საფეხურისაკენ. მაგრამ ეს მოლოდინი არ მართლდება; ერთის შეხედვითაო, — შენიშნავს შლაიხერი, — ლათინური უფრო მდიდარია ფორმებით, ვინემ რომანული ენები; ასევე — ძველი ინდური ინდოეთის იმ ცოცხალ ენებთან შედარებით, რომელნიც ძველი ინდურისაგან მომდინარეობენ. ხოლო უახლესი დროის ჩინური არანაკლებია ერთმარცვლიანი ენა, ვინემ უძველესი ძველების ჩინური⁴.

რას ნიშნავს ეს? ისტორიულ ხანაში ენები აღარ ვითარდება და არც ახალი ენები იქმნება, — ამას გვასწავლის გამოცდილებაო, — ამბობს შლაიხერი⁵.

ისტორიის დასაწყისში ენებს მიუღწევიათ განვითარების სათანადო საფეხურისათვის. ეს დებულება რომ შევაბრუნოთ, მივიღებთ: ხალხს შეუძლია ისტორიაში შემოაბიჯოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავისი ენა სრულყო⁶.

¹ Zetaz., შესავალი, გვ. 5.

² Spr. Europ., გვ. 10.

³ Zetaz., გვ. 5.

⁴ Spr. Europ., გვ. 11.

⁵ იქვე.

⁶ "Erst wenn ein Volk seine Sprache vollendet hat, vermag es in die Geschichte einzutreten" — იქვე, გვ. 12.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენ არასოდეს მოგვეცემა შესაძლებლობა ენის წარმოშობას ვწვდეთ¹; ჩვენ შევძლებთ გავითვალისწინოთ ენის განვითარება, ე. ი. ფორმათა წარმოქმნა-განვითარება, მაგრამ ძირთა წარმოშობა ისევე შეუძლებელია გავარკვიოთ, როგორც რაგინდარა ორგანიზმის წარმოშობა². ენის ისტორია გულისხმობს, რომ ეს ძირეული მასალა უკვე მოცემულია; მისი წარმოშობის შესახებ სპეკულაცია ისევე არაა ენის ისტორიის საქმე, როგორც არაა, საერთოდ, ენათმეცნიერების საქმე³.

ენის სამივე კლასი შექმნილია წინაისტორიულ ხანაში: ერთმარცვლიანი ენები გაჩერდნენ განვითარების პირველ საფეხურზე; აგლუტინაციური ენები ერთმარცვლიანთაგან განვითარდნენ; ფლექსიური ენებიც იმავე ერთმარცვლიანობას გულისხმობენ ამოსავლად; სხვანაირად რომ ვთქვათ, აგლუტინაცია შეიცავს ერთმარცვლიანობას, ფლექსია — ორივეს, — აგლუტინაციასა და ერთმარცვლიანობას, — როგორც მოხსნილ მომენტებს⁴.

§ 14. ენის ევოლუცია და გონი შლაინერთან. რატომ იყო შესაძლებელი ენის განვითარება წინაისტორიულ პერიოდში და შეუძლებელი აღმოჩნდა იგი ისტორიულ პერიოდში? **ამას განსაზღვრავს გონი და მისი განვითარება.**

„ისტორიულ პერიოდში ენათა ისტორია არის ენათა, როგორც ასეთთა, დაშლა-რღვევის ისტორია მათი დაჯახნის გამო გონის მხრივ. ენაში გონი კაცობრიობისა ზოგადად, ისევე როგორც, კერძოდ, ყოველი ხალხისა, გვევლინება თავის სხვაგვარ ყოფაში (*in seinem Anderssein*)... იმავე გონმა, რომელმაც უფრო გვიან თავის ისტორიულ თავისუფლებაში ეროვნება წარმოქმნა, უფრო ადრე წარმოქმნა ენა იმიტომ, რომ ბგერაში მოექცა (ბგერას გადაეგო — *brachte früher in seinem Hingegebensein an den Laut die Sprache hervor*).

„ასევე სამყაროს გონი ბუნებაში გვევლინება თავის სხვაგვარყოფნაში — ესაა პირველი ნაბიჯი წმინდა თავისთავად ყოფნისაკენ (*der erste Schritt nach dem reinen Ansich*). იმისდა კვალად, რაც გონი თავის თავს უბრუნდება, თავისთვის მყოფობას იწყებს (*zu sich selbst kommt, für sich wird*), ქრება მისი სხვაგვარყოფნა...“

„რაც ადამიანის წინა პერიოდია ჩვენი დედამიწის ისტორიაში, იგივეა წინაისტორიული პერიოდი ადამიანის ისტორიაში. პირველ პერიოდში გვაკლდა თვითმეცნობა, უკანასკნელში — თავისუფლება; პირველში გონი

¹ იქვე, გვ. 12.

² იქვე, გვ. 13.

³ იქვე, გვ. 14.

⁴ იქვე.

შეკრული იყო ბუნებაში, უკანასკნელში — ბგერაში. ამიტომ გვაქვს იქ შემოქმედება ბუნების სამყაროში, აქ — ბგერათა სამყაროში. სხვაგვარია ვითარება სამყაროს [განვითარების] ჩვენს პერიოდში (Weltperiode), როდესაც გონი ადამიანშია კონცენტრირებული და ადამიანის გონი გარემოქცეულია (herausgezogen) ბგერისაგან, განთავისუფლებულია. სამყაროს წინა პერიოდის მძლავრი... შემოქმედებითი პოტენციით აღსავსე ბუნება ჩვენს პერიოდში ჩამოქვეითდა რებროდუქციამდის, ის უკვე აღარა ქმნის აღარაფერს ახალს მას შემდეგ, რაც სამყაროს გონი ადამიანში სხვაგვარყოფნიდან თავის თავს დაუბრუნდა; მას შემდეგ, რაც ადამიანის გონი... თავის თავს დაუბრუნდა ისტორიაში, აღიკვეთა მისი კონკრეტული სახის, ენის, არაცნობიერად წარმოქმნის ნაყოფიერება...”

„რაც უფრო თავისუფლად იშლება გონი ისტორიაში, მით უფრო თავს აღწევს იგი ენას; ამიტომ მისი ბგერები იცვითება, ენა კარგავს თავის ფორმათა სიმდიდრეს. ყველაფერი, რასაც შეიძლება ენა შეეღიოს, ქრება, გამარტივების ტენდენცია ყველგან ნათლად წარმოჩნდება. როგორც დედამიწა ადამიანის გაჩენის შემდეგ, ისევე ენა ისტორიის დაწყებიდან, ლეშს წარმოადგენს... ენაში ცალკეული ბგერითი ელემენტები უკვე აღარ იგრძნობა თავიანთ მნიშვნელობაში, მთელი სიტყვა შეიგრძნობა, როგორც მნიშვნელობით სავსე; და აი მისი ცალკეული ბგერითი ნაწილები ექვემდებარება საარტიკულაციო ორგანოთა ფიზიკური კანონების მოქმედებას, ჩნდება ყოველგვარი ასიმირაციები, ბგერითი დამახინჯებანი¹...”

და კიდევ: „ენის წარმოქმნა და ისტორია ადამიანის გონის ისეთი მოქმედებანია, რომელთაგანაც ერთი გამორიცხავს მეორეს“²... **„როგორც კი ისტორია იწყება, გონი უკვე აღარ წარმოქმნის ბგერას, არამედ მის საპირისპიროდ გამოდის, მას საშუალებად იყენებს, ენას აღარ შეუძლია შემდეგ განვითარდეს, იგი თანდათანობით იცვითება. ენათა წარმოქმნა, ამგვარად, ისტორიას უსწრებს, ენათა დაშლა ისტორიულ ეპოქაზე მოდის“³.**

მას შემდეგ, რაც სიტყვას დატოვებს შემოქმედებითი გონი, ფიზიკური კანონები იწყებენ ენათა ორგანიზმზე შემოქმედებას ისევე, როგორც ქიმიური კანონები — მკვდარი ცხოველისა და მცენარის ორგანიზმზე“⁴.

მასასაღამე: **გონი მყოფობს ენაში წინაისტორიულ პერიოდში და ენაც ვითარდება; ისტორიულ პერიოდში გონი არა მყოფობს ენაში და ენაც წყვეტს განვითარებას, მის ნაცვლად რღვევა იწყება** („ფონეტიკური დამახინჯებანი“ — ე. ი. ფონეტიკური ცვლილებები — ამის გამოხატულება).

¹ Zetaz., გვ. 17-18 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 20.

³ Spr. Europ., გვ. 13 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, გვ. 16.

§ 15. ევოლუციის პროცესი ერთნაირია სხვადასხვა ენაში. ენის წარმოქმნის პროცესი ერთნაირია, არსებითად ერთნაირია ენის დაშლარღვევის პროცესი: ეს გამომდინარეობს ადამიანის ბუნების არსებითი იგივეობისაგან და სამეტყველო ორგანოთა თანაგვარობისაგან. „გარკვეული ბგერითი კომპლექსები სრულიად სხვადასხვა ენაში იცვლება სავსებით ერთგვარად, სავსებით ერთი და იგივე ფონეტიკური დამახინჯებანი (Lautenstellungen) დროთა ვითარებაში შეიძლება დადასტურდეს ერთმარცვლიან (ძირეულ), აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებში“¹.

„ყველა დროისა და ზონის ადამიანს სრული სხვაობისდა მიუხედავად ბგერი რამ აქვს ერთგვარი და საერთო. **მთავარ მომენტებში ადამიანის არსი** აკი შინაგანი აუცილებლობით **ყველგან ერთი და იგივეა**. ენაში ეს მჟღავნდება მეტად მკვეთრად, მაგრამ ასევე მჟღავნდება ისტორიაში. **ყველა ერის ისტორია** ზოგადად (im Ganzen und Grossen) **განვითარების ერთსა და იმავე გზას გაივლის...** ამისდა შესაბამისად **ენათა ისტორიის შედარებითი განხილვა** ისევე კანონიერია როგორც, საერთოდ, **ისტორიის შედარებითი განხილვა**. ენათა ისტორიის ასეთი დამუშავებისას... რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იქნეს შესწავლილი, რომ ზოგადი მნიშვნელობის მქონე დებულებები მოვიპოვოთ. ყოველივე კერძობითი მასში უნდა იქნეს განხილული, როგორც ზოგადის დადასტურება ანდა უარყოფა... ეს ზოგადი არის ის, რაც ენის ისტორიის აახლოებს ფილოსოფიის ისტორიასთან, ვინაიდან ეს ზოგადია ფილოსოფიური“...².

„დებულება, რომ **ენებს არსებითად ერთნაირი ისტორია აქვს**, უყოყმანოდ უნდა მივიღოთ, როგორც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე“...³. „სწორედ ესაა, რაც ისტორიის ისტორიად აქცევს, — კანონზომიერი, ცნებებში აღსაქმელი — მულმივს ცვლაში“, — ამბობს შლაიხერი⁴.

§ 16. ენის თვისებები ცალკეული ადამიანის ნებისყოფაზე დამოუკიდებელია. შლაიხერის კონცეფციაში **ენის რაობის** გათვალისწინებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ენის ერთი თავისებურება: **ენის თვისებებს ისევე ვერ განსაზღვრავს ცალკეული ადამიანის ნებისყოფა**, როგორც, მაგალითად, **ბულბულს არ** შეუძლია თავისი სიმღერა ტოროლას სიმღერით შეცვალოს...ამდენად **ენა ეკუთვნის** არა თავისუფალი გონის სამყაროს, არამედ **ბუნების სამყაროსაო**.

¹ იქვე, გვ. 16-17.

² Zetaz., გვ. 3.

³ იქვე, გვ. 4.

⁴ იქვე, გვ. 2.

ამისდა კვალად ენათმეცნიერების მეთოდი სრულებით განსხვავებულია ყველა ისტორიული მეცნიერების მეთოდისაგან და არსებითად ეკედლება სხვა ბუნებისმეცნიერებათა მეთოდს. ენათმეცნიერების მიღწევებიც ამიტომ უფრო საიმედოა, ვინემ ისტორიულ მეცნიერებათა, რადგანაც სუბიექტური თვითნებობა ენათმეცნიერებას გზაზე ისე არ ეღობება, როგორც ისტორიულ მეცნიერებებსაო.

როგორც ბუნებისმეცნიერებებს, ისე ენათმეცნიერებასაც მიზნად აქვს ისეთი სფეროს კვლევა, რომელშიაც შეიცნობა უცვლელ ბუნებრივ კანონთა ბატონობა, კანონთა, რომლებშიაც ადამიანის ნებასა და ნებისყოფას არაფრის შეცვლა შეუძლია¹.

ენათმეცნიერების **ობიექტის გაყალბება** ისევე შეუძლებელია, როგორც **ბუნებისმეცნიერების ობიექტისა**².

ენათმეცნიერება ადამიანის ბუნების ისტორიის ნაწილს შეადგენს (sie bildet einen Teil der Naturgeschichte des Menschen)³.

ენათმეცნიერებას უპირისპირდება **ფილოლოგია**; ამ უკანასკნელს საქმე აქვს ისტორიასთან, რომელიც იწყება იქ, სადაც ადამიანის თავისუფალი ნება იჩენს თავს⁴.

§ 17. ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის თვალსაზრისითა სხვაობა შლაიხერის გაგებით. ფილოლოგიისათვის ენა საშუალებაა; იგი იარაღია სათანადო ხალხის გონითი ცხოვრების გასათვალისწინებლად. ფილოლოგიას მასალა მოეძევა მხოლოდ იქ, სადაც ლიტერატურა გვაქვს: ამერიკელ ინდიელთა ენების ფილოლოგია შეუძლებელი რამაა, რადგანაც აქ არა გვაქვს ისტორია, არა გვაქვს ლიტერატურა მაშინ, როდესაც **ენათმეცნიერებისათვის ამ ხალხთა ენები უადრესად საინტერესოა**⁵. ფილოლოგია ისტორიული მეცნიერებაა და წყაროების კრიტიკა მას ყოველ ნაბიჯზე ესაჭიროება⁶.

ენის ის მოვლენები, რაც სავსებით თავისუფალია ადამიანის ნებისყოფის გავლენისაგან, სახელდობრ, **მორფოლოგია**, მთლიანად **ენათმეცნიერების საქმეა**; ინდივიდის აზროვნებასა და ნებისყოფაზე დამოკიდებული **სინტაქსი** უფრო **ფილოლოგიისაკენ იხრება**, ხოლო **სტილი** მთლიანად **ფილოლოგიას** განეკუთვნება — სტილი ინდივიდის თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული წერის მანერაა⁷.

¹ Spr. Europ., გვ. 2-3.

² იქვე, გვ. 3.

³ იქვე, გვ. 1.

⁴ იქვე, გვ. 2.

⁵ Spr. Europ., გვ. 2.

⁶ იქვე, გვ. 3.

⁷ იქვე, გვ. 4.

ფილოლოგი ემსგავსება მეურნეს, რომელიც წყვილი ცხენით ნაყოფიერსა და მდიდარ ყანას ამუშავებს. მან ამ ცხენების მოვლა უნდა იცოდეს. ენათმეცნიერი ემსგავსება ზოოლოგს, რომელსაც ესაჭიროება სულ სხვა ცოდნა *Species equus caballus*-ისა.

როგორც ყოველ ბუნებისმეცნიერებას, ენათმეცნიერებაც უცხოა ძველი და საშუალო საუკუნეებისათვის. იგი ემყარება დაკვირვებას, დაკვირვება კი ახალი საუკუნეების კუთვნილებაა. ფილოლოგია გაცილებით უფრო ძველია¹.

ასეთია ენის რაობისა და ენათმეცნიერების ადგილის გაგება შლაიხერის იმ შრომაში, რომელიც 1850 წელს გამოვიდა („ევროპის ენები“). ანალოგიური დებულებები გვაქვს 1848 წ. გამოქვეყნებულ შრომაში („ზეტა-ციზმის შესახებ“). ამიტომ სათანადო შემთხვევებში ეს შრომაც გვაქვს ზემოთ დამოწმებული.

§ 18. რა პრინციპული სხვაობა გვაქვს შლაიხერის კონცეფციაში 1848 წ.? ერთ არსებით მომენტში ეს შრომა („ზეტა-ციზმი“) უპირისპირდება მეორე შრომას („ევროპის ენები“): მასში ენის ცვლა ისტორიული ხასიათისადაა აღიარებული; ის არა ჰგავს იმ ცვლილებებს, ბუნებაში რომ შეიმჩნევაო. რა ახასიათებს ბუნების ცვლას? შლაიხერი ჰეგელის სიტყვებით გვეუბნება: „რაგინდ უბოლოვად მრავალგვარიც იყოს ეს ცვლილებები, ისინი მაინც წრეში ტრიალს (*Kreislauf*) გვიჩვენებენ, ტრიალს, რომელიც მუდამ მეორდებაო“.

ენაში კი, ისევე როგორც ყოველგვარ ცვლილებაში, რომელიც გონის ნიადაგზე მიმდინარეობს, ჩნდება მუდამ ახალი, წინათ არარსებული.

შლაიხერი კითხვას სვამს: როგორ შეიძლება ენა, რომელიც ასეთ მჭიდრო კავშირშია გონთან, სხვა გზით მიდიოდეს, ვინემ გონი, და მიჰყვებოდეს ბუნების ორგანიზმთა სვლას? მცენარეთა და ცხოველთა ერთი თაობა ემსგავსება მეორეს, ჩიტი თავის ბუდეს აკეთებს ამჟამად ისევე მარჯვედ და არაფრით უფრო უხეიროდ, ვინემ საუკუნეების წინ, მარტოოდენ ადამიანი გადადის თავის არსებობის სულ ახალ და ახალ ნაირნაირობისაკენ...².

როგორც აქედან ჩანს, 1848 წელს შლაიხერი ენათმეცნიერებას ისტორიულ მეცნიერებებს განუკუთვნებდა, 1850 წელს კი იგი მას ბუნებისმეცნიერებად სახავს და ისტორიულ მეცნიერებებს (კერძოდ, ფილოლოგიას) უპირისპირებს.

¹ იქვე, გვ. 5.

² *Zetaz.*, გვ. 1-2.

საფუძველი: ორსავე შემთხვევაში ენობრივი ცვლილების დახასიათებაა.

ენა გონთან მჭიდრო კავშირშია. ენობრივი ცვლილება ახლის წარმოქმნას ნიშნავს. ენობრივი ცვლილებები **ისტორიულია** თავისი ბუნებით (ბუნების ცვლილება: წრეში ტრიალი, განმეორება). ასეთია 1848 წლის დებულება.

ენობრივი ცვლილება ადამიანის ნებისყოფაზე სრულებით დამოუკიდებელია ისევე, როგორც ბუნების ცვლილებები (ისტორიის კი ის ეკუთვნის, რაც ადამიანის ნებისყოფაზეა დამოკიდებული), ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებათა წრეში შედის — ამას მოგვითხრობს 1850 წლის გაგება.

აღსანიშნავია ერთი რამ: 1848 წელსაც შლაიხერი შესაძლებლად თვლიდა ეთქვა: ენათმეცნიერების **სისტემატური ნაწილი საბუნებისმეტყველო ხასიათისაა**: „...ენათა ოჯახის მთელი ჰაბიტუსი შეიძლება დავუქვემდებაროთ გარკვეულ თვალსაზრისს ისევე, როგორც მცენარეთა და ცხოველთა ოჯახი. როგორც ბოტანიკაში გარკვეული ნიშან-თვისებები კლასიფიკაციის საფუძვლად გამოგვადგება, ასევე ენათა კლასიფიკაციისას ბგერითი კანონები შეიძლება გამოვიყენოთ... ენათმეცნიერებისა და ბუნებისმეცნიერების ეს მსგავსება წინაისტორიული ეპოქიდან მოდის, ვინაიდან ენა ადამიანის გონისთვის იგივე იყო, რაც ბუნება სამყაროს გონისათვის, — მდგომარეობა მისი სხვაგვარად ყოფნისა; ისტორიისთან მის შეწყობას დასაბამი ეძლევა ენის გაგონისებით (*mit ihrer Vergeistigung*) იმ დროიდან, რაც იგი უფრო და უფრო კარგავს... თავის ფორმას...¹“.

შტრაიტბერგი სამართლიანად შენიშნავს: თუ ენათმეცნიერება **სისტემატურ** ნაწილში ბუნებისმეცნიერებას ემხრობა, **ისტორიულ** ნაწილში მას შლაიხერი სხვაგვარად ვერ მიიჩნევს: სისტემა და ისტორია აკი შლაიხერისათვის ერთი და იგივეაო².

ასეა თუ ისე, 1848 წელს ენათმეცნიერების გარკვეული **ნაწილია** მიჩნეული ბუნებისმეცნიერებად, 1850 წელს — **მთელი** ენათმეცნიერება.

§ 19. სქემა შლაიხერის შეხედულებათა 1850 წ. „ევროპის ენებში“ (1850 წ.) წარმოდგენილი გაგების სქემა ასეთი იქნებოდა:

1. ენა აზროვნების გამოხატვის საშუალებაა. აზრში გამოიყოფა წარმოდგენა-ცნებები და მიმართება მათ შორის. შესაბამისად ენაშიც გაირჩევა **მნიშვნელობა** (ძირეულ მასალასთან დაკავშირებული) და **მიმართება** (აფექსით გადმოცემული).

¹ Zetaz., გვ. 28-29.

² Z. Streitberg, Schleichers Auffassung von der Stellung der Sprachwissenschaft, I. F. VII.

2. მნიშვნელობისა და მიმართების გადმოცემის თვალსაზრისით ენათა სამწვეროვანი კლასიფიკაციაა მოცემული: ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური კლასი ენებისა (შდრ. კრისტალი, მცენარე, ცხოველი).

3. საკლასიფიკაციო **სისტემის სამი ტიპი** ენათა **განვითარების სამ საფეხურს** ასახავს.

4. ენათა წარმოქმნა-განვითარება წინაისტორიაში ხდება, ისტორიულ პერიოდში მიმდინარეობს ენათა დაშლა-რღვევა.

5. ენათა წარმოქმნისა და ენათა დაშლა-რღვევის პროცესი ერთნაირია ყველა ენაში.

6. **ენის თვისებებს ისევე ვერ განსაზღვრავს ცალკეული ადამიანის ნებისყოფა**, როგორც ბუღბუღს არ შეუძლია თავისი სიმღერა ტოროლას სიმღერით შეცვალოს. ამდენად ენა ეკუთვნის არა თავისუფალი გონის სამყაროს, არამედ ბუნების სამყაროს. ენათმეცნიერება ბუნებისმეტყველებაა.

7. ენათმეცნიერება, როგორც ბუნებისმეტყველება, უპირისპირდება ფილოლოგიას, როგორც ისტორიულ მეცნიერებას. ფილოლოგია სწავლობს მხოლოდ ლიტერატურის მქონე ენებს, ენათმეცნიერებისათვის უმწერლო ენებიც (მაგ., ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომებისა) დიდად საინტერესოა. ფილოლოგი სწავლობს ენას, როგორც იარაღს... ფილოლოგის დამოკიდებულება ენისადმი ემსგავსება მეურნის დამოკიდებულებას ცხენისადმი, ენათმეცნიერისა კი — ზოოლოგის დამოკიდებულებას იმავე ცხოველისადმი.

8. საენათმეცნიერო დარგთაგან მორფოლოგია „მთლიანად ენათმეცნიერების საქმეა“; სათანადო მოვლენები არაა დამოკიდებული ინდივიდის ნებისყოფაზე; სინტაქსი უფრო ფილოლოგიისაკენ იხრება: ინდივიდის აზროვნებასა და ნებისყოფაზე დამოკიდებულება განსაზღვრავს ამას; სტილი კი მთლიანად ფილოლოგიის სამყაროა: სტილი, „ინდივიდის თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული, წერის მანერაა“.

§ 20. შლაიხერის კონცეფცია „გერმანულ ენაში“. ათიოდე წლით უფრო გვიან გამოსულ შრომაში „გერმანული ენა“ გამეორებულია თითქმის ყველა ეს დებულება და ზოგი მათგანი უფრო ვრცლადაც არის დასაბუთებული. ენა, როგორც საბუნებისმეტყველო შესწავლის ობიექტი, ორგანიზმადაა მიჩნეული.

ენის მნიშვნელობას ადამიანისათვის ამ შრომაში შლაიხერი კიდევ უფრო გახაზავს: „ყველა ორგანიზმს შორის ენობრივი ორგანიზმები ყველაზე ახლოსაა ჩვენს უშინაგანეს ყოფასთან; **მხოლოდ ენაა, ადამიანს რომ ადამიანად აქცევს**“ ("macht doch die Sprache erst den Menschen")¹.

¹ იხ. Deutsche Spr., გვ. 3. ეს დებულება ეკუთვნის ინგლისელ ბუნებისმეტყველ ტ. ჰაქსლის.

რაც შეეხება ენისა და აზროვნების ურთიერთობას, აქ შლაიხერის აზრი ისეთი რედაქციითაა მოცემული, თითქოს ავტორი **აზროვნებისა და მეტყველების იგივეობას იცავდეს**, თუმცა პარალელურად ენა დახასიათებულია როგორც აზროვნების გამოვლენის საშუალება: „რა არის ენა? პოპულარული განსაზღვრება — ენა არის ხმიერი აზროვნება — სავსებით სწორია... ენა არის აზრის ბგერითი გამოსახულება, ბგერის მეშვეობით გამომჟღავნებული პროცესი აზროვნებისა“¹.

„ენის ბგერის ფუნქციაა გამოავლინოს აზრი, ნამდვილი არსებობა მოუპოვოს მას“². შდრ. იქვე: „ენა არის აზრის ბგერითი გამოსახულება, ხმიერი აზროვნება, როგორც, პირუკუ: აზროვნება არის უხმო მეტყველება“³... ანდა კიდევ: „უფრო ახლოს გავიცნოთ ორი მომენტი, რომელიც ენას ქმნის, სახელდობრ, აზროვნება და ბგერა“⁴.

და მაინც ვერ ვიტყვით, რომ შლაიხერი მეტყველებისა და აზროვნების იგივეობას იცავდეს (ეს უფრო აზრის გამოთქმის საქმე ჩანს); მართლაც, შლაიხერი რომ იგივეობას იცავდეს, პარალელურად არ გვექნებოდა დებულება: ბგერის ფუნქციაა აზრი გამოავლინოსო. და რაც მთავარია: ენათა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, როგორ გადმოიცემა ამა თუ იმ ენაში წარმოდგენა-ცნებები და მიმართება, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. „გერმანული ენა“ კი ამ მხრივ არ განსხვავდება „ევროპის ენებისაგან“: სამწევროვანი კლასიფიკაცია აქაც ძალაშია; დასაბუთებაც წინანდებურია.

ენათმეცნიერების, როგორც ენის შემსწავლელი მეცნიერების, ამოცანა „გერმანულ ენაში“ დახასიათებულია ამგვარად: „ენათმეცნიერება ანუ გლოტიკა — ესაა მეცნიერული შესწავლა და გადმოცემა ენობრივი ორგანიზმისა ზოგადად და ყოველი ცალკე აღებული ენისა თუ ენათა ჯგუფისა. თავისთავად ცხადია, რომ ენობრივ ორგანიზმს ჩვენ განვიხილავთ ისე, როგორც ამას მისი ბუნება მოითხოვს, როგორც ცოცხალს, როგორც წარმოქმნილს ანდა როგორც ქმნადობის პროცესში მყოფს იმისდა მიხედვით, რა გადმოსაცემი, — განვითარების გარკვეული პერიოდი თუ ენის სიცოცხლე მთლიანად“⁵.

¹ "Sprache ist lautes Denken"... "Die Sprache ist der lautliche Ausdruck des Gedankens, der mittels des Lautes zur Erscheinung gelangende Denkprozess" — იქვე, გვ. 4.

² "... das Denken zur Erscheinung, zur wirklichen Existenz zu bringen" — იქვე, გვ. 6.

³ "Sprache ist... lautes Denken, wie umgekehrt Denken lautloses Sprechen ist" — იქვე, გვ. 5.

⁴ "...zwei Momente, welche die Sprache bilden, nämlich das Denken und den Laut" — იქვე, გვ. 5.

⁵ "Sprachwissenschaft oder Glottik ist die wissenschaftliche Erfassung und Darstellung der Sprache, d. h. die wissenschaftliche Erfassung und Darstellung des sprachlichen Organismus..." — იქვე, გვ. 123.

ენა განუწყვეტლივ იცვლება; ამაში გვარწმუნებს დაკვირვება, სადაც კი შესაძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში მივადევნოთ თვალყური ენის ცხოვრებას. **„ენები, ბუნების ორგანიზმთა შორის ეს ყველაზე მაღალი ორგანიზმები, შექმნილი ბგერითი მასალისაგან, გამოგვივლენენ თავის თვისებებს, როგორც ბუნების ორგანიზმები არა მხოლოდ იმაში, რომ ისინი, როგორც ბუნების ორგანიზმები, ჯგუფდებიან გვარობებად, სახეობებად, ქვესახეობებად, არამედ იმაშიც, რომ ისინი იზრდებიან განსაზღვრული კანონების მიხედვით“¹.**

რა სახისაა ენობრივი ორგანიზმის ზრდა? როგორ მიმდინარეობს ენის სიცოცხლე?

„ენის სიცოცხლე... განიყოფება უწინარეს ყოვლისა ორ სრულებით გათიშულ (gesonderte) პერიოდად: ერთია ენის განვითარების ისტორია, — წინაისტორიული პერიოდი, და მეორე — ენობრივი ფორმის დაშლის ისტორია, — ისტორიული პერიოდი“².

ამას ერთვის საყურადღებო მსჯელობა: „ამისდა კვალად **ენის სიცოცხლე** არსებითად სრულიადაც **არ განსხვავდება ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმის — მცენარეებისა და ცხოველების — სიცოცხლისაგან**. ერთს ისევე, როგორც მეორეს, აქვს **ზრდის პერიოდი** — უმარტივესი დასაწყისიდან მეტად რთულ ფორმებამდის — და **დაბერების პერიოდი**, რომელშიაც ენები განვითარების მიღწეულ უმაღლეს ფორმებს თანდათანობით შორდება და იწყებს ფორმების დაკარგვას. ბუნებისმეტყველები ამას უწოდებენ რეგრესიულ მეტამორფოზას“³.

„გერმანულ ენაში“ მეტი ადგილი ეთმობა ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ურთიერთობის ანალიზს; ამით ხელშესახები უნდა გახდეს, რა განასხვავებს ამ ორ მეცნიერებას, რომელთაც ენა აქვთ შესწავლის საგნად.

„ფილოლოგია ისტორიული დისციპლინაა. ენათმეცნიერება, პირიქით, ისტორიული დისციპლინა კი არაა, არამედ საბუნებისმეტყველო. მისი ობიექტი ხალხთა გონითი სიცოცხლე კი არაა. ისტორია კი არაა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), არამედ მხოლოდ **ენა, თავისუფალი გონის მოქმედება (ისტორია) კი არაა, არამედ ბუნებით მოცემული, წარმოქმნის უცვლელ კანონებს დაქვემდებარებული ენა**. რომლის თვისებასაც **ისევე ვერ განსაზღვრავს ცალკეული პირის ნებისყოფა, როგორც, მაგა-**

¹ იქვე, გვ. 33. (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 37. ეგვევ დებულება უცვლელადაა განმეორებული "Compendium"-ში (გვ. 4, მეოთხე გამოც., 1876 წ.). პირველი გამოცემა ეკუთვნის 1861 წ. და წარმოადგენს ავგ. შლაიხერის უკანასკნელ დიდ შრომას, რომელშიაც შეჯამებულია ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი ძიების შედეგები იმ დროისათვის.

³ იქვე; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.

ლითად, შეუძლებელია ბუღბუღმა თავისი გალობა შეცვალოს, ე. ი. **ობიექტი ენათმეცნიერებისა — ესაა ბუნების ორგანიზმი**¹.

„მნიშვნელოვანია თუ არა თავისი გონით ენის მატარებელი, მასზე მოუბარი ხალხი; მოეპოვება თუ არა ამ ხალხს ისტორია, ლიტერატურა, თუ არაოდეს დაშწერლობაც კი არა ჰქონია, — ეს ენათმეცნიერებისათვის სულერთია¹. ლიტერატურა მნიშვნელოვანია მხოლოდ როგორც მოხერხებული დამხმარე საშუალება ენათა გაგებისათვის და ისიც უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი საშუალებით შეიძლება მოვიპოვოთ უშუალო ცნობები გარდასულ ენობრივ ეპოქათა შესახებ, უწინდელ ენობრივ ფორმათა შესახებ... ენათმეცნიერებაში ენა არის თვითმიზანი, ფილოლოგიაში ენა... საშუალებაა“².

„ფილოლოგს ეხება გამოყენება, რომელსაც ენა პოულობს, ენათმეცნიერს [აინტერესებს] ენა, როგორც ორგანიზმი... **ენათმეცნიერი ბუნების-მეტყველია. ის ისევე ეკიდება ენებს, როგორც, მაგალითად, ბოტანიკოსი — მცენარეებს**. ბოტანიკოსმა უნდა მიმოიხილოს ყველა მცენარეული ორგანიზმი, მან უნდა შეისწავლოს მათი აგებულების კანონები, განვითარების კანონები; რაც შეეხება მცენარეულობის გამოყენებას, მის პრაქტიკულსა და ესთეტიკურ ღირებულებას თუ ღირებულების უქონლობას, მისთვის ეს სულერთია. ულამაზესი ვარდი, იაპონიის შესანიშნავი შროშანი მას ისევე აინტერესებს, როგორც რომელიმე უსახური სარეველა ბალახი. **ფილოლოგი კი ემსგავსება მებაღეს**. მას მოჰყავს მხოლოდ გარკვეული მცენარეები, რომელთაც ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ... მისთვის ყველაზე არსებითია პრაქტიკული ღირებულება, ფორმის, შეფერვის სილამაზე, სურნელება და სხვა. მცენარე, რომელიც არაფერში გამოდგება, მის ყურადღებას არ იქცევს, ნაწილობრივ, ისეთი, როგორცაა სარეველა ბალახი, ეჯავრება კიდევ, სულ ერთია, არის თუ არა იგი მცენარეულ ფორმათა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი...“³

„ფილოლოგია, როგორც ისტორიული მეცნიერება, ყოველ ნაბიჯზე საჭიროებს [ტექსტის] კრიტიკას, რადგანაც ის ამყარებს კონტაქტს თავის ობიექტთან, ისტორიასთან, არა უშუალოდ, არამედ გადმონაცემობის (Überlieferung), მედიუმის, მეშვეობით, რომელიც ექვემდებარება ადამიანის მოქმედებას და რომლის გაყალბება, დამახინჯება, შესაძლებელია.

¹ აქედან ცხადია, რა მნიშვნელობაც ენიჭება იმ ენათა დიალექტების შესწავლას, რომელთაც „ლიტერატურა“ ე. ი. სამწერლო ენა, აქვთ: ჩვენი ხალხური კილო-კავები მეცნიერულ დაკვირვებას წარმოუდგება, როგორც უფრო მაღლა მდგომი — ენის განვითარების მიხედვით, უფრო კანონზომიერი ორგანიზმები, ვინემ სამწერლო ენაო, — წერს შლაიხერი (Deut Spr., 170).

² იქვე, გვ. 119-120 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 121.

ენათმეცნიერებას კი ზოგადად ბუნებისმეცნიერებასთან საზიარო მე-
თოდი აქვს; იგი უშუალოდ მიდის თავის ობიექტთან, რომლის გაყალბებაც
შეუძლებელია. ენა ისევე არ შეიძლება იქნეს გაყალბებული, როგორც ბუ-
ნების ორგანიზმი...¹

„გერმანულ ენაში“ გამეორებულია სინტაქსისა და სტილის შესახებ
1850 წელს გამოთქმული მოსაზრება (იხ. ზემოთ, გვ. 34)...

როგორც უკვე ზემოთაც მივუთითეთ, „გერმანულ ენაში“ არსებითად
არაფერია ახალი 1850 წლის („ევროპის ენები“) შეხედულებებთან შედა-
რებით. მართალია, აქ ლაპარაკია „ენობრივ ორგანიზმზე“, რომელიც იზი-
არებს ბუნების ორგანიზმთა ხვედრს. ენის ცვლა აქ ზრდისა და დაბერების
სახეს იღებს... მაგრამ *implicite* ეს ყველაფერი უკვე იყო მოცემული 1850
წელს; მაშინ ითქვა: ენა ბუნების სამყაროს ეკუთვნისო, და ნაჩვენები იყო
ამის საფუძველიც: ენის თვისებები (მამასადამე, ცვლაც) არაა დამოკიდე-
ბული ცალკეულ ადამიანზე. ამით განისაზღვრა ენის, როგორც ენათმეცნი-
ერების საგნის, რაობა და ენათმეცნიერების, როგორც ენის შემსწავლელი
მეცნიერების, ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის. „გერმანულ ენაში“ ეს
ძველი დებულება საგვებით ძალაშია; ესაა ცენტრალური დებულება. ანა-
ლოგიები ბუნებისმეცნიერებასთან და **ცნებები „ენობრივი ორგანიზმი“**,
„ენის ზრდა“, **„ენის დაბერება“... დანასკვი საილუსტრაციო მეტაფორე-**
ბია ხსენებული ძირითადი დებულებისა².

მამასადამე: ენის **ნატურალისტური კონცეფცია შლაიხერთან უკვე
1850 წ. გვაქვს**, და შემდგომ ხანებში ამ კონცეფციას დასკვნები და საი-
ლუსტრაციო მასალა თუ შეემატა, თორემ ძირითადი დებულება არ შე-
ცვლილა. ძირითად მომენტებში შლაიხერის კონცეფცია ჰეგელიანურია

¹ "Eine Sprache kann nicht nachgesäht werden, so wenig als ein Naturorganismus" —
იქვე, გვ. 122.

² ეგვე უნდა ითქვას ორი ბროშურის შესახებაც: „დარვინის თეორია და ენათ-
მეცნიერება“ (1863) და „ენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ბუნებრივი ისტორიი-
სათვის“ (1865 წ.).

პირველ ბროშურაში შლაიხერი, მაგ., ყურადღებას აქცევს არსებობისათვის
ბრძოლას ენათა ცხოვრებაში (იხ. ქართ. თარგ., გვ. 31). მაგრამ ეს ხომ დელუქტიურად
გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ენა ბუნების ორგანიზმია, და მისი თვისებები
დამოუკიდებელია მოლაპარაკის ნებისყოფაზე... ეს დებულება კი შლაიხერს აქაც გან-
მეორებული აქვს (იხ. ქართ. თარგ., გვ. 7).

მეორე ბროშურის საგანია, როგორც თვითონ ავტორი შენიშნავს, მისი
„დასაბუთება, რომ ენები მატერიალურად არსებობენ“ (იხ. წინასწარი ცნობა რუსულ
თარგმანთან დაკავშირებით).

დებულება — ენები მატერიალურად არსებობენ — ბუნებრივი დასკვნაა
თეზისისა, რომ ენა ბუნების ორგანიზმია.

(ენათა სამი კლასი, resp. ტიპი; განვითარების სამი საფეხური; გონი, როგორც განვითარების განმსაზღვრელი). ამასაა შექსოვილი დებულება: ენა ბუნების ორგანიზმიაო. ნატურალიზმი შემდეგ ხანებში, დარვინის ზეგავლენით, კი არ შეერთო შლაიხერის ჰეგელიანურ კონცეფციას; არა, ის მასთან იყო შერწყმული (ჯერ კიდევ 1850 წლიდან), მაშასადამე, **ჰეგელიანიზმი და ნატურალიზმი შლაიხერის კონცეფციაში ერთმანეთს არ უბირისპირდება**; პირიქით: **შლაიხერის ნატურალიზმი — ესაა ჰეგელიანიზმი ენათმეცნიერებაში**¹.

§ 21. მცდარი და მართებული შლაიხერის კონცეფციაში. ჩვენ ვრცლად გადმოვეცით შლაიხერის შეხედულება ენისა და ენათმეცნიერების შესახებ. ეს აუცილებელი იყო ორი გარემოების გამო:

1. შლაიხერის კონცეფცია ისტორიული ენათმეცნიერების ნიადაგზე შემუშავებული პირველი ზოგადლინგვისტური კონცეფციაა.

2. ენათმეცნიერების ისტორიის შესახები შრომები საკმაოდ მცირეა და, რაც არის, მასაც **სისრულე** და **სიზუსტე** აკლია. ამიტომ გახდა საჭირო პირველწყაროებიდან ვრცელი ექსცერფტების მოყვანა.

თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისით სრულებით ცხადია შლაიხერის ზოგი დებულების სისუსტე. წინასტორიისა და ისტორიის დაპირისპირება ნებისმიერია.

ენის რაობის განსაზღვრა ექსპრესიული ფუნქციით (ენა აზრის გადმოცემის საშუალებააო) არაა მართებული.

¹ სამართლიანად ასკვნის ვ. შტრაიტბერგი: „ენის რაობისა და განვითარების არსი, რომელსაც წარმოგვიდგენდა შლაიხერი თავისი სიცოცხლის დასასრულამდის, მთლიანად ჰეგელზეა დამოკიდებული... ფილოსოფიური და ბუნებისმეტყველური გაგება ენისა შლაიხერთან ერთიმეორის საწინააღმდეგო კი არაა, არამედ ერთმანეთს ხვდებაო“ (იხ. W. Streitberg: Schleichers Auffassung von der Stellung der Sprachwissenschaft: Indogermanische Forschungen, VII, 1897, გვ. 372).

დელბრიუკმა გაიზიარა შტრაიტბერგის მოსაზრება (იხ. Delbrück: Einleitung in das Studium der indogermanischen Sprachen, მეხუთე გამოცემა, ლაიფციგი, 1908 წ. წინათ დელბრიუკი ვარაუდობდა, რომ დასაწყისში შლაიხერი განიცდიდა ჰეგელის გავლენას, მესამოცე წლებში კი დარვინის გავლენით ნატურალიისტურ თვალსაზრისზე იდგაო).

უმართებულოა იესპერსენის შეხედულება: სტუდენტობის წლებში შლაიხერი გატაცებული იყო ჰეგლით, ხოლო დარვინის შეხედულებათა დაცვამ სიცოცხლის ბოლო წლებში შლაიხერს ახალგაზრდობის შეხედულებანი მიატოვებინაო: იხ. Jespersen: Die Sprache..., გვ. 53.

სიზუსტე აკლია ამავე საკითხზე რ. შორის ინტერპრეტაციას, რომელიც საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში და ენათმეცნიერების ისტორიაში (თომსენის წიგნის დანართში) არის წარმოდგენილი.

ენის ორგანიზმად გამოცხადება, რასაკვირველია, მცდარია; მართალია, ენები ჩნდება, ვითარდება და ზოგჯერ „კვდება“ (ე. ი. ხმარებიდან გამოდის), მაგრამ ამის გამო ენა ორგანიზმს ვერ გაუტოლდება: ორგანიზმი არ შეიძლება არ მოკვდეს, ეს გარდუვალია ორგანიზმისათვის, როგორც ასეთისათვის. ენისათვის კვდომა კი **შესაძლებლობაა** და არა **აუცილებლობა**, ამ შესაძლებლობას სოციალური საფუძველი აქვს და არა ბუნებისმეცნიერული.

შესაბამისად: ენათა გაჩენაც არ უდრის ორგანიზმის შექმნას, ენათა განვითარება — ორგანიზმის ზრდას... კერძოდ, ენის დაბერებას ენის კვდომა სრულებითაც არ გულისხმობს: ახალგაჩენილი ენა შეიძლება გაქრეს, ძველისძველი ენა არსებობას განაგრძობდეს, ვითარდებოდეს, მაგრამ არც მოკვდეს და არც დაბერდეს...

ენათა მატერიალური არსებობა, როგორც ეს შლაიხერს ესახებოდა, უსაფუძვლოა. მართალია, ორგანიზმთან ანალოგია იმ მხრივ შეიძლება გამართლდეს, რომ ორგანიზმიც მთლიანობაა და ენაც, მაგრამ ამისათვის უფრო გამოსადეგია „**სისტემა**“-ცნება, ეს ერთი; მეორეცაა და, შლაიხერს ამ მომენტის მიხედვით არ გაუმართლებია „**ორგანიზმ**“-ცნებისადმი აპელაცია.

ერთი სიტყვით: ენის ორგანიზმად მიჩნევა და ყველაფერი, რაც აქედან გამომდინარეობს შლაიხერის კონცეფციაში, უსაფუძვლოა.

მაგრამ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ **ენის ორგანიზმად** მიჩნევა არაა შლაიხერის ნატურალისტური კონცეფციის **ამოსავალი დებულება**, პირიქით, **ეს დანასკვია**.

მაქს მიულერის შეხედულებათა გათვალისწინება (იხ. ქვემოთ) დაგვარწმუნებს იმაში, რომ ეს დანასკვი სრულებითაც არაა სავალდებულო ნატურალიზმისათვის: **შეიძლება ენა ორგანიზმად არ მივიჩნიოთ და ნატურალისტური გაგების ნიადაგზე ვიდგეთ**.

მთავარია არა ენის მიჩნევა ორგანიზმად, არამედ **ენის ცვალების რაობის გაგება**: სწორედ ესაა ნიშანდობლივი ნატურალიზმისათვის. **ენის თვისებები, ენის ცვლა არაა დამოკიდებული ცალკეულ ინდივიდზეო**.

რასაკვირველია, ამჟამად არავინ გააკეთებს აქედან დასკვნას: მაშასადამე, ენა ბუნების ორგანიზმი ყოფილა და არა ისტორიული მეცნიერების საგანო (ისტორიის ისე გაგება, როგორც ეს შლაიხერთან გვაქვს, მცდარია და მიუღებელი: ისტორია იქა გვაქვს, სადაც ადამიანის ნებისყოფა ვლინდებაო).

მაგრამ თვით დებულების არსი — ენის თვისება ინდივიდის ნებასურვილებზე არაა დამოკიდებულიო — **მეტად მნიშვნელოვანი** დებულებაა. მას აქტუალურობა დღემდის არ დაუკარგავს. არსებითად, ამ დებულებას ამყარებს პაულის თეზისი: მეტყველების პროცესი შეუცნობლად მი-

მდინარეობს და ესაა საფუძველი ენათმეცნიერული ცოდნის სიზუსტისაო (იხ. ქვემოთ). ეგვევ დებულება შემოდის სოსიურის ცნობილ ფორმულაში: ენობრივი ნიშანი აღსანიშნის მიმართ ნებისმიერია, მაგრამ მოლაპარაკე ინდივიდის მიმართ არაა ნებისმიერი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ნატურალიზმის სპეციფიკური დებულება სხვადასხვა დაფორმულებით თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების თეორიულ კონცეფციებში **ცოცხლობს**, როგორც **ურყევი დებულება**.

ავგ. შლაიხერი ერთადერთი ენათმეცნიერია, რომელმაც **ისტორიული ენათმეცნიერების** თეორიას **ორგანულად დაუკავშირა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია**, მოგვცა რა ამ კლასიფიკაციის ისტორიული ინტერპრეტაცია. ეს უკანასკნელი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ამით თვით ცდას პრინციპული მნიშვნელობა არ ეკარგება. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ბოლო ხანებში ა. მეიემ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ენათმეცნიერების გარეთ დააყენა¹ (უნდა ითქვას, ამისათვის სათანადო საფუძველი მას არ მოეპოვებოდა).

შლაიხერმა დასვა, თანამედროვე ტერმინებით რომა ვთქვათ, „**ერთიანი გლოტოგონიური პროცესის**“ საკითხი: წინაისტორიული პერიოდიცა და ისტორიული პერიოდიც — ენათა წარმოქმნის ხანაცა და ენათა დაშლა-რღვევის ხანაც — შლაიხერისათვის ერთნაირად მიმდინარეობს სხვადასხვა ენაში. ეს ზოგადი დებულება დასურათებულია ზეტაციზმის (დოტაციის) მაგალითზე: სხვადასხვა წარმოშობის ენებში — ინდოევროპულში, სემიტურში, უნგრულ-ფინურში, ჩინურში, მანჯურულში — ერთი და იგივე მოვლენა დადასტურდა არა შემთხვევითაო, — ამბობს შლაიხერი.

ძირეულ, აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენათა კვალიფიკაცია, როგორც განვითარების სხვადასხვა საფეხურისა **მორფოლოგიაში** ისეთივე პრობლემის დასმასა და რკვევას მოასწავებს, როგორსაც ი. მეშჩანინოვი ამჟამად სინტაქსურ კონსტრუქციათა მასალაზე იძლევა: პოსესიური, ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების შემდგომადობა **შესიტყვების** ევოლუციის ერთიან ისტორიას სახავს, შლაიხერი კი ასევე ლამობდა სიტყვის ერთიანი ევოლუციის ზოგადი კანონზომიერება დაედგინა.

საინტერესოა, რომ შლაიხერმა დასვა საკითხი — დღემდის გადაუწყვეტელი — განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე გარჩენილ ენათა შესახებ და დაუძებნა მათ ანალოგია ბუნებაში: ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური ენები — კრისტალი, მცენარე, ცხოველი.

აღნიშვნის ღირსია დებულებაც: ენა ხდის ადამიანს ადამიანდაო. ჰაქსლიზე მითითებით ამ დებულებას მ. მიულერიც იმეორებს. დებულება საკითხის დასმის მხრივ მნიშვნელოვანია.

¹ იხ. Les langues du monde, შესავალი, გვ. 1.

შლაიხერი პირველი ენათმეცნიერია, რომელმაც სცადა **ისტორიული ენათმეცნიერების** საფუძველზე მოეცა ენისა და ენათმეცნიერების **თეორია**. შლაიხერის კონცეფცია **ისტორიული ენათმეცნიერების ისტორიულობას უარყოფს**. ეს პრინციპული შეცდომა, როგორც ვნახეთ, შემთხვევითი არაა.

მაგრამ მაშინაც, როცა შლაიხერის დებულება მცდარია, საკითხის დასმა საყურადღებო და მნიშვნელოვანია. შლაიხერის სახით ჩვენ წინაა **მძლავრი თეორეტიკოსი**: მაშინაც, როცა ის სწორ დებულებას აყენებს და იმ შემთხვევაშიც, როცა დებულება ახლანდელი გაგებით მცდარი და მიუღებელი ჩანს.

შლაიხერის ნატურალიზმი არა მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა. მას მნიშვნელობა დღემდის არ დაუკარგავს, და ნეოგრამატიკოსთა სამსჯავრომა¹, შლაიხერის სახელი რომ ჩრდილში დააყენა.

§ 22. მაქს მიულერი და მისი „ლექციები ენის მეცნიერების შესახებ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაქს მიულერი ინდური ლიტერატურისა და შედარებითი მითოლოგიის ცნობილი მკვლევარია; სპეციალური გამოკვლევები ენათმეცნიერებაში მას არ ჰქონია. კითხულობდა ენათმეცნიერების კურსს ოქსფორდის უნივერსიტეტში.

ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებს ეხება მისი „ლექციების“ ორი ციკლი, წაკითხული ინგლისის მეცნიერებათა აკადემიაში (ე. წ. „სამეფო საზოგადოებაში“) 1861 და 1863 წლებში; ეს ლექციები გამოიცა იმავდროულად სათაურით **Lectures on the Science of Language** „ლექციები ენათმეცნიერების შესახებ“. მასში მოცემულია ზოგადი ენათმეცნიერების საკითხთა უფრო სრული ანალიზი, ვინემ შლაიხერთან.

ენათმეცნიერების ისტორიამ არ იცის **უფრო გავრცელებული** საენათმეცნიერო შრომა: მეოთხედი საუკუნის მანძილზე ეს შრომა გამოიცა ინგლისში თხუთმეტჯერ (მეთოთხმეტე გამოცემა — 1885 წ., გადამუშავებული სახით — 1891 წ.); ითარგმნა გერმანულ², რუსულ³, ფრანგულ⁴ და იტალიურ ენებზე (1876 წელსაა გამოსული ფრანგული თარგმანის მესამე გამოცემა).

ფართო პერსპექტივები, ნათელი აზროვნება, ცოცხალი მაგალითები, მსუბუქი ენა გასაგებს ხდის იმ უჩვეულო წარმატებას, რომელიც ამ წიგნს ხვდა წილად მკითხველთა ფართო წრეებში. საენათმეცნიერო ცოდნის გავრცელებისა და ენათმეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების თვალსაზრი-

¹ ნეოგრამატიკოსთა რიგი დებულება, პოზიტიურიცა და ნეგატიურიც, შლაიხერის კონცეფციის ფონზე ხდება გასაგები.

² "Vorlesungen über die Wissenschaft der Sprache".

³ "Наука о языке".

⁴ "La science du langage".

სით ამ ლექციების მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებული იყო. ამას აღიარებენ ისეთი ავტორებიც კი, როგორცაა დანიელი ენათმეცნიერი ვ. თომსენი, რომელსაც თავის „ენათმეცნიერების ისტორიაში“ გაკვრით ნათქვამი აქვს: ეს „ლექციები“ წარმოადგენს „საკმაოდ გონებამახვილ ლაყბობას“ და „მოკლებულია დამოუკიდებელ ღირებულებასო“¹. ასეთი აზრი, მეტი რომ არა ვთქვათ, სამართლიანი არაა. ქვემოთქმული დაგვარწმუნებს, რომ მ. მიულერის „ლექციები“ წარმოგვიდგენენ მწყობრ და საგულისხმო შეხედულებათა სისტემას, რომლებიც ინტერესს მოკლებული არაა იმ შემთხვევაშიც, როცა ესა თუ ის დებულება სადავოდ ანდა საგვებით მცდარად უნდა იქნეს მიჩნეული.

§ 23. ენა და ადამიანი. მ. მიულერის თქმით, „ენა — ესაა კაცობრიობის მთელი ისტორიის ცოცხალი და მეტყველი მოწმე“...². „ენას... თავისდათავად მივეყვართ შორეული წარსულის სიღრმეში, უფრო შორს, ვინემ ასურეთისა და ბაბილონის ლურსმულად ნაწერ ლიტერატურას ანდა ეგვიპტის იეროგლიფურ დოკუმენტებს“³.

მ. მიულერი იზიარებს იმ აზრს, რომლის თანახმადაც ენა ზღვარსა დებს ცხოველებსა და ადამიანს შორის: „როგორც არ უნდა გაფართოვდეს ცხოველთა სამყაროს საზღვრები, მაინც არსებობს ერთი ზღვარი, რომლის შერყევა არავის გაუბედავს, — ესაა ენის ზღვარი. თვით ის ფილოსოფოსებიც კი, რომელნიც ფიქრობენ, რომ „იაზროვნო — ნიშნავს იგრძნო“ (penser c'est sentir), რომელთაც დაჰყავთ ყოველი აზრი გრძნობამდის და რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ საერთო გვაქვს ცხოველებთან ის უნარ-თვისებები, რომლებიც შეადგენენ აზრის წარმომქმნელ მიზეზს, — ისინიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ **ჯერჯერობით** ცხოველთა არც ერთ ჯიშს ენა არ წარმოუქმნია“⁴.

§ 24. ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებაა. რა ადგილი ეკუთვნის მეცნიერებათა სისტემაში მეცნიერებას ენის შესახებ ანუ შედარებით ფილოლოგიას? მეცნიერებანი, მ. მიულერის გაგებით, ორ ჯგუფს ქმნიან: ესაა — ბუნებისმეცნიერებანი და ისტორიული მეცნიერებანი. პირველთა შესწავლის საგანია ღმერთის ქმნილებანი, მეორენი შეისწავლიან იმას, რაც

¹ "Лекции"... М. Мюллера являются довольно остроумной болтовней, которая в большой степени помогла пробудить и распространить интерес к языковедению, но лишена самостоятельной ценности": იხ. В. Томсен, История языковедения, რუს. თარგმ., 1938 წ., გვ. 91, შენიშვნა 1.

² М. Мюллер: Наука о языке, რუს. თარგმ., I, 19, ქვემოთ მითითება ყველგან ამ რუსულ გამოცემაზეა, ზოგი ადგილი შემოწმებულია ფრანგული თარგმანის მიხედვით.

³ იქვე, გვ. 18.

⁴ იქვე, გვ. 10.

ადამიანს შეუქმნია¹ (კონტექსტის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ასეთი ფორმულა დაპირისპირების საჭიროებითაა გამოწვეული — ღმერთი — ადამიანი! და არა საეკლესიო თვალსაზრისზე დგომით: შდრ. ქვემ. „ბუნების ქმნილება“).

„ენათმეცნიერება ანუ შედარებითი ფილოლოგია განეკუთვნება ბუნებისმეცნიერებათა წყებას“². ამ მეცნიერებათა წრეში ენათმეცნიერებას შემთხვევითი სტუმრის ადგილი როდი ეკუთვნის:

„უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, მე ამჟამად მტკიცედ მწამს, რომ ენათმეცნიერების გარეშე... ბუნებისმეცნიერებათა წრე არ იქნებოდა სრული. ადამიანი სამყაროს გვირგვინია. ჩვენი პლანეტის გეოლოგიურ ფაზათა განვითარების გრძელ წყებაში ადამიანის არსებობის ხანა არის მისთვის მისაწვდომი განვითარების უმაღლესი საფეხური: ყველაფერი, რაც კი ცხოვრობდა ადამიანამდის, ყველაფერი, რაც კი ცხოვრობს ამჟამად მასთან ერთად, ყოველივე ეს მხოლოდ საფეხურებია, რომელთა მიხედვითაც ბუნება ამაღლდა თავის შესაძლებლობათა მწვერვალამდის, რომლის იქით მისთვის შესაძლოა მხოლოდ უკუსვლა. ამიტომაც მეცნიერებამ ადამიანის შესახებ ანუ, როგორც ხანდახან უწოდებენ, ანთროპოლოგიამ უნდა დაავიჯინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წრე. მაგრამ თუ ენა მართლაცდა წარმოადგენს ღრმა უფსკრულს, რომელიც ყოფს ადამიანს ცხოველთაგან — რაც ასე მჭევრმეტყველურად გამოთქვა ჩვენი ღროის ერთერთმა ყველაზე შესანიშნავმა ბუნებისმეტყველმა ჰაქსლიმ (თავის ლექციათა დასასრულს, რომელთაც ის უკითხავდა ლონდონის მუშებს „ორგანული ბუნების მოვლენათა მიზეზების შესახებ“) — მეცნიერებას ენის შესახებ აქვს სრული უფლება დაიმკვიდროს ბუნებისმეცნიერებათა მწკრივში ის ადგილი, რომელზედაც მე მივუთითებდი, როცა პირველად მივმართე დიდი ბრიტანეთის სამეფო ინსტიტუტის წევრებს“...³

§ 25. ენათმეცნიერება („შედარებითი ფილოლოგია“) და ფილოლოგია. სახელწოდებამ „შედარებითი ფილოლოგია“ შეიძლება გვაფიქრებინოს, — ამბობს მ. მიულერი, — რომ ენათმეცნიერება ისევე, როგორც ფილოლოგია, უნდა მოვაქციოთ ამ უნასაკნელთან ერთად არა ბუნებისმეცნიერებათა წრეში, არამედ ისტორიულ მეცნიერებათა შორის, და მისი მეთოდიც უნდა იყოს იგივე, რასაც ვიყენებთ ხელოვნების, სამართლის, პოლიტიკისა და რელიგიის ისტორიაში. მაგრამ გამოთქმამ „შედარებითი ფილოლოგია“ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს:

¹ იქვე, გვ. 16.

² იქვე, გვ. 16.

³ Наука о языке, II (1868) გვ. 6-7.

„შედარებითს ფილოლოგიას არაფერი აქვს საერთო ფილოლოგიასთან ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, თუმცა კი ენათმეცნიერება დიდადაა დავალებული კლასიკური ფილოლოგიის წარმომადგენელთაგან და, თავის მხრივაც, დიდი სარგებლობა მოუტანია მათთვის. **ფილოლოგია ისტორიული მეცნიერებაა**, სულერთია, საქმე გვაქვს კლასიკურ ფილოლოგიასთან თუ აღმოსავლურთან... ენას ამ შემთხვევაში იყენებენ მხოლოდ როგორც საშუალებას... **ლიტერატურულ** ძეგლთა გაგებისათვის... კაცობრიობის სოციალური, ზნეობრივი, გონებრივი და სარწმუნოებრივი განვითარების შესწავლისათვის... შედარებითს ფილოლოგიაში ჩვენ სულ სხვა რამეს ვხედავთ. ენათმეცნიერება ენას არ უყურებს როგორც საშუალებას. თავისდათავად ენაა ქცეული მეცნიერული კვლევის ერთადერთ საგნად...“¹

„ჩვენ გვინდა ვიცოდეთ არა ენები, არამედ ენა: **რა არის იგი; როგორ ქმნის იგი აზრის ორგანოს**; ჩვენ გვსურს ვიცოდეთ მისი **წარმოშობა, თვისებები და კანონები**; და მხოლოდ ამ ცოდნის მოსაპოვებლად ჩვენ ვაგროვებთ, წესრიგში მოგვყავს და ვაჯგუფებთ ენის ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომ ფაქტს“².

§ 26. ენათმეცნიერება და უმწერლო ენები. რა როლი ენიჭება ამ თვალსაზრისით უმწერლო ენებს? მ. მიულერი წერს:

„**დიალექტები, რომელთაც არაოდეს შეუქმნიათ ლიტერატურული ნაწარმოები, ველურ ტომთა შარგონები, ჰოტენტოტების ტკაცუნა მეტყველება და ხმოვანთა გარდასვლანი ინდო-ჩინელებთან ისევე მნიშვნელოვანია, ხოლო გარკვეულ პრობლემათა თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვინემ ჰომეროსის პოეზია ანდა ციცერონის პროზა**“³.

ეს არაა შემთხვევითი გამონათქვამი; მეორე ლექციაში, სხვა კონტექსტში მაქვს მიულერი კვლავ ეხება ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხს და განმარტავს:

„...**კლასიკური ფილოლოგია ენას ხმარობს** მხოლოდ როგორც საშუალებას, შედარებითი ფილოლოგია კი **თვით მას** აქცევს თავისი **სამეცნიერო კვლევის საგნად**. შესწავლა არა ერთი რომელიმე ენისა, არამედ მრავალთა და, დასასრულ, ყოველთა — არის მიზანი ამ ახალი მეცნიერებისა; და **ენის მეცნიერული განხილვის თვალსაზრისით, ჰომეროსის ენას არც მეტი მნიშვნელობა აქვს და არც მეტი ინტერესი ახლავს, ვინემ ჰოტენტოტების დიალექტებსა**“⁴.

¹ Наука о языке, I, გვ. 16-17 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, I, გვ. 17.

³ იქვე, გვ. 17; შედარებულია და დაზუსტებული ფრანგული თარგმანის მიხედვით (1876 წ.), გვ. 24 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ Наука о языке, I, გვ. 53; ფრანგ., თარგმ. (1876 წლ. გამოცემა) "et dans l'examen scientifique du langage, la langue d'Homère n'a pas plus d'importance ni d'intérêt que les dialectes des Hottentot", გვ.90.

§ 27. რატომა ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერება? იმიტომ ხომ არა, რომ ენა ორგანიზმია და ვითარდება ბუნების სხეულთათვის ჩვეულებრივ კანონზომიერებით? მ. მიულერის პასუხი უარყოფითი იქნება.

ის ამბობს: „...ენას არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა. ის არსებობს (მოცემულია) ადამიანში; ის ცოცხლობს, თუ მასზე ლაპარაკობენ, კვდება ყოველ სიტყვასთან ერთად, რომელიც წარმოთქმულ იქნა და მერე აღარ ისმის“¹...

„იმის თქმა, თითქოს ენა არსებობდეს დამოუკიდებლად, რომ მას ჰქონდეს საკუთარი სიცოცხლე, რომ ის იზრდებოდეს მოწიფულ ასაკამდის, წარმოშობდეს განაყოფებს (отрасли) და კვდებოდეს, ესაა პირწავარდნილი მითოლოგია და, რადგანაც შეუძლებელია არ ვიხმაროთ მეტაფორული გამოთქმები, ნიადაგ სიფრთხილე გვმართებს, რომ გზა-კვალი არ აგვიბნოს თვით სიტყვებმა, რომელთაც ჩვენ ვხმარობთ, განსაკუთრებით ამგვარ საკითხებში“².

სხვა ადგილას მ. მიულერი აღნიშნავს:

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც ენა წარმოდგენილია ორგანულ და თითქმის ცოცხალ არსებად და მისი ფორმალური ელემენტები მიჩნეულია წარმოქმნილად ზრდის პრინციპის მეშვეობით, რაიც თვით მის (ცოცხალი არსების) ბუნებას თან ახლავს. მ. მიულერს მხედველობაში აქვს ფრ. შლეგელის აზრი: „ფლექსიის მქონე ენები **ორგანული ენებია**, რადგანაც მათში **მოცემულია განვითარებისა და ზრდის ცოცხალი საწყისი**... ამ ენათა საკვირველი მექანიზმი იმაში გამოიხატება, რომ ისინი აწარმოებენ აუარებელ სიტყვას და გამოსახავენ იდეათა კავშირს, რომლებიც გადმოცემულია ამ სიტყვებით მცირე რაოდენობის მარცვალთა მეშვეობით, — მარცვალთა, რომელთაც, ცალკე თუ ავიღებთ, არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ ზუსტად აღნიშნავენ იმ სიტყვათა აზრს, რომელთაც დაერთვიან“.

მ. მიულერი ამბობს: „ამ შეხედულებას, პირველად გამოთქმულს ფრ. შლეგელის მიერ, ამჟამადაც იზიარებს ბევრი პირი, რომლებთანაც პოეტურ ფრაზეოლოგიას უკავია სადი და სერიოზული მსჯელობის ადგილი“³.

აქ, მართალია, მ. მიულერი ფრ. შლეგელს ეკამათება, ხოლო შლაიხერი არსადაა ნახსენები, მაგრამ, რაც ენის არსებობისა და სიცოცხლის შესახებ ზემოთ ითქვა, კატეგორიულად გამოორიცხავს იმას, რომ ენა მიჩნეულ იქნეს ორგანიზმად და მას ბიოლოგიის ფაქტის თვისებები მიეწეროს. ერთადერთი ადგილია „ლექციებში“, სადაც „არსებობისთვის ბრძოლის“

¹ Наука о языке, I, გვ. 36.

² იქვე, გვ. 30-31.

³ იქვე, გვ. 162-163.

ცნებაა გამოყენებული ...ბრძოლა არსებობისათვის, რომელსაც ეწევიან ერთმანეთში სინონიმური სიტყვები, მცენარეთა და ცხოველთა მსგავსად¹, ენის **ცვლის** ახსნასთანაა დაკავშირებული (**ცვლის** ცნების შესახებ იხ. ქვემოთ)².

თუ ენა ორგანიზმი არაა, რატომ უნდა მივიჩნიოთ ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებად? რატომ არაა ენათმეცნიერება ისტორიული მეცნიერება? აკი ენა ექვემდებარება ცვალებადობას და ამ ცვალებადობის შესწავლამაა, ენის შესახებ აზროვნება რომ აქცია ენათმეცნიერებად, რომლის საფუძვლადაც ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა („შედარებითი ფილოლოგია“) მოგვევლინა.

ეს, რა თქმა უნდა, არ დავიწყებია მ. მიულერს: „ისტორიული ცვლილებები ენაში შეიძლება მიმდინარეობდეს მეტ-ნაკლები სისწრაფით, მაგრამ ცვლილებებს ადგილი აქვს ყველა დროში და ყველა ქვეყანაში“³. მაგრამ ეს არ წყვეტს საკითხს: ენის ცვლა **ზრდაა** და არა **ისტორიაო**, გვეტყვის ავტორი.

„ჩვენ უნდა განვასხვავოთ **ისტორიული ცვლა** ბუნებრივი **ზრდისაგან**. ხელოვნებას, მეცნიერებას, ფილოსოფიასა და რელიგიას, ყველას აქვს ისტორია; ენას ანდა ბუნების სხვა რომელიმე ნაწარმოებს (მოვლენას) ახსიათებს მხოლოდ ზრდა“⁴.

რით განსხვავდება **ისტორია** და **ზრდა** ერთმანეთისაგან?

„სიმკაცრეს თუ დავიცავთ, სიტყვები **ისტორია** და **ზრდა** არ შეიძლება იქნეს ნახმარი იმ ცვლილებათა აღსანიშნავად, რომლებიც დედამიწის ზედაპირზე ხდება. **ისტორია** იხმარება, თუ ლაპარაკია თავისუფლად მოქმედთა შესახებ; **ზრდა** ორგანულ არსებათა ბუნებრივ განვითარებაზე მიუთითებს. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ დედამიწის ქერქის ზრდის შესახებ და ვიცით, რაც იგულისხმება ამაში. **ამ** გაგებით გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ ენის ზრდის შესახებ და არა იმ გაგებით, რომელიც ხის ზრდას ვარაუდობს“.

„თუ შეგვიძლია ზრდა ვუწოდოთ იმ ცვლილებას, რომელსაც ადგილი აქვს დროთა ვითარებაში მოცემულ ელემენტთა მუდმივი ახალი კომბინაციების მეშვეობით და რომელიც **თავს აღწევს თავისუფალ მოქმედთა გავლენას** და, დასასრულ, შეიცნობა, როგორც **ბუნების ძალთა [მოქმედების] შედეგი...** ჩვენ შეგვიძლია **ზრდა** სიტყვა ვიხმაროთ ენის მიმართ

¹ იქვე, გვ. 159.

² სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ლექციები ენის დარგინული თეორიის შესახებ, რომლებიც მ. მიულერს წაუკითხავს 1888 წელს, რასაც შეეძლო დაეზუსტებინა შლაიხერთან მისი დამოკიდებულების საკითხი.

³ Наука о языке, გვ. 25.

⁴ იქვე, I, გვ. 28.

და მოვაქციოთ შედარებითი ფილოლოგია ბუნებისმეცნიერებათა წრეში და არა ისტორიულ მეცნიერებათა შორის¹.

აქედან ჩანს, რომ **ისტორიისა და ზრდის** გარჩევასა დადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხს — **შესასწავლი ობიექტის ცვლა ექვემდებარება თუ არა ადამიანის ზემოქმედებას**: სადაც ეს ზემოქმედება გვაქვს, ისტორიის ფაქტს მივიღებთ, სადაც ასეთი რამ გამორიცხულია, ბუნების სამყაროს მოვლენასთან გვექნება საქმე. ამრიგად, ისტორიის სამყარო აქ ეტოლება **კულტურას**: იმას რაც ადამიანს შეუქმნია და რისი განვითარებაც ადამიანის ზემოქმედებას ექვემდებარება. ყოველივე სხვა ბუნებითა და მისი ცვლაც სტიქიური ხასიათისაა. ასე ესმის ეს მაქს მიულერს.

§ 28. რა როლი ეკუთვნის ენის ცვლაში ინდივიდს? ენის ზრდის კონკრეტულ შინაარსს ქმნის ორი პროცესი: **დიალექტების აღმოცენება და ფონეტიკური ცვლილება** (დაქვეითება)².

არც ერთი და არც მეორე არაა დამოკიდებული ადამიანზე:

„მიზეზები, რომლებიც იწვევენ ენის ზრდას (ანუ, როგორც სხვები ამბობენ, — ქმნიან ენის ისტორიას), ადამიანის ხელთ არ არის. ენის ფონეტიკური დაქვეითება არაა წმინდა შემთხვევითობის შედეგი. ის ექვემდებარება გარკვეულ კანონებს... მაგრამ ეს კანონები ადამიანს კი არ გამოუგონია, პირიქით, ადამიანი უნდა დაქვემდებარებოდა ამ კანონებს ისე, რომ არაფერი იცოდა მათი არსებობის შესახებ“³.

ფონეტიკური კანონზომიერი ცვლის შედეგადაა, ლათ. *patrem* რომ იქცა ფრანგ. *père*-ად, ლათ. *matrem* ფრანგ. *mère*-ად, *fratrem* — *frère*-ად...

ფონეტიკური ცვლილებები ხდება თანდათანობით, მაგრამ უცილობლად და, რაც ყველაზე მთავარია, ეს ცვლილებები **არ ექვემდებარება ადამიანის თავისუფალ ნებისყოფასა და განკარგულებას**.

დიალექტების აღმოცენება კიდევ უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული ცალკე პირებზე. პოეტს შეუძლია გამოიგონოს ახალი სიტყვა შეგნებულად და წინასწარი განზრახვით, მაგრამ ამ სიტყვის მიღება დამოკიდებულია გარემოებებზე, რომლებიც სრულებით ვერ იტანენ ინდივიდთა ჩარევას...

ვთქვათ, ფრანგულში ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკი (წინდებული) **du** მიღებულია ლათინ. (*de' illo*-საგან. როგორ მოხდებოდა ეს? „ატყერთს ცალკე პირს არ შეეძლო ეს ცვლილება მოეხდინა განზრახვით: „ხალხს, რომელიც ლაპარაკობდა უბრალო ლათინურ დიალექტზე, უცილობლად

¹ იქვე, გვ. 50; შეჯამებულია და დაზუსტებული ფრანგ. თარგმანის მიხედვით, გვ. 85-86.

² იქვე, გვ. 31.

³ იქვე, გვ. 47.

უნდა ეგრძნო უხერხულობა, რომელსაც იწვევდა ნათესაობითის განმასხვავებელი ნიშნის უქონლობა. ამავე ხალხს უცილობლად უნდა ეხმარა **de-**წინდებული იმგვარად, რომ სრულებით დაკარგული უნდა ჰქონოდა მისი თავდაპირველი ადგილობრივი მნიშვნელობა... შემდეგ ამ ხალხს უნდა ეგრძნო ნაწევრის საჭიროება და უნდა ეხმარა **illo** მრავალ ისეთ გამოთქმაში, სადაც მისი თავდაპირველი მნიშვნელობა, როგორც ნაცვალსახელისა, დაკარგული ჩანდა. ყველა ეს პირობა აუცილებლად უნდა არსებულებოდა, სანამ ერთი ინდივიდი, მერე — მეორე, შემდეგ კი ასეულები, ათასეულები და მილიონები არ დაიწყებდნენ **de illo**-ს, როგორც ნათესაობითი ბრუნვის მაჩვენებლის, ხმარებას, — და ასეთივე უცილობლობით ეს გამოთქმა უნდა ქცეულიყო იტალიურ **dello, del**-ად და ფრანგულ **du**-დ¹.

„ცალკეული გრამატიკოსებისა და პურისტების ცდა ასწორონ ენა, სრულიად უსარგებლოა“, — დასძენს მ. მიულერი² და მით სამწერლო ენა-ზედაც კი ავრცელებს იმ დებულებას, რაც დიალექტობრივ სამყაროს დასახსიათებლად იყო წამოყენებული.

ინდივიდის როლს ენის ცვლის პროცესში გარკვევით ახასიათებს მ. მიულერის შემდეგი სიტყვები:

„პროცესი, რომლის საფუძველზედაც ენა წარმოიქმნება და ირღვევა, აერთიანებს ორ, ერთიმეორის საწინააღმდეგო ელემენტს: აუცილებლობასა და თავისუფალ ნებისყოფას. თუმცა, როგორც ეტყობა, ცალკე პირი ჩანს პირველ მოქმედ ძალად ახალი სიტყვებისა და ახალი გრამატიკული ფორმების შექმნისას, მაგრამ ასეთად იგი იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ინდივიდუალობა შთაინთქა ოჯახის, ტომისა თუ ეროვნების საერთო მოქმედებაში, [ეროვნებისა], რომელსაც ის ეკუთვნის. თავისდათავად მას არ შეუძლია რამე მოიმოქმედოს, და თუ პირველი ბიძგი ახალი ფაქტის ენაში შექმნას ცალკე ინდივიდმა მისცა, ეს ხდება თითქმის ყოველთვის, თუ ყოველთვის არა, განზრახვის გარეშე, შეუცნობლადაც კი. ცალკე ინდივიდი თავისდათავად უმწეოა და შედეგები, რომლებიც მის მიერ გამოწვეული ჩანს, დამოკიდებულია კანონებზე, რომლებიც მის ხელთ არაა და დამოკიდებულია ყველა იმათ თანამოქმედებაზე, ვინც ქმნის მასთან ერთადერთ კლასს, ერთ სხეულს ანუ ერთ ორგანულ მთლიანობას“³.

ამას მოსდევს შენიშვნა: „მეტისმეტად ძნელია ავხსნათ, სახელდობრ რა იწვევს ენის ზრდას ("возрастание")“⁴.

¹ იქვე, გვ. 48.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 30.

⁴ იქვე.

რა იწვევს ცვლას — ამაზე დადებითი პასუხის გაცემა მ. მიულერს უმძიმს, მაგრამ ნეგატიური მომენტი უეჭველობითაა ნაჩვენები:

„ენის ზრდა დამოუკიდებელია ადამიანთა თვითნებობისაგან და ექვემდებარება კანონებს, რომლებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ზედმიწევნითი დაკვირვების წყალობით და რომელნიც შეიძლება **ავიყვანოთ უმაღლეს კანონებამდის**, იმ კანონებამდის, რომლებიც განაგებენ როგორც ადამიანის აზრის, ისე ადამიანის მეტყველების („ხმის“) ორგანოებსაო“¹.

ამავე საკითხის შესახები კიდევ ერთი ადგილი უნდა იქნეს დასახელებული.

მ. მიულერი წერს: „ინგლისურში **very** და **much** ორივე „ძალიან“, „მეტად“-ს ნიშნავს, ოღონდ **very** იხმარება ზედსართავების წინ, **much** — მიმღობასთან, მაგრამ ეს სხვაობა მათს ხმარებაში შეიძლება მოიშალოს: **very pleased, very delighted** — ამერიკანიზმებია, რომლებიც ინგლისშიაც შეიძლება გავიგონოთ. თუ ხსენებული ცვლილება მოხდება არა ერთი პირის ნება-სურვილისა ანდა მრავალ პირთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, არამედ, პირიქით, წინააღმდეგ გრამატიკოსებისა და აკადემიკოსების მეცადინეობისა, აქ თქვენ ხედავთ პირველ სხვაობას ისტორიასა და ენის ზრდას შორის.

მეფეს შეუძლია შეცვალოს საზოგადოებრივი კანონები, სარწმუნოებრივი ფორმები, ხელოვნების წესები; ერთმა თაობამ ანდა ერთმა პიროვნებამაც კი შეიძლება აიყვანოს ხელოვნების რომელიმე დარგი სრულყოფის უმაღლეს საფეხურამდის მაშინ, როდესაც შემდეგ თაობაში ეს დარგი შეიძლება ისევ დაქვეითდეს... ყოველივე ამაში ჩანს ცალკე პირთა შეგნებული მოქმედება და ამიტომ **ჩვენ ვიმყოფებით ისტორიულ ნიადაგზე**. როცა ვადარებთ მიქელანჯელოსა და რაფაელის ქმნილებებს ძველი რომის ქანდაკებებსა და ფრესკებს, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხელოვნების ისტორიის შესახებ.

ჩვენ შეიძლება შევაერთოთ ათასეული წლების გათიშული ორი პერიოდი იმათ ნაწარმოებთა საშუალებით, ვინც გადმოსცემდა ხოლმე ხელოვნების ტრადიციებს ერთი საუკუნიდან მეორეში, მაგრამ სრული თანამიმდევრობით ჩვენ ვერასოდეს ვერ გავხსნით იმ უწყვეტსა და შეუტნობელ ზრდას, რომელიც აკავშირებს პლაგატის ენას დანტეს ენასთანო“².

და კიდევ: „თუმცა **ენა ექვემდებარება განუწყვეტელ** ცვლილებებს, მაინც **ადამიანის** ხელთ არ არის ან გამოიწვიოს ეს ცვლა, ანდა თავიდან აიცილოს იგი.

¹ იქვე, გვ. 54.

² იქვე, გვ. 29-30 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ჩვენ რომ მოვისურვოთ ენის კანონების შეცვლა ანდა ახალი სიტყვების გამოგონება ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით, ეს იქნებოდა იგივე, რომ მოგვესურებინა შეცვლა იმ კანონებისა, რომლებიც განაგებენ ჩვენი სისხლის მიმოქცევას, ანდა მოგვესურებინა ერთი გოჯის მომატება ჩვენი სიმაღლისათვის.

აღამიანი ბატონობს ბუნებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც იცის მისი კანონები და ემორჩილება მათ, ასევე ფილოსოფოსი და პოეტი დაეუფლება ენას მხოლოდ მაშინ, თუ იცის მისი კანონები და მათ ექვემდებარება¹.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად უძლურია თვითმპყრობელი მეფეც კი თვითნებურად ცვალოს ენის ფაქტები, მაქს მიუღერი ასახელებს ორ შემთხვევას:

როცა რომის იმპერატორ ტიბერიოსს შეცდომა მოუვიდა (ლათინურში), მას გაუსწორა გრამატიკოსმა მარცელუსმა, მაგრამ შემთხვევით იქ დამსწრე მეორე გრამატიკოსმა, სახელად კაპიტონმა, თურმე შენიშნა: იმპერატორის ნათქვამი კარგი ლათინურია, და თუ აქამდის არ ყოფილა [ასეთად მიჩნეული], ამიერიდან იქნებაო. მარცელუსმა, რომელიც უფრო გრამატიკოსი იყო, ვინემ კარისკაცი, ამაზე უბასუხაო: „კაპიტონი ცრუობს, რადგანაც, მეფეო, შენ შეგიძლია რომის მოქალაქის უფლება მიანიჭო ადამიანებს, მაგრამ სიტყვებს კი [ასეთ უფლებებს] ვერ მიანიჭებო!“².

ექვს გარეშეა, მარცელუსის ბრწყინვალე რეპლიკაა, მიუღერის თვალსაზრისს რომ გამოხატავს.

კონსტანტინის საეკლესიო კრებაზე (1414 წ., გერმანიის იმპერატორმა სიგიზმუნდმა თავის მიმართვაში კრებისადმი ლათინური მდებრობითი სქესის გაფორმებით იხმარა თურმე ბერძნული სიტყვა schisma, რაიც „განხეთქილება“, „მწვალელობა“-ს ნიშნავს: *Videte, patres, ut eradicetis schismam Hussitarum* („ეცადეთ, მამანო, რათა აღმოფხვრათ ჰუსიტელთა³ მწვალელობა“). ერთ-ერთმა ბერთავანმა იქვე შენიშნა იმპერატორს: "*Serenissime rex, schisma est generis neutri*" („ბრწყინვალე მეფეო, სქისმა საშუალო სქესისააო“). იმპერატორი დამწვიდებით შეეკითხა: „და მერე საიდან იცი შენ ეგაო?“ ბერმა მიუგო: „ალექსანდრე გალუსი ამბობსო!“ — „ეგ ვილა იყოო!“ — „ბერიო!“ — „ჰოდა, მე რომის იმპერატორი ვარ და ჩემი სიტყვა არაა ნაკლებ (სწორი) ღირებული, ვინემ ვილაც ბერისაო!“

¹ იქვე, გვ. 28 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე.

³ იგულისხმებიან ჩეხი საეკლესიო რეფორმატორის იოანე ჰუსის მიმდევარნი.

იმპერატორ სიგიზმუნდის ამ სიტყვებმა დამსწრენი გააცინა, მაგრამ schisma კვლავ საშუალო სქესისად დარჩა: იმპერატორმაც კი ვერ შეძლო შეეცვალა მისი სქესი ანდა დაბოლოებაო, — დასძენს მაქს მიულერი¹.

ენის ცვლა არაა დამოკიდებული ადამიანზე, ამაშია ენის თავისებურება; ეს განსაზღვრავს ცვლის კანონზომიერ ხასიათს; ეგვევა იმის საფუძველი, რომ მ. მიულერმა ენა ბუნებისმეცნიერების ობიექტებს გაუთანასწორა, და ისტორიულ მეცნიერებათა წრეს ენათმეცნიერება გამოსთიშა.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ისტორიულ ცხოვრებასთან ენა მჭიდროდაა დაკავშირებული, რაც მ. მიულერს კარგად მოხსენდება. ინგლისური ენის მკვლევრისთვის ინგლისის ისტორიის ცოდნა საჭიროა: შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ენა ჯერ კელტური იყო, მერე — საქსონური, ნორმანული და ინგლისური. მაგრამ რამდენადაც ინგლისურ ენაზე მიდგება საქმე, ვითარება იცვლება: ყველა მათიანე რომ დაიწვას, ყველა თავის ქალა რომ მტვრად იქცეს, მაინც ინგლისური ენა, რომელზედაც ლაპარაკობს რომელიმე სოფლის ბიჭუნა, შედარებითი გრამატიკის საშუალებით გამოგვივლენდა თავის ისტორიას: რომ ის ფრიზულისა და ჰოლანდიურის მსგავსად ეკუთვნის ქვემოგერმანულ ენათა შტოს, რომ ზემოგერმანულთან ერთად ეს ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედიან...

ენათმეცნიერი ინგლისურის ლექსიკაში შეძლებდა გამოეყო კელტური, ნორმანული, ბერძნული და ლათინური მინარევი. ამგვარად: მიუხედავად იმისა, რომ ბუნებისმეცნიერებათა შორის არცერთი არაა ისე მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის ისტორიასთან, როგორც ენათმეცნიერება, ეს მაინც არ კმარა იმისათვის, რომ მეცნიერება ენის შესახებ გამოირიცხოს ბუნებისმეცნიერებათა წრიდან².

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასე ვრცლად არავის დაუსაბუთებია, რომ ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებათა რიგს განეკუთვნება, ისიც იმ ფაქტების ანალიზით, რომლებიც ენის ისტორიული განვითარების შინაარსს შეადგენს.

§ 29. ფონეტიკური ცვლისა და დიალექტების წარმოქმნის რაობა მ. მიულერის გაგებით. მ. მიულერი ენის ზრდის ორ პროცესზე ლაპარაკობს: ერთია ფონეტიკური ცვლა, მეორე — დიალექტების წარმოქმნა. ორივე ობიექტური აუცილებლობით ხასიათდება და მეტყველი სუბიექტი-

¹ იქვე, გვ. 28.

² იქვე, გვ. 51-53. სხვათა შორის, მ. მიულერი იმ მოსაზრებასაც განიხილავს, რომლის თანახმადაც ენა ადამიანებმა შექმნეს ურთიერთობის დასამყარებლად შეთანხმების გზითაო. რადგანაც ასეთი შექმნის ვარაუდი უსაფუძვლოა, ცხადია, ამის მიხედვით ენათმეცნიერებას ისტორიულ მეცნიერებად ვერ მივიჩნევთ (გვ. 22-23). ეს მართლაც უღაგო რამაა. მაგრამ ამაზე შეჩერება არა ღირს.

საგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ამ ორი პროცესის როლი ენის ზრდაში მ. მიუღერის გაგებით განსხვავებულია: ფონეტიკური ცვლა ნეგატიური ბუნებისაა, დიალექტების წარმოქმნა — პირიქით...

მ. მიუღერის თვალსაზრისი აქ თავისებურია: ფონეტიკური მომენტი არსებითად ენის ზრდა კი არაა, არამედ დაქვეითება. რატომ? იმიტომ, რომ ის ცვლის სიტყვის ბგერითს მხარეს, ხოლო „ზოგჯერ იმდენად მძაფრია, რომ ხრავს სიტყვის მთელ სხეულს ისე, რომ მისგან ნამსხვრევებიღა რჩება; ასე მაგ., ძვ. ინდ. *svasar*, ინგლ. *sister*, რუს. *сестра*., ოსურსა და ფალაურში *cho*-ს (ხო) სახით წარმოგვიდგება... ფრ. *aujourd'hui*-ში ლათ. *dies* მონაწილეობს ორგზის; ფრანგ. *vingt*-ში იგივე ელემენტებია შესული, რაც *deux* და *dix*-ში¹.

„უფრო შესაფერი იქნებოდა, ფონეტიკური პროცესისათვის ზრდა კი არ გვეწოდებინა, არამედ **დაქვეითება**“, — ასკვნის მ. მიუღერი².

ფონეტიკურ ცვლას უკავშირებს მ. მიუღერი ფორმანტების წარმოშობას: ფრანგ. საწარმოებელი სუფიქსი *ment* (*fortement* „ძლიერად“...), ზმნისართებს რომ აწარმოებს, წარმოშობით ლათ. *mens* — სახელია („გონება“) აბლატივში: *forti mente* (*insistam forti mente* „დავიჩემებ მტკიცე გონებით“) — ფრანგ. *fortement*... (ფრ. *j'insisterai fortement*)... იტალიურში *mente* ფონეტიკურად არ შებღალულა, თუმცა ზმნისართის საწარმოებლად იხმარება, ესპანურში *mente* ცალკე იხმარება უპირატესად...

მ. მიუღერის თქმით — ადამიანის მეტყველების ყოველ ელემენტს უნდა ჰქონდეს თავისი მნიშვნელობა, ესაა მისი არსებითი დამახასიათებელი თვისება³. სანამ ყოველ ერთეულს ეს მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს, ფონეტიკურ ცვლილებას გასაქანი არ ეძლევა, მაგრამ როგორც კი მნიშვნელობა დაიჩრდილება, ფონეტიკური ცვლილებები გამოდის სარბიელზე, სათანადო ერთეული ფონეტიკურად მახინჯდება და გრამატიკულ დაბოლოებად გადაგვარდება⁴.

ასე მაგალითად, ჩინური ერლ შდ („ორ-ათი“) „ოცს“ ნიშნავს; შემადგენელი ნაწილები უცვლელადაა დაცული და „ორ“, „ათ“ მნიშვნელობას ინარჩუნებს. სანსკ. *vi(-n)śati* ლათ. *viginti* ანალოგიური შედგენილობისაა,

¹ Наука о языке, I, გვ. 34-35. ანალოგიური ფაქტებია: ახ. ქართ. თვე და სვ. დომღულ, მეგრ. თუთა (ძვ. ქართ. თუთე II თთუე...).

ქართ. **ყო** ← ყვა ← ყავა...

ჭან. **უ** ← ვუ ← **ვგ-უ** ← **ვგ-ო** — „ყო“, ქმნა“.

² იქვე, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 32.

⁴ იქვე, გვ. 33. იხ. ქართ. ძმა-მ ← ძმა-მან

ამდგარ-ა ← ამდგარ-არს...

მაგრამ კომპონენტების გამოყოფა აღარ ხერხდება: შემადგენელი ნაწილები რაკი არ შეიცნობოდა, ფონეტიკური ცვლილება შორს წავიდა...¹

ფონეტიკური ცვლა მ. მიულერმა „დამახინჯებად“, „დაქვეითებად“, „რღვევად“ გამოაცხადა: იგი **„არღვევს ენის არა მხოლოდ სახეს, არამედ ბუნებასა“**². ეს ფიგურალური თქმა როდია; მ. მიულერისათვის ფონეტიკური ცვლის დადასტურებას ემპირიული ფაქტის ღირებულება კი არა აქვს, არამედ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება: ფონეტიკური ცვლა ენის არსებობაში ახალ სტადიას მოასწავებს.

„როგორც კი ენა დაექვემდებარება ფონეტიკურ ცვლას, იგი ახალ სტადიაში გადადის. ენის სიცოცხლე ჩაკდება (გაიყინება და ქრება) იმ სიტყვებსა და სიტყვათა ნაწილებში, რომლებიც გვიჩვენებენ ამ ფონეტიკური ცვლის პირველ ნიშნებს. მაშინ ასეთი სიტყვები და სიტყვის ნაწილები ენამ შეიძლება შეინარჩუნოს მხოლოდ ხელოვნურად ანდა ტრადიციით და, რაც მნიშვნელოვანია, **ამ დროიდან სიტყვაში ჩნდება განსხვავება არსებითსა ანუ ძირეულსა და უბრალოდ ფორმალურსა ანუ გრამატიკულ ელემენტს შორისაო...**“³

ცნობილია, რომ ამ გრამატიკული ელემენტების ანალიზზეა დამყარებული ენათა გენეზისური ურთიერთობა: ფრ. ბოპი შედარებითი გრამატიკის დამაარსებელი ვერ იქნებოდა, მას რომ ინდოევროპულ ენათა აფიქსების ანალიზის ნაცვლად ძირეული მასალის შედარებისთვის მიეყო ხელი (ფუძეთა შედარება გაცილებით უფრო ადრე წარმოებდა, მაგრამ ენათმეცნიერება ამ გზით არ ჩამოყალიბებულა). მაქს მიულერის კონცეფციით კი აფიქსები (ფორმალური ელემენტი) ენის სიცოცხლის გარკვეული სტადიიდან იწყება: ესაა ფონეტიკური რღვევის დასაბამით დახასიათებული სტადია, დაქვეითების სტადია...

ამისდა კვალად, მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ მ. მიულერი ენათა კლასიფიკაციის განხილვისას წამოაყენებს დებულებას:

„სრულიად უსაფუძვლოა ვარაუდი, თითქოს გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპი შეიძლება იქნეს გამოყენებული ყველა ენის მიმართ... გენეალოგიური კლასიფიკაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ მომაკვდავ ენათა მიმართ,... რომლებშიაც ის, რასაც ჩვენ ზრდას ... ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ფონეტიკური დამახინჯების პროგრესი...“⁴

¹ შღრ. ქართ. თავგანისცემა ← თავგვანისცემა ← თავყანის-ცემა
ჩვიდმეტი ← თშვიდმეტი ← ათ-შუდ-მეტი
ცამეტი ← თსამეტი ← ათ-სამეტი ← ათ-სამ-მეტი..

² Наука о языке, I, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 33.

⁴ იქვე, გვ. 130... საინტერესოა მ. მიულერის შემდგომი დასკვნაც: თუ ენები გენეალოგიურ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი წარმოშობით განსხვავებული იყოსო, — იქვე, გვ. 132.

ამას მოსდევს საგულისხმო ფრაზა: „მაგრამ მანამდის, სანამ ენები დაქვეითებას დაიწყებდნენ, ისინი გაივლიან ზრდის პროცესს“...¹

მ. მიულერი აღიარებდა ფონეტიკური ცვლის ობიექტურ კანონზომიერებას. ეს, როგორც ვნახეთ, არ გამოორიცხავს იმის მტკიცებას, რომ ეს ფონეტიკური ცვლა იწყება ენის ევოლუციის გარკვეული პერიოდიდან... საგულისხმო აქ ისაა, რომ ეს ახალი პერიოდი არსებითად რღვევის პერიოდია, თუმცა ფონეტიკური ცვლის პარალელურად ადგილი აქვს დიალექტების წარმოქმნის პროცესს, ეს უკანასკნელი კი საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

აქ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ შეუფერებელია ფონეტიკური ცვლის გამოცხადება „რღვევად“, „დაქვეითებად“; რომ უსაფუძვლოა ვარაუდი, თითქოს ენის ევოლუციის ისეთი საფეხური გვქონდეს, როდესაც ენა ფონეტიკურ ცვლას არ ექვემდებარება; რომ ფონეტიკური ცვლა ყოველთვის ბგერითი მასალის გამარტივებას კი არ იწვევს, არამედ ახალ ბგერათა გაჩენაც ჩვეულებრივია (და ეს **პრინციპში** იმგვარივე ღირებულებისაა, როგორც ბგერათა დაკარგვა); რომ დიალექტების წარმოქმნა, რაც მ. მიულერს ზრდის მართალ წყაროდ დაუსახავს, არა თუ არ გამოორიცხავს ფონეტიკურ ცვლას, არამედ ფართო გასაქანს აძლევს მას...

ამჟამად ჩვენთვის არებითია ის, რომ ფონეტიკური პროცესის მ. მიულერისეულ გაგებაში უკუფენილია **ენის ევოლუციის** გარკვეული **გაგება**; რომ პრინციპში ეს გაგება იმავე რიგისაა, როგორიც ა. შლაიხერის შეხედულებას ახასიათებდა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ შედარებით ახალი პერიოდი, რღვევით რომ ხასიათდება, მორფოლოგიური ელემენტის წარმოქმნას იწვევს (შდრ. შლაიხერის მეორე პერიოდს, ე. წ. ისტორიულ პერიოდს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია შემდეგი: ენა „იშლება ბგერად და ფორმად, მასთან, ფუნქციასა და წინადადების აგებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება“)².

§ 30. სალიტერატურო ენა და დიალექტები. შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ მ. მიულერის შეხედულება სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთობაზე, დიალექტებისა და უმწერლო ენათა მნიშვნელობაზე ენათმეცნიერებისათვის.

¹ იქვე, გვ. 130.

² "Compendium der vergleichenden Grammatik", IV Auf., 1876, გვ. 4.

დავკმაყოფილდებით დამახასიათებელ ადგილთა მოყვანით:

„სრულიად შემთხვევითია, რომ ენა წერით გამოსახეს და აქციეს წერილობითი მეტყველების საშუალებად. ამჟამადაც კი ენათა უმეტესობას არ შეუქმნია ლიტერატურა. ცენტრალური აზიის, აფრიკის, ამერიკისა და პოლინეზიის მრავალრიცხოვან ტომებში ენა ცოცხლობს თავის ბუნებრივ ყოფაში და სწორედ იქაა საჭირო წასვლა, თუ გვინდა მოვიპოვოთ სრული ცოდნა ადამიანის მეტყველების ზრდის შესახებ, სანამ ეს ზრდა არ შეუჩერებია ლიტერატურის ჩარევას.

ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საბერძნეთის, რომის, ინდოეთის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის **ლიტერატურულ ენებს**, უმალ უნდა მივიჩნიოთ **მეტყველების ხელოვნურ, ვინემ ბუნებრივ ფორმებად**.

ენის ნამდვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია მის დიალექტებში და მიუხედავად ტირანიისა, რომელსაც ეწვევიან კლასიკური ანუ ლიტერატურული იდიომები, კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ მოისპობოდეს დიალექტები ისეთი კლასიკური ენებისა, კი, როგორცაა იტალიური და ფრანგული¹...

„შეცდომა იქნებოდა, თუ ვიტყოდით, თითქოს დიალექტები სალიტერატურო ენის დამახინჯებას წარმოადგენდეს. თვით ინგლისში ადგილობრივ კილოკავებს მოეპოვება მრავალი უფრო პირვანდელი ფორმა, ვინემ შექსპირის ენას, და მათი ლექსიკა მრავალმხრივ უფრო მდიდარია, ვინემ რაგინდარა პერიოდის კლასიკური მწერლებისა. დიალექტები ყოველთვის იყო სალიტერატურო ენისათვის უფრო მასაზრდოებელი წყარო, ვინემ წყლის გადასაგდები ტოტები თუ არხები“².

კლასიკური ლათინური ენა უძრავი და დამდგარი გახდა მას შემდეგ, რაც იქცა კანონმდებლობის, რელიგიის, ლიტერატურისა და საყოველთაო განათლების ენად. მას არ შეეძლო ზრდა იმიტომ, რომ არ შეეძლო შეცვლილიყო და დაშორებოდა თავის კლასიკურ სიზუსტეს, იგი იყო გამსჭვალული საკუთარი გონით...

„კლასიკური ენები³ დროებითი განდიდების საფასურად იგემებენ უცილობელ დაცემას... ისინი ემსგავსებიან დამდგარ ტბებს დიდი მდინარეების გვერდით; ისინი წარმოადგენენ იმის აუზს, რაც ოდესღაც იყო ცოცხალი და წარმდინარე, მაგრამ რაც უკვე აღარაა მონაწილე მთავარი კალაპოტის მდინარებისა...“

„...კლასიკური ანუ ლიტერატურული ენა შეიძლება შევადაროთ მდინარის გაყინულ ზედაპირს, რომელიც ბრწყინვალე და გლუვია, მაგრამ გაქვავებული და ცივი“. უფრო დახვეწილი და განათლებული მეტყველების

¹ Наука о языке, I, გვ. 36 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 37.

³ კლასიკური აქ მიუღერს ნახმარი აქვს ლიტერატურული ენის სინონიმად.

ზედაპირი მეტწილად იმსხვრევა ხოლმე პოლიტიკურ კატასტროფათა (შერყევათა) მეოხებით და მას გაიტაცებენ სიღრმიდან მოგარდნილი ტალღები... „ხალხური დიალექტები, მდინარეთა ქვედა ფენას რომ ემსგავსებიან, ამოტივტივდებიან ლიტერატურული მეტყველების ბრძოლის ზედაპირზე და გაზაფხულის წყალდიდობის მსგავსად თან გაიტაცებენ წარსულ დროთა წარმონაქმნს, რომელიც უკვე ზედმეტი გამხდა...“¹

მ. მიულერი შენიშნავს: შეიძლება გადაჭარბებული ეგონოთ, რასაც მე ვლაპარაკობ დიალექტების შესახებ, მაგრამ ამაზე ყურადღების გამახვილება საჭირო იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლიტერატურული ენების მნიშვნელობა ყველას მოხსენდება, „**დიალექტთა მნიშვნელობა კი, განსაკუთრებით ენის ზრდის პროცესისათვის, სრულებითაც არაა ცნობილი**“; მეორეცაა და, ჩემი მიზანია **ენის ზრდა ავსხსნა, ამ მხრივ კი დიალექტების მნიშვნელობა ძნელია გადაფასებულ იქნესო**“.

„მოაცილეთ ენა მის მშობლიურ ნიადაგს, მოაშორეთ მის მასაზრდოებელ დიალექტებს, და თქვენ მაშინვე შეაჩერებთ მის ბუნებრივ ზრდას. ფონეტიკური დამახინჯება გაგრძელდება, მაგრამ დიალექტური აღორძინება... შეწყდება“...²

ერთგან მ. მიულერი ლაპარაკობს ენის თეორიის შესახებ, რომელიც მარტოოდენ სალიტერატურო ენების (როგორცაა სანსკრიტი, ბერძნული, ლათინური, გუთური) მასალათა მიხედვითაა დამუშავებული და დასძენს: „ეჭვს გარეშეა, ეს ენები [ე. ი. სალიტერატურო ენები] ენის ისტორიის სამეფო თავებია. მაგრამ, როგორც პოლიტიკური ისტორია უნდა იყოს მეტი, ვინემ სამეფო დინასტიათა ქრონიკა, ისევე ენის ისტორიკოსმა არასოდეს არ უნდა გაუშვას მხედველობიდან მეტყველების ის მდაბიო და ხალხური ფენები, რომელთაგანაც თავდაპირველად წარმოიშვა ეს დინასტიები და მხოლოდ და მხოლოდ რომლებზედაც ისინი არიან დაფუძნებულნიო...“³

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საჭიროა მოვიგონოთ მ. მიულერის სიტყვები: ფილოლოგია ისტორიული მეცნიერებაა და მხოლოდ სალიტერატურო ენებს სწავლობს, ისიც, როგორც საშუალებას. ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებაა, იგი ენის რაობასა და კანონებს სწავლობს, მისთვის ჰოტენტოტების მეტყველება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ ჰომეროსის ენაო... (იხ. ზემოთ, გვ. 47).

ეს აზრი კანონზომიერი დასკვნაა იმ დებულებათა, რომლებიც სალიტერატურო ენათა და დიალექტთა ურთიერთობისა და მნიშვნელობის შესახებ მ. მიულერმა წამოაყენა.

¹ იქვე, გვ. 44-45.

² იქვე, გვ. 46.

³ იქვე, გვ. 38.

გადაუჭარბებელი შეიძლება ითქვას, რომ **დიალექტთა მნიშვნელობის** ასეთი **მკვეთრი** და **სრული დახასიათება** მანამდე ენათმეცნიერებაში არავის მოუცია; არ მოუციათ შემდეგაც იმ ნეოგრამატიკოსებს, რომელთა ღვაწლადაც არის მიჩნეული დიალექტთა საენათმეცნიერო ღირებულების ჩვენება.

ნეოგრამატიკოსებზე თხუთმეტიოდე წლით ადრე მ. მიულერმა მოგვცა დიალექტთა აპოლოგია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოხდა ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შეპირისპირება-გამიჯვნის პროცესში.

§ 31. რაა საერთო ა. შლაიხერისა და მ. მიულერისათვის და ნიშანდობლივი ნატურალიზმისათვის? ჩვენ გავითვალისწინეთ ნატურალისტური კონცეფციის ძირითად წარმომადგენელთა შეხედულებანი. რაა ნიშანდობლივი ნატურალიზმისათვის, როგორც საენათმეცნიერო კონცეფციისათვის?

ჩვეულებრივ მიუთითებენ ორ რამეზე:

ა. ნატურალიზმისათვის ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებაა.

ბ. ნატურალიზმის გაგებით ენა ორგანიზმს წარმოადგენსო. მასთან, მეორე დებულება საფუძველია პირველისათვის, რომელიც მის დასკვნად გვევლინება.

ხსენებული ორი დებულებიდან პირველი მართლაც ნიშანდობლივია. ამას ვერ ვიტყვით მეორის შესახებ: მ. მიულერი ნატურალისტია, მაგრამ ენა ორგანიზმად არ მიაჩნია. შლაიხერი ენას ორგანიზმად მიიჩნევს, მაგრამ ეს არაა მთავარი მისი კონცეფციისათვის. შეიძლება ცალკე გამოგვეყო ბიოლოგიზმი, როგორც ნატურალიზმის სახეობა, მაგრამ ამით საკითხი არ მოიხსნებოდა: რაა ნატურალიზმისათვის დამახასიათებელი, გარდა დებულებისა, ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებააო.

ამდენად ნატურალიზმის გავრცელებული განსაზღვრება ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს. მასთან, იგი ნაკლულებანია: დავიწყებულია დებულება, რომ ნატურალიზმს ენის ცვლა სრულიად თავისებურად ესმის:

ენის ცვლა ზრდაა და არა ისტორია.

ზრდის ეს თავისებური ცნება მთლად ერთგვარი არაა შლაიხერთან და მ. მიულერთან: პირველთან იგი მოიცავს ორ პერიოდს: წინაისტორიულსა და ისტორიულს. წინაისტორიული პერიოდი ენის ფორმათა წარმოქმნას გვაძლევს, ისტორიული — ფორმათა დაშლით ხასიათდება. მ. მიულერისათვის ზრდა ფონეტიკურ ცვლასა და დიალექტების წარმოქმნას უდრის. ეს ფონეტიკური ცვლა რღვევა-დაქვეითებაა, ოღონდ არა ფორმებისა, არამედ სიტყვის ბგერითი მასალისა. ფონეტიკური ცვლა-რღვევა გარკვეული პერიოდიდან იწყება, მას წინ უსწრებს მეორე პერიოდი, სადაც რღვევა-დაქვეითებას ადგილი არა აქვს. ამრიგად, აქაც ბოლოს და ბოლოს

ორი პერიოდია, აქაც მეორე პერიოდში რღვევა-დაშლას „ზრდის“ პროცესის ერთი ინგრედიენტი. საინტერესოა, რომ გრამატიკული ფორმების წარმოქმნა მ. მიულერის გაგებით სწორედ ამ მეორე პერიოდზე მოდის, შლაიხერისთვის — პირუკუ...

ენის პერიოდისა ცილაში სხვაობისდა მიუხედავად, ორივე ავტორისათვის **ზრდა-ცნებას** ერთი და იგივე ნიშანდობლივი მომენტი ახასიათებს:

ენის ცვლა არაა დამოკიდებული მასზე მოლაპარაკე ადამიანთა ნება-სურვილზე, მას ობიექტური კანონზომიერება ახასიათებს; ამდენად, ენობრივი ცვლის პროცესი უპირისპირდება ისტორიას და შესაბამისად ენათმეცნიერება გაემიჯნება ფილოლოგიას, როგორც ისტორიულ მეცნიერებას. ეს თანაბრად ეხება შლაიხერსაც და მიულერსაც.

ზრდის ცნებასთან ნატურალიზმი განუყრელად აკავშირებს უმწერლო ენათა და დიალექტთა მნიშვნელობის აღიარებას ენათმეცნიერებისათვის:

ენობრივი ცვლის — „ზრდის“ — კანონზომიერი პროცესი უმწერლო ენებსა და დიალექტებშია მართალი სახით მოცემული, სალიტერატურო ენა „მეტყველების უფრო ხელოვნური ფორმაა, ვინემ ბუნებრივი“ (მიულერი).

ენათმეცნიერს ისევე აინტერესებს ყველა ენა, როგორც ბოტანიკოსს — ყოველგვარი მცენარე (შლაიხერი)... „ჩვენი **ხალხური დიალექტები** მეცნიერულ დაკვირვებას წარმოუდგება როგორც უფრო მაღლა მდგომი ენის განვითარების მიხედვით, **უფრო კანონზომიერი ორგანიზმები, ვინემ სამწერლო ენა** (შლაიხერი). ჰოტენტოტების დიალექტები არანაკლებ საინტერესოა ენათმეცნიერისათვის, ვინემ ჰომეროსის პოეზია და ციცერონის პროზა (მიულერი).

ამ მხრივაც ენათმეცნიერება განსხვავდება ფილოლოგიისაგან, რომესაც მხოლოდ სალიტერატურო ენა აინტერესებს.

ამრიგად, **ენის ცვლის თავისებური გაგება** ქმნის ნატურალიზმის ცენტრალურ დებულებას: **ცვლის ეს თავისებურებაა, ენას რომ აქცევს ბუნებისმეცნიერული განხილვის ობიექტად და, მაშასადამე, ენათმეცნიერებას მიგაჩნევენებს ბუნებისმეცნიერულ დისციპლინად მიუხედავად იმისა, ვთვლით თუ არა ენას ორგანიზმად. არა ენის გაგება, არამედ ენის ცვლის გაგება!**

ცვლის ამ თავისებურ გაგებასთან შინაგან კავშირშია ნატურალიზმის ორი დიდმნიშვნელოვანი მიღწევა: 1. ენის ცვლა ადამიანის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული, 2. ენის ნამდვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია დიალექტებში.

პირველი დებულებით ნატურალიზმმა ყურადღების ცენტრში დააყენა ფაქტი, რომელიც თანამედროვე **ფრანგული** სოციოლოგიური **სკოლის** (სოსიურ-მეიეს) ძირითადი თეზისის **საფუძველია**: ინდივიდს არ შეუძლია

ენობრივი ნიშანი ნებისმიერად შექმნას ანდა შექმნილი ნიშანი ნებისმიერად ცვალოს. ამ ფაქტს ნატურალიზმი სწორად ხედავს, თუმცა მისგან შეუფერებელი დასკვნა კეთდება: მაშასადამე, ენა ბუნებისმეცნიერულ განხილვას ექვემდებარებაო. ნამდვილად კი — ესაა **ენის სოციალურობის** გამოვლენა.

სხვაგვარი დაფორმულებით ეგვევ დებულება ნეოგრამატიკოს პაულის კონცეფციაშიც მეორდება; მეტყველების პროცესი **შეუცნობლად** მიმდინარეობს და ესაა საფუძველი ენათმეცნიერული ცოდნის სიზუსტისათვის.

მეორე დებულებაც — უმწერლო ენათა და დიალექტთა მნიშვნელობის აღიარება და დასაბუთება (განსაკუთრებით მ. მიულერთან) — ნატურალიზმის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დამსახურებაა; ცხადი ხდება, რომ ამ დებულების წამოყენებას ვერ მივაწერთ ნეოგრამატიკოსებს: **პრიოტი-ტეტი აქ ნატურალიზმს ეკუთვნის.**

ცვლის ცნების თავისებურმა გაგებამ განსაზღვრა არა მარტო მიღწევები; მასთანაა დაკავშირებული ძირითადი შეცდომაც: **ენის ცვლა ზრდაა და არა ისტორიაო.**

ისტორია აქ ჰეგელის გაგებითაა ნახმარი: ესაა იმის ისტორია, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი და რისი განვითარებაც, მაშასადამე, ადამიანის გავლენას კი არ გამოიწვევს, არამედ — გულისხმობს.

თქმა არ უნდა, ისტორიის ასეთი გაგება ნებისმიერი და მცდარია. ზედმეტია იმის მტკიცებაც, რომ სრულიად უმართებულოა, თითქოს ბუნების სამყაროში განვითარება არ გეჭონდეს.

მაგრამ უფრო დამახასიათებელი სხვა რამაა: ნატურალიზმი პირველი ენათმეცნიერული კონცეფციაა, აღმოცენებული ისტორიული ენათმეცნიერების ნიადაგზე. **კონცეფცია**, რომელიც მოწოდებულია, იყოს **ისტორიული ენათმეცნიერების მიღწევათა თეორიული განზოგადება**, მოგვევლინა **დებულებით „ენის ცვლა ისტორია არააო“.**

ამდენად, ნატურალიზმის სახით ჩვენ წინაა ნიმუში საენათმეცნიერო კონცეფციისა, რომელიც არასწორად ასახავს საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას.

რა იწვევს ამას? „ზრდის“ ცნება, ე. ი. ისევ და ისევ ენობრივი ცვლის თავისებური გაგება, ენობრივი ევოლუციის პერიოდიზაცია — წარმოქმნა-ზრდისა და დაშლა-რღვევის სტადიებით.

ენის ევოლუციის ამგვარი გაგებისაგან ენათმეცნიერება თავისუფლდება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის სამოცდამეთე წლების შემდეგ. ა. მეიეს თქმით — მხოლოდ 1875 წლის შემდეგ იქნა საბოლოოდ გაწყვეტილი კავშირი მეთვრამეტე საუკუნის კონცეფციებსა და შედარებითი

გრამატიკის კონცეფციებს შორის: „ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკას უკვე აღარა აქვს თავის ობიექტად ენის წარმოსახვითი ორგანული პერიოდი, წარმოქმნის პერიოდი, რომლის შესახებაც დანამდვილებით არაფერი ვიცით“¹.

ამაშია ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ენათმეცნიერებისა ნეოგრამატიკული მიმდინარეობის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან.

ენის ცვლის თავისებური გაგება, მაშასადამე, განსაზღვრავს ნატურალიზმს მის პოზიტიურსა და ნეგატიურ მომენტებში.

მისივე საშუალებით ნატურალიზმი უპირისპირდება ფილოლოგიას: ფილოლოგს მხოლოდ სალიტერატურო ენასთან აქვს საქმე, უმწერლო ენა და დიალექტები ფილოლოგების ინტერესს იქით რჩება, ენათმეცნიერისათვის კი „ენის ნამდვილი და ბუნებრივი სიცოცხლე მოცემულია დიალექტებში“.

ფილოლოგიის საგანი — სალიტერატურო ენა — კულტურის პროდუქტია, მის განვითარებაზე გავლენას ახდენენ, — სალიტერატურო ენას ისტორია აქვს; ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი, არაა კულტურული პროდუქტი, იგი ბუნების მოვლენაა, მის განვითარებაზე გავლენას ვერ მოვახდენთ: „ფილოლოგია ისტორიული დისციპლინაა, ენათმეცნიერება, პირიქით — ბუნებისმეცნიერული“ (შლაიხერი).

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ **ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების დაპირისპირება**, საერთოდ, დამახასიათებელია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პირველი პერიოდისათვის (1820-1865 წწ.). კლასიკური ფილოლოგია აღმაცერად უცქეროდა ახლად ჩამოყალიბებულ დისციპლინას, რომელიც კვლევის უჩვეულო წესებს იყენებდა და რომლის წარმომადგენლებსაც კლასიკური ენების მიმართ არცთუ საჭირო რესპექტი აღმოაჩნდებოდათ ხოლმე.

კლასიკური ფილოლოგიისა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების („შედარებითი ფილოლოგიის“, მ. მიულერის ტერმინი რომ ვიხმაროთ) ურთიერთობის მოგვარება გ. კ უ რ ც ი უ ს ი ს სახელთანაა დაკავშირებული.

ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების დაპირისპირება ნატურალიზმში არაა ხსენებული მოუგვარებელი ურთიერთობის გამოსახულება: ამ დაპირისპირებას, როგორც ვნახეთ, სპეციფიკური საფუძველი აქვს. დაპირისპირება აქ შედეგია სხვაობისა და არა მიზეზი.

¹ იხ. ა. მეიე: „შესავალი ინდოევროპულ ენათა შედარებითს შესწავლაში“, რუს. თარგმ. (1938), გვ. 458.

II. ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი

§ 32. ისტორიული ფონეტიკის მიღწევები და ნეოგრამატიკოსთა ზოგადი პრინციპები. ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი ენის რაობის გაგებაში მოცემული გვაქვს ჰერმან პაულთან; მხედველობაში გვაქვს მისი ცნობილი შრომა „პრინციპები ენის ისტორიისა“ („Prinzipien der Sprachgeschichte“, პირველი გამოცემა 1880 წლისაა, მეხუთე — 1920 წ.).

ჰერმან პაული ნეოგრამატიკული მიმდინარეობის თეორეტიკოსია. ეს მიმდინარეობა სარბიელზე გამოვიდა 1878 წელს: ამ წელსაა გამოსული კ. ბრუგმანისა და ჰ. ოსტჰოფის „მორფოლოგიური ძიებანი“ („Morphologische Untersuchungen“), რომლის წინასიტყვაობამაც „ნეოგრამატიკოსთა მანიფესტის“ სახელწოდება დაიმსახურა¹.

ნეოგრამატიკოსთა მიმდინარეობას ზურგს უმაგრებდა დიდი გამარჯვება, რომელიც იმ ხანად ფონეტიკას ხვდა წილად; მხედველობაში გვაქვს კ. ვერნერის აღმოჩენა.

როგორც ცნობილია, პირველი ბგერათგადაწევის (die erste Lautverschiebung) კანონის თანახმად ინდურ-ბერძნულ-ლათინურ მუდერ სშულ თანხმოვანს საერთო გერმანულში შეესატყვისებოდა ყრუ სშული, ყრუ სშულს — ყრუ სპირანტი (ყრუ მფშვინავის საფეხურის გავლით), მუდერ მფშვინავს — მუდერი სპირანტი. შდრ. მაგალ.: ლათ. caput (კაპუტ) „თავი“, გუთ. — haubif.

წესი რიგ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

ძვ. ინდ. pitar „მამა“ — გუთ. fadar: t — d: შესატყვისობა ირღვევა

„ matar „დედა“ „ mōdar: t — d: „ „

შდრ. „ bhratar „ძმა“ „ broðar: t — ð: „ დაცულია

კ. ვერნერის ბრწყინვალე მიხვედრა იმაში მდგომარეობდა, რომ გუთურ შესატყვისობა სხვაობა მახვილს დაუკავშირა:

შესატყვისობა დაცული აღმოჩნდა, როცა მახვილიანი მარცვლის შემდეგაა თანხმოვანი (bhrátar); წესი ირღვევა, თუ მახვილიანი მარცვლის წინაა თანხმოვანი (pitár, mátar...).

ფონეტიკური წესის დარღვევა აიხსნა და მით წესის დარღვევა წესის პრინციპის დასაბუთებად იქცა: წესის დარღვევა თურმე გარკვეულ წესებს ექვემდებარება, წესიერია, — კანონზომიერია წესიცა და მისი და-

¹ ნეოგრამატიკულ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ გერმანიაში — ჰ. პაულის (1846-1921), კ. ბრუგმანის (1849-1919) და ჰ. ოსტჰოფის (1847-1909) გარდა ა. ლესკინი (1840-1916), ბერტ. დელბრიუკი (1842-1922), ვ. შტრაიტბერგი; საფრანგეთში — მიშ. ბრეალი, ვ. ანრი, ა. ოველაკი; იტალიაში — გრ. ასკოლი; რუსეთში — ფ. ფორტუნატოვი.

რღვევა. „გამონაკლისიც“. ეს ნიშნავს: გამონაკლისი მხოლოდ იმდენადაა გამონაკლისი, რამდენადაც არაა დადგენილი მისი გამომწვევი მიზეზი. კანონზომიერების პრინციპი შეუზღუდავია.

თვით კ. ვერნერი წერდა: „მართალია, შედარებითი ენათმეცნიერება სავსებით ვერ უარყოფს შემთხვევითობას (*den Zufall*), მაგრამ მასობრივი ხასიათის შემთხვევითობა ისე, როგორც ეს აქა გვაქვს, სადაც სიტყვის შიგნით არაკანონზომიერი გადაწევის შემთხვევები თითქმის ისევე ხშირია, როგორც კანონზომიერისა — შედარებითმა ენათმეცნიერებამ არ შეიძლება და არ უნდა დაუშვას (აღიაროს *zugestehen*). ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს, ასე ვთქვათ, წესი წესის დარღვევისათვის¹; საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ეს წესი დაიძვინოს“².

კ. ვერნერის წერილი „გრამის კანონის ერთი გამონაკლისის შესახებ“ გამოქვეყნდა კუნიის (*Kuhn*) „უურნალში შედარებითი ენათმეცნიერებისათვის“ (ტომი XXIII) 1877 წელს.

ნეოგრამატიკოსთა მრწამსი შემდეგ დებულებებში აისახება: 1. ფონეტიკურ წესებს **გამონაკლისი არა აქვს**; 2. ენობრივი ცვლის პროცესში დიდი როლი ენიჭება **ანალოგიას**; 3. **ცოცხალი დიალექტური** მეტყველება უნდა იყოს ენათმეცნიერების **უბირატესი საგანი**, რამდენადაც ასეთ მეტყველებაშია მოცემული ენის ბუნებრივი (შეუზღუდავლი) განვითარება.

პირველ დებულებას ზოგად პრინციპამდის აპყავს კ. ვერნერის აღმოჩენაში დადასტურებული ფაქტი; მეორე შინაგან კავშირშია პირველთან: ანალოგიის პროცესს რაციონალური, კანონზომიერი, საწყისის შეზღუდავადარღვევასთან მივყავართ. ის, რაც განსხვავებული იყო, ანალოგიის გზით ერთფეროვანი ხდება (შდრ. ქართ. სალიტერატურო: ერთხელ, ორჯერ და დიალექტური: ერთხელ, ორხელ, ანდა ერთჯერ, ორჯერ...).

მესამე დებულება არა დგას მოწყვეტით პირველი ორისაგან: ცოცხალი დიალექტური მეტყველება ის არეა, სადაც კანონზომიერების გამოვლენისათვის ოპტიმალური პირობები გვაქვს.

აქვე დავძენთ: ნეოგრამატიკოსთა კონცეფციაში ეს პრინციპი ბუნებრივად შემოდის, მაგრამ ენათმეცნიერებისათვის ეს აღარ იყო იმ დროს ახალი: **უკვე შლაიხერმა და მეტადრე მაქს მიულერმა უფრო ადრე სრული კატეგორიულობით წამოაყენეს სავსებით ანალოგიური დებულება**. და თუ მათი მოტივები სხვა იყო (იხ. ზემოთ, გვ. 45), ეს შედეგს არა ცვლის.

¹ "eine Regel für Unregelmässigkeit".

² მოგვყავს Delbrück-ის მიხედვით: Einleitung... გვ. 107.

§ 33. ისტორიზმის პრინციპი ნეოგრამატიკოსებთან. ნეოგრამატიკოსთათვის ერთი რამ იყო აგრეთვე მეტად არსებითი: **ისტორიზმის პრინციპის აღიარება.** ჩვეულებრივ ეს შეუმჩნეველი რჩება, ნამდვილად კი ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა: **შედარებითი ენათმეცნიერება ნეოგრამატიკოსებთან გააზრებულია უკვე, როგორც ისტორიული ენათმეცნიერება.** საკმარისია მაქს მიულერისა და ავგ. შლაიხერის (და თუნდ ფრ. ბოპის) ნატურალისტური პრინციპი (ენის ცვლა **ზრდაა და არა ისტორია!**) შევუბირისპიროთ ნეოგრამატიკოსთა სათანადო შეხედულებას, რომ მომხდარი დიდი ცვლილება ხელშესახები გახდეს.

აი რას წერენ ერთ საპროგრამო წერილში კ. ბ რ უ გ მ ა ნ ი და ვ. შ ტ რ ა ი ტ ბ ე რ გ ი:

„მაშინ, როდესაც ბოპს ნაკლებად აინტერესებდა მის მიერ აღმოჩენილი ინდო-ევროპული წინარე-ენის აღდგენის საკითხი, შემდგომი მკვლევარები სულ უფრო და უფრო წინა რიგში აყენებდნენ ამ გამჭრალი წინარე-ენის აღდგენას¹. ასე რომ, შეუძლებელი არც იყო, კაცს ეფიქრა, — შედარებით ენათმეცნიერებას საქმე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ენის იმ მდგომარეობასთან, რომელიც მდებარეობს ყოველგვარი გადმონაცემობის (დოკუმენტაციის — *Überlieferung*) იქეთ და ცალკეულ ენათა გამოკვლევას იგი უყურებს, როგორც დამხმარე დისციპლინას.

ეს შეხედულება, რომელიც სავსებით ამჟამადაც არაა დავიწყებული ზოგ წრეში, იძლევა სრულიად ყალბ წარმოდგენას ჩვენი მეცნიერების მიზანდასახულობის (ამოცანის) შესახებ.

როგორ შეიძლება ისტორიული დისციპლინის ობიექტს წარმოადგენდეს ისეთი რამ, რის არსებობის შესახებაც არ მოიპოვება არავითარი ისტორიული მოწმობა, და რის შეცნობაც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ დასკვნათა რთულ სისტემაზე! (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).“

„ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ჰუმმარტი ამოცანა, პირიქით, იმაში მდგომარეობს — ეს ეჭვს გარეშეა, — **გამოიკვლიოს ინდო-ევროპულ ენათა განვითარების ზოგადი მსვლელობა შორეული წარსულის უძველესი პერიოდიდან დღევანდელ დღემდე და გამოავლინოს კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ განვითარების მიმართულებას** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).“

„წარსული და აწმყო ურთიერთს ავსებენ, ვინაიდან, როგორც აწმყო გაუგებარი დარჩება იმისათვის, ვინც წარსულის ცოდნის გარეშე მიდის მასთან, ასევე მუნჯი აღმოჩნდება ნამყო იმის კითხვებზე, ვინც ვერ ისწავლა ყური დაუგდოს დღევანდელი დღის ხმას“.

¹ პირველ ყოვლისა, აქ ავგ. შლაიხერი ჰყავთ მხედველობაში.

„...იმის განკარგულებაში, ვინც ხელს კიდებს ენის მეცნიერულ შესწავლას, მოიპოვება ერთადერთი მეთოდი: ისტორიული“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)¹.

ამ სტრიქონების თანაავტორი ბრუგმანი, როგორც ვიცით, „მორფოლოგიურ ძიებათა“ თანაავტორიც იყო და ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის ნარკვევის“ პირველი ორი ტომის ავტორი, ნეოგრამატიკული მიმდინარეობის ერთი ფუძემდებელთაგანი. მეორე, არანაკლებ ცნობილი ნეოგრამატიკოსი ბერტ. დელბრიუკი ასე ამთავრებს „ინდოევროპულ ენათა შესწავლის შესავლის“ დასკვნით თავს: „ყველაფერი, რაც მე ვთქვი ამ დასკვნაში, შეიძლება გამოგვეხატა აგრეთვე სიტყვებით: **„ენათმეცნიერება გადადგა ფილოსოფიური პერიოდიდან ისტორიულში“**².

მართალია, ბრუგმანი და შტრაიტბერგი შლაიხერის ნატურალიზმს ემიჯნებიან, დელბრიუკი ისტორიულ ენათმეცნიერებას ფილოსოფიურს უპირისპირებს და, მაშასადამე, ენათმეცნიერების ისტორიის გაცილებით უფრო დიდი მონაკვეთია მსჯელობისას აღებული, მაინც ორივე შემთხვევაში საერთოა ერთი რამ: **ისტორიული პრინციპის უყუყუმანო და სრული აღიარება**.

§ 34. ისტორიზმი პაულთან და პრინციპთმოდგრება. ეს დამახასიათებელია საერთოდ ნეოგრამატიკული მიმდინარეობისათვის: **ჰერმან პაულთან** ხსენებული პრინციპი მთელი **თეორიული კონცეფციის საძირკველს წარმოადგენს**.

ენათმეცნიერება პაულისათვის **ენის ისტორიაა; არაისტორიული არამეცნიერულია**, თუ არაისტორიული მაინც მეცნიერულია — ეს ნიშნავს, რომ ესაა უსრული ისტორიული.

სადაც შედარებაა, ისტორიას ვიღებთ. ერთი დიალექტიკ რომ იყოს აღებული შესასწავლად, მაინც შეიძლება მივიღოთ ისტორია — სხვადასხვა ფორმათა შედარებით, სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის გარკვევით³.

¹ კ. ბრუგმანი და ვ. შტრაიტბერგი: „ფრ. ბოპის დაბადების ასი წლისთავისათვის“ — მოწინავე წერილი ჟურნ. *Indogermanische Forschungen*, Bd. I (1892 წ.), გვ. VII და შემდ.

² იხ. მესამე გამოცემის რუსული თარგმანი (დართული აქვს ს. ბულიჩის წიგნს „ენათმეცნიერების ისტორიის ნარკვევი რუსეთში“, ს.-პეტერბურგი, 1904, გვ. 148. მეხუთე გამოცემაში ეს ადგილი არა ჩანს.

³ H. Paul: [Prinzipien. მეოთხე გამოცემა, 1909 წ., § 10, გვ. 20-21. ქვემოთ ყველგან მითითება ამ გამოცემაზეა. მეხუთე გამოცემა (1920 წ.) ხელშესახებ სხვაობას არ იძლევა.

პაულის შრომის სათაურიც მკვეთრად გახაზავს ავტორის თვალსაზრისს: „პრინციპები ენის ისტორიისა“ სხვა არაფერია, თუ არ ენათმეცნიერების პრინციპები: „ენის ისტორია“ უდრის „ენათმეცნიერებას“.

პაული გერმანული ენების მკვლევარია, მაგრამ ის არ ეკუთვნის იმ სპეციალისტთა წყებას, რომელნიც თავის ობიექტის ემპირიული კვლევით კმაყოფილდებიან და ფუძემდებელი თეორიული პრინციპებისადმი გულგრილობას იჩენენ. თეორიული პრინციპების საჭიროებას პაული მწვავედ გრძნობს; ამ საჭიროებათა დასაბუთებით იწყებს ავტორი თავის „ენის ისტორიის პრინციპებს“.

„როგორც ისტორიული მეცნიერების ყოველ შტოს, ისე ენათმეცნიერებასაც გვერდით უნდა უდგეს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ზოგად სასიცოცხლო პირობებს ისტორიული განვითარების პროცესში მყოფი ობიექტისას, რომელიც იკვლევს ყოველგვარი ცვლის პროცესში თანაბრად წარმოდგენილ ფაქტორებს მათი ბუნებისა და მოქმედების მიხედვით“¹.

„ცალკეული ექსპერიმენტული მეცნიერების მონაცემები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ იკმარებს იმისათვის, რომ საგნის ისტორიული განვითარება გასაგები გახადოს“².

რატომაა საჭირო ისტორიული განვითარების შემსწავლელი დისციპლინა? პაული გვეუბნება:

„თავის მოტყუება იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიძლება მარტივი ისტორიული ფაქტი დავადგინოთ რეფლექსიის მონაწილეობის გარეშე (*ohne Zutat einer Spekulation*). ვინც ამას ფიქრობს, ის შეუცნობლად ეწევა ასეთ რეფლექსიას, და უნდა ვუმაღლოდეთ ბედნიერ ინსტინქტს, თუ სწორ ფაქტს მივიღებთ. ჩვენ იძულებული ვართ ვამტკიცოთ, რომ დღემდე ხმარებული მეთოდები ისტორიული კვლევისა უფრო ინსტინქტითაა მიკვლეული, ვინემ საგანთა შინაგან არსშიამწვდომი ყოველმხრივი რეფლექსიით“³.

აქედან წარმოდგება მრავალი თვითნებური მსჯელობა და შეხედულებათა და სკოლათა დაუსრულებელი დავა. ერთად ერთი გამოსავალია — „სრული სერიოზულობით განვიხილოთ ამ მეთოდთა დაყვანა პირველადს **ძირითად პრინციპებამდის** და მოვაცილოთ მას ყველაფერი, რაც აქედან არ გამოიყვანება. **ამ პრინციპებს** კი, რამდენადაც ისინი წმინდა ლოგიკური ბუნებისა არაა, ჩვენ მივიღებთ ისტორიული განვითარების არსის გამოკვლევით“⁴.

¹ იქვე, § 1, გვ. 1.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 5.

⁴ იქვე, გვ. 5 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ამ პრინციპების შემსწავლელ დისციპლინას პაული უწოდებს **პრინციპთმოდერებას** (prinzipienlehre)¹.

მას შეიძლება დარქმეოდა **ენის ფილოსოფიაცო**, „ჩვენი პოზიტიური ეპოქა ფილოსოფიაში მეტაფიზიკურ სპეკულაციებს რომ არ გულისხმობდესო“². პრინციპთა მეცნიერება კი ემპირიული მეცნიერული დისციპლინაა და არა სპეკულაცია ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური ხასიათისაო. **პრინციპთმოდერება**, ამრიგად, **ისტორიული პროცესის მეცნიერული თეორიაა**. მან უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე:

„როგორ არის შესაძლებელი მუდმივ (უცვლელ) ძალთა და მიმართებათა არსებობის პირობებში ისტორიული განვითარება, — წინსვლა უმარტივესი და ყველაზე პრიმიტიული ფორმებიდან ურთულესისაკენ?“³ ეს — ზოგადად. ამ ზოგად ფორმულას ესაჭიროება **დეტალიზაცია სხვადასხვა ისტორიული მეცნიერების** მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ისტორიული მეცნიერებანი პაულის აზრით ორგვარია: ისტორიული **ბუნებისმეცნიერებანი** და **კულტურისმეცნიერებანი**.

კულტურის ნიშანდობლივი თვისებაა — პაულის მიხედვით — **ფსიქიკური ფაქტორის** მონაწილეობა:

„ფსიქიკური ფაქტორი ყველაზე არსებითი ფაქტორია ყოველი კულტურული მოძვრებისა, ფაქტორი, რომლის გარშემოც ყველაფერი ტრიალებს, და ფსიქოლოგიაა ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი ყველა... კულტურისმეცნიერებისა“⁴.

პაული იქვე დასძენს: „მაგრამ ფსიქიკური არაა ერთადერთი ფაქტორი... წმინდა ფსიქიკურ საფუძველზე შეუძლებელია მივიღოთ რაიმე კულტურა... კულტურის პროდუქტის შესაქმნელად ადამიანის გონს უხდება ადამიანის სხეულთან და გარებუნებასთან ერთად მუშაობა და ამ პროდუქტის თვისება, მისი შექმნის სახეობა დამოკიდებულია ფიზიკურ თვისებებზე ისევე, როგორც ფსიქიკურზე. ისტორიული ფაქტის გაგებისათვის საჭიროა, როგორც ერთის, ისე მეორის ცოდნა. ამიტომ უნდა ვიცოდეთ ის კანონებიც, რომელთა თანახმადაც ვითარდება კულტურის ფიზიკური ფაქტორები: ბუნებისმეტყველება და მათემატიკაც აუცილებელი საფუძველია კულტურისმეცნიერებათათვის“⁵.

¹ იქვე, გვ. 1.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 2 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, § 4, გვ. 7 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁵ იქვე.

რას ავალებს ყოველივე ეს კულტურისმეცნიერების პრინციპთმოდღვრებას? „კულტურისმეცნიერების პრინციპთმოდღვრების მთავარი ამოცანაა გაარკვიოს ის ზოგადი პირობები, რომლებშიც ფსიქიკური და ფიზიკური ფაქტორები, მისდევნ რა თავისებურ კანონებს, საერთო მიზანს ემსახურებიან“ („dazu gelangen, zu einem gemeinsamen Zwecke zusammenwirken“)¹.

ესაა პრინციპთმოდღვრების ამოცანათა **პირველი დაზუსტება** — კულტურისმეცნიერების ბუნების შესაბამისად.

მაგრამ პაული ამაზე არ ჩერდება; იგი წერს:

„კულტურისმეცნიერება ყოველთვის არის საზოგადოებათმეცნიერება; მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი კულტურა, მხოლოდ საზოგადოება ხდის ადამიანს ისტორიულ არსებად“².

„მართალია, — განაგრძობს პაული, — ცალკე ადამიანის სულიც შეიძლება განვითარდეს, რამდენადაც იგი თავის სხეულთან და გარებუნებასთან მიმართებაში იმყოფება, მაგრამ თვით უნიჭიერესი ადამიანიც კი ვერ გასცილდებოდა პრიმიტიულ საფეხურს და მის ამ მცირე მიღწევასაც სიკვდილი გაანადგურებდა. და მხოლოდ იმის გადაცემით სხვისათვის, რაც ცალკეულმა ადამიანმა შექმნა, მხოლოდ მრავალ ინდივიდთა თანამშრომლობით (Zusammenwirken) გარკვეული მიზნის მისაღწევად შესაძლებელია გავცდეთ ვიწრო ფარგლებს. **შრომის განაწილებისა და შრომის გაერთიანების პრინციპზეა დამყარებული არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურის ყოველი სახე“³.**

რა დასკვნები უნდა გაკეთდეს ამის შესაბამისად პრინციპთმოდღვრებისათვის?

„სპეციფიკური ამოცანა, რომელიც ამისდა კვალად კულტურისმეცნიერებათა პრინციპთმოდღვრებისათვის დგას და რომლითაც მას შეუძლია განიმტკიცოს თავისთავადი ადგილი კანონთმეცნიერებათა გვერდით, იმაში მდგომარეობს, რომ **მან უნდა გვაჩვენოს, როგორ ხდება ინდივიდთა ურთიერთმოქმედება, როგორ მიმართებაშია ცალკე ადამიანი კოლექტივთან (Gesamtheit), იღებს რა და იძლევა რა, განისაზღვრება რა და განსაზღვრავს რა, როგორ ეუფლება ახალი თაობა წინა თაობის მემკვიდრეობას“⁴.**

თუ ზოგადად პრინციპთმოდღვრება განვითარების მეცნიერულ თეორიად ესახებოდა პაულს, **კულტურისმეცნიერებათა** (ანუ, რაც იგივეა პაულისათვის, — საზოგადოებათმეცნიერებათა) **მიმართ პრინციპთმოდღვრება — შესაბამისად — იღებს საზოგადოების განვითარების თეორიის სახეს.**

¹ იქვე.

² იქვე, § 5, გვ. 7 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე.

⁴ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

პაული მიუთითებს იმ სხვაობაზე, რომელიც შეიმჩნევა ისტორიულ საბუნებისმეტყველო დისციპლინებსა და კულტურისმეცნიერებებს შორის პრინციპთმოდღერების დამუშავებულობის თვალსაზრისით:

ამის მიზეზია — პაულის აზრით — ის, რომ: **ა.** განვითარების ფაქტორები აქ უფრო რთულია, ვინემ საბუნებისმეტყველო დისციპლინაში; **ბ.** კულტურის ისტორიის საფუძველი — **ექსპერიმენტული ფსიქოლოგია** — ახალი მეცნიერებაა; **გ.** პრინციპთმოდღერების საჭიროება აქ ისე არ იგრძნობოდაო.

პრინციპთმოდღერების სახით ყველაზე მეტაო გაკეთებული **ორგანული ბუნებისათვის**¹; განვითარების აქ მოპოვებული პრინციპები გადააქვთ კულტურის ისტორიაზედაც. ეს არაა მართებული, მაგრამ ეს ცხადყოფს იმას, თუ რამდენად საჭიროა პრინციპთა საკითხების სრული გარკვეულობით დასმა და განხილვაო².

§ 35. პაულის პრინციპთმოდღერება და ხალხთა ფსიქოლოგია. პაულმა **კულტურისათვის ნიშანდობლივად ფსიქიკური ფაქტორის მონაწილეობა მიიჩნია**, და თანამიმდევრულად **ფსიქოლოგია დასახა ყველა კულტურისმეცნიერების საფუძვლად** (იხ. ზემოთ, გვ. 81).

მეორეგან კულტურისმეცნიერების საფუძვლად ექსპერიმენტული ფსიქოლოგიაა ნავარაუდები (იხ. აქვე, ზემოთ). ამით არსებითად არაფერი შეცვლილა: **ფსიქიკური ფაქტორის როლი კულტურის შექმნაში განსაზღვრავს ფსიქოლოგიის მნიშვნელობას კულტურისმეცნიერებისათვის** და ამ უკანასკნელისას — პრინციპთმოდღერებისათვის.

ამით ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიმართებაშია პაულის პრინციპთმოდღერება (კულტურისმეცნიერებათა) ლაცარუს-შტაინთალის ხალხთა ფსიქოლოგიასთან. კულტურისმეცნიერების გამოცხადება საზოგადოებრივ მეცნიერებად არ აუქმებს ამ საკითხს, არამედ უფრო გახაზავს იმ სიახლოვეს, რომელიც ხალხთა ფსიქოლოგიასა და პაულის პრინციპთმოდღერებას შორის დასტურდება.

საკმარისია მოვიყვანოთ ლაცარუსისა და შტაინთალის მოსაზრებანი ამ კონტექსტში საგულგებელი ზოგი საკითხის შესახებ³.

ხსენებული ავტორების აზრით ხალხთა ფსიქოლოგია არის „მეცნიერება ხალხის გონის შესახებ, ე. ი. არის მოდღერება ხალხთა გონითი სიცოცხლის ელემენტებისა და კანონების შესახებ“⁴.

¹ იგულისხმება დარვინის თეორია.

² იქვე, გვ. 5.

³ ხალხთა ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით მოგვიწვეს საუბარი.

⁴ "Zeitscher. für Völkerpsych. und Sprachwissenschaft", I, გვ. 7.

გონი — ესაა „შინაგანი მოქმედების კანონზომიერი მოძრაობა და განვითარება“¹. „ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ ადამიანი მთელი თავისი არსებით საზოგადოებრივია, ე. ი. ის განკუთვნილია (ist bestimmt) საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რადგანაც მხოლოდ თავის მსგავსებთან ურთიერთობაში მას შეუძლია იქცეს იმად და გააკეთოს ის, რაც მან უნდა გააკეთოს“ (...თავისი არსების შესაბამისად).

„...ადამიანთა ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრება, გონითი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ თანამოქმედებითა და ურთიერთზე მოქმედების საშუალებით (durch das Zusammen und Ineinander-wirken). **გონი ადამიანთა საზოგადოების საერთო წარმონაქმნია...**“ „...ინდივიდი ადამიანია მხოლოდ კოლექტივში, თავისი გვარეობის სიცოცხლეში მონაწილეობის მეშვეობით“².

„... კოლექტივი არაა ინდივიდთა უბრალო შენაერთი, არამედ იგი ქმნის ჩამოყალიბებულ ერთიანობას, რომლის ბუნება და ხასიათიც გამოსაკვლეფია“³.

ადამიანთა საზოგადოება კვლევის სულ სხვა ობიექტია, ვინემ ცალკე ადამიანი, „ვინაიდან ადამიანთა კოლექტივში თავს იჩენენ სრულიად თავისებური ფსიქოლოგიური ურთიერთობანი, ფაქტები და პროდუქტები, რომლებიც სრულიად არ ეხებიან, არ მომდინარეობენ ადამიანისაგან, როგორც ინდივიდისაგან. ეს უკვე აღარაა მიმართებანი (Verhältnisse) ადამიანში, არამედ ადამიანთა შორის...“⁴

„...ადამიანი, როგორც სულიერი ინდივიდი, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საგანია... მის გვერდით, როგორც მისი გავრძელება, ჩნდება **ფსიქოლოგია საზოგადოებრივი ადამიანისა ანუ ადამიანთა საზოგადოებისა**, რომელსაც ჩვენ ხალხთა ფსიქოლოგიას ვუწოდებთ“⁵.

ხალხთა ფსიქოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს, — წერს ლაცარუსი, — როგორც „მეცნიერება ხალხის გონის შესახებ“, ე. ი. როგორც მოძღვრება ხალხის გონითი ცხოვრების ელემენტებისა და კანონების შესახებ. ეს ნიშნავს: ფსიქოლოგიურად შევიცნოთ ხალხის გონის არსი და მისი (გონის) მოქმედება; აღმოვაჩინოთ კანონები, რომელთა მიხედვითაც ხალხის შინაგანი, გონითი ანუ იდეალური მოქმედება მიმდინარეობს...; ეს

¹ Lazarus: "Das Leben der Seele", I (მეორე გამოცემა), Brl. 1876, გვ. 338. ეს გვიანდელი შრომა იძლევა ერთგვარ შეჯამებას.

² "...der Einzelne ist Mensch nur in der Gemeinschaft, durch die Teilnahme am Leben der Gattung" — Lazarus, იქვე, გვ. 333 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

³ იქვე, გვ. 330.

⁴ იქვე, 335.

⁵ იქვე (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ნიშნავს: გამოვავლინოთ საფუძვლები, მიზეზები და საბაბები ხალხის თავისებურების, როგორც წარმოშობისა, ისე განვითარებისა და, დასასრულ, გაქრობისა“¹.

ხალხთა ფსიქოლოგიის ამოცანაა აღმოაჩინოს ის „კანონები, რომელთაც ძალა აქვს (zur Anwendung kommen) იქ, სადაც მრავალნი ერთიანობას ქმნიან, ერთად ცხოვრობენ და მოქმედებენ...“².

ინდივიდის კოლექტივთან მიმართების საკითხი მრავალფეროვანია თავისი შინაარსით და ის შეიძლება სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის საგანი გახდეს. მაგრამ „ყველა ამ მიმართებაში ერთია საერთო, სახელდობრ, ადამიანის გონითი მოქმედება და გონითი ერთობლიობისა და ერთიანობის შექმნა... ამ თვალსაზრისით გვინტერესებს ჩვენ, — წერს ლაცარუსი, — ინდივიდის მიმართება კოლექტივთან... და ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მოვითხოვთ ჩვენ ხალხთა ფსიქოლოგიისაგანო“³.

გვეტყვიან, — განაგრძობს ლაცარუსი, — რაკი ხალხის გონი და ყოველი გონითი ერთობლიობა სინამდვილეში ცალკეულ გონთაგან შედგება, ...მეცნიერული ანალიზი შეიძლება სწორედ ამ ცალკეულ გონთ ეხებოდეს. და რაკი ამას ფსიქოლოგია აკეთებს, ხლხთა ფსიქოლოგიისათვის ობიექტი აღარ რჩებაო. ლაცარუსი ამაზე შენიშნავს: შეიძლება მოვიგონოთ პოლიტიკური ეკონომია; მისი ობიექტი ყველა ინდივიდის ეკონომიკურ წარმოებაში მდგომარეობს, მაგრამ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს სულ სხვა შინაარსი აქვს, ვინემ იმ საწარმოო წესებს, რომელთაც აწვდის მამა შვილს, ანდა ოსტატი — შევირდსაო⁴.

ამრიგად: ხალხთა ფსიქოლოგია **საზოგადოებრივ ადამიანს სწავლობს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით; ადამიანთა ურთიერთობა კოლექტივში, და ამ ურთიერთობით წარმოქმნილი პროდუქტები ხალხთა ფსიქოლოგიის ინტერესს აღძრავს.**

შესასწავლი ობიექტისა და თვალსაზრისის მხრივ ლაცარუს-შტაინთალის ხალხთა ფსიქოლოგია იმდენად ახლოსაა პაულის პრინციპთმოდღვრებასთან, რომ მათი ურთიერთობის საკითხი ბუნებრივია დაისვას. გასაგებია, რომ პაული განიხილავს ხალხთა ფსიქოლოგიასთან ურთიერთობის საკითხს; იგი წერს: საზოგადოებათმეცნიერების პრინციპთმოდღვრება არ არის იგივე, რაც ლაცარუს-შტაინთალის „ხალხთა ფსიქოლოგია“: პრინციპთმოდღვრებას ბევრი რამ აქვს არაფსიქოლოგიური.

¹ იქვე, 337.

² იქვე, გვ. 326-327.

³ იქვე, გვ. 328.

⁴ იქვე, გვ. 328-329.

პაულის აზრით საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთმოქმედება ოთხ კატეგორიად შეიძლება დაგვით:

ა. ინდივიდში ჩნდება ფსიქიკური წარმონაქმნები, წარმოდგენათა კომპლექსები, რასაც იგი სხვათა გავლენის გარეშე ან სულ ვერ მიაღწევდა ანდა ძალიან გვიან თუ მიაღწევდა (იხ. შუალობითი ასოციაციის გადაქცევა უშუალოდ და დროისა და ენერჯის შენახვა: პითაგორას თეორემის პირველად დამტკიცება და ახლა მისი დასწავლა ერთი და იგივე არაა!)¹.

ბ. ინდივიდი სწავლობს თავისი სხეულის საშუალებით ისეთი მოძრაობის შესრულებას, რომლებიც უცხო სხეულების, იარაღების, ასამოძრაებლად არის საჭირო. აქაც სხვისი მაგალითი დიდ როლს თამაშობს: მოძრაობა თავისთავად ფიზიოლოგიური აქტია, მაგრამ ფსიქიკური მომენტიც მონაწილეობს.

გ. ადამიანის მიერ დამზადებული და სახმარად დამუშავებული ბუნებრივი საგანები, — რომლებიც იქცევა იარაღებად და კაპიტალებად, — გადადის ერთი პირიდან მეორეზე, ერთი თაობიდან — მეორეზე. მათი დამუშავებაც, გამოყენებაც სხვადასხვა პირთა მონაწილეობას საჭიროებს.

დ. ადამიანები ახდენენ ერთმანეთზე ფიზიკურ იძულებას, რომელიც პროგრესისათვის შეიძლება იყოს სასარგებლო ან საზიანო, მაგრამ კულტურის რაობისათვის აუცილებელია.

ამ ოთხი მომენტიდან, — ამბობს პაული, — მხოლოდ პირველი იგულისხმება ხალხთა ფსიქოლოგიაში. რთული წარმონაქმნები „ხალხში“, ე. ი. კოლექტივში იმიტომ წარმოიშობა, რომ ინდივიდი სხვა ინდივიდებთან ერთად საზოგადოებაში ცხოვრობს².

პაული დაასკვნის: **„რაც ფსიქიკურია ამ წარმონაქმნთა განვითარებაში, ის ცალკე ინდივიდის ფსიქიკის ფარგლებში მიმდინარეობს; სხვა ყველაფერი, რისი საშუალებითაც ერთი ინდივიდი მეორეზე მოქმედებს, ფსიქიკური არ არის“**³.

წარმოდგენათა მასა, — გვეუბნება პაული, — ერთი ინდივიდიდან მეორეზე გადადის არა უშუალოდ. გადაცემის საშუალებაა ენა — ბგერები — ფიზიკური პროდუქტი⁴. მეორე ინდივიდის შესახებ უშუალოდ ჩვენ არაფერი ვიცით: ჩვენ მხოლოდ დავასკვნით — ფიზიკურ და ფსიქიკურ პირობათა ერთგვარობის საფუძველზე.

¹ Prinzip. 8: „საზოგადოებაში ადამიანი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს აღწევს იმით, რომ შუალობითი ასოციაცია იქცევა უშუალო ასოციაციად. ეს ცალკე ინდივიდში ხდება, მაგრამ შედეგს იყენებს სხვაც ფიზიკური გაშუამავლების გზით“.

² იქვე, 13.

³ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, § 8.

§ 36. ენა როგორც ენათმეცნიერების ობიექტი პრინციპთმოდღვრების თვალსაზრისით. როგორ პერსპექტივას უმზადებს ენა, როგორც ენათმეცნიერების ობიექტი, კულტურისმეცნიერებათა პრინციპთმოდღვრებას? **პრინციპთმოდღვრება განვითარების თეორიაა.** ენათმეცნიერება, — პაულის აზრით, — კულტურისმეცნიერებაა (resp. საზოგადოებათმეცნიერება).

პაული ამბობს: „კულტურის არც ერთი დარგის განვითარების პირობები არ შეიძლება ისეთი სიზუსტით იქნეს შესწავლილი, როგორც ენის განვითარების პირობები; ამიტომაც არ არსებობს სხვა კულტურისმეცნიერება, რომლის მეთოდიც ისე სრულყოფილი იყოს, როგორც ენათმეცნიერება, რომლის მეთოდიც ისე სრულყოფილი იყოს, როგორც ენათმეცნიერებისა. არც ერთი სხვა კულტურისმეცნიერება არ გასცილება ისე შორს გადმონაცემობის (Ueberlieferung) ფარგლებს, არც ერთი სხვა არაა ამზომ განჭვრეტითი (spekulativ) და კონსტრუქციული. ამის გამოა, რომ მას ხშირად საბუნებისმეტყველო დისციპლინებს უახლოებენ, გამოირიცხავენ ხოლმე კულტურისმეცნიერებათა წრიდან“¹.

რატომაა ენათმეცნიერება საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის „ყველაზე საიმედო და ზუსტი შედეგების მქონე“? პაული მიუთითებს რამდენიმე გარემოებაზე:

ცდისეულ მეცნიერებაში, — ამბობს იგი, — მით უფრო მეტი სიზუსტეა შესაძლებელი, რაც უფრო ხერხდება ცალკეულ ფაქტორთა მოქმედების განმხილვებით განხილვა.

ა) ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ოთხი სახიდან (იხ. აქვე, ზემოთ) ენას ეხება მხოლოდ პირველი ორი. ამისდა კვალად ორი კანონთმეცნიერებაა ენათმეცნიერების საფუძველი: ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია.

ენა უფრო მარტივია, ვინემ სამეურნეო მოქმედება (ამ უკანასკნელში ადგილი აქვს ადამიანთა ურთიერთობის ოთხსავე სახეს, ენაში — მხოლოდ ორს).

ბ) ყოველგვარი ენობრივი მოქმედება (Sprachschöpfung) მხოლოდ ცალკე ინდივიდში მიმდინარეობს, ცალკე ინდივიდის საქმეა. მრავალი შეიძლება მსგავსს იქმოდეს, და შედეგაცა და პროცესიც ერთნაირი იქნება. ასეა ენაშიც: აქ არ არის შრომის განაწილება და ძალთა შეერთება, რაიც სამეურნეო საქმიანობას ახასიათებს და დიდ სირთულეს ქმნის (მართალია, „ენაშიც არის შრომის ერთგვარი განაწილება, რამდენადაც ენობრივი შემონაქმედი ერთი პირიდან მეორეზე გადადის და გადაამუშავებული სახით კვლავ მეორდება, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მარტივია“).

¹ იქვე, § 3.

გ) ენობრივი წარმონაქმნი შეუცნობლად იქმნება¹ (ერთადერთი შემთხვევა შეგნებული ჩარევისა მოცემულია სალიტერატურო ენაში). ეს განსაზღვრავს ენობრივი პროცესის ერთგვარობას სხვადასხვა ინდივიდში. რაც უფრო ნაკლებად ახასიათებს ფსიქიკურ პროცესებს განზრახვითობა და ცნობიერობა, მით უფრო სუსტია ინდივიდუალურობა.

ამგვარად: რაკი მეტყველება **ინდივიდში მიმდინარეობს, ეს ამარტივებს ენის შესწავლას; ხოლო ის უხერხულობა, რაც ამასთანა დაკავშირებული, ქარწყლდება იმით, რომ მეტყველება მიმდინარეობს შეუცნობლად.**

„ენა რომ არ იყოს წარმოქმნილი **საერთოს საფუძველზე ადამიანის ბუნებაში, ის არ გამოდგებოდა ურთიერთობის იარაღად.** და პირუკუ, რაკი ის ურთიერთობის იარაღია, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ ენა ალგვის წმინდა ინდივიდუალურს, არაფერს არ იღებს და არ ინახავს, რასაც ერთმანეთთან კავშირში მყოფ ინდივიდთა თანხმობა სანქციას არ აძლევს“².

შეუცნობლობა, არაგანზრახვითობა — ესაა „საფუძველთა საფუძველი ყოველი უმაღლესი გონებრივი განვითარებისა, როგორც ცალკე ადამიანებში, ისე მთელს მოდგმაში“³.

§ 37. რაში მდგომარეობს ენის არსი პაულისათვის? ნეოგრამატიკოსი პაული ენათმეცნიერებას ენის ისტორიად თვლის. **ესაა ამოსავალი დებულება.** ენის ისტორიული განვითარების პრინციპების ძიება პაულს გადაუღებელ ამოცანად აქვს გამოცხადებული. პრინციპთმოძღვრება, რომლის საჭიროებასაც პაული ასაბუთებს და რომელიც მოწოდებულია ხსენებული ამოცანა გადაჭრას, განვითარების თეორიაა, **კულტურისმეცნიერების პრინციპთმოძღვრება საზოგადოებრივი განვითარების თეორიაა.** მას ეკისრება გაარკვიოს არა მხოლოდ შესასწავლი ობიექტის განვითარების პრინციპები, არამედ **თვით ობიექტის რაობაც** მისი განვითარების პრინციპებთან დაკავშირებით. ენის ერთგვარი ზოგადი დახასიათება უკვე გვაქვს.

ენის რაობის დაწვრილებითი ანალიზი კი, როგორც ვნახავთ, **ისევე ისტორიზმის პრინციპს ემყარება. ამოსავალი კვლავ ისტორიზმია.**

ამაშია **არსებითი სხვაობა** ნატურალიზმის კონცეფციასთან შედარებით (მდრ. ზევით მ. მიულერისა და ავგ. შლაიხერის შეხედულებათა მიმოხილვა, გვ. 61-62).

¹ ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

² იქვე, გვ. 19-20.

³ იქვე, გვ. 20.

და ეს სხვაობა მით უფრო საინტერესოა, რომ ნატურალისტებიცა და ნეოგრამატიკოსებიც თანაბრად გახაზავენ ენის ერთს მეტად მნიშვნელოვან თვისებას: ენა არაა დამოკიდებული ინდივიდის ნებისყოფის ზემოქმედებაზე, ენისათვის ნიშანდობლივია არაგანზრახვითობა, არაცნობიერი მიმდინარეობა. ენის მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობის თვალსაზრისით ეს გარემოება მეტად საგულისხმოდ ეჩვენებათ ნატურალისტებსაც და ნეოგრამატიკოსებსაც (შეიძლება ითქვას, სავსებით საფუძვლიანადაც). ოღონდ: ნატურალისტი ამით ასაბუთებდა ანტიისტორიზმს, პაულთან ეს დებულება სავსებით ეგუება ისტორიზმს.

რა არის ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი, პაულისათვის? ამ საკითხის გადაწყვეტისას, როგორც ვთქვით, ამოსავალია **ისტორიზმის პრინციპი**: ენათმეცნიერება ენის ისტორიაა, ენათმეცნიერების პრინციპები სხვა არაფერია, თუ არ ენის ისტორიის პრინციპები (იხ. ზევით, გვ. 66).

პაული იმის აღნიშვნით იწყებს, რომ „ენათმეცნიერების ჭეშმარიტობიექტს წარმოადგენს ყველა გამოვლენა ენობრივი მოქმედებისა ყველა ინდივიდში მათი ურთიერთობის პროცესში“¹; მაგრამ პაული გახაზავს, რომ „თქმულს არა აქვს ისტორია“ (განვითარება)²: „როგორც ფიზიოლოგიური და ფიზიკური პროდუქტი, სიტყვა ქრება უკვალოდ, როგორც კი ამოძრავებული სამეტყველო ორგანოები დაუბრუნდება დაწყებით მდგომარეობას“³. მაშასადამე, იგი ვერ იქნება ისტორიული კვლევის ობიექტი.

„ისტორიული განვითარების ერთადერთი მატარებელი, — წერს პაული, — სამეტყველო წარმოდგენათა ფსიქიკური ორგანიზმებია“⁴: მხოლოდ მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მიზეზობრივი კავშირი, მხოლოდ მათში რჩება მომხდარის კვალი, მხოლოდ მათშია მოცემული ისტორიული განვითარების პირობები“⁵.

რალაა სამეტყველო წარმოდგენათა ეს ორგანიზმი? ესაა რთული ასოციაციური ხლართი აკუსტიკურ, მოტორულ და სხვ. სამეტყველო წარმოდგენათა, — გაგონილისა და თქმულის დანალექი. აკუსტიკური და მოტორული წარმოდგენები ასოციაციურად უკავშირდება ერთმანეთს, აგრეთვე, საგნებს, წარმოდგენებს, რომელთა სიმბოლოებადაც ისინი გვევლინებიან, სინტაქსურ კავშირთა წარმოდგენებს და ასე შემდეგ; ამ ასოციაციურ კავშირში შემოდის ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ბრუნვა, ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა დრო, კილო, პირი, შემდეგ — სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიები და სხვ.⁶

¹ იქვე, § 12, გვ. 24.

² იქვე, § 14, გვ. 28.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, § 12, გვ. 26.

სამეტყველო წარმოდგენათა ეს ორგანიზმები არსებობენ ქვეცნობიერად და ცნობიერების ნათელ არეში შემოდიან მეტყველების პროცესში:

„უახლესი ფსიქოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი, — ამბობს პაული, — მდგომარეობს იმის შეცნობაში, რომ ფსიქიკურ პროცესთა დიდი რაოდენობა შეიძლება მიმდინარეობდეს ისე, რომ არ იყოს ნათლად შეცნობილი, და რომ ყველაფერი, რაც ოდესმე ყოფილა ცნობიერებაში, რჩება ქვეცნობიერ სფეროში მოქმედი მომენტის სახით“¹.

როცა ჩვენ ენას ვსწავლობთ, ჩვენ ვწვდებით ამ სამეტყველო წარმოდგენათა ორგანიზმებს, მაგრამ ეს დაკავშირებულია დიდ სიძნელებთან თვით ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევაშიც: უშუალოდ დაკვირვების ობიექტი ისინი ვერ იქნებიან, — „აკი ისინი მოიპოვებიან სულში შეუცნობლად“, — ისინი შეიძლება შევიცნოთ მხოლოდ სამეტყველო მოქმედების ცალკეულ აქტებში:

„მხოლოდ მრავალგზითი დასკვნების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამ აქტების მიხედვით **აღვადგინოთ წარმოდგენათა იმ მასების სურათი, რომლებიც ქვეცნობიერ სფეროში მოიპოვება**“².

სადაც წესია, — ვკითხულობთ პაულთან, — ყველა ინდივიდი უნდა ყოფილიყო ამ წესით შესწავლილი სრულად, მერე შედეგები შეგვედარებინა ერთმანეთისათვის. ნამდვილად კი ჩვენ ვჯერდებით გაცილებით უფრო მცირე რასმე: რამდენიმე ინდივიდისაგან მიღებული მასალის საფუძველზე ვარკვევთ ერთგვარ საშუალო ხაზს, ენობრივი ჩვევის (Sprachusus) სქემას.

მეტყველებაზე დაკვირვებისას **ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია** აკუსტიკური შთაბეჭდილება, **ყველაზე ზუსტია** არტიკულაციის შესწავლა: სამეტყველო ორგანოთა მოძრაობის ზუსტად შესწავლა.

მეტყველებითი აქტების ფსიქიკური მხარე მხოლოდ მეტყველის თვითდაკვირვებით შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, სხვებთან კიდევ ვიღებთ ფიზიკურ ფაქტებს, რომელთა საფუძველზედაც კეთდება დასკვნა ფსიქიკური კორელატის შესახებ საკუთარი გამოცდილების მიხედვით³.

როცა ზემოთ ნაჩვენები წესით შესრულებული აღწერილობა მოგვეპოვება რამდენიმე ეპოქისათვის, მაშინ ცხადი იქნება, რა ცვლილებებსაც ჰქონია ადგილი⁴.

¹ იქვე, § 12, გვ. 25 (ხაზი პაულისა).

² იქვე, § 15, გვ. 29 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, § 15, გვ. 30.

⁴ იქვე, § 16, გვ. 31.

რა იწვევს ენობრივ ცვლილებებს? ამაზე პასუხი დამატებით მასალას გვაწვდის სამეტყველო წარმოდგენათა როლის შესახებ პაულის შეხედულებაში.

პაულის აზრით, ცვლილებათა ახსნისას შეგნებული ზემოქმედება არ უნდა გამოვრიცხოთ: გრამატიკული წესები, ტერმინოლოგია, დესპოტურ ქვეყნებში მონარქის ნება-სურვილი — ყველაფერი ეს გარკვეულ ცვლილებებს გულისხმობს (ჩვეულებრივ ეს ეხება მერყევ მოვლენათა მოწესრიგებას). მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია ჩვეულებრივი სამეტყველო მოქმედება. აქ მეტყველების აქტს **არავითარი განზრახვა არ ერთვის გარდა სურვილისა, ვინმეს რამე გავაგებინოთ**. ამის გამოა, რომ **ენაში მხოლოდ ის რჩება, რაც ამ მიზანს შეეფერება, შეუფერებელი კი იკარგება**¹.

ამავე საკითხისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება:

წარმოდგენათა ორგანიზმები თავისებურად ვითარდება სხვადასხვა ინდივიდთან ისე, რომ **სავსებით ერთნაირი ხანისაც რომ ყოფილიყვნენ გარკვეულ მომენტში, შემდეგ მაინც განსხვავდებოდნენ**. წარმოდგენათა ორგანიზმებს კი ახასიათებს არა ერთგვარობა, არამედ განსხვავებულობა სტრუქტურის (Gestalt), დაჯგუფებისა, ინტენსივობისა... ენობრივ წარმოდგენათა ამ დაუდევრობა-ცვალებადობაშია ენის ცვლის დასაბამი².

§ 38. ნამდვილი რეალობა ინდივიდუალურ ენასა აქვს. ენის არსი — სამეტყველო წარმოდგენათა ორგანიზმშია, მაგრამ ასეთი ორგანიზმი იმდენივეა, რამდენი მოლაპარაკე ინდივიდიც არის; მაშასადამე, მართალი რეალობა მხოლოდ ინდივიდუალურ ენას აქვს: „...უცილობლად სწორია დებულება, რომ **ყოველ ინდივიდს აქვს თავისი საკუთარი ენა და ყოველ ამ ენათაგანს აქვს საკუთარი ისტორია**“³.

„სწორედ რომ ვთქვათ, **ჩვენ უნდა განვახსვავოთ იმდენი ენა, რამდენიც არის ინდივიდი**“⁴.

ამით უკვე მოცემულია მრავალი დიალექტის წარმოშობის ჩანასახი. ამიტომ კითხვა ასე კი არ უნდა დაისვას: რატომ ჩნდება დიალექტი, არამედ — რატომ ასე იშვიათად ჩნდება იგი? პაული უპასუხებს: დიფერენციაციის პროცესს წინ აღუდგება პროცესი გაერთფეროვანებისა (სხვაობათა „ამოსწორებისა“ Ausgleichung). რაც უფრო მცირეა ურთიერთობა, მით უფრო დიდია დიფერენციაცია⁵.

¹ იქვე, § 16 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, § 13, ბოლო.

³ იქვე, § 23, გვ. 39 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, § 22, გვ. 37 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁵ იქვე, § 23.

...ამა თუ იმ ენის გავრცელების არეში ადამიანთა ურთიერთობა თანაბარი რომ იყოს, მხოლოდ ინდივიდუალური ენები გვექნებოდა. მაგრამ ადამიანთა ოჯახებიც რომ გავანაწილოთ გარკვეულ მიწა-წყალზე ზუსტად ერთნაირად, ოჯახის ფარგლებში მაინც გვექნებოდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა, ვინემ — სხვადასხვა ოჯახში. ნამდვილად კი ადამიანთა ურთიერთობა არსებითად განსხვავებულია ქალაქებში, სოფლებში, ურდოებში — ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ; ჯგუფს შიგნით კავშირი მჭიდროა, სხვა ამგვარსავე ერთეულთან — სუსტი. ასეთ პირობებში ინდივიდუალური ენები ერთმანეთს უახლოვდება და სხვებს შორდება¹.

§ 39. ინდივიდუალური ენა და საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი. თუ რეალურად მხოლოდ ინდივიდუალური ენები არსებობს, როგორღა გვევლინება ენა ურთიერთობის საშუალებად? პაული მიუთითებს „ენობრივი ჩვევის“ (Sprachusus) არსებობაზე: „ცალკეულ ენობრივ ორგანიზმთა შედარების გზით შესაძლებელი ხდება მივიღოთ გარკვეული საშუალო ოდენობა (ein gewisser Durchschnitt), რითაც განისაზღვრება საკუთრივ ნორმალური ენაში, ენობრივი ჩვევა“².

ეს უზუსტი აქვს პაულს მხედველობაში, როცა სხვა კონტექსტში ის ლაპარაკობს: „დიდი თანაგვარობა ყველა ენობრივი პროცესისა სხვადასხვა ინდივიდებთან არის ყველაზე არსებითი საფუძველი მათი ზუსტი მეცნიერული შესწავლისათვის“³.

სხვა შრომაში პაული — გონითს ორგანიზაციისა და მის გამოვლენას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვეულებას, აგრეთვე ენობრივ ჩვევას (უზუსტს) მიაწერს კოლექტიურ ურთიერთობას (Verkehrsgemeinschaft)⁴.

ენობრივი ჩვევის ამ ცნებას პაული მიმართავს ენობრივი ცვლის ახსნისას. პაული წერს: თუ მეტყველებითი მოქმედება ჩვევას ცვლის, ეს იმიტომ, რომ ჩვევა (Usus) ყველაფერს ვერ განსაზღვრავს ინდივიდუალურ მეტყველებაში: თავისუფალი მოქმედებისათვის, ინდივიდუალური თავისებურებისათვის რჩება რაღაც არე. აქ მკვიდრობს თავისებურება; მისი გამოვლენა მეტყველებაში მოქმედებს მთქმელის ფსიქიკურ ორ-

¹ იქვე, § 24.

² იქვე, § 15, გვ. 29.

³ იქვე, § 9, გვ. 19. გარკვეულობა აკლია პაულის შემდეგ დებულებას, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება: „ენა რომ ეგზომ ძლიერად არ იყოს დაფუძნებული საერთოზე ადამიანის ბუნებაში, ის არ გახდებოდა საყოველთაო ურთიერთობის გამოსაღები იარაღი“.

⁴ იხ. "Grundriss der germanischen Philologie", herausgeg. von H. Paul, I Bd., Strassb., თავი "Methodologie", გვ. 161.

განიზმზედაც და მსმენელზედაც. თუ მეტყველების თავისებურებანი ერთი მიმართულებისა აღმოჩნდნენ, ჩვევას (Usus) ცვლილება დაეტყობა. ამიტომ: **ენის ისტორიის პრინციპთმოდგრების ცენტრალური საკითხია: რა მიმართებაშია ენობრივი უზუსი ინდივიდუალურ მოქმედებასთან.** ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ყველა გარდამავალი საფეხური...¹

... ინდივიდის დამოკიდებულება სხვების მეტყველებისადმი ნაწილობრივ აქტიურია, ნაწილობრივ — პასიური. ინდივიდი ყველაფერს თვითონ არ მოიხმარს, რაც კი მას ესმის...²

და კიდევ: ... ენობრივი ცვლილებანი ინდივიდში თავს იჩენენ მისი სამეტყველო სპონტანური მოქმედების პროცესში ან სხვის ზეგავლენით არიან განსაზღვრულნი. საჭიროა ორივე, რომ **უზუსის** ცვლა მივიღოთ.

სხვის გავლენას ადამიანი ყოველთვის განიცდის, მაგრამ განსაკუთრებულია ამ მხრივ ენის შესწავლის მომენტი. ენას ადამიანი სწავლობს მეტ-ნაკლებად მთელი თავისი სიცოცხლე, მაგრამ სრულიად თავისებურია ამ მხრივ ენის შესწავლა ბავშვის მიერ. როცა ჩვენ რამდენიმე ხნის მანძილზე ენის ცვლას ვადასტურებთ, ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით: **ენა ხელახლა შეიქმნა**, და ეს ახალი შენაქმნი მთლად არ ხვდება წინანდელ ენასა³.

ესაა დამახასიათებელი ადგილები ჩვევის (უზუსის) შესახებ.

§ 40. პაულის კონცეფციის კრიტიკული ანალიზი. ჩვენ ვცდილობდით საკმაოდ დაწვრილებით წარმოგვედგინა პაულის მოსაზრებანი — ენის, როგორც ენათმეცნიერების შესწავლის საგნის, რაობის შესახებ; ენის ცვლის პირობათა შესახებ; ენათმეცნიერების, როგორც კულტურის (resp. საზოგადოებრივი) მეცნიერების შესახებ; ისტორიულ მეცნიერებათათვის საჭირო პრინციპთმოდგრების რაობისა და ხალხთა ფსიქოლოგიასთან მისი მიმართების შესახებ. უკანასკნელი სამი საკითხის განხილვა საშუალებას გვაძლევს უკეთ გავერკვეთ პაულის შეხედულებაში პირველ საკითხებზე.

ჩვენ ვეცადეთ პაულის შეხედულებანი გადმოგვეცა ვრცლად, მასთან, ავტორისეული რედაქციით; მხოლოდ თანამიმდევრობაა შეცვლილი იქ, სადაც ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ პაულის აზრთა მსვლელობა უფრო ნათელი გამხდარიყო.

პაულის კონცეფციის ასე დაწვრილებით გადმოცემა, ვფიქრობთ, გამართლებულია იმით, რომ, ჯერ ერთი, პაულის „პრინციპები ენის ისტორიისა“ ორმოცი წლის მანძილზე სახელმძღვანელო თეორიულ შრომად

¹ Prinzip., § 17, გვ. 32-33.

² იქვე, § 17, გვ. 33.

³ იქვე, § 18, გვ. 34.

ითვლებოდა ზოგად ენათმეცნიერებაში (გარკვეული მნიშვნელობა დღემდისაც არ დაუკარგავს); მეორეცაა და, სპეციალურ ლიტერატურაში პაულის შესხედულებათა დეტალური ანალიზი არ მოგვეპოვება.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, პაულის კონცეფციის ფუძემდებელ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ **ფსიქოლოგიზმი** და **ინდივიდუალიზმი**.

ფსიქოლოგიზმთან აქ საქმე გვაქვს, რამდენადაც ენის რაობად გამოცხადებულია სამეტყველო აქტების ფსიქიკური სუბსტრატი, სამეტყველო წარმოდგენათა ორგანიზმი.

მაგრამ ასეთი ორგანიზმები შეიძლება გვექონდეს **მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებში. რამდენი ინდივიდიცაა, იმდენი ენაცა გვაქვს, — ქეშმარიტი რეალობა მხოლოდ ინდივიდუალურ ენას აქვსო.**

ამგვარად, **ფსიქოლოგიზმმა განსაზღვრა ინდივიდუალიზმი:** ამოსავალია ფსიქოლოგიზმი, მისი ლოგიკური გაგრძელებაა ინდივიდუალიზმი. ასეთია ამ ორი საწყისის შინაგანი კავშირი პაულის კონცეფციაში, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც **ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი**.

პაული აღნიშნავს, რომ ენა არ ამოიწურება ფსიქიკური მომენტებით. როდესაც ის ცდილობს გამიჯნოს თავისი პრინციპთმოდგრება ლაცარუსისა და შტაინთალის „ხალხთა ფსიქოლოგიისაგან“, ის წერს:

„ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ფაქტი, რომელიც ჩვენ არასოდეს არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან — სახელდობრ, ის, რომ ყოველი წმინდა ფსიქიკური ურთიერთმოქმედება ხდება ცალკეული სულის შიგნით. ყოველი ურთიერთობა სულთა შორის კი არის არაპირდაპირი, ფიზიკური გზით გაშუამავლებული“¹.

და მერე: **„ყოველივე ის, რის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ერთი ინდივიდის მოქმედება მეორეზე, არაფსიქიკურია“**².

სხვანაირად რომა ვთქვათ: **ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, არაა ფსიქიკური მოვლენა, ურთიერთობის საშუალებად ის გამოდგება, რამდენადაც ენობრივი ნიშნების მასალა ფიზიკურია.**

მაგრამ ასეთ დასკვნას პაული არ აკეთებს; პირიქით, როცა მას უხდება ენის ფსიქოლოგიის საჭიროების შესახებ თავისი აზრი გამოთქვას, იგი რ. დიტრიხს ასეთი სიტყვებით ემიჯნება:

„**ფსიქოლოგიური უნდა იყოს მთელი ენათმეცნიერება** მაშინაც კი, როცა საქმე ეხება ცალკეული ფაქტების დადგენას. ენის ფსიქოლოგიისათვის, როგორც ცალკე დარგისათვის, ადგილი არ რჩება არც ენათმეცნიერების შიგნით და არც ფსიქოლოგიის შიგნით“³.

¹ იქვე, § 7, გვ. 12 (ხაზი პაულისაა).

² იქვე, § 7, გვ. 13 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, § 10, გვ. 21, შენიშვნა (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ეს — ფსიქიკურისა და ფიზიკური მხარის შესახებ ენაში პაულის მიხედვით. ახლა — ინდივიდუალურისა და სოციალური მომენტების ურთიერთობისათვის.

პაულის ინდივიდუალიზმი, როგორც ვნახეთ, არ გამოირიცხავს ენობრივი ჩვევის (უზუსტის) ცნებას. ენის განვითარების პაულისეული ფორმულა აგებულია ამ ცნების სრული გათვალისწინებით:

„ენობრივი ჩვევის ყოველი ცვლა არის შედეგი ცალკეული ინდივიდების ნებისმიერი იმპულსებისა, ერთი მხრივ, და ურთიერთობის მიმართებათა (Verkehrsverhältnisse), მეორე მხრივ“¹.

„აუცილებელ შედეგს იმისა, რომ ენა არის ურთიერთობის საშუალება, ის წარმოადგენს, რომ ენა უკუაგდებს ყველაფერ წმინდა ინდივიდუალურს..., რომ ის არ იღებს და არც იცავს ისეთს არაფერს, რასაც არა აქვს სანქცია ისეთ ინდივიდთა გარკვეული რაოდენობის თანხმობის სახით, რომელნიც ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან“².

„როგორია ენობრივი ჩვევისა და ინდივიდუალური სამეტყველო მოქმედების ურთიერთობა? რაგვარად განსაზღვრავს პირველი მეორეს და როგორ მოქმედებს, პირუკუ, ეს უკანასკნელი პირველზე? აი კითხვა, რომლის გარშემოც თავს იყრის ენის ისტორიის პრინციპთა მთელი მოძღვრება“³.

ასეთი გამონათქვამები პაულისათვის შემთხვევითი როდია. ენათმეცნიერება პაულისათვის, როგორც ვიცით, სოციოლოგიური მეცნიერებაა:

„მეცნიერება კულტურის შესახებ არის ყოველთვის მეცნიერება საზოგადოების შესახებ. მხოლოდ საზოგადოება ხდის შესაძლებელს კულტურას, მხოლოდ საზოგადოების წყალობით იქცევა ადამიანი ისტორიულ არსებად“⁴.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს თავის ადგილას (იხ. გვ. 69), თქმულის შესაბამისად პაული კულტურისმეცნიერებათა პრინციპთა მოძღვრების ამოცანად სახავს — „გვაჩვენოს, როგორ მიმდინარეობს ინდივიდთა ურთიერთობა, რა მიმართებაშია ცალკეული პირი ადამიანთა კოლექტივთან, იღებს და აძლევს რა, განსაზღვრავს და განისაზღვრება რა, როგორ იღებს ახალი თაობა ძველი თაობის მემკვიდრეობას...“⁵

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ზოგადი დებულებები არაა რეალიზებული ენის რაობის რკვევისას: **ენობრივი ჩვევის ცნება, მისი ადგილი, მისი წარმომავლობა ვერ პოულობენ ახსნას პაულის კონცეფციაში.**

¹ იქვე, § 25, გვ. 41.

² იქვე, § 9, გვ. 19-20.

³ იქვე, § 17, გვ. 33.

⁴ იქვე, § 5, გვ. 7.

⁵ იქვე.

ერთი სიტყვით, გაუგებარი რჩება — რავგარად შეიძლება ინდივიდუალური ენა იქცეს ურთიერთობის საშუალებად. ცნება „ინდივიდუალური ენა“ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, თუ „ინდივიდუალური“ **ინდივიდისთვის სპეციფიკურს** ნიშნავს: ასეთი რამ ვერ იქნება ურთიერთობის საშუალება, ე. ი. ვერ იქნება ენა. მაგრამ თუ „ინდივიდუალური ენა“ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ის **ინდივიდშია მოცემული**, რასაკვირველია, რჩება შესაძლებლობა „ინდივიდთა ენების“ ერთგვარობისა: სხვადასხვა ინდივიდში მოცემული შეიძლება ერთგვარი იყოს, ურთიერთობის საშუალების როლში ასეთი „ინდივიდუალური“ დაუბრკოლებლივ მოგვევლინება. მაგრამ მაშინ უნდა ავხსნათ — საიდან გაჩნდა სხვადასხვა ინდივიდში ეს ერთგვარობა? პაულთან კი ამისი ახსნა არაა მოცემული.

ამრიგად, **ენის ცვლა და ცვალებადობა კი არაა ძნელი ასახსნელი¹ პაულის კონცეფციაში, არამედ თვით შესაძლებლობა ენისა, როგორც ურთიერთობის საშუალებისა.**

პაულის ინდივიდუალიზმი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მას შემუშნეველი რჩება ენის სოციალურობის ფაქტი, არამედ იმაში, რომ ფსიქოლოგიზმის პოსტულატებზე დაფუძნებულ მის კონცეფციაში **შეუძლებელი ხდება მეტყველების სოციალურ არსს შესაფერი ადგილი მივუჩინოთ. ამიტომევა, რომ არც ენობრივი ჩვევის (უზუსის) რაობაა ცნადი და არც მისი წარმოქმნაა გასაგები.** ასეთია ობიექტური ვითარება.

ამასთანავეა კავშირში შემდეგიც: როცა პაული ლაცარუსისა და შტაინთალის „ხალხთა ფსიქოლოგიას“ ემიჯნება, მეტყველების არაფსიქიკურ მომენტებზე მითითება **სოციალურის ელიმინაციასა და ინდივიდუალურის პრინციპულად განმტკიცებას მოასწავებს.**

ფსიქოლოგია, რომლისაკენაც პაული წარმართავს ენათმეცნიერებას, ესაა ჰერბარტის ფსიქოლოგია, — ინტელექტუალისტური და ასოციაციონისტური², დამახასიათებელი მოძღვრებით ქვეცნობიერ ფსიქიკურ მოვლენათა შესახებ. ცნება „ქვეცნობიერი ფსიქიკური მოვლენისა“ ენის რაობის განსაზღვრისას პაულისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.

ვუნდტის რეპლიკას: შეუცნობელი არ შეიძლება იყოს ფსიქიკური, მას შეუძლია მხოლოდ ფიზიკური კვალი დატოვოსო³, პაული უპასუხოდ ტოვებს.

¹ ბირიქით, ეს ცვალებადობა უცილობელი ხასიათისაა (იხ. ზემოთ, § 38).

² ჰერბარტისათვის აპერცეფცია-ცნებაც არაა შემთხვევითი; ამისდა მიუხედავად ასოციაციონიზმი ჰერბარტის ფსიქოლოგიისათვის არსებითი. აპერცეფცია — ჰერბარტისული გაგებით — ასოციაციის პრინციპს კი არ გამორიცხავს, არამედ მის ფონზე ხდება გასაგები.

³ იქვე, § 12, გვ. 25, შენიშვნა.

რამდენადაც ქვეცნობიერის ფსიქოლოგიური არსი გვინტერესებს, არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ფრ. მისტელის კრიტიკული შენიშვნა ამ მუხლის შესახებ პაულთან.

„შეუცნობელი, რაკი მას ვერ აღვიქვამთ ვერც შინაგანად, ვერც გარეგანად, წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა“¹.

ამგვარად, მეტყველების არაცნობიერი ხასიათი ართულებს ფსიქოლოგიასთან ურთიერთობის პრობლემას: როგორ შეიძლება ფსიქოლოგია იყოს თეორიული დასაყრდენი ენათმეცნიერების პრინციპომოდერებისა, როცა ენობრივი ფაქტი, ენობრივი წარმოდგენები **ქვეცნობიერის არეს** განეკუთვნება?

ფსიქოლოგია არაა ქვეცნობიერის შემსწავლელი მეცნიერება. აქ პაულის პოზიციის სისუსტე ჰერბარტის ფსიქოლოგიური სისტემის სისუსტითაა შეპირობებული.

ამდენად, **პაულის ფსიქოლოგიზმი თვით ფსიქოლოგიის თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არადამაკმაყოფილებელია.**

მაგრამ ესეც რომ არ იყოს — პაულის ფსიქოლოგიური ბაზა არავითარ შენიშვნებსაც რომ არ იწვევდეს ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, — პაულის თეზისის გაზიარება ენის რაობის შესახებ მაინც მიუღებელი იქნებოდა და აი რატომ: **თუ ენა წარმოდგენათა ორგანიზმია** და ენათმეცნიერების ამოცანა ამ წარმოდგენათა შესწავლაში მდგომარეობს, **ენათმეცნიერება ფსიქოლოგიის დარგი ყოფილა** (გამოვიდოდა, რომ ფსიქოლოგია, საერთოდ, წარმოდგენებს სწავლობს, ხოლო ენათმეცნიერება ერთ-ერთი სახის წარმოდგენებს, სამეტყველო წარმოდგენებს).

ამგვარად, **ენის რაობის პაულისეულ გაგებას ლოგიკურად მივყავართ ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, გაუქმებისაკენ**, ენათმეცნიერების თეორიული დასაბუთება იქცევა ენათმეცნიერების პრინციპულ უარყოფად, — ესაა უტყუარი ნიშანი პაულის ძირითადი დებულების მცდარობისა.

რა თქმა უნდა, ასეთი შედეგი შემთხვევით არ მიგვიღია. ესაა შედეგი იმ ღრმა პრინციპული შეცდომისა, რომელიც დაშვებულია ენის რაობის განსაზღვრისას — **ენა წარმოდგენათა ორგანიზმია**ო:

სამეტყველო წარმოდგენები — სამეტყველო აქტების პროდუქტია, ურომლისოდაც ეს წარმოდგენები ვერ გაჩნდება.

¹ იხ. Misteli-ს რეცენზია პაულის „პრინციპების“ პირველ გამოცემაზე ჟურნალში "Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft", Bd. XIII (1881), 2, გვ. 397.

მეტყველების პროცესში ეს წარმოდგენები საყრდენია¹, მაგრამ ენა არაა წარმოდგენები; ეს წარმოდგენები, ამრიგად, **ნალექცაა და საყრდენიც**. ეს წარმოდგენები შეიძლება მოქმედებდეს ენობრივი ფაქტების ცვლაზე (ასიმილაცია, დისიმილაცია, ანალოგია...), მაგრამ ამის გამო ენას ვერ გავაიგივებთ ამ წარმოდგენებთან. სამეტყველო წარმოდგენებსა და თვით მეტყველების ფაქტს შორის ისეთივე შეფარდებაა, როგორც მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურასა და თვით მუსიკალურ ნაწარმოებს შორის: ამა თუ იმ სიმფონიაზე, ოპერაზე და სხვ. რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში პარტიტურა (ნოტები) კი არა გვაქვს, არამედ ის **აკუსტიკური ფაქტი**, რომელიც ესთეტიკურ განცდებს აღძრავს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ უპარტიტუროდ მუსიკალურ ნაწარმოებს არტისტი-შემსრულებელი ვერ ისწავლის (დირიჟორიც საკონტროლოდ ისევ ამ პარტიტურას საჭიროებს).

სწორ დებულებას შეიცავს, თუმცა გამოუყენებელი რჩება, პაულის სიტყვები: მეტყველების პროცესში ინდივიდთა ურთიერთობა გაშუამავლებულია ფიზიკური გზითაო: **ენა ურთიერთობის ფიზიკური საშუალებაა, ენობრივი ფაქტები ურთიერთობისათვის განკუთვნილი ფიზიკური ნიშნებია ენობრივი კოლექტივის წევრთათვის**².

ენათმეცნიერება სწავლობდა და სწავლობს სწორედ ამ ფიზიკურ ნიშნებს — მათს **მასალას**, მათს **სტრუქტურას**, მათს **ფუნქციას**.

და ამიტომ, როდესაც პაული ეძიებს გზებს, რათა მისწვდეს სამეტყველო წარმოდგენებს და მიუთითებს, რამდენ სიძნელესთანაცაა ეს დაკავშირებული³, პირდაპირ უნდა ითქვას: ენათმეცნიერს არ სჭირდება სათანადო დაბრკოლებათა დაძლევა, ენათმეცნიერება **ამ წარმოდგენებს არასოდეს სწავლობდა**, ის მათ არც ახლა სწავლობს (სწორედ ისევე, როგორც ბოტანიკოსი ან მინერალოგი არ სწავლობს თავის წარმოდგენებს მცენარეთა თუ მინერალთა შესახებ, არამედ — თვით ამ მცენარეებსა და მინერალებს, როგორც ბუნების ფაქტებს).

ენის რაობის განმარტებისას ფსიქოლოგიზმის დასაბუთება პაულთან ზოგად მეთოდოლოგიურ პრინციპამდის აღის: გარეგანი, ფიზიკური მომენტებიდან სიმძიმის ცენტრის გადატანით შინაგან, ფსიქიკურ მომენტზე პაულმა — ნებსით თუ უნებლიეთ — დაასაბუთა ენის რაობის იდეალისტური თვალსაზრისი: გარეგანი, არაფსიქიკური, ობიექტური სინამდვილის დაყვანა შინაგან, ფსიქიკურ, სუბიექტურ სინამდვილემდის, შინაგან გამოცდილებამდის — ძირითადი გნოსეოლოგიური პოსტულატია სუბიექტური იდეალიზმისა.

¹ რამდენად აუცილებელი ელემენტია ეს საყრდენი ენისათვის — ამაზე ქვემოთ.

² როგორც ქვემოთ ნაჩვენებია იქნება, ფიზიკურზე მითითება სოციალურის დაჩრდილვას ოდნავადაც არ მოასწავებს, რამდენადაც **ურთიერთობის ცნება** ამოსავალი; მასთან, არც ნატურალიზმს იძლევა, რადგანაც ეს ფიზიკური — **ნიშანია**.

³ იქვე, § 15, გვ. 29.

საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკა ვერ გაამართლებს ფსიქოლოგიზმს.

სადავოა პაულის ისტორიზმიც. არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ისტორიული განვითარების პროცესის პაულისეული გაგება არადამაკმაყოფილებელია, — ფორმულის კონკრეტული შინაარსია უმართებულო, — არამედ იმ მხრივაც, რომ თვით ფორმულა არაა ჯეროვანი სახისა, თუ გავითვალისწინებთ ისტორიული ენათმეცნიერების საკვლევაძიებო პრაქტიკას.

მართალია, რომ ენათმეცნიერება ისტორიული მეცნიერებაა: ისტორიულმა შესწავლამ აქცია ენის შესახებ აზროვნება ენათმეცნიერებად. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ყველაფერი **არაისტორიული** გამოგვეცხადებინა **არამეცნიერულად**: მარტოდენ აღწერითი ანალიზი ერთი გარკვეული მომენტისა, თუკი იგი სწორად ასახავს ფაქტობრივ ვითარებას, საჭირო და სასარგებლო საქმეა; რასაკვირველია, ეს **არაა საკმარისი** მეცნიერული შესწავლისათვის, მაგრამ იგი აუცილებელი წინაპირობაა თვით ისტორიული ანალიზისა.

ამდენადვე შეუძლებელია აღწერითი ანალიზი **დავუბირისპიროთ** ისტორიულს. და მერე: ისტორიზმის პრინციპის პაულისეული განმარტება ასუსტებს ყურადღებას აღწერითი ანალიზის ურთულესი მეთოდოლოგიური საკითხებისადმი; ეს საკითხები არსებითად მხედველობის არის გარეშე რჩება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პაულის დამოკიდებულება ენათმეცნიერების თეორიული საკითხებისადმი: **პრინციპთმოძღვრება** — საკითხის დასმის თვალსაზრისით — მეტად **საყურადღებო** მოვლენაა. პაული არ ცდებოდა, როცა წერდა: უკანასკნელ ხანებში ადგილი რომ ჰქონდა კამათს, იმან ცხადყო, რამდენად ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი ენათმეცნიერთათვისი მეცნიერების საფუძვლებიო.

ენათმეცნიერება ისტორიული დისციპლინაა და ისტორიული განვითარების თეორიული პრობლემები არ შეიძლება ენათმეცნიერს არ აინტერესებდეს. პაულის პრინციპთმოძღვრება **თავისი პრობლემატიკით ისტორიის ფილოსოფიაა, კულტურის-მეცნიერების პრინციპთმოძღვრება კი — საზოგადოებრივი განვითარების თეორიაა.**

III. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმი

§ 41. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმის მთავარი წარმომადგენლები. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმის სახელწოდებით ჩვენ აღვნიშნავთ იმ მიმდინარეობას, რომელსაც ჩვეულებრივად „ფრანგული სოციოლოგიური სკოლა“ ეწოდება. ამჟამად ესაა ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის თეორიულ ენათმეცნიერებაში. ანტუან

მეიე, ფერდინანდ დე-სოსიური, შ. სეშე, ჟ. ვანდრიესი, შ. ბალი ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან.

ძირითადი შრომები, სადაც ფრანგული სოციოლოგიური სკოლის თეორიული მრწამსია წარმოდგენილი, შემდეგია:

1. ანტ. მეიე: „ისტორიული ენათმეცნიერება და ზოგადი ენათმეცნიერება“, ტ. I (1921), ტ. II (1936), — წერილების კრებული, მეტწილად თეორიული ხასიათისა. ენის რაობის დახასიათებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ზოგადი ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა“ (შესავალი ლექცია, 1906 წელს წაკითხული)¹.

ანტ. მეიე: „ენათმეცნიერება“, კრებულში „მეცნიერებათა მეთოდი“, ტ. II (1911), გვ. 265-314².

3. ფერდ. დე-სოსიური: „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, 1916 წ. პირვ. გამოც. (მეორე გამოცემიდანაა რუსული თარგმანი; გამოვიდა 1933 წ.)³.

4. შ. ალბ. სეშე: „პროგრამა და მეთოდები თეორიული ენათმეცნიერებისა“, პარიზი, 1908⁴.

5. ჟ. ვანდრიესი: „ენა. ენათმეცნიერული შესავალი ისტორიაში“, 1920 წ., რუსული თარგმანი, 1937 წ.⁵

6. შ. ბალი: „მეტყველება და ცხოვრება“, პარიზი, 1926 წ.⁶

7. შ. ბალი: „ზოგადი ენათმეცნიერება და ფრანგული ენათმეცნიერება“, პარიზი, 1932 წ.⁷

§ 42. სოსიურის კონცეფციის საკვანძო პუნქტები. მთლიანი ენათმეცნიერო კონცეფციის სახით სოციოლოგიური თვალსაზრისი მოცემულია სოსიურის „კურსში“. ჩვენც ამ შრომით დავიწყებთ ჩვენთვისაინტერესო საკითხის განხილვას.

ფერდინანდ დე-სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ ავტორის გარდაცვალების შემდეგაა გამოცემული სოსიურის მოწაფეების ბალისა და სეშეს მიერ; შრომას საფუძვლად დაედო სოსიურის საუნივერსიტეტო ლექციების ჩანაწერები (სათანადო კურსი წაკითხული იყო ჟენევის უნივერსიტეტში 1906 /7, 1908 /9 და 1910 /11 აკად. წლებში; კურსის

¹ A. Meillet. Linguistique historique et linguistique générale. I. Paris, 1921. იხ. განსაკუთრ. წერილი: L'état actuel des études de linguistique générale (1906).

² A. Meillet. "Linguistique", კრებულში: De la méthode dans les sciences. Deuxieme série, Paris, 1911, გვ. 265-314.

³ Ferdinand de Saussure. Cours de Linguistique générale, I გამოც. — 1916 წ., II გამოც. — 1922 წ., III გამოც. — 1931 წ.

⁴ Ch. A. Séshéhayé. Programme et méthodes de la linguistique théorique. Paris, 1908.

⁵ J. V andryes. Le langage. Introduction linguistique à l'histoire. Paris, 1920.

⁶ Ch. B ally. Le langage et la vie. Paris, 1926.

⁷ Ch. B ally. Linguistique générale et linguistique française. Paris, 1932.

აღდგენისას ძირითადად გამოყენებულია 1910 / 11 წლის კურსის მასალა)¹. კურსი რომ ავტორის ხელიდან გამოსულიყო, საფიქრებელია, ზოგი ადგილი ბუნდოვანი არ დარჩებოდა. თუ ასეთი ადგილები მაინც თითზე ჩამოსათვლელია, ამას უნდა ვუმაღლოდეთ გამომცემლებს, და უფრო მეტად — ავტორს: სოსიურის კონცეფცია მთლიანი და ჩამოყალიბებული სახისა რომ არ ყოფილიყო, სალექციო ჩანაწერების მიხედვით ამ კურსის გამოქვეყნება არ მოხერხდებოდა.

სოსიურის კონცეფციის საკვანძო პუნქტებს (ენის რაობის თვალსაზრისით) ქმნის:

ა. გარჩევა ცნებებისა **ენა და მეტყველება**;

ბ. **ენობრივი ნიშნის** რაობის განსაზღვრა;

გ. **სინქრონიულისა და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობის თავისებური გაგება**.

სოსიური განასხვავებს სამ ცნებას; ეს ცნებებია: ა. „სამეტყველო მოქმედება“, უფრო ზუსტად: „**მეტყველების უნარი**“ — *langage*; ბ. „მეტყველება“, უკეთ, „**მეტყველების აქტი**“, „**თქმის აქტი**“, „**სიტყვა**“² — *parole*; გ. „**ენა**“ — *langue*.

§ 43. ენა და სიტყვა (მეტყველების აქტი) სოსიურთან. ამ ზოგადი ფენომენის შიგნით, რომელსაც მეტყველების უნარი (*langage*) ეწოდება, სოსიური განასხვავებს ორ ფაქტორს: **ენას** (*langue*) და **სიტყვას (მეტყველების აქტს** — *parole*)³.

ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ორი ცნების ურთიერთობა.

ამ ცნებათა დახასიათებას სოსიური იძლევა თავისი შრომის მთელ რიგ ადგილებში. ყველაზე არსებითია შემდეგი:

„გამოყოფთ რა **ენასა** და მეტყველების აქტს (*სიტყვას*), ჩვენ ამით გამოვაცალკევებთ:

ა. სოციალურს ინდივიდუალურისაგან,

ბ. არსებითს მეორენარისხოვანისა და მეტ-ნაკლებად შემთხვევითისაგან“⁴.

სიტყვა — ესაა „ყველაფრის ჯამი, რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, და შეიცავს:

¹ იხ. ბალისა და სეშეს წინსიტყვაობა, რუს. თარგმ., გვ. 26. ქვემოთ ყველგან მითითება რუსულ თარგმანს გულისხმობს.

² სიტყვა, როგორც „იტყვის“-ზმნის მასდარი („სიტყვა“ = „თქმა“), ახლოსაა ფრანგ. *parole*-თან, თუმცა ზუსტად არ შეეფერება მას; გარკვეულ შემთხვევებში „მეტყველების აქტიც“ დაგვჭირდება.

³ ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, რუს. თარგმანი, *Курс общей лингвистики* (1933 წ.), გვ. 86: შემოკლებით: „კურსი“.

⁴ იქვე, გვ. 38.

ა. ინდივიდუალურ კომბინაციებს, რომლებიც დამოკიდებულია მოლაპარაკეთა ნებისყოფაზე;

ბ. იმ მეტყველების აქტებს, რომლებიც აუცილებელია ამ კომბინაციათა შესასრულებლად.

მაშასადამე, **სიტყვაში არაფერია კოლექტიური, მისი გამოვლენა ინდივიდუალურია და ერთბაში**¹.

„... სიტყვა არის ნებისყოფისა და გაგების ინდივიდუალური აქტი, რომელშიაც უნდა განვასხვაოთ:

ა. ის კომბინაციები, რომელთა მეშვეობითაც მოლაპარაკე პირი იყენებს ენობრივ კოდექსს თავისი პირადი აზრის გამოსახატავად;

ბ. ფსიქოფიზიკური მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოახდინოს ამ კომბინაციათა ობიექტივაცია“².

სიტყვის საპირისპიროდ:

...ენა არის „ზოგადად სამეტყველო მოქმედების **სოციალური ელემენტი**, გარეგანი — **ინდივიდის მიმართ, რომელსაც თავისდათავად არ შეუძლია არც შექმნას ენა, არც შეცვალოს იგი**“³.

„ენა — ესაა საგანძური, რომელიც სამეტყველო პრაქტიკის წყალობით დაილექება ყველაში, ვინც ეკუთვნის ერთ საზოგადოებრივ კოლექტივს, ესაა გრამატიკული სისტემა, პოტენციურად არსებული ყოველ ტვინში ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ინდივიდთა მთელი ჯგუფის ტვინებში, ვინაიდან ენა სრულად არ არსებობს არც ერთ მათგანში, ის არსებობს სრული სახით მხოლოდ მასაში“⁴.

ენა „სისტემაა ნიშანთა, რომლებიც გამოსახავენ წარმოდგენებს (იდეებს)“⁵.

„ენა სისტემაა ნიშანთა, რომელშიაც ერთადერთ არსებითს წარმოდგენს აზრისა და აკუსტიკური სახის შეერთება“⁶.

„კოლექტივის დასტურის მქონე ასოციაციები, რომელთა ერთობლიობასაც ენა წარმოადგენს, ესაა რეალობანი, რომელთა ადგილსამყოფელიც ტვინშია“⁷.

¹ იქვე, გვ. 42-43 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 38.

³ იქვე, გვ. 39 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, გვ. 38.

⁵ იქვე, გვ. 40.

⁶ იქვე, გვ. 39.

⁷ იქვე, გვ. 39.

„მეტყველებას მოწყვეტილი ენა ცალკე შესწავლის საგანიცაა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ მკვდარ ენებზე, მაგრამ ჩვენ მშვენივრად შეიძლება დავეუფლოთ მათ ენობრივ ორგანიზმს“¹.

„ენა არსებობს კოლექტივში ანაბეჭდთა ერთობლიობის სახით, რომლებიც მოიპოვება ყოველ ტვინში ისე, როგორც, ვთქვათ, ლექსიკონი, რომლის სრულად ერთგვარი ცალები მოიპოვება სხვადასხვა პირთა სარგებლობაში. ამრიგად, ესაა რალაცა, რაც აქვს ყოველ ინდივიდს, მასთან საერთოა ყველასთვის და მის მქონებელ პირთა ნებისყოფაზე დამოკიდებული არაა“².

სიტყვა (მეტყველების აქტი) და ენა „ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთი მეორეს ვარაუდობს: ენა აუცილებელია, რომ სიტყვა (მეტყველების აქტი) იყოს გასაგები და მთელი თავისი მოქმედება გამოავლინოს: თავის მხრივ, სიტყვა (მეტყველების აქტი) აუცილებელია იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ენა; ისტორიულად მეტყველების აქტი ყოველთვის წინ უსწრებს ენას“³.

§ 44. ენობრივი ნიშნის თვისებები. ენა ნიშანთა სისტემაა (იხ. ზემოთ, აქვე). **რა თვისებები ახასიათებს ენობრივ ნიშანს? ენობრივი ნიშანი ნებისმიერია: „კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ნებისმიერია“⁴.**

„ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი ... იქვემდებარებს ენის მთელ ლინგვისტიკას; მისი შედეგები აურაცხელია“⁵.

„თუ გამოსახატავი წარმოდგენის (იდეის) მიმართ აღმნიშვნელი თავისუფლად შერჩეული ჩანს, პირუკუ, იმ ენობრივი კოლექტივის მიმართ, რომელიც მას იყენებს, აღმნიშვნელი არაა თავისუფალი, იგი თავზე მოხვეულია“⁶

„ყოველს ეპოქაში ... ენა გამოდის, როგორც წინა ეპოქის მემკვიდრეობა. აქტი, რომლის ძალითაც გარკვეულ მომენტში სახელები მიეკუთვნება ნივთებს, რომლის ძალითაც დაიდო ხელშეკრულება ცნებებსა და აკუსტიკურ სახეებს შორის, ასეთი აქტი, თუმცა კი წარმოსადგენია, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა დადასტურებული“⁷.

¹ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 42 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 45 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე, გვ. 79 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁵ იქვე, გვ. 79.

⁶ იქვე, გვ. 81 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁷ იქვე, გვ. 81.

ბუნებრივია ვიკითხოთ: რაკი ნიშნები ნებისმიერია, რატომ არა აქვს ადგილი „ამგვარი ნიშნებისაგან შემდგარ ენაში საერთო და ერთბაშად ცვლას?“

სოსიური მიუთითებს ოთხ გარემოებაზე:

ა. ნიშანი ნებისმიერია. „...ნიშნის თავით ეს ნებისმიერობა იცავს ენას ყოველგვარი ცდისაგან, რომელიც მიმართული იქნებოდა მისი შეცვლისაკენ“: რაკი ნიშნები ნებისმიერია, არ შეიძლება დაისვას საკითხი, რომელი მათგანია უფრო რაციონალური; მაგ., ფრ. boeuf (ბ ფ), გერმ. Ochs (ოქს), რუს. бык, ქართ. ხარი — ყველა პირობითი ნიშანია სათანადოდ ცხოველისა; მაშასადამე, უკეთეს-უარესის საკითხი არ დაისმისო.

ბ. ნიშნები, რომელთაც იყენებს ენა, მრავალია და ეს აძნელებს ნიშანთა ცვლას.

გ. ენობრივი სისტემა მეტად რთულია: ამ სისტემის მექანიზმი რთულია, და ცვლილების შეტანაც — ძნელი; სპეციალისტები თუ ერკვევიან ამ მექანიზმში და მხოლოდ მათ თუ შეუძლიათ გარკვეული ცვლილებები დასახონ, მაგრამ, რამდენადაც ვიცითო, — შენიშნავს სოსიური, — ასეთი ცდა, როცა კი მას ჰქონია ადგილი, უშედეგო აღმოჩენილაო.

დ. კოლექტივის ინერცია ეწინააღმდეგება ყოველ სიახლეს ენაში: ყოველ ცალკე მომენტში ენა არის ყოველი ცალკეული პირისა და ყველას საქმე... ამ მხრივ ენა შეუძლებელია შევადაროთ სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს. კანონის მოთხოვნებიანი, რელიგიური წესები (რიტუალები), საზღვაო სიგნალები და სხვ. ერთდროულად ეხება მხოლოდ პირთა განსაზღვრულ რაოდენობას და ისიც განსაზღვრული ხნის განმავლობაში; ენაში კი, პირუკუ, ყველა იღებს მონაწილეობას ყოველ წუთს, რის გამოც ენა განიცდის ყველას მუდმივ გავლენას. მხოლოდ ეს ერთი ძირითადი ფაქტიც კმარა, რომ ცხადვყოთ ენაში რევოლუციის შეუძლებლობა. ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტს შორის ენა ქმნის ყველაზე მცირე სარბიელს ინიციატივისათვის. ენას ვერ მოვწყვეტთ საზოგადოებრივი მასის ცხოვრებას, რომელიც (მასა) არის რა ბუნებით ინერტული, გვევლინება, პირველ ყოვლისა, როგორც კონსერვატული ფაქტორი“¹.

შემდეგ სოსიური განაგრძობს: „თუ ენა მდგრადია, ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაკავშირებულია კოლექტივის ინერტულ მასასთან, არამედ იმის გამოც, რომ ის მოცემულია დროში. ეს ორი ფაქტი განუყრელია. წარსულთან სოლიდარობა განუწყვეტლივ აწევს არჩევის თავისუფლებას“².

სოსიური დაასკვნის: „სწორედ იმიტომ, რომ ნიშანი ნებისმიერია, მან არ იცის სხვა კანონი გარდა ტრადიციის კანონისა და მხოლოდ იმიტომ შეიძლება იგი იყოს ნებისმიერი, რომ ემყარება ტრადიციას“³.

¹ იქვე, გვ. 83.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 83 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„დრო“ და „მეტყველი მასა“, სოსიურის მიხედვით, რომ ქმნის აუცილებელ ფონს ენის რაობის გამოვლენისათვის:

„დროის მოქმედებას, რომელიც შეხამებულია სოციალური ძალის მოქმედებასთან“, მივყავართ იქითკენ, რომ „დროის კატეგორიის გარეშე ენობრივი რეალობა არასრულია... თუ ჩვენ ავიღებდით ენას დროში, მაგრამ მეტყველთა მასის გარეშე (წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სრულიად მარტო ცხოვრობს), მასში, შესაძლოა, არც აღმოჩნდებოდა რაიმე ცვლილება: დრო არ გამოვვივლენდა თავის მოქმედებას. და, პირუკუ, თუ მეტყველთა მასას ავიღებთ დროის გარეშე, ვერ დავინახავთ სოციალურ ძალთა მოქმედებას ენაზე“¹.

§ 45. ენობრივი ნიშნის რაობა. როგორია ენობრივი ნიშნის ბუნება? სოსიური წერს: „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ სახეს. ეს უკანასკნელი არაა მატერიალური ბგერა, წმინდა ფიზიკური ბგერა, არამედ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდი, წარმოდგენა, მიღებული მის შესახებ ჩვენი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, ესაა — გრძნობითი სახე; თუ ჩვენ მოვიხილავთ მას ვუწოდოთ „მატერიალური“, მხოლოდ ამ გაგებით და იმის გამო, რომ მას უპირისპირდება ასოციაციის მეორე მომენტი — ცნება, საერთოდ, უფრო განყენებული“².

სოსიური განაგრძობს: „ენობრივი ნიშანი არის, ამგვარად, **ორმხრივი ფსიქიკური რაობა**“³.

„ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ეს ტერმინი (ნიშანი) ჩვეულებრივად გულისხმობს მხოლოდ აკუსტიკურ სახეს“... „ნიშანს ჩვენ ვეძახით **ცნებისა და აკუსტიკური სახის კომბინაციას**“... „ჩვენ წინადადებას ვიძლევიტ შევინახოთ სიტყვა **ნიშანი** მთლიანის აღსანიშნავად და შესაბამისად შევცვალოთ ტერმინები „ცნება“ და „აკუსტიკური სახე“ ტერმინებით „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“⁴.

ასე რომ: „აღსანიშნიცა“ (ცნება) და „აღმნიშვნელიც“ (აკუსტიკური სახე) ფსიქიკური მონაცემებია. ამგვარი კომბონენტებისაგან შემდგარი ნიშანი **შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქიკური ოდენობა**, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს სოსიური თავისი ურომის სხვა ადგილებშიც.

ასე, მაგალითად, „ენა“-ცნებისა და „სიტყვა“ („მეტყველების აქტი“)-ცნების ურთიერთობის რკვევასთან დაკავშირებით, სოსიური ამბობს:

¹ იქვე, გვ. 86.

² იქვე, გვ. 77-78 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 78 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„ენა... თავისი ბუნებით ერთგვაროვანი მოვლენაა: ესაა ნიშანთა სისტემა, რომელშიც ერთადერთი არსებითია აზრისა და აკუსტიკური სახის შეერთება, მასთან **ნიშნის ორივე ეს ელემენტი თანაბრად ფსიქიკურია**“¹.

„ენობრივი ნიშნები, თუმცაღა **ისინი თავისი არსების მიხედვით ფსიქიკურნი არიან**, მაგრამ ამასთანავე ისინი არაა აბსტრაქციები...“²

§ 46. სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობისათვის. „სიტყვის“ („მეტყველების აქტის“) და „ენის“ გარჩევასთან კავშირშია **დიაქრონიულისა და სინქრონიული** ენათმეცნიერების გარჩევა (ანუ, ჩვეულებრივი ტერმინები რომ ვიხმართ, ისტორიული და აღწერითი ენათმეცნიერების გარჩევა)...³

ენა „სისტემაა, რომლის ყველა ნაწილი შეიძლება და უნდა განვიხილოთ მათს სინქრონიულ კავშირში“⁴.

„ყველაფერი დიაქრონიული ენაში ასეთად იქცევა სიტყვის (მეტყველების აქტის) საშუალებით“⁵.

„არაფერი არ შემოდის ენაში, რაც წინათ არ ყოფილიყოს გამოცდილი მეტყველებაში, და ევოლუციის ყველა მოვლენის ძირი ინდივიდშია“⁶.

„...ყოველი ახალი მოვლენის ისტორიაში ყოველთვის ვხვდებით ორ განსხვავებულ მომენტს: 1. ინდივიდებთან მისი გამოვლენის მომენტს და 2. ენის ფაქტად მისი გადაქცევის მომენტს, როცა ეს ახალი მოვლენა, რჩება რა გარეგნულად იმადვე, მიიღება კოლექტივის მიერ“⁷.

„სინქრონიამ იცის მხოლოდ ერთი პერსპექტივა, მოლაპარაკე სუბიექტების პერსპექტივა, და მთელი მისი მეტოდი მდგომარეობს მათგან ფაქტების შეგროვებაში... პირუკუ, დიაქრონიულმა ენათმეცნიერებამ უნდა განასხვავოს ორი პერსპექტივა: ერთია **პროსპექტიული**, რომელიც მისდევს დროის მიმდინარეობას, და მეორე, **რეტროსპექტიული**, უკუ-მიმართულებისა“⁸.

ფორმულა, რომელშიაც თავმოყრილია სინქრონიულისა და დიაქრონიული ენათმეცნიერების ნიშან-თვისებები, გვაუწყებს:

¹ იქვე, გვ. 39 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² იქვე, გვ. 39 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

³ იქვე, გვ. 89.

⁴ იქვე, გვ. 93.

⁵ იქვე, გვ. 102 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

⁶ იქვე, გვ. 156.

⁷ იქვე, გვ. 102.

⁸ იქვე, გვ. 96.

„სინქრონიული ენათმეცნიერება შეისწავლის იმ ლოგიკურსა და ფსიქოლოგიურ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ თანაარსებულ ელემენტებს და ქმნიან სისტემას, შეისწავლის რა მათ ისე, როგორც ისინი აღიქმებიან ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ.

დიაქრონიული ენათმეცნიერება, პირუკუ, შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებს ელემენტებს თანამიმდევრობისდა კვალად, არა როგორც აღქმულს ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ, — ელემენტებს, რომლებიც ერთიმეორეს ცვლიან, მაგრამ არა ქმნიან სისტემას“¹.

სოსიურის დიაქრონიული და სინქრონიული ენათმეცნიერება ერთმანეთის საპირისპიროა: „**ორი თვალსაზრისის — სინქრონიულისა და დიაქრონიულის — დაპირისპირება სრულიად აბსოლუტურია** და არ ითმენს არავითარ კომპრომისს“².

რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი: დიაქრონიული თუ სინქრონიული ენათმეცნიერება (და თვალსაზრისი)? სოსიური გვეტყვის:

„პირველ ყოვლისა (ჩვენ ვიწყებთ ყველაზე ცხადი მოვლენიდან) ისინი არ არიან ერთნაირი მნიშვნელობისა. სრულიად ცხადია, რომ **სინქრონიული ასპექტი უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ დიაქრონიული**, რადგანაც **მოლაპარაკე მასის თვალსაზრისით მხოლოდ ისაა ნამდვილი და ერთადერთი რეალობა...** ეგვე ეხება ენათმეცნიერსაც: თუ ის მიიღებს დიაქრონიულ პერსპექტივას, დაინახავს არა ენას, არამედ მხოლოდ მოვლენათა რიგს, რომლებიც ენას სახეს უცვლიან. **ხშირად ამტკიცებენ, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ შევიცნოთ გენეზისი მოცემული მდგომარეობისა; ეს ერთგვარად მართალია; პირობები, რომელთაც შექმნეს მოცემული მდგომარეობა, ცხადს ხდიან ჩვენთვის მის ნამდვილ ბუნებას და გვიცავენ ერთგვარი ილუზიებისაგან;** მაგრამ ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ **დიაქრონია არაა თვითმიზანი**. მის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რაც ნათქვამია ჟურნალიზმის შესახებ: მას შეუძლია მიგვიყვანოს ყველაფრამდის, მაგრამ მხოლოდ მისი ფარგლებიდან გასვლის შემთხვევაში“³.

რაკი ასეა, სავსებით ბუნებრივია, თუ სოსიურმა გარკვეული უპირატესობა უპოვა წინარემეცნიერულ გრამატიკებს, — რაციონალურსა და ფილოლოგიურს (ამ უკანასკნელს სოსიური უწოდებს კლასიკურს): **მათი საგანია ენა, როგორც სისტემა** ანუ, სოსიურის სიტყვებით რომ ვთქვათ:

¹ იქვე, გვ. 103.

² იქვე, გვ. 90 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 95-96 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„... ამ გრამატიკოსთა თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხში აბსოლუტურად უნაკლოა. მათი ნაშრომები ცხადად გვიჩვენებენ, რომ მათ განზრახული ჰქონდათ აეწერათ მდგომარეობანი; მათი პროგრამა მკაცრად სინქრონიულია...“¹.

და შემდეგ: „კლასიკურ გრამატიკას ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ ის არამეცნიერულია მაშინ, როდესაც მისი საფუძველი ნაკლებ ექვემდებარება კრიტიკას და მისი საგანი უკეთაა გარკვეული, ვინემ იმ ენათმეცნიერებისა, რომელსაც ბოჰმა ჩაუყარა საფუძველი...“

„...ენათმეცნიერება მეტად დიდ ადგილს უთმობდა ისტორიას; ახლა მას უხდება დაუბრუნდეს ტრადიციული გრამატიკის სტატიკურ თვალსაზრისს, მაგრამ უკვე ახალი განწყობილებითა და ახალი ხერხებით, ე. ი. გრამატიკის, რომელიც განახლებულია ისტორიული მეთოდით, რომელიც, თავის მხრით, დაგვეხმარება უკეთ შევიცნოთ ენის მდგომარეობანი. წინანდელი გრამატიკა ხედავდა მხოლოდ სინქრონიულ ფაქტს; ენათმეცნიერებამ გადაგვიშალა მოვლენათა წყება, მაგრამ ეს არაა საკმარისი; უნდა საგრძნობი გავხადოთ ორივე რიგის მოვლენათა წინააღმდეგობა, რომ აქედან გამოვიყვანოთ ყველა გამომდინარე დასკვნა...“².

მიუხედავად იმისა, რომ „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ დამუშავებულია და გამოსული ავტორის სიკვდილის შემდეგ და ავტორს არ ეკუთვნის შრომის საბოლოო რედაქცია, სოსიურის შეხედულებანი ქმნიან თანამიმდევარსა და მთლიან კონცეფციას. ეს აადვილებს ამ კონცეფციის ანალიზსა და შეფასებას.

„ენისა“ და „სიტყვის“ („მეტყველების აქტის“) **გარჩევა** შინაგანი აუცილებლობით იწვევს, ერთი მხრით, „**სინქრონიული**“ და „**დიაქრონიული**“ თვალსაზრისების **დაპირისპირებას** და, მეორე მხრით, განსაზღვრავს **ენობრივი ნიშნის ფსიქიკური ბუნების აღიარებას**.

§ 47. სოსიურის კონცეფციის კრიტიკული ანალიზი. რაა ფასეული სოსიურის კონცეფციაში?

ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მხრივ **ენის სოციალური ბუნების** გახაზვა და **ენობრივი ნიშნის** დახასიათება, როგორც **ნებისმიერისა აღსანიშნის მიმართ** და **არანებისმიერისა მოლაპარაკე ინდივიდის მიმართ**, აგრეთვე ენის დახასიათება, როგორც **ნიშანთა სისტემისა**.

ენის ორი ძირითადი ფუნქციიდან — საკომუნიკაციო (ენა — ურთიერთობის საშუალება) და ექსპრესიულიდან — (ენა — გამოსახვის საშუალება) სწორედ პირველია წამყვანი. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგიდან:

¹ იქვე, გვ. 89.

² იქვე, გვ. 90 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ა. ენათმეცნიერება საკომუნიკაციო ფუნქციას ემყარება, როცა განასხვავებს „ცოცხალს“ და „მკვდარ“ ენებს: თუ ეს ფუნქცია აქვს ენა „ცოცხალი“; თუ ეს ფუნქცია არა აქვს, ენა „მკვდრად“ მიიჩნევა. ეს სრულიად უდავოა საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკისათვის, თუმცა ამას ყოველთვის არ ცნობენ თეორიაში (იხ. ქვემოთ — ფოსლერის შეხედულებათა მიმოხილვა).

ბ. ყოველი საშუალება, რომელიც კი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ე. ი. ურთიერთობის ყოველი საშუალება, იმისდა მიუხედავად, რა თვისებისაა ან რა მასალისაა ეს საშუალება, ყოველთვის ყველას მიაჩნდა ენად: აკუსტიკურად ასათვისებელი ბგერითი მეტყველებაც, ოპტიკურად ასათვისებელი ხელის ენაცა და სიგნალიზაციის ყოველგვარი სახეობა ენას წარმოადგენს, — რამდენადაც ესაა ურთიერთობის საშუალება, რამდენადაც მათ აქვთ საკომუნიკაციო ფუნქცია; აქ, საენათმეცნიერო კვლევა-ძიების **პრაქტიკაში** უკვე მოცემულია იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც თეორიაში ჯერ კიდევ სადავოდ მიაჩნიათ.

გ. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ რომელიმე ენა მხოლოდ ექსპრესიული ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო, რომ მას არ ჰქონოდა საკომუნიკაციო ფუნქცია განსაზღვრული ენობრივი კოლექტივისათვის.

დ. თვით წარმოშობაც კი ენისა, როგორც ჩანს, საკომუნიკაციო მიზნებთანაა დაკავშირებული: ყველაზე გავრცელებულიცა და დასაბუთებულზეც ის აზრია ენის წარმოშობის შესახებ, რომლის თანახმადაც ენა წარმოიქმნა, როგორც **ურთიერთობის** საშუალება. ძნელი სათქმელია, შექმნიდა თუ არა „ადამიანთა“ კოლექტივი ენას, რომ ის საჭირო ყოფილიყო მხოლოდ აზრთა და განცდათა გადმოსაცემად, ე. ი. მხოლოდ ექსპრესიული ფუნქციისათვის და არა ურთიერთობის საჭიროებისათვის.

ენის ზეინდივიდუალურ ხასიათს, რამდენადაც ესაა კოლექტივის **ურთიერთობის საშუალება**, ანგარიში ეწეოდა დიდი ხნით ადრე ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდის.

ცნობილია მარქსის, ენგელსის, ლენინის გამონათქვამები ამავე შინაარსისა (იხ. ქვ.): ენის სოციალურობა, როგორც ახლანდელი ვითარებისათვის, ისე ენის წარმოშობის დროისთვისაც, მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითადი დებულებაა.

ენის რაობის დახასიათებისას **სოციალურობის** წინა რიგში დაყენება, **ენის სოციალურობის თეზა** სოსიურის კონცეფციის ერთი ყველაზე ფასეული დებულებათაგანია, მიუხედავად იმ საბუთებისა, რომლებიც სოსიურს საამისოდ აქვს გამოყენებული.

მეტყველების პროცესში სოსიური სოციალური მომენტისათვის გამოყოფს „გარკვეულ მონაკვეთს“: ესაა იქ, სადაც აკუსტიკური სახე უკავშირდება ცნებას.

როდესაც სოსიური ახასიათებს ენობრივ ნიშანს, როგორც **ნებისმიერს** აღსანიშნის მიმართ („აღსანიშნი იდგის მიმართ“) და როგორც **არანებისმიერს** მოლაპარაკე ინდივიდისათვის, იგი ამით აფორმულებს საყოველთაოდ ცნობილ ორ ფაქტს:

ა. ერთი და იგივე მოვლენები (ფაქტები, საგნები...) სხვადასხვა ენაში შეიძლება იყოს აღნიშნული სრულიად სხვაგვარად: **საგნის სახელი არაა განსაზღვრული საგნის ბუნებით.**

ბ. ინდივიდს ნებისმიერად არ შეუძლია არც **შექმნას ენობრივი** ნიშანი არც **შეცვალოს** იგი: საჭიროა ენობრივი კოლექტივის სანქცია.

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი დაზუსტებულია სოსიურის მიერ, როცა ის წერს: „ნიშნის ნებისმიერობის ძირითადი პრინციპი ხელს არ გვიშლის, — ყოველ ენაში განვასხვავოთ ის, რაც საფუძველშივე ნებისმიერია, ე. ი. უმოტივაციოა, იმისაგან, რაც მხოლოდ შედარებითაა ნებისმიერი. ნიშანთა მხოლოდ ნაწილია აბსოლუტურად ნებისმიერი: სხვებს კი ისეთი ნიშნები აქვს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მივაკუთვნოთ ისინი ნებისმიერობის სხვადასხვა საფეხურს: **ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით მოტივირებული.**

ასე, მაგალითად, ოცი¹ არაა მოტივირებული, მაგრამ ოცდაათი გაცილებით ნაკლებადაა უმოტივაციო, ვინაიდან იგი მოგვავაგონებს იმ ელემენტებს, რომელთაგანაც შედგენილია“².

„არ არსებობს ენა, სადაც არაფერი არ იყოს მოტივირებული; მაგრამ წარმოდგენილია ისეთი ენაც, სადაც მოტივირებული იყოს ყველაფერი. ორ უკიდურეს წერტილს შორის — უმცირეს ორგანიზებულობასა და უმცირეს ნებისმიერობას შორის — მოგვეპოვება ყოველგვარი სახესხვაობა“³.

გადამწყვეტი პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ენის პირველადი ძირითადი მასალა არაა მოტივირებული; ამითაა შეპირობებული ენობრივი ნიშნის ნებისმიერი ხასიათი.

ენა სოსიურისათვის ნიშანთა უბრალო გროვა როდია, არამედ ესაა **„ნიშანთა სისტემა“**. ეს ცნებაც (მას ჩვენ პაულთან ვერ ვხვდებით) სოსიურისეული კონცეფციის დადებით მომენტს ქმნის: ამით ხაზი ესმის იმ **ფაქტს**, რომ **ყოველი ენა მთლიანობას წარმოადგენს** და თავიდან აცილებულია ის უხერხულობა, რომელიც ახლავს **ორგანიზმ-ცნებას**, როცა მთლიანობაზე მითითების მიზნით ამბობენ, „ენა ორგანიზმი“.

¹ დედანშია „ორმოცი“, მაგრამ უმოტივაციო ნიშნის ნიმუშად ქართულში ეს სიტყვა არ გამოდგება.

² იქვე, გვ. 127.

³ იქვე, გვ. 128.

ასეთია დადებითი მხარეები სოსიურის შეხედულებისა.

მაგრამ **არც დაპირისპირება „ენისა“ და „სიტყვისა“ (მეტყველების აქტისა), არც სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობის გაგება, არც განსაზღვრა ენობრივი ნიშნის რაობისა, როგორც ფსიქიკურისა თავისი ბუნებით — არაა დასაბუთებული** სოსიურის კონცეფციაში, **მიუღებელია არსებითად და ვერ გახდება ისტორიული ენათმეცნიერების კუთვნილება.**

ენა-ცნებას, როგორც სამეტყველო მოქმედების სოციალურ ელემენტს, სოსიური უპირისპირებს სიტყვა (მეტყველების აქტი)-ცნებას, როგორც ინდივიდუალურ მოვლენას.

ინდივიდუალური, როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთგან, შეიძლება ნიშნავდეს: ან იმას, რაც ნიშანდობლივია ინდივიდისათვის, რითაც ერთი ინდივიდი სხვა მსგავსათაგან **განსხვავდება** („ენაჩლუნგობა ინდივიდუალური მოვლენა“); — ანდა იმას, რაც **ინდივიდშია მოცემული** (მაგ., „მეტყველების აქტი ინდივიდშია მოცემული, ე. ი. მას ადგილი აქვს ცალკეულ ინდივიდში“). პირველი გაგებით ნახმარი „ინდივიდუალური“ **უპირისპირდება „სოციალურს“**, მაგრამ მეორე შემთხვევაში ინდივიდუალური არ შეიძლება „სოციალურის“ საპირისპიროდ მივიჩნიოთ. **მეტყველების განსაზღვრებიდან, რომელსაც სოსიური იძლევა, სრულიად ცხადია, რომ „ინდივიდუალური“ მასთან სრულებითაც არაა შემოფარგლული პირველი გაგებით, არამედ მას აქვს უპირატესად მეორე მნიშვნელობა (თუმცა პირველი გაგების ზოგი მომენტიც არაა გამორიცხული)¹.**

შეიძლება თუ არა დავუპირისპიროთ ერთმანეთს „სიტყვა“ („მეტყველების აქტი“), როგორც ინდივიდუალური მოვლენა, და „ენა“, როგორც სამეტყველო მოქმედების სოციალური პროდუქტი?

არც შეიძლება და არცაა საჭირო.

არ შეიძლება იმიტომ, რომ ენა გამოვლენას პოულობს ინდივიდთა სამეტყველო მოქმედებაში; და **თუ ინდივიდთა სამეტყველო აქტებში ყველაფერი ინდივიდუალურია** (ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით!), **სრულიად შეუძლებელია ადამიანის ენის სოციალურობის შესახებ ლა-**

¹ იხ. შემდეგი ადგილი, მაგალითად: „...მეტყველება არის ნებისყოფისა და გაგების ინდივიდუალური აქტი, რომელშიაც უნდა განვასხვავოთ: 1. კომბინაციები, რომელთა საშუალებითაც მოლაპარაკე სუბიექტი იყენებს ენობრივ კოდექსს თავისი პირადი აზრის გადმოსაცემად; 2. ფსიქო-ფიზიკური მექანიზმი, რომელიც მას ამ კომბინაციათა ობიექტივაციის საშუალებას აძლევს“ (გვ. 38).

ანდა კიდევ: **მეტყველება — ესაა „ყველაფრის ჯამი, რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, და შეიცავს: ა) ინდივიდუალურ კომბინაციებს, რომლებიც დამოკიდებულია მოლაპარაკეთა ნებისყოფაზე; ბ) ფონაციის აქტებს, აგრეთვე ნებისმიერს, რომლებიც აუცილებელია ამ კომბინაციათა განსახორციელებლად“** (გვ. 42).

პარაკი; და, პირუკუ, თუ ენა სოციალურია, უნდა ვიფიქროთ, სწორედ იმიტომ, რომ **ინდივიდთა სამეტყველო აქტებში ყველაფერი როდია ინდივიდუალური**, არამედ, **გარკვეული მომენტები საერთოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის**, ე. ი. **სოციალურია თავისი ხასიათით**¹.

„ისტორიულად მეტყველების ფაქტი ყოველთვის წინ უსწრებს ენასაო“, ამბობს ერთგან სოსიური²; მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ენის **სოციალურობის** წყაროს **მეტყველება წარმოადგენს**, და მაშასადამე, მეტყველებისა და ენის დაპირისპირება არ შეიძლება.

სოსიურმა ენა მოსწყვიტა მეტყველებას და შეეცადა ამაზე დაეფუძნებინა ენის სოციალურობა; მაგრამ სწორედ ამიტომ გაუგებარი ხდება, როგორაა ენა სოციალური, როცა მეტყველებაში სოციალურობა არა გვაქვს.

„ენა, გამოცალკევებული სიტყვისაგან (მეტყველების აქტისაგან), წარმოადგენს საგანს, რომელიც გამოცალკევებულადვე შეიძლება შეისწავლებოდესო. ჩვენ არ ვლაპარაკობთ მკვდარ ენებზე, მაგრამ ჩვენ მშვენივრად შეგვიძლია დავუფუძლოთ მათს ენობრივ ორგანიზმსაო“, ამბობდა სოსიური³.

თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ენა შესაძლებელია მოლაპარაკე ინდივიდთაგან დამოუკიდებელივ არსებობდეს, ეს მეტია, ვინემ ენის მოწყვეტა მეტყველებისაგან: ეს იქნება **ენის, როგორც ზეინდივიდუალური არსების, ჰიპოსტაზირება**; ასეთი დებულება კი ობიექტური იდეალიზმის შესაძლო წინამძღვარი იქნებოდა (იხ., მაგ., ჰუსერლი).

ენისა და მეტყველების დაპირისპირება შეუძლებელია; მაგრამ იგი შესაძლებელიც რომ იყოს, **საჭირო არაა**: ამას მიგყავართ **ენობრივ ფაქტის ფსიქიკური ბუნების აღიარებამდის**: ენობრივი ნიშანი „ცნებისა და აკუსტიკური სახის კომბინაციაა“⁴; ენობრივი ნიშანი საგანსა და სახელს კი არ აკავშირებს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ სახეს; ეს უკანასკნელი ბგერის ფსიქიკური სახეა, წარმოდგენაა, მიღებული ბგერისაგან ჩვენი ორგანოების მეშვეობით⁵.

¹ ენისა (langue) და სიტყვის (მეტყველების აქტის — parole) დაპირისპირებას სოსიურთან სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის გამოუწვევია კრიტიკული შენიშვნები; იხ. მაგ. O. Jespersen-ის წერილი: „ინდივიდი და ენობრივი კოლექტივი“ („L'individu et la communauté linguistique“ — ჟურნალში "Journal de Psychologie normale et pathologique", 1927, №7, გვ. 585 და შემდგ.); იხ. აგრეთვე: ლ. ვ. შჩერბას საინტერესო ამოსავალი ცნებების მქონე წერილი „ენობრივი მოვლენების სამგვარი ასპექტის შესახებ“ (იხ. Известия Акад. Наук СССР, 1931. Отд. Обществ. Наук, გვ. 113-129. განსაკუთრებით გვ. გვ. 117, 123).

² „კურსი“, გვ. 42.

³ იქვე, გვ. 39.

⁴ „კურსი“, გვ. 78.

⁵ იქვე, გვ. 77-78.

ავილოთ სიტყვა „საათი“; ესაა გარკვეული საგნის ნიშანი ქართულ ენობრივ კოლექტივში; ამ საგანს **შეიძლება** შეესაბამებოდეს გარკვეული „საგნობრივი წარმოდგენა“; ასევე სიტყვას „საათი“, როგორც გარკვეულ ბგერით კომპლექსს, შეიძლება შეესაბამებოდეს „**სიტყვის აკუსტიკური წარმოდგენა**“.

1. **საგანი**, 2. **საგნის წარმოდგენა** („ცნება“ სოსიურისა), 3. **სიტყვის წარმოდგენა** („აკუსტიკური სახე“ სოსიურისა), 4. **სიტყვა** — ესაა ოთხი **შესაძლო** კომპონენტი სამეტყველო ურთიერთობისა (ისეთი კონკრეტული საგნის შესახებ საუბრისას, როგორცაა **საათი**): ურთიერთობის საშუალება **სიტყვა** („საათი“) არის **ნიშანი საგნისა** („საათი“). ეს სიტყვა — ფიზიკური ფაქტი, — ნიშანია, რამდენადაც ის იმყოფება **მიმართებაში** გარკვეულ საგანთან; ამ **მიმართების გარეშე სიტყვა ნიშანი კი არ იქნება**, არამედ **ფიზიკური ფაქტი, მოკლებული ყოველგვარ ფუნქციას**.

ეს **მიმართება სიტყვა-ნიშნისა აღსანიშნისადმი არის ის არა-ინდივიდუალური, სოციალური არსი მეტყველების პროცესისა**, რომელიც ინდივიდში მიმდინარეობს.

აღსანიშნი, აღმნიშვნელი და მიმართება მათ შორის — ესაა **აუცილებელი** კომპონენტები მეტყველების პროცესისა. საგნის წარმოდგენა (აგრეთვე სიტყვის წარმოდგენა) შეიძლება იღებდეს მონაწილეობას აღნიშვნის პროცესში, მაგრამ შეიძლება არცა გვქონდეს (როგორც ეს ცხადყო აზროვნების თანამედროვე ფსიქოლოგიამ)¹, ანდა თუ გვაქვს, — სხვადასხვა სახისა იყოს სხვადასხვა ინდივიდთან: საგნის წარმოდგენა მნიშვნელობა კი არაა, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი **საშუალებათაგანი მნიშვნელობის განცდისა**.

კიდევ უფრო დაუდგარი სიტყვის წარმოდგენა.

და სწორედ ამ დაუდგარი წარმოდგენებით — საგნის წარმოდგენითა და სიტყვის წარმოდგენით (უკეთ: ამ უკანასკნელის ნაწილით — „აკუსტიკური სახით“) — ამოწურა სოსიურმა ენობრივი ნიშნის შინაარსი (მასთან — „საგნის წარმოდგენა“ ა ლ ს ა ნ ი შ ნ ა დ ა ა მიჩნეული, „აკუსტიკური სახე“ — ა ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ა დ); ამგვარად, ფიზიკური მომენტები ენობრივი ნიშნისა უგულვებელიყოფილია, ხელში შეგვრჩა მხოლოდ ფსიქიკური ელემენტები, — **ენობრივი ნიშანი**, როგორც „**ორმხრივი ფსიქიკური რაობა**“².

ამგვარად, ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, სოსიურის მიხედვით, ფსიქიკურის სამყაროა; მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ენას, როგორც ნიშანთა სისტემას (ე. წ. „ენის ლინგვისტიკა“, სოსიურის ტერმინი რომ ვიხმაროთ), აღმოჩნდა ნაწილი **სემიოლოგიისა**, „მეცნიერებისა, რომელიც

¹ იხ. ე. წ. „უსახებოდ აზროვნება“. დაწვრილებით — ქვემოთ.

² „კურსი“, გვ. 78

შეისწავლის ნიშანთა სიცოცხლეს საზოგადოების ცხოვრების შიგნით¹ და მით — ნაწილი სოციალური ფსიქოლოგიისა: სემიოლოგია სოსიურს წარმოუდგენია როგორც სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილი².

რატომ შეიქმნა აუცილებელი, ენობრივი ნიშანი სოსიურს ფსიქიკური ბუნებისად მიეჩნია? რატომ გამოირიცხა არაფსიქიკური მომენტები? შემთხვევითია თუ არა ეს სოსიურის კონცეფციისათვის?

რასაკვირველია, არა: არაფსიქიკური მომენტები ენობრივი ნიშნის რაობიდან უნდა გამორიცხულიყო იმიტომ, რომ ისინი „სიტყვის“ („მეტყველების აქტის“) სფეროს განეკუთვნებიან და არა ენისას: „სიტყვისა“ და „ენის“ გარჩევა კი სოსიურის კონცეფციის ქვაკუთხედი, ინდივიდუალურისა და სოციალურის გარჩევის წინაპირობაა. ამგვარად: დებულება **ენობრივი ნიშნის ფსიქიკურობის შესახებ უშუალო შედეგია „ენისა“ და „სიტყვის“** („მეტყველების აქტის“) **გარჩევისა, ენის სოციალურ ფენომენად მიჩნევისა და „სიტყვის“ — ინდივიდუალურ მოვლენად გამოცხადებისა.**

ეს კი ნიშნავს: **სოსიურის სოციოლოგიზმმა არა თუ არ გაათავი-სუფლა ფსიქოლოგიზმისაგან ენათმეცნიერება, არამედ იგი იქცა ფსიქოლოგიზმის საფუძვლად სოსიურის კონცეფციაში.**

„ენისა“ და „სიტყვის“ (მეტყველების აქტის) დაპირისპირება იწვევს აგრეთვე **სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების დაპირისპირებას.**

სოსიურისათვის უფრო მნიშვნელოვანია სინქრონიული ენათმეცნიერება; რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ის შეისწავლის ენას, როგორც სისტემას, სისტემის ნაწილები კი უნდა იქნეს განხილული მათს სინქრონიულ კავშირში³. მეორე მხრით, ნათქვამია, რომ ენაში „ყოველივე დიაქრონიული ასეთად იქცევა სიტყვის (მეტყველების აქტის) საშუალებით“⁴.

ამრიგად, სტატიკურ შესწავლასაა მიპყრობილი მთავარი გულისყური: ენობრივი სისტემის აღწერითი ანალიზის უფლებები, რაიც პაულთან დაჩრდილული იყო ისტორიზმის პრინციპის თავისებური გაგების გამო, პრინციპში აღიარებულია სოსიურის სოციოლოგიურ კონცეფციაში. მაგრამ რა ფასად? **ისტორიზმის უცილობელ უფლებათა შებღალვის** ფასად: თურმე ფილოლოგიური გრამატიკის საგანი „უფრო გარკვეულია, ვინემ იმ ენათმეცნიერებისა, რომელიც ბოჰმა შექმნა...“; თურმე აქამდის „ენათმეცნიერება მეტად დიდ ადგილს უთმობდა ისტორიას; ახლა მას უხდება დაუბრუნდეს ტრადიციული გრამატიკის სტატიკურ თვალსაზრისს“⁵.

¹ იქვე, გვ. 40.

² იქვე, გვ. 78.

³ იქვე, გვ. 93.

⁴ იქვე, გვ. 102.

⁵ „კურსი“, გვ. 90.

ისტორიული გრამატიკის პრესტიჟს არც ის შველის, რომ ისტორია შესაძლებელს ხდის „შევიცნოთ მოცემული ვითარების გენეზისი“: „პირობები, რომელთაც შექმნეს მოცემული ვითარება, ცხადს ხდიან ჩვენთვის მის ნამდვილ ბუნებას და გვიცავენ გარკვეული ილუზიებისაგან...“; თურმე „ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ დიაქრონია არაა თვითმიზანი“¹.

და სავსებით თანამიმდევრულია სოსიურის მსჯელობა, როცა ის ასკვნის: **ისტორიული გრამატიკა, საერთოდ არცაა გრამატიკა**: „გრამატიკა შეისწავლის ენას, როგორც გამოსახვის საშუალებათა **სისტემას**; ის, რასაც ჩვეულებრივად ისტორიულ გრამატიკას უწოდებენ, „ნამდვილად სხვა არაფერია, თუ არ დიაქრონიული ენათმეცნიერება“; „**ჩვენ უარყოფთ ისტორიული გრამატიკის შესაძლებლობას**“² — ასეთია სოსიურის სოციოლოგიზმის აპოთეოზი.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ისტორიულმა ძიებამ, ისტორიულმა გრამატიკამ, შესაძლებელი გახადა მეცნიერება ენის შესახებ. ასიოდე წლის შემდეგ სოსიურის კონცეფცია ისტორიულ გრამატიკას შეუძლებლად მიიჩნევს: ესაა კლასიკური მაგალითი ენათმეცნიერული თეორიის მოწყვეტისა საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკისაგან; იმავე დროს ესაა საუკეთესო შეფასება იმ ამოსავალი პრინციპების სისწორისა, რომელთაც მიგვიყვანეს ამგვარ დასკვნებამდის.

სოციოლოგიზმი, რომელიც ამხედრებულია ისტორიზმის წინააღმდეგ, მეცნიერულად გაუმართლებელია.

დიაქრონიული ენათმეცნიერება ცვლილებებს სწავლობს, მაგრამ ამ ცვლილებათა შესაძლებლობა სოსიურის კონცეფციაში დაუსაბუთებელი ჩანს: დროის ფაქტორზე მითითება — „ცვლილება აიხსნება მხოლოდ დროის მოქმედებით“³ — განვითარების შესაძლებლობის ახსნად ვერ ჩაითვლება; ასევე არაფრის მთქმელია სოსიურის მეორე განმარტება: „დროში ცვალებადობას განიცდის ყველაფერი; არ არსებობს საფუძველი, რომ ენამ თავი დააღწიოს ამ ზოგად კანონსაო“⁴.

პაულის კონცეფციაში ენობრივი ცვლის შესაძლებლობა ცხადზე უცხადესი იყო (ენის სტაბილური ხასიათი, ენობრივი ჩვევის ფაქტი მოითხოვდა ახსნას); სოსიურის კონცეფციაში, პირიქით, ცვლის შესაძლებლობაა გაუგებარი (ენობრივი უზუსის სიმყარე ძირითად დებულებათაგან გამომდინარეობს).

¹ იქვე, გვ. 95-96.

² იქვე, გვ. 129.

³ „კურსი“, გვ. 180.

⁴ იქვე, გვ. 86.

პაულის ინდივიდუალიზმს თუ შევუდარებდით სოსიურის სოციოლოგიზმს. ის დასკვნა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ეს სოციოლოგიზმი ნაბიჯია უკან ორ რაშიმე: **ფსიქოლოგიზმის** საკითხში და **ისტორიზმის** საკითხში.

პაულმა, როგორც ეს თავის ადგილას ვნახეთ, ენის რაობა დაიყვანა ფსიქოლოგიურ სუბსტრატამდის, „წარმოდგენათა ორგანიზმამდის“; სოსიურმაც ენობრივი ნიშანი მთლიანად ფსიქიკური ბუნებისად გამოაცხადა: ფსიქოლოგიზმი ისევე ნიშანდობლივია სოსიურისათვის, როგორც პაულისათვის; ამ მხრივ ამ ორ კონცეფციას შორის განსხვავება არაა.

მაგრამ პაულს არ გაუყვებია დასკვნა: რაკი ენის არსი ფსიქიკური სუბსტრატია, ენათმეცნიერება ფსიქოლოგიის ნაწილი უნდა იყოსო. პაულის მხრივ ეს არაა თანამიმდევრული. მაგრამ თანამიმდევრობის ეს დარღვევა უკეთ უზრუნველყოფს ენათმეცნიერების ინტერესებს, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეწევა ანგარიში საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას, ვინემ სოსიურის თანამიმდევრულს მსჯელობაში, რომლის თანახმადაც ენათმეცნიერება გამოცხადებულია სემიოლოგიისა და — მით — სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილად.

ასევე: პაულის უკიდურესი ისტორიზმი **არსებითად** უფრო სწორად ასახავს ენათმეცნიერების განვითარების გზებსა და საარსებო ინტერესებს, ვინემ სოსიურის სოციოლოგიზმი, რომელიც თითქმის სრულებით აქარწყლებს ენათა ისტორიული შესწავლის მნიშვნელობას.

ამ კონტექსტში საჭიროა აღინიშნოს ერთი რამეც: სოსიურის თვალსაზრისი ნეოგრამატიკოსთა შეხედულებასთან შედარებით უკან დახვევაა **ენათა შედარებითი შესწავლის** ამოცანათა გაგების მხრივაც. ბრუგმანი და შტრაიტბერგი გარკვევით უარყოფითი აზრისა იყვნენ წინარეენის რეკონსტრუქციის ცდათა შესახებ (იხ. ზემოთ, § 33): **ისტორიული ენათმეცნიერების ამოცანა** იმ კონკრეტული ისტორიული განვითარების გზის შესწავლა, რაც ამა თუ იმ ენათა ჯგუფს გაუვლია და იმ კანონზომიერების დადგენა, რაც ენათა განვითარებას განსაზღვრავს; შედარება ამ ისტორიული ძიების დამხმარე საშუალებად გვევლინებაო.

სოსიური რეკონსტრუქციის მომხრე გამოდის: ენათმეცნიერების ამოცანას შეადგენს, სხვათა შორის, „ყველა ოჯახის ენათა... **წინარე ენათა შესაძლო რეკონსტრუქცია**“¹; „რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ შედარების მეოხებით და **შედარებას არა აქვს სხვა მიზანი, გარდა რეკონსტრუქციისა**“². „შედარებას ყოველთვის უნდა მივყავდეთ ფორმათა რეკონსტრუქციასთან“³. მართალია, სოსიური აღდგენილი ფორმის შესახებ,

¹ იქვე, გვ. 32 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 196 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 197.

ცოტა არ იყოს, სხვა აზრისაა, ვინემ შლაიხერი: სოსიურისათვის რეკონსტრუქცია საშუალებაა, რათა „მოვიპოვოთ ზოგადი პერპექტივა... იმ ენობრივი ტიპისა, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის“¹; მაგრამ მაინც უდავოა, რომ სოსიური ამ საკითხის გაგებაში უფრო ახლოსაა შლაიხერთან, ვინემ ნეოგრამატიკოსებთან: არც ერთი ნეოგრამატიკოსი არ იტყოდა სოსიურთან ერთად, რომ „რეტროსპექტული მეთოდის წყალობით ენათმეცნიერს შეუძლია აჰყვეს ზევით საუკუნეთა მდინარებას და **აღადგინოს ენები, რომლებზედაც ლაპარაკობდნენ ხალხები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ისტორიის ასპარეზზე გამოვიდოდნენ**“².

აღადგინოს ენები და არა ენის **ტიპი** თუ **ტიპები!**

საფიქრებელია, რომ შედარების ამოცანათა ასეთ განმარტებაში მჟღავნდება, რომ **ისტორიულ-შედარებითს** ენათმეცნიერებაში სოსიურისათვის, „**შედარებითა**“ აქცენტირებული, ე. ი. ისევ ისტორიზმის პრინციპის შეზღუდვა გვაქვს. სოსიურის მოწაფეთა და მიმდევართა შრომებში ეს მომენტი უფრო ხელშესახები ხდება (თუმცა ფრანგულ სოციოლოგიურ სკოლას მთლიანად, კერძოდ, მის ფუძემდებელს მეიეს ეს არ ახასიათებს — იხ. ქვემოთ).

ენათმეცნიერება სოსიურის თანახმად სწავლობს ენას არა მის მიმართებაში აზროვნების **განვითარების ისტორიასთან**, არა მის მიმართებაში სათანადო კოლექტივის **კულტურის ისტორიასთან**, არამედ როგორც თავის თავში ჩახშულ სისტემას: „ენათმეცნიერების ერთადერთი და ჭეშმარიტი ობიექტი არის ენა, რომელიც განიხილვის თავის თავში და თავისთვის“³, — ასეთია სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსის“ ბოლო სიტყვები, რომლებიც, ავტორის თქმით, გამოსახავს „ამ კურსის ძირითად აზრს“.

შენიშვნებს იწვევს სოსიურის მოსაზრებანი მასის ინერტულობის შესახებ, დროის შესახებ, როგორც სოციალურობის პირობისა, თუმცა ეს საკითხები შედარებით ისე მნიშვნელოვანი არაა.

დებულება მასის ინერტულობის შესახებ, როგორც ენობრივი სისტემის დამდგარობის მიზეზისა⁴, ვერ აგვიხსნის ენის სისტემის სიმყარეს.

ენობრივი სისტემის სიმყარის ძირითადი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ადგილი არა აქვს მოლაპარაკე ინდივიდთა რეფლექსიას იმ საშუალების რაობის შესახებ, რომელსაც ურთიერთობის იარაღად იყენებენ: ზეპირი მეტყველება, რომელსაც ადამიანი ბავშვობაშივე ითვისებს და რომელიც ტრადიციით გადადის ერთი თაობიდან მეორეზე (ეს სამართლიანა-

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 199 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 207.

⁴ იქვე, გვ. 83.

დაა აღნიშნული სოსიურის მიერ), ასეთი რეფლექსიისათვის მცირე საბაზს იძლევა (გვულისხმობთ ჩვეულებრივ პირობებს); რაც შეეხება სამწერლო ენას, აქ მდგომარეობა სხვაგვარია: სამწერლო ენა ხშირად რეფლექსიის ობიექტიცა და ზემოქმედების საგანიც.

არაა გასაგები სოსიურის დებულება: „თუ მოლაპარაკე მასას დროის გარეშე განვიხილავთ, სოციალურ ძალთა მოქმედებას ვერ დავინახავთ“¹; ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ენის სოციალურობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ დინამიკაში? მაგრამ მაშინ ეს იქნებოდა სოსიურის იმ დებულებასთან შეუთავსებელი, რომლის თანახმადაც ენა — სტატკურს ვითარებაში — სოციალური ფენომენია.

§ 48. ანტ. მეიეს შეხედულებანი ენის განვითარების კანონზომიერების საკითხზე. ანტ. მეიეს სპეციალური წერილი, სადაც ენის სოციალურობის დასაბუთებაა მოცემული, წარმოადგენს შესავალ ლექციას „შედარებითი გრამატიკის კურსში“; ლექცია წაკითხულია Collège de France-ში 1906 წლის 13 თებერვალს².

ანტ. მეიეს მსჯელობა სქემატურად ასე შეიძლება გადმოვცეთ.

პაულის მსგავსად ანტ. მეიეც **ისტორიული განვითარების კანონზომიერების საფუძველს ეძიებს.**

ცვლილებები ენაში სამ მოვლენამდე დაჰყავთ ხოლმეო, ამბობს ანტ. მეიე. ესაა: **ფონეტიკური ცვლა, ანალოგია და სესხება.**

VI-XI საუკუნეებს შორის ჩრდილო საფრანგეთში ბოლო მარცვლის a იქცა მუნჯ e-დ:

cantas „მღერი შენ“ — chantes

cantat „მღერის ის“ — chantet

ბრძან. canta „იმღერე!“ — chante!

პირველი პირი canto „ვმღერი“ chant-ს გვაძლევდა: ბოლოკიდური o დაკარგული იყო ისევე, როგორც homo „კაცი“ = on (განუსაზღვრელი მესამე პირის ნაწილაკად რომ იხმარება: on dit „ამბობენ“, გერმ. man sagt).

პირველ პირს არ ჰქონდა ბოლოში მუნჯი e, მაგრამ გაუჩნდა. როგორ? **ანალოგიით**; მუნჯი e მოეპოვებოდა ზოგ სხვა ზმნას პირველ პირში — ვთქვათ, tremble „ვკანკალებ“, entre „შევდივარ“; მუნჯი e მოეპოვებოდა იმავე ზმნის II და III პირს: chantes, chantet. ამათი ანალოგიით მივიღეთ je chante.

¹ იქვე, გვ. 86.

² ამაზე ადრე ჟურნალში "Année Sociologique" 1897 წელს მეიეს გამოქვეყნებული აქვს წერილი იმავე საკითხზე; ჩვენ ეს წერილი ხელთ არა გვქონდა.

„როგორც ვხედავთ, *tu chantes*-ში მუნჯი *e* არის შედეგი გამოთქმის ცვლისა, *je chante*-ში კი — გრამატიკული ფლექსიის ცვლისა; ესაა ორი განსხვავებული პროცესი, რომელთაც მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო, — ეს არის ის, რომ ისინი ვითარდებოდნენ ნებისმიერად გარედან რაიმე საგრძნობი გავლენის გარეშე“¹.

oi კომპლექსი *we*-დ გამოითქმოდა; *we*-ს შეენაცვლა *wa* პარიზში: *loi = lwa*... „ამ გამოთქმას ვხვდებით ამჟამად ყველა იმ ფრანგულ დიალექტში (თქმებში), რომელნიც განიცდიან პარიზულის გავლენას... მაგრამ პარიზში ცვლილება სპონტანურ ხასიათს ატარებდა, მაშინ როდესაც ამ დიალექტებში (თქმებში) *wa* **ნასესხებია**. შედეგი იგივეა, პროცესი კი — აბსოლუტურად განსხვავებული“...²

ფონეტიკური კანონები, ანალოგია, სესხება — ასეთია ახსნის ის სამი პრინციპი, რომელსაც აღიარებდა ენათმეცნიერება XIX საუკუნის მანძილზე; ამ პრინციპებმა გამართლება პოვა ძალზე განსხვავებული ენების მიმართ გამოყენებისას ენათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში; და მით უფრო შეძლეს გაეთვალისწინებინათ ენათა ისტორია, რაც უფრო მეტი სიმკაცრითა და სიზუსტით იყენებდნენ ამ პრინციპებს... ენათმეცნიერება მთლიანად განახლდა ამ პრინციპების საშუალებით...³

სიტყვის ისტორიის შესწავლამ საგნის ისტორიასთან დაკავშირებით, ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ და ლინგვისტურმა გეოგრაფიამ მეტი სიზუსტე და სიღრმე მიანიჭეს ხსენებულ პრინციპთა გამოყენებას, შეინაწინავს ანტ. მეიე. სქემატიზმი იცვლება სულ უფრო და უფრო ზუსტი დაკვირვებით რთულსა და ცვალებად სინამდვილეზე. კერძოდ, შეიცვალა სესხების მნიშვნელობის გაგება; წინათ სესხებაში ხედავდნენ მხოლოდ შემთხვევით ფაქტს; ნამდვილად კი სესხება არის ნორმალური ფაქტი, რომლის მნიშვნელობაც ენათმეცნიერების განვითარებაში დღითი დღე უფრო ცხადი ხდება⁴.

მაგრამ როგორადაც არ დაზუსტდეს ხსენებული პრინციპები — ფონეტიკური ცვლისა, ანალოგიისა და სესხებისა, ისინი „ხსნიან ყოველთვის კერძობით ფაქტებს, გვაწვდიან მხოლოდ კერძო ხასიათის დასკვნებს; მივდივართ ახსნათა გროვასთან, რომელთაგან ყოველი, ეგების, სწორია, მაგრამ რომელნიც არ ქმნიან სისტემას და რომელთაც არც შეუძლიათ ოდესმე შექმნან სისტემა. ენათა ისტორიის დადგენა არსებით მომენტს წარმოადგენ-

¹ იხ. *Études*, გვ. 3.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 4.

⁴ იქვე, გვ. 7.

და ენათმეცნიერების განვითარებაში; მაგრამ ისტორია ვერ იქნება ენათმეცნიერებისათვის მეტი, ვინემ საშუალება, იგი ვერ იქნება მისი მიზანი¹.

რალა მისი მიზანი? **ზოგადი კანონების** დადგენა.

„ენობრივ ცვლილებებს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ მაშინ, თუ განვიხილავთ მთელ განვითარებას, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ“...²

უნდა ვცადოთ „მი კანონების დაფორმულება, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს ენობრივი ცვლილება. ამგვარად უნდა განისაზღვროს უკვე **არა ისტორიული კანონები**, როგორცაა, მაგალითად, „ფონეტიკური კანონები“ ანდა ანალოგიის ფორმულები, რომლებითაც სავსეა ენათმეცნიერების თანამედროვე სახელმძღვანელოები, **არამედ ზოგადი კანონები**, რომელთაც **მნიშვნელობა აქვთ არა ენის განვითარების მხოლოდ ერთი მომენტისათვის, არამედ, პირიქით, — ყველა დროისათვის**, რომლებიც **არ არიან შემოფარგლული ერთი რომელიმე ენით**, არამედ, პირიქით, **თანაბრად ენებიან ყველა ენას**. და ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ **ეს არ იქნება არც ფიზიოლოგიური და არც ფსიქოლოგიური კანონები**, არამედ — **ენობრივი კანონები**“³.

ინდოევროპული ენების ისტორიაში — ასე ფიქრობს მეიე — ნათლად ჩანს გარკვეული ზოგადი ტენდენციები; ასე, მაგალითად, **ფონეტიკაში** დასტურდება **სიტყვის დაბოლოების დასუსტება**: შდრ. ინდოევროპ. *esti* „არის“ და ფრანგ. *ე* (იწერება *est*)... ინდო-ევროპ. **donom* — ფრანგ. *don* „მონაცემი“, „ძღვენი“, „საჩუქარი“.

ასევე, შეინიშნება **მორფოლოგიის გამარტივება**: „იმდენად, რამდენადაც ამ ოჯახის ენები განიცდიდნენ ევოლუციას, ყველა ენამ, ადრე თუ გვიან, შეკვეცა ფლექსიის მნიშვნელობა, ზოგმა — მეტად, ზოგმა — ნაკლებად, ზოგმა — ნელა, ზოგმა — სწრაფად...“⁴

„მაშინ, როდესაც ინდოევროპულს ჰქონდა სამი კილო — თხრობითი, კავშირებითი და ნატვრითი, — რასაც განასხვავებს ყველა ენა, წარმოდგენილი უძველესი ფორმით, — ძველი ბერძნული, ძველი ირანული, ვედის სანსკრიტი, — ორზე მეტს ვეღარ ვპოულობთ ისეთ ენებში, როგორცაა ლათინური, ირლანდიური, გერმანული, სომხური ანდა მხოლოდ ერთი კილო გვაქვს, როგორც ესაა სლავურში; ისევე, როგორც ლათინურში, მხოლოდ ორი კილო გვაქვს ახალ ბერძნულში ძველ ბერძნულთან დაპირისპირებით, კლასიკურ სანსკრიტსა და პრაკრიტში — ვედურთან დაპირისპირებით.

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 11.

³ იქვე (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

⁴ იქვე, გვ. 8.

ასევე ინდოევროპული კანკლედობის რვა ბრუნვა მხოლოდ ინდურ-ირანულს ძველ ფორმებში გვხვდება; სხვა ენებიდან, ყველაზე კარგად შენახულ ენებს დაეკარგათ ერთი ბრუნვა — სომხურს, პოლონურს, ლიტვურს, ძველ ლათინურს, — ანდა ორი ბრუნვა, როგორც, მაგალითად, რუსულს; და საცდუნებელი ილატივის გარდა აღმოსავლურ ლიტვურში, არა ჩანს, რომ რომელიმე ახალი ბრუნვა მიმატებოდეს¹ იმ ბრუნვებს, რომელთაც საერთო ინდოევროპული განასხვავებდა. სიტყვათა ურთიერთობა და მნიშვნელობის ნიუანსები, გამოხატული ბრუნვათა მეშვეობით, გადმოიცა სხვა პროცესებით: სიტყვათა წყობით, რომელსაც აქვს ტენდენცია მტკიცე ხასიათი მიიღოს ნაცვლად წინანდელი თავისუფალი წყობისა, — და სპეციალური სიტყვებით: წინდებულებით, კავშირებით, ნაწევრებით².

„ინდოევროპულ ენათა ფონეტიკური და მორფოლოგიური განვითარება, განსხვავებული თავის ნივთიერ დეტალებში, მაინც ექვემდებარებოდა ზუსტად მსგავს ტენდენციებს და წარმოგვიდგენს განსაცვიფრებელ პარალელიზმს“³.

„როგორც მორფოლოგიური, ისე ფონეტიკური **ზოგადი კანონების ძიება** ამიერიდან **უნდა იყოს ენათმეცნიერების ერთი მთავარი საგანთაგანი**, მაგრამ მათი განსაზღვრების თანახმად **ეს კანონები სცილდება ენათა ოჯახების ფარგლებს**. ის **ენება მთლიანად კაცობრიობას**“⁴.

„ენათა ისეთი დიდი, ისეთი მრავალფეროვანი ოჯახი, როგორიცაა ენათა ინდოევროპული ოჯახი, რომლის განვითარებასაც შეიძლება თვალი ვადევნოთ დროის დიდ მანძილზე, გვაწვდის, მართლაც რომ დაკვირვების საკმაოდ ვრცელ არეს იმისათვის, რომ მიღებულ დასკვნებს ჰქონდეს პრეტენზია საყოველთაო მნიშვნელობისაო“, — ამბობს მეიე, მაგრამ დასძენს:

„... სკეპტიკოსს შეუძლია შეეცადოს ეჭვის ქვეშ დააყენოს მიღებული დასკვნები მანამ, სანამ ენათა ყველა სხვა ოჯახის განვითარება არ იქნება გათვალისწინებული იმდენად, რამდენადაც დადგენილი ფაქტები ამის შესაძლებლობას მოგვცემს“⁵.

მეიე განაგრძობს: „შედარებითი გრამატიკა გარკვეული ჯგუფებისა, — მაგალითად, სემიტური ჯგუფისა, ფინურ-უნგრული ჯგუფისა, — უკვე საკმაოდ წინაა წასული; გარდა ამისა, მუშაობა დაწყებულია და საკმარისად წინაა წასული თურქულ-თათრული, ბანტუ-ენების, სამხრეთ-კავკასიურისა⁶, მალაიური ენების შესწავლაში. **იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ჩამოყა-**

¹ შდრ. ქართული ენის ისტორია, სადაც მოთხრობითი ჩამოყალიბდა შედარებით გვიან, შეიქმნა აგრეთვე მიმართვის ფორმა (ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 9-10.

⁴ იქვე, გვ. 13 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁵ იქვე, გვ. 14.

⁶ იგულისხმება ქართველური ენები.

ლიბდება სხვადასხვა ჯგუფის ენათა შედარებითი გრამატიკა უფრო სისტემატური სახით, ზოგადი ენათმეცნიერების კანონები განდება უფრო დამაჯერებელი, მოიპოვებს მეტ სიზუსტეს და უფრო სრულად ამოწურავს ენობრივი ფაქტების ერთობლიობას¹.

§ 49. ენის განვითარება და საზოგადოების სტრუქტურა. ამოიწურება თუ არა ზოგადი ენათმეცნიერების ამოცანები **ზოგადი ფონეტიკური და მორფოლოგიური კანონების დადგენით?**

ანტ. მეიე ამბობს: „ზოგადი ისტორიული ფონეტიკისა თუ მორფოლოგიის კანონები არ კმარა რაიმე ფაქტის ასახსნელად; ისინი გამოხატავენ მუდმივ პირობებს, რომლებიც აწესრიგებენ ენობრივი ფაქტების განვითარებას; მაგრამ თუნდაც რომ მოგვეჩერებინა მათი განსაზღვრა სრული სახით და ყოველმხრივ ზუსტად, **მანც ვერ განვკვრეტდით, როგორი იქნებოდა ევოლუცია მომავალში**, და ეს კი არასრული ცოდნის ნიშანს წარმოადგენს; ვერ განვკვრეტდით იმიტომ, რომ გაურკვეველი დარჩებოდა ის ცვალებადი პირობები, რომელნიც, შესაძლებელს ხდიან ანდა იწვევენ ამრიგად შეცნობილ შესაძლებლობათა რეალიზაციას. ამით ვერ დავკმაყოფილებით, თუ გვინდა მივალწიოთ იმ საბოლოო პროგრესს, რომელიც გამომდინარეობს ზოგადი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისაგან“².

ანტ. მეიეს საილუსტრაციოდ მოჰყავს ფონეტიკური ზოგადი კანონი: ხმოვნებს შორის მოქცეული თანხმოვანი სუსტდება. რატომ? იმიტომ რომ „მარცვალში ხმოვნები უპირატესად ღია ელემენტებია, ისინი მოითხოვენ არტიკულაციის მინიმუმს; ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეგუება წინა და მომდევნო ხმოვნით ელემენტს, ისწრაფვის გახმეირდეს ასე თუ ისე, სწორედ ისე, როგორც ხმოვანი, მოქცეული ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ, ისწრაფვის ნაზალიზაციისაკენ“.

მაგრამ თანხმოვნის ასეთი დასუსტება ხმოვნებს შორის მხოლოდ შესაძლებლობაა: იგი „ხელს არ უშლის, რომ თანხმოვნები განაგრძობდნენ არსებობას გარკვეულ ენებში განუსაზღვრელი ხნის განმავლობაში. ხმოვნებს შორის მოქცეული t ინდოევროპული სიტყვისა, რომელიც აღნიშნავდა „ასს“ — სანსკრიტის *satam* და ლათინური *centum* — განაგრძობს არსებობას თანამედროვე ბერძნულ სიტყვაში *ekato*; ხმოვნებს შორის მოქცეული k ინდოევროპული სიტყვისა „ათისათვის“ — ლათინური *decem* — ყოველგვარი ცვლილების გარეშე შემონახულია ახალ ბერძნულ *deka*-ში; ასევე, ხმოვნებს შორის მოქცეული t ინდოევროპული სიტყვისა, რომელიც „დედას“ აღნიშნავს ლიტვურში, სლავურში ისევე ხელუხლებლად არის დაცული, როგორც ეგვე ბგერა ვედური სანსკრიტის *mātā*-ში, ძვ. ბერძნულ *μήτηρ*-ში, ლათინ. *mater*-ში, და შეიძლება გავიგონოთ, რომ ლიტველი ამ-

¹ იქვე, გვ. 14 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 15-16 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ბობს *mote*-ს, რუსი ლაპარაკობს *mat'*, *máteri*-ს, სერბიელი — *mati*-ს და ასე ყველა მსგავს შემთხვევაში. ყველა ეს ხმოვნებს შორის მოქცეული თანხმოვანი... სულ მცირე, ოთხი ათასი წელია, რაც არსებობს და არაფერი გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს ხანებში მოსალოდნელი იყოს რაიმე ცვლილება“¹.

კონკრეტულ ენათა ისტორიული ცვლის ფაქტებმა თავი მოიყარა ფონეტიკური წესის, ანალოგიისა და სესხების გარშემო; ყველა ეს ფაქტი სხვადასხვა ენებში განვითარების ტენდენციებს ამჟღავნებენ: ვიღებთ **ზოგად** ენობრივ კანონებს, ვთქვათ, ფონეტიკურსა და მორფოლოგიურს. მაგრამ ეს ზოგადი კანონები შესაძლებლობაა და არა აუცილებლობა.

ეს **შესაძლებელი** რომ **რეალობის ფაქტად იქცეს**, საჭიროა **სხვა რამ, ახალი, დამატებითი პირობა**.

ანტ. მეიე ამბობს: ეს პირობა „არ შეიძლება მოიპოვებოდეს სამეცნიერო ორგანოთა ანატომიურ სტრუქტურაში ანდა ამ ორგანოთა მოქმედებაში; მით უფრო ეს ითქმის ფსიქიკურ მოქმედებათა შესახებ: ესაა მუდმივი მონაცემები, რომლებიც არსებითად ყველგან ერთი და იგივეა და რომლებიც არ შეიცავენ თავის თავში ცვლილების პრინციპებს. მაგრამ არის ერთი ელემენტი, რომლის ვითარებანიც იწვევენ მუდმივ ცვლილებებს, ხან — სწრაფსა და ხან — ნელს, მაგრამ ისეთს, რომ მთლად არასოდეს არ წყდება: ესაა **საზოგადოების სტრუქტურა**“².

§ 50. ენის სოციალურობა სტატიკაში. ამრიგად, ენის განვითარების **დინამიკის** ანალიზმა ანტ. მეიე მიიყვანა **ენისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის ურთიერთობის საკითხამდის**.

მაგრამ ენის სოციალური ბუნება **სტატიკურ** ვითარებაშიც ნათლად აქვს გათვალისწინებული მეიეს; იგი წერს:

„...**ენა არის უადრესად სოციალური ფაქტი**. არაერთხელ თქმულა, რომ ენა არ არსებობს მასზე მოლაპარაკე პირთა გარეშე და, მაშასადამე, არა გვაქვს საფუძველი ენას მივაწეროთ ავტონომიური არსებობა, თვითმყოფობა. ეს ცხადია, მაგრამ მნიშვნელობას მოკლებული, როგორც, თავისთავად ცხად დებულებათა უმეტესობა. ვინაიდან, თუმც ენის რეალობა არ წარმოადგენს რაიმე სახის მატერიალურ ნივთს, ის მაინც არსებობს. ეს რეალობა არის ერთსა და იმავე დროს ენობრივი და სოციალური.

„ის არის ენობრივი: ვინაიდან **ენა წარმოადგენს გამოსახვის საშუალებათა რთულ სისტემას, სისტემას, რომელშიაც ყველაფერი დაკავშირებულია ერთმანეთთან და რომელშიაც ინდივიდუალური ახალი მოვლენა ძნელად თუ გაიკაფავს გზას**. თუკი, წმინდა კაპრიზიდან გამომდინარე, იგი ზუსტად არ შეეგუება ამ სისტემას, ესე იგი, თუ ის არ არის ჰარმონიაში [თანხმობაში] ენის ზოგად პრინციპებთან [წესებთან].

¹ იქვე, გვ. 15.

² იქვე, გვ. 16 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„მეორე მხრით, **ენის რეალობა სოციალურია**: იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ **ენა ეკუთვნის მოლაპარაკე ინდივიდთა გარკვეულ წრეს**, და იქიდან, რომ **იგი არის ურთიერთობის საშუალება ერთი და იმავე ჯგუფის წევრთათვის**, და იქიდან, რომ **ამ ჯგუფის არც ერთ წევრზე არ არის დამოკიდებული შეცვალოს ენა**. ერთმანეთის გაგების საჭიროება **კი ჯგუფის ყველა წევრს ავალებს დაიცვას, რაც შეიძლება მეტად, ენობრივ ჩვევათა იგივეობა**; სასაცილოდ გახდომა — ესაა დაუყოვნებლივი სანქცია ყველა ინდივიდუალური გადახრისათვის...

„როგორც ეს კარგად თქვა ბრეალმა თავის Essai de sémantique-ში¹, **შეზღუდვა იმ თავისუფლებისა, რომელიც აქვს ყოველ მოლაპარაკეს თავისი ენის შეცვლაში, ემყარება ურთიერთგაგების საჭიროებას**, ესე იგი, იგი არის იმავე ხასიათისა, როგორც სხვა კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას“².

მეიე ასკვნის: „ამიტომ *a priori* მოსალოდნელია, რომ ყოველი ცვლილება საზოგადოების სტრუქტურაში გამოხატულებას იპოვის იმ პირობათა ცვლის მეშვეობით, რომლებშიც ვითარდება ენა. ენა არის ავტონომიური მონაცემი, და აი უნდა განისაზღვროს განვითარების ზოგადი პირობები წმინდა საენათმეცნიერო თვალსაზრისით, და ეს არის ზოგადი ენათმეცნიერების საგანი; მას აქვს თავისი ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პირობები და ის დამოკიდებულია ანატომიასა, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაზე, რომელნიც მას უთქვს ჰფენენ მრავალმხრივ და რომელთა განხილვაც აუცილებელია ზოგადი ენათმეცნიერების კანონთა დასადგენად; მაგრამ იმ ფაქტიდან, რომ **ენა არის სოციალური მონაცემი, გამომდინარეობს, რომ ენათმეცნიერება არის სოციალური მეცნიერება** და, **ერთადერთი ცვალებადი ელემენტი, რომელსაც უნდა მივმართოთ ენობრივი ცვლილების გასათვალისწინებლად**, ეს არის **სოციალური ცვლილება**, და **ენის ცვლილება სხვა არა არის რა, თუ არა შედეგი (სოციალური ცვლილებისა), ზოგჯერ უშუალო და პირდაპირი და ყველაზე უფრო ხშირად შუალობითი და არაპირდაპირი... თუ მართალია, რომ საზოგადოებრივი სტრუქტურა შეპირობებულია ისტორიის მიერ, თვით ისტორიული ფაქტები არასოდეს არ განსაზღვრავენ პირდაპირ ენობრივს ცვლილებებს და ეს მხოლოდ საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებებია, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ ენის ასებობის პირობები. უნდა განისაზღვროს, რომელ სოციალურ სტრუქტურას შეეფერება ესა თუ ის ენობრივი სტრუქტურა და, ზოგადად, როგორ გამოისახება სოციალური სტრუქტურის ცვლილებები ენობრივი სტრუქტურის ცვლილებებში“³.**

¹ „სემანტიკის ნარკვევი“, 1896.

² იქვე, გვ. 16-17.

³ იქვე, გვ. 17.

§ 51. მეიეს დებულებათა შეფასება. ენა ნიშანთა სისტემაა; ენა ადამიანთა ჯგუფის **ურთიერთობის** საშუალებაა და ამდენად **სოციალური მოვლენაა** (ცალკეულ ინდივიდზე არაა დამოკიდებული ენის შეცვლა; გაგებინების საჭიროება მოითხოვს ენობრივ ჩვევათა იგივეობის დაცვას; თავისუფლება, რომელიც აქვს ინდივიდს თავისი ენის შეცვლაში, შეზღუდულია გაგებინების საჭიროებით) — ეს დებულებები მეიესთან მოცემულია **უფრო მარტივი** სახითაც და **უფრო დამაჭერებლადაც**, ვინემ სოსიურთან, მასთან ეს დებულებები არაა შეპირობებული ისეთი წანამძღვრებით, რომლებიც ენობრივ ნიშანს ფსიქიკური ბუნებისად მიგვაჩნევენდენ სოსიურთან.

დებულება, რომ ენათმეცნიერება სოციალური მეცნიერებაა, სწორია. **პრინციპში** მართებულია მეიეს მოთხოვნა, ენის ცვლილებები დაყვანილ იქნეს საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებებამდის, თუმცა მეიეს სათანადო დებულებას კონკრეტული მაგლითები არ ახლავს და ამიტომაც ძნელდება იმის გათვალისწინება, რას გულისხმობს ავტორი ამ დებულებაში: ცალკეული ენობრივი ფაქტების ახსნას თუ ენის სტრუქტურის, — მაგალითად, მორფოლოგიური ტიპის (აგლუტინაცია, ფლექსია... ანალიზური, სინთეზური წყობა) ცვლას საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლასთან დაკავშირებით, — თუ ერთსაც და მეორესაც. დეტალიზაცია ესაჭიროება ცნებასაც „საზოგადოებრივი სტრუქტურა“.

მერე: შენიშვნებს იწვევს მეიეს აზრი ზოგადი ენობრივი კანონების შესახებ: ეს კანონები შესაძლებლობაზე მიუთითებს და წარსულის ახსნას ემსახურება, ჩვენ კი „**მაინც ვერ განვჭვრეტდით, როგორი იქნებოდა ევოლუცია მომავალში**“. განა სოციალური სტრუქტურისადმი აპელაცია მოგვცემს საშუალებას განვჭვრიტოთ — როგორი იქნება ევოლუცია მომავალში? რასაკვირველია, არა! ენათმეცნიერი კმაყოფილი იქნება, თუ **წარსულის ახსნას** მოვახერხებთ. მომავალში ცვლის გათვალისწინება მხოლოდ ბუნებისმეცნიერებებშია შესაძლებელი, ისიც იმდენად, **რამდენადც** ბუნებაში მიმდინარე პროცესთა **პირობები** მეტ-ნაკლებად **უცვლელია**; ამის გარეშე კი ბუნებისმეცნიერებაც ვერ გაითვალისწინებს, მომავალში რა მოხდება. განა ფიზიკოსს შეეძლება განაცხადოს — წყალი 100°-ზე ადუღდებაო, თუ მას არ ეცოდინება, როგორი იქნება ატმოსფერული წნევა? წყლის ადუღების ტემპერატურა მტკიცედ დადგენილად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ ვვარაუდობთ ნორმალურ ატმოსფერულ წნევას (მყინვარწვერზე წყალი ადუღდება უფრო დაბალ ტემპერატურაზე).

ანტ. მეიესთან გარჩეული არაა ახსნა იმისა, რაც მოხდა, და განჭვრეტა იმისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს.

ზოგადი ენობრივი კანონების განსაზღვრა არსებითად სწორია. ასეთი **კანონების დადგენა ზოგადი ენათმეცნიერების ამოცანააო** — **უდავო დებულებაა და მასთან მეტად ფასიელი**. არაა ოღონდ გასაგები, რატომაა მისი ილუსტრაცია მოცემული ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ ფაქტებზე. სხვა დარგები? ვთქვათ, სინტაქსის სინამდვილე მორფოლოგიასთან

დაკავშირებითაა ნავარაუდვე. ლექსიკა-სემასიოლოგია? პრინციპში „**ზოგადი ენობრივი კანონები**“ სემასიოლოგიაშიც ისევეა მოსალოდნელი, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში: განვითარების გარკვეული ტენდენციები სიტყვის მნიშვნელობის ისტორიაშიც უდავოდ საგულგებელია.

ამ შენიშვნებისდა მიუხედავად ანტ. მეიეს დებულება, — ენობრივი აიხსნას სოციალურის ნიადაგზე, — ვიმეორებთ, მართებულია.

ანტ. მეიეს ენობრივი ნიშანი ფსიქიკური ბუნებისად არ გამოუცხადებია. ამ მხრივ სოსიურისებური ფსიქოლოგიზმი მეიესთან არა გვაქვს. მაგრამ ფსიქოლოგიზმი შორეულ პერსპექტივაში მაინც რჩება: სოციოლოგია, რომელსაც მიმართავს მეიე, დიურკჰეიმის სოციოლოგიაა — ფსიქოლოგისტური სოციოლოგია.

მეიეს სოციოლოგიზმთან დაკავშირებით ერთი რამეც უნდა აღინიშნოს. მეიე თავის წერილს ამთავრებს სიტყვებით: „მეცხრამეტე საუკუნე იყო ისტორიის საუკუნე, და განსაკვიფრებელია ის წარმატებანი, რომელთაც ენათმეცნიერებამ მიაღწია ისტორიული თვალსაზრისის წყალობით; სოციალური მეცნიერებები ახლა ყალიბდება, და ენათმეცნიერებამ უნდა დაიკავოს აქ ადგილი, რომელიც მას შეეფერება მისი ბუნების შესაბამისად. დადგა დრო, როდესაც უნდა მოიხაზოს საენათმეცნიერო პრობლემათა ადგილი სოციალური თვალსაზრისით“¹.

ამ სიტყვებში, თუმცა რბილად, ისტორიულ თვალსაზრისს უპირისპირდება სოციალური.

არსებითად მსგავსივე მდგომარეობა გვაქვს მეიეს სხვა შრომაშიც, სადაც ვკითხულობთ: ენათმეცნიერების საგანია ენა, როგორც „ურთიერთობის საშუალება გარკვეული ჯგუფის ადამიანებისათვის, ესე იგი როგორც სოციალური მოვლენა. **ენათმეცნიერება შეადგენს სოციოლოგიის ნაწილს**. როგორც ყოველი სოციალური ინსტიტუტი (institution), ადამიანის მეტყველება... დამოკიდებულია წარსულის აურაცხელ ფაქტებზე. ენათმეცნიერება, მაშასადამე, არის, იმავე გაგებით, როგორც სხვა სოციალური მეცნიერებანი, ისტორიული მეცნიერება“². აქაც სოციალურობა პირველ რიგზეა.

რამდენადაც სოციალური არ გამოორიცხავს ისტორიულს, არც შეიძლება მათი დაპირისპირება ანდა ერთი მომენტის შეზღუდვა მეორის სასარგებლოდ. **ისტორიული ფონი სოციოლოგისტურ თვალსაზრისს გაცილებით უფრო ესაჭიროება, ვინემ ფსიქოლოგისტურს** (მხედველობაში გვაქვს ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი).

ფრანგული სოციოლოგიური სკოლა ისტორიზმის საკითხში არსებითად სოსიურს გაჰყვა: სოციალურის ანალიზი ენის, როგორც სისტემის, შესწავლისაკენ გადაიხარა და ისტორიზმი დაიჩრდილა.

¹ იქვე, გვ. 18.

² იხ. ანტ. მეიეს წერილი "Linguistique" კრებულში — "De la méthode dans les sciences," II სერია (II გამოცემა), პარიზი, 1911, გვ. 256.

ზოგადი ენათმეცნიერებისათვის მისაღებია მხოლოდ ის სოციოლოგიზმი, რომელიც ისტორიზმის უფლებებს განამტკიცებს, ისტორიული თვალსაზრისის საკვლევაძიებო შესაძლებლობას გაზრდის.

IV. სტრუქტურალიზმი, როგორც სოსიურის კონცეფციის ტენდენციათა განვითარება

§ 52. სტრუქტურალიზმის ძირითადი თეორიული დებულებები. სოსიურის სოციოლოგიური კონცეფციის ანალიზი მოცემული გვაქვს ზემოთ (იხ. § 47). ამ ანალიზის თვალსაზრისით საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების ახალი მიმდინარეობის, **სტრუქტურალიზმის**, ძირითად საპროგრამო დებულებათა განხილვა.

დასავლეთ ევროპაში 1939 წლიდან მას აქვს საკუთარი ორგანო — „საენათმეცნიერო შრომები“-ს (Acta linguistica) სახით¹.

¹ პირველი ტომის პირველი ნაკვეთი გამოსულია 1939 წელს. ჟურნალზე აღნიშნულია, რომ ესაა „სტრუქტურალური ენათმეცნიერების საერთაშორისო მიმომხილველი“, რომლის გამოცემაც ხორციელდება „საერთაშორისო საბჭოს“ ხელის შეწყობითაო. ამ საბჭოს წევრთა სიაში, რომელიც ყდაზეა მოთავსებული, მოხსენებული არიან: ფრანგი ენათმეცნიერები — ვანდრიესი, ბენვენისტი, სეშე, ნორვეგიელი სომერფელტი, ამერიკელი სეპირი (გარდაცვლილი იყო პირველი ნაკვეთის გამოსვლისას, — გარდაიცვალა 4.II.1939), დანიელი ენათმეცნიერი იელმსლვეგი, ინგლისელი გარდინერი, პოლონელი კურილოვიჩი და სხვ., სულ 21 კაცი. მათი სახით წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო ცენტრები: პარიზი, ჟენევა, ლონდონი, პრაღა, კოპენჰაგენი, ლვოვი, ბრნო, ბელგრადი, სოფია, ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ოსლო, გოტებორგი (შვედეთში), ჰელსინკი, დორპატი, ლეიდენი (ჰოლანდიაში), გენტი (ბელგიაში), ფლორენცია, ნიუ-ჰავენი (შვეტ. შტატებში), მედისონი (შვეტ. შტატები), კალკუტა, ბერლინი.

წამყვანი როლი ეკუთვნის **პრალისა** და **კოპენჰაგენის** საენათმეცნიერო წრეებს: მათი ინიციატივითაა დაარსებული „აქტა ლინგვისტიკა“. აღსანიშნავია პარიზის საენათმეცნიერო სზოგადოებისა და ლვოვის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობა.

ჟურნალს ხელმძღვანელობენ კოპენჰაგენელები ბრონდალი და ჰიელმსლვეგი.

პირველ ნაკვეთში სარედაქციო წინასიტყვაობის გარდა მოთავსებულია რამდენიმე წერილი (მათ შორის ზოგი საპროგრამო ხასიათისა), რეცენზია და ნეკროლოგი.

ჩვენი მსჯელობისათვის ამოსავალია ხსენებული ჟურნალის პირველი ნაკვეთი (მეორე და მესამე ნაკვეთი 1941 წლის დამდეგისთვის მოიპოვებოდა ლენინგრადში; ჩვენში, სამწუხაროდ, მათი მიღება არ მოესწრო).

რედაქცია განმარტავს: ახალი მიმდინარეობის ორგანოს დაარსების იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა პრალასა და კოპენჰაგენში, გარკვეულ პრობლემატიკაზე ურთედლება გამახვილდა დისკუსიების შედეგად, რომელთაც ადგილი ჰქონდა, პრალისა და კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრეების გარდა, ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესებზე უკანასკნელი ათი წლის მანძილზეო.

პირველ ნაკვეთში ჟურნალის რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავს: ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ სტრუქტურალური ენათმეცნიერების პრობლემები გადაწყვეტილად მივიჩნით. ყოველგვარი დოგმატიზმი ჩვენთვის უცხოა. პროგრამაც კი დროებითია; მსოფლიოს ინტელექტუალური ცენტრების თანამშრომლობით უნდა დამუშავდეს ძირითადი საკითხებიო. მაგრამ იქვე უცილობლად არის მიჩნეული ამჟამად ენათმეცნიერებაში ხმარებული მეთოდების რევიზია და განახლება ჩვენი მეცნიერების თვით საფუძვლებისაო¹.

ერთ-ერთი რედაქტორთაგანი — იელმსლევი — თავის წერილში გარკვევით ამბობს, რომ სტრუქტურალიზმი მოასწავებს ენათმეცნიერების ახალ ორიენტაციას, იგი გამოწვეულია შინაგანი საჭიროებით, რომელიც ცოცხლად იგრძნობა და, დასასრულ, ავტორს მოჰყავს მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ „სასარგებლო იქნებოდა შეგვენარჩუნებინა კონტაქტი კლასიკურ ენათმეცნიერებასთანაო“, ამოსავლად გვქონოდა მისი მიღწევები ყველგან, სადაც კი ისინი აღმოჩნდებიან ნაყოფიერი, ე. ი. გარკვევით **დგას საკითხი, — საჭიროა თუ არა კლასიკურ ენათმეცნიერებასთან კავშირი**: ესაა ამ კონტექსტში არსებითი და არა ის, რომ თვით იელმსლევი ძველისა და ახლის — *nova et vetera*-ს — შეზავებას შესაძლებლად ცნობს.

ამდენად სტრუქტურალიზმი ანგარიშგასაწევი ფაქტია დასავლეთის ენათმეცნიერებაში.

როგორია სტრუქტურალიზმის ძირითადი დებულებები?

სავსებით ერთგვარი გაგება არ დასტურდება იმ ავტორთა შორისაც, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან *Acta linguistica*-ს პირველ ნაკვეთში, — სხვაობა ჩანს პოზიტიურ ნაწილშიცა და ნეგატიურშიც (ისტორიულ ენათმეცნიერებასთან დამოკიდებულების საკითხში).

ტერმინი „სტრუქტურალიზმიც“ არაა სავსებით უდავო. ლინდროტი სპეციალურ წერილს უძღვნის საკითხს: „**რა უნდა ეწოდოს ჩვენს მეცნიერებას?**“ ლინდროტის აზრით, „**სისტემოლოგია**“-მ უნდა დაიჭიროს „სტრუქტურალიზმის“ ადგილი, ასევე „სისტემა“-მ — „სტრუქტურისა“: „სისტემაშია როგორც ფუნქცია, ისე სტრუქტურა მოცემულიო... სისტემა შეიცავს სრულიად სხვაგვარად, ვინემ სტრუქტურა, მთლიანობის იდეას, „მეტის შემცველი მთლიანობის იდეასო“².

მაინც „სტრუქტურალიზმი“ რჩება მიმდინარეობის აღმნიშვნელ ტერმინად.

¹ *Acta linguistica* I, 1, გვ. 2.

² იქვე, გვ. 79-80.

სტრუქტურალიზმისათვის ყველაზე დამახასიათებელი ჩანს ვიგო ბრონდალ-ის (Viggo Bröndal) გაგება, წარმოდგენილი წერილში „სტრუქტურალური ენათმეცნიერება“.

ენათმეცნიერების ძირითად პრობლემათა შესახებ მსჯელობისას ბრონდალი მხედველობაში იღებს სხვა მეცნიერებათა სინამდვილეში არსებულ ვითარებას. ბრონდალის აზრით „ენათმეცნიერებაში ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა დარგებში, ახალი მეცნიერული განწყობილება (esprit) გარკვევით ანტიპოზიტივისტურია“¹. „შედარებითი (და ისტორიული) გრამატიკა კი გარკვევით პოზიტივისტურია“². „პოზიტივიზმის ძირითადი ტენდენციები ხასიათდება ისტორიზმის, კონკრეტული ფაქტებისა და კანონების დიდი მნიშვნელობის აღიარებით (importance de l'histoire)³. პოზიტივისტი იწყებს კონკრეტული ფაქტებით და მეტწილად იქვე რჩება, ამას იქით არ მიდის⁴. განმხოლოებულად აღებულ კანონს მხოლოდ შეფარდებითი და დროებითი მნიშვნელობა ენიჭება⁵. „ლ ა ლ ა ნ დ მ ა ცხადყო ევოლუციური ილუზიები: სინამდვილეში კი ის, რაც მთავარია ყოველი მეცნიერებისათვის, ესაა [არა ცვალებადი, არამედ] პერმანენტული, მუდმივი, იდენტური და არსებითი ეტიმოლოგიისათვის ისევე, როგორც ლინგვისტური გენეალოგიისათვის — ესაა მოიპოვოს ზოგადი ამოსავალი პუნქტი, მაშასადამე, იდენტიფიკაცია“⁶.

„შეუძლებელია ენის მდგომარეობა გამოვიყვანოთ მისი ისტორიიდან... ამ პრინციპის უგულვებელყოფა წარმოშობს ძირითად შეცდომას დიალექტების აღწერისას ისტორიის საფუძველზე“⁷.

„მთელ რიგ მეცნიერებაში ბოლოს და ბოლოს იგრძნეს საჭიროება უფრო შეიკრას ის კავშირები, რომლებიც შესასწავლი ობიექტის შიგნით იგრძნობა. მეტ-ნაკლებად ყველგან მივიდნენ იმ რწმენამდის, რომ რეალურ მონაცემებს უნდა ჰქონდეს შინაგანი კავშირი, თავისებური სტრუქტურა“⁸. ასე, მაგალითად, ამჟამად ფიზიკაში იკვლევენ არა მხოლოდ კრისტალებისა და ატომის სტრუქტურას, არამედ სინათლის სტრუქტურასაც⁹. ფსიქოლოგიაშიც, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურის (გერმ. Gestalt, ინგლ. pattern) ცნება დღის წესრიგშია დასამული.

¹ Acta I, 1, გვ. 4 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე.

³ იქვე, გვ. 3.

⁴ იქვე, გვ. 2.

⁵ იქვე, გვ. 4.

⁶ იქვე, გვ. 3.

⁷ იქვე, გვ. 9.

⁸ იქვე, გვ. 5-6.

⁹ იქვე, გვ. 6.

სტრუქტურა ლალანდის თანახმად აქ ნახმარია „სპეციალური და ახალი მნიშვნელობით... რათა აღნიშნოს — ელემენტთა უბრალო კომბინაციის საპირისპიროდ — მთლიანობა, შექმნილი ურთიერთდაკავშირებულ ფენომენტაგან, ისეთთაგან, როცა ყოველი დამოკიდებულია სხვებზე და არ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარად, თუ არ სხვებთან მიმართებაში. ზუსტად ამგვარადვე იყო, — დასძენს ბრონდალი, — სოსიური რომ ლაპარაკობდა სისტემათა შესახებ, სადაც ყოველივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული, აგრეთვე ედ. სეპირი ლინგვისტური ერთობლიობის pattern-ისა თუ მოდელის შესახებ. ტრუბეცკოის დიდი დამსახურებაა, რომ მან დააფუძნა და გამოიმუშავა ფონოლოგიური სისტემებისათვის სტრუქტურალისტური კონცეფცია¹.

ამ „ახალ საენათმეცნიერო კონცეფციას, რომელიც მომდინარეობს არა მხოლოდ სოსიურისაგან, არამედ ბოდუენ-დე-კურტენესა და სხვა მკვლევართაგან, დიდი უპირატესობა აქვს. იმ სიძნელეებს, რომლებიც პოზიტივიზმის წინაშე აღიმართებოდა ხოლმე, იგი თავს აღწევს იმით, რომ შეგნებულად კვლავ აღადგენს იგივეობის, ერთიანობისა და მთლიანობის იდეებს, რომელნიც ყოველთვის ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ გაამწყვეტ როლს მეცნიერებათა წინსვლაში“².

იგივეობის, ერთიანობისა და მთლიანობის იდეები შინაგან კავშირშია სინქრონიის, ენისა და სტრუქტურის ცნებებთან.

„სინქრონიის ნიშნის ქვეშ თავს იყრის ყველაფერი, რაც კი არის ჰომოგენური ერთსა და იმავე მდგომარეობაში... რომ დავადგინოთ ენა-ცნება, ყველა მოცემულ ვარიანტს თავი უნდა მოუყაროთ არსებითი და განყენებული ტიპების მინიმალური რიცხვის ქვეშ, ... განზე დავტოვოთ ყველაფერი, რაც უმნიშვნელოა და წმინდა ინდივიდუალური... რათა ღრმად შევიჭრათ სტრუქტურაში, უნდა დავადგინოთ ყველა ის მუდმივი, აუცილებელი და, მაშასადამე, კონსტიტუციური მიმართებანი, რომელთაც [გაიგივებულ და გაერთიანებულ] ელემენტებს შორის აქვს ადგილი“³.

ახალმა თვალსაზრისმა ნაყოფიერი გამოყენება პოვა მორფოლოგიასა და ფონეტიკაში... ენათმეცნიერთ მოუხდებათ მოიმარჯონ იგი გრამატიკის ყველა დარგში და თვით ენათა ტიპოლოგიის რკვევისა⁴.

¹ იქვე, გვ. 6 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 7-8.

სინქრონიისა და დიაქრონიის განსხვავებასთან დაკავშირებით დაისმის საკითხი, ხომ არ იქნება საჭირო დავუშვათ დიაქრონიულისა და სინქრონიულის გვერდით **პანქრონიული** და **აქრონიული** თვალსაზრისიც, ე. ი. დავსვათ საკითხი იმ ზოგადადამიანურ ფაქტორთა შესახებ, რომელნიც არსებობენ ისტორიის გასწვრივ და რომელნიც იგრძნობიან ყოველი ენის შიგნით¹.

ენისა და მეტყველების აქტის გარჩევას ჩვევის („უზუსის“) საკითხიც დგება: ამ ცნებას საშუალო ადგილი უჭირავს ენასა და მეტყველების აქტს შორის“².

მწვავე საკითხად დგას და, ეჭვს გარეშეა, დიდხანს იქნება სადავო გრამატიკის სხვადასხვა დარგების ურთიერთობა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან ფონოლოგია და ფონეტიკა, მოფოლოგია და სინტაქსი.

სტრუქტურისა და ელემენტების გარჩევას თან სდევს კითხვა: თანაბრად აუცილებელია თუ არა სისტემაში ყველა ელემენტი? თუ უნდა ვივარაუდოთ, რომ სისტემაში ადგილი აქვს დამოკიდებულებათა საფეხურებს და, მაშასადამე, არსებობს შედარებით დამოუკიდებელი ელემენტებიც? ჯგუფთა სტრუქტურის კვლევას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

მეორე მხრივ, კითხვა იბადება — უცილობლად ყველგან გვექნება საქმე სტრუქტურასთან თუ არა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენად და რა პირობებია სავარაუდებელი, რომ ფორმამ, სიტყვამ, ენამ დაიყვანოს თავისი სტრუქტურა ნულამდის? ამ ო რ ფ უ ლ ო ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა, ამგვარად, განახლდება სტრუქტურალისტური თვალსაზრისით.

სტრუქტურა გაგებულია აქ, — ამბობს ბრონდალი, — როგორც ავტონომიური ობიექტი, როგორც ისეთი რამ, რაც **არ გამოიყვანება ელემენტებისაგან**, რომელთა **არც აგრეგატსა** და **არც ჯამს იგი არ წარმოადგენს**. ამიტომაც, რომ შესაძლო სისტემათა და მათი ფორმის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება³.

ამისდა მიუხედავად, **ელემენტები**, რომლებიც შეადგენენ **სისტემის ნაწილებს**, **არ უნდა განვიხილოთ, როგორც უბრალო დერევატი სტრუქტურულ შეფარდებათა თუ დაპირისპირებათაო**.

სინამდვილეში მნიშვნელოვანი იქნება განვასხვავოთ სისტემის წმინდა ფორმალური თვისებები და სისტემის მასალა ანუ სუბსტანცია, რომელიც, შეგუებულია რა მოცემულ სტრუქტურასთან, მასში შედარებით დამოუკიდებელია. ამისდა კვლად რეალურ კატეგორიათა, სისტემათა შინაარსისა თუ საფუძვლის შესწავლა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვინემ

¹ იქვე, გვ. 8.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 9-10 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ფორმალური სტრუქტურის შესწავლა. ჰუსერლის ღრმა ნაზრევი ფენომენოლოგიის შესახებ იქნება ამ მხრივ შთაგონების წყარო ენის ყოველი ლოგიკოსისთვისაო, — დაასკვნის ბრონდალი¹.

ასთია ბრონდალის საპროგრამო წერილის შინაარსი.

როგორც ვნახეთ, **სტრუქტურის ცნება**, ცენტრალურ პრობლემას რომ ქმნის და რიგ საკითხებს აყენებს:

რაა სისტემის არსი?

ერთნაირად დამოკიდებულია თუ არა სისტემის ყოველი შემადგენელი ელემენტი?

ყოველი ენობრივი ფაქტისთვისაა (resp. ენისთვისაა) ნიშანდობლივი სტრუქტურის მქონებლობა, თუ შესაძლოა გრადაციები ვიდრე ნულამდის?

როგორია სტრუქტურის ფორმალური და მატერიალური მომენტების ურთიერთობა?

რა ადგილი უჭირავს ჩვევის („უზუსის“) ცნებას სტრუქტურალური ანალიზის თვალსაზრისით?

როგორია გრამატიკის დარგთა ურთიერთობა?

საკმარისია თუ არა დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისის გარჩევა, თუ საჭიროა **ბანქრონიული** და **აქრონიული** (ე. ი. საყოველღოროლო და დროსგარეშე, „ზედროული“) თვალსაზრისი?

ეს საკითხები ენის რაობისა და სტატეკური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებს მოიცავს. სანამ ბრონდალის შეხედულებათა დაფასებას შევუდგებდეთ, უნდა მოვუსმინოთ, სტრუქტურალიზმის მეორე ფრთის წარმომადგენელს, იელმსლევს.

იელმსლევის აზრით, **„სტრუქტურალური ენათმეცნიერებაა ყოველი ენათმეცნიერება, რომელიც ხედავს ენაში სტრუქტურას და რომელიც სტრუქტურას აქცევს ნორმად ყოველი კლასიფიკაციისათვის“²**.

რაა ენის სტრუქტურა? „ენის სტრუქტურა არის დამოკიდებულებათა ხლართი (réseau de dependances) ანუ უფრო ზუსტად... რომა ვთქვათ, ფუნქციათა ხლართი“. „ნიშნის ფუნქციაშია შესასწავლი ობიექტის ფუნდამენტური ფაქტი“.

„სტრუქტურა ქმნის იერარქიას, რომელმაც იცის მხოლოდ საკუთარი რიგი“. მისი შესწავლა უნდა წარმოებდეს დედუქციურად... უნდა იწყებოდეს ყველაზე განყენებული (ზოგადი, მარტივი) ფაქტებით და უნდა გადადიოდეს უფრო და უფრო კონკრეტულ ფაქტებზე...“ „...მეთოდს, რომელსაც ვიყენებთ ამ დედუქციური იერარქიის ძიებისას, ჩვენ ვუწოდებთ ემპი-

¹ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² Acta I, 1, გვ. 10.

რიულიო“... „ემპირიული მეთოდი ანუ იმანენტური სემიოლოგიური მეთოდი, რომელიც ხედავს ნიშნის ფუნქციაში შესასწავლი ობიექტის ფუნდამენტურ ფაქტს, იძლევა ყველაზე მარტივ გადაწყვეტასაო“¹.

იელმსლევე შენიშნავს: ფუნქციონალური ენათმეცნიერება უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ის, რაც ჩვენ გვაქვს მხედველობაში; განმასხვავებელია სტრუქტურის პრინციპით: „სემიოლოგიური ფუნქცია არაა ახალი ცნება; ახალია სტრუქტურალური თვალსაზრისი, რომელიც სემიოლოგიურ ფუნქციას პირველ რიგში ათავსებს და მას განიხილავს, როგორც ენის ყველაზე კონსტიტუციურ ნიშანს“².

„სტრუქტურალურ ენათმეცნიერებას და მხოლოდ მას შეუძლია ბოლო მოუღოს იმ უნუგემო მდგომარეობას, რომელიც ასე კარგად დაახასიათა მეიემ შემდეგ სიტყვებში: „ყოველ საუკუნეს აქვს თავისი ფილოსოფიის შესაბამი გრამატიკა... იმდენივე ენათმეცნიერებაა, რამდენიც ენათმეცნიერიო... ჩვენს მეცნიერებას ობიექტურ ხასიათს მიანიჭებს სტრუქტურალური ენათმეცნიერების რეალიზაციაო“³.

სტრუქტურა, განმარტებული, როგორც დამოკიდებულებათა ხლართი, მთლად არ ხვდება იმ გაგებას, რომელიც ბრონდალთან ჰქონდა მინიჭებული ამ ტერმინს. აქ (იელმსლევთან) ეს ტერმინი **სისტემის სინონიმი ჩანს**. არც კლასიკურ ენათმეცნიერებასთან დამოკიდებულებათა ერთგვარი: აქაც ბრონდალი უფრო შორს მიდის, ვინემ იელმსლევე.

სტრუქტურალიზმისათვის უფრო დამახასიათებელია ბრონდალის პოზიცია: იგი უფრო თანამიმდევრულია და მკვეთრად გამოსახული.

§ 53. სტრუქტურალიზმის ანტიისტორიული ტენდენციები და ენის ფილოსოფია. სტრუქტურალიზმის **სათავე**, როგორც ამას ბრონდალიც აღნიშნავს, **სოსიურის კონცეფციაა**, კერძოდ, **სინქრონიული ენათმეცნიერება**, რომელიც სოსიურმა დიაქრონიულს დაუპირისპირა და რომელზედაც სიმძიმის ცენტრი გადაიტანა (იხ. ზემოთ).

სტრუქტურალიზმი პოზიტივიზმის კრიტიკით იწყებს: კონკრეტული ფაქტის კულტი, პოზიტივიზმისათვის დამახასიათებელი, მას ეუცხოება. რა თქმა უნდა, მეცნიერება კონკრეტული ფაქტის გარეშე, ზუსტად დადგენილი ფაქტის გარეშე, მეცნიერება ვერ იქნებოდა. ეს უდავო დებულებათა მას შემდეგ, რაც მეცნიერება გაჩნდა. მაგრამ ისიც სრულიად ცხადია, რომ მეცნიერება ფაქტების შემთხვევითი გროვა არაა, — ფაქტზე გაჩერება მეცნიერებას ვერ შექმნის: **მეცნიერება ფაქტებით იწყებს**, რომ ობიექტური

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 12.

³ იქვე.

მნიშვნელობის მქონე ცოდნის **სისტემა** შექმნას. აქ ბრონდალის პოზიცია მტკიცეა და მეცნიერების თეორიის თვალსაზრისით მართებული. მაგრამ ბრონდალი ამას არ სჯერდება. მან **პოზიტივიზმის ნიშანდობლივად მიიჩნია ისტორიზმიც.**

ანტიპოზიტივიზმი ანტიისტორიზმად იქცა. ანტიისტორიზმის სათავე სოსიურთანაა. მისი მასაზრდოებელი წყაროა სინქრონიის დაპირისპირება დიაქრონიისათვის, სინქრონიულ თვალსაზრისზე სიმძიმის ცენტრის გადატანა. მაგრამ **სინქრონია პრინციპში აქრონიად იქცევა**, როგორც კი მას **დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება მიენიჭება** და დიაქრონიისაგან მოწყვეტით და, მით უფრო, **დიაქრონიასთან დაპირისპირებაში იქნება მოცემული: პანქრონია და აქრონია სინქრონიის პრინციპის ლოგიკური შედეგია.**

ანტიისტორიზმის *ultima ratio*, **აქრონია**, საკითხად დგას ბრონდალთან. ეჭვი არაა, იგი პრინციპად გადაიქცევა, თუკი სტრუქტურალიზმი ამოსავალი ძირითადი დებულების შინაგან თანამიმდევრობას არ გადაუდგება.

მაგრამ აქ გაჩერებაც შუაგზაზე დგომა იქნებოდა: ენათმეცნიერი, რომელიც ისტორიზმს უარყოფს და ზედროული კატეგორიების ძიებას დაისახავს ძირითად მიზნად, უკვე აღარაა ენათმეცნიერი; იგი **ენის ფილოსოფიის პრინციპების** აღმსარებელი იქნებოდა, გრამატიკაში, კერძოდ, „ზოგადი ანუ რაციონალური (*respect. ფილოსოფიური*) გრამატიკის“ ნიადაგზე მდგომი აღმოჩნდებოდა. ვინაიდან შესაძლებელია ორი პრინციპი:

ერთი, — როდესაც ენაში გონების კატეგორიათა გამოსახულებას ვეძიებთ, მაშასადამე, ყოველი ენა განიხილება, როგორც აზროვნების კატეგორიათა რეალიზაცია: ესაა **ფილოსოფიური გრამატიკის** თვალსაზრისი.

მეორე, — როდესაც ენა შეისწავლება მთელი მისი სხვაობა-თავისებურებებით (სხვაობა შეიძლება გვქნდეს ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე დროს): ესაა **ისტორიული ენათმეცნიერების** თვალსაზრისი.

შესაძლებელია ვილაპარაკოთ სინთეზური თვალსაზრისის შესახებაც: კონკრეტულ მრავალფეროვნებაში მოცემულ ენათა დეტალური შესწავლის შედეგად წამოვყენოთ ზოგადი პრინციპები ენათა რაობისა და არსებობა-განვითარების შესახებ. მაგრამ ეს არ იქნება წინა ორი თვალსაზრისის თანაზომიერი: **ესაა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისი, იგი ისტორიული თვალსაზრისის დერივატია და იმდენადვე კანონიერი, რამდენადაც მტკიცე მეცნიერულია მისი საყრდენი ისტორიული ენათმეცნიერება.**

აქრონიული თვალსაზრისით ბრონდალი ენის ფილოსოფიის სიბრტყეზე სვამს ენის პრობლემებს. ამ პერსპექტივას უნდა გულისხმობდეს კ. ბიულერი, როდესაც წერს: „თუ წინასწარი ნიშნები არ გვატყუებს, ჩვენ მივდივართ შედარებითი ენათმეცნიერების ახალი აღმავლობისაკენ, ენათა **უნიფერსა-**

ლური შედარების ფაზისაკენ, რომელშიაც განხორციელება უნდა პოვოს მაღალ საფეხურზე იმან, რაც ვ. ჰუმბოლდტსა და მის თანამედროვეებს თვალწინ ეხატებოდათ¹.

ამიტომვე სრულებით ბუნებრივია და შინაგანად თანამიმდევრული, როდესაც ბრონდალი სისტემათა შინაარსის, რეალურ კატეგორიათა, შესწავლის შესახებ რომ ლაპარაკობს, ჰუსერლის ფენომენოლოგიას სახავს „შთაგონების წყაროდ ენის ყოველი ლოგიკოსისათვის“: გარკვეულ მომენტებში კანონზომიერ ანტიპოზიტივიზმს დაერთო სრულიად გაუმართლებელი ანტიისტორიზმი, ანტიისტორიზმმა კი ჰუსერლის ფენომენოლოგიასთან მიიყვანა ბრონდალი, — ფაქტი, საგულისხმო ანტიისტორიზმისა და იდეალიზმის ლოგიკური ურთიერთობის თვალსაზრისით.

ენისა და ენათმეცნიერების ჭეშმარიტი მეცნიერული თეორია ისტორიზმის განულებას კი არ მოითხოვს, არამედ მის გაძლიერებას.

ისტორიზმმა შექმნა ენათმეცნიერება, ისტორიზმმა უნდა გაუკაფოს გზა სტატიკურ ენათმეცნიერებას რთულ, მნიშვნელოვან და გადაუწყვეტელ საკითხთა გადაჭრისას; ხსენებული საკითხების **დასმა** სტრუქტურალური ენათმეცნიერების დამსახურებაა (ეს უკვე სოსიურთან გვექონდა), მაგრამ ამათი ჯეროვანი **გადაწყვეტა** ამ ენათმეცნიერების მიერ არჩეულის გზით შეუძლებელია.

V. ესთეტიზმი (უკიდურესი ინდივიდუალიზმი)

§ 54. კ. ფოსლერი, ენის ფილოსოფია და ენათმეცნიერება.

მხედველობაში გვაქვს ფოსლერის ესთეტიზმი. კარლ ფოსლერი ე. წ. ნეოფილოლოგიური სკოლის ფუძემდებელია.

კ. ფოსლერის კონცეფცია უფრო ენის ფილოსოფიის სამყაროს განუკუთვნება², ვიდრე საკუთრივ ზოგადი ენათმეცნიერებისას (და ეს — მიუხედავად იმისა, რომ რიგ შრომაში კ. ფოსლერი წარმოგვიდგება ენათმეცნიერად და არა ფილოსოფოსად). კ. ფოსლერის კონცეფცია გენეტურადაც ფილოსოფიას უკავშირდება: კ. ფოსლერისათვის ამოსავალია იტალიელი ფილოსოფოსის ბენედეტო კროჩეს შეხედულებანი (იხ. ქვემოთ).

ამისდა მიუხედავად, კ. ფოსლერის აქ განხილვა საჭიროდ მივიჩნით იმ დიდი გამოხმაურების გამო, რომელიც ენათმეცნიერთა შორის მისმა ნააზრევმა პოვა და იმ ორიგინალობასთან დაკავშირებით, რაც საკითხის დასმას ახასიათებს ამ ავტორთან.

¹ იხ. K. B ü h l e r. Sprachtheorie, 1934, გვ. IV.

² პირველ შრომას: „პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“ ქვესათაურად აქვს „ენის ფილოსოფიური გამოკვლევა“ (იხ. აქვე, ქვემოთ).

კ. ფოსლერის მაგალითზე ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ზოგადმა ენათმეცნიერებამ შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს თანამედროვე ენის ფილოსოფიას.

§ 55. კ. ფოსლერის მთავარი შრომები. საკომუნიკაციო ფუნქცია განსაზღვრავს მეტყველების სოციალურ არსს; ამ დებულებაზეა დაფუძნებული სოსიურის კონცეფცია; ეგვე დებულებაა ძირითადი მეიესათვის; საკომუნიკაციო ფუნქციას არ ივიწყებს პაულის ინდივიდუალიზმიც, თუმცა ენის რაობის საკითხის გადაწყვეტას პაული ეძიებს სხვა მიმართულებით.

კ. ფოსლერის სახით ჩვენ წინ არის ავტორი, რომელიც შეეცადა აეგო ენის თეორია **მარტოოდენ ექსპრესიულ ფუნქციაზე** დაყრდნობით, **საკომუნიკაციო ფუნქციის უგულებელყოფით.**

არ შეიძლება ითქვას, რომ კ. ფოსლერის შეხედულებები მტკიცე და ჩამოყალიბებული იყოს; არც თანამიმდევრობაა ყოველთვის დაცული, თუმცა ავტორის დაფორმულება თითქმის მუდამ მკაფიოა და სხვათა შეხედულებებს იგი მკვეთრად ემიჯნება. ხშირი პარადოქსული თეზისები საჭირო დასაბუთების გარეშე — კ. ფოსლერისთვის ნიშანდობლივია და მისი ნააზრევის ზუსტად გათვალისწინებას აძნელებს.

ენის რაობის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა კ. ფოსლერის პირველი ორი თეორიული ნაშრომი:

1. „პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში. ენის ფილოსოფიური გამოკვლევა“ (ჰაიდელბერგი, 1904 წ.).

და 2. „ენა, როგორც შემოქმედება და როგორც განვითარება“ (ჰაიდელბერგი, 1905 წ.)¹.

ამ შრომათაგან პირველშია კ. ფოსლერის ძირითადი იდეა ყველაზე თანამიმდევრულად გაშლილი (თუმცა უკან დახევა უკვე ამ შრომაში იწყება).

¹ "Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft. – Eine sprachphilosophische Untersuchung" (Heidelberg, 1904; შემოკლებით: Positiv.). "Sprache, als Schöpfung und Entwicklung" (Heidelberg, 1905; შემოკლებით: Sprache).

ორივე შრომა მონოგრაფიული ხასიათისაა; 1923 წ. გამოსული „გონი და კულტურა ენაში“ ("Geist und Kultur in der Sprache") სხვადასხვა დროს გამოსულ წერილთა კრებულს წარმოადგენს. ეგვე ითქმის „ენის ფილოსოფიის შესახებ შრომათა კრებულზე“ (Gesammelte Aufsätze zur Sprachphilosophie, 1923). რაც შეეხება მონოგრაფიას „საფრანგეთის კულტურა, ასახული ფრანგული ენის განვითარებაში“ ("Frankreichs Kultur im Spiegel seiner Sprachentwicklung", Heidelberg, 1913, მეორე გამოც. 1912), იგი ენის რაობის სტატიკური ანალიზის თვალსაზრისით ნაკლებ საგულისხმოა.

§ 56. ენა, როგორც გონითი გამოსახულება და ინდივიდის შემოქმედება ფოსლერთან. მოვიყვანო ყველაზე დამახასიათებელ განსაზღვრება-დებულებებს ენის შესახებ.

„მეტყველება გონითი შემოქმედებაა“¹. „თავისი არსებით ყოველი ენობრივი გამოსახულება ინდივიდუალური გონითი შემოქმედებაა“². „ენა — გონითი გამოსახულებაა“³.

„წარმოვიდგინოთ, რომ ენათმეცნიერება აგებულია იდეალისტურად და ესთეტიკურად... ყოველი ენობრივი გამოსახულება... უნდა იქნეს ახსნილი, როგორც თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედება მოლაპარაკე ინდივიდთა ინდივიდუალური ინტუიციებიდან ამოსვლით“⁴.

რაკი კ. ფოსლერმა მეტყველების არსი დაიყვანა მოლაპარაკე სუბიექტის ინდივიდუალურ შემოქმედებად, ამ არსის განსახიერებად უნდა გცნოთ სტილი, ვინაიდან კ. ფოსლერის აზრით, „სტილი — ესაა ინდივიდუალური გონითი გამოსახულება“...⁵ „რამდენი ინდივიდიცაა, იმდენივე სტილია“⁶.

სტილის ამგვარი განმარტება არკვევს სტილისტიკის როლსა და ადგილს ენათმეცნიერებაში:

„სტილისტიკის არსი მდგომარეობს ენობრივი გამოსახულების, როგორც წმინდა ინდივიდუალური შემოქმედების იდეალისტურ დასაბუთებაში“⁷.

„ეგრეთ წოდებული გრამატიკა უნდა გაითქვიფოს მთლიანად და უნაშთოდ ენის ესთეტიკურ განხილვაში“⁸.

„... ფონეტიკამ, მორფოლოგიამ, სიტყვაწარმოებამ და სინტაქსმა... უნდა მოიპოვონ თავისი უკანასკნელი, ერთადერთი და ჭეშმარიტი ახსნა უმაღლეს დისციპლინაში, ე. ი. სტილისტიკაში“⁹.

„ენის განვითარების ისტორია სხვა არაფერია, თუ არ ისტორია გამოსახულების გონითი ფორმებისა, მაშასადამე, ისტორია ხელოვნებისა ამ სიტყვის მნიშვნელობის ყველაზე ფართო გაგებით. გრამატიკა — ესაა ნაწილი სტილისა და ლიტერატურის ისტორიისა, რომელიც (ლიტერატურა), თავის მხრივ, შედის გონისა და თავისუფლების საერთო საკაცობრიო ისტორიაში (კულტურის ისტორიაში)“¹⁰.

¹ იხ. Positiv., გვ. 38.

² იქვე, გვ. 37 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 10 ავტორი მიუთითებს, რომ ესაა იდეალისტური განსაზღვრება.

⁴ იქვე, გვ. 88 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁵ იქვე, გვ. 16 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁶ იქვე, გვ. 37.

⁷ იქვე, გვ. 36 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁸ იქვე, გვ. 10.

⁹ იქვე, გვ. 10.

¹⁰ იქვე, გვ. 10-11.

„მაშ, ერთხელ კიდევ: „ენათმეცნიერება ამ სიტყვის წმინდა მნიშვნელობით არის მხოლოდ სტილისტიკა. მაგრამ ეს უკანასკნელი ეკუთვნის ესთეტიკას. ენათმეცნიერება ხელოვნების ისტორიაა“¹.

§ 57. ენის საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი ფოსლერის პირველ შრომაში („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“). თუ ენა მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტია, როგორღა შეიძლება ის გამოდგეს ურთიერთობის საშუალებად?

კ. ფოსლერი გვეტყვის: „თუ ადამიანები ენის საშუალებით ერთმანეთს აგებინებენ, ამის საფუძველს წარმოადგენს არა ის, რომ გვაქვს საერთო ენობრივი ჩვევები, ანდა საერთო ენობრივი მასალა, ანდა წინადადების საერთო წყობა, არამედ ის, რომ **საერთოა მეტყველების ნიჭი**. „ენობრივი კოლექტივები“, დიალექტები და სხვა მისთანანი სინამდვილეში სრულებით არ არსებობენ. ეს ცნებები წარმოიქმნება... მეტ-ნაკლებად ნებისმიერ დაჯგუფებათა საშუალებით და წარმოადგენენ პოზიტივიზმის შემდგომ შეცდომას. საკმარისია ერთად დავამწყვდიოთ ორი ან რამდენიმე ინდივიდი, რომლებიც წინათ ეკუთვნოდნენ სრულიად „ჰეტეროგენულ“ ენობრივ კოლექტივებს და რომელთაც არავითარი საერთო ენობრივი ჩვევები არა აქვთ, მოკლე ხნის შემდეგ ისინი ერთმანეთს გაუგებენ მეტყველების ნიჭის წყალობით. ამგვარად წარმოიქმნა ინგლისური და მრავალი სხვა ენა, ამ გზით ხდება ენათა ყოველი განვითარება, ენის ყოველი სიცოცხლე...“ ენა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ შეიძლება ვასწავლოთ, ენა შეიძლება, — როგორც ვილჰელმ ჰუმბოლდტი ლაპარაკობს, — „გავაღვიძოთ“².

მაშ, რაღაა ენობრივი **ჩვევა** (უზუსტი), **საერთო** ინდივიდთა მეტყველებაში?

ფოსლერი გვიპასუხებს: „გამეორება თუთიყუშის საქმეა; ამიტომ, რომ თუთიყუშს არავითარი სტილი არა აქვს... ისაა, თუ შეიძლება ითქვას, გაპიროვნებული ენობრივი ჩვევა (უზუსტი), წმინდა პასიობა; ის იმეორებს ენას, მაგრამ მას არა აქვს შემოქმედებითი დამოკიდებულება ენისადმი. მცირეოდენი თუთიყუში, თქმა არ უნდა, ზის ყოველ ადამიანში: ესაა დეფიციტი ანუ პასიური რამ მეტყველების ჩვენს უნარში (ნიჭში), მამასადამე, არა რაიმე დადებითი..., არა რაიმეგვარი თავისთავადი პრინციპი, რომელზედაც შეიძლებოდეს მეცნიერების აგება“³.

და კიდევ ამავე შრომის სხვა ადგილას იმავე საერთო ჩვევისა და პასიობის შესახებ ვკითხულობთ:

¹ იქვე, გვ. 42.

² იქვე, გვ. 37-38.

³ იქვე, გვ. 38.

„თვით ყველაზე საცოდავსა და არაფრის მაქნის ადამიანთა არსებაში მაინც ღვივის საკუთარი და თავისუფალი ენის ღვთაებრივი ნაპერწკალი. სამყაროს ვერავითარი წესები და ჩვევა (უზუსტი) ვერ ჩააქრობს მას. ყველაზე ბედშავი ენობრივი მონა თავისი სულის რომელიღაც ფარულ კუნჭულში მაინც არის ავტონომიური და არ შეიძლება დაყვანილ იქნეს თუთიყუშამდის. ყველაზე გაუხარელი სინამდვილე ათასწილ უფრო გასახარია, ვინემ პოზიტივიზმის ცარიელი ცრუ ფილოსოფია, რომელიც გონითი თავისუფლების ყველაზე ძვირფას ნიჭში ხედავს მხოლოდ კანონსა და წესს, მხოლოდ ჩვევასა (უზუსტსა) და მონობას“¹.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, თუ კ. ფოსლერი დაასკვნის: **„განიხილო ენა, როგორც ჩვევა და წესი, ნიშნავს, მაშასადამე, განიხილო იგი არამეცნიერულად“**².

მაგრამ ეს ჩვევის (უზუსტის) **შეფასება** და არა **ახსნა**.

მხოლოდ მეტყველების ნიჭზე მითითება, ჩანს, ავტორისთვისაც არაა საკმარისი. კ. ფოსლერი იმავე შრომაში კვლავ უბრუნდება **ჩვევის** რაობის საკითხს.

კ. ფოსლერი სვამს კითხვას: თუ ენობრივი გამოსახულება თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედებაა, სადღაა ერთიანობა? ასეთ პირობებში რატომ არ დაისადგურებს განუსაზღვრელი ანარქია? სამყაროს ყველა კუთხეში ყოველ საათში რატომ არ ჩნდება ახალ-ახალი ბაბილონები?

სხვანაირად რომა ვთქვათ: **როგორაა შესაძლებელი ენა, როცა სინამდვილეში ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურ შემოქმედებით აქტებს?** კ. ფოსლერი ამბობს:

პასიობა, ენობრივი ნიჭის (უნარის) ნაკლებობა ამას ვერ აგვიხსნის: პასიობა არაფერია; არაფრისაგან ახსნა არაა ახსნა. ენათა არსებობა კი ფაქტია. პასიობას ხომ არ შეუქმნია გერმანული ენა? ფოსლერი უპასუხებს:

ეროვნული ენა იქმნება „არა გონითი პასიობით, არამედ მოქმედებით, მასთან — არა ინდივიდუალური მოქმედებით, არამედ კოლექტიური მოქმედებით: თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს საშუალებით.

ასეა ეს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ ჩვენს პირველ დებულებაზე ენობრივი ჩვევის (**Sprachkonvention**), როგორც რაღაც პასიურისა, და ენობრივი შემოქმედების, როგორც რაღაც ინდივიდუალურის შესახებ. ორივე დებულება სწორია, ყოველი მათგანი განსაკუთრებული თვალსაზრისით. წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია.

ენობრივი გამოსახულება **წარმოდება** ინდივიდუალური მოქმედებით, მაგრამ იგი **მკვიდრდება** (გზას იკაფავს), რამდენადაც მას სხვები დაეთანხმებიან, მას მიიღებენ, მას გაიმეორებენ: ან მოუფიქრებლად, მაშა-

¹ იქვე, გვ. 98.

² იქვე, გვ. 38 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

სადამე, პასიურად, ანდა კიდევ შემოქმედებითად და, მაშასადამე, — შეიტანენ რა ცვლილებას, შეასწორებენ რა, შეასუსტებენ ან გააძლიერებენ რა, — მოკლედ: თანამშრომლობითა და კოლექტიური მოქმედებით. თუ ენას განვიხილავთ წარმოშობის მომენტში ანდა **აბსოლუტური** პროგრესის მომენტში, იგი წარმოადგენს რაღაც ინდივიდუალურსა და აქტიურს; დამდოვრებისა და გამყარების მომენტში (ინდივიდთან იქნება ეს თუ კოლექტივთან) ენა არის რაღაც პასიური; **შედარებითი** პროგრესის მომენტში, ე. ი. ენა, განხილული არა როგორც შემოქმედება, არამედ როგორც **განვითარება**, იგი წარმოადგენს კოლექტიურ გონითს მოქმედებას (*kollektive geistige Tätigkeit*)¹.

მაშ, ენა არ უდრის ინდივიდის შემოქმედებას, არ დაიყვანება ინდივიდის შემოქმედებითს აქტიობამდის: კოლექტივი („კოლექტიური გონი“) კვლავ საჭირო აღმოჩნდა.

რა უდევს საფუძვლად ამ **კოლექტიურ გონს**? როგორ წარმოიქმნება იგი? კ. ფოსლერი წერს: „მაგრამ საერთო გონითი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გონითი განწყობილება (*geistige Veranlagung*) საერთოა; ასევე — ინდივიდუალური მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განწყობილება (ნიჭი) თავისებურია და ორიგინალური. სწორედ ამ წინააღმდეგობაზეა დაფუძნებული ენა: ის გვაერთებს ჩვენ და ის გვთიშავს ჩვენ.

რადგანაც ჩვენ ერთნაირად განვიცდით და ჩვენს ხალხს თანავუგრძნობთ, ვიყენებთ მის ენას და ვცდილობთ ამ ენაზე ვილაპარაკოთ, რაც შეიძლება ნათლად, სწორად, საყოველთაოდ გასაგებად და მსუბუქად; რადგანაც ჩვენ ჩვენს თავს პიროვნებად ვგრძნობთ, ვცდილობთ ჩვენ ჩვენი საკუთარი ენით, ინდივიდუალური სტილით ვილაპარაკოთ, და, რაც უფრო განსაკუთრებულია ჩვენი გრძნობა, მით უფრო თამამი, მით უფრო თავისებური, ახალი და მძიმეა ჩვენი გამონათქვამი“².

რას ემყარება ეს **საერთო გონითი განწყობილება**?

„მეტწილად **გონითი** ნათესაობა (*die geistige Verwandtschaft*) უნდა იყოს შეპირობებული ფიზიკური ნათესაობით, ასე რომ, რასის ერთიანობა და ენის ერთიანობა, სარეთოდ, ფარავენ ერთი მეორეს. და მაინც არ უნდა დავივიწყოთ, — დასძენს კ. ფოსლერი, — რომ ანთროპოლოგიურად შორს მდგომსაც შეუძლია გაიგოს უცხო ხალხის გონითი თავისებურება, თანავგრძნობით მოეკიდოს მას, მონაწილეობა მიიღოს მასში და ილაპარაკოს მისი ენით ისე, თითქოს იგი ყოფილიყოს ერთი მათგანიო“.

¹ Positiv., გვ. 90-91.

² იქვე, გვ. 91.

„მაგრამ გონითი და რასობრივი მსგავსება ცალკე პირთა ინდივიდუალური სხვაობის მეშვეობით ნიადაგ **იზღუდება**, ე. ი. **ნაწილობრივ იხსნება** (aufgehoben wird)“¹.

მაშ, ისევ ინდივიდია გადამწყვეტი ფაქტორი? მოვისმინოთ კ. ფოსლერის შემდგომი მსჯელობა **აბსოლუტური** და **რელატიური** პროგრესის მომენტთა გარჩევის შესახებ ენაში. კ. ფოსლერი წერს:

„ამგვარად, ჩვენ ვიპოვეთ ორი განსხვავებული მომენტი, რომელშიაც ენას უნდა დავაკვირდეთ და განსხვავებულად განვიხილოთ:

1. **მომენტი აბსოლუტური პროგრესისა ანუ თავისუფალი ინდივიდუალური შემოქმედებისა.**

2. **მომენტი შეფარდებითი პროგრესისა ანუ ეგრეთწოდებული კანონზომიერი განვითარებისა და ურთიერთგანმსაზღვრელი კოლექტიური შემოქმედებისა.**

... პირველი მომენტის განხილვისას ყურადღება არ ექცევა ენის ისტორიულად მოცემულ მდგომარეობას და იგი (განხილვა) **არის წმინდა ესთეტიკური. მეორე მომენტის** განხილვისას ერთმანეთს უდარებენ ენის განვითარების წინა მომენტს მომდევნოს, და ამდენად ეს **განხილვა ისტორიულია**; მაგრამ, რამდენადაც მას სურს ახსნას ცვლილება, პროგრესი ანუ ის, რაცაა ენაში ცოცხალი, ისიც უნდა დაუბრუნდეს კვლავ ესთეტიკურს, — ანუ, როგორც ახლა უყვართ ხოლმე თქმა, ფსიქოლოგიურ საფეხურს“².

„ამგვარად ჩვენ ვალწევთ **ენათმეცნიერების ახალსა და თავისი ბუნებით თანამიმდევარ იდეალისტურ სისტემას**: 1. **წმინდა ესთეტიკური** განხილვა ენისა, 2. **ესთეტიკურ-ისტორიული** განხილვა ენისა...“³.

...ენის ესთეტიკური და ისტორიული დაყოფა არ შემოიტანს დუალიზმს ფილოლოგიაში. **ესთეტიკური და ისტორიული, ჩვენებურად გაგებული, არ შეიცავს წინააღმდეგობას**; ერთმანეთთან ისინი ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორც, ვთქვათ, პოზიტივისტურ სისტემაში ფიქსირებული საფეხურები აღწერითი და ახსნითი (მოთხრობითი *erzählende*) გრამატიკისა, რომლებთანაც ჩვენ ი საფეხურები არამც და არამც არ შეიძლება ავრიოთ ანდა გავათანაბროთ. ესთეტიკურითა და ისტორიულით ჩვენ აღვნიშნავთ ერთი და იმავე ფილოლოგიური კვლევა-ძიების ამა თუ იმ მხარეს, რომელიც (კვლევა-ძიება) თავის საფუძველში შეიძლება იყოს მხოლოდ შედარებითი. თუ ენობრივი გამოსახულების ფორმებს ვადარებთ შესაბამის ფსიქიკურ ინტუიციას, განხილვა ესთეტიკურია, ე. ი. ინ-

¹ იქვე, გვ. 92

² იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)

³ იქვე, გვ. 93-94 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ტერპრეტაცია უკეთდება გამოსახვის ფორმის „აზრს“... თუ ერთმანეთს ვუდარებთ სხვადასხვა ანდა მსგავს გამოსახვის ფორმებს, თუ ვიკვლევთ მათს ეტიმოლოგიურ კავშირს, **განხილვის წესი ისტორიული ხდება — ისე კი, რომ მაინც რჩება ესთეტიკური** (ohne darum aufzuhören ästhetisch zu sein); ე. ი. ესთეტიკურად განმარტებულს ვხსნით ისტორიულად და მოვაქცევთ ენობრივ განვითარებასთან კავშირში¹.

კ. ფოსლერის მთელი ეს მსჯელობა მიზნად ისახავს, დაიცვას **აბსოლუტური პროგრესის თეორიული პრინციპი**, დაასაბუთოს **ესთეტიკურის ჰეგემონია** (თუ მონოპოლია არა!), ე. ი. **ელემინაცია უყოს კოლექტიურსა და დაიყვანოს ყველაფერი** საბოლოო ანგარიშში **ინდივიდუალურად მდის**. ამგვარად, **კოლექტიური გონი, კოლექტიური თანამშრომლობა-შემოქმედება არ ზღუდავს** კ. ფოსლერთან **ინდივიდუალისტურ პრინციპს**. ამიტომ სრულებით ბუნებრივია ისტორიულისა და ესთეტიკურის ის დაპირისპირება, რომლითაც კ. ფოსლერი პაუზს გაემიჯნა.

„პაულის დებულების ნაცვლად: **ყოველი ენათმეცნიერება ისტორიულიაო**, ჩვენ უნდა წამოვაცენოთ ჩვენი დებულება: ყოველი ენათმეცნიერება ესთეტიკურია. ენათმეცნიერება რომ მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ყოფილიყო, მას სრულიად ვერ განვასხვავებდით ბუნებისმეცნიერებათაგან, რომელნიც აგრეთვე ისტორიულნი არიან. და მხოლოდ მისი ესთეტიკური ხასიათის გამოა, ენათმეცნიერება რომ განეკუთვნება კულტურის მეცნიერებათა წრეს...“²

ფოსლერის აზრით, თეორიულად შეუძლებელია ისეთი განხილვა ენისა, რომელიც ესთეტიკური განხილვის ელემენტებს არ შეიცავდეს. მაგრამ ხომ გვაქვსო ნათქვამი, რომ აბსოლუტური და შედარებითი პროგრესის გარდა არსებობს განვითარების მესამე სტადია: ენის დამდოვებისა და გამყარების სტადია, რომელიც „მოლაპარაკე ინდივიდებისა და კოლექტივთა წმინდა პასიობას დავუკავშირეთ“. რაგვარი განხილვის საგანია ასეთი ვითარება ენაში?

საკითხი ბუნებრივია; მასზე გაცემული პასუხი კი საკითხის გამომწვევი **ფაქტის უარყოფის** დასაბუთებად წარმოგვიდგება:

„ეს მესამე სტადია მკვდარი წერტილია, რომელიც არ არსებობს. ადგილი აქვს ნაწილობრივს და არა წმინდა პასიობას; და ეს ნაწილობრივი პასიობაა სწორედ შეზღუდვა ინდივიდისა კოლექტივის მიერ ანდა პირუკუ. აბსოლუტური სიმდოვრის (Stillstand) სტადია ამგვარად მოჩვენებითია; ადგილი აქვს მხოლოდ შედარებითი სიმდოვრის სტადიას, და იგი ბუ-

¹ იქვე, გვ. 95 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² იქვე, გვ. 96.

ნებრივად თანხვდება მთლიანად შედარებითი პროგრესის ანუ განვითარების სტადიას¹.

ამგვარად, სამი შესაძლებლობა, წინათ აღიარებული, კ. ფოსლერმა ორამდე დაიყვანა: ესენია — **აბსოლუტური პროგრესისა და რელატიური პროგრესის** სტადია ენაში. ეს უკანასკნელი არაა თანასწორუფლებიანი, იგი დაქვემდებარებული, მეორეული ხასიათისაა და ავტორის **ინდივიდუალისტურ მონიშმს** არ არღვევს. ასე ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, თვით კ. ფოსლერი ამ შრომაში („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“, 1904 წ.).

§ 58. საკომუნიკაციო ფუნქციის საკითხი ფოსლერის მეორე შრომაში („ენა, როგორც შემოქმედება...“). ერთი წლის შემდეგ გამოსულ შრომაში — „ენა, როგორც შემოქმედება და როგორც განვითარება“ — კ. ფოსლერი კვლავ უბრუნდება ხსენებულ საკითხს; ეს სავსებით ბუნებრივია: ინდივიდუალურისა და კოლექტიურის ურთიერთობის საკითხი პირველ შრომაში შემთხვევით როდი წამოიჭრა — ეს ცენტრალური პრობლემაა!

კ. ფოსლერი წერს: „ენა არის პირველ ყოვლისა წმინდა თეორიული, ჭვრეტითი და ინდივიდუალური მოქმედება, მაშასადამე, ხელოვნება. როგორც ასეთისათვის, მისთვის, საერთოდ, უცხოა განვითარება, არამედ იგი წარმოიქმნება ხელახლა და მუდამ განსხვავებულად ყოველი ინდივიდის მიერ, რომელიც გონით შთაბეჭდილებას ენობრივს გამოსახულებას აძლევს. ამის შესაბამისად ენობრივი გამოსახულების ფორმები უნდა იქნეს განხილული, პირველ ყოვლისა, პრაქტიკულ სინამდვილესთან მიმართების გარეშე, ე. ი. როგორც ხელოვნება ანუ როგორც შემოქმედება, ე. ი. თეორიულ-ისტორიულად ანუ ესთეტიკურად.“

„მაგრამ, **რამდენადაც ენას იყენებენ ინდივიდთა პრაქტიკული ურთიერთობისათვის, ის (ენა) უკვე აღარ არის ინდივიდუალური შემოქმედება, არამედ — კოლექტიური შემოქმედება, იგი იმყოფება მიმართებაში ემპირიულ სინამდვილესთან, ადგილი აქვს მის ფიქსაციას და ცვლას ენობრივი კოლექტივის კულტურულ მოთხოვნილებებთან შეფარდებით და ამიტომ მეორე რიგში იგი (ენა) უნდა იქნეს განხილული უკვე არა როგორც შემოქმედება, არამედ როგორც განვითარება.**

განხილვის ეს ორგვარი სახეობა აღნიშნულია ჩვენი ნაშრომის სათაურში: ენა, როგორც შემოქმედება და როგორც განვითარება.

როდესაც მე ჩემი წიგნაკის — „პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“ — დასკვნაში განხილვის პირველი საფეხური დავახსიათე, როგორც წმინდა ესთეტიკური და მეორე, როგორც ესთეტიკურ-ისტორიუ-

¹ იქვე, გვ. 96-97.

ლი, მე ბრალი მედება მოუფიქრებელსა (leichtsinnig) და არაზუსტ სიტყვანმარებაში. „ესთეტიკურ-ისტორიულის“ ნაცვლად მე უნდა მეხმარა ესთეტიკურ-ევოლუციური ანდა მარტივად „გენეტურ-ისტორიული“. სიტყვა „ისტორიულის“ არაზუსტი ხმარების გამო ავციდი სწორ გზას და ჰერმან პაულის ძირითადი დებულება (რომ ყოველი ენათმეცნიერება ისტორიულია) სადავოდ გავხადე. თეორიულ-ისტორიული ხომ, როგორც ვნახეთ, იგივეა, რაც ესთეტიკური; პრაქტიკულ-ისტორიული ნიშნავს იმასვე, რასაც გენეტურ-ისტორიული, ასე რომ, პაულის გამოთქმა „ისტორიული“ განხილვის ორივე სახეს მარტივად მოიცავს. პაულს რომ ესთეტიკური მომენტი ენათმეცნიერებაში უფრო ძლიერად გავხაზა, მისი ტერმინი ჩემთვის, ალბათ, მიუღებელი არ იქნებოდაო“¹.

როგორც ვხედავთ, აქ კ. ფოსლერი თვალსაჩინოდ ცვლის პირველ შრომაში წამოყენებულ დებულებას: იქ ენაში ყველაფერი ინდივიდუალური იყო ანდა დაიყვანებოდა ინდივიდუალურამდის; აქ **კოლექტიური შემოქმედება** გვერდში ამოუდგა **ინდივიდუალურ შემოქმედებას**: ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, აღარ არის ინდივიდუალური შემოქმედება, არამედ კოლექტიური შემოქმედებააო, — გვეუბნება ავტორი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკომუნიკაციო ფუნქციას დამოუკიდებელი ღირებულება ენიჭება, მხოლოდ რიგშია განსხვავება: პირველ რიგში წინანდებურად ექსპრესიული ფუნქცია დგას („ენა, როგორც შემოქმედება“), მეორე ადგილას — საკომუნიკაციო („ენა, როგორც განვითარება“). მაგრამ ეს აღარაა ინდივიდუალისტური **მონიზმი**, არამედ აშკარა **დუალიზმი** და, მასასადამე, პირველ შრომაში წამოყენებული დებულებების პრინციპული შეზღუდვა (უარყოფამდის).

§ 59. ენის განვითარების მიზეზისათვის ფოსლერთან. ენამ, როგორც შემოქმედებამ, განვითარება არ იცის. ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ვითარდება. რა განსაზღვრავს ენის განვითარებას?

ზევით მოყვანილ ნაწყვეტში (შრომიდან „ენა, როგორც შემოქმედება...“) ყრუდაა ლაპარაკი ენის ცვლილებათა შესახებ „ენობრივი კოლექტივის კულტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისად“; პირველ ნაშრომში კი („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“) კ. ფოსლერი არაერთგზის გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს ამ საკითხზე:

„ენათმეცნიერების ამოცანაა, — ამბობს კ. ფოსლერი, — გვაჩვენოს ენის გონი, როგორც ერთადერთი მოქმედი მიზეზი ენობრივ ფორმათა ერთობლიობისა“².

¹ Sprache, als Schöpfung, გვ. 18-19.

² Positiv., გვ. 63.

„ფონეტიკა, აკუსტიკა, მეტყველების ორგანოთა ფიზიოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია... მხოლოდ აღწერითი დამხმარე დისციპლინებია, და მათ შეუძლიათ გვაჩვენონ პირობები, რომლებშიც ენა იცვლება, მაგრამ... არა მიზეზი.

მიზეზი კი ადამიანის გონია მთელი მისი ამოუწყავი ინდივიდუალური ინტუიციებით, თავის *αισθησις*-ით; და თვითმპყრობელი მეფე ფილოლოგიისა არის ესთეტიკა“¹.

„...თვით ყველაზე უმნიშვნელოსა და, ერთი შეხედვით, ყველაზე შემთხვევითს ენობრივ ცვლილებებს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური მიზეზი, ე. ი. მიზეზი, რომელიც ძვეს მოლაპარაკის გონის თავისებურებაში“².

ამავე საკითხის შესახებ კ. ფოსლერი სხვა კონტექსტში, უპირისპირებს რა იდეალიზმსა და პოზიტივიზმს, წერს: „იდეალიზმი ეძიებს მიზეზობრიობის პრინციპს ადამიანის გონებაში, პოზიტივისტი მას ეძებს თვით საგნებში, მოვლენებში“³.

§ 60. ესთეტიზმისა და ფსიქოლოგიზმის ურთიერთობა ფოსლერთან. ენის გამოცხადებამ ინდივიდის შემოქმედებად სტილის საკითხი მოაქცია ყურადღების ცენტრში. სტილისტიკის მეშვეობით ენათმეცნიერება დაუკავშირდა ხელოვნების თეორიას, ესთეტიკას. ესთეტიზმი ინდივიდუალიზმის ლოგიკური ფინალია კ. ფოსლერთან.

რა მიმართებაშია კ. ფოსლერის ესთეტიზმი ფსიქოლოგიზმთან? ხომ არ საჭიროებს ესთეტიკა ფსიქოლოგიის დახმარებას ფუძემდებელ პრინციპთა ნათელყოფისას? სხვანაირად რომ ვთქვათ: **ხომ არ მივდივართ ესთეტიზმის გზით კვლავ ფსიქოლოგიზმისაკენ?** შეუძლებელი ეს არაა: ფსიქოლოგისტური ენათმეცნიერება გამონაკლისი როდია; ფსიქოლოგისტური ლოგიკა, სოციოლოგია, ესთეტიკა, სამართლის თეორია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ანგარიშგასაწევი ფაქტია მეცნიერებათა თეორიაში.

კ. ფოსლერთან ასეთი რამ არა გვაქვს: **ესთეტიზმი აქ გამორიცხავს ფსიქოლოგიზმს:** „ესთეტიკა და ლოგიკა იკვლევენ გონს, რამდენადაც იგი არის შემოქმედი და უპირობო მიზეზი, ფსიქოლოგია კი იკვლევს მას, როგორც შეპირობებულ ქმნილებასა და ფენომენს. რაკი შესაძლებლობა გვაქვს, შეპირობებულნი ავხსნათ უპირობოსაგან და მიმართებითი ავხსნათ აბსოლუტურისაგან, ფსიქოლოგიამ უნდა მიმართოს ესთეტიკასა და ლოგი-

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 24.

³ "Der Idealist sucht das Kausalitätsprinzip in der menschlichen Vernunft, der Positivist sucht es in den Dingen, in den Erscheinungen selbst" (Positiv., გვ. 3).

კას. მაგრამ ვინც ფსიქოლოგიას აქცევს ლოგიკისა და ესთეტიკის საფუძვლად, იგი თავის სახედარს კუდით აბამს“¹ (ზედმიწევნით: „თავის ჯორს ლაგამს კუდში ამოსდებს“ zäumt seinen Gaul am Schwan ze auf).

§ 61. ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობა ფოსლერის გაგებით. რაც შეეხება ენათმეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობას, კ. ფოსლერის აზრით, უფრო ფსიქოლოგიაა დავალებული ენათმეცნიერების მიერ, ვინემ პირუკუ. „მაგრამ თუ იგი (ფსიქოლოგია) მოდის ჩვენთან **სათხოვრად**², მან არ უნდა მიიღოს ისეთი სახე, თითქოს რამე **ეჩუქებინოს** ანდა თითქოს გაცვლითს ვაჭრობას აწარმოებდეს ჩვენთანაო“³.

§ 62. კ. ფოსლერი და ბენედეტო კროჩე. ასეთია კ. ფოსლერის შეხედულება ენის რაობისა და ენათმეცნიერების ამოცანათა შესახებ. თავში უკვე გვაქვს ნათქვამი, რომ კ. ფოსლერი ემყარება ბენედეტო კროჩეს ფილოსოფიას. რამდენად შორს მიდის ეს დამოკიდებულება, ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ ბენედეტო კროჩეს თეორიის ძირითად პრინციპებს.

კროჩე განასხვავებს შემეცნების ორ ფორმას: ერთია შემეცნება **ინტუიციური**, მეორე — ლოგიკური. ინტუიციური **შემეცნება** ფანტაზიის მეშვეობით ხორციელდება, ესაა **ინდივიდუალურის** შეცნობა, ცალკეულ ნივთთა შეცნობა; ამ შემეცნების შედეგად **სახეებს** ვიღებთ.

ლოგიკური შემეცნება **ინტელექტის** მეშვეობით ხორციელდება, ესაა **ზოგადის** შეცნობა, **მიმართებათა** შეცნობა; ლოგიკური შემეცნების პროდუქტი **ცნებებია**⁴.

„**ინტუიციური შემეცნება არის გამოსახულებითი შემეცნება**“...⁵ „**ინტუიტირება ნიშნავს გამოსახვას და არ ნიშნავს სხვა რამეს** (არც მეტს, არც ნაკლებს), თუ არ გამოსახვას“⁶.

„ინტუიციური შემეცნება მოცემულია ხელოვნებაში, ინტელექტუალური (ლოგიკური) — მეცნიერებაში“⁷. „ინტუიციური შემეცნების ფილოსოფია არის ესთეტიკა, ინტელექტუალური შემეცნების თეორია ლოგიკაა“.

¹ Sprache, გვ. 23.

² ხაზი ფოსლერისაა.

³ იქვე, გვ. 23.

⁴ იხ. ბენედეტო კროჩე: „ესთეტიკა, როგორც მეცნიერება გამოსახულების შესახებ და როგორც ზოგადი ენათმეცნიერება“, I ნაწილი, თეორია — რუს. თარგმანი ვ. იაკოვენკოსი, მოსკოვი, 1920, გვ. 3.

⁵ იქვე, გვ. 14.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 29.

„ენა დაუსრულებელი შემოქმედებაა“¹. „ენა არის ბგერა დანაწევრებული, გამოკვეთილი, ორგანიზებული გამოსახვის მიზნებისათვის“².

„ენის ფილოსოფია და ხელოვნების ფილოსოფია ერთი და იგივეა“³.

ამ ამონაწერებიდანაც ნათელია, რამდენად ახლოსაა კ. ფოსლერის ნააზრევი ბენ. კროჩეს ძირითა დებულებებთან: ეს დებულებები თითქმის ერთნაირად აქვს ორივეს დაფორმულებული.

§ 63. უკიდურესი ინდივიდუალიზმი, როგორც იდეალიზმის წინაპირობა ფოსლერთან. კ. ფოსლერის კონცეფცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მშვენიერი თეორიული ექსპერიმენტია, რომელიც გვიჩვენებს, რა სახის იქნება ენის თეორია, აგებული ენის ძირითადი ფუნქციის, საკომუნიკაციო ფუნქციის, მხედველობაში მიუღებლად, მარტოოდენ ექსპრესიულ ფუნქციაზე დამყარებით.

ენა, როგორც გამოსახულება, ინდივიდუალური, შემოქმედებითი აქტია; მაშასადამე, გამოსახვის ამ საშუალების გამოყენებისას ინდივიდი არ იზღუდება ენობრივი კოლექტივის მიერ, — ამას მოითხოვს ამოსავალი პრინციპი. ინდივიდი მხოლოდ იმ გონს უწევს ანგარიშს, რომლის გამოსახვის საშუალებადაც ენა არის ნავარაუდები (გონი სხვა არაფერია, თუ არ ფსიქიკურ ფუნქციათა ერთობლიობა).

ენის ერთადერთი ფუნქცია ექსპრესიული ფუნქცია გამოდის.

ენა, როგორც ინდივიდუალური შემოქმედებითი აქტი, არის გონითი გამოსახულება: განუსაზღვრელი ინდივიდუალიზმი და დემონსტრაციულად გამოხატული იდეალიზმი ერთმანეთით შეპირობებულია.

ჩვევა (უზუსი), როგორც არაინდივიდუალური, ინდივიდის სამეტყველო აქტების შემზღუდველი ნორმა, პრინციპში უარყოფილია: უზუსი — ესაა დეფიციტი, პასიობა, არაფერი. უზუსი თუთიყუშს მოასწავებს.

„განიხილო ენა, როგორც ჩვევა (უზუსი). ნიშნავს განიხილო ენა არამეცნიერულადო“. — გვეუბნება კ. ფოსლერი. რატომ? იმიტომ, რომ ფოსლერისთვის ჩვევა (უზუსი) კი არ ქმნის ენის არსს, არამედ სწორედ ის, რაც ამის გარეშეა და ამას დაპირისპირებულია თავისი ბუნებით: უჩვეულო, თავისებური, შემოქმედებითი, ინდივიდის აქტიობის გამო-მავლინებელი.

ენა, როგორც გამოსახულება, როგორც გონის შემოქმედება, ენათმეცნიერების ცენტრალურ დისციპლინად სტილისტიკას გამოგვივლენს, ხოლო ამის ლოგიკური შედეგია ესთეტიკის გამოცხადება ენათმეცნიერე-

¹ იქვე, გვ. 168.

² იქვე, გვ. 161.

³ იქვე, გვ. 169.

ბის თეორიულ ბაზად. პაულისა და სოსიურის **ფსიქოლოგიზმის ადგილი** კ. ფოსლერთან **ესთეტიზმმა დაიკავა**.

ასეთია საქმის ვითარება ენის რაობის **სტატიკური** ანალიზის ხაზით. ენის **დინამიკის** გათვალისწინებისას იდეალისტური ინტერპრეტაცია უფრო დემონსტრაციულ სახეს იღებს: **ცვლილებათა მიზეზი გონი აღმოჩნდა**. განვითარების იდეალისტური გაგება, — ასე გვეუბნება ფოსლერი, — იმით განსხვავდება პოზიტივისტური გაგებისაგან, რომ იგი ეძებს მიზეზობრიობის პრინციპს ადამიანის გონში, „მოლაპარაკის გონის თვისებაში“.

ფოსლერის განმარტება, იდეალიზმი და პოზიტივიზმი მე მესმის არა როგორც გნოსეოლოგიური მიმდინარეობა, არამედ როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, კიდევ უფრო მკვეთრად გახაზავს განვითარების ახსნის ზემოხსენებული პრინციპის თავისებურებას: იგი არაა ობიექტური, მეცნიერული.

§ 64. ინდივიდუალისტური მონიზმის შეუძლებლობა და ესთეტიზმის მეცნიერული უსაფუძვლობა. რით დამთავრდა კ. ფოსლერის ექსპერიმენტი? მოხერხდა თუ არა ენის თეორიის აგება მარტოოდენ ექსპრესიული ფუნქციიდან ამოსვლით და საკომუნიკაციო ფუნქციის უგულვებელყოფით? პასუხი უარყოფითი იქნებოდა; ენის თეორია კ. ფოსლერისა გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდა: შეუძლებელი აღმოჩნდა იმის ახსნა, როგორ არის ენა ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, თუ იგი ინდივიდის შემოქმედებითი აქტია და სხვა არაფერი!

კ. ფოსლერის კონცეფცია სწორედ იმითაა ფასეული, რომ მან **ობიექტურად** — წინააღმდეგ მისი ავტორის განზრახვა-სურვილისა — ცხადყო, რომ **შეუძლებელია ენის რაობის ამოწურვა ექსპრესიული ფუნქციით, შეუძლებელია საკომუნიკაციო ფუნქციის უგულვებელყოფა**: თავისი პირველი შრომის („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში“) დასაწყისში ფოსლერმა ჩვევა (უზუსტი) მიიჩნია „არარად“, ენობრივი კოლექტივი არარსებულად, ხოლო ენის განხილვა, როგორც ჩვევისა (უზუსტისა), არამეცნიერულად; იმავე შრომის ბოლოს კი ფოსლერი იძულებული გახდა შემოეტანა ცნება „**კოლექტიური შემოქმედებისა**“ („**ინდივიდუალური შემოქმედების**“ გვერდით), „**კოლექტიური თანამშრომლობისა**“, „**კოლექტიური გონისა**“ („ინდივიდის გონის“ ბაღლად); ერთი წლის შემდეგ კი მეორე შრომაში („ენა, როგორც შემოქმედება და განვითარება“) ფოსლერს მოუხდა პირდაპირ ეთქვა: „**რამდენადაც ენას იყენებენ ინდივიდთა პრაქტიკული ურთიერთობისათვის, ის უკვე აღარ არის ინდივიდუალური**“.

ეს კი ნიშნავს: არ შეიძლება ვამტკიცოთ: ენა ინდივიდის შემოქმედებითი აქტიაო; არ შეიძლება ენობრივი ჩვევა გამოვაცხადოთ თუთიყუშის საქმედ; უსაფუძვლოა დებულება, თითქოს ენის განხილვა, როგორც ჩვევით, იყოს არამეცნიერული; აღარ აღმოჩნდა სწორი, თითქოს ადამიანთა ურთიერთობა ენის შემწეობით იმიტომ იყოს შესაძლებელი, რომ ადამიანს მეტყველების ნიჭი (უნარი) აქვს (ეს რომ ასე იყოს, მნიშვნელობა არ ექნებოდა, იცის თუ არა კაცმა ესა თუ ის ენა: **ენის ცოდნის მაგივრობას ენის ნიჭი გასწევდა!**).

მართალია, „კოლექტივი“, როდესაც ამ ცნებას მიმართავს ფოსლერი, ინდივიდთა უბრალო კრებულის სახით აქვს ავტორს წარმოდგენილი, ე. ი. იმის გარეშე, რაც სპეციფიკურია ამ ცნებისათვის. „კოლექტივი“ შემოქმედი ინდივიდებისაგან შედგება, ამდენად პრინციპში განსხვავებული „ინდივიდუალურისაგან“ „კოლექტიური“ ფოსლერთან არ უნდა იყოს; ინდივიდის შეუზღუდველობა ძალაში უნდა დარჩენილიყო. მით უფრო აღსანიშნავია, რომ **ასეთი** „კოლექტიური“ მაინც დაუპირისპირდა „ინდივიდუალურს“: ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, უკვე აღარაა ინდივიდუალური.

ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, კოლექტიური შემოქმედებაა; ენა, როგორც კოლექტიური შემოქმედება, ენობრივი კოლექტივის კულტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისი, უნდა იქნეს განხილული, როგორც **განვითარება**. ენის რაობის ამ მხარეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება. კოლექტიური შემოქმედება არ დაიყვანება ინდივიდუალურ შემოქმედებად: ენა უნდა განვიხილოთ, როგორც **შემოქმედებაცა** და როგორც **განვითარებაც**.

ეს ნიშნავს: **ინდივიდუალისტურ მონიშნვე დაფუძნებული სისტემა ფოსლერისა დაირღვა შინაგანი წინააღმდეგობის ნიადაგზე, ექსპრესიული ფუნქციის მონიშნვი შეცვალა ექსპრესიული და საკომუნიკაციო ფუნქციების დუალიზმმა**. ამ დუალიზმს, რა თქმა უნდა, ვერ მოხსნის „რიგის“ საკითხი: ენას **პირველ** რიგში განვიხილავთ, როგორც შემოქმედებას (როგორც კ. ფოსლერი მოითხოვს) თუ როგორც განვითარებას.

კ. ფოსლერის კონცეფცია სხვა მხრივაც საგულისხმოა.

ა. იგი ცხადყოფს, რომ შეუზღუდავი ინდივიდუალიზმი მეტროპოლი იდეალიზმის ლოგიკურ წინაპირობად იქცა და პირუკუ: სოციოლოგიზმი (უფრო ზუსტად: ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, სოციალური არსის აღიარება) აუცილებელი წინაპირობაა იდეალიზმის დასაძლევად და მეცნიერულად მართებული შეხედულების განსამტკიცებლად. ეს პირობა არაა **საკმარისი**, მაგრამ იგი სრულიად **აუცილებელია**. ენის სოციალური თეორია შეიძლება იყოს იდეალისტურიცა და მატერიალისტურიც (მეცნიერულიც), მაგრამ მატერიალისტური (მეცნიერული) კონცეფცია არ შეიძ-

ლება იყოს ინდივიდუალისტური, იგი უნდა იყოს სოციალური, იგი უნდა იყოს დაფუძნებული ენის ძირითად ფუნქციად საკომუნიკაციო ფუნქციის აღიარებაზე: ამ დებულებას ძალა აქვს ენის განვითარების ყველა პერიოდისათვის.

ბ. ფოსლერის ესთეტიზმი უპირისპირდება არა მარტო ფსიქოლოგიზმს, არამედ ისტორიზმსაც: ყოველი ენათმეცნიერება უნდა იყოს ესთეტიკური (და არა ისტორიული), — ამბობდა კ. ფოსლერი. ესთეტიზმი ექსპრესიული ფუნქციის შეუზღუდავი ჰეგემონიის ფუნქცია იყო. ენის, როგორც გამოსახვის საშუალების, განხილვა, ანტიისტორისტული აღმოჩნდა. და პირუტყუ: საკმარისი იყო კ. ფოსლერს დაესვა საკითხი ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, განხილვის შესახებ, და მანამდის განდევნილი ისტორიზმი უფლებებში აღდგა (ნაწილობრივ მაინც): **ენის განხილვა, როგორც განვითარებისა, იგივეა, რაც ენის განხილვა, როგორც ურთიერთობის საშუალებისა.** სხვანაირად რომ ვთქვათ: **ისტორიზმი და საკომუნიკაციო ფუნქცია შინაგან კავშირში აღმოჩნდა** (ისევე, როგორც ესთეტიზმი — ექსპრესიულ ფუნქციასთან). ეს კი გარკვეული ჩვენებაა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენის რაობის მეცნიერული ანალიზისათვის საკომუნიკაციო ფუნქციისადმი აპელაციას.

გ. კ. ფოსლერის ესთეტიზმმა გამოავლინა **ისტორიული ენათმეცნიერების ზოგი სუსტი მხარე. პრობლემა სტილისტიკისა, როგორც ენათმეცნიერების დარგისა, მოუგვარებელია;** ეს უყურადღებოდ მიტოვებული უბანი იქცა კ. ფოსლერის მეტროპოლი იდეალიზმის პლაცდარმად.

საკომუნიკაციო ფუნქციამ არ უნდა დაჩრდილოს ექსპრესიული ფუნქცია: **სტილისტიკის პრობლემას ენათმეცნიერებაში აჩენს ექსპრესიული ფუნქცია ენაში.**

არც ისტორიულ გრამატიკაში, არც აღწერითს მეცნიერულ გრამატიკებში სტილისტიკა, როგორც წესი, საენათმეცნიერო დარგთა შორის არა ჩანს. მაგრამ გვერდი აუარო სტილისტიკას ცალკეულ ენათა მეცნიერულ გრამატიკებსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, ეს **ნიშნავს — უგულვებელყო ენის ექსპრესიული ფუნქცია** (კერძოდ, მეტყველების მდიდარი ემოციური სამყარო).

დასასრულ, ერთი საკითხის შესახებ, რომელსაც ფოსლერი გაკვირვებით ეხება. ფოსლერის დებულება „რასის ერთიანობა ზოგადად თანხვედბა ენის ერთიანობასაო“¹, რასობრივი თეორიის შესაძლო წინაპირობაა. ამ მხრივ სხვა აზრისანი იყვნენ ავტორები, რომელთა შესახებაც ფოსლერამდის გვქონდა საუბარი: ისინი სწორედ იმას უსვამდნენ ხაზს, რომ ენა და რასა ერთმანეთს არა ხვდებოა.

¹ Positiv., გვ. 92.

ასე, მაგალითად, სოსიური წერს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ენის ერთობიდან შეიძლება დავასკვნათ სისხლით ერთობისაკენ, რომ ენობრივი ოჯახის ცნება და ანთროპოლოგიური ოჯახის ცნება ერთმანეთს ფარავენ“¹.

ანტ. მეიესთან ვკითხულობთ: „ენა დამოკიდებულია ისტორიულ პირობებზე და სრულებით არაა დამოკიდებული რასაზე, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური რიგის ცნებას“².

„...ხალხები, რომლებიც ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენებზე, ძველ-თავანვე განსხვავდებოდნენ თავისი გარეგნობით და მათ არ გააჩნდათ არავითარი საერთო ფიზიკური ტიპი, რომელიც მათ განარჩევდა სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხთაგან“...³

„...არის ინდოევროპული ენები, მაგრამ არ არსებობენ ინდოევროპული ხალხები“⁴.

§ 65. ფსიქოლოგიზმი, როგორც იდეალიზმის მთავარი წყარო ენის რაობის გაგებაში. ჩვენ განვიხილეთ დასავლეთ ევროპის საენათმეცნიერო ნააზრევის ძირითადი ნაკადები. განხილული კონცეფციები იდეალისტური აღმოჩნდა. **იდეალიზმს ასაზრდოებს ფსიქოლოგიზმი ენის რაობის გაგებაში** (მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს ფსიქოლოგიზმის პრინციპული უარყოფა, მაგრამ აქ ავტორის — ფოსლერის — კონცეფცია არ საჭიროებს ფსიქოლოგიზმს, ის უმისოდაც იდეალისტურია, მასთან, დემონსტრაციულად იდეალისტური).

მასასადამე, **ფსიქოლოგიზმის კრიტიკის გარეშე შეუძლებელია იდეალიზმის პრინციპული დაძლევა**, იქნება ეს იდეალიზმი წარმოდგენილი პაულის ინდივიდუალიზმისა თუ სოსიურის (ან მეიეს) სოციოლოგიზმის სახით: ფსიქოლოგიზმის კრიტიკის გარეშე იდეალიზმის კრიტიკა იქცევა მარტივ უარყოფად და ადვილად შესაძლოა იქცეს მეორეხარისხოვანი მომენტების კრიტიკად, გადამწყვეტი მნიშვნელობის სხვაობა კი დარჩება შეუმჩნეველი: ასეთი კრიტიკის მაგალითები ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში იმდენად ხშირია, რომ მათი დასახელება ზედმეტად მიგვაჩნია (ასეთია, პირველ რიგში, ნ. მარისა და მისი მიმდევრების კრიტიკული გამოხატულებები ინდოევროპული ენათმეცნიერების შესახებ).

¹ „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, რუს. თარგმ., გვ. 200.

² „შესავალი ინდოევროპულ ენათა შედარებით შესწავლაში“, რუს. თარგმ., 1938 წ., გვ. 106.

³ იქვე, გვ. 107.

⁴ იქვე, გვ. 108.

ასეთი კრიტიკის შედეგად იმას მივიღებთ, რომ ის, რაც **დადებითი და ფასეულია, უარყოფილი** აღმოჩნდება, ხოლო ხელუხლებლად დატოვებული და **მიღებული** იქნება ის, რაც **მიუღებელია**. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით (იხ. თავი მეთოდების შესახებ).

წყალგამყოფ ხაზს დასავლეთისა და ჩვენს ენათმეცნიერებას შორის ბუნებრივია ქმნიდეს იდეალიზმისა და მატერიალისტური დიალექტიკის შეპირისპირება.

რა ურთიერთობაშია ენათა ისტორიულ-შედარებითი **პრაქტიკა** და ფსიქოლოგისტური კონცეფციები დასავლეთ ევროპის ენათმეცნიერ-თეორეტიკოსთან?

ჩვენ საშუალება გვქონდა დაგვეჩვენა, რომ **არ არსებობს შინაგანი კავშირი მათს ძირითად თეორიულ დებულებებსა და საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას შორის**. თეორია არ გვევლინება იმის გააზრებად და განზოგადებად, რამაც უზრუნველყო ცალკეულ ენათა (თუ ენათა ჯგუფების) ანდა სხვადასხვა ენებში ცალკეულ მოვლენათა ნაყოფიერი შესწავლა, მოკლედ, — რამაც მოგვცა საენათმეცნიერო აზროვნების პროგრესი.

ვერნერის კანონი არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ ვამტკიცოთ: ენათმეცნიერის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი აქტების მეშვეობით ჩაწვდეთ ენობრივ წარმოდგენებს და შევისწავლოთ ისინიო (ჰ. პ ა უ ლ ი).

დებულებანი „პირველადი ხმოვნების სისტემის შესახებ ინდოევროპულ ენებში“ სრულებითაც არ ავალბდნენ მის ავტორს (ფ. სოსიურს) წამოეყენებინა თეზისი — ენობრივი ნიშანი თავისი ბუნებით ფსიქიკურიაო.

ფსიქოლოგიზმის ძირითადი თეზისი — ენის რაობა ფსიქიკურიაო — მკვეთრად უპირისპირდება იმ ელემენტარულ ფაქტს, რომ **ენობრივი ნიშანი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ფიზიკურია მასალობრივ**, ამ ელემენტარულ ფაქტს კი ლინგვისტური რეფლექსია გვერდს ვერ აუქცევს, რამდენადაც ენა ადამიანთა ურთიერთობას ემსახურება, ამ ურთიერთობის იარაღი იყო და არის.

VI. ვულგარული სოციოლოგიზმი ენის რაობის გაგებაში

§ 66. ენა, როგორც ზედნაშენი ნ. მართან. ენის ზედნაშენურ ბუნებაზე მოგვითხრობს იაფეტური თეორია. ეს უკანასკნელი გამოდის იაფეტური ენათმეცნიერების თეორიული დანასკვის როლში. იაფეტური ენათმეცნიერება¹ სომხურ-ქართული ფილოლოგიის სახელგანთქმული

¹ დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი მოგვიწევს ქვემოთ პალეონტოლოგიურ მეთოდთან დაკავშირებით.

მკვლევრის ნ. მარის სასიცოცხლო საქმეს შეადგენდა. იაფეტურ თეორიას, რა სახითაც იგი ცნობილია 1928-1933 წლებში, თვით ნ. მარი მარქსისტულ ენათმეცნიერებად აცხადებდა¹.

სხვადასხვა სპეციალურ საკითხთა განხილვისას ნ. მარი ყურადღების ცენტრში სვამს საკითხს ენის განვითარების შესახებ აზროვნების სტადიებისა და ტექნიკის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მეტწილად გლოტოგონიის უძველესი პერიოდის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, არცერთ შრომაში ნ. მარს **არ მოუცია სისტემატური ანალიზი არც ენის რაობის საკითხისა, არც თეორიული ენათმეცნიერების სხვა ძირითადი პრობლემებისა**. გვაქვს მხოლოდ ცალკეული გამონათქვამები — თითქმის ყველა ბოლოდროინდელ სპეციალურ ნარკვევში — **გაკვრით და დასაბუთების გარეშე**. თვით ისეთ შეჯამებითი ხასიათის შრომაში, როგორიცაა ე. წ. „ბაქოს კურსი“², მკითხველი ვერ იპოვის იმას, რასაც ამგვარი კურსი უნდა იძლეოდეს. ამდენად **დასაბუთებულ დებულებათა გარკვეული სისტემა იაფეტურ თეორიაში არ მოგვეპოვება** (ასეთ ვითარებაში „თეორიაზე“ ლაპარაკი შეიძლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირობით).

ამ წინასწარი განმარტების გარეშე ქვემოთ მოყვანილი ამონაწერები ხელოვნურად ამოკვეთილის შთაბეჭდილებას დატოვებდა. აი ყველაზე დამახასიათებელი მათგან:

„იაფეტური თეორია გვასწავლის, რომ ენა, ბგერითი მეტყველება, თავისი განვითარების არცერთ სტადიაში, არცერთ ნაწილში არ წარმოადგენს ბუნების უბრალო საჩუქარს. ბგერითი ენა კაცობრიობის შექმნილია. კაცობრიობამ შექმნა თავისი ენა შრომის პროცესში გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში და იგი გარდაქმნის მას ყოფა-ცხოვრების ნამდვილად ახალი სოციალური ფორმების დადგომასთან ერთად, შესაბამისად ახალი აზროვნებისა ამ პირობებში...“³.

¹ სათანადო ადგილები იხ. ქვემოთ.

² იფულისხმება: Яфетическая теория, ბაქო, 1928 წ. შეტანილია რჩ. შრომ. II ტომში სათაურით "Общий курс учения об языке".

³ ტექსტის სტილისტურ თავისებურებათა გამო საჭიროდ ვთვლით აქაც და ქვემოთაც დედნის სათანადო ადგილები მოვიყვანოთ: "Яфетическая теория учит, что язык, звуковая речь, ни в какой стадии своего развития, ни в какой части не является простым даром природы. Звуковой язык есть создание человечества. Человечество сотворило свой язык в процессе труда в определенных общественных условиях и пересоздает его с наступлением действительно новых социальных форм жизни и быта, сообразно новому в этих условиях мышлению". Н. Я. Марр. Яфет. теория – ИР, ტ. II, გვ. 25.

„... ვაქცევთ რა მთელს ჩვენს ყურადღებას შემოქმედებითი პროცესის შინაგან მიზეზებს მეტყველების განვითარებაში, ჩვენ ოდნავადაც არ შეგვიძლია ეს პროცესი მოვათავსოთ თვით ენაში. **ენა ისეთივე ზედნაშენური საზოგადოებრივი ღირებულებაა, როგორც მხატვრობა და, საერთოდ, ხელოვნება.** ობიექტური ვითარების შესაბამისად, ენობრივი ფაქტების მოწმობით, ჩვენ იძულებული ვართ განვიხილოთ მეტყველების შემოქმედებითი პროცესი, შემოქმედების ფაქტორები მატერიალური კულტურის ისტორიაში და საზოგადოებრიობაში, რომელიც მასზე შენდება, და მსოფლმხედველობებში, რომელნიც ამ საფუძველზე ჩამოყალიბდნენ...“¹

„...ენა, საერთოდ, მასასადამე, ხაზოვანიც, მით უფრო ბგერითი, **არის ზედნაშენური კატეგორია წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობათა საფუძველზე**, რომელნიც (ურთიერთობანი) ვარაუდობენ, შრომითი კოლექტივის თანაპოვნირებას ენის გარეშეც, მეტადრე სასაუბრო ენის გარეშეც, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა უფრო გვიან“...²

„ენა არის ურთიერთობის იარაღი, შექმნილი შრომის პროცესში, უფრო ზუსტად — **კაცობრიობის კულტურის შექმნის პროცესში** ე. ი. მეურნეობის, საზოგადოებრიობისა და მსოფლმხედველობის შექმნის პროცესში. ენა შექმნილია ადამიანთა კოლექტივის მიერ... **ენა ასახავს იმ კულტურის**, რომელსაც კაცობრიობა ქმნიდა, ყველა... მხარის განვითარების ყველა სტადიას იმ ურთიერთობათა განვითარებისა, რომელნიც იქმნებოდნენ მის ცნობიერებაში, არა მხოლოდ ადამიანსა..., არამედ მთლიანად კოლექტივსა და მის გარემომცველ ხილულ სამყაროს შორის. ენაში აისახა ნივთიერი და ზედნაშენური კულტურის, მისი საწარმოო იარაღების გაუმჯობესების ყველა გზა და ყველა საფეხური, ყველა ხვეული საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელიც დაკავშირებული იყო მატერიალურად წარმოქმნილ ასეთ პროგრესთან, იმ ეპოქებიდან, როდესაც ხილული გარესამყარო, ე. ი. ბუნება... წარმოდგენილი ჰქონდათ ყოველგვარი წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზად, საშინელებად და

¹ "...Сосредоточивая все внимание на внутренних причинах творческого процесса в развитии речи, мы отнюдь не можем процесс этот помещать в самый язык. Язык такая же надстроечная общественная ценность, как искусство и вообще искусства. Мы силой вещей, свидетельством языковых фактов, вынуждены проследивать творческий процесс речи, факторы творчества в истории материальной культуры и на ней строящейся общестственности и на этой базе слагавшихся мировоззрений". Н. Я. Марр. Яфет. теория – ИР, ტ. II, გვ. 107-108.

² "...Язык, вообще, следовательно, и линейный, тем более, звуковой, есть надстроечная категория на базе производства и производственных отношений, предполагающих наличие трудового коллектива и без языка, особенно без разговорного звукового языка, сложившегося и развившегося позднее". Н. Я. Марр. К бакин. дискуссии, გვ. 25 (ზაზი ჩვენია — ა. ჩ.).

კეთილსმყოფლად, ტოტემად, მფარველად და შერიგების მომთხოვნ მტრად, ღმერთად და ეშმაკად, რომელნიც თანაბრად არიან ადამიანის ძალისხმევით შექმნილინი“¹.

ანდა კიდევ ასეთი გამონათქვამი: „**ახალი მოძღვრება ენის შესახებ** — იაფეტური თეორიის მიხედვით დამყარებულია პირველ რიგში ჯერ **მეტყველებისა, შემდეგ სიტყვების, როგორც სოციალურ ღირებულებათა, აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაზე**, ღირებულებათა, რომელნიც **წარმოიშებიან საწარმოო ურთიერთობის მიერ მათი დიალექტიკური განვითარების პროცესში** და რომელთა გაფორმება წარმოებს შესაბამისი სტადიების აზროვნებით...“².

და კიდევ: „იაფეტურ მოძღვრებას ენის შესახებ, ზოგად მოძღვრებას, აქვს ორგანული კავშირი მატერიალური კულტურის ისტორიასთან, მაშასადამე, მეურნეობასა და ეკონომიკასთან; აქვს ასეთივე კავშირი საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიასთან, მაშასადამე, სოციოლოგიასთან ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობითაც და ვიწრო მნიშვნელობითაც; თავისთავად ცხადია, რომ, რაკი არსებობს ასეთი ორგანული კავშირი მატერიალური კულტურის ისტორიასთან და საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიასთან, უმისობა არ არგია მის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში არცერთ არქეოლოგს, არცერთ სპეციალისტს ხელოვნების ისტორიისა, სიტყვიერებისა, არც ერთ ლიტერატურათმცოდნეს...“³

¹ "Язык есть орудие общения, возникшее в трудовом процессе, точнее – в процессе творчества человеческой культуры, т. е. хозяйства, общественности и мировоззрения. Язык создан человеческим коллективом... Язык отражает в себе все стадии развития всех... сторон создававшейся человечеством культуры и всех устанавливавшихся в его сознании взаимоотношений между не только человеком... но и между коллективом в целом и окружающим его видимым миром. Язык отразил в себе все пути и все ступени развития материальной и надстроечной культуры, усовершенствования орудий его производства и все изгибы связанного с таким материально возникшим прогрессом общественного мышления с эпох, когда окружающий видимый мир, т. е. природа... представлялась виновницей всякой удачи и неудачи, страшилищем и благодетелем, тотемом, покровителем и требующим примирения врагом, богом и чертом, являющимся одинаково созданиями человеческих усилий..." Н. Я. Марр, ИР, გვ. 127 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² "Новое учение об языке по яфетической теории основано в первую голову на закономерности возникновения и развития сначала речи, потом слов, как социальных стоимостей, порождаемых производственными отношениями в процессе их диалектического развития и оформляемых мышлением соответственных стадий.." Н. Я. Марр, "Язык и мышление" (1913 г.) – ИР, ტ. III, გვ. 106 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ "У яфетического учения об языке, общего учения, есть органическая увязка с историей материальной культуры, следовательно, с хозяйством и экономикой; есть такая же увязка с историей общественных форм, следовательно, с социологиею и в широком и тесном смысле слова; само собой ясно, что при такой органической увязке с историей материальной культуры и с историей общественных форм без нее в своих научных изысканиях не может обойтись ни один археолог, ни один этнолог, ни один историк искусства, ни один словесник, литературовед..." Н. Я. Марр, Яфет. теория- ИР, ტ. II, გვ. 23.

ენა ურთიერთობის იარაღია... ენა ზედნაშენური კატეგორიაა ისე-ვე, როგორც ხელოვნება... **ენა ასახავს ნივთიერი და ზედნაშენური კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ყველა სტადიას** — ესაა ზემოთ მოყვანილი ამონაწერების დედააზრი.

დებულებაში — ენა ურთიერთობის იარაღია — ახალი არა არის რა; ახალი შეიძლებადა ყოფილიყო **დასაბუთება** ამ დებულებისა, ახალი შეიძლებადა ყოფილიყო **დასკვნები** ამ დებულებიდან ენის თეორიის სხვა საკითხებისათვის. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ნ. მარს მოცემული არა აქვს არც აქ, არც სხვაგან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მომენტთან გარკვეული სირთულეცაა დაკავშირებული (— და ეს არაა შემთხვევითი სწორედ იმიტომ, რომ ხსენებულ დებულებას სათანადო დასაბუთება არ ახლავს).

ენა ზედნაშენური კატეგორიააო. **რა სახეს იღებს „ბაზისისა“** და „ზედნაშენის“ ურთიერთობა იმ **კონკრეტულ** სინამდვილეში, რომელსაც მეტყველება წარმოადგენს, რაა ამ მხრივ **სპეციფიკური ენაში** — ნ. მარის განმარტებით?

§ 67. ენის კლასობრიობის საკითხი ნ. მართან. ერთგვარი წარმოდგენა ამაზე შეიძლება მოგვცეს **კლასობრივისა და სოციალურის** გაგებამ ენაში ნ. მარის მიხედვით, გრამატიკული კატეგორიების სოციოლოგიურმა ინტერპრეტაციამ ნ. მართან.

ნ. მარის მტკიცებით **ყოველი ენა კლასობრივია**, ენა **ყოველთვის კლასობრივია** (თვით ბგერითი მეტყველების ჩასახვის მომენტშიც კი!), სოციალურობა ენისა კი თუმცა ზოგადად აღიარებულია, მაგრამ ენის წარმოშობის მომენტისათვის კატეგორიულადაა უარყოფილი.

....იაფეტიდოლოგია უარყოფს არაკლასობრივ ენათა არსებობას, ყველა ენა, მათ რიცხვში ევროპისა და კავკასიის ნაციონალური ენებიც, — კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, კლასობრივია, მასთან კლასობრივი არა უკანასკნელ რიგში, არამედ უწინარეს ყოვლისა. სომხეთსა და საქართველოში ნაციონალური ენა აღმოჩნდა ორ-ორი თითოეულ ქვეყანაში, ორივე კლასობრივი, ერთი ძველი ლიტერატურული ფეოდალური და მეორე ე. წ. ხალხური, თუ არ გამოვუდგებით ახლა ამ ხალხური მეტყველების სხვადასხვა სახეობას. და, რაც აღსანიშნავია, **ქართული ფეოდალური ენა უფრო ახლოა სისტემით სომხურ ფეოდალურ ენასთან**, ვინემ **ყოველი მათგანი თავისი მშობლიური ქვეყნის ხალხურ ენასთან**, და, გასაგებია, აქვთ რა ასეთივე დამოკიდებულება თავის ფეოდალურ ენებთან, სომხური და ქართული ხალხური ენები წარმოადგენენ თავისი ტიპოლოგიის მრავალი ძირითადი თვისების მიხედვით ერთი სისტემის ენებს. ჩვენ შეიძლება სხვა შემთხვევაში გვექნეს შესაძლებლობა დავასურათოთ ეს მოვლენა მაგა-

ლითებით. მაგრამ, რაც მთავარია, **იაფეთიდოლოგია მიუღებლად თვლის კვლევა-ძიების დროს სხვაგვარ მიდგომას ენის შესწავლისადმი, თუ არა როგორც კლასობრივი მეტყველებისადმი...**¹

ეს არაა შემთხვევითი. აი რას ვკითხულობთ იქვე:

„საერთოდ, საჭიროა კარგად გვეცოდნოდა, რომ ცხოველთათვის სახელების დარქმევა სრულებითაც არ იყო² უბრალო საყოფაცხოვრებო საქმე, რომელიც მიზნად ისახავდა ლექსიკონის შევსებას, არამედ ეს იყო **ჯადოქრობის აქტი** (акт магии), რომელიც **შედიოდა** სათანადო კოლექტივის **საწარმოო იარაღთა** შედგენილობაში და წარმოების სხვა იარაღებთან ერთად წარმოადგენდა იმ კოლექტივის ბატონობის წყაროს, რომელიც ფლობდა მას შედეგად შრომის განაწილებისა და რომელიც გამოიყო ამის წყალობით განსაკუთრებულ საწარმოო-საზოგადოებრივ ჯგუფად, თავისებურ „კლასად“ ანუ წინარეკლასად. ვიმეორებთ, **არაკლასობრივი** (უკლასო — **внеклассовый**) **ენა აქამომდე არ ყოფილა**, — ესაა მომავალი უკლასო საზოგადოების საქმე, — ესაა საქმე, რომლის შემზადებასაც ასეთი გაჭირვებით ეწევა სოციალისტური მშენებლობა; **არაკლასობრივი ენა არასოდეს არ ყოფილა**³ ისევე, როგორც არასოდეს არ ყოფილა ინდივიდუალურად შექმნილი ენა, ანდა ბგერითი ენა, გამომუშავებული ცხოველების ენისაგან, და ასეთ ფაქტობრივად უდავო წინაპირობათა არსებობისას **ლაბარაკი**

¹ „...Яфетидология отвергает существование неклассовых языков, все языки, в их числе и национальные языки Европы и Кавказа, — еще раз повторяем, *классовые*, притом классовые не в последнюю очередь, а прежде всего. В Армении и Грузии национальных языков оказалось по два в каждой стране, оба классовые, один древнелитературный феодальный и другой т. н. народный, если не будем сейчас входить в различные модальности этой народной речи. И что замечательно, грузинский феодальный язык стоит ближе по системе к армянскому феодальному языку, чем каждый из них к народному языку своей родной страны, и с таким же, понятно, отношением к своим феодальным языкам армянский и грузинский народные языки являются языками одной системы по многим основным чертам своей типологии. Мы, быть может, будем иметь возможность при другом случае иллюстрировать это явление на примерах. Но, главное, *яфетидология иной подход к изучению языка, как к речи классовой, в исследовании считает неприемлемым*“. Н. Я. Марр, К бакин. дискуссии (1932), გვ. 18-19 (ბაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² იგულისხმება ბგერითი მეტყველების დასაბამი.

³ მოგვყავს დედნის ყველაზე დამახასიათებელი ადგილი:

“Повторяю, *внеклассового языка не было доселе*, это дело будущего внеклассового общества, это дело, которое и теперь с таким трудом подготавливает социалистическое строительство, *внеклассового языка так же не было никогда, как не было никогда индивидуально создаваемого языка или звукового языка, выработавшегося из языка животных, и говорить при таких фактически бесспорных (sic! — **ა. ჩ.**) предпосылках о внеклассовом языке на начальных этапах сложения человечества, точнее, выделения человеческого коллектива из мира животных, это значит возвращаться в первобытное состояние лингвистического научного мышления — в индоевропеистику с ее пра-языком и с ее формальным учением*“. Н. Я. Марр, К бакин. дискуссии, გვ. 10 (ბაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

არაკლასობრივი ენის შესახებ კაცობრიობის ჩამოყალიბების დასაწყის ეტაპებზე, უფრო ზუსტად, ცხოველთა სამყაროდან ადამიანთა კოლექტივის გამოყოფის დროს — **ეს ნიშნავს — დავუბრუნდეთ ლინგვისტური სამეცნიერო აზროვნების პირველყოფილ მდგომარეობას, — ინდოევროპეისტიკას მისი წინარე ენითა და მისი ფორმალური მოძღვრებით...**¹

ერთი სიტყვით, ენათმეცნიერმა ან უნდა აღიაროს კლასობრივი ხასიათი ენისა „კაცობრიობის ჩამოყალიბების დასაწყის ეტაპებზე“ ანდა, თუ ამას არ ირწმუნებს, ის ამით ცხადყოფს, რომ დგას ინდოევროპეისტიკის ნიადაგზე „მისი წინარე ენითა და მისი ფორმალური მოძღვრებით“, იმ ინდოევროპეისტიკისა, რომელიც, ნ. მარის სიტყვით რომა ვთქვათ, არის „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ბურჟუაზიული საზოგადოებისა“...²

ნ. მარი განაგრძობს: „ამხანაგებო, არ შეიძლება, მართლაცდა, ამ უფსკრულისაკენ ვეზიდებოდეთ მარქსიზმს, წინააღმდეგ მისი საზოგადოებრივი ბუნებისა, წინააღმდეგ მისი ლოგიკისა და **არ შეიძლება არათუ ვდუმდეთ, არამედ გაუბედავად ვლაპარაკობდეთ იმის შესახებ, რომ არაკლასობრივი ენა აქამდის არ ყოფილა, ენა კლასობრივი იყო მისი გაჩენის მომენტიდან, ბგერითი ენის გაჩენის მომენტიდან: ეს იყო ენა კლასისა, რომელმაც ხელში ჩაიგდო იმ ეპოქათა ყველა საწარმოო იარაღი, მათ შორის ჯადოქრობა-წარმოებაც**, და ამ საქმეში ოსტატ-მისანთა ხელმძღვანელი როლის უარყოფა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ეპოქებში გადავიტანთ ჩვენი დროის წარმოდგენებსა დ შეხედულებებს...“³

ეს რომ ადვილი გასაგები იყოს, უნდა მოვიგონოთ შემდეგი: ნ. მარის აზრით, ბგერითი ენა წარმოიშვა ხელის ენის შემდეგ; ბგერითი ენის შემქმნელები იყვნენ მისნები (ჯადოქრები); ისინი იყენებდნენ შექმნილ ბგერით კომპლექსებს „საწარმოო იარაღად“, — ტოტემს მიმართავდნენ მათი საშუალებით (ურთიერთობის საშუალებას კი ყველასთვის ხელის ენა შეადგენდა):

¹ იქვე, გვ. 9-10 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² Н. Я. Марр, Яфет. теория — ჟურნ. "Нов. Вост." V, გვ. 1; "Язык и соврем.," გვ. 6.

³ "Товарищи, нельзя же в эту пропасть тянуть марксизм, против его общественной природы, против его логики, и нельзя не только молчать, но нерешительно говорить о том, что внеклассового языка доселе не было, язык был классовый с момента возникновения звукового языка, это был язык класса, завладевшего всеми орудиями производства тех эпох, в том числе и магиею-производством, и отрицать руководящую роль мастеров-магов в этом деле можно лишь переносом в те эпохи современных нам представлений и взглядов". Н. Я. Марр. К бакин. дискуссии, გვ. 10 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„ბგერითი ენის საჭიროება გაჩნდა კლასობრივი დიფერენციაციის ჩანასახთა გაჩენასთან ერთად, როდესაც მისნობასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი საიდუმლო მისნური მოქმედებებით ცეკვა-სიმღერა-თამაშში, სადაც... წამოძახილებში იწყო გამოყოფა ...მისნური მნიშვნელობის სიტყვა-სიმბოლოებმა... პირველად, ბგერითი მეტყველების წარმოქმნისას სულ იყო... ოთხი ასეთი სიტყვა, ოთხი ელემენტი. დედამისის ყველა ენა... შემდგარია ამათგან, მხოლოდ ამ ოთხი ელემენტისაგან...“¹

თავდაპირველად ბგერითი მეტყველება იყო „გარკვეული პროფესიის ვიწრო წრის მეტყველება, მაგიური მეტყველება, უკეთ რომ ვთქვათ, შრომის პროცესის მაგიურ გამოთქმათა კრებული“ და მხოლოდ შემდეგ „მაგიურ-ამქრული მეტყველებიდან, **იარაღიდან** კაცობრიობის **ურთიერთობის ტოტემთან**, კულტსაწარმოო ძალასთან..., **ეს მეტყველება გარდაიქმნა ყოველდღიურობაში სახმარ მეტყველებად**. აი აქ უკვე იწყება პროცესი ენის განვითარებისა, როგორც ურთიერთობის იარაღისა, ადამიანის ერთი კოლექტივისა მეორესთან...“²

როცა ოთხი ბგერითი კომპლექსი, ოთხი ელემენტი იქცა ბგერითი საზოგადოებრივი ენის საფუძვლად, სოციალურ დიფერენციაციას უკვე ჰქონდა ადგილი და ბგერითი მეტყველებაც იყო კლასობრივი: ის წარმოადგენდა კლასობრივი ბრძოლის იარაღს გაბატონებული ფენის ხელში ისევე, როგორც შემდეგში — დამწერლობა³.

ზემოთ ნახსენები შრომა — „ბაქოს დისკუსიისათვის“... — 1930 წლის 2 მაისით თარიღდება; ერთი წლის შემდეგ მოხსენებაში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სესიაზე მოსკოვში (1931 წლის 26 ივნისს) — „ენა და აზროვნება“ ნ. მარი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს ენის შეუზღუდველ კლასობრიობას: „პასუხიმგებლობის სრული შეგნებით გამ-

¹ "Потребность в звуковой речи возникла с образованием зачатков классовой дифференциации, когда в связи с магиею выработалась специальная группировка с таинственными магическими действиями в плясках, песнях и играх, где в процессе мерного выкрикивания стали выделяться... слова-символы магического значения. Вначале, при возникновении звуковой речи было всего-навсего... четыре таких слова, четыре элемента... Все языки мира... состоят из этих, только из этих четырех элементов..." Н. Я. Марр. Постановка учения об языке в мировом масштабе (1928): ИР, ტ. IV, გვ. 59.

² Яфетидология в Ленингр. Госуд. Университете. ИР, ტ. I, გვ. 259.

³ დედანში ეს ადგილი ასე იკითხება:

"...Когда четыре звуковых комплекса..., возникшие в труд-магическом процессе, став лингвистическими элементами, легли в основу вновь складывавшегося звукового общественного языка, то среда была уже социально дифференцированная, и звуковая речь существовала классовая, являлась орудием классовой борьбы в руках господствующего слоя, как впоследствии письменность". Н. Я. Марр. Яфетидология в Ленингр. Госуд. Университ. – ИР, ტ. I, გვ. 259.

ტკიცებ, ვმორღები რა ამაში ძირითადად ბევრ ჩემ ამხანაგს, რომ **არ არსებობს ენა, რომელიც არ იყოს კლასობრივი და, მაშასადამე, არ არსებობს აზროვნება, რომელიც არ იყოს კლასობრივი**¹.

ამგვარად, ნ. მარის მტკიცების თანახმად, არაკლასობრივი ენა არც არსებობს და არც ოდესმე არსებულა; ენა კლასობრივი იყო მისი გაჩენის მომენტიდან, ბგერითი ენის გაჩენის მომენტიდან; ძველი სომხური უფრო ახლოსაა სისტემით ძველ ქართულთან, ვინემ ახალ სომხურთან: ორივე ფეოდალური საზოგადოების ენაა და იმიტომ.

ამ უკანასკნელ მტკიცებას საილუსტრაციო მასალა არ ახლავს. ძნელი სათქმელია იმიტომ, რას გულისხმობს ავტორი „სისტემაში“; თუ ეს „სტრუქტურას“ ნიშნავს, ერთი სისტემისა ძველი სომხური და ძველი ქართული ვერ იქნებოდა: პოლიპერსონალური უღვლილების მქონე ძვ. ქართული, არსებითად აგლუტინაციური წყობისა — და მონოპერსონალური ზმნის პატრონი ძვ. სომხური, არსებითად ფლექსიური ტიპისა, — ერთ სისტემაში ვერ მოექცევა. ფეოდალური საზოგადოების მეტყველება ქართული, სომხური, თურქული, რუსული... შეუძლებელია ერთგვარ ოდენობად მოვნათლოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთნაირი საზოგადოებრივი ფორმაციის ურთიერთობის იარაღს წარმოადგენენ: ასეთი დასკვნის გაკეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ფიქრობს, რომ ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ენის საგანგებო სტრუქტურა შეეფერება (ფეოდალური ქართული, კაპიტალისტური ქართული, სოციალისტური ქართული...) და ეს სტრუქტურული მსგავსება სხვადასხვა ენას შორის მეტს ნიშნავს, ვინემ ის განსხვავება, რომელიც ამ ენებს შორის არსებობს. „ესა თუ ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ავტომატურად წარმოშობს შესაბამის ენობრივ სისტემას“ — ასეთია დედააზრი იმ დებულებისა, რომლის ნიადაგზედაც შეიძლებოდა ძვ. სომხურისა და ძვ. ქართულის ურთიერთობის ნ. მარისეული გაგება წარმოშობილიყო. ასეთი გაგება მეცნიერულ სისწორეს მოკლებულია.

კლასობრივია ყოველი ენაო, კლასობრივი იყო ყოველთვის ენაო... შეიძლებოდა თუ არა კლასობრივი ენა ყოფილიყო მაშინ, როდესაც საზოგადოებაში კლასებს ადგილი არა ჰქონდა? თუ კლასები ყოველთვის იყო?

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ნ. მარი თავის თეორიას მარქსისტულ თეორიად აცხადებდა და მისთვის მონოპოლიურ უფლებებს მოითხოვდა. კერძოდ, მოხსენებაში „ბაქოს დისკუსიისათვის“ — ნ. მარი წერს, რომ

¹ "Утверждаю с полным сознанием ответственности такого высказывания, расходясь коренным образом со многими моими товарищами, что *нет языка, который не был бы классовым* и, следовательно, нет мышления, которое не было бы классовым". Н. Я. Марр. "Язык и мышление" – ИР, ტ. III, გვ. 90-91.

იაფეტური თეორია... არის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გამოვლენა კონკრეტულ ენობრივ მასალაზე, საქმეში ჩახედულთათვის ეს ტრუნიზმიაო¹.

ამას **ნ. მარი სისტემატურად განაზავდა და სათანადო დასკვნასაც აკეთებდა: იაფეტურ თეორიას, როგორც მარქსისტულს, მონოპოლიური უფლებები უნდა მიენიჭოსო.**

„ახლა იაფეტური ენათმეცნიერების მარქსისტულობა ეჭვს გარეშეა ... იაფეტური თეორია მის მიერ მიღწეული განვითარების ეტაპზე მთლიანად შეერწყმის მარქსიზმს...“²

„იაფეტური თეორია ... წარმოადგენს ნაციონალურ-პროლეტარულ ანტითეზას ფეოდალურ-ბურჟუაზიული დიდმპყრობელური თეზისა... ენათმეცნიერულად გამოვლენილი, შეურიგებელი წინააღმდეგობა ძველი ინდოევროპული, და ახალი, იაფეტური, ენათმეცნიერებისა არის მხოლოდ უკუფენა თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მატერიალურ-სასიცოცხლო ანტითეზისა, 'და' მოასწავებს ამჟამად... კლასობრივ ბრძოლას, გამომკარავებულს მარქსიზმის მიერ, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ახალი მოძღვრება ენის შესახებ; იგი თანამედროვეობის შვილია და არ შეიძლება არ მოუწოდებდეს შეუწინააღმდეგებელი მეცნიერული შემოქმედებისაკენ, ... შეუწინააღმდეგებელი კლასობრივი ბრძოლისაკენ, რომელსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს...“³.

„ახალი ენათმეცნიერული თეორიის (ე. ი. იაფეტური თეორიის — ა. ჩ.) მეთოდი ერთადერთია — მარქსისტულ-ლენინური“⁴.

1930 წ. „ბაქოს დისკუსიასთან“ დაკავშირებულ გამოსვლაში ნ. მარი პირდაპირ და ხაზგასმით აღნიშნავდა: ახლა დგას საკითხი იაფეტური თე-

¹ "Не для бакинцев, а для босоножек по яфетидологии необходима и такая оговорка, на взгляд разумеющих – излишний трюизм, что яфетическая теория в нашем представлении не противопоставляется марксизму, а является выявлением марксистско-ленинской философии на конкретном языковом материале, т. е. в построении самого языковедения или учения об языке". Н. Я. Марр. "К бакинской дискуссии", გვ. 11, შენიშ. 10.

² "Сейчас марксизм яфетического языкознания вне спора... Яфетическая теория на достигнутом ею этапе своего развития целиком сливается с марксизмом..." Н. Я. Марр. Яфетидология в Ленинград. Гос. Унив. – ИР, ტ. I, გვ. 268.

³ "Яфетическая теория... представляет увязку (?) национально-пролетарской антитезы феодально-буржуазной великодержавной тезы... Вскрытое лингвистически, непримиримое противоречие старого, индо-европейского, и нового яфетического, языкознаний есть лишь отображение материально-жизненной антитезы современных социально-экономических противоречий, сигнализирует в настоящем ... классовую борьбу, вскрытую марксизмом, частью которого становится новое учение об языке, и является детищем современности и не может не призывать к неослабному научному творчеству, ... неослабной классовой борьбе, руководимой пролетариатом..." Н. Я. Марр. იქვე, გვ. 272.

⁴ "Метод новой языковедной теории единственный марксистско-ленинский". Н. Я. Марр. Сдвиги в технике языка и мышления... – ИР, ტ. II, გვ. 442.

ორისა და ინდოევროპული თეორიის შესახებ. ან — ერთი, ან — მეორე, იმიტომ, რომ ორი თეორია არ შეიძლება არსებობდეს...“¹ (რას ნიშნავს ინდოევროპული თეორია ნ. მარისთვის, იხ. მაგ., აქვე, გვ. 157).

რაკი ნ. მარს თავისი შეხედულება მარქსისტულ-ლენინურ თეორიად მიაჩნია, პირველ ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ: რამდენად ეთანხმება მარქსისტულ გაგებას ის, რაც კლასებისა და კლასობრიობის შესახებ ნ. მარს აქვს მოთხრობილი?

არაფერი საერთო კლასობრიობის მარქსისტულ-ლენინისტურ გაგებასთან, მართალ მეცნიერულ გაგებასთან, ნ. მარის ხსენებულ გაგებას, რასაკვირველია, არა აქვს.

ცნობილია, რომ კლასები იმთავითვე არ არსებობდა, კლასები საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება — კერძო საკუთრების გაჩენის ნიადაგზე.

ერთგან თვით ნ. მარს აქვს აღნიშნული, რომ მისი გაგება კლასობრიობისა განსხვავებულია მარქსისტული გაგებისაგან:

„ლინგვისტური დასკვნები რომელთაც აკეთებს იაფეტიდოლოგია, აიძულებენ მას სავსებით გადაჭრით თქვას, რომ ენგელსის ჰიპოთეზა — კლასების წარმოშობის შესახებ გვაროვნული წყობილების რღვევის შედეგად — საჭიროებს სერიოზულ შესწორებებს“².

„სერიოზული შესწორებები“ სწორედ ამ ლინგვისტურ დასკვნებს ესაჭიროება და არა ენგელსის გაგებას. მეცნიერებას არ შეუძლია ამტკიცოს, თითქოს კლასები „დასაბამიდან“ არსებობდნენ. მეცნიერებას ეს არც სჭირდება. მარქსიზმ-ლენინიზმს ასეთი რამ არასოდეს უმტკიცებია.

„ისტორიამ არ იცის არაკლასობრივი ენა“, „არ არსებობს ენა, რომელიც არ იყოს კლასობრივი“, — ასეთია ნ. მარის მტკიცება.

კლასებისა და ენის კლასობრიობის საკითხში იაფეტიდოლოგის ამ მოჭარბებულ კლასობრიობას მეცნიერებასთან საერთო არაფერი არა აქვს.

§ 68. ენის სოციალურობის შესახებ ნ. მართან. ახლა — სოციალურობის შესახებ იაფეტურ თეორიაში. ენა ურთიერთობის საშუალებაა; ესაა ენის სოციალურობის საფუძველი. ვინც ენას სოციალურ მოვლენად სახავს, ვარაუდობს ხოლმე, რომ მეტყველების დასაბამიც სოციალური ხასიათისა იყო, ე. ი. ენა არა მხოლოდ ახლაა ურთიერთობის საშუალება,

¹ "Теперь стал вопрос о яфетической теории и об индо-европейской. Или одна или другая, потому что две теории не могут существовать". Н. Я. Марр. К бакин. дискуссии, გვ. 45.

² "Лингвистические выводы, которые делает яфетидология, заставляют ее самым решительным образом сказать, что гипотеза Энгельса о возникновении классов в результате разложения родового строя нуждается в серьезных поправках..." Н. Я. Марр. Актуальные проблемы... (1928) – ИР, ტ. III, გვ. 75.

იგი ურთიერთობის საშუალება იყო იმთავითვე; მისი **გაჩენაც ურთიერთობის საჭიროებამ გამოიწვია**. ყოველ შემთხვევაში ასე წარმოედგინათ ეს საკითხი მარქსსაც და ენგელსსაც: ენა სოციალურია დასაბამიდანვეო: „ცნობიერების მსგავსად ენა აღმოცენდება (წარმოიქმნება) საჭიროებისაგან, გადაუდებელი საჭიროებისაგან სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა“ — ვკითხულობთ მარქსისა და ენგელსის კოლექტიურს შრომაში „გერმანული იდეოლოგია“ (რუს. თარგმ., გვ. 20-21). ეს არ ყოფილა შემთხვევითი გამონათქვამი. ოცდაათიოდე წლის შემდეგ ენგელსი წერილში „შრომის როლი მაიმუნის გადაადამიანების პროცესში“ იმასვე ამბობს: „გაადამიანების პროცესში მყოფნი მივიდნენ იქამდის, რომ მათ **გაუჩნდათ მოთხოვნილება რაღაც ეთქვათ ერთმანეთისათვის** (ხაზი ენგელსისაა — **ა. ჩ.**). საჭიროებამ გაიჩინა თავისთვის ორგანო: მაიმუნის განუვითარებელი ყელი გარდაიქმნებოდა თანდათანობით, მაგრამ განუხრელად — მოდულაციათა გზით, რომლებიც თანდათანობით ძლიერდებოდა, და პირის ორგანოებმა თანდათანობით ისწავლეს ერთიმეორის მიყოლებით დანაწევრებული ბგერების გამოთქმა“¹.

ენის წარმოშობის ამ სოციალურ საფუძველს მარქსისა და ენგელსისათვის **პრინციპული მნიშვნელობა** ენიჭება. მართალია, ენის წარმოშობის საკითხს მრავალგვარი სირთულე ახლავს, აქ ბევრი რამ სადავოა. და სწორედ ამიტომ აქ განსაკუთრებით საჭიროა პრინციპული თანამიმდევრობა.

ენის წარმოშობის ამ სოციალური საწყისის აღიარება ობიექტურ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამიტომ შემთხვევითი სრულებით არაა, როცა მარქსისა და ენგელსისეულ დებულებებს ვიპოვით ისეთ ავტორებთანაც, რომელნიც მარქსისტები არ არიან.

„ენა წარმოიშვა საზოგადოებაში. იგი წარმოიშვა იმ დღეს, როცა ადამიანებმა იგრძნეს ურთიერთობის საჭიროება“, — წერს ფრანგი ენათმეცნიერი ვანდრიესი².

„წარმოიშვა იმ დღეს“... ამ ფიგურალური თქმით მკვეთრადაა გახაზული ურთიერთობის საჭიროება, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი, ენის წარმოქმნისათვის „ადამიანთა“ კოლექტივში.

ინგლისელი ლოგიკოსი ჯევონსი ამბობს: „თავდაპირველად, წარმოშობის დროს ენა იყო გამოყენებული უმთავრესად, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ, პირველი მიზნისათვის, ე. ი. როგორც ურთიერთობის საშუალება“³.

¹ „ბუნების დიალექტიკა“, მეექვსე გამოცემა, — რუსულ ენაზე — მოსკოვი, 1933, გვ. 52.

² იხ. მისი „ენა. ლინგვისტური შესავალი ისტორიაში“, რუს. თარგმ. 1937, გვ. 24; ფრანგული დედანი გამოიცა 1920 წ. (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

³ "In its first origin language was used chiefly, if not exclusively, for the first purpose" (as a means of communication). მოგვყავს R. Jaspersen-ის მიხედვით: "Mankind, nation and individual from a linguistic point of view", Oslo, 1925, გვ. 6-7.

საინტერესოა, რომ სარექტორო სიტყვაში „ხალხთა ფსიქოლოგიის“ შესახებ (1910 წ. მიუნხენში) ჰერმან პაულს ენის დანიშნულების შესახებ უთქვამს: „მისი თავდაპირველი ფუნქციაა მუდამ იყოს რისამე გაგებინების (შეტყობინების) საშუალება“¹.

ნ. მარი სოციალურ თვალსაზრისზე დგას: ენა ურთიერთობის იარაღიაო, ამბობდა იგი. მაგრამ ეს არ ვრცელდება ნ. მართან ენის წარმოშობაზე: ბგერითი მეტყველება წარმოშობის მომენტში ურთიერთობის საშუალება არ იყო, გვეუბნება ნ. მარი: არათუ მთელი კოლექტივი, არამედ ამ კოლექტივის ის ნაწილიც, მისნებიც, რომელთა განკარგულებაშიც იმყოფებოდა პირველადი „სიტყვები“, არ იყენებდნენ მათ ურთიერთობის საშუალებად: გაგებინების იარაღს ხელის („ხაზოვანი“) ენა წარმოადგენდა. ურთიერთობის საშუალებად ბგერითი ენა დიდი ხნის შემდეგლა იქცა². ბგერითი ენის შესახებ თქმული ეხება **ხელის** ენასაც.

მოხსენებაში — „ბაქოს დისკუსიისათვის“ ნ. მარმა შესწორება შეიტანა ი. მეშჩანინოვის დებულებაში: გადაკეთებას (переоформление) საჭიროებს ზოგი რამ ი. მეშჩანინოვის მოხსენებაში: „იაფეტოლოლოგია არის მეცნიერება ენის შესახებ, სასაუბრო მეტყველების შესახებ, ვიდრე ლიტერატურულ ენამდე უკანასკნელის ჩათვლით“ (მეშჩანინოვი, გვ. 5). ნ. მარი შენიშნავს: „ეს დაფორმულება არაა შემთხვევითი. ხუთიოდე გვერდის შემდეგ (გვ. 11) ი. მეშჩანინოვი უბრუნდება იმავე აზრს შემდეგ სტრიქონებში: „ამგვარად, **ბგერითი მეტყველების შექმნის ეს პროცესი დაკავშირებულია ადამიანის ყველაზე ძირითად საჭიროებებთან, რომელთაც უნდა შეექმნათ ენა** (выдвинуть язык), როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ვეიქრობ, — განაგრძობს ნ. მარი, — ი. მეშჩანინოვიც დამეთანხმებოდა ახლა მე, თუ ავტორის აზრის მოყვანილ ძირითად დაფორმულებას ასეთ რედაქციას გავუკეთებდი: „**იაფეტოლოლოგია არის მეცნიერება ენის შესახებ, კერძოდ, ბგერითი ენის შესახებ, მისი სამეტყველო კულტურის შესახებ** ყველა გამოვლენაში, თავდაპირველად ორაკულებში, ებოსში, უფრო გვიან — ფოლკლორში, **გაცილებით უფრო გვიან განვითარებული სასაუბრო მეტყველების ჩართვით**“³.

¹ "Its original function is always, however, to serve as a means of imparting somethin" — მოგვყავს O. Jespersen-ის მიხედვით ("Mankind...", გვ. 5).

² "Когда же началась уже ручная линейная речь, вполне сложившаяся, то ее господством вовсе нельзя покрыть всех 300 тысяч лет до звукозной речи; она началась расставшись с линейной же, но лишь изобразительной речью, и продолжалась не один десяток тысяч лет, которые отводятся звукозной речи, существующей, но вовсе не сложившейся еще, как разговорный язык". Н. Я. Марр. К бакинской дискуссии, стр. 8-9.

³ Н. Я. Марр. К бакин. дискуссии, гв. 6 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ი. მეშხანინოვი ბგერითი ენის შექმნას უკავშირებდა ადამიანის საჭიროებას — ჰქონოდა ურთიერთობის საშუალება; ნ. მარმა სწორედ ამ მხრივ შეიტანა შესწორება, მისი თქმით „სარედაქციო ხასიათისა“, ნამდვილად კი — არსებითი: ნ. მარის მიერ მოცემულ განსაზღვრებაში სრულიად არა ჩანს არც „ადამიანთა საჭიროება“, არც „ურთიერთობის საშუალება“ და არც „ბგერითი ენის შექმნა ამ ურთიერთობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად“; სამაგიეროდ ხაზგასმულია — „სასაუბრო მეტყველება გაცილებით უფრო გვიანაა განვითარებული“.

ი. მეშხანინოვის აზრის ამგვარ „სარედაქციო“ გადაკეთებას რომ სწორედ ეს დანიშნულება აქვს, ჩანს, ჯერ ერთი, ნ. მარის შენიშვნიდან, რომელიც იაფეტიდოლოგიის მის მიერ წარმოდგენილ განსაზღვრებას ახლავს: „მოცემული განსაზღვრება არათუ არაა ამომწურავი, არამედ მეტნაკლებად სრულიც; მასში ყურადღება გამახვილებულია ბგერითი მეტყველების, როგორც სასაუბრო მეტყველების, საკითხზე“¹.

უფრო არსებითია, ვინემ ეს შენიშვნა, მომდევნო ტირადა: „ამხანაგებო, უდიდესი გაუგებრობაა, როდესაც ენის დასაბამს დებენ ბგერითი მეტყველების წარმოშობიდან, მაგრამ არანაკლებ არსებითი შეცდომაა, როცა ვარაუდობენ, რომ ენას იმთავითვე ჰქონდა ის ფუნქცია, რომელიც ამჟამად არის უბირველესი — სასაუბრო. ენა მაგიური საშუალებაა, საწარმოო იარაღია ადამიანის მიერ კოლექტიური წარმოების შექმნის პირველ ეტაპზე, ენა საწარმოო იარაღია. მოთხოვნილება (საჭიროება) და შესაძლებლობა ენის გამოყენებისა ურთიერთობის საშუალებად გაცილებით უფრო მერმინდელი ამბავია. და ეს თანაბრად ეხება როგორც ხელის ანუ ხაზოვან (და კინეტურ), ისე ენოვან ანუ ბგერით მეტყველებას (აგრეთვე კინეტურს)“².

„ენა, როგორც საწარმოო იარაღი“ — ორიგინალური გამოთქმაა. ეს მარქსისტული სიტყვაწარმოება გარკვეულ მიზანს ისახავს: შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს იაფეტური თეორია ორთოდოქსალური მარქსიზმის

¹ "Это отнюдь не есть, однако, не только исчерпывающее, но в какой-либо мере полное определение яфетидологии, а формулировка с интересом к ее значению в разрезе использования звуковой речи, как разговорной". Н. Я. Марр, К бакинской дискуссии, гл. 6, შენიშვნა 5.

² "Товарищи, глубочайшее недоразумение, когда начало языка кладут с возникновения звуковой речи, но не менее существенное заблуждение, когда язык предполагают изначально с функцией, сейчас первой — разговорной. Язык — магическое средство, орудие производства на первых этапах созидания человеком коллективного производства, язык — орудие производства. Потребность и возможность использовать язык, как средство общения — дело позднейшее, и это относится одинаково как к ручной или линейной (и кинетической) речи, так и к язычной или звуковой речи (также кинетической)" Н. Я. Марр. К бакинской дискуссии, гл. 7.

გზით მიდის. მარქსიც, ენგელსიც (ისევე როგორც რიგი ენათმეცნიერიც) სოციალურ პრინციპს ძალაში ტოვებდნენ ენის წარმოშობის მიმართაც (ენა წარმოიშვა ურთიერთობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, საკომუნიკაციო ფუნქცია მეტყველებას დასაბამიდანვე გააჩნდაო); ნ. მარი კატეგორიულად უარყოფს ამას: უდიდესი გაუგებრობაა, თითქოს ენას იმთავითვე ჰქონოდა ის ფუნქცია, რომელიც ამჟამად უპირველესია, — სასაუბრო. ურთიერთობის საშუალებად ენის გამოყენება საჭირო და შესაძლებელი გახდა გაცილებით უფრო გვიანაო.

რასაკვირველია, ნ. მარს, როგორც გარკვეული სპეციალისტის წარმომადგენელს, სრული უფლება აქვს იწამოს, რომ ენა გაჩნდა ურთიერთობის საჭიროებისათვის; მეტსაც ვიტყვით: მას მოვალეობაც აწევს ეს აღნიშნოს, თუკი **სამისო დამაჭერებელი საბუთები** მას, როგორც სპეციალისტს, **მოეპოვება**; ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა პირდაპირ თქმულიყო, რომ ახალი მასალებით არ მართლდება შეხედულება, თითქოს ენას იმთავითვე გააჩნდა საკომუნიკაციო ფუნქცია, საჭიროა შეიცვალოს ეს დებულება, როგორც მოძველებულიო... მაგრამ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გამოვლენად ამგვარი დებულების გამოცხადება, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულია: ესაა — ვისმე მიაწეროს სწორედ ის, რასაც იგი უარყოფს. თუ რატომ არჩია ნ. მარმა მარქსისტული სიტყვაწარმოების მეშვეობით რთული საკითხის გამარტივება, ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით საინტერესო არაა.

ფაქტი კი ფაქტად რჩება: **სოციალურობის პრინციპი** იაფეტურ თეორიაში **შეზღუდა**; **სოციალურობა უარყოფილ იქნა ენის წარმოშობის მომენტისათვის** (ყოველ შემთხვევაში, ბგერითი ენის წარმოშობის მომენტისათვის) და ეს მაშინ, როდესაც იაფეტური თეორია იცავს **ბგერითი ენის წარმოშობის კლასობრივ ხასიათს**.

ამგვარად, იაფეტიდოლოგიაში უგულებელყოფილია ძირითადი დებულება: რომ სოციალურობაა ენის კონსტიტუციური ნიშანი (ენა ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანთა ურთიერთობის საშუალება), კლასობრიობა კი მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს ენაში, ისიც არა ყველა მოვლენაში (ამაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ §§ 86, 87).

ენის **სოციალურობის შეზღუდვა** პრინციპში ისეთივე შეცდომაა იაფეტური თეორიისა, როგორც **კლასობრივი პრინციპის წრეს გადასული სიჭარბე**: ორივე თანაბრად არამეცნიერული, ანტიმარქსისტულია (მიუხედავად ნ. მარის მტკიცებისა, რომ ესაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის კონკრეტიზაცია ენის მასალაზეო).

§ 69. ენათა ტრანსფორმაციისა და ენობრივ კატეგორიათა ინტერპრეტაციის შესახებ ნ. მართან. არ შეიძლება ამ საკითხებზე ორიოდვე სიტყვა აქ არ ითქვას. იაფეტური თეორია ამტკიცებს, რომ ინდოევროპული ენები სხვა არაფერია, თუ არ იგივე იაფეტური ენები; ამ უკანასკნელთა ტრანსფორმაცია გამოწვეულია „სამეტურნეო და საწარმოო სოციალური ცხოვრების ძირითადი გარდაქმნით“¹. იგულისხმება აქ მეტალურგიის განვითარება... მეტალურგიის შემქმნელები იაფეტური ტომები იყვნენ. მაგრამ კითხვა იბადება: როგორ მოხდა, რომ თვით ამ მეტალურგიის შემქმნელთა ენები, იაფეტური ენები, უტრანსფორმაციოდ შემოგვრჩა? რატომ „გარჩნენ“ ისინი განვითარების წინა საფეხურზე? ამის დამაკმაყოფილებელი ახსნა არ მოხერხდება, თუ გავიზიარებთ დებულებას ენათა ტრანსფორმაციის შესახებ (რასაკვირველია, ინდოევროპული ენები არაა იაფეტურ ენათა ტრანსფორმაცია — ამის შესახებ იხ. ქვემოთ, პალეონტოლოგიურ ანალიზთან დაკავშირებით).

დებულება ენათა სისტემების შესახებ, რომელნიც „მოსწყდნენ ხალხთა მსოფლიო მოძრაობას,... გაიყინნენ მეურნეობითაც და საზოგადოებრიობითაც კაცობრიობის განვითარების შესაბამის საფეხურებზე“², დიდი სირთულის საკითხებს აჩენს, როგორც თავის ადგილას იქნება ნაჩვენები (იხ. ქვემოთ, პალეონტოლოგიური ანალიზი).

„პირდაპირი და ირიბი ბრუნვები“ — ეს ხომ „ბრუნვებია“ პასიური და აქტიური, ე. ი. სახელდობრ, **სოციალურად დასაფასებელი ოდენობანი**, რამდენადაც სტადიალური განვითარების წინა საფეხურზე ესაა კოლექტივის ორი განსხვავებული კატეგორია“³.

ამგვარ განმარტებათა შესახებ ამბობდა ენგელსი: „საეჭვოა, ვინმემ მოახერხოს — ისე, რომ თავი სასაცილოდ არ გაიხადოს — ეკონომიკაზე მითითებით იმის ახსნა, თუ როგორ მოხდა ჩრდილო-გერმანულ თანხმოვანთა გადაწევაო“ (იხ. წერილი იოსებ ბლოხისადმი, 1894 წ.).

ჩვენ აქ არ ვეხებით იაფეტური თეორიის რიგ სხვა დებულებას, როგორცაა, ენათა სისტემის, სემანტიკის პრინციპებისა და სხვ. შესახებ: ესენი შინაგანად უკავშირდებიან პალეონტოლოგიური ანალიზის საკითხს

¹ "...Индоевропейские языки – трансформация тех же яфетических языков в зависимости от коренной перестройки хозяйственной или производственно-социальной жизни". Н. Я. Марр. К бак. дискуссии, გვ. 19.

² Н. Я. Марр. Язык – ИР, II, გვ. 135.

³ "...Прямые и косвенные падежи – ведь это "падежи" пассивные и активные, т. е. собственно социально расцениваемые величины, поскольку на предшествующей ступени стадийного развития это две различные категории коллектива". Н. Я. Марр. Яфетические зори на украинском хуторе – ИР, V, გვ. 239-240 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

(თვით ნ. მარის თქმით, ეს დებულებები **პალეონტოლოგიური ძიების** შედეგადაა მოპოვებული)¹.

ამიტომ მათ შესახებ საუბარი მოგვიწევს ენათმეცნიერების სპეციალურ **მეთოდთა** პრობლემის განხილვისას.

VIII. ბიჰევიორიზმის ფიზიკალიზმი

§ 70. ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიაში უოტსონის მიხედვით.

ენის რაობის ბიჰევიორისტული გაგება მოცემული აქვს ლეონარდ ბლუმფილდს, ჩიკაგოს უნივერსიტეტში გერმანული ფილოლოგიის ყოფილ პროფესორს. ბლუმფილდის სათანადო შეხედულებანი გადმოცემულია მის შრომაში „ენა“, რომელიც 1933 წელს გამოვიდა².

თავის თეორიას ბლუმფილდი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ს ა ნ უ მ ე - ქ ა ნ ი ც ი ს ტ უ რ ს უწოდებს³. ეს თეორია ბიჰევიორიზმის პრინციპებს ემყარება. ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმდინარეობაა. ბიჰევიორისტისათვის ფსიქოლოგია — ესაა მეცნიერება ქცევის შესახებ⁴. ბიჰევიორიზმი არა ცნობს ფსიქიკის რაგვარობითს თავისებურებას, უარყოფს ცნობიერების ფაქტს და შეისწავლის ადამიანის მოქმედებას, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მექანიკურ მოქმედებას, რომელიც არ საჭიროებს ცნობიერების მონაწილეობას.

ბიჰევიორიზმი ცნობიერების ფაქტს უარყოფს, მაგრამ აზროვნების პოვნებებს ვარაუდობს. აზროვნება ბიჰევიორისტისათვის არ არის შეპირობებული ცნობიერებით. აზროვნება მისთვის იგივეა, რაც შინაგანი მეტყველება. აზროვნებასა და მეტყველებას ბიჰევიორიზმი აიგივებს. ამრიგად, მეტყველებას (ენას) აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეტყველება მჭიდროდ არის დაკავშირებული აზროვნებასთან: აზროვნება, როგორც ცნობიერების გამოვლენა, როგორც ტვინის ურთულესი ფუნქცია, ბიჰევიორიზმში უგულებელყოფილია.

¹ Н. Я. Марр: К семантической палеонтологии в языках неяфетических систем, 1931 წ. — Избр. работы, ტ. II, გვ. 248.

აგრეთვე: Языковая политика яфетической теории и удмуртский язык, 1931 წ. — Избр. работы, ტ. I, გვ. 288. სათანადო ნაწყვეტები იხ. პალეონტოლ. მეთოდის შესახებ მსჯელობისას.

² Leonard Bloomfield, Language, New-York, 1933.

³ Language, გვ. 33.

⁴ ინგლ. behaviour „ყოფაქცევა“.

„ზოგი ავტორი, — წერს ჯ. უოტსონი, თანამიმდევრული ბიჰევიორისტი, — აზროვნების პროცესებს აქცევს სრულიად საიდუმლო რაღაცად — ისეთ რაღაცად, რის შესახებც შეიძლება ვილაპარაკოთ, ვიდავოთ, რის ზოგ გამოვლენას შეიძლება დავაკვირდეთ კიდევ, მაგრამ რაც არსებითად მუდამ რჩება ჩვენთვის უცნობი. სხვა ავტორები განიხილავენ აზროვნების პროცესებს ტვინის ქერქის მოქმედებასთან კავშირში (საერთოდ მიღებული შეხედულება). ისინი ვარაუდობენ, რომ არსებობს რაღაცა — არავინ იცის გარკვევით, თუ სახელდობრ რა — რაც შეიძლება ხდებოდეს ტვინის ქერქში, როცა კუნთების არავითარ მოქმედებას არა აქვს ადგილი. თუ ჩვენი შეხედულება სწორია, აზროვნება არის მუდმივი შემადგენელი ნაწილი ყოველი შეფუებისა. აზროვნება არსებითად არ განსხვავდება ჩოგბურთისაგან, ცურვისაგან ანდა გარეგნული მოქმედების რაგინდარა აქტისაგან“¹.

ჯ. უოტსონი განასხვავებს რეაქციის ოთხ სახეობას: 1. გარეგანი ანუ თვალით დასანახი რეაქციები, 2. შინაგანი (ანუ დაფარული) შექმნილი რეაქციები (მაგ., ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსები...), 3. გარეგანი (თვალით დასანახი) მემკვიდრეობითი რეაქციები (მაგ., ცხვირის დაცემინება, ბლავილი), 4. შინაგანი (დაფარული) მემკვიდრეობითი რეაქციები (მაგ., ცვლილებანი სისხლის მიმოქცევაში, შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა მოქმედებაში...). აზროვნება ჯ. უოტსონს შეტანილი აქვს რეაქციათა მეორე ჯგუფში, ე. ი. შინაგან შექმნილ რეაქციებში: ამათ განეკუთვნება, — წერს ჯ. უოტსონი, — „აზროვნება, რომლის ქვეშაც ჩვენ ვგულისხმობთ შინაგან („რომ არ ისმის, ისეთს“) მეტყველებას“². „...ტერმინი **აზროვნება** ჩვენთვის უნდა იქცეს ზოგად **ტერმინად**, რომელმაც უნდა აღნიშნოს **ფარული მეტყველებითი ქცევის ყველა სახეობა**“³. ამ ფარულ (ე. ი. თვალით დაუნახავ) მეტყველებითს მოქმედებას ბიჰევიორისტი განიხილავს, როგორც, „სხეულის ინტეგრირებულ პროცესს“⁴; იგი დაკავშირებულია ყელის, ენისა და ხორხის კუნთების მოქმედებასთანაო“⁵.

§ 71. შინაგანი მეტყველება და გაგების საკითხი ბიჰევიორიზმის მიხედვით. შინაგანი (არგასაგონი) მეტყველება დაკავშირებულია გარეგან (მოსასმენ) მეტყველებასთან, მაგრამ ცნობიერებასთან კავშირი აქ არაფერ შუაშია: „მკითხველი, — წერს ჯ. უოტსონი, — ვერ იპოვის აქ

¹ ჯ. უოტსონი, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ, 1919 (რუს. თარგმ.), 1926, გვ. 303.

² იქვე, გვ. 13.

³ "Subvocal behaviour": იქვე, გვ. 303-304.

⁴ იქვე, გვ. 305.

⁵ იქვე, გვ. 261.

(ე. ი. ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერებაში ქცევის შესახებ — **ა. ჩ.**) არც ცნობიერების საკითხის განხილვას, არც ისეთ ცნებათა განხილვას, როგორიცაა შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, ნებისყოფა, წარმოსახვა და ა. შ. ეს ცნებები, — განაგრძობს ჯ. უოტსონი, — კარგი რეპუტაციით სარგებლობენ; მაგრამ მე დავინახე, რომ შეიძლება სრულიად ავუარო გვერდი ამ ცნებებს, როგორც სამეცნიერო კვლევა-ძიების დროს, ისე ჩემი სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიის კურსის კითხვისას. მე უბრალოდ არ ვიცი, რას ნიშნავენ ეს ცნებები და არ მჯერა, რომ ვისმე შეეძლოს მათი გამოყენება ისე, რომ სრულად გაეგებოდეს (ეს ცნებები). მე დავტოვე ისეთი ტერმინები, როგორიცაა აზროვნება და მეხსიერება, მაგრამ მე მათ მივეცი ახალი ზუსტი განსაზღვრება, რომელიც შეესაბამება ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას¹.

რაკი ცნობიერების ცნება მოიხსნა, გაგების საკითხიც არა დგას: ბიჰევიორისტი ადამიანის „ქცევას“ (მოქმედებას) არ განიხილავს, როგორც მოქმედებას, რომელსაც განსაზღვრავს გარკვეული მიზანი და რომელიც ემყარება იმის გარკვეულ გაგებას, თუ სახელდობრ რა უნდა გაკეთდეს, რაგვარი ქცევა იქნება მიზნის შესაბამისი, — ერთი სიტყვით, ბიჰევიორისტი არ განიხილავს ადამიანის მოქმედებას, როგორც აზრიან მოქმედებას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ცხოვრებაში: ცოცხალი ადამიანები ბიჰევიორისტულ კონცეფციაში ავტომატებს ეტოლებიან. „ბიჰევიორისტული თვალსაზრისით, — წერს ჯ. უოტსონი, — „გაგების“ პრობლემა წმინდა წყლის აბსტრაქციაა... ჩვენი დაკვირვების საგანია ის, თუ რას აკეთებს ცხოველი ანდა ადამიანი. მას „გაგება“ ის, რასაც აკეთებს. პრაქტიკული და სამეცნიერო მიზნებისათვის სრულიად არ არის საჭირო შევაწყვეტინოთ [ადამიანს] მოქმედება და ვკითხოთ, თუ რა გაგება აქვს მას მუშაობის დროს. მის მოქმედებაში მჟღავნდება მისი ქცევა“².

რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას? რასაკვირველია, ადამიანის ყველა მოქმედება არ საჭიროებს ცნობიერების აქტიურ მონაწილეობას: ჩვეულებრივი მოქმედება შეიძლება გახდეს ავტომატური; ასეთია, მაგ., ასოების გამოყვანა წერის დროს; ჩვენ არ გვიხდება იმაზე ფიქრი, როგორ დავწეროთ ესა თუ ის ასო; მაგრამ თავდაპირველად, როცა ასოების გამოყვანას სწავლობენ, სათანადო მოქმედება როდია ავტომატური; მერეადა: როგორიც უნდა იყოს ავტომატიზებული მოქმედების ხვედრი წონა ადამიანის ცხოვრებაში, არ შეიძლება ადამიანი გაფუტოლოთ ავტომატს, არ შეიძლება ადამიანის მოქმედება („ქცევა“), ადამიანის საქმიანობა ყოველდღიურ ცხოვრებაში განვიხილოთ, როგორც მთვარეულის მოქმედება. ადამიანის

¹ იქვე, გვ. XVII.

² იქვე, გვ. 12.

მოქმედების („ქცევის“) შესწავლას, ენის (მეტყველებითი მოქმედების) შესწავლას აზრი აქვს ფსიქოლოგისათვის იმიტომ, აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც მასში გამოისახება ადამიანის „შინაგანი ცხოვრება“, მისი აზროვნება, ის სპეციფიკურ-ადამიანური, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება ვილაპარაკოთ ფსიქიკაზე, როგორც რაგვარობითს (კვალიტატიურად) თავისებურზე.

თუკი ცნობიერება, გავება მიჩნეული იქნება ფიქციად, ამით მოიშლება პრინციპული ზღვარი ადამიანისა და სხვა ცხოველების მოქმედებას შორის. და ამიტომ თანამიმდევრულობა არ აკლია ჯ. უოტსონს, როცა იგი წერს: ადამიანი „წარმოადგენს ცხოველს, რომელსაც ახასიათებს მეტყველებითი (სიტყვიერი) ქცევა“¹. ეს „მეტყველებითი ქცევა“ ბიჰევიორისტს როდი წარმოუდგენია აზრის რეალიზაციის, გამოსახვის საშუალებად: ბიჰევიორისტისათვის აზროვნება — ესაა მეტყველება; მაგრამ ამით ენის მნიშვნელობა კი არ იზრდება, იგი, პირიქით, მცირდება: „მეტყველებითი ქცევა“ სხვა არა არის რა, თუ არ „მეტყველებითი ჩვევა“, რეაქციათა ერთ-ერთი სახესხვაობა.

§ 72. ენის საზოგადოებრივი ხასიათის საკითხი ბიჰევიორიზმის მიხედვით. ბიჰევიორისტი არ უარყოფს, რომ „აშკარა (ე. ი. გასაგონი — ა. ჩ.) მეტყველება ვითარდება საზოგადოების გავლენით“, მაგრამ ამის გამო ენა საზოგადოებრივ მოვლენად როდი მიიჩნევა: „მარტივი მეტყველებითი ჩვევების წარმოქმნის შესახებ — წერს ჯ. უოტსონი — თქმულა ბევრი ხმაურიანი, მაგრამ ცარიელი ფრაზა. მაგალითად, ხშირად ამბობდნენ, რომ მეტყველება არის საზოგადოებრივი მოვლენა, და რომ სიტყვები წარმოიქმნებიან იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ადამიანი სოციალურ არსებას წარმოადგენს. ეს სავსებით სწორია ერთი მხრივ, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ, თუ ბავშვს არ ახვევია ისეთი პირები, რომლებიც ხმარობენ სასაუბრო სიტყვიერ ფორმებს, ბავშვი ვერ მიიღებს სმენითსა და მხედველობით გაღიზიანებებს, რომლებსაც მიყვავართ ასეთ ჩვევათა წარმოქმნასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადაც საქმე ეხება მათს შეძენას, ეს ჩვევები არ არის უფრო სოციალური, ვინემ სხეულის ჩვევები“ (телесные навыки)².

ამგვარად, ენის სოციალურობაზე — ჯ. უოტსონის თანახმად — შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ინდივიდი ითვისებს გარკვეულ სამეტყველო ჩვევებს იმ პირთაგან, რომელნიც მას ახვევია, მაგრამ სამეტყველო ჩვევა — ეს არის ჩვევათა, რეაქციათა ერთ-ერთი სახეობა

¹ იქვე, გვ. 305.

² იქვე, გვ. 300.

ბა, და ენის მიჩნევა საზოგადოებრივ მოვლენად — ესაა „ხმაურიანი, ცარიელი ფრაზა“.

რა თქმა უნდა, თუ გავაუქმებთ აზროვნების ცნებას, თუ მოვხსნით ენის აზროვნებასთან კავშირის საკითხს, თუ უგულვებელყოფთ იმ როლს, რომელსაც ენა ასრულებს ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ენის სოციალურობაზე ლაპარაკი აღარ მოგვიწევს: აღარ მოგვიწევს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ენა აღარ გვექნება: ხელში შეგვრჩება ჩვევები, მექანიკური მოქმედებანი, რეაქციები. შესწავლის ობიექტი ამ გზით კი არ აიხსნება, არამედ გაუქმებული აღმოჩნდება. ეს ეხება როგორც ენას, ისე ფსიქიკას, რამდენადაც ისინი გახდებიან ბიჰევიორისტული ანალიზის საგანი.

ჯ. უოტსონი ამბობს: ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას უწოდებდნენ „ფიზიოლოგიას, კუნთების შეკუმშვის ფსიქოლოგიასა და ბიოლოგიასაო, მაგრამ თუ იგი გვევლის ახლანდელი ტრადიციული ფსიქოლოგიის ბორკილები დავამსხვრიოთ და გვასწავლის განვიხილოთ ადამიანი ისე, როგორც ის არის, და მოვეპყრათ მას სათანადოდ, სულერთია, რა სახელსაც დაარქმევინებდნენ მასაო“¹.

ბიჰევიორიზმის ყურადღების ცენტრში უთუოდ დგას „კუნთების შეკუმშვა“, მაგრამ მეტად გადაჭარბებული გამოვიდოდა, გვეფიქრა, თითქოს კუნთების შეკუმშვათა გარეგანი აღწერილობა გვასწავლიდეს: „განვიხილოთ ადამიანი ისე, როგორც ის არის“².

§ 73. ბიჰევიორიზმი და ენის რაობა ბლუმფილდთან. რა მოგვცა ბიჰევიორისტულმა პრინციპებმა ენის რაობის გაგებაში? ამაზე პასუხს ვიპოვებთ ლ. ბლუმფილდის შრომაში „ენა“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც 1933 წ. გამოვიდა, ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს გადამუშავებულ გამოცემას იმავე ავტორის შრომისა („შესავალი ენის შესწავლაში“), რომელიც 1914 წ. გამოსულა, ე. ი. ცხრამეტი წლით ადრე, ვიდრე ეს ახალი, გადამუშავებული შრომა გამოვიდოდა. ბლუმფილდი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს: პირველ შრომაში („შესავალი ენის შესწავლაში“) ვუნდტის ფსიქოლოგიის თვალსაზრისზე ვიდექიო. მას შემდეგ ფსიქოლოგიაში დიდი ცვლილება მოხდაო: თუ მენტალისტები ენის ფაქტებს აღ-

¹ იქვე, გვ. 300.

² ბიჰევიორიზმის გაგება ენისა და აზროვნების ურთიერთობისა კრიტიკულად განხილულია დარ. რამიშვილის წერილში „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხის შესახებ იდეალისტურსა და საბჭოთა ფსიქოლოგიაში“, იბერ.-კავკას. ენათმეცნ., III, გვ. 453.

წერდნენ ფსიქოლოგიის ტერმინებში, მექანიციკებმა ამაზე ხელი აიღესო. ბლუმფილდი კი იმ აზრს ადგას, რომ სწორედ მექანიციკებმა მეცნიერული მსჯელობის აუცილებელი ფორმა.

გამოდის, რომ ბლუმფილდი ფსიქოლოგისტი იყო და ფსიქოლოგისტი დარჩა: 1914 წელს, როცა „ენის შესწავლის შესავალი“ გამოქვეყნდა, ამოსავალი იყო ვუნდტის ფსიქოლოგია, ვოლუნტარისტული და აპერცეფციონისტული, 1933 წელს კი ბლუმფილდი ემყარება ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას, რომლის ნიმუშსაც იძლევა ჯ. უოტსონის „ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ“; ამაში ხედავს ბლუმფილდი „მეცნიერული მსჯელობის აუცილებელ ფორმას“.

რას გვაძლევს „მეცნიერული მსჯელობის ეს აუცილებელი ფორმა“ ენის შესწავლისას? ეს ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ გავეცნობით იმ ანალიზს, რომელიც გაუკეთა ბლუმფილდმა „მეტყველების გამოყენების აქტს“ (თავისი შრომის მეორე თავში).

წარმოვიდგინოთ, რომ მიდის ერთად ორი ახალგაზრდა, დავარქვათ მათ ნინო და ვასო (ბლუმფილდთან მათი სახელებია ჯილი და ჯეკი). ნინოს შია. მან თვალი მოჰკრა ხეზე ვაშლს. ის გამოსცემს გარკვეულ ბგერებს ხორხის, ენისა და ბაგეების მეშვეობით. ვასო გადაახტება ღობეს, აძვრება ხეზე, მოწყვეტს ვაშლს, მოაქვს ნინოსთან და აძლევს მას ხელში. ნინო ჭამს ვაშლს.

აქ გვაქვს მეტყველების აქტი (act of speech), ერთი მხრით, და გარკვეული მოქმედება, მომხდარი ფაქტები (practical events), მეორე მხრით. დროში თანამიმდევრობის მიხედვით თუ განვიხილავთ, გვექნება: A. ის, რაც უძლოდა მეტყველების აქტს, B. მეტყველების აქტი და C. ის, რაც მოსდევდა მეტყველების აქტს.

მეტყველების აქტი და ფაქტები, რაც მას წინ უსრებდა, დაკავშირებული იყო ნინოსთან: მას შიოდა და მან დაინახა ვაშლი. „მეცნიერული მსჯელობის აუცილებელ ფორმას“ რომ მივყვეთ, უნდა ვთქვათ ბლუმფილდის სიტყვებით: „მისი ზოგი კუნთი შეიკუმშა და კუჭში გამოიყო ზოგი სითხე. იქნებ მას წყურვილი აწუხებდა: მას ენა და ხახა ამომშრალი ჰქონდა. სინათლის ტალღები, რომლებიც აირეკლა წითელმა ვაშლამა, მოხვდა მის თვალს“. ნინომ დაინახა ვასო (რომელიც, ვთქვათ, მისი ძმა იყო).

§ 74. „სტიმული“ და „რეაქცია“ მეტყველების პროცესში. ყველაფერი, რაც უსწრებდა სამეტყველო აქტს, ქმნის მოლაპარაკის სტიმულს. ყველაფერი, რაც მოსდევდა სამეტყველო აქტს, ძირითადად დაკავშირებული იყო ვასოსთან (მან მოწყვიტა ვაშლი და მიუტანა ნინოს), აგრეთვე — ნინოსთან (მან მიიღო ვაშლი და მიირთვა). ყველაფერი, რაც გააკეთა ვასომ ნინოს ნათქვამის პასუხად, იქნება პასუხი, საპასუხო მოქმე-

დება მსმენელისა. ვთქვათ, ნინო მარტო ყოფილიყო. თუ მას მოშივდებოდა და ვაშლს დაინახავდა, ავიდოდა ხეზე და ვაშლს მოწყვეტდა (თუკი საამისო ძალა და მოხერხება აღმოაჩნდებოდა, არადა — მშვიერი დარჩებოდა). მსგავს პირობებში ცხოველიც ამგვარადვე მოიქცეოდა: მშვიერი ცხოველი მიიწევს საჭმლისაკენ. როგორც კი მას შენიშნავს. ამ მხრივ განსხვავებას ადგილი არა აქვს: მშვიერ ნინოს და მშვიერ ცხოველს აქვთ სტიმული **S** (შიმშილის გრძნობა, საჭმლის დანახვა); სტიმულს მოსდევს მოქმედება, რეაქცია **R** (პასუხი) სტიმულზე (მოძრაობა საჭმლისაკენ). კავშირი სტიმულსა (**S**) და რეაქციას (**R**) შორის აქ უშუალოა: **S** → **R**.

მაგრამ, როგორც ვიცით, ნინო მარტო არ ყოფილა: მას ვასო ახლდა. იმის ნაცვლად, რომ თვითონ მოეწყვიტა ვაშლი, ნინომ გამოიყენა სამეტყველო აქტი: სტიმულს (**S**) უპასუხა არა საქმიანი მოქმედებით, არამედ სამეტყველო მოქმედებით, რომელიც საქმიან მოქმედებას ცვლის (ამ მონაცვლე რეაქციას ბლუმფილდი პირობით აღნიშნავს **r**-ით).

ეს მონაცვლე ანუ სამეტყველო რეაქცია (**r**) შედგება შემდეგი მომენტებისაგან: **B**₁¹ — ნინოს მოძრაობაში მოჰყავს თავისი სახმო სიმები, თავისი ქვედა ყბა, ენა და ა. შ., რომ ნინოს პირში წარმოიქმნას ბგერათა ტალღები; **B**₂ — ეს ბგერათა ტალღები ამოძრავებენ ჰაერს; **B**₃ — ბგერათა ტალღები ჰაერში მოხვდებიან დოლის აპკს ვასოს ყურში და დააწყებინებენ მას თრთოლას: ვასო გაიგონებს ნათქვამს. გაგონილი იმოქმედებს ვასოზე, როგორც სტიმული: ის აძვრება ხეზე, მოწყვეტს ვაშლს და მიუტანს ნინოს. „სხვა პლანეტიდან რომ ვინმე უყურებდეს ამას, — წერს ბლუმფილდი, — რაკი მას არ ეცოდინება, რომ აქ გვაქვს ისეთი რამ, როგორიცაა ადამიანის მეტყველება, დაასკვნდა: სადღაც ვასოს სხეულში მოიპოვება გრძნობის ისეთი ორგანო, რომელმაც მას აცნობა: ნინო მშვიერია და ვაშლს ხედავს“².

თვით ვასოს არა შია: რეალური (ნამდვილი, ფაქტობრივი) სტიმული მას არა აქვს, მას გაუჩნდა შენაცვლებული სტიმული (**s**). ამ შენაცვლებულ სტიმულზე ვასომ უპასუხა ნამდვილი მოქმედებით, რეაქციით (**R**).

ამრიგად ნამდვილ სტიმულს (**S**), ნინოს რომ ჰქონდა (შიმშილის გრძნობა), მოსდევს ნამდვილი რეაქცია (**R**) ვასოს მხრივ (ვაშლის მოტანა). გაშუამავლებულია ეს სამეტყველო აქტი: მონაცვლე რეაქციით (**r**) ნინოში და ჩანაცვლებული სტიმულით (**s**) ვასოში.

უმეტყველო რეაქცია და რეაქცია, გაშუამავლებული მეტყველებით, სქემის სახით შეიძლება ასე გამოვსახოთ:

¹ **B** აღნიშნავს „სამეტყველო აქტს“.

² „ენა“, გვ. 25.

უმეტყველო რეაქცია (speechless reaction): $S - - R$, სადაც S ნამდვილი სტიმულია¹ (შიმშილის გრძნობა...), R საპასუხო ნამდვილი მოქმედებაა, რეაქციაა². რეაქცია გაშუამავლებული მეტყველებით (reaction mediated by speech):

$S - - r.....s - - R$,

სადაც S ნამდვილი სტიმულია (შიმშილის გრძნობა), r — სიტყვიერი მონაცვლე რეაქცია³ (სიტყვები, ნინოსმიერ თქმული); s — სიტყვიერი ჩანაცვლებული სტიმული⁴ (გაგონილი სიტყვა: თვითონ ვასოს შიმშილი არ აწუხებს); R — ნამდვილი რეაქცია, პრაქტიკული მოქმედება.

ასეთია პროცესი. ამ პროცესის წყალობით, ბლუმფილდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წყვეტი, რომელიც მოლაპარაკისა და მსმენელის ორგანიზმებს შორის არსებობს, ორ ნერვულ სისტემას რომ თიშავს, შეაერთა ხილმა — ბგერათა ტალღების სახით“⁵. სხვანაირად რომ ვთქვათ: „ენა შესაძლებელს ხდის ერთმა პირმა შეასრულოს მოქმედება (R), როდესაც მეორე პირს აქვს სტიმული“ (S)⁶. ამრიგად, „შრომის განაწილება და ადამიანთა საზოგადოების მთელი მოქმედება ენას უნდა უმაღლოდეს“⁷.

§ 75. ბლუმფილდი თავისი თეორიის შესახებ. თავის თეორიას ბლუმფილდი უწოდებს **მატერიალისტურს** (ანუ **მექანიცისტურს**)⁸. ეს მატერიალისტური თეორია, რომელსაც ბლუმფილდი იცავს, **ანგარიშს უწევს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას** (ენის როლს საზოგადოებაში), მაგრამ **უარყოფს ექსპრესიულ ფუნქციას**: რამდენადაც იგი დგას ბიჰევიორიზმის თვალსაზრისზე, მას არ შეუძლია მიიღოს ფსიქიკის რაგვარობითი თავისებურება, აგრეთვე ცნებები „მნიშვნელობა“, „გაგება“, თუ მას არ განმარტავს ფიზიკურად.

„მატერიალისტური (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მექანიცისტური) თეორია, — წერს ბლუმფილდი, — ვარაუდობს, რომ ადამიანის ქცევის მთელი მრავალფეროვნება ემყარება იმ ფაქტს, რომ ადამიანის ორგანიზმი მეტად რთულ სისტემას წარმოადგენს. ადამიანის მოქმედებანი, მატერიალისტური შეხედულების თანახმად, — ამბობს ბლუმფილდი, — წარმოადგენენ ნაწილს მიზეზ-შედეგთა ჯაჭვში, რომელიც სავსებით მსგავსია იმისა, რასაც ვხედავთ, ვთქვათ, როცა ვსწავლობთ ფიზიკასა და ქიმიას“⁹.

¹ S — practical stimulus.

² R — practical reaction.

³ r — linguistic substitute reaction.

⁴ s — linguistic substitute stimulus.

⁵ „ენა“, გვ. 26.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 24.

⁸ იქვე, გვ. 33.

⁹ იქვე, გვ. 33.

ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს ისეთ რთულ სტრუქტურას, რომ რიგ შედეგს იწვევს სულ მცირე ცვლილება (ვთქვათ, ისეთი, როცა წითელი ვაშლისაგან არეკლილი სხივები სინათლისა ზედა თვალის ბადურას)... ეს შეპირობებულია ნერვული სისტემით, ამ „რთული ამძრავი მექანიზმით“, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ცვლილებას სხეულის ერთ ნაწილში (მაგ., მხედველობით სტიმულზე) უპასუხებს ცვლილება სხეულის სხვა ნაწილში (მაგ., ხელის მოძრაობა, სახმო სიმების, ენის მოძრაობა). მაგრამ ადამიანს არა აქვს ისეთი ორგანო, რომლის წყალობითაც შეგვეძლოს დაკვირვება ვაწარმოოთ, თუ რა ხდება ნერვებში (ისე, როგორც ვაკვირდებით ჩვენი ხელის კუნთების მუშაობას). მაშასადამე, ფსიქოლოგს ისღა დაჩენია, რომ მიმართოს „არაპირდაპირ მეთოდებს“, ე. ი. იმსჯელოს მოქმედების (ქცევის) მიხედვით.

§ 76. ბლუმფილდი და მენტალიზმი. ბლუმფილდი ეკამათება ენის მენტალისტურ გაგებას (**როგორც ის უწოდებს!**): „მენტალისტისათვის ენა არის აზრების, გრძნობების, ნებელობის აქტების გამოხატულება“¹. მენტალისტი გამოდის იმ ვარაუდიდან, რომ არსებობს გონებრივი პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს ყოველ მოლაპარაკესა და მსმენელში იმასთან დაკავშირებით, რასაც ის წარმოთქვამს, ანდა რაც მას ესმის: „ვაშლი“ სიტყვა რაკი წარმოთქვა, მთქმელს უნდა ჰქონდეს ვაშლის გონებითი სახე — „ვაშლი“ სიტყვა ასეთსავე სახეს იწვევს მსმენელის გონებაში.

ბლუმფილდის ეს შენიშვნა ეხება წარმოდგენათა ტრადიციულ ფსიქოლოგიას: ვაშლის წარმოდგენა არ არის სიტყვის მნიშვნელობის აუცილებელი ელემენტი; თუ მთქმელსა და მსმენელს ერთნაირად ესმის სიტყვა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ორივეს ცნობიერებაში იდენტური ანდა დაახლოებით ერთნაირი წარმოდგენები გვქონდეს. აზროვნების თანამედროვე ფსიქოლოგია ამაზე მტკიცედა დგას:

მაგრამ აქედან ვერ გაკეთდება ის დასკვნა, რომელსაც ბლუმფილდი აკეთებს: გონებრივი სახეები, გრძნობანი და ა. შ. პოპულარული ტერმინებია **სხეულის** სხვადასხვაგვარი **მოძრაობის** აღსანიშნავადაო; ეს მოძრაობანი სამ ტიპამდე შეიძლება დავიყვანოთ: 1. ისეთი მოძრაობანი, რომელნიც საერთოა სხვადასხვა ხალხისათვის და რომლებიც აღინიშნება სიტყვებით „შია“, „ეშინია“, „ჯავრობს“, „უხარია“... 2. კუნთების ისეთი შეკუმშვა და ჭირკვლების შინაგანი სეკრეცია, რაც განსხვავებულია სხვადასხვა პირთან და არ აღინიშნება სიტყვებით და 3. სამეტყველო ორგანოთა ისეთი უხმო მოძრაობა, რომლებიც სამეტყველო მოძრაობის მაგივრობას ეწევა,

¹ იქვე.

მაგრამ რომელთაც სხვა პირები ვერ აღიქვამენ („სიტყვებით აზროვნება“)¹... გონებრივი პროცესები მექანიციკის წარმოდგენილი აქვს, როგორც ტრადიციული სახელები სხეულის პროცესებისა, რომლებიც ან შედიან გარკვეულ მნიშვნელობაში, როგორც მთქმელის სიტუაცია, ანდა ისე შორეულად ეფარდებიან სამეტყველო გამოსახულებას, თითქოს ანგარიშგასაწვევი ფაქტორი არ იყოს მთქმელის სიტუაციაში — ანდა კიდევ იყოს უფრო სამეტყველო გამოსახულების რეპროდუქცია².

„გონებრივი პროცესები“, ე. ი. ფსიქიკური პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზიკურ პროცესებთან, მაგრამ არ შეიძლება ისინი გავაიგივოთ ისევე, როგორც არ შეიძლება აზროვნება მივიჩნიოთ შინაგან მეტყველებად; ეს ეწინააღმდეგება ფსიქოლოგიის ფაქტებს. ფსიქიკური პროცესები („გონებრივი პროცესები“) ბლუმფილდს მიაჩნია „სხეულის პროცესებად“, მაგრამ ამით ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემა არ გადაწყვეტილა: ბლუმფილდმა, როგორც ბიპვეიორიზმის პრინციპებზე მდგომმა, გააუქმა ეს პრობლემა იმით, რომ მოხსნა აზროვნების საკითხი. ასეთი რამ შეუძლებელია მივიჩნიოთ „მეცნიერული მსჯელობის აუცილებელ ფორმად“, როგორც ამას ბლუმფილდი ამბობს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ორ საკითხზე: 1. სამეტყველო აქტის ანალიზის ის ხერხები, რასაც ბლუმფილდი მიმართავს, და 2. სამეტყველო აქტის მნიშვნელობის (და გაგების) საკითხი.

როცა მეტყველების აქტსა და მასთან დაკავშირებულ ფაქტებს აგვიწერს, ბლუმფილდი ცდილობს ეს აღწერა მოგვცეს ფიზიოლოგიის (და ფიზიკის) ტერმინებში („ჯილი მშიერია. ეს ნიშნავს, რომ ზოგი მისი კუნთი შეკუმშულია და მის კუჭში ზოგი სითხე გამოიყო ...მას სწუროდა, მას ენა და ხახა ამომშრალი ჰქონდა ... სინათლის ტალღები, რომლებიც აირეკლა წითელი ვაშლისაგან, მოხვდა თვალს, ე. ი. წითელი ვაშლი დაინახა“).

მაგრამ აღწერის ეს წესი ბოლომდე არა აქვს გატარებული ბლუმფილდს, ჩვეულებრივი გამოთქმებიც ხშირია: „ჯილმა ნახა ჯეკი“ (მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი გვეტყოდ: „სინათლის ტალღები, ჯეკისაგან არეკლილი, მოხვდა ჯილის თვალს“)... ანდა: „ჯეკი გადაძვრა ღობეზე, აცოცდა ხეზე, მოწყვიტა ვაშლი (ჩამოვიდა ხიდან, გადმოძვრა ღობეზე) და მისცა ხელში ჯილს. ჯილმა დაიწყო ვაშლის ჭამა...“

არა ჩანს, რატომ ბოლომდე არ გაატარა ბლუმფილდმა ბიპვეიორისტული თვალთახედვით ნაკარნახევი წესი აღწერისა. მაშინ უფრო ცხადი იქნებოდა, რომ „მეცნიერული მსჯელობის აუცილებელი ფორმა“ სხვა არაფერია, თუ არ გარეგნული აღწერილობა მოქმედებათა

¹ იქვე, გვ. 143.

² იქვე.

მექანიკური თანამიმდევრობისა. ამაში გვარწმუნებს ის შემთხვევები, სადაც ბლუმფილდმა აღწერის ეს წესი გამოიყენა.

მაგრამ აქ სხვა საკითხიც დგება. მეცნიერული სიზუსტით რომ აეწერა მომხდარი ამბები, ბლუმფილდმა ჩვეულებრივი სიტყვები და გამოთქმები არ გამოიყენა და ფიზიკისა და ფიზიოლოგიის ტერმინები მოიშველია: „სინათლის ტალღები, არეკლილი წითელი ვაშლისაგან, მოხვდა თვალბს“ (= დაინახა წითელი ვაშლი); „კუჭში გამოიყო ერთგვარი სითხე“ (= მოშივდა)...

მაგრამ ამით მეცნიერული დახასიათება სათანადო პროცესებისა ამოწურული ხომ არ არის: სინათლის ტალღები რომ თვალს მოხვდა, გარკვეული ბიოქიმიური პროცესები გამოიწვია, ამის გარეშე ჯილი წითელ ვაშლს ვერ დაინახავდა, ბლუმფილდის აღწერილობა შემოიფარგლა ფიზიკური და ფიზიოლოგიური მომენტებით და არაფერი გვითხრა იმ ბიოქიმიური პროცესების შესახებ, ურომლებსოდაც ფიზიოლოგიური პროცესი გაუგებარი იქნება. ასეთი შემოფარგვლისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუ თანამიმდევრობას დავიცავთ. ერთი სიტყვით: ბლუმფილდისეული აღწერის ხერხები **საბუნებისმეტყველო თვალსაზრისით** ისევე არადაამაკმაყოფილებელია, როგორც ის ყოველდღიურად ხმარებული ხერხები, რომლებიც ბლუმფილდმა არაზუსტად მიიჩნია და რომელთა შეცვლა (გვერდის ავლა) საჭიროდ დაინახა. ეს ნიშნავს: სამეტყველო აქტთან დაკავშირებული პროცესების ბიჰევიორისტული აღწერა ბლუმფილდმა რომ მოგვცა, არსებითადაც უსაფუძვლოა და, მასთან არათანმიმდევრულია თვით მექანიციზმის პრინციპთა თვალსაზრისით.

§ 77. ბლუმფილდი და „გაგების“ საკითხი. კიდევ ერთი გარემოება: ბლუმფილდი სამეტყველო აქტის ანალიზთან დაკავშირებით წერს: იმ სიტყვათა ბგერითი ტალღები, ჯილმა რომ წარმოთქვა, „ხვდება ჯეკის ყურის აპკს და იწვევს მის ათრთოლებას, რასაც ნერვების მოქმედება მოსდევს: ჯეკმა გაიგონა ნათქვამი. გაგონილმა იმოქმედა, როგორც სტიმულმა ჯეკზე“¹: ის წავიდა, მოწყვიტა ვაშლი, მიუტანა ჯილს და ა. შ.

აქ გვაკლია ერთი მომენტი, ყველაზე არსებითი მეტყველების თვალსაზრისით, სახელდობრ ის, რომ ჯეკმა **გაიგო** ჯილის ნათქვამი: აკი ჯეკი გაეშურა ვაშლის მოსაწყვეტად (და არა ყვავილის მოსაწყვეტად!), და ეს იმიტომ, რომ მან გაიგო ჯილის სიტყვებიდან, ჯილს რომ მოშივებია. ჯეკისთვის გაუგებარ ენაზე რომ ეთქვა ჯილს სიტყვები, ჯეკი არც ვაშლის, არც სხვა რამის მოსატანად არ გაეშურებოდა; ის შეეცდებოდა **გაეგო**, რა თქვა ჯილმა, რა უნდოდა ჯილს: **გაგონილი სიტყვები სტიმულად შეიძლება**

¹ იქვე, გვ. 25.

იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასაგებია, ე. ი. თუ ვიცით, რას ნიშნავს ეს გაგონილი.

შემთხვევითია თუ არა, რომ გაგების მომენტი გამორჩენილია ბლუმფილდის ანალიზში? შემთხვევითი ეს არ უნდა იყოს: ბიჰევიორიზმი (მექანიციზმი) არა ცნობს მას, მექანიციზმს არ მოეპოვება არავითარი ახსნა იმისა, რასაც ჩვეულებრივად აღნიშნავენ ტერმინით „გაგება“: „ბიჰევიორისტული თვალსაზრისით, — წერს ჯ. უოტსონი, — გაგების პრობლემა წმინდა წყლის აბსტრაქციაა. იგი არასოდეს ჩნდება ქცევაზე მეცნიერული დაკვირვების პროცესში. ჩვენ ვაკვირდებით იმას, თუ რას აკეთებს ცხოველი ანდა ადამიანი... მის მოქმედებაში მუდამ აღვნიშნავთ მისი გაგება. ექსპერიმენტულად განსაზღვრეთ ყველა ორგანიზებული რეაქცია, რომლებიც საგანს შეუძლია გარკვეულ პირში გამოიწვიოს და ამით თქვენ ამოწურავთ ყველა შესაძლო აზრს (მნიშვნელობას), რომელიც ამ საგანს შეიძლება ჰქონდეს ამ პირისათვის... თუ აზროვნებას განვიხილავთ, როგორც მოქმედების ფორმას, რომელიც ყველა არსებით მომენტში ემსგავსება ხელით საქმიანობას, მსგავს განყენებულ მსჯელობას გაგების შესახებ აზროვნებაში ეკარგება რალაც იდუმალის ხასიათი და, მაშასადამე, მომჩიბვლელობა“¹.

აზროვნება — გაგების გარეშე, აზროვნება, რომელიც ხელით საქმიანობასთან არის გათანაბრებული, **სიტყვა — მნიშვნელობის გარეშე**, ასეთია ჯ. უოტსონის ბიჰევიორიზმის არსი. ჯ. უოტსონი ამბობს: „განყენებულ მსჯელობას გაგების შესახებ აზროვნებაში ეკარგება იდუმალების ხასიათი“; „განყენებული მსჯელობა გაგების შესახებ“ ძნელად თუ დაიძლევა ბიჰევიორისტულ (მექანიცისტურ) დებულებათა საშუალებით, ვინაიდან ეს დებულებანი არანაკლებ ბუნდოვანია, ვინემ ის განყენებული მსჯელობანი, რომელთა წინააღმდეგაც მათ მიმართავს ჯ. უოტსონი.

§ 78. ენა და საზოგადოება ბლუმფილდის მიხედვით. ლ. ბლუმფილდმა გამოტოვა თავის ანალიზში გაგების ცნება. იმავე დროს ბლუმფილდი — უოტსონისაგან განსხვავებით — სამართლიანად უწევს ანგარიშს ენის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში („შრომის განაწილებასა და მისთან ადამიანთა საზოგადოების მთელ მოქმედებას ენას უნდა ვუმაღლოდეთო“)². მაგრამ ამ თავის დანიშნულებას ენა ასრულებს, როგორც ურთიერთობის საშუალება და, მაშასადამე, როგორც გაგებინების (ურთიერთგაგების) საშუალება. გაგება შეიძლება იყოს სრული ანდა ნაწილობრივი. მაგრამ გაგებინება რომ გამოვრიცხოთ, ურთი-

¹ ჯ. უოტსონი, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ყოფაქცევის შესახებ, რუს. თარგ., 1926, გვ. 312.

² ლ. ბლუმფილდი, ენა, გვ. 24.

ერთობა შეუძლებელი იქნება. ცხადია, რომ არ შეიძლება ვცნობდეთ ენის საკომუნიკაციო ფუნქციას და უგულვებლყოთ გაგებინება (ურთიერთგაგება), რომლის გარეშეც ენა ურთიერთობის საშუალებად არ გამოდგება.

ლ. ბლუმფილდი ენობრივი ფაქტის მნიშვნელობას განსაზღვრავს როგორც „სიტუაციას, რომელშიც მოლაპარაკე იყენებს სიტყვასა და პასუხს, რომელიც მან გამოიწვია მსმენელში“¹. მტკმელისა და მსმენელის სიტუაცია კოორდინირებულია. ჩვეულებრივ, ჩვენ განვსაზღვრავთ მნიშვნელობას მტკმელის სიტუაციის ტერმინებშიო, — ამბობს ლ. ბლუმფილდი.

როცა ბლუმფილდი განსაზღვრავს მნიშვნელობას, როგორც სიტუაციას, იგი მისდევს ბიჰევიორისტულ პრინციპს: სიტყვა, როგორც სამეტყველო სიგნალი, მიმართებაშია სიტუაციასთან, ფიზიკური მიმართებაშია ფიზიკურთან, აზრის მომენტის ელიმინაციით (უგულვებლყოფით).

მაგრამ ამან მოშალა პრინციპული განსხვავება, სიტყვასა და ცხოველის ყვირილს შორის რომ არსებობს: ბლუმფილდისათვის ერთი და მერეც სიგნალს წარმოადგენს.

განსხვავებას ბლუმფილდი იმაშილა ხედავს, რომ ადამიანის მეტყველება უფრო დიფერენცირებულია. ძაღლები, მაგ., გამოსცემენ ორი თუ სამი სახის ხმებს. თუთიყუშებს შეუძლიათ გამოსცენ მრავალგვარი ხმები, მაგრამ, როგორც ჩანს, არ უპასუხებენ სხვადასხვაგვარად სხვადასხვა ხმაზე. ... მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის ხმებს აქვს ნაირნაირი მნიშვნელობა. ენა შეისწავლო... ეს ნიშნავს შეისწავლო, რა ბგერები რა მნიშვნელობებს შეეფარდებაო, ამბობს ამასთან დაკავშირებით ლ. ბლუმფილდი².

განსხვავება ცხოველთა ბგერით სიგნალებსა და ადამიანის მეტყველებას შორის ბლუმფილდისათვის მხოლოდ ოდენობითია და არა პრინციპული: აზროვნების საკითხი მოიხსნა და ამან მოშალა პრინციპული ზღვარი ადამიანის მეტყველებასა და იმ ხმებს შორის, რომლებსაც ცხოველები გამოსცემენ.

§ 79. ზოგადი დასკვნა ბლუმფილდის კონცეფციის შესახებ.

რომ შევაჯამოთ ბლუმფილდის შეხედულების შესახებ თქმული, მივიღებთ შემდეგს: ბლუმფილდის ფიზიკალიზმი (მატერიალიზმი) ემყარება ბიჰევიორიზმის პრინციპულ პოზიციებს; ესაა ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიზმი.

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ, არ ცნობს აზროვნების პრობლემას, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას.

ამის შესაბამისად ენის მექანიციკისტური (მატერიალისტური) თეორია ბლუმფილდისა გამორიცხავს ენის ექსპრესიულ ფუნქციას: იგი ცნობს

¹ იქვე, გვ. 139.

² იქვე, გვ. 27.

ენას, როგორც ურთიერთობის იარაღს, მაგრამ უგულვებელყოფს ენას, როგორც აზრთა გამოხატვის საშუალებას.

აზროვნება გაიგივებულია შინაგან მეტყველებასთან და მით მოშლილია წინაპირობა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხის დასმისათვის. მნიშვნელობის პრობლემა სიტუაციის კატეგორიას დაექვემდებარა.

რაკი ცნობიერების მნიშვნელობის საკითხი გამოირიცხა, ადამიანის რეაქციითა შესწავლა იქცევა ავტომატიზებული მოქმედებათა შესწავლად. ამგვარ მოქმედებათა ერთ-ერთ სახეობად მიჩნეულია სამეტყველო აქტებიც.

სამეტყველო აქტების უმარტებულო გაგება გამოირიცხავს ენის საზოგადოებრივი არსის სწორად გაგებას, რამდენადაც საზოგადოება წარმოდგენილია როგორც ადამიანთა სიმრავლე, რომლებიც მოქმედებენ ავტომატებივით (ზუსტად — როგორც მთვარეულები). ასეთ პირობებში ენის საზოგადოებრივი როლი თავისებურ ხასიათს იღებს, რამდენადაც თვით საზოგადოება გაგებულია, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურად.

ენა, რომელსაც არა აქვს აზრი მოლაპარაკეთათვის, ვერ გახდება აზრიანი საზოგადოებისათვის. ასეთად გვევლინება ენა, განხილული, როგორც მოქმედება, როგორც სიტუაციის მექანიკური ელემენტი, როგორც ფიზიკური რაღაც, რომელიც მექანიკურად უკავშირდება ფიზიკურსავე, მაგრამ არა ცნობიერების მქონე ადამიანის **აზროვნების აქტის** წყალობით.

კარლ ფოსლერმა სცადა განეხილა ენა, როგორც ინდივიდუალური გონითი შემოქმედება; მან სცადა გვერდი აეგლო ენის საკომუნიკაციო ფუნქციისათვის, როგორც ურთიერთობის საშუალებისათვის.

ლეონარდ ბლუმფილდი, პირიქით, ცდილობს ენის განხილვისას სრულიად უგულვებელყოფს ექსპრესიული ფუნქცია, ენა, როგორც აზრის გამოსახვის საშუალება.

კ. ფოსლერისათვის ენა, როგორც ინდივიდის გონის გამოხატვის საშუალება, ყველაფერია, ლ. ბლუმფილდისათვის — არაფერი.

კ. ფოსლერისა და ლ. ბლუმფილდის თეორიები ენის რაობისა ერთმანეთის საპირისპიროა და ერთგვარ თეორიულ ექსპერიმენტებად გვევლინებიან. ეს თეორიული ექსპერიმენტები ცხადყოფენ, რომ არ შეიძლება ენა მეცნიერულად დავახასიათოთ და უგულვებელყოთ ან საკომუნიკაციო, ანდა ექსპრესიული ფუნქცია. საკომუნიკაციო ფუნქცია წამყვანია, ექსპრესიული — დაქვემდებარებული, მაგრამ მნიშვნელოვანი. ენა ურთიერთობის საშუალება და აზროვნების იარაღია. არც კ. ფოსლერისა და არც ლ. ბლუმფილდის თეორია არ უწყევს ამას ანგარიშს.

კ. ფოსლერისა და ლ. ბლუმფილდის თეორიები ერთმანეთის საპირისპიროა და მეცნიერულად გაუმართლებელი.

თავი მესამე

ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი

პოზიტიური ნაწილი

§ 80. ენის ფუნქციები. ენა არის ნიშანთა სისტემა, რომელსაც აზროვნების იარაღად და ურთიერთობის საშუალებად ხმარობს გარკვეული ენობრივი კოლექტივი. ასეთი განსაზღვრება ორ მხარეს ითვალისწინებს: რისგან შედგება ენა (ნიშნების სისტემა) და რა ფუნქცია აქვს ენას.

აქ მოყვანილ განსაზღვრებაში ენის **ორი** ფუნქციაა დასახელებული: **ექსპრესიული** (ენა აზროვნების იარაღია) და **საკომუნიკაციო** (ენა ურთიერთობის საშუალებაა). კ. ბიულერმა გამოყო მესამე ფუნქცია — გადმოცემისა (**Darstellungsfunktion**): ენობრივი ნიშანი რასმე გადმოგვცემს; ამგვარად, ენის სამი ფუნქციაა ნაჩვენები: **გამოსახვა** (**Ausdruck**), **მიმართვა** (**Appel**) და **გადმოცემა** (**Darstellung**).¹ ამ სამ ფუნქციაზე ბოლო ხანებში ზოგი სხვა ავტორიც მიუთითებს².

როგორია ენის ამ ფუნქციათა ხვედრი წონა?

ნიშნის მიმართება აღსანიშნისადმი არსებობს მეტყველ ადამიანებში. ადამიანთა გარეშე ენობრივ ფაქტს არავითარი მიმართება აღსანიშნისადმი (ე. ი. არავითარი ფუნქცია) არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს. ამდენად გადმოცემის ფუნქციას ვერ გავუტოლებთ ორ დანარჩენ ფუნქციას, მით უმეტეს ვერ გამოვაცხადებთ მას ენის სპეციფიკურ და, მაშასადამე, განმსაზღვრელ ფუნქციად. ნიშნად გამოყენება ექსპრესიული ფუნქციის ინგრედინტია. გადმოცემის ფუნქციის ჰიპოსტაზირებას თან სდევს შორის მიმავალი დასკვნები — პრინციპული ხასიათისა, და ეს აგრეთვე უნდა მივიღოთ მხედველობაში ხსენებული ფუნქციის ნიშანდობლივად მიჩნევისას³.

§ 81. ექსპრესიულისა და საკომუნიკაციო ფუნქციათა ხვედრი წონა. ექსპრესიულისა და საკომუნიკაციო ფუნქციათა შეფარდებითი მნიშვნელობა თითქოს ცხადია: ერთი შეხედვით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექსპრესიულ ფუნქციას (ენა, როგორც აზროვნების იარაღი). ვისმე რამე

¹ Sprachtheorie, 1934, გვ. 28. წინათ კი იგივე ავტორი სხვა ტერმინებს იყენებდა: Auslösung, Kundgabe, Darstellung: "Dreifach ist die Leistung der menschlichen Sprache: Kundgabe, Auslösung and Darstellung"... იხ. Kritische Musterung der neueren Theorien des Satzes, — Indogerm. Jahrbuch, Bd. VI, 1918, გვ. 1.

² იხ. Deeters: Vergleich. Sprachforschung, — კრებულში "Lehrb. d. Völkerkunde", 1937.

³ ამაზე დაწვრილებით ცალკე გვექნება საუბარი.

რომ შეატყობინო, ჯერ უნდა გამოთქვა, გამოსახო, გამოავლინო შენი ში-
ნაგანი და გახადო იგი სხვისთვის, მსმენელისთვის, ხელმისაწვდომი.

მაგრამ საკითხავია: არის კი მხოლოდ ეს საკმარისი საფუძველი ენის
არსებობისა? არის თუ არა შესაძლებელი, რომ ენა არსებობდეს და მას
მარტოდენ ექსპრესიული ფუნქცია ჰქონდეს? ასეთი რამ უცნობია. დედა-
მიწის ზურგზე არ არსებობს ენა, რომელიც აზროვნების გამოვლენის სა-
შუალება იყოს და იმავდროულად ურთიერთობის იარაღად არ იყოს
გამოყენებული. ასეთი ენა, ენა, აღჭურვილი მხოლოდ ექსპრესიული ფუნ-
ქციით, და, მაშასადამე, ენა, განკუთვნილი მარტოდენ ინდივიდისათვის,
ფაქტობრივ შეუძლებელი რამაა: ყოველი ენა მომსახურებას უწევს ადამი-
ანთა ჯგუფს, რაღაც კოლექტივს.

ასეთ დასკვნას ვერ გააქარწყლებს თუნდაც ისეთი შემთხვევა, როდე-
საც, ვთქვათ, ერთი ადამიანია გადარჩენილი სათანადო ენობრივი კოლექ-
ტივიდან; სხვები, ვიგულისხმობთ, რომ მოისპნენ ფიზიკურად ანდა არსებო-
ბენ ფიზიკურად, მაგრამ დაივიწყეს თავისი ენა, ე. ი. აღარ არსებობენ,
როგორც წინანდელი ენობრივი კოლექტივის წევრები. ამ ერთი ინდივიდის
ენა მაინც არ იქნება ინდივიდუალური ენა, ეს ისევე ის ენაა, რომელსაც
მანამდის გარკვეული კოლექტივი ლაპარაკობდა, და შემთხვევითია, რომ ეს
ენა შემორჩა ინდივიდს¹. დამახასიათებელი ფაქტია, რომ მონოლოგისათვის
ახალ ენას არ ქმნიან, ვერც შექმნიან, მონოლოგს ისევე იმ ენით წარმო-
თქვამენ, რაც დიალოგისთვის იხმარება.

ექსპრესიული ფუნქციისათვის ადამიანს ენა არაოდეს შეუქმნია, ვე-
რაოდეს შექმნის. მეტსაც ვიტყვით: თუ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის
საკითხი საბოლოოდ მოიხსნა, ინდივიდს არც დასჭირდება ენა; არ დასჭირ-
დება იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე ინდივიდის
აზრი ვერ განვითარდება; არ აღმოგვაჩნდება ის, რაც უნდა
გამოისახოს, და გამოსახვის საშუალების საკითხიც
მოიხსნება, უკეთ, — არ დადგება.

აზრი, ვთქვათ, არ განვითარდა. გრძნობები ხომ გვრჩება? მაგრამ აქ
კითხვა ისმის: დაგვჭირდებოდა კი ენა მარტოდენ გრძნობათა გამოსავლი-
ნებლად? რასაკვირველია, არა. გრძნობების გამოსახატავად უმაღლესი სიმღერა
გამოდგებოდა, უტექსტო, უსიტყვო სიმღერა.

მაგრამ ესეც პირობითი მსჯელობაა. კვლავ ჩნდება კითხვა: მიაღწევ-
და კი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე მყოფ „ადამიანში“ გრძნო-
ბა განვითარების იმ დონეს, რომ მის გადმოსაცემად რაიმე საშუალება,
თუნდ უსიტყვო სიმღერა, ყოფილიყო საჭირო? პასუხი შეიძლება იყოს
მხოლოდ უარყოფითი.

¹ არას ვამბობთ იმაზე, რომ ეს ენა ერთ ინდივიდს დიდხანს არ შემორჩება. ის
იძლებული გახდება შეითვისოს ისეთი ენა, რომელიც მას სხვა ადამიანებთან
ურთიერთობის დამყარებას შეაძლებინებს.

შაში რომ გალობს, ეს როგორღააო, შეუძლიათ შეგვეკითხონ? განვითარების რა დონეს და რა საშუალებით მიაღწია მან, რომ აგალობდო? საქმე ისაა, რომ შაშვს ინსტინქტი ამოძრავებს და არა გრძნობა. ჩვენ კი, გრძნობათა განვითარებასა და მათ გამოხატვაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ადამიანის განცდები (სიხარული, მწუხარება, დარდი, აღტაცება...), — ერთი სიტყვით, ადამიანური განცდები. ამგვარ განცდათა წარმოსაქმნელად და განსავითარებლად „ინდივიდი“ არ კმარა, საზოგადოებაა საჭირო: „ინდივიდი ადამიანი მხოლოდ კოლექტივში“ (იხ. ზემოთ § 35, გვ. 73); მით უფრო ეს ეხება წარსულს: ინდივიდი **შეიძლება და ქცეულიყო** ადამიანად მხოლოდ კოლექტივში.

ამრიგად: **ექსპრესიული ფუნქცია ენის არსებობის საკმარისი საფუძველი ვერ განდება: იგი ენას ვერ გააჩენს. ექსპრესიული ფუნქცია საკომუნიკაციო ფუნქციის გარეშე ვერ განდება, რომც განდეს, ვერ განვითარდება.**

ექსპრესიული ფუნქციის, როგორც დაქვემდებარებული მომენტის, ადგილი ენაში შეიძლება ხელშესახები გახდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქცია ერთმანეთს არ მიჰყვება: ადამიანს ურთიერთობის საშუალებად ერთი ენა აქვს, აზროვნების იარაღად — სხვა.

ავიღოთ ასეთი შემთხვევა. ზანგი მოყვა აფხაზთა წრეში. მან აფხაზური არ იცის, სწავლობს ძალაუფლებურად. რა ენაზე აზროვნებს ეს ზანგი? ცხადია თავის დედაენაზე, სანამ აფხაზური არ უსწავლია. მაგრამ საკმარისია ის დაეუფლოს აფხაზურს, რომ მისი აზროვნების იარაღიც ეს ენა გახდება, აფხაზური ენა (ასეთი ზანგები მართლაც არიან აფხაზეთის ზოგ სოფელში).

საფიქრებელია, მის აფხაზურს ერთ ხანში შერჩება რაღაც კვალი დედაენაზე აზროვნებისა, მაგრამ ძველის ეს გამოძახილები არ შეცვლიან ძირითადი მნიშვნელობის ფაქტს:

ენა, ქცეული ურთიერთობის საშუალებად, იძენს ექსპრესიულ ფუნქციას, იქცევა აზროვნების იარაღად (ასეთია ჩვენს შემთხვევაში აფხაზური ენა).

ენა, რომელსაც ურთიერთობის იარაღად აღარ ხმარობენ, აზროვნების იარაღიც ვერ იქნება, იგი კარგავს ექსპრესიულ ფუნქციას (ჩვენს მაგალითში ასეთია ზანგის ენა).

საყოველთაოდ ცნობილია ასეთი ფაქტი: ცალკე ადამიანი თუ მოხვდა სხვა ენობრივ კოლექტივში და არაფინა ჰყავს დედაენაზე გამომლაპარაკებელი, მალე იფიწყებს ამ უკანასკნელს, ძალიანაც რომ ეცადოს მის შენახვას. მაგრამ თუ მართო ის არაა ამ ენის მცოდნე, თუ დედაენაზე ლაპარაკის საშუალება აქვს, შეინარჩუნებს დედაენას (იგულისმება, რომ მას

ამის სურვილი აქვს). თუ, ვთქვათ, სპარსეთში, ფერეიდანში, ჯერ კიდევ ისმის ქართული სიტყვა, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ აქ მთელი სოფლებია ქართული (ნინოწმინდა, მარტყოფი, თელავ-ბოინი...), ე. ი. საკომუნიკაციო ფუნქციის საძირკველი არ გამოეშალა, ქართული ენა სასაუბრო ენად იხმარებოდა და იხმარება. იმდენივე ქართველი, რამდენიც ფერეიდანის ქართულ სოფლებშია, რომ გაფანტულად სპარსულ სოფლებში ჩაესახლებინათ, ორიოდე თაობის შემდეგ მათი სახსენებელი გაქრებოდა: ქართულ მეტყველებას სპარსული შეცვლიდა (არც თუ ცოტაა ასეთი ქართველი თურქეთსა და სპარსეთში ენითაც, შეგნებითაც მოწყვეტილი მშობელ ქვეყანასა და ხალხს, გათქვეფილი გარემო მოსახლეობაში).

აღჭურვეთ ენა საკომუნიკაციო ფუნქციით, გაუფართოვეთ მას საამისო ბაზა და გაძლიერდება მისი ექსპრესიული ფუნქციაც: მასზე აზროვნებას დაიწყებს ის, ვინც მანამდის ამას ვერ ახერხებდა.

წაართვით ენას საკომუნიკაციო ფუნქცია და ის ვერ შეინარჩუნებს ექსპრესიულ ფუნქციას, — ადრე თუ გვიან დაკარგავს უნარს იყოს აზროვნების იარაღი სათანადო ენობრივი კოლექტივის წევრთათვის.

ესაა მიზეზი, რომ ბრძოლა ენის უფლებათათვის ობიექტურად ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ ენის საკომუნიკაციო ფუნქცია გაძლიერებულყო, ენის გამოყენების არე გაფართოებულყო, და პირუკუ: დევნა ენისა იწყება ამ არის შეკვეციტ: არ ილაპარაკო სკოლაში, არ ილაპარაკო სახელმწიფო დაწესებულებაში...

ამიტომევა, რომ ქართული სალიტერატურო ენა ამჟამად ისე ძლიერია, როგორც არაოდეს მისი ისტორიის მანძილზე: ესაა სახელმწიფო დაწესებულებათა ენა, ესაა სწავლების ენა ყველა საფეხურისა და სპეციალობის სკოლაში. გაიზარდა მისი მომხმარებელთა წრე, გაძლიერდა იგი, როგორც ურთიერთობის საშუალება და შესაბამისად ფართოდ იყენებენ მას აზროვნების იარაღადაც.

ენის ძალაცა და თვით არსებობაც მისი საკომუნიკაციო ფუნქციითაა შეპირობებული: ურთიერთობის ყოველი საშუალება ენად მიიჩნევა... ურთიერთობის საშუალებად ხმარებული ენა ცოცხალია; მკვედრად ითქმის ენა, რომელმაც დაკარგა ეს ფუნქცია.

საკომუნიკაციო ფუნქციის შესახებ თქმული არაა მხოლოდ ემპირიული დანასკვი. მის სასარგებლოდ მეტყველების პროცესის ანალიზიც ლაპარაკობს.

ექსპრესიული ფუნქცია მეტყველს გულისხმობს, საკომუნიკაციო — შესაბამისად მსმენელსაო, ასეთია ჩვეულებრივი ვარაუდი. მეტყველი **სუბიექტია** ენობრივი ურთიერთობისა, მსმენელი — **ადრესატი** ამ ურთიერთობისა (სიმარტივისთვის შეიძლება გვეთქვა „ობიექტი“, ე. ი. პასიური წევრი ამ ურთიერთობისა). მამასადამე, საკითხი თითქოს წყდება ექსპრე-

სიული ფუნქციის სასარგებლოდ: უმეტყველოდ, უსუბიექტოდ მთელს ენობრივ ურთიერთობას ეკარგება საყრდენი და ამოსავალი პუნქტი. ასეა ერთი შეხედვით.

ნამდვილად საქმის ვითარება სხვაგვარია. ჯერ ერთი, არ არსებობს მხოლოდ მეტყველი და მხოლოდ მსმენელი, — ენობრივი კოლექტივის ყოველ წევრში შეთავსებულია **მეტყველიცა და მსმენელიც**, სუბიექტიცა და ობიექტიც. მეტყველი ერთ შემთხვევაში — მსმენელია მეორე შემთხვევაში და პირუკუ. ამგვარად, მოშლილია დაპირისპირება სუბიექტ-ობიექტისა, ორივე ერთსა და იმავე ინდივიდშია მოცემული.

ახლა ვკითხვით: რაა დასაბამიერი — მსმენელად ყოფნა თუ მტყმელის როლში გამოსვლა? ყოველი ენის შეთვისება იწყება მსმენელად ყოფნით. ძუძუთა ბავშვი თვეების მანძილზე მხოლოდ მსმენელია, სანამ „მამა“-ს (თუ რალაც მაგვარს) ამოიძახებდეს. ზრდადამთავრებული ადამიანიც ახალი ენის შესწავლას იწყებს, როგორც მსმენელი და დიდი ხნის განმავლობაში მეტის გაგება შეუძლია მოსმენილიდან, ვინემ თქმა, ე. ი. უფრო ძლიერია, როგორც მსმენელი და უფრო სუსტი, როგორც მეტყველი.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ონტოგენეზისის თვალსაზრისით, ექსპრესიული ფუნქცია **მეორეულია**. ფილოგენეზისში? აქ საკითხი უფრო რთულია. დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ ალაპარაკდნენ ადამიანები, არ გაგვაჩნია, მაგრამ ყველა თეორიულ ვარაუდს იქითკენ მივყავართ, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია იყო ამოსავალი („ურთიერთობის საჭიროებამ შექმნა მეტყველება“ — კ. მარქსი და ფრ. ენგელსი); „ენა გაჩნდა იმ დღეს, როდესაც ადამიანებმა იგრძნეს საჭიროება ერთმანეთისთვის რამე ეთქვათო“ — ვანდრიესი; „იმ დღეს“ მკვეთრად გახაზავს ურთიერთობის საჭიროების, როგორც წინაპირობის როლსა და ძალას¹.

საკომუნიკაციო ფუნქცია მსმენელს გულისხმობსო. ეს არაა ზუსტი. ეს ფუნქცია გულისხმობს მსმენელსაც: როცა ლაპარაკია ურთიერთობაზე, როცა ვისმე რასმე ვაგებინებთ, არ შეიძლება, რასაკვირველია, არ იყოს ის, ვისაც ვაგებინებთ, — არ იყოს მსმენელი. მაგრამ ეს ცოტაა. ურთიერთობა მეტყველსაც გულისხმობს, — იმას, ვინც აგებინებს: **კომუნიკაცია ცნებაში მეტყველი eo ipso მოცემულია, როგორც უცილობელი წევრი იმ ურთიერთობისა, რომელსაც ენობრივი აქტი გულისხმობს.**

მაშასადამე, **საკომუნიკაციო ფუნქცია, როგორც ენის ძირითადი ფუნქცია, მოიცავს მეტყველსაც და მსმენელსაც. ენის განხილვა საკომუნიკაციო ფუნქციის თვალსაზრისით არის ენის განხილვა ყველაზე სრული თვალსაზრისით².**

¹ „ურთიერთობის საჭიროება“ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სათქმელი იმ სახით ყოფილიყოს მოცემული უნო „ადამიანებში“, როგორც ეს ენის მქონე, მეტყველ ადამიანებშია წარმოდგენილი.

² შდრ. ზემოთ ფოსლერის აზრი საკომუნიკაციო ფუნქციის შესახებ (§ 57).

ექსპრესიული ფუნქციის შემთხვევაში ენა განიხილება მარტოოდენ მეტყველის თვალსაზრისით. მსმენელი უგულებელყოფილია იმდენად, რომ, როცა იგი აღდგება თავის კანონიერ უფლებებში, შეიძლება შეიქმნეს შთაბეჭდილება, თითქოს მეტყველი დაჩრდილულიყოს.

მთვარე ჯობია მზესაო, ამბობდა ერთი ანეკდოტური პიროვნება: მზე მაშინ ანათებს, როცა ისედაც სინათლეა, მთვარე კი ღამე ანათებს, როდესაც ბნელაო... ის კი არა თუ, მთვარე ღამით რომ ანათებს, ეს მზის მეშვეობითაა; დღისითაც თუ ნათელია, ამასაც მზეს უნდა ვუმაღლოდეთ. სინათლის წყარო ორსავე შემთხვევაში მზეა და არა მთვარე.

ენა თუ ენობს, ენა თუ არის ადამიანთა საზოგადოებრივი არსებობის პირობა, მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციის წყალობით.

მხოლოდ საზოგადოება აქცევს ადამიანს ისტორიულ არსებად (ე. ი. კაცობრიობის განვითარების მონაწილედო), — წერს პაული (იხ. ზემ. § 34, გვ. 82).

ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს საზოგადოება, ხოლო ადამიანთა საზოგადოება შეუძლებელია არსებულებო ენის გარეშეო, — სამართლიანად ამბობს მეიე.

მართლაც ენის გარეშე ინდივიდის აზროვნება ვერ გაიშლებოდა, ერთი ინდივიდის მიღწევას მეორე ვერ გამოიყენებდა, წინა თაობის გაკეთებულს მომდევნო თაობა ვერ დაემყარებოდა. ერთი სიტყვით, მოიშლებოდა მატერიალური და გონითი კულტურის შექმნისა და განვითარების ერთი მთავარი პირობა, და ადამიანთა საზოგადოების აღვილას ორფეხა ცხოველთა ჯოგს მივიღებდით.

ენა უცილობელი (თუმც არასაკმარისი) წინაპირობაა კაცობრიობის კულტურის შექმნისა და კაცობრიობის კულტურის შემდგომადობისა; მეტი კიდევ, ენა უცილობელი წინაპირობაა ადამიანთა საზოგადოების არსებობისა.

და ეს იმის მეოხებით, რომ ენა **არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება**, რომ ენას **აქვს საკომუნიკაციო ფუნქცია**. **საკომუნიკაციო ფუნქციაა**, ენის არსს რომ განსაზღვრავს, **ენას რომ აქცევს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად ადამიანთა საზოგადოებასა და ისტორიაში.**

მარტოოდენ ექსპრესიული ფუნქციის მქონე ენა — ასეთი ენა რომც შესაძლებელი ყოფილიყო — ვერც კულტურის შექმნას შეგვაძლებინებდა და ვერც საზოგადოების — ადამიანთა საზოგადოების წევრებს დააკავშირებდა და, რაც ხაზგასმით აღსანიშნავია, ვერც ინდივიდს წაადგებოდა მისი აზროვნების ჩამოყალიბებაში: საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე ეს აზროვნება (და, საერთოდ, განცდები) ადამიანის აზროვნებისა და განცდების სახეს ვერ მიიღებენ...

სხვა ადამიანებთან ურთიერთობას და ამ ურთიერთობისათვის ენის გამოყენებას ადამიანი ისეა შეჩვეული, რომ არც კი გრძნობს ამის ფასსა და მნიშვნელობას. კუნძულზე მარტო მყოფი რობინზონ კრუზო მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, და არა სინამდვილის ფაქტი.

ცნობილი რუსი რევოლუციონერი ქალი ვერა ფიგნერი მოგვითხრობს თავის მოგონებებში, თუ რას ნიშნავს, ადამიანებთან ყოველგვარი ურთიერთობა რომ მოესპობა ადამიანს. ვერა ფიგნერმა ოცი წელი (1884-1904 წწ.) გაატარა შლისელბურგის საპატიმროში მარტოთა საკანში (შლისელბურგში მხოლოდ ასე ჰყავდათ პატიმრები). პირველი ორი წლის განმავლობაში სრულიად არავის ხედებოდა ეზოში გამოყვანის დროსაც, გარდა მეთვალყურე ჟანდარმისა. ამ ჟანდარმსაც აკრძალული ჰქონდა ხმის გაცემა: მიმიკით გვანიშნებდა, თუ რამე უნდა გაეგებინებინაო (ამიტომაც მეტსახელად ამ უტყვე ვახმისტრს „მიმიკა“ შევარქვითო).

მარტოთა საკანებში გამომწყვდეულები ჩვენ ვჰგავდით ადამიანს, რომელიც დაუსახლებელ კუნძულზე აღმოჩნდა გემის დამსხვრევის შემდეგ. კედელში კაკუნი იყო ხსნა მარტოთა საკანში გამოკეტილთათვის, და კაკუნით გამოსაუბრება რომ არა, პატიმარი ვერ გაძლებდაო¹.

საკომუნიკაციო ფუნქციის შესახებ აქამდე თქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: ენა არის ნიშანთა სისტემა, რომელსაც ურთიერთობის საშუალებად ხმარობს გარკვეული ენობრივი კოლექტივი — ასეთი განსაზღვრება ისევე სრული იქნებოდა, როგორცაა ზემოთ § 70 დასაწყისში მოცემული განსაზღვრება.

§ 82. ენობრივი ნიშნის მასალა და ფუნქცია. საკომუნიკაციო ფუნქციის მქონებლობა საკმარისია იმისათვის, რომ ესა თუ ის საშუალება ენად იქნეს მიჩნეული; არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, **რა მასალაა** გამოყენებული ურთიერთობის საშუალებად: **აკუსტიკურად ასათვისებელი** (ბგერა, ხმა) თუ **ობტიკურად ასათვისებელი** (ხელის მოძრაობა, სახის კუნთების მოძრაობა... სიგნალიზაცია აღმებითა თუ სხვა სახისა)².

მეტაფორული სიტყვახმარებაც იმ რიგისა, როგორცაა, ვთქვათ, „ზარბაზნის ენა“, კვლავ იმ გარემოებას გახაზავს, რომ ენის ძირითადი ფუნქცია არის ურთიერთობის საშუალებად ყოფნა.

¹ В. Фигнер: Запечатленный труд, ч. II. "Когда часы жизни остановились", изд. III, Москва, 1929, გვ. გვ. 2-24, 37, 41.

² სიგნალისა და ენობრივი ნიშნის არსებითი სხვაობის მტკიცება, რასაც ვხვდებით, მაგალითად, ვ. ვოლოშინოვთან (იხ. „მარქსიზმი და ენის ფილოსოფია“, 1930 წ., გვ. 69), რომელიც ამასთან კ. ბიულერსაც იმოწმებს, დამაჯერებლობას მოკლებულია: სიგნალი და ენობრივი ნიშანი არა მხოლოდ ეტიმოლოგიურად (signum — signal), არამედ არსებითადაც ერთი რიგის მოვლენაა, რამდენადაც ორივეს საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს, ურთიერთობის საშუალებადაა გამოყენებული..

ენა შედგება ნიშნებისაგან (ენა — ნიშანთა სისტემა). ენის ზემოხსენებული ფუნქცია არ შეიძლება დავივიწყოთ ენობრივ ნიშანთა დახასიათებისას.

ენობრივი ნიშნის ბუნება განსაზღვრავს ენის რაობას: ენობრივი ფაქტი **ფიზიკური თვისების ნიშანია, გამოყენებული ურთიერთობის საშუალებად**, სხვანაირად რომ ვთქვათ, ესაა **სოციალური ფუნქციის მქონე ფიზიკური ფაქტი**.

რომ ეს ფაქტი **ფიზიკური, მატერიალური ხასიათისაა**, ამას ნათელიყოფს ის საყოველთაოდ ცნობილი ვითარება, რომ ენობრივ ნიშანს ჩვენი ყური მოისმენს (თუ ბგერითი ენაა) ანდა თვალი დაინახავს (თუ მაგ., ექსტ-მიმიკისაა ენა — ყრუმუნჯთა მეტყველება...).

რომ ეს ფიზიკური, მატერიალური ხასიათის ფაქტი **ნიშანია**, ეს ჩანს შემდეგიდან: ამ ფიზიკურ მონაცემს აქვს არა თავისთავადი ღირებულება, არამედ ფასი და მნიშვნელობა ენიჭება **სხვა რაღაცასთან მიმართებაში**, და ესაა ხომ დამახასიათებელი ნიშნისათვის:

ძეტა-ნიშანი Z საავტომობილო გზაზე იმაზე მიუთითებს, რომ წინ მოსახვევია, გზა იკლავება... „ჯვარი“ შენობის სახურავზე იმის მაუწყებელია, რომ ეს შენობა ქრისტიანული საკულტო შენობაა; ჯვარი, წითლად გამოსახული ტილოზე, ავადმყოფთა და ომში დაჭრილთა დამხმარე ორგანიზაციის ნიშანია... „ურო და ნამგალი“ საბჭოთა სახელმწიფო გერბის კუთვნილება... „დაფნის გვირგვინი“ ოლიმპიის შეჯიბრებაში გამარჯვების ნიშნად ეძლეოდა სათანადო პირს ძველ საბერძნეთში... „გველი ფიალაზე“ ექიმთა და სამკურნალო დაწესებულებისა თუ საქმის ნიშანია...

„ორი ზარი“ სადგურზე გვაუწყებს, რომ მატარებელი უნდა დაიძრას... საყვირი ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის დაწყებასა და გათავებას აღნიშნავს და ასე შემდეგ...

დასახელებულ მაგალითებში **თვალთ** დასანახი ნიშნებიცა გვაქვს და **ყურით** გასაგონიც. ორსავე შემთხვევაში ეს ნიშნები ფიზიკური თვისებისაა: „ურო და ნამგალი“... „დაფნის გვირგვინი“... „ზარის ხმა“... უროცა და ნამგალიც სამუშაო იარაღია; დაფნა სუბტროპიკული მცენარეა, რომელსაც სადეკორაციოდ იყენებენ, მაგრამ დაფნის ფოთოლს კარგი გამოყენება აქვს გასტრონომიაშიც... მაგრამ არც გასტრონომიული, არც სადეკორაციო დანიშნულება დაფნის გვირგვინს არა ჰქონდა... ურო და ნამგალი საბჭოთა სახელმწიფო გერბზე სამუშაო იარაღები კი არაა, არამედ გამარჯვებული შრომის სიმბოლო.

ნიშანი, რა მასალისაც უნდა იყოს, **იმდენადაა ნიშანი, რამდენადაც რაღაც სხვაზე მიუთითებს, რაღაც სხვის ამსახველია, მაუწყებელია**.

ენობრივი ნიშანიც ნიშნის ამ ზოგად თვისებას იზიარებს: „ცაცხვი“ ექვსი ბგერისაგან შედგება; ეს ექვსი ბგერა **გარკვეული თანამიმდევრობითა** დალაგებული და ქმნის ენობრივ ფაქტს, — ფოთლოვანი ჯიშის გარკვეული ხის სახელს: ბგერების ეს შენაერთი ისევე პირობით მიუთითებს ხსენებულ ხეზე, როგორც „ორი ზარი“ მატარებლის გასვლაზე (ანდა „გველი ფიალაზე“ — სამკურნალო საქმიანობაზე)¹.

ენობრივ ნიშანს შეეფერება არა მხოლოდ „აღსანიშნი“², არამედ გარკვეული **სოციალური არეც**, ე. წ. **ენობრივი კოლექტივი**, სადაც ესა თუ ის ნიშანი გარკვეულ აღსანიშნზე მიუთითებს, სადაც იგი რაღაცის ნიშნად გამოიყენება. სოციალური არის საკითხი მწვავედ იგრძნობა მრავალენობის პირობებში (ნიშანი ვერ მიიჩნევა ენობრივ ფაქტად, თუ არ ვიცით, ხმარობდა თუ არა მას რომელიმე ენობრივი კოლექტივი), მაგრამ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთი ენაც რომ იყოს ხმარებაში, საკითხს მნიშვნელობა არ დაეკარგებოდა, — საკითხავი იქნებოდა, მეტყველების ფაქტთან გვაქვს საქმე თუ ნებისმიერ ბგერით კომპლექსთან.

ფიზიკური ფაქტი, რომელსაც აქვს ურთიერთობის საშუალების ფუნქცია, კომუნიკაციის სოციალური ფუნქცია, — ასეთია **ენობრივი ნიშანი**.

ამ **ფიზიკურ ნიშანს ადამიანი ქმნის** სამეტყველო აპარატის მეშვეობით. ამ მხრივ ეს ნიშანი მოგვაგონებს ადამიანის საქმიანობის სხვა პროდუქტებს, მაგალითად, სამოსელს; განსხვავება იმაშია, რომ სამოსელს ინდივიდუალურ-ბიოლოგიური საჭიროების დაკმაყოფილება უხდებოდა (და ახლაც უხდება მეტ-ნაკლებად), თუმცა სოციალური მომენტიც მასში თანდათანობით უფრო საგრძნობი ხდება, მეტყველება კი იმთავითვე სოციალურ საჭიროებას ემსახურებოდა და ამჟამადაც ემსახურება; მერე: როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ისტორიული ყოფისა და განვითარებისათვის ენის მნიშვნელობა სრულებით განსაკუთრებულია.

ენობრივი ნიშნის ფიზიკური ხასიათი ერთ რამეშიც თვალსაჩინოდ ცხადდება: ენობრივი ნიშნები შეიძლება დიქტოფონს (ანდა პატეფონს) წარმოვათქმევინოთ; ადამიანის მიერ შექმნილს მანქანა გაიმეორებს. მანქა-

¹ ბგერითი შედგენილობის გარდა ეს თანამიმდევრობა არსებითია იმისათვის, რომ ენობრივი ნიშანი მივიღოთ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ცაცხვი-სიტყვაში შემავალი **ბგერები არ არიან ნიშნადი ერთეულები**: მნიშვნელობა მთელსა აქვს, და ამ მთელს ქმნის მასალა + თანამიმდევრობა. ამგვარად, თუ ექვსი ბგერა სიტყვას (ე. ი. ნიშანს) ქმნის, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ თითოეული ბგერა იმავე კვალიტეტის მქონეა და სხვაობა მხოლოდ რაოდენობაშია: მთელში არის მნიშვნელობა, ნაწილში — არა.

² კ. ბიულერი ყურადღებას აქცევს ნიშნის შეუბრუნებლობის პრინციპსაც: ნიშანი რაღაც სხვის, „აღსანიშნის“ „წარმომადგენელია“, მაგრამ შეუძლებელია „აღსანიშნმა“ იკისროს მითითება „ნიშანზე“: სამკურნალო საქმე ვერ გახდებოდა ფიალაზე შემოხვეული „გველის“ ნიშანი (ჩვენი მაგალითი რომ ავიღოთ).

ნით თქმული ისევე გასაგები იქნება, როგორც პირველწყაროს, ადამიანის, მიერ წარმომტმული სიტყვა¹.

ენობრივი ნიშნები ბუნებისმეტყველების შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო, და ენათმეცნიერებაც ბუნებისმეტყველების დარგი იქნებოდა, ეს ფიზიკური ფაქტები რომ ნიშნებს არ წარმოადგენდნენ, — ეს ფიზიკური ფაქტები (გაგონილი თუ თქმული სიტყვა, ფრაზა, ნაწყვეტი...) ენათმეცნიერებისთვის საინტერესოა არა თავისთავად, არამედ როგორც მითითება რაღაცაზე, როგორც მაცნობებელი რაღაცისა. ენათმეცნიერება, როგორც ნიშანთა შემსწავლელი მეცნიერება, ამიტომ ვერ იქნება ბუნებისმეცნიერება.

მეორე მხრივ, **ენობრივი ნიშნები ვერ იქნებოდა ურთიერთობის საშუალება, რომ ფიზიკური ხასიათისა არ იყოს:** მხოლოდ ამის საშუალებით მყარდება კავშირი მთქმელსა და მსმენელს შორის, ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ პაული, რომელიც, როგორც ეს ზევით ვნახეთ (იხ. § 40, გვ. 84), წერდა: „...ყოველ წმინდა ფსიქიკურ ურთიერთობას ადგილი აქვს ცალკეული სულის შიგნით. სულთა შორის (ე. ი. ინდივიდთა შორის — **ა. ჩ.**) ყოველი ურთიერთობა არის არაპირდაპირი, გაშუამავლებული ფიზიკური გზითაო“².

ენობრივი ნიშნის დახასიათებისათვის მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი სიტყვები „გერმანული იდეოლოგიის“ ავტორთა:

„გონს იმთავითვე აწევს წყევლა მისი „დამძიმებულობისა“ მატერით, რომელიც აქ გამოდის ჰაერის მოძრავი ფენების, ბგერების სახით, — ერთი სიტყვით, ენის სახით. ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება; ენა არის სწორედ რომ პრაქტიკული, არსებული სხვა ადამიანებისთვის და მხოლოდ მით არსებული ჩემთვისაც ნამდვილი ცნობიერება...“³

სხვა ადამიანთათვის ვისიმე ცნობიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მატერიის, ჰაერის მოძრავ ფენათა, — ბგერათა, — არსებობის წყალობით, ურთიერთობის იმ საშუალებათა წყალობით, რომელთა მასალაც ფიზიკურია. არაა, ამრიგად, მართებული, როცა ენის სპეციფიკის დასახასიათებლად მოჰყავთ ხსენებული ნაწყვეტის მეორე ნაწილი („ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება...“) და უყურადღებოდ ტოვებენ პირველ ნაწილს.

ენობრივი ნიშნის მასალა ფიზიკურია, მისი ღირებულება — სოციალური. ძნელია დაიძებნოს სხვა შემთხვევა, სადაც **ფიზიკურის სოციალურობა** ასე მკვეთრად ჩანდეს. ადამიანის მიერ შექმნილი ეს ფიზიკური ფაქტი ადამიანთა ურთიერთობას ემსახურება.

¹ აკაკი წერეთლის სიტყვას დიქტოფონი ახლაც მოგვასმენინებს, თუმცა მისი წარმომტმელი ბავებები კარგა ხანია დაღუპდა.

² Prinzip., § 7, გვ. 12.

³ „გერმანული იდეოლოგია“, რუს. თარგ., 1934, გვ. 20.

§ 83. ენობრივი ნიშანი და აღსანიშნი. ენობრივი ფაქტები ნიშნებიან, ვთქვით. **რისი ნიშნებია ენობრივი ნიშნები?** — სინამდვილის ფაქტებისა. სინამდვილის ეს ფაქტები შეიძლება **ფიზიკურ** სამყაროს განეკუთვნებოდეს („საათი“, „ცაცხვი“, „სპილო“, „მარმარილო“...) ანდა **ფსიქიკური** ბუნებისა იყოს („სიხარული“, „სიძულვილი“, „ინტუიცია“, „წარმოდგენა“, „უაზრობა“...).

პირველ შემთხვევაში **აღმნიშვნელიცა** (სიტყვა, „ნიშანი“) და **აღსანიშნიც** (საგნები: „საათი“, „ცაცხვი“...) თანაბრად ფიზიკური ფაქტებია; მეორე შემთხვევაში **აღმნიშვნელი** ფიზიკური ნიშანია, **აღსანიშნი** კი ფსიქიკური სამყაროს განეკუთვნება.

მაგრამ ფიზიკის სამყაროს მოვლენაა აღსანიშნი თუ ფსიქიკის სამყაროსი, ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა: მთავარია ის, რომ **აღსანიშნი** რეალური სინამდვილის ფაქტებია (და არა ცნობიერებისა — „სავნობრივი წარმოდგენები“). ამ მხრივ საკონტროლო ღირებულება ენიჭება პირველი რიგის შემთხვევებს, — აღსანიშნი აქ **ფიზიკური** სინამდვილის ფაქტებია; სინამდვილეზე ორიენტაცია **ფიზიკურ აღმნიშვნელს** აქ **ფიზიკურსავე აღსანიშნს** აგებებს.

ორიოდე სიტყვა **აღმნიშვნელის** შესახებაც, **აღმნიშვნელია სიტყვა** („საათი“, „ცაცხვი“, „სიხარული“, „ინტუიცია“), არა წარმოდგენა სიტყვისა, არამედ თვით სიტყვა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ე. ი. **აღმნიშვნელი** უღრის ნიშანს, ჩვენთვის „აღმნიშვნელი“ და „ნიშანი“ სინონიმებია.

სოსიურმა ნიშანში გააერთიანა „აღმნიშვნელიცა“ და „აღსანიშნიც“. ეს შესაძლებელი იყო მისთვის, რამდენადაც ორივეში ფსიქიკური ოდენობა ივარაუდებოდა („სიტყვის წარმოდგენა“, „სავნის წარმოდგენა“); ეს **არც საჭიროა** და **არც შესაძლებელი** ჩვენთვის; საჭირო იმიტომ არაა, რომ ეს საქმის ვითარების სწორად განმარტებას არაფერს მატებს. შესაძლებელი კიდევ იმიტომ არაა, რომ ჩვენთვის ამოსავალია **ურთიერთობის ფუნქციით** აღჭურვილი ენობრივი ნიშანი — „სიტყვა“; და სიტყვის **წარმოდგენა** კი ამ ფუნქციას მოკლებულია.

შინაგანი მეტყველების როლს გახზავდა სოსიური, როდესაც ამბობდა: „ადამიანს, რომელმაც დაკარგა მეტყველების უნარი, მაინც ენახება ენა, რამდენადაც მას გაეგება გაგონილი ენობრივი ნიშნებიო“, გაეგება კი იმიტომ, რომ აკუსტიკურის სახე უკავშირდება ცნებას¹.

საქმეც ისაა, რომ ასეთ ინდივიდს **გაგონილი** ენობრივი ნიშნები გაეგება, ე. ი. იგულისხმება, რომ არის სხვა ინდივიდი, რომელმაც **წარმოთქვა** ის, რაც მან გაიგონა, სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოქმნა ნიშანი, შემდგარი ბგერებისაგან.

¹ იხ. „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, რუს თარგმ., გვ. 39.

ეს რომ არ ყოფილიყო, ყველა ინდივიდი რომ მხოლოდ შინაგანი მეტყველების ანაბარა დარჩენილიყო, ფიზიკური ნიშნების წარმოქმნის შესაძლებლობა მათ რომ დაჰკარგოდათ, ამგვარი „ენის პატრონები“ ენას — ურთიერთობის საშუალებას — მოკლებული აღმოჩნდებოდნენ.

§ 84. ნიშნისა და აღსანიშნის კავშირისათვის. რა აკავშირებს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს, ნიშან-სიტყვასა და სათანადო ობიექტს? **მიმართება აღმნიშვნელი (ნიშანი) მიმართებაშია აღსანიშნთან.** ამ მიმართების ცოდნა აქვს მთქმელსაცა და მსმენელსაც, როცა სიტყვა გასაგებია. „საათი“ სიტყვაა, ნიშანია გარკვეული საგნისა. ამ სიტყვის თქმისა თუ გაგონებისას ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანმა იცის, რა **საგანიც** აქვს მხედველობაში: დროის საზომად და გასარკვევად (დღელამის ფარგლებში) ხმარებული მექანიზმი.

ამ **საგნისადმი მიმართება, ცოდნა იმისა, თუ რაზე მიუთითებს სიტყვა, აუცილებელია** ყოველთვის, **როდესაც კი სიტყვა გასაგებია.** ესაა საერთო.

აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, თითქოს **ყოველთვის და ყველასთან** „საათი“-სიტყვა ერთნაირ სახეებს იწვევდეს: ერთს ამ სიტყვის გაგონებისას შეიძლება კედლის საათი წარმოუდგეს, მეორეს — ხელისა, მრგვალი თუ კუთხოვანი, მესამეს — ჯიბისა, მეოთხეს — ქუჩაზე ანდა შენობაზე გამოკიდული... შეიძლება განსხვავებული იყოს მოყვანილობა, ფერი, მასალა...

ყველა ამ შემთხვევაში — ამ რიგის შემთხვევათა ამოწურვა ძნელია! — საგნობრივმა წარმოდგენამ გაიელვა ცნობიერებაში¹; რაც უნდა განსხვავებული იყოს ეს წარმოდგენები, მათ მაინც აქვთ რაღაც საერთო, ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ მოსალოდნელია, ასეთ რასმე ვერ გამოვრიცხავთ...

ასეთი შემთხვევებია, რომ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ეს საგნობრივი წარმოდგენები იყოს ის, რამაც გასაგები გახადა სიტყვა.

მაგრამ შესაძლებელია სიტყვა გასაგები იყოს და საგნობრივი წარმოდგენა არ აღმოგვაჩნდეს: გავიგონეთ სიტყვა „საათი“ და ცნობიერებაში გაიელვა ამ **სიტყვის (და არა საგნის!)** ობტიკურმა სახემ: ასოები **საათი**, — დაწერილი თუ დაბეჭდილი სახით. ამან გასწია საგნობრივი წარმოდგენის მაგივრობა. გვეტყვიან: სიტყვის სახე საგნობრივი წარმოდგენის მაგივრობას ეწევაო. ეს უდავოა, რამდენადაც ფუნქცია გვექნება მხედველობაში: ჯიბის საათის წარმოდგენა აღმოჩნდება ჩვენს ცნობიერებაში, თუ დაწერილი სიტყვისა „საათი“, შედეგი ერთი და იგივეა, — სიტყვა გასაგებია.

¹ ვგულისხმობთ იმ შემთხვევას, როცა ეს გავებას **უძღვის წინ**; სულ სხვაა, როცა ასეთი წარმოდგენა გავების **შემდეგ** გამოგვევლინება: ესაა „გავების დანართი“ (და არა „გავების აქტის“ ფსიქოლოგიური შუამავალი), ამდენად იგი გავების შესაძლებლობას ვერ დაგვისაბუთებს.

მაგრამ რა აქვს საერთო საგანს „საათი“ იმ ხუთ ასოსთან, რომლისაგანაც ეს დაწერილი სიტყვა შედგება (ანდა იმ ხუთ ბგერასთან, რომელიც ამ სიტყვაში შედის)? ობიექტურად, — არაფერი: რუსს ანდა ფრანგს, რამდენიც არ დავუწეროთ „საათი“ ანდა გავუმეოროთ ეს სიტყვა ზეპირად, მაინც ვერ მივახვედრებთ, რასაც ეხება საქმე (თუ მას წინასწარ ეს არ უსწავლია). ვერ მივახვედრებთ იმიტომ, რომ ეს სიტყვა პირობითი ნიშანია ამ საგნისა და მეტი არაფერი: **ნიშანი არა ჰგავს არაფრით აღსანიშნს.**

მაშ, როგორ მოხდა, რომ მსმენელს დაწერილმა სიტყვამ „საათი“ გაუელვა ცნობიერებაში და სიტყვა გასაგები გახდა ყოველგვარი სხვა საგნობრივი წარმოდგენის გარეშე? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამას თან ახლდა **მიმართების ცნება**, და ეს კი საგნებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ სიტყვა გასაგები ყოფილიყო. არათუ საგნობრივი წარმოდგენა, არამედ ისეთი ობტიკური სახეც კი, დაწერილი „საათი“ რომ იძლევა, შეიძლება არ გვქონოდა და „საათი“ მაინც გასაგები იქნებოდა.

დავუშვათ, რომ მსმენელი მეხსიერების თვალსაზრისით მოტორულ ტიპს ეკუთვნის: მისთვის სიტყვა „საათი“-ს შინაგანად განმეორებაც შეიძლებოდა საკმარისი აღმოჩენილიყო, რომ გავგო სიტყვა. მაგრამ თუ მსმენელი აკუსტიკურ ტიპს ეკუთვნის? აკუსტიკური სახე მას უკვე აქვს, რაკი სიტყვა გაიგონა... და შეიძლება ესეც სრულებით საკმარისი აღმოჩნდეს: მან უკვე იცის, რაზედაც ელაპარაკებიან. არაა აუცილებელი, რომ საათის ტიკ-ტიკის ან წკარუნის აკუსტიკური სახე დაერთოს, თუმცა ამასაც ვერ გამოვრიცხავთ: საათის მიერ გამოცემული ხმა აკუსტიკური ტიპის მსმენელს ადვილად აღეძვრის; მაგრამ, ვთქვათ, ისეთ საგნებზე მიდგა ჯერი, რომელნიც ხმას არ გამოსცემენ: „მზე“, „მთვარე“, „მელანი“...

აკუსტიკური ტიპის წარმომადგენელს ამგვარ შემთხვევაში აღმოაჩნდებოდა გასაგები სიტყვები, მაგრამ **სახეს** კი მის ცნობიერებაში ვერ ვიპოვიოთ...

არც საგნობრივი წარმოდგენა, არც სხვა რაიმე **სახე** ცნობიერებაში არა ჩანს, სიტყვა კი გასაგებია... ძალიან ხშირად არათუ სიტყვა, მთელი ფრაზაც შეიძლება გასაგები აღმოჩნდეს, თუმცა არც „წარმოდგენები შეერთებულა“ და არც „მთლიანი წარმოდგენის“ დაშლაზე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, საერთოდ, წარმოდგენები ამა თუ იმ სახისა არა გვაქვს.

თვალსაჩინო სახეთა როლის გადაფასება აზროვნების ფსიქოლოგიაში იწყება ფრანგ ფსიქოლოგ ბინეს¹ და გერმანელ ფსიქოლოგ მარბეს² შრომებში; ამავე მიმართულებით მუშაობისას ვიურცბურგში შეიქმნა

¹ ალფრ. ბინე (Alfred Binet): „ჰადრაკის მოთამაშეთა და გამოჩენილ მოანგარიშეთა ფსიქოლოგიისათვის“, 1894.

მისივე: „გონების ექსპერიმენტული შესწავლა“, 1903.

მისივე: „აზროვნება სახეების გარეშე“ — *Revue philosoph.*, 1902, I.

² კარლ. მარბე: „ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა იმ მსჯელობის შესახებ. შესავალი ლოგიკაში“, ლაიფციგი, 1901

აზროვნების ფსიქოლოგიის ახალი, ექსპერიმენტული, მიმდინარეობა — ე. წ. ვიურცბურგის სკოლა (კიულპე, ახივატი, მესერი, ბიულერი, ზელცი...).

როგორც ცნობილია, მარბე ცდის პირებს გარკვეულ კითხვებს აძლევდა, პასუხის მოცემის შემდეგ ცდის პირს უნდა აეწერა, რა განიცადა კითხვის მოსმენიდან პასუხის მოცემამდის. ცდის პირები იყვნენ პროფ. როტეკენი და პროფ. კიულპე (ცნობილი ფსიქოლოგი). კითხვების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ასეთები: „საითკენ არის თქვენი ბინა?“ „რამდენია 7—4?“ „ვინ არიან უდიდესი თანამედროვე გერმანელი დრამატურგები?...“

ცდებმა მეტად თავისებური შედეგი უჩვენა: ცდის პირებმა ვერავითარი განცდები ვერ დაადასტურეს, თუმცა კითხვაზე სწორ პასუხს იძლეოდნენ... ასე, მაგალითად, კითხვაზე, „ვინ არიან თანამედროვე დრამატურგები (გერმანიაში)“, პასუხი იყო: „ზუდერმანი და ჰაუპტმანი არიან ყველაზე ცნობილი თანამედროვე დრამატურგები“. ცდის პირის ჩვენება: „წინადადება რეფლექტორულად წამოიჭრა წაკითხვისთანავე“ (კითხვა ცალკე ბარათზე იყო დაწერილი).

მარბე მეტად შორს წავიდა, როცა აქედან დაასკვნა: „... საერთოდ, არ არსებობს მსჯელობის არავითარი ფსიქოლოგიური პირობები, რა ხასიათისაც არ უნდა იყვნენ ის განცდანი, რომელნიც ცალკე შემთხვევაში მსჯელობად იქცევიანო“¹.

ეს განზოგადება ნაადრევი ჩანს: ცდის პირების ჩვენება ასეთი თავისებური, ცხადია, იმიტომ იყო, რომ მიწოდებული კითხვები მეტისმეტად ელემენტარული ხასიათისაა ცდის პირთათვის, პასუხის გაცემა არავითარ გონებრივ მუშაობას არ მოითხოვს მათთვის, მაგრამ სხვა ცდის პირს, ეგებების, ასე ავტომატურად არ მოუხერხდებოდა იმავე კითხვებზე პასუხის გაცემა, იგივე პირებიც, ალბათ, ბავშვობაში ასე მარტივად ვერ დაასახელებდნენ ცნობილ დრამატურგებს..

მარბეს ექსპერიმენტების მნიშვნელობა მაინც დიდია: მარბემ გვაჩვენა, რომ **შეიძლება** სრული წინადადება ითქვას და თვალსაჩინო სახეები, გარკვეული ფსიქიკური პროცესები მთქმელს არ აღმოაჩნდეს, ამ **შესაძლებლობის დადასტურებაშია** მარბეს მიერ მიღებული შედეგების პრინციპული ღირებულება.

თუ წინადადება შეიძლება თვალსაჩინო სახეთა გარეშე, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ცალკე სიტყვისთვის არ იყოს აუცილებელი ასეთი რამ.

მართლაც, ექსპერიმენტული ძიებისას აღმოჩნდა, რომ სიტყვის გაგება „არ მოითხოვს სრულიად იმ საგნის ან საგანთა ვითარების თვალსაჩინო წარმოდგენას, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს (რაც მოსალოდნელია

¹ კ. მარბე: „ექსპერიმენტ-ფსიქოლ. გამოკვლევა...“, გვ. 43.

სენსუალისტური თვალსაზრისით). **ხშირად ასეთ თვალსაჩინო წარმოდგენას სრულიად არა ჰქონდა ადგილი**, სიტყვის გაგება კი (სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი მნიშვნელობის, საზრისის, ცნების განცდა) **ნათელი და მტკიცე იყო**. ზოგჯერ თვალსაჩინო წარმოდგენებიც ჩნდება, მაგრამ ისინი სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველია და საჭირო ხდება კიდევ მათი გააზრება, მათ მიღმა ამა თუ იმ საგნის ხედვა. მაგ., ცდის პირი შემდეგნაირად აღწერს თავის განცდას: „ბუნდოვანი წარმოდგენა რაღაც სრულიად გაურკვეველი ცხოველისა. ეს შეიძლება იყოს ხარი, ცხენი, ძაღლი. ის, **რაც ამ გაურკვეველ თვალსაჩინო შინაარსს გარკვეულ საზრისს აძლევს, თვითონ არათვალსაჩინო აზროვნებით განცდას წარმოადგენს, რომლის უფრო დაწვრილებითი აღწერაც შეუძლებელია და რომლის წყალობითაც ეს თვალსაჩინო შინაარსი გარკვეულ საგანს მიეკუთვნება**“.

აზროვნების პროცესებში ამ „არათვალსაჩინო მომენტების“ საკითხი კვლევა-ძიების წინა რიგში მოექცა.

რამი მდგომარეობს ეს „არათვალსაჩინო აზროვნება“, „აზროვნება სახეების გარეშე?“ ამის გარკვევასთან დაკავშირებით თანამედროვე აზროვნების ფსიქოლოგიაში რიგი ახალი ცნება შემოდის: „ცნობიერობა“ (ნარკ. ახ-ი), „დეტერმინაციის ტენდენცია“, „კონსტელაცია“, „აქტი“ (კ ი უ ლ პ ე), „ფუნქცია“ (შ ტ უ მ პ ფ ი).

აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, მასთან მეორეხარისხოვანი კი არა, არამედ ძირითადი რამეც. შემთხვევითი არაა, როცა ლანგე ერთ-ერთი ძირითადი ცნების ფუნქციის (აქტის) შესახებ წერს: „აქტისა ანუ ფუნქციის ცნებას ამ მიმართულების (ლაპარაკია ვიურცბურგის სკოლის შესახებ — **ა. ჩ.**) სხვადასხვა წარმომადგენელი განმარტავს სრულებითაც არა ერთგვარად. ზოგი ვარაუდობს, რომ ჩვენ **უშუალოდ ფუნქციებს თავისდათავად არ შევიცნობთ**, ცნობიერია მხოლოდ შინაარსები ანუ მოვლენები, სხვები ამტკიცებენ, რომ თვით აქტებია ცნობიერიო. ერთნი ცნობიერად მიიჩნევენ მხოლოდ ემოციონალურ აქტებს, გონებრივ აქტებს კი მეცნიერული ჰიპოთეზის ვარაუდად სახავენ, სხვებს ერთიცა და მეორეც ცნობიერად მიაჩნიათ. **ლი ფ ს ი** გახაზავს მათს **აქტიურ** ხასიათს, მოვლენას **პასიური** ანუ რეცეფტიული ხასიათის საპირისპიროდ, **შ ტ უ მ პ ფ ი** — **ფუნქციონალურს**, — მოვლენათა შინაარსის საწინააღმდეგოდ. ბინე ამ აქტებში ხედავს, საერთოდ, მოტორულ მომარჯვებულობას და უწოდებს მათ **les attitudes**-ს, პოზას, მზადყოფნას (მოძრაობისათვის)“...²

¹ ავგ. მესერი: „ვიურცბურგის სკოლა“ — იხ. კრებულში „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი“ — დ. უზნაძის რედაქციით, თბილისი, 1935, გვ. 42-43 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² იხ. Н. Ланге: Психология — სერიაში "Итоги науки", ტ. VIII (1914/17 წ.), გვ. 61.

სავსებით ბუნებრივი იქნებოდა დაგვესვა საკითხი: თუ ამ ფუნქციებს უშუალოდ არ შევიცნობთ, არის თუ არა „ფუნქცია“ ფსიქოლოგიის ცნება? (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მაგრამ ასე გადაწყდება თუ ისე „არათვალსაჩინო აზროვნების“ რაობის საკითხი, ერთი უდავოა და საყოველთაოდ გასაზიარებელი: **თვალსაჩინო სახეებში აზროვნების არსი არ შეიძლება ვეძიოთ**¹.

„აზროვნების პროცესი... არ ამოიწურება იმ შემთხვევითი და ესკიზებრივი შინაარსებით, რომელთაც გაიელვეს ჩვენს ცნობიერებაში და არ შედგება მათგან; ეს სახეები (მათ შორის მეტყველებითი სახეებიც) უფრო სუროგატია აზროვნებისა, ვინემ მისი ნამდვილი ბუნება“...

„აზრის ყველა ამ ახალ ექსპერიმენტულ გამოკვლევას, რომელთაც ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ ვიხსენიებთ (მარბეს, ახის, ვატის, მესერის, ბიულერის, ვუდგორსის, შტორინგის, ასტერის, დიურის, ბოვეს, პიკის, აბრამოვსკის და სხვათა გამოკვლევები), თვით ბინეს წინანდელ გამოკვლევებთან ერთად... მიყვარათ იმ ზოგად დასკვნამდის, რომ **უნდა იქნეს უკუგდებული ფსიქოლოგიური თეორია, თითქოს აზრი იყოს მხოლოდ** (მხედველობითი, სმენითი, შეხებითი, მოძრაობითი) **სახეების ერთობლიობა. ეს თეორია იყო მხოლოდ სენსუალისტური ცრურწმენა, ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ფიქტიური კონსტრუქცია**, რომელსაც ახლა არღვევს უფრო ზუსტი ფსიქოლოგიური დაკვირვების ჩვენება. აზროვნება არაა მხოლოდ სახეთა თანამიმდევარი რიგი: ეს სახეები მხოლოდ ნიშნებია (значки), ცალკეული ნათელი პუნქტებია არაგრძობადი ხასიათის რაღაცნაირ ფსიქოლოგიურ პროცესში, და ეს პროცესი უნდა განვასხვავოთ ამ შინაარსთაგან“².

დომ. უზნაძეც, რომელიც კატეგორიულად ასკვნის — „თვალსაჩინო, გრძობადი შინაარსის მონაწილეობის გარეშე აზროვნება არ შეიძლება, ამას აღარც ვიუტურბურგის სკოლის წარმომადგენელნიც უწევენ წინააღმდეგობას“³, ასევე კატეგორიულად ამბობს: „გამოირკვა, რომ აზროვნების პროცესის დაყვანა მხოლოდ თვალსაჩინო შინაარსზე, მარტო შეგრძნებებსა და წარმოდგენებზე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; რომ ამ თვალსაჩინო შინაარსების გვერდით აზროვნების პროცესში კიდევ განიცდება რაღაც, რასაც არც რაიმე გრძობადი რომელობა აქვს და არც რაიმე ინტენსიობა, ე. ი. არც ერთი ისეთი მხარე, რის გარეშეც შეგრძნების აზროვნებაც კი არ შეიძლება“⁴.

¹ ამ ფაქტს ყურადღებას აქცევს ენათმეცნიერი E. Otto, იხ. მისი: Zur Grundlegung der Sprachwissenschaft, 1919, გვ. 39-41.

² იხ. ნ. ლანგე, იქვე, გვ. 58-59 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ დ. უზნაძე: ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 383.

⁴ იქვე, გვ. 381-383.

აზროვნების ფსიქოლოგიაში ამრიგად თვალსაჩინო სახეთა საკითხი ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი: **სახეები არ შეადგენენ აზროვნებას, სახეებით არ ამოიწურება არც წინადადების შინაარსის განცდა, არც სიტყვის გაგება.**

სახეები, როცა ის გვაქვს მოცემული, თანმხლები მოვლენაა, გარკვეული მნიშვნელობის განცდასთან დაკავშირებული ფაქტი და არა თვით მნიშვნელობა.

ეს თანმხლები ფსიქიკური შინაარსები, — ვთქვათ, ერთს რომელსამე სიტყვას რომ ახლავს, — შეიძლება იყოს ნაირნაირი იმისდა მიხედვით, თუ მეხსიერების რა ტიპს ეკუთვნის სათანადო პირი, როგორია მისი ინდივიდუალური გამოცდილება და სხვ. იგი შეიძლება განსხვავებული იყოს არა მხოლოდ სხვადასხვა ინდივიდებთან, არამედ — თვით ერთსა და იმავე ინდივიდში სხვადასხვა დროს.

ფსიქიკის ეს დაუდგარი მოვლენები რომ განსაზღვრავდეს ენობრივი ნიშნის ფუნქციას — სიტყვის მნიშვნელობას, — ენა ურთიერთობის საშუალება კი არ იქნებოდა, არამედ გაუგებრობის აუტანელი წყარო, ე. ი. ენა აღარ იქნებოდა ენა, მის არსებობას აზრი დაეკარგებოდა.

ფსიქოლოგიზმის ძირითადი შეცდომა ენის რაობის გაგებაში იგივეა, რაც სემასიოლოგიის ძირითადი შეცდომა, როცა სიტყვის მნიშვნელობას აიგივებენ „საგნობრივ წარმოდგენებთან“ ანდა სხვა რიგის ფსიქიკურ სახებთან, რომელნიც სიტყვის გაგებისას ჩნდება.

მნიშვნელობა ესაა **მიმართება** აღსანიშნისადმი; **მნიშვნელობის საფუძველი სინამდვილის ფაქტია.** ფსიქიკური სახეები შესაძლო თანმხლები მოვლენაა და არა მნიშვნელობა: თუკი სიტყვა არის მიმართებაში სინამდვილის ფაქტთან, ის მშვენივრად ასრულებს თავის დანიშნულებას, მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა მნიშვნელობის ფსიქიკური კორელატები.

სინამდვილის ფაქტთან მიმართებაზე მსჯელობისას, **ორი საკითხი** მოითხოვს განმარტებას.

რა არის მიმართება? ეჭვი არაა, რომ ის ინდივიდშია მოცემული. ეს რომ ასე არ იყოს, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დაკავშირება ადამიანის გარეშე იწარმოებდა, ე. ი. მნიშვნელობა მატერიალური სინამდვილის, გარესამყაროს ფაქტი აღმოჩნდებოდა.

მიმართება ინდივიდშია მოცემული, მაგრამ საკითხავია: არის ამის გამო იგი **ფსიქიკური პროცესი** (გინა ფსიქიკური მოვლენა) თუ ესაა **აქტი**, რომელიც გაიზომება მისი შემეცნებითი ფუნქციის მიხედვით და **არა პროცესობრივ**, ე. ი. ფსიქოლოგიური წესით?

შეუძლიათ გვითხრან: რაკი **ამ მიმართების ცოდნა მოგვეპოვება**, არაფერი დაგვიშლის შევისწავლოთ, **რა შეესაბამება მას ცნობიერებაში**; ამ გზით გავარკვევთ, რაში მდგომარეობს მისი **ფსიქოლოგიური ეკვივა-**

ლენტი, და შედეგად მივიღებთ **მიმართების ფსიქოლოგიურ რაობასაო**, — შემეცნებითი აქტებიც ფსიქიკური ოდენობაა და **ფსიქოლოგიის ცნებად** უნდა მივიჩნიოთ¹.

დავის საგანი აქ, ცხადია, ისაა, თუ რაა საჭირო იმისათვის, რომ მივიღოთ **ფსიქოლოგიის ცნება?** ვთქვათ, ავიღეთ „მსჯელობა“ ანდა „ცნება“ **ლოგიკის** გაგებით: შევისწავლეთ მათი **ფსიქიკური ეკვივალენტები**. შესაძლებელი იქნება თუ არა ამ უკანასკნელთა მიხედვით ჩამოვაყალიბოთ „მსჯელობა“ და „ცნება“ როგორც **ფსიქოლოგიური ოდენობა**, როგორც **ფსიქოლოგიის ცნება?** ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, — სახელდობრ, თუ აღმოჩნდება, რომ ეს ფსიქიკური ეკვივალენტები **პროცესობრივ** ისევე ერთნაირია, როგორც ერთნაირი იყო საკვლევი ოდენობა (მაგ., მსჯელობა) **ფუნქციის** მიხედვით: ლოგიკისათვის ყოველი მსჯელობა ერთი და იმავე **ფუნქციისაა** — მასში რაღაც მტკიცდება თუ უარყოფა რაღაცის მიმართ (ეს რომ ასე არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ცნება „მსჯელობა“ ლოგიკაში ჩამოყალიბებულიყო). ეგევე ითქმის „მსჯელობის“, როგორც ფსიქოლოგიის ცნების, შესახებ: მას უნდა ახასიათებდეს **ერთგვარობა ფსიქიკური მიმდინარეობისა და ფსიქიკური შინაარსის მხრივ**.

თუ ასეთი ერთგვარობა ფსიქიკური პროცესისა არ დადასტურდა, მაშინ არავითარი უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ მსჯელობის, როგორც ფსიქოლოგიის ცნების, შესახებ. ლოგიკაში რომ „მსჯელობა“-ცნება გვაქვს, ეს ვერ იქნება იმის გარანტია, რომ ფსიქოლოგიაშიც „მსჯელობა“-ცნება ჩამოყალიბდება, მაინცდამაინც იმავე მოცულობის ცნება: ლოგიკაში ამ ცნებას სხვა საზომი უდევს საფუძვლად, ფსიქოლოგიაში კი — სულ სხვა.

ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას ვერ დავუშლით, კლევა დაიწყოს იმ ფაქტების შესწავლით, რომელთაც ლოგიკა თავისი თვალსაზრისის შესაბამისად ერთ ცნებაში აერთიანებს. მაგრამ ფსიქოლოგს მოეთხოვება, ექსპერიმენტული კვლევის შედეგთა შეფასებისას ლოგიკის ცნებას თავი დაანებოს და **ფსიქოლოგიის ცნება ჩამოაყალიბოს ფსიქიკურ ნიშან-თვისებათა მიხედვით** და **ერთი ტერმინით** აღნიშნოს ერთი და იმავე **ფსიქიკური ნიშან-თვისების** (და არა შემეცნებითი ფუნქციის!) მქონე მოვლენა-ფაქტები.

¹ იხ. მაგალ. კიულპეს ნათქვამი: „... აღმოჩენილ იქნა მრავალი ისეთი აქტი, რომლებიც აქამდის ფსიქოლოგიისათვის არ არსებობდა: **შემჩნევა** და **შემეცნება**, **ნდომა** და **უკუგდება**, **შეღარება** და **გარჩევა** და მრავალი სხვა. ყველა ისინი მოკლებული არიან თვალსაჩინოებას, რომელიც შეგრძნობისა, წარმოდგენისა და გრძნობისათვის არის დამახასიათებელი მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი შეიძლება ახლდნენ კიდევ ამ აქტებს... აღმოჩენილ იქნა ახალი სპეციფიკური ფსიქიკური აქტები..“

იხ. მესერი: „ვიტრცტურგის სკოლა“ — კრებ. „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი“, გვ. 45.

მიმართება აქტია და, როგორც აქტი, პროცესობრივ ერთგვარობას არ გულისხმობს და ამდნად არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიის ცნება.

მესერის თქმით — კ. მარბე „მსჯელობის კვლევის დროს დაადგა იმ აზრს, რომ მსჯელობა, საერთოდ, ცნობიერების პროცესი არ არის და რომ იგი არაა ცნობიერად ხორციელდება“ („ვიუტრცტურგის სკოლა“; — კრებ. „ფსიქოლ. მიმდინარეობ.“; გვ. 41). ვთქვათ, დადასტურდა, რომ მარბეს დაკვირვება სწორია: მსჯელობის აქტი გვაქვს, მაგრამ იგი **არაა ცნობიერად ხორციელდება**. იქნება ასეთი აქტი (მსჯელობისა) **ფსიქოლოგიის ცნება?** რა თქმა უნდა, არა!

ეს „არაა ცნობიერი“ **შეიძლება ფიზიოლოგიურ პროცესს გულისხმობდეს და არა ფსიქიკურ მოვლენას...**

უსახო აზროვნების რაობა რიგ საკითხს ბადებს. მათზე აქ ვერ შევჩერდებით. ვიტყვიტ მხოლოდ შემდეგს. თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მიღწევები ფასეული და უდავოა ნეგატიურ მომენტში: **აზრი არაა სახეების ერთობლიობა**. რაღაა იგი? უსახო აზრი ფსიქიკურიო, ვერ ვიტყვიტ, რაკი ცნობიერებაში არაფერი ჩანს. მაშ, მეტაფსიქიკური რამ რეალობა? რა თქმა უნდა, არა (ეს იქნებოდა ფსიქოლოგიზმის შეცვლა ობიექტური იდეალიზმით).

ავტომატურად, სახეების გარეშე მიმდინარე აზრი, როგორც ვთქვიტ, ფიზიოლოგიურ პროცესს გულისხმობს და არა ფსიქიკურ მოვლენას.

ეს — მიმართების რაობისათვის. მეორე საკითხი ასეთი სახისაა. აღმნიშვნელი (სიტყვა) მიმართებაშია სინამდვილის ფაქტთან, მისთვის საორიენტაციოა სინამდვილე და მისი მოვლენები. კი, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ხომ **ცალკეული ფაქტები** გვაქვს, **კერძობითი** მოვლენები, სიტყვა, კი **ზოგადს** ნიშნავს, განზოგადებაშია მთელი მისი თავისებურება: „სიტყვა ყოველთვის განეკუთვნება არა ერთს რომელიმე ცალკეულ საგანს, არამედ საგანთა მთელ ჯგუფს ანდა მთელ კლასს. ამის გამო ყოველი სიტყვა წარმოადგენს თავისთავად ფარულ განზოგადებას, ყოველი სიტყვა უკვე აზოგადებს, და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, განზოგადება“¹.

მართლაც და, რომელიმე სიტყვა, ვთქვათ, „საათი“ განა ერთ გარკვეულ ერთეულს აღნიშნავს? რასაკვირველია, არა. მაშინაც კი, როცა ესა თუ ის საგანი ერთეულის სახითაა მოცემული, სათანადო სახელში გარკვეული განზოგადება მაინც დასტურდება: „მზე“ ყოველდღიურ სიტყვანმარებაში ერთს კერძო ობიექტზე მიუთითებს, მაგრამ ასტრონომისათვის „მზეები“ (მრავლობითში!) ჩვეულებრივი რამაა: ამისათვის საფუძველია ის, რაც აქვს საერთო ამ „ჩვენს მზეს“ სამყაროს სხვა „მზეებთან“...

¹ იხ. ს. ვიგოტსკი: „აზროვნება და მეტყველება“, ფსიქოლოგიური გამოკვლევანი (რუს. ენაზე), ლენინგრადი, 1934, გვ. 10.

უეჭველია, სიტყვა განზოგადებას გულისხმობს და განზოგადება ძლიერი იარაღია. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ არც ობიექტურ სინამდვილეში, გარე სამყაროში, და არც სუბიექტის განცდებში, ფსიქიკურ სინამდვილეში არ გვაქვს „ზოგადი საგანი“ და „ზოგადი წარმოდგენა“, რაღაც შეჯამებული სახე მრავალი ცალკე საგნისა, მისი სუბსტრატი თუ კონცენტრატი — „ზოგადს“ განვიცდით „კერძოს“ საშუალებით, როცა კი გვაქვს კონკრეტული სახე. როცა ეს კერძო სათანადო საგნის ბუნდოვანი კონტურების სახეს იღებს, მაშინაც ეს **არაა ის ზოგადი**, რომელსაც ჩვენი **მეტყველება თითქოს უნდა ემყარებოდეს, რომ განზოგადების ფუნქცია გამოავლინოს**; პირუკუ, ეს ბუნდოვანი კონტურები — ზოგადის განცდისას — შესაძლებელი გახადა მეტყველებამ...

სიტყვას ჩვეულებრივ ვსწავლობთ კერძო საგნის სახელად (სხვაგვარი შემთხვევაა, როცა სიტყვა ტერმინია და ცნების შინაარსის საფიქსაციოდაა გამოყენებული); „საათი“ რომელიღაც საათის სახელად აქვს ინდივიდს შეთვისებული; ასევე „ცხენი“, „ძროხა“, „წისქვილი“, „ჩექმა“ კონკრეტული საგნების სახელებად იყო პირველად შეთვისებული; ყოველი მსგავსის აღსანიშნავად ის შემდეგ და თანდათანობითაა ქცეული. **სიტყვაა ის საშუალება, რომელიც კერძოთი იწყებს და ზოგადის აღმნიშვნელი ხდება.** სიტყვის გარეშე „ზოგადი“, ცხადია, ვერ გახდებოდა ჩვენს აზროვნებაში გაცვლითი ღირებულების მქონე ოდენობა.

ამრიგად, სიტყვა ზოგადის ნიშანია, სიტყვა განზოგადებაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვიშლის ხელს ვამტკიცოთ: სიტყვა, როგორც ნიშანი, გარკვეულ მიმართებაშია სინამდვილის, კერძოდ, ობიექტური სინამდვილის ფაქტებთან.

ამგვარად, ენობრივი ნიშნის დახასიათებისას არსებითია ის, რომ:

ა. მასალობრივ ეს ნიშანი **ფიზიკურია**, — ყურით გაიგონება ანდა თვალით დაინახება;

ბ. ფუნქცია-დანაშნულებით **სოციალურია**, — ურთიერთობის საშუალებაა;

გ. რამდენადაც ეს ნიშანი **რალაციის** ნიშანია, ის **მიმართებაშია** აღსანიშნულთან. ენობრივი ნიშნის ასეთი გაგება სავსებით ასახავს ენათმეცნიერული კვლევა-ძიების პრაქტიკას: რომელიმე ენის შესწავლა იმაში მდგომარეობს, რომ არკვევენ, რა ნიშნებია მასში: როგორია მათი ფიზიკური **აღნაგობა** და **ფუნქციები** (ფონეტიკას საქმე აქვს ენობრივი ნიშნის მასალასთან; მორფოლოგიას, სინტაქსს, სემასიოლოგიას, სტილისტიკას — ენობრივი ნიშნის სტრუქტურასა და ფუნქციებთან).

ენათმეცნიერისათვის სრულებით საკმარისია, თუ მან იცის **ნიშნის ფუნქცია**, — ე. ი. **რისი ნიშანია** ესა თუ ის ნიშანი, **რასთანაა** ის, როგორც ნიშანი, **მიმართებაში**¹. როგორ განიცდება ეს **მიმართება** მთქმელსა

¹ ნიშნის ფუნქციისათვის უმნიშვნელო არაა აგრეთვე **მიმართება ნიშანთა შორის**. აქ, ჩვენი საკითხისათვის, ეს მომენტი არაა არსებითი. დაწვრილებით მის შესახებ იხ. აქვე „ენობრივი სისტემის რაობისათვის“, გვ. 226 და შემ.

თუ მსმენელში, რა წარმოდგენებს, მოტორული თუ სხვა სახის შეგრძნებებს იწვევს იგი ცნობიერებაში, ეს ენათმეცნიერს არ აინტერესებს; ისიც მოხდება ხოლმე, რომ ცნობიერებაში არაფერი სახიერი არ დადასტურდება — მიმართება არაცნობიერად ხორციელდება, — ნიშანი ისევ ისაა, ის იმავე აღსანიშნათანაა მიმართებაში; და მიმართებაა აკი ის, რაც ნიშანს, როგორც ასეთს, ნიშნად აქცევს¹.

ენობრივი ნიშნის ზემოხსენებული გაგება, როგორც ვთქვით, სავსებით ასახავს საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას; გარდა ამისა, ეს გაგება:

ა. საშუალებას იძლევა დაიძლიოს ფსიქოლოგიზმი და მასთან დაკავშირებული (სუბიექტური) იდეალიზმი ენის რაობის გაგებაში;

ბ. გამორიცხავს შესაძლებლობას, ენობრივ ნიშანთა სისტემას მივაწეროთ ადამიანთაგან დამოუკიდებელი არსებობა (ობიექტური იდეალიზმის პრინციპის შესაბამისად!): მიმართება აღსანიშნისადმი ინდივიდებშია მოცემული.

§ 85. ენობრივი ნიშანი პირობითია. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ აღსანიშნი არ განსაზღვრავს აღმნიშვნელს, აღსანიშნზე არაა დამოკიდებული ნიშანი, საგანი ვერ გადაწყვეტს, თუ რა სიტყვა შეერქმევა მას სახელად. **სხვადასხვა ენათა არსებობა საუკეთესო ილუსტრაციაა ამ პრინციპის ძალა-მნიშვნელობისა:**

ქართ. ცხენი, ხუნძ. ჩუ, რუს. лощад (лошадь), ლათ. ეკუუს (equus), ბერძ. ჰიპოს (ἵππος), ფრ. შვალ (cheval), ინგლ. ჰოს (horse) ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, ერთსა და იმავე ცხოველს გულისხმობენ, ერთი და იმავე აღსანიშნის ნიშნებია.

არცერთი ამ სიტყვა-ნიშანთაგანი არაა აღსანიშნი საგნით განსაზღვრული: მხოლოდ ამიტომ აღმოჩნდა შესაძლებელი სულ სხვადასხვაგვარი ბგერათა კომპლექსი გამოეყენებინათ ერთი და იმავე საგნისათვის. ეს შეუძლებელი იქნებოდა, საგანზე რომ იყოს დამოკიდებული, რა სიტყვა იქნება საგნის სახელად ხმარებული.

პირობითობა არ გამორიცხავს ნიშნის მოტივაციას. სოსიურმა სამართლიანად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ენობრივი ნიშანი შეიძლება იყოს **მოტივაციის მქონე** და **უმოტივაციო** (ამის შესახებ იხ. ზემოთ, § 47,

¹ რ. შორი წერს: "Не представления, индивидуальные и прихотливые, являются общим звеном понимания, причиной того, что говорящий, называя, и слушающий, воспринимая слово-название, будут подразумевать под словом одно и то же.

Что же служит этим звеном? Этим звеном является социальный момент в языке, который раскрывается в том, как слово функционирует в качестве знака... Понимание возможно только при одном условии, при условии, что говорящий и слушающий будут членами одного и того же культурно-языкового единства" — იხ. "Язык и общество" გვ. 80.

ეს პირობაა გაგებისა თუ თვით გაგება? თუ გაგებაა, არაა სწორი; თუ პირობაა გაგებისა, რაღა თვით გაგება? რაში მდგომარეობს იგი?

გვ. 100). **ათი, ოცი** უმოტივაცია: არა ჩანს, რატომ უწოდეს სათანადო რიცხვებს ეს სახელები; მაგრამ **ოცდაათი** გარკვეული მოტივაციის შემცველია ოც—და—ათი 20+10 (შდრ. რუს. тридцать 3X10).

ცხენი ამჟამად უმოტივაცია, **ცხენოსანი** უკვე არა: ცხენოსანი = ცხენიანი.

ვაზი არავითარ მოტივაციას არ შეიცავს, მაგრამ ვაზის ჯიშთა სახელების წყებაში გარკვეული დახასიათებაა მოცემული — უმოტივაციო თუ მოტივაციის შემცველ სახელთა მეოხებით:

რქა-წითელი: „ვაზის ზრო წითელია, რაც ამ ჯიშის ნიშანდობლივ თვისებად მიუჩნევია მიწის მოქმედს“¹.

ცხენის-ძუძუ: „მარცვალი ცხენის ძუძუს მიაგავს“².

მხარ-გრძელი: „მტევანს გრძელი მხრები აქვს“³.

თითა: „მარცვალი მოგრძო აქვს“⁴.

ძელ-შავი (→ II **ძველ-შავი**): „მუშა ვაზი მუქია“⁵.

სარის თვალა: „მაგარი მსხვილი, თეთრი მარცვალი აქვს“⁶.

ვირა-ყურძენი: „დიდი მტევანი, სქელკანიანი... მარცვალს სიტკბო აკლია“⁷.

საფერავი: „წვენი მოვარდისფროა... ღვინის შესაფერავად იხმარება“⁸.

შესაძლოა, დროთა ვითარებაში მოტივაცია დაიკარგოს: ძელ-შავი → ძველ-შავი. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს: ძელი-სიტყვა გაუგებარი დარჩა და ამან შეუწყო ხელი **ძველ-შავი**-ს წარმოქმნასაო. რომ ძველი აქ ძელისაგან მომდინარეობს, ამას მოწმობს სხვა შემთხვევაში ძელის ძველით შეცვლაო: „გამოასვენეს ძველი პათიოსანიო“⁹

ეტიმოლოგიურ ძიებას შეუძლია მრავალ შემთხვევაში აღადგინოს დროთა ვითარებაში გაუჩინარებული მოტივაცია. ამის მიხედვით უნდა გაკეთდეს ზოგადი დასკვნა: **ყველა სიტყვას უნდა ჰქონოდა მოტივაცია** — გარდა იმ ლექსიკური მარაგისა, რომელიც მეტყველების თავდაპირველ მარაგს შეადგენდა და, საფიქრებელია, ცალკე სიტყვა კი არ იყო, არამედ თავისი ფუნქციით მთელ ფრაზას უდრიდა.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს თავდაპირველი მარაგიც სიტყვებად იშლე-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 405.

² იქვე, გვ. 409.

³ იქვე, გვ. 408.

⁴ იქვე, გვ. 421.

⁵ იქვე, გვ. 416.

⁶ იქვე, გვ. 434.

⁷ იქვე, გვ. 422.

⁸ იქვე, გვ. 418.

⁹ იქვე, გვ. 416, შენიშვნა.

ბოდა; ვივარაუდოთ, თუმცა ეს არაა რეალური, რომ ეს სიტყვები მოტივაციას შეიცავდა. ამრიგად, უმოტივაციო სიტყვა, ვთქვათ, არ გაგვაჩნია. გაკეთდება თუ არა აქედან დასკვნა, რომ ენობრივი ნიშანი პირობითი არაა? ენობრივი ნიშნის პირობითობა ამ შემთხვევაშიც ძალაში დარჩებოდა. რატომ? იმიტომ, რომ **პირობითობა გაიზომება ნიშნის მიმართებით აღსანიშნავად, მოტივაციას კი საფუძვლად უდევს თვით ამ პირობით ნიშანთა ურთიერთობა.**

ნიშნის მოტივაცია მის პირობითობას არ გამოორიციხავს იმიტომ, რომ ეს მოტივაცია გულისხმობს სხვა ნიშნებისადმი აპელაციას, ხოლო არცერთი ნიშანი არც ამჟამად და არც წარსულში აღსანიშნავად განსაზღვრული არ ყოფილა

„არცერთი ნიშანი“ რომ ვთქვით, ამას გარკვეული განმარტება ესაჭიროება: შორისდებულები — წამოძახილები და ხმისმიბაძვითი სიტყვები ყველაზე ნაკლებადაა პირობითი. და მაინც ვერ გამოვრიცხავთ პირობითობას ასეთი შემთხვევებისთვისაც: ერთი და იგივე განცდა, — მაგალითად, მწუხარებისა — ერთნაირ ბგერათა კომპლექსს არ აჩენს (მდრ. ფრანგ. ელა hélas! რუს. УВЫ! ქართ. ვაჰ!...).

ქართულ მეტყველებაში გუგული გუ-გუ-ს იძახის, რუსულად კუ-კუ-ს...

ენობრივი აპერცეფცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსხვავებულია.

ამრიგად, ხმისმიბაძვითი სიტყვებისა და შორისდებულთა მიმართაც ენობრივი ნიშნის პირობითობის საკითხი ძალაში უნდა დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, იმ შორისდებულთა მიმართ, რომელნიც ნიშნად შეიძლება დავსახოთ: ის შემთხვევები, სადაც საქმე გვაქვს რეფლექსთან, ვერ შეგვზღუდავს — აქ ნიშნით **პირობითობის** საკითხი არ დაისმის, რამდენადაც **ნიშანთან** არა გვაქვს საქმე.

ნიშნის მოტივაციის ფაქტი გარკვეულ დასკვნებს გვაძლევს სახელდების საფუძვლის ექსპერიმენტული შესწავლისათვის: ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ენობრივი ნიშანი პირობითი არ იყოს მაშინ, როდესაც ის მხოლოდ მოტივაციის მქონეა; ეს მოტივაცია ზოგჯერ შეცნობილია, ზოგჯერ კიდევ შეუცნობელი. სათანადო ცდების შესახებ იხ. დიმ. უზნაძის წერილში: „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“¹.

ცდის პირს რაიმე ობიექტი ეძლევა (ვთქვათ, უჩვეულო ნახაზი), შემდეგ უაზრო ბგერათკომპლექსი (თიტქა, დეჩოჩ, რეფიბუ, ლაყოზუ, მიპაჩუ): ცდის პირმა მოცემულ ობიექტს უნდა შეურჩიოს სახელი წარმოდგენილ ბგერათკომპლექსთაგან, შემდეგ უჩვენოს — რატომ მიანიჭა უპირტესობა ამა თუ იმ „სიტყვას“. ავტორი ექსპერიმენტის შედეგთა ანალიზს იმ

¹ „ჩვენი მეცნიერება“, №2/3 (1923), გვ. 26-55.

დასკვნამდის მიჰყავს, რომ „უნდა ჰქონდეს ბგერითკომპლექსს რაღაც, რაც მისი სახელდებითი ფუნქციის მტკიცე კოეფიციენტად უნდა ჩავთვალოთ“...¹ „ბგერითი კომპლექსის სახელდების მიზნით გამოყენება შეუძლებელია შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ბუნებრივად და, მაშასადამე, პირველად, ის ზოგადი შთაბეჭდილება, ემოციური ტონი და, დასასრულ, მოყვანილობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიც სახელსაღები ობიექტი და ბგერითი კომპლექსი ურთიერთს ხვდება“².

ენობრივი ნიშნის პირობითი ხასიათის წინააღმდეგ ეს დებულება იმ შემთხვევაში შეიძლება გამოგვადეს, თუ აღმოჩნდება, რომ **სხვადასხვა ენაზე** მოლაპარაკე **მრავალი** ცდისპირი ერთსა და იმავე სახელს შეარჩევს ერთსა და იმავე ობიექტისათვის; მანამდის კი ძალაში დარჩება დებულება, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ გამოვთქვათ, ასეთი სახისა იქნებოდა: „თანამედროვე ადამიანი... განვითარებული ენის ატმოსფეროში იბრუნებს სულს და, როგორ შეიძლება, რომ მან ისე მოახდინოს ბგერათა კომპლექსისა და განსაზღვრული წარმოდგენის ურთიერთთან დაკავშირება, რომ უკვე სახელდებულის რამე წარმოდგენის შუალობას არ მიმართოს“³.

§ 86. ენა, როგორც სოციალური მოვლენა (კოლექტივის კუთვნილება). ნიშანსა და აღსანიშნს მიმართება აკავშირებს. ამ მიმართების ცოდნა მოცემულია ინდივიდში, ენობრივი კოლექტივის ყოველ წევრში. მიმართების ცოდნა მუდავნდება მეტყველების ყოველ აქტში, რამდენადაც ეს აქტი ურთიერთობის საშუალებად გამოსადგეია.

მეტყველების აქტი ინდივიდზეა დამოკიდებული; ინდივიდი წარმოქმნის მას ნებისმიერად: ალაპარაკდება, როცა საჭიროდ დაინახავს მსმენელს რამე გააგებინოს. **მეტყველების აქტი ინდივიდისაა, მაგრამ მიმართება ნიშნისა აღსანიშნისადმი ინდივიდზე არაა დამოკიდებული, ეს მიმართება ინდივიდუალური არ არის.** იგი ერთნაირია ენობრივი კოლექტივის წევრებისათვის, — სხვანაირად რომ ვთქვათ, მიმართება სოციალურია.

სოციალური აქ, როგორც ვხედავთ, **უპირისპირდება ინდივიდუალურს** და **ნიშნავს კოლექტიურს.** ესაა ერთ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა კოლექტივი. რომელიმე „საათი“ სიტყვა მიმართებაშია გარკვეულ საგანთან — დროის საზომად რომ იხმარება — არა ერთი რომელიმე ქარ-

¹ იქვე, გვ. 55.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 29 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). ავტორი ამ დებულებას, როგორც ვნახეთ, არ იზიარებს.

თველის მეტყველებაში, არამედ ყველა ინდივიდთან, რომელიც კი გავები-
ნების საშუალებად ქართულ ენას ხმარობს. ასევე — „ძალდი“ მყეფარი
შინაური ცხოველის სახელია. ქართულის მცოდნე არცერთი პირი არ
იხმარს **ძალდი** სიტყვას „სათის“ აღსანიშნავად, არ იხმარს, რადგანაც
ქართულ ენაში ეს სიტყვა გარკვეული საგნის აღმნიშვნელია, რეალობის
გარკვეულ ფაქტთანაა მიმართებაში, ამ ენობრივი კოლექტივის წევრთა
ურთიერთობაში მას შეუძლია **ეს საგანი** აღნიშნოს და არა სხვა.

ასეა ეს ყველა შემთხვევაში, როცა კი სიტყვა თავისი, პირდაპირი
მნიშვნელობითაა ნახმარი. სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაც შეიძლება
შეგვხვდეს: აქ სხვა ობიექტზე მითითება გვექნება, — „გადატანითი მნიშ-
ვნელობაო“, სწორედ ამიტომ ამბობენ... „რა ძალდიაო“, კაცზედაც შეუძ-
ლიათ თქვან, თუკი ამ „კაცის“ თვისებები ამის საბაზს იძლევა; მაგრამ
მნიშვნელობის გადატანა არაა თვითნებური ოპერაცია: საათის შესახებ
არავინ იტყვის — „რა ძალდიაო“.

მიმართება ნიშანსა და აღსანიშნს შორის მოლაპარაკე ინდივიდზე
არაა დამოკიდებული. ეს მიმართება ინდივიდს შეთვისებული აქვს ენის შე-
სწავლისას (ბავშვობაში, როცა დედაენას ეხება საქმე ანდა შემდეგ, როცა
სხვა ენის შესწავლას ვვარაუდობთ). მომდევნო თაობა წინა თაობისაგან
ითვისებს ენას¹. ენობრივ ნიშანთა გამოყენების ტრადიცია თაობიდან თაო-
ბაზე გადადის. ბავშვობაში ენას ვსწავლობთ ყოველგვარი რეფლექსიის გა-
რეშე, ვსწავლობთ იმ ენას, რომელიც გვესმის და ვსწავლობთ ისე, რო-
გორც გვესმის. როცა ზრდადამთავრებული ადამიანი სწავლობს ენას, ის
შეიძლება შეგნებულად ეკიდებოდეს ენობრივ ნიშნებსა და მათს ფუნქცი-
ებს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება: ნიშნის ფუნქციაზე ეს გავლენას ვერ
მოახდენს, ამის გამო სიტყვა-ნიშანი ვერ გაიჩენს მიმართებას ახალი, სხვა
საგნისადმი.

**მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის კოლექტივის სანქცია
აქვს. აქ მიმართება თაობათა ტრადიციას ემყარება.** ამ მიმართების შე-
ცვლა ინდივიდის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული ისევე, როგორც
ინდივიდის ნება-სურვილი ვერ განსაზღვრავს ფულის ნიშნის ღირებულე-
ბას აღებ-მიცემობაში. მყიდველს არ შეუძლია სამმანეთიანი მიაწოდოს გა-
მყიდველს და არწმუნებდეს — ეს თუმნიანიაო! არ დაუჯერებენ: რაც არის,
ზედ აწერიან.

¹ ეს არ ითქმის „პირველი თაობის“ (თუ თაობათა) შესახებ: მას მზამზარეული
ენა ვერ გადმოეცემოდა, პირიქით, მას უნდა შეექმნა იგი. ცხადია, აქ ენის წარმოშო-
ბის პრობლემა დგება.

ჩვენი ანალიზი ეხება ენას უკვე შექმნილს, ჩამოყალიბებულს და არა შესაქმნელს,
ანდა ქმნადობის პროცესში მყოფს. ამის შესახებ იხ. „ზოგადი ენათმეცნიერება“, I
ნაწილი (1939 წ.): § 16, „ენის წარმოშობა“, გვ. 36-48.

ენობრივი ნიშნისა და ფულის ნიშნის ანალოგია ორ მომენტს ეხება. სიტყვა-ნიშანიცა და ფულის ნიშანიც ინდივიდის განკარგულებაშია. როცა საჭიროდ დაინახავს, ერთიც მოიხმაროს შეუძლია და მეორეც. ეს ერთი. მეორეცაა და: არც სიტყვის მნიშვნელობა, არც ფულის ღირებულება ინდივიდის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული...¹

რა **ძალა აქვს ტრადიციას** ენობრივი ნიშნის გამოყენებაში, რამდენად **მტკიცეა მიმართება ნიშანსა და აღსანიშნს შორის**, როგორ **ძნელია ამ მიმართების ნებისმიერი შეცვლა**, აშკარა ხდება შემდეგი ექსპერიმენტებიდან. ცდის პირია ბავშვი; ექსპერიმენტატორი მას ეუბნება: „ძროხა“ და არქვი „ძალს“ და პირუკუ — „ძალი“ იხმარე „ძროხის“ ნაცვლად... ასევე შეუნაცვლე სახელები „მელანსა“ და „სარკმელსა“-ო. ამის შემდეგ ბავშვს ეკითხებიან: „თუ ძალს რქები აქვს, იწველის თუ არ იგი რძესაო?“ — „იწველისო“, მიუგებს ბავშვი: „ძალი“ ე. ი. „ძროხა“... „ძალს“ (=ძროხას) რქები აქვს, რძესაც იწველის. ამ შემთხვევაში შენაცვლება ბავშვმა მოახერხა ინსტრუქციის შესაბამისად... მაგრამ შემდეგ საქმე ერთბაშად აირია; ბავშვს ჰკითხეს: „აქვს თუ არა ძროხას რქები?“ — „აქვსო“, იყო პასუხი.— „კი, მაგრამ „ძროხა“ ხომ „ძალია“, და განა ძალი რქებიანიაო?!“ — „რასაკვირველია, — ამბობს ბავშვი, — რაკი „ძალი“ ესაა „ძროხა“, რაკი ასე ეწოდება — „ძროხა“, რქებიც უნდა ჰქონდეს. **რადგანაც ძროხა ეწოდება**, მაშასადამე, **რქებიც უნდა ჰქონდეს**. ისეთ ძალს, რომელსაც ძროხა ჰქვია, პატარა რქები უცილობლად უნდა გააჩნდეს“...²

ეს — „ძროხა“ და „ძალის“ შემთხვევაში. ახლა მეორე წყვილის შესახებ — „მელანი“ და „სარკმელი“.

ამის თაობაზე ექსპერიმენტის ოქმი გვეუბნება: „პირველად სწორ პასუხებს ვიღებთ, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ კითხვაზე — „გამჭვირვალეა თუ არა მელანი“, გვეძლევა პასუხი — „არა“. — „აკი „მელანი“ ესაა „სარკმელი“, „სარკმელი“ კიდევ „მელანი“ — „მაშასადამე, **მელანი მაინც მელანია და არაა გამჭვირვალე!**“

ამ ცდების მიხედვით ლ. ვიგოტსკი ასკვნის: „აქედან ჩანს, როგორ ძნელია ბავშვისათვის გათიშოს ნივთის სახელი და მისი (ნივთის) თვისებები, და ეს თვისებები როგორ მისდევნენ სახელის გადატანისას მას (სახელს)... ამ მაგალითით ჩვენ გვსურდა მოგვეცა იმ დებულების ილუს-

¹ ერთგვარი თავისუფლება სიტყვის გამოყენებაშიც შეიძლება შევნიშნოთ და ფულის ნიშანთანაც: მისი სყიდვის უნარი ერთგვარად კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. ეს არ ზღუდავს აქ წარმოდგენილ დებულებას, პირიქით, სავსებით ეგუება მას. ამაზე ქვემოთ.

² იხ. Л. С. Выготский. "Мышление и речь", Москва-Ленинград, 1934 წ., გვ. 275 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ტრაცია, რომ სიტყვის ბგერითი და სმენითი მხარე ბავშვისათვის წარმოადგენს უშუალო ერთიანობას, გაუდიფერენცირებელსა და შეუტყობელს. ბავშვის მეტყველების განვითარების ერთი უმთავრეს ხაზთაგანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დასაბამი ეძლევა ამ ერთიანობის დიფერენციაციასა და გაცნობიერებასა¹.

ჩვენთვის ამ ცდას სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს: აქ საგნისა და მის თვისებათა მჭიდრო კავშირი კი არაა იმის მიზეზი, რომ ბავშვმა „ძროხა“ „ძალს“ ვერ უწოდა და ასაბუთებდა: „რაკი ძროხა ჰქვია, მაშ, რქაც უნდა ჰქონდესო“, — არა, მიზეზი **ნიშნისა და აღსანიშნის**, სიტყვისა და საგნის **კავშირის სიმტკიცეშია**, ეს კავშირი (მ ი მ ა რ თ ე ბ ა) ისე მტკიცეა, რომ მისი მოშლა, რომც მოვიწადინოთ, ადვილად არ მოხერხდება, მიმართების ნებისმიერ შეცვლას ბავშვი ვერ ახერხებს: „ძროხა“ აღნიშნავს რქიან, მეწველ შინაურ ცხოველს. „ძროხა“-სიტყვა ამ საგანს (ა ღ ს ა ნ ი შ ნ ს) ი გ უ ლ ვ ე ბ ს ყველა მისი თვისებით, და არა სხვა რომელიმე ცხოველს, თუნდაც შინაურს. **ბავშვმა ვერ მოშალა ტრადიციით განმტკიცებული კავშირი სიტყვასა და საგანს შორის**. ამას ზრადამთავრებული ადამიანიც ვერ მოახერხებს ხოლმე საგანგებო წვრთნის გარეშე, თუნდაც რომ მოინდომოს.

მაგრამ საკითხავია: მოინდომებს კი? ძნელი სავარაუდებელია ინდივიდი შეუდგეს იმის რკვევას, რა საგანს რა სახელი უფრო შეეფერება, რა შეშვენის, და ამის მიხედვით გადაანაცვლ-გადმონაცვლოს სახელები. პირიქით, მთქმელი დაინტერესებულია სიტყვა (ნიშანი) ისე იხმაროს, როგორც ეს მიღებულია სათანადო ენობრივ კოლექტივში. რატომ? იმიტომ, რომ სიტყვა (ნიშანს) გარკვეული დანიშნულება აქვს — იყოს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ის საშუალება, გ ა გ ე ბ ი ნ ე ბ ის იარაღი.

ამრიგად: ნიშნის მიმართება აღსანიშნისადმი **არაინდივიდუალურია** (ინდივიდის ხმარებაში), **კოლექტიურია**. ინდივიდი შეზღუდულია ნიშნის გამოყენებაში ტრადიციით, ენობრივ კოლექტივში არსებული ჩვევით (უ ზ უ ს ი თ). ინდივიდი ვერ იხმარს ენობრივ ნიშანს ნებისმიერად: „ძალი“ არ გამოადგება ძროხის აღსანიშნავად, „მელანი“ ვერ გახდება სარკმლის სახელი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს „ქაჯური ენის“ საკითხი. ქაჯური ენაც ენაა. მისი დანიშნულებაა იყოს გაგებინების საშუალება გარკვეულ პირთათვის ისე, რომ სხვათათვის ნათქვამი გაუგებარი დარჩეს: ესაა დაშიფრული მეტყველება. როგორ ქმნიან ასეთ ენას? ჩვეუ-

¹ იქვე, გვ. 275.

ლებრივ მარტივ ხერხს მიმართავენ: იღებენ არსებული ენის სიტყვებს: და ყოველ მარცვალს დაურთავენ ერთსა და იმავე ელემენტს, მაგალითად, **წა-ს: მეწა საწა ღაწა მოსწა გაწამოწა ვიწავლიწა** — ეს იქნება „მე სალამოს გამოვივლი“...

ასეთ შემთხვევაში მიზანია — **განსხვავებული** ნიშნების შექმნა. საშუალებაა — არსებულის **გადასხვაფერება**. რატომ ახალი ნიშნები არ შექმნეს ანდა ახალი მნიშვნელობა არ მიანიჭეს ენაში ხმარებულ ნიშნებს? ცხადია, ეს უფრო ძნელი იქნებოდა.

სხვადასხვა ჟარგონში, მაგალითად, ჟურნალ-ბაცაცათა მეტყველებაში შევხვდებით სიტყვათა მნიშვნელობის თავისებურ ცვლას: ჰალსტუხი (=სახარბიელა), ფარაონი (=მილიციონერი)...

აქაც მნიშვნელობა შეცვლილია არა ნებისმიერად, ერთგვარი შინაგანი კავშირი მაინც რჩება ნიშნის ძველსა და ახალ ფუნქციას შორის.

ერთი სიტყვით, ამოსავლად რჩება ისევ ხმარებული ბუნებრივი მეტყველება. სრულიად ახალი ნიშანთა სისტემის შექმნა არ ხერხდება მაშინაც კი, როცა შეგნებულად ცდილობენ დაშორდნენ მიღებულ სიტყვებს და სხვებისთვის გაუგებარი მეტყველება გაიჩინონ. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ჟურნალ-ბაცაცათა ენაში ცვლილებები შეაქვთ სიტყვებში, — უფრო ზუსტად, სიტყვის ფუძის მნიშვნელობაში, — მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსური წესები ძველი რჩება: აქ ცვლილების შეტანა შეუძლებელია ძნელია, მასთან, არცაა საჭირო.

ინდივიდი ნებისმიერად **ვერ შეცვლის** ენობრივი ნიშნის **ბგერით სახეს** თუ აგებულებას: საათის ნაცვლად ვერ იტყვის „თიასა“-ს, „კედელი“-ფუძის ადგილას „დელეკ“-ს ან სხვა ამისთანას, რაც უნდა მოსწონდეს ეს ახალი კომპლექსები! რატომ? რითი სჯობს საათი „თიასა“-ს ანდა კედელი „დელეკ“-ს? როგორ შეიძლება ვინმე დავარწმუნოთ, რომ ბგერათა კომპლექსი „თიასა“, „დელეკი“ უფრო უხეიროა, ვინემ შესაბამისი „საათი“, „კედელი“? უპირატესობა მაინც ამ უკანასკნელთა მხარეზეა. ის შემდეგ მარტივ ფაქტში მდგომარეობს: „კედელი“ ქართული ენობრივი კოლექტივის მიერ **ხმარებული** ნიშანია, „დელეკი“ — არა, „დელეკ“-ს არა აქვს ენობრივი კოლექტივის სანქცია...

თუ ინდივიდი ნებისმიერად ვერ **გადასხვავებებს** არსებულ ნიშნებს, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს მას **შექმნას** ნებისმიერად **სრულიად ახალი** ნიშანი უკვე **არსებულის** ნაცვლად: „ძალი ცხოველია“ — „ლანერა კერადუ“... ეს უკანასკნელი „ფრაზა“ უფრო სასიამოვნოდ ისმის, ვინემ პირველი, მაგრამ მის მაგივრობას ვერ გასწევს: ერთია ქართული მეტყველების ფაქტი, გასაგები ქართულის მცოდნეთათვის, მეორე კი ნარნარა ბგერათა კომპლექსი, სმენისათვის საამო, მაგრამ **სრულიად**

გამოუსადეგარი, როგორც **ურთიერთობის საშუალება** არც იმათთვის, ვინც ქართულად ლაპარაკობს, და არც სხვა ვისთვისმე: „ლანერა კერადუ“ საერთოდ არაა მეტყველების ფაქტი. ის მოგვაგონებს ქალაქის ნაჭერს, ლამაზად დასურათხატებულს... ასეთი ნაჭერი ფულის ნიშნის მაგივრობას ვერ გასწევს, ეკონომიკურ ურთიერთობაში გაცვლითი ღირებულება არ ექნება, რაც უნდა ლამაზად ავაჭრელოთ იგი...

მაგრამ ახალი სიტყვები ხომ იქმნება? როგორღა შეიძლება ეს? ახალი სიტყვები ჩვეულებრივ იქმნება ახალი შინაარსის გადმოსაცემად, ეს ძველის გამოდევნა კი არაა, არამედ მათი გვერდით ახალი წევრის დასახლება. ეს აადვილებს საქმეს. გარდა ამისა, ხშირად ეს **ახალი**, ძველის, უკვე ხმარებული მასალის ნიადაგზე ყალიბდება, როგორც მისი გარდაქმნა („ნაწარმოები ფუტე“)¹. ესეც აადვილებს ძველი ენობრივი ნიშნების წრეში ამ ახლის შემოყვანას. ამასვე ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ახალი სიტყვები შემოდის პირველ ყოვლისა სამწერლო ენაში, ანდა გარკვეული პროფესიის მეტყველებაში, და არა უშუალოდ ზეპირ მეტყველებაში.

ამისდა მიუხედავად, ახალ სიტყვათა შემოტანას დიდი სიძნელების გადალახვა უხდება. შემთხვევითი არაა ამიტომ, რომ ეს საქმე მინდობილი აქვს სპეციალურ კომისიებს, დაწესებულებებს, მეტწილად სახელმწიფოებრივ ორგანოებს. ასე იქმნება ჩვენში, მაგალითად, **ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი ა**, წესრიგდება სალიტერატურო ე ნ ი ს ნ ო რ მ ე ბ ი, ო რ თ ო გ რ ა ფ ი ი ს საკითხები. ეს ნიშნავს: **ინდივიდი კი არ ქმნის, არამედ კოლექტივი**, ისიც — არა შემთხვევითი კოლექტივი, არამედ უფლებამოსილი. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სკოლა, პრესა გეგმაშეწონილად ატარებენ ღონისძიებებს ამ ახლის, შეცვლილის დამკვიდრებისათვის სალიტერატურო ენაში (და მისი საშუალებით, ცოცხალ სასაუბრო ენაში). აქ ცვლილების სათავე კოლექტივიზია.

ახლის შექმნა ყოველთვის ამ გზით, **ორგანიზებულად**, რა თქმა უნდა, არ ხდება. ახლის წყარო ინდივიდიცაა, — მაგალითად, გავლენიანი მწერალი².

¹ ნებისმიერად შექმნილი სიტყვის კლასიკურ ნიმუშად ითვლება „გაზი“, იგი შეთხზა მეჩვიდმეტე საუკუნეში ჰოლანდიელმა მეცნიერმა ვან-ჰელმონტმა. ახლა ირკვევა, რომ ეს სიტყვაც არ ყოფილა შეთხზული სრულიად თვითნებურად.

ქართ. წ ნ ე ვ ა ენობრივად გაუმართლებელი წარმოების ნიმუშია, თუმცა -ევ-სუფიქსს შეიცავს და წ-ბგერით ცნობილ ძირს (წ-ოლ-ა) მოგვაგონებს.

² გავლენიანი მწერალი და მის მიერ შექმნილი სიტყვა მოგვაგონებს — ფულის ნიშნის ანალოგია რომ ვიხმაროთ, — ბანკირს, რომლის ჩეკსაც ფულის ღირებულება აქვს.

დოსტოევსკი წერს: *стусеваться* რუსულ სალიტერატურო ენაში მე შემოვიღე¹. სიტყვა კი მე არ შემითხზავს: იგი გაჩნდა საინჟინრო სკოლაში ჩვენი კურსის მსმენელთა წრეში ნაირ-ნაირ გეგმათა ხაზვასა და დატუშვასთან დაკავშირებით².

ილია ჭავჭავაძე მოგვითხრობს: „...სიტყვა შემოიტანა [მწერალმა]. ვსთქვათ მოიგონა შესაფერი სიტყვა, წმინდა ქართული ან სთარგმნა, ან კიდევ უცხო ენის სიტყვა იხმარა. მაინც-და-მაინც არც ერთს შემთხვევაში მწერალი დაჯერებული არ არი, რომ აზრი, რომელსაც მიანდობს იმ სიტყვას, ადვილად გასაგები იქნება. **რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც ისე გაუგებარი იქნება ჯერ ხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა.** ამ უკანასკნელ დროს რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული: **შიგ-მდებარება (содержание), მიქცევ-მოქცევა (отношение; не в смысле математического отношения), წარტოლვილი (отвлеченный), მოთხოვნილება (требование), გავლენა (влияние), მიმართულება (направление), მეცნიერება (наука),** და თვით „მამული“ უწინ იხმარებოდა, როგორც მარტო დედულ-მამულის სახელი, ახლა ეგრეც იხმარება და ისეც, როგორც მთელი სამშობლო ქვეყნის საზოგადო სახელი, მაგ., ჩემი მამული საქართველო. აი ეს სიტყვები ხომ წმინდა ქართულია, მაგრამ **მაინც კიდევ ადვილად გასაგებნი არ არიან,** იმიტომ რომ **ახლები არიან,** ე. ი. **ახალის აზრით და მნიშვნელობით იხმარებიან.** რასაკვირველია, ამ სიტყვების აზრს შევეჩვევით თავის დროზე, მაგრამ **მინამ შევეჩვევით,** იმ დრომდე **ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი**“³.

ილ. ჭავჭავაძის ამ სიტყვებში ნათლადაა ნაჩვენები, რატომაა ძნელი ახალი სიტყვების შექმნა ენაში და რაა საჭირო, რომ ეს სიტყვები შევიდეს ენაში, როგორც მისი კუთვნილება: **უნდა შევეჩვიოთ,** ე. ი. უცხო სპეციალური ტერმინი რომ მივუყენოთ, **უზუსტია** საჭირო ანუ, რაც იგივეა, ენობ-

¹ იგი ნახმარაო პირველად 1846 წლის 1 იანვარს ჩემს მოთხრობაში "Дневник" (დაიბეჭდა ჟურნ. "Отечественные записки"). ცნობა მოჰყავს რ. შორს თავის წიგნში "Язык и общество" 1926, გვ. 88-89.

² დამახასიათებელია დოსტოევსკის სიტყვები: "Словцо это *изобрелось* в том классе Главного Инженерного училища, в котором был и я, именно моими однокурсниками, Может быть и я участвовал в изобретении, не помню. Оно, как то *само выдумалось* и само *свелось*... Мы должны были чертить разные планы... Все планы чертились и оттушевывались тушью, все старались добиться, между прочим, уменья хорошо *стусевывать* данную плоскость с темного на светлое на белое и на *нет*... и вдруг у нас в классе заговорили. "Где такой-то?" – "Э, куда-то *стусевался!*" (იქვე).

³ იხ. ილია ჭავჭავაძე: ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, — „წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე“, „ქართული წიგნის“ გამოცემა პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტფილისი, 1927, გვ. 401 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს (იხ. გვ. 441), ეს წერილი, რომელიც აქ პირველად დაიბეჭდა, უთარილოა, მაგრამ, „ცხადია, იგი 1862-3 წლებს ეკუთვნის“.

რივი კოლექტივის სანქცია. ინდივიდი ინიციატივას იღებს, ქმნის სიტყვას, კოლექტივი იღებს, დასტურს აძლევს მას, როგორც ურთიერთობის საშუალებას. რაც უფრო გავლენიანია ინდივიდი, რაც უფრო მეტი ანგარიში ეწევა მას სათანადო საზოგადოებაში, მით უფრო მეტია შანსი, რომ ახალი სიტყვა ხსენებულ დასტურს, სანქციას მოიპოვებს, ხმარებაში შევა. სანქციის მომენტი მაინც რჩება, და ეს კი კოლექტივის პრეროგატივაა.

ილ. ჭავჭავაძე რიგ ახალ სიტყვას ასახელებს — „ბოლო ხანებში შეიქმნაო“. უნდა ვიფიქროთ, მაინცდამაინც ზოგი მათგანის ავტორი თვით ილიაა. საინტერესოა ამ სიტყვათა ბედი: ნაწილი ქართულმა ენამ შეითვისა: **მოთხოვნილება, გავლენა, მიმართულება, მეცნიერება**. ეს სიტყვები ისეა შესისხლხორცებული ქართულ სალიტერატურო ენას, რომ ძნელია კაცმა წარმოიდგინო ჩვენი ენა უამსიტყვებოდ... სხვა სიტყვებმა — **შიგ-მდებარება, მიქცევ-მოქცევა** (отношение-სათვის), **წარტოლვილი** — ქართულ ენაში ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა ილია ჭავჭავაძის თქმით ეს სიტყვები ისევე „წმინდა ქართული სიტყვებია“, როგორც პირველი ოთხი...

რა გამოდის? ახალი სიტყვების შექმნა, სულერთია, დაწესებულება (კოლექტივი) ქმნის მას თუ ინდივიდი — იმას კი არ მოწმობს, თითქოს ენობრივი ფაქტი (ნიშანი) ინდივიდუალური მოვლენა იყოს. არა, იგი, პირიქით, ენობრივი კოლექტივის, როგორც საბოლოო, გადამწყვეტი, ინსტანციის როლს გახაზავს.

შეიძლება დავასკვნათ: საჭიროებისამებრ ინდივიდი იყენებს ენობრივ ნიშნებს. მაგრამ ინდივიდს არ ძალუძს **ნებისმიერი შინაარსი ჩაღოს** მასში ანდა **ნებისმიერად ცვალოს** ამ ნიშნის **ბგერითი შედგენილობა** ანდა **ნებისმიერად შექმნას ახალი ნიშანი**. ინდივიდი **შეზღუდულია** არსებული ნიშნების გამოყენებაშიც და ახალი ნიშნების შექმნის მხრივ. ინდივიდი იყენებს ენობრივ ნიშნებს, მეტი კიდევ: ყოველ მეტყველებით აქტში წარმოქმნის ამ ნიშანს, მაგრამ ამის გამო ეს ნიშნები არაა ინდივიდუალური ნიშნები: ინდივიდმა ის ნიშნები უნდა იხმაროს, რომელიც მიღებულია, **ისე** უნდა იხმაროს, როგორადაც არის მიღებული სათანადო ენობრივ კოლექტივში.

ამას **მოითხოვს** მეტყველების სოციალური ფუნქცია. **სხვანაირად ვერ მოიქცევა** მეტყველი, **თუ მას სურს მისი ნათქვამი ურთიერთობის საშუალება იყოს, გაგებინების მიზნებს ემსახურებოდეს. მეტყველი ვერ დაივიწყებს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, ვერ უგულებელყოფს მსმენელს.**

მსმენელი იგრძნობა მაშინაც კი, როცა არ გვესწრება; განსაკუთრებით ეს ჩანს წერიტი მეტყველების მაგალითზე. ნაწერს, როგორც ვიცით, მკითხველი ჰყავს და არა მსმენელი (დაწერილ მოხსენებას რომ კითხულობენ, ეს მაინც დაწერილის წარმოთქმაა, მსმენელს მთქმელთან უშუალო

კონტაქტი აქვს). მკითხველი ისეთი პირიც შეიძლება იყოს, რომელსაც არასოდეს უნახავს დამწერი და ხშირად ვერც ოდესმე ნახავს მას („ვეფხისტყაოსანს“, „ჰამლეტს“, „ოტელოს“, საუკუნეთა მანძილზე მკითხველი არ აკლდება, მათი ავტორების ბიოგრაფია კი დღემდის არაა ჯეროვნად დადგენილი). დამწერს არ გააჩნია ესა თუ ის გარკვეული მსმენელი: ვინ იცის, ვის ჩაუვარდება ხელში ნაწერი, ვინ იქნება დაწერილის წამკითხველი.

მოიხსნა თუ არ ამით მსმენელის საკითხი? თავისუფალია თუ არა დამწერი ენობრივ საშუალებათა გამოყენებაში? ოღონდაც რომ, **არა!** ცნობილია, რომ დამწერი ცდილობს, „რაც შეიძლება გასაგებად წეროს“, განუმარტავი არ დატოვოს არაფერი, რაც კი შეიძლება ბუნდოვანი და რჩეს მკითხველისათვის. **მკითხველი დაუსწრებელი მსმენელია**, და ეს ართულებს დამწერის ამოცანას: დასწრებულ მსმენელს ყოველთვის უფრო ადვილად გააგებინებს კაცი, ვინემ დაუსწრებელს. მთქმელს საშუალება აქვს გაითვალისწინოს — გაიგო თუ არა მსმენელმა ნათქვამი და საჭიროების შემთხვევაში განმარტოს სათქმელი. ლოგიკური მახვილი, ფრაზის ინტონაცია და სხვა გამომეტყველებითი საშუალებაა მთქმელის განკარგულებაში, რათა უკეთ მიაწვდინოს მსმენელს თავისი აზრი. დამწერი ამას მოკლებულია. ამიტომაც დაუსწრებელს მსმენელს მეტი ანგარიში ეწევა, ვინემ დასწრებულს, **დაუსწრებელი უფრო გვზღუდავს, ვინემ დასწრებუ-ლი**. დამწერს, როგორც წესი, მხედველობაში ჰყავს მკითხველთა გარკვეული კატეგორია და მისთვის წერს. ამით სხვა მკითხველის საყვედური შეიძლება დაიმსახუროს: ერთისთვის ნაწერი მეტად რთული აღმოჩნდება, მეორისათვის — ძალზე მარტივი... მაგრამ ავტორი მაინც კმაყოფილი უნდა იყოს, თუ მისი სიტყვა გასაგები აღმოჩნდება იმათთვის, ვინც მას მხედველობაში ჰყავდა, ვისთვისაც წერდა. ასეთ შემთხვევაში მიზანი მიღწეული იქნება იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრისაა შემთხვევითი მკითხველი.

ასეთია ნორმალური ვითარება. არის სხვაგვარიც: ხდება ხოლმე, რომ ავტორს (დამწერს) ავიწყდება — ვისთვის წერს, ეს კი ნიშნავს, ავიწყდება — **რისთვისაც** წერს: გაუგებარი ნაწერია და მით — უქმი. ასეთი შემთხვევა უფრო მკვეთრად გამოავლენს იმას, რაც ბუნებრივი და ნორმალურია: **ესაა მეტი ანგარიშის გაწევა დაუსწრებელი მსმენელისათვის, ვინემ დასწრებულისათვის**.

მსმენლის საკითხი გასაგებს ხდის ზოგ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს. ვთქვათ, მსმენელმა ცუდად იცის ენა, რომელზედაც საუბარი წარმოებს, მთქმელმა კი — კარგად, და მაინც ეს უკანასკნელი განზრახ ჩაკოჭლავს ხოლმე: ჩამადან პანისიოტ ვაგზალ? სკოლკი ნადა? გაიგონებთ თბილისის ქუჩებში, რუსულის სუსტად მცოდნე ტვირთის მზიდავებს რომ ელაპარაკებიან რუსულის კარგად მცოდნე პირები (შეიძლება ასე ალაპა-

რაკდეს რუსულის არმცოდნე პირიც: ეს შემთხვევა ჩვენთვის აქ საინტერესო არაა)... მეტყველი შეგნებულად ცდილობს იმ დონეზე დადგეს, რომელიც მსმენლის სამეტყველო შესაძლებლობას შეეფერება.

ანდა ასეთი მაგალითი. მამა თავის შვილებს მიმართავს: „**დედამ** დაგბარათ, ჭკვიანად იყავითო!“ დედამ, ე. ი. იმან, ვინც მსმენლისთვის დედაა, მტკმელისთვის კი — მეუღლეა. „**ბიძია**, ერთი აქეთ მოდი!“ მიმართავს უფროსი ადამიანი ბავშვს. „რას აკეთებ მანდ, **ბაბუა**?“ ეუბნება პაპა შვილიშვილს. **ბიძია**, **ბაბუა** ის სახელებია, რომლებითაც აქ მეტყველი აღინიშნება მსმენლის სიტყვახმარებაში. მტკმელმა ეს სახელი თავის პატარა მსმენელს მიაწოდა (და უწოდა) და მით ბავშვ-მსმენელთან კონტაქტი გაიდგინა.

ყველაფერი, რაც აქამდის ითქვა ენის სოციალურობის შესახებ, სამი კითხვის პასუხს წარმოადგენს. ეს კითხვებია:

რაში მდგომარეობს ენის არაინდივიდუალური, სოციალური რაობა?

რაში პოულობს გამოხატულებას, **რაში მჟღავნდება** ეს სოციალურობა?

რა უდევს საფუძვლად ენის სოციალურობას?

ენის სოციალურობა **მდგომარეობს** იმაში, რომ მიმართება ნიშნისა აღსანიშნისადმი არაა ინდივიდზე დამოკიდებული, არაა ინდივიდუალური ღირებულებისა, ამ მიმართებას ძალა და მნიშვნელობა აქვს მთელი ენობრივი კოლექტივისათვის. მიმართება სოციალური (კოლექტიური) ღირებულებისაა.

ენის სოციალურობა მჟღავნდება (გამოხატულებას პოულობს) იმაში, რომ ინივიდი შეზღუდულია ენობრივი ნიშნის გამოყენებაში, ინდივიდს არ ძალუძს ნებისმიერად **ცვალოს მიმართება** ნიშანსა და აღსანიშნს შორის ან ნებისმიერად **ცვალოს** ნიშნის **ბგერითი სახე** ანდა ნებისმიერად **შექმნას** ახალი ნიშანი აღსანიშნისათვის მანამდე არსებულის ნაცვლად.

ენის სოციალურობის საფუძველია ის ფაქტი, რომ ენა არის ურთიერთობის საშუალება, რომ ენას აქვს საკომუნიკაციო ფუნქცია (და ეს ფუნქციაა წამყვანი). ენა რომ ურთიერთობის საშუალება არ ყოფილიყო, ინდივიდს შეეძლებოდა სურვილისამებრ გამოეყენებინა ენობრივი ნიშანი, ნებისმიერად ეცვალა მისი ფუნქცია თუ ბგერითი შედგენილობა ანდა შეექმნა ახალი ნიშნები თავისი გემოვნების მიხედვით.

რა მიმართებაშია ენის სოციალურობა მეტყველებით აქტთან? მხოლოდ ენას ახასიათებს სოციალურობა, თუ მეტყველების აქტშიაც დასტურდება იგი? არსებითად ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია ენობრივი ნიშნის ანალიზთან დაკავშირებით: მეტყველებითი **აქტი ინდივიდისაა**, მაგრამ ამ აქტში გამოყენებული **ნიშნები კოლექტივისაა**.

ინდივიდში მოცემულობა სოციალურობას კი არ გამოორიცხავს. არამედ გულისხმობს: წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეიძლება კოლექტივის ურთიერთობის საშუალებად გამოგვადგეს ნიშანი, რომელიც თავისი ბუნებით კოლექტიური არაა, ინდივიდუალურია. სოსიურის შეხედულებათა გარჩევისას უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ **შეუძლებელია ენა მოვწყვიტოთ მეტყველების აქტს; ენა მეტყველებით აქტებში პოულობს რეალიზაციას. ენა ვერ იქნება სოციალური, თუ მეტყველებითი აქტი ინდივიდუალურია. მეტყველების აქტში უკვე უნდა იყოს მოცემული სოციალურობა, რომ ეს თვისება ენას აღმოაჩნდეს.**

ენის სოციალურობა ინდივიდის შეზღუდვას იწვევს. როგორღა ვითარდება ენა? სადაა ამის შესაძლებლობის საფუძველი? ენის განვითარება ენაში მომხდარ ცვლილებებს გულისხმობს. ყოველი ენა იცვლება; ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი ექვემდებარება დროთა ვითარებაში მეტ-ნაკლებად ცვლას. ეს ფაქტია. როგორ უნდა აიხსნას იგი?

ცვლაზე როცა ვლაპარაკობთ, ორი შემთხვევა უნდა გავითვალისწინოთ. პირველი: შესაძლოა ცვლისადმი მიდრეკილებამ ცალკე ინდივიდში კი არ იჩინოს თავი და შემდეგ სხვებზე გავრცელდეს, ის შეიძლება ერთბაშად დაიწყოს ინდივიდთა ჯგუფში, ენობრივი კოლექტივის გარკვეულ ნაწილში (და ეს ნაწილი შეუძლებელი არაა საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდისა იყოს). **ასეთ შემთხვევაში ინდივიდის პრობლემა არა დგას: ცვლას კოლექტიური სათავე ეძებნება.** პირველ რიგში ასეთი ვითარება მოსალოდნელია ფონეტიკურ ცვლილებებში, იქნება ეს სპონტანური ცვლილებები თუ საკომბინაციოც¹.

ჯ ბგერა ქართლურ დიალექტში მოიშალა, მისი ადგილი **ხ**-ბგერამ დაიკვიდრა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სათანადო არტიკულაციის შეცვლა ერთდროულად მომხდარიყო ქართლის ბარის სოფლებში (მთის ქართულ კილოებში ჯ დღემდის დაცულია).

მეორე შემთხვევა: ცვლილება იწყება ინდივიდიდან (ვივარაუდოთ, რომ ესაა მნიშვნელობის ცვლა, სემასიოლოგიის ფაქტი). ეს ცვლილება შეიძლება ისე მცირე იყოს, რომ თავდაპირველად შეუმჩნეველი დარჩეს: „კონკრეტული“ = „მოკლე“; „კონკრეტულად ილაპარაკე“ = „მოკლედ ილაპარაკე“ — ასე შეცვალა, ვთქვათ, „კონკრეტულის“ მნიშვნელობა გარკვეულმა პირმა².

¹ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი, როცა ფონეტიკური ცვლილება ერთ ინდივიდში დაიწყო (იხ. გვ. 220).

² ეს ნამდვილი შემთხვევაა.

ცვლილება დასაშვები აღმოჩნდება, თუ საკომუნიკაციო ფუნქციას არ ბღალავს; ენობრივი კოლექტივის რეაქციას გამოიწვევს, თუ ის აბრკოლებს გაგებინებას. ასეთი ცვლილების დამკვიდრება რთული საქმე გამოვა.

მაშასადამე, ინდივიდის შეზღუდვა ენობრივი ნიშნის გამოყენებისას პრინციპში გამორიცხავს **არა ყოველგვარ ცვლილებას, არა ყოველგვარ თავისუფლებას**, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც შეუთავსებელია ენის დანიშნულებასთან — იყოს ურთიერთობის საშუალება. ცვლილება, რომელიც გაგებინებას ხელს არ უშლის, დასაშვებია, საკომუნიკაციო ფუნქცია მას იგუებს და იმიტომ.

§ 87. ენის სოციალურობა და ინდივიდუალური თავისებურება.

ენის სოციალურობა და ერთგვარი თავისუფლება ენაში შეთავსებულია. ამ ნიადაგზე გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ — როგორც ერთგან აღვნიშნავდით — „ერთი ინდივიდი არასოდეს ლაპარაკობს **სავსებით** ისე, როგორც მეორე, ცოცხალ მეტყველებაში ვარიაციებს აქვს ადგილი არამარტო ინდივიდების მიხედვით: ერთი ინდივიდიც, ზუსტად რომ ვთქვათ, არ ლაპარაკობს სავსებით ერთნაირად, მაგრამ ეს ვარიაციები იშლება იმ ზოგადის ფონზე, რომელსაც ენა წარმოადგენს და არ სცილდება გარკვეულ ფარგლებს. ფარგლებს კი ქმნის ისევ ის ფაქტი, რომ ენა არის გაგებინების საშუალება, სოციალური ურთიერთობის იარაღი. ამიტომ ყოველი არსებითი ცვლილება, მომდინარე ინდივიდიდან, მხოლოდ მაშინ იქცევა ენის კუთვნილებად, როცა ის მოიპოვებს სათანადო ენობრივი კოლექტივის სანქციას, ე. ი. როცა შვეა ხმარებაში, როგორც გაგებინების საშუალება“ (იხ. „ზოგადი ენათმეცნიერება“, I, § 12).

როგორია ენობრივი კოლექტივის რეაქცია, როცა არსებულთან შედარებით ხელშესახები ცვლილება დადასტურდება? თუ ეს ცვლილება (სხვაობა) ინდივიდს აღმოაჩნდა, მას ყურადღება ექცევა, შეიძლება გასცინონ კიდევ. აი ერთი მაგალითი. მეგრულად „ვიცი“ იქნება „მიჩქუნ(ნ)“ (შდრ. ძვ. ქართ. მიჩს, ე. ი. „ჩანს ჩემთვის“). ჩვენს სოფელში ერთი ახალგაზრდა ამბობდა მიჩქინ(ნ)“...¹ ამას სოფლელები ამჩნევდნენ და აღნიშნავდნენ, არ შეიძლება ითქვას, რომ მოწონებით...

როცა რომელიმე კუთხე დიალექტობრივი თავისებურებით მდიდარია, ეს თვალში ხვდება მეზობელი თემის თუ რაიონის მკვიდრთ: „ეს ჩვენში არ იციან (მაგ., მოიდა... იმათმა... იმგენმა... უთხრენ..), აქა და აქ იცია-ნო“. მეტწილად ეს ცნობები შემოწმებისას სწორი გამოდის ხოლმე.

¹ საინტერესოა, რომ ჭანურის ხოფურ კილოკავში სწორედ ი-ანი ფორმაა (მიჩქინ) ხმარებაში..

იშვიათი არაა, რომ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილებას გაკილვა მოსდევს: ერთი კილოს თუ კილოკავის წარმომადგენელი მეორეს გასცინებს ხოლმე. **„გაკუჭდი, გურულო?!“** — მიაძახებენ გურულს, რაკი იციან, რომ გურულად „გაკუჭდა“ „გული მოუვიდა“-ს ნიშნავს: **„კუჭის მოსვლა“ = გულის მოსვლა**. საჩოთიროდ მიაჩნიათ „კუჭი“-ს ხმარება „გულის“ ნაცვლად.

მეფე (= მეფე „გაღმა“), **მოფე** (= მოლე „გამოღმა“), **ტეხიმი** (= ტეხირი „ტეხური“ — მდინარის სახელია აღმოსავლეთ სამეგრელოში), **წიწიმა** (= წიწილა) — გამოაჯაგრებენ ხოლმე მარტივლებს სენაკელები. **ლ** → **ღ** (**რ** → **ღ**) მარტივლისა და ბანძის რაიონების მეგრულს ახასიათებს. სენაკურში **ლ**- (რბილია, მაგრამ **ღ**-დ არ გადადის... სამაგიეროდ თვით სენაკელების **ლ**- („რასაკვირველია“...) აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრს ყურსას სჭრის.

ჭუჭი (= ღუდი „თავი“), **უბეჭური** (= უბედური), **რაგაჯი** (= რაგადი „ლაპარაკი“) ჯვარელების¹ მეტყველების თავისებურებად მიაჩნიათ ზუგდიდელებს და გაკილავენ ხოლმე.

გაკილვა სოციალური ზემოქმედების საშუალებაა. ეს არცთუ უშედეგოდ ჩაიგლის: ამჟამად ჯვარელები შეგნებულად გაუბრიან **ჭ**-იან ვარიანტებს, ასე გასინჯეთ, უარყოფენ კიდევ: ასეთი რამ არც ოდესმე ყოფილა². ამავე პირობებში გარეკახურმა თითქმის დაკარგა **-ყე** ნაწილაკი: **უთხრაყე... მიუტანაყე...** ეჩოთირებათ; მათ ცვლის: უთხრათ... მოუტანათ. **-თ** სუფიქსი **-ყე**-ს მაგივრობას ეწევა, ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს...³

ენის სოციალურობასთან დაკავშირებით კიდევ ორი კითხვაა განსახილველი: ენობრივი სისტემის რა ფაქტებია სოციალური? როდის აქეთაა ენა სოციალური ფენომენი?

§ 88. ენის რა მოვლენებია სოციალური (კოლექტივისეული) და როდის აქეთ? ყველა ენობრივი ნიშანი სოციალურია. კი, მაგრამ ნიშანი ხომ გაირჩევა გამოყენების არის მიხედვით: ზოგ სიტყვას მთელი ენობრივი კოლექტივი იყენებს, ეს სიტყვა ენის კუთვნილებაა (**კაცი, სახლი... აკეთა...**), ზოგი კი მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტში გვხვდება

¹ სოფ. ჯვარი ენგურის ნაპირასაა, 30-ოდე კილომეტრზე ზუგდიდიდან, ძველად ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. **ღ** → **ლ** ჯ შესახებ ჯვარულში იხ. ი. ყიფშიძის "Грамматика мингрельского языка" (1913), გვ. XVIII, ქრესტ., გვ. 152.

² რომ „ყოფილა“, ჩანს გეოგრაფიული სახელწოდებიდან: ხუჯონი-ო ამბობენ ჯვარელები, **ხუდონი**-ს ნაცვლად (სოფელია ჯვარის თემში).

³ **-ყე** ნაწილაკის შესახებ გარეკახურში იხ. ავტორის „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ — კრებული „არილი“ (1925 წ.), გვ. 77-78.

(**ოჯო, ელანძე** — მხოლოდ გურულის ფაქტია და არა ქართული ენისა), სხვა სიტყვა კილოკავის ფარგლებს არ სცილდება, ანდა შეიძლება მხოლოდ თქმას თუ ქცევას ახასიათებდეს.

ეს არ უარყოფს ენობრივი ნიშნის სოციალურობას: აქ **ცვალებადია კოლექტივის წრე, რომლის ფარგლებშიაც გასავალი აქვს ამ ნიშანს, მაგრამ, რაც უნდა ვიწრო იყოს ეს წრე, ის მაინც არ დადის ინივიდამდის**. თვით ყველაზე მცირე ერთეულიც კი, როგორცაა ქცევა (როგორც დიალექტოლოგიური ერთეული), მაინც გარკვეულ კოლექტივს გულისხმობს (ვთქვათ, ერთი სოფლის მოსახლეობას!) და ამ ქცევის თავისებურებებს ამ პატარა კოლექტივის შიგნით ისეთივე გასავალი აქვს, როგორც „კაც“-სახელს ქართულად მოუბარ მთელ ენობრივ კოლექტივში. ეს ნიშნავს: ხსენებული თავისებურებანი ისევე სოციალურია (კოლექტიურია), როგორც ნიშანი, რომელსაც მთელი **ენობრივი კოლექტივი** იყენებს. პრინციპში არავითარი განსხვავება არ დასტურდება, განსხვავება რაოდენობითია, და არა რავგარობითი.

ზომ ცნობილია ისეთი შემთხვევები, რომ ენა (და არა დიალექტი ან ქცევა!) მარტო ერთ სოფელში იხმარება (მაგალითად, არჩიბული ენა, დიადესტანში). რომელიმე ენის ქცევის თავისებურებანი, ერთ სოფელში დადასტურებული, და ამ არჩიბული ენის **ფაქტები** რაოდენობითი თვალსაზრისით ერთ სიბრტყეზე დგას.

მაშასადამე: სოციალურია ენის ყოველი ფაქტი, სოციალურია კილოს, კილოკავის, თქმის, ქცევის **ყოველი თავისებურება**¹. **ინდივიდუალური თავისებურება?** აქ თვით ტერმინი გვაუწყებს, რომ ეს არც ენის სამყაროა, არც დიალექტისა... ის **ვერ იქნება სოციალური** (კოლექტიური), **სანამ ცალკე ინდივიდის კუთვნილებაა**, ის **შეიძლება იქცეს სოციალურად, როცა სხვა ინდივიდებიც შეითვისებენ** (გაიზიარებენ), მაგრამ **მაშინ ის აღარცაა ინდივიდუალური**. მეტყველების **ინდივიდუალური თავისებურება** და ენის **ფაქტი** ესაა **ორი პოლუსი**, ერთია — **ინდივიდუალურის სამყარო, მეორე — სოციალურის** (საზოგადოებრივის, კოლექტიურისა).

როდის აქეთ ჩნდება ენაში სოციალურობა? სოციალურობის საფუძველს ქმნის ენის საკომუნიკაციო ფუნქცია. საკომუნიკაციო ფუნქცია ენის კონსტიტუციური ფუნქციაა: ამის გარეშე ენა არ ენობს. ენა ყოველთვის სოციალურია (კოლექტიური): ახლა ხმარებულიც, წარსულში არსებულიცა და ისიც, მომავალში რომ იქნება ანდა წარმოიქმნება.

¹ გამოყენებაში შევხვდებით სხვაობას: ეს სტილის სამყაროა.

როგორც ზემოთაც სხვა კონტექსტში აღვნიშნეთ (§ 47, გვ. 109, § 68), არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც ენის წარმოშობაც ურთიერთობის საჭიროებითაა შეპირობებული.

ენის წარმოშობის ეს თეორია უფრო დამაჯერებელია, ვინემ რომელიმე სხვა თეორია. თუ ეს ასეა, ენა დასაბამიდანვე სოციალური ყოფილა, უკეთ რომ ვთქვათ, სოციალურობა ყოფილა ენის დასაბამის წყარო და საფუძველი.

ამგვარად: ენის **ყველა ფაქტი**, ენობრივი სისტემის ყოველი ნიშანი **სოციალურია** (კოლექტიური ღირებულებისა); ენა ყოველთვის სოციალურია (კოლექტივისა).

ენის სოციალურობაზე დაწვრილებით მოგვიხდა შეჩერება და ვრცლად მსჯელობას არ მოვერიდეთ. ენის სოციალური ბუნება ნათელი ფაქტია და მოკლედ შეგვეძლო მოგვეჭრა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ნათელ ფაქტს რიგი გაუგებრობა ახლავს: სოციალურობას ურევვენ კლასობრიობაში; საუკეთესო შემთხვევაში, ენის სოციალურობით ასაბუთებენ ენის კლასობრიობას: ენა სოციალურია, მაშასადამე, კლასობრივიაო. აღრევა მოდის ტერმინის ორაზროვნად ხმარებიდან (შდრ. გამოთქმა: „სოციალური საკითხი“, რაიც კლასობრივ საზოგადოებაში, კლასთა ურთიერთობას გულისხმობს).

ხსენებული გაუგებრობა რომ თავიდან აგვეცილებინა, ჩვენ გავხაზავდით, რომ „სოციალური“ აქ „კოლექტიური“ (ზუსტად: „კოლექტივისეულს“) ნიშნავს და „ინდივიდუალურს“ უპირისპირდება. კოლექტიური კი უთუოდ კლასობრივი როდია (კლასობრიობის შესახებ იხ. აქვე, § 92).

§ 89. ნიშნის ობიექტური ფუნქცია და სუბიექტური დანართი. განსახილველი გვაქვს სუბიექტური მომენტის და, კერძოდ, კლასობრიობის საკითხი ენაში. აღსანიშნისადმი მიმართება — ესაა ენობრივი ფაქტის მნიშვნელობა. როგორც წესი, ყოველ ენობრივ ნიშანს (ვთქვათ, სიტყვას) აქვს მნიშვნელობა — მარტო აღებულს ანდა სხვასთან ერთად ხმარებულს): წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება ნიშანი. ამაშია მოცემული ნიშნის **ობიექტური, ინტელექტუალური**, ფუნქცია. კომუნიკაციის თვალსაზრისით ეს მხარე დგას პირველ რიგში: მსმენელს, უწინარეს ყოვლისა, ის აინტერესებს, რა უთხრა მას მოსაუბრემ.

ბევრია ისეთი სიტყვა, რომლის ფუნქცია ამ ობიექტური მომენტით ამოიწურება: კედელი... ქვა... ხე... მელანი... ჩვეულებრივ არავითარ გრძნობებს არ იწვევს. სხვაგვარია ვითარება სიტყვათა წყებაში: ამხანაგი... მეგობარი... ძმა... მართალი... თავდადებული... შეუპოვარი... გმირი... პატრიოტი... მგელი... ვირი... მხეცი... გველი... მტერი... ჩარჩი... ქურდი... ბაცაცა... ვერაგი... იეზუიტი... მოლაღატე...

ორივე წყება იწვევს მეტ-ნაკლებად გრძნობას; ეს გრძნობა ერთ შემთხვევაში — ზოგადად რომ ვთქვათ, დადებითია (პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა), მეორე შემთხვევაში — არა, გრძნობა უარყოფითია (ვერაგი... იეზუიტი... გაიძვერა... მოღალატე... — სიძულვილსა და ზიზღს იწვევს).

რა აჩენს ამ გრძნობებს, დადებითსა თუ უარყოფითს? **დამოკიდებულება მთქმელისა ობიექტისადმი. სიტყვას** (ნიშანს) **ახლავს ის გრძნობითი იერი, რომელსაც იწვევს საგანი** (აღსანიშნი).

ეს გრძნობა მეტ-ნაკლები ინტენსიობისა შეიძლება იყოს (მდრ. ვირი... მხეცი... გაიძვერა). ვირი... მხეცი... ბაცაცა... იეზუიტი... გაიძვერა... მოღალატე — სალანძღავ სიტყვებად შეუძლიათ იხმარონ... მეგობარი... ძმა... გმირი... თავდადებული — სალანძღავ სიტყვად არ გამოდგება (თუ საკუთარი, პირდაპირი მნიშვნელობა შერჩენილი აქვს). შეადარე: აი, შე გაიძვერა! აი, შე მოღალატე — და: აი, გმირი! აი, თავდადებული!

გრძნობა, რომელსაც სიტყვა იწვევს, **სუბიექტური დანართია** ობიექტური მომენტისა, რომელსაც მნიშვნელობა წარმოადგენს, **დანართი და არა შემადგენელი ნაწილი**. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ დანართმა შეიძლება დაჩრდილოს ობიექტური მხარე, და მაშინ სიტყვას მხოლოდ გრძნობის გამოხატვა ეკისრება, მითითების უნარი დაკარგული აქვს, აღსანიშნთან მიმართება გამჭრალა: **მუდრეგი! არამზადა! ყურუმსადი!** სალანძღავი სიტყვებია, დიდად შეურაცხყოფელი.

რატომ? არ იცის ეს იმ პირმა, რომელიც ამ სიტყვებით უმასპინძლდება მეორეს... **გაიძვერა**-ო, რომ ილანძღება, იცის, რა თვისებაც მიაწერა პარტნიორს, **არამზადა** რომ შეარქვა, არ იცის, რა თვისებას გულისხმობს სიტყვა: მნიშვნელობა უცნობია. გრძნობა კი, ამ სიტყვას რომ ახლავს, გარკვეულია (მუდრეგ — სპარს. „მკვდარს“ ნიშნავს... „არამზადა“ ორი ფუძისაგან შედგება: ერთია არაბული „არამ“ — „უკანონო“, მეორეა სპარსული ზადე — „შვილი“: არამზადა — „უკანონო შვილი“, „ნაბუშარი“... ყურუმსად თურქულია — კურუმსაკ — და „მაჭანკალს“ ნიშნავს).

წარმოვიდგინოთ, რომ „არამზადას“ მსგავსი მაგალითი იშვიათი კი არაა, არამედ ჩვეულებრივი. ენობრივი ნიშნის განსაზღვრა ასეთ შემთხვევაში არსებითად უნდა შეგვეცვალოს: ნიშანი აღსანიშნთან მიმართებით ვერ დახასიათდებოდა, წინა რიგში უნდა დაგვეყენებინა სუბიექტური მომენტი — გრძნობა, რომელსაც აღსანიშნი იწვევს.

§ 90. სუბიექტური დანართი, ევფემიზმისა და ტაბუს საკითხი.

ეს გრძნობა ზოგჯერ ისე განუყრელია სიტყვასთან, რომ ჩნდება მისწრაფება სხვა სიტყვით შეიცვალოს მანამდე ხმარებული. ასეთია **ევფემიზმის** დასაბამი: „კარგი სიტყვით“ (ბერძნ. „ეფემია“ — „კარგის თქმა“) სურთ შეცვალონ „უხეირო“, „უზრდელი“, „სათაკილო“: „მიცვალებულის გვამი“ —

„ნეშტი“... „ნიფხავი“ — „ქვედა თეთრეული“... „ფეხის ადგილი“ — „საპირფარეშო“... „ფსელი“ — „შარდი“ — ურინა (ლათ. *urina*)... და მრავალი სხვა.

ევფემისტური მოტივაცია უდევს საფუძვლად ახალ სიტყვათა შემოღებას **ტაბუ**¹-ს შემთხვევაში: გველი — „უხსენებელი“ (მეგრ. უჩაღართამი — „შავჩოხიანი“)... აღსანიშნის (საგნის) მიერ გამოწვეული შიში მოიცავს სათანადო სიტყვას (სახელს), სახელის წარმოთქმა თითქოს დასახელებულ საგანს აჩენს... გამოსავალი: სხვა სიტყვა შეურჩიოს საგანს, თუ მანცდამანც აუცილებელი იქნება მისი ხსენება. ეს „სხვა სიტყვა“ „ახალი სახელია“, მას ძველის სახიფათო თვისება არ გააჩნია, ის არსებითად ევფემისტურია.

ევფემისტურ სიტყვანმარებასა და ტაბუთი გამოწვეულ ახალ სიტყვათა შემოღებას ერთი რამ განასხვავებს: ევფემიზმის შემთხვევაში ახალი სიტყვა მალე კარგავს თავის უპირატესობას და ისევ შესაცვლელი ხდება: საპირფარეშოთი შეცვალეს „ფეხის ადგილი“, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ევფემიზმია. სათანადო საგანი მასშიაც არაა პირდაპირ, უხეშად დახასიათებული. რუს. „отхожее место“ „ფეხის ადგილს“ ეტოლება, მისი შემცვლელი „уборная“ ადგილს უთმობს „კლოზეტ“-ს (ვატერ-კლოზეტ-ს — ინგლ. *closet* „საკუჭნაო“, „კაბინეტი“, ვატერ — ინგლ. *water* „წყალი“), „ტუალეტი“, მაგრამ ესეც უხერხული სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს და „ორი ნოლ“-ით („два ноля“) იცვლება (სათანადო ოთახებს „ორი ნოლი“ აწერია)...

ევფემისტური სიტყვა დღემოკლეა. ტაბუთი გამოწვეული სიტყვები გაცილებით მეტხანს ძლებს, ადვილად არ იცვლება. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ტაბუს გამო შემცვლელ სიტყვებსაც იშვიათად ხმარობენ; ევფემისტურ სიტყვებში კი ხშირად — სახმარიც გამოიყენება. და ეს სიტყვებია სწორედ, ყველაზე მეტად რომ იცვლება (იხ. ზემოთ — დასახელებული მაგალითი...).

ვთქვათ, საჭიროა ხშირად ვიხმაროთ **ტაბუ**-თი გაჩენილი ახალი სიტყვა. რა მოუვა მას? შეიძლება, ეს იქცეს ორდინარულ პირობით ნიშნად. ხშირი დასახელება ტაბუს გაქარწყლებას უდრის. სხვა დაბრკოლება კი არ არსებობს. მეგრ. **პუხუამი** (სიტყვასიტყვით: „კუზიანი“) ჭინჭველს ნიშნავს. თუ სახლში აბრეშუმის ჭია ჰყავთ, „ჭკიჭკიტია“ (|| ჯგჯგჯტია) — „ჭინჭველი“ — ტაბუს ექვემდებარება. მისი ხსენება არ შეიძლება (ჭინჭველა აბრეშუმის ჭიის მტერია!); ჭკიჭკიტის მაგივრად „პუხუამ“-ს იტყვიან. პუხუამი ამჟამად, ლამის, ჭკიჭკიტის სინონიმად მოგვევლინოს.

რუს. **медведь** (სიტყვასიტყვით: „თაფლის მჭამელი“) ტაბუს წყალობით გაჩენილ სიტყვად ითვლება (ძველი სახელი უნდა იყოს შემონახული ფუძეებში: ლათ. ურსუს *ursus*, ძვ. ბერძ. არკტოს *ἄρκτος* ძვ. ინდ. რკშაჰ)...

¹ პოლინეზიური ენიდანაა — „აკრძალვას“ ნიშნავს.

ასევე მეორეულად მიაჩნიათ დათვის სახელი: ლიტვურში ლოკის lokys (სიტყვასიტყვით: „მოლოკავი“), ძვ. გერმანული ბერო bero, ახლა: Bär (სიტყვასიტყვით: „რუხი“) და სხვა.

მეორეულია „გველის“ სახელი. ლათინურში სერპენს serpens (სიტყვასიტყვით: „მხოხავი“), ძვ. გერმ. სლანგო slango, სომხ. ზერუნ (იმავე — „ხოხვისაგან“)... სლავ. змий (იგივე ძირია, რაც зем-ля-ში?), ლიტვური ვალტიშ („მწვანე“) და ასე შემდეგ¹.

§ 91. სუბიექტური დანართის სხვაობა. დამოკიდებულება აღსანიშნისადმი მეტწილად ერთნაირი არაა. ავიღოთ სიტყვები ექსკურსია — გამოცდა. პირველი, ბუნებრივია, რომ სასიამოვნო გრძნობას იწვევს, მეორეს — აგრეთვე ბუნებრივია, თუ უსიამოვნო განცდა თან სდევს. ასეა ჩვეულებრივ. მაგრამ ვისაც ექსკურსიაში რაიმე უბედურება შეემთხვა (მაგ., ფეხი მოიტეხა... შვილი დაეღუპა...), მასთან ეს სიტყვა სასიამოვნო ემოციებს, ცხადია, ვერ გამოიწვევს. მეორე მხრით, გამოცდა შეიძლება არ იყოს უსიამოვნო იმ პირისათვის, ვინც, ვთქვათ, საკონკურსო გამოცდებში გაიმარჯვა. ეს „შეიძლება“. სხვა პირობებში კი: **გამოსაცდელი** მხოლოდ უსიამოვნებას განიცდის, კარგად მომზადებულის რომ იყოს (სრულიად მოუმზადებელი ზოგჯერ ნაკლებად ღელავს, არა ეკარგება რა!). გამომცდელის განცდა კი სხვაგვარია: ძალიან უსიამოვნოდაც რომ მიაჩნდეს საგამოცდო პროცედურა, გამოსაცდელივით მაინც არ იღელვებს.

ავიღოთ სიტყვა „გველი“: მეტად უსიამოვნოა საგანიც და სიტყვაც! ვისთვის? ჩვეულებრივი მოქალაქისათვის: ზოგს გააჟრჟოლებს კიდევ გველის ხსენებაზე, მაგრამ ზოოლოგისათვის ასეთი უსიამოვნო განცდა უცხოა: მისთვის გველი ცოცხალ არსებათა გარკვეული სახეობაა, ის ინტერესს აღძრავს (და არა ზიზღს). ყოველ შემთხვევაში მას არ უძნელდება გველების ნაირსახეობათა შეგროვება და უყოყმანოდ წაავლებს ხოლმე — საჭირო ეგზემპლარს — კისერში ხელს და თავის ტომარაში გადაუძახებს.

„მგელი“... ძალიან უსიამოვნოაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ სასიამოვნოც არაფერია: ამ სიტყვას უსიამოვნების გამოწვევა უფრო შეუძლია, ვინემ სასიამოვნოსი.

მაგრამ დაღესტნის ერთ ხალხში (სახელდობრ, ხუნძებში) „მგელივით არისო“ — ბაწ-ჭადინ ვუგო! — იტყვიან, თუ უნდათ თქვან — „ძალიან კარგად არისო!“ „მგელივით კაცი“ (ბაწ-ჭადაუ ჩი), „მგლის ხასიათი“ (ბაწილაბ შამალ) და, ასე გასინჯეთ, გამოთქმაც **„მგელივით ჭამს“** (ბაწ-ჭადინ ქვანალა) **მოწონებას, ქებას** ნიშნავს...

¹ „დათვისა“ და „გველის“ შესახები მაგალითები მოცემულია P. Шор-ის წიგნში „Язык и общество“, 1926, გვ. 65.

ჩვენ არ ვიცით სხვა შემთხვევა, რომ „მგელი“ ასეთ საქებ ეპითეტად გამოეყენებინათ. ხუნძებთან კი ეს ფაქტია¹.

ჰერცენი მოგვითხრობს ერთი თავისი ბიძაშვილის შესახებ: ქიმიით იყო გატაცებული, არავის იკარებდაო. ბიძებს — მემამულეებს — არ უყვარდათ იგი მამამისის გამო და სხვანაირად არ ახსენებდენ მას, თუ არ: „ქიმიკოსიო!“ ჰერცენი დასძენს: ამ სიტყვას — „ქიმიკოსი“ — „გაკილვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგულისხმებოდა, რომ ქიმია წესიერი კაცის საქმე არ შეიძლება იყოსო“².

გარკვეულ წრეში, გარკვეულ პირობებში „ქიმიკოსი“ გაკილვის გამომხატველი აღმოჩნდა. გრიბოდოვის "Горе от ума"-ში „ბოტანიკოსი“ ამავე დღეშია: „ჩინები გასაგონად არ უნდა! ის ქიმიკოსია, ის ბოტანიკოსია — თავადი თედორე, ჩემი ძმისწული!“³ „ქიმია“, „ბოტანიკა“, ჩანს პატივში არ იყო ამ თავადებთან...

არაყი... რაიმე სასიამოვნოს ეს სიტყვა არ შეიცავს იმისათვის, ვისაც სმა და მსმელი არაფრად ეპიტნავენა. მაგრამ ლოთი ამ სიტყვის გაგონებაზე გამოცოცხლდება ხოლმე: ეს სიტყვა ძვირფასია მისთვის, ეს სიტყვა მას მოაგონებს ნეტარებას, არყის სმისას რომ განუცდია. ერთი ფსიქოლოგი წერს: სამკურნალოში ლოთი მოათავსეს. ლოთობას უნდა გადასჩვეოდა. სპირტულს არაფერს აძლევდნენ. ლოთს უთქვამს: იმ კუთხეში რომ ერთი ბოთლი რომი იდგეს და ტყვიამფრქვევის ცეცხლი რომ გზას მიღობავდეს, ერთი წუთითაც არ შევყოყმანდებოდი, ბოთლს მივაშურებდიო...

არაყი, რომი და მისი თანმხლები ემოციები **ინდივიდუალური** ხასიათისაა: ერთს უყვარს, მეორეს — არა. მსმელი, ლოთი და არამსმელი საზოგადოების ყველა ფენაში დაიძებნება. მსმელი ბურჟუაც შეიძლება იყოს და პროლეტარიც.

§ 92. კლასობრიობის საკითხი ენაში. სიტყვის თანმხლები ემოციები ყოველთვის როდია ინდივიდუალური, იგი **სოციალურ** წრეს შეიძლება შეეფერებოდეს, **კლასობრივი** ბუნებისა შეიძლება იყოს: „სოციალიზმი“, „რევოლუცია“, „კომუნისმი“, „ბანკების ნაციონალიზაცია“ სულ სხვადასხვა

¹ იხ. П. Услар: Аварский язык, 1889, лექსიკონი, გვ. 50.

² იხ. А. Герцен. "Былое и Думы", I ტომი, Academia-ს გამოცემა, მოსკოვ-ლენინგრადი, 1932, გვ. 87: აი სათანადო ნაწყვეტი:

"...говорили, что он был нелюдим, ни с кем не знался, вечно сидел один, занимаясь химией, проводил жизнь за микроскопом, читал даже за обедом и ненавидел женское общество. Об нем сказано в "Горе от ума":

От женщин бегают и даже от меня!

Чинов не хочет знать! Он химик, он ботаник —

Князь Федор, мой племянник...

Дяди, перенесшие на него зуб, который имели против отца, не называли его иначе, как "Химик", придавая этому слову порицательный смысл и подразумевая, что химия вовсе не может быть занятием порядочного человека"... (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იხ. წინა შენიშვნა.

განცდას იწვევს სხვადასხვა კლასის წარმომადგენელში. ყოველ ამ სიტყვა-თავანს გარკვეული „სოციალური აქცენტი“ მოეპოვება იმისდა კვალად, თუ როგორია მთქმელის სოციალური მრწამსი, რა კლასის თვალსაზრისზე დგას იგი. სოციალური აქცენტი აქ კლასობრივ თვალსაზრისს გადმოგვცემს. სოციალური არ უდრის კლასობრივს: შეიძლება რომელიმე პროფესიის ანდა კონფესიონალური ჯგუფის თვალსაზრისი დაჩნდეს სიტყვაში: ესეც სოციალური იქნება, მაგრამ კლასობრივი — არა (მაგალითად: „ურია“ — „ებრაელის“ ნაცვლად: ამაში სხვა სარწმუნოების მიმდევართა თვალსაზრისი ჩანს: „ურია“ — „მუსულმანი“ — „ქრისტიანი“); „ჟიდი“ კი კლასობრივ თვალსაზრისს ამჟღავნებს; ესაა ანტისემიტის თვალსაზრისი.

კლასობრივი თვალსაზრისი სოციალურის ერთი სახეობაა. მისი გამოვლენა მეტყველებაში **ორი გზით** ხდება: ერთია **აქცენტი**, სიტყვას რომ ახლავს და კლასის თვალსაზრისს რომ შეესაბამება¹.

მეორე საშუალება ისეთი **სიტყვის შერჩევაა**, რომელიც სათანადო სოციალურ აქცენტს შეეფერება, გარკვეული კლასის თვალსაზრისს გამოხატავს.

ერთსა და იმავე მოვლენას (საგანს, ფაქტს...) სხვადასხვა სიტყვა განსხვავებულად აღნიშნავს; აი მაგალითად, წყვილები. რევოლუცია — ბუნტი, რევოლუციონერი — კრამოლნიკი, უკრაინა — მალოროსია, რიგითი ჯარისკაცი (рядовой) — „მდაბალი ჩინი“ (нижний чин)... „ბუნტი“, „კრამოლნიკი“ მეფის რუსეთის ტერმინოლოგიაა; „მალოროსია“ თვითმპყრობელობის ეროვნულ პოლიტიკას გამოხატავდა; „მდაბალ ჩინში“ (нижний чин) მეფის არმიის ჯარისკაცის უფლებობა მოჩანს.

მაქსიმ გორკის მოეპოვება პატარა, მაგრამ შესანიშნავი ნაწარმოები „ამხანაგი“. ავტორისთვის ჩვეული ოსტატობით აქ ნაჩვენებია ის ახალი და ღრმა სოციალური აზრი, რომელიც შეეძინა სიტყვას „ამხანაგი“ 1905 წ. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით დაჩაგრულ მშრომელთა წრეებში („ამხანაგი“ მ. გორკის დაწერილი აქვს იმხანად).

„ამხანაგი! ეს სიტყვა არ იყო მათთვის ახალი, მათ მანამდეც სმენი-ათ ეს სიტყვა და წარმოუთქვამთ იგი; წინათ ეს სიტყვა ჟღერდა, როგორც ცარიელი და უაზრო ბგერა, როგორც ყველა ცნობილი გაცვეთილი სიტყვა, რომლებიც შეიძლება დაივიწყო — და არაფერს დაკარგავ. მაგრამ ახლა იგი, ნათელი და მტკიცე, ჟღერდა სხვაგვარად, მასში მღეროდა სხვა სული და იყო მასში რაღაც მტკიცე, მოელვარე და მრავალწახანაგოვანი, ვით აღმასი...

ამხანაგო! ამბობდნენ ისინი. და გრძნობდნენ, რომ ეს სიტყვა მოვი-და, რომ გააერთიანოს მთელი სამყარო, აიყვანოს ყველა ადამიანი თავი-სუფლების სიმაღლეზე და შეაკავშიროს ისინი ახალი კავშირებით, ერთმა-ნეთისადმი პატივისცემის მტკიცე კავშირით, ადამიანის თავისუფლებისადმი პატივისცემის... კავშირით.

¹ საამისო მაგალითები იხ. ავტორის: „ზოგადი ენათმეცნიერება“, I ნაწ., § 13.

ამხანაგო! ეს სიტყვა ჟღერდა..., როგორც სასიხარულო ცნობა მომავლის შესახებ, ახალი ცხოვრების შესახებ, რომელიც წინ იშლება ყველასთვის თანაბრად...

და მოუსვენარი, გაუხარელი სიცოცხლის ბნელ ქაოსში კიანთობდა კაშკაშა, მხიარულ ვარსკვლავად, მომავლისაკენ გზის მაჩვენებელ შუქად უბრალო, მაგრამ ღრმა, როგორც გული, სიტყვა: ამხანაგი!¹

მ. გორკის ეს ნაწარმოები ჰიმნია „ამხანაგისა“ და ჩაგრულ ადამიანთა თავისუფლებისა. ავტორმა ფაქიზად გვაჩვენა ის გრძნობები, რასაც ეს სიტყვა იწვევს, სოციალური აქცენტი, მას რომ ახლავს.

უადგილო არ იქნება, აქვე მოვიგონოთ, რა სიტყვებით ახასიათებს საბა-სულხან ორბელიანი მართალ ამხანაგობას ანუ, როგორც ის ამბობს, „კარგ ამხანაგს“:

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერვინ იყიდის. ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმალლე დაურღვეველია. ამხანაგი ლხინი ფრიალია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია, ზურგთა მბმელია. ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნო. უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა (ე. ი. ნაცნობთან — **ა. ჩ.**) მოსამსახურეა. ამხანაგი მართათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია. ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებში მკურნალია, სიკვდილში თავის წამებია. ამხანაგის უკეთესს შენ რას იშოვნი?“²

¹ ჩვენს თარგმანს, რა თქმა უნდა, მხატვრული თარგმნის პრეტენზია არა აქვს, მასთან მხოლოდ ზოგი ადგილი გვაქვს მოყვანილი, ისიც შეკვეცით. დედნის ეს ადგილები უფრო ვრცლად:

"В их жизнь, полную глухой, подавленной злобы, в сердца, отравленные многими обидами, в сознание, засоренное пестрой ложью мудрости сильных, - в эту трудную, печальную жизнь, пропитанную горечью унижений, - было брошено простое, светлое слово: Товарищ!"

Оно не было новым для них, они слышали и сами произносили его, оно звучало до этой поры таким же пустым и тупым звуком, как все знакомые, стертые слова, которые можно позабыть и – ничего не потеряешь. Но теперь оно, ясное и крепкое, звучало иным звуком, в ней пела другая душа, и что-то твердое, сверкающее и многогранное, как алмаз, было в нем.

Товарищ! – говорили они. И чувствовали они, что это слово пришло объединить весь мир, поднять всех людей на высоту свободы и связать их новыми узами, крепкими узами уважения друг к другу, уважения к свободе человека...

... Товарищ! Оно звучало..., как радостная весть о будущем, о новой жизни, которая открыта равно для всех впереди...

...И в смутном хаосе тревожной, безрадостной жизни – яркой, веселой звездой, путеводным огнем в будущее сверкало простое, глубокое, как сердце, слово: Товарищ!

იხ. М. Горький: "Товарищ".

² საბა-სულხან ორბელიანი: „თათვალი“ — სიბრძნე-სიცრუისა, 1928, გვ. 151-152.

ენის კლასობრიობის საკითხი სათანადოდ დამუშავებული არაა. ბევრი რამ აქ სადავოა და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რაც გარკვეულია და დასაბუთებული.

სათანადო დებულებები ასეთი სახისა იქნებოდა:

1. კლასობრიობა ენაში გარკვეული საზოგადოებრივი **კლასის თვალსაზრისის** გამოვლენაა.

2. ამ კლასობრიობას საფუძვლად უდევს **კლასობრივი დამოკიდებულება აღსანიშნისადმი**.

3. სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება „დაჩნდება ან **სხვადასხვა სიტყვის** ხმარებაში ერთი და იმავე აღსანიშნისათვის („რევოლუცია“ — „ბუნტი“), ანდა ერთი და იმავე სიტყვის ხმარებაში **სხვადასხვა სოციალური აქცენტით** (ემოციური იერით).

4. კლასობრივმა თვალსაზრისმა შეიძლება გამოსახულება პოვოს **მხოლოდ გარკვეულ მოვლენებში**, ისიც **მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში**.

უკანასკნელი დებულება დეტალიზაციას მოითხოვს. რა მოვლენებში შეიძლება გაჩნდეს კლასობრიობა? ყველაზე მკვეთრად — **ლექსიკასა და სტილში**. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა, მორფოლოგია, ფონეტიკა მაქსიმალურად ნეიტრალურია. საქმის ვითარებას არ ცვლის ცალკეული ფაქტები მორფოლოგიური თუ ფონეტიკური ფაქტის თავისებური გამოყენებისა (მრავლ. მესამე პირის ხმარება გერმანულში მეორის ნაცვლად, ზოგი ბგერის თავისებური წარმოთქმა ზოგ სოციალურ წრეში...).

წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასე არაა; ვთქვათ, ყოველი ენობრივი ფაქტი — ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და სტილისტიკური — კლასობრივ თვალსაზრისის გამოხატავს, კლასობრივ სხვაობას ამჟღავნებს. რა გამოვა? ტომობრივი და ნაციონალური ენები გაქრება, ხელში შეგვრჩება მხოლოდ კლასობრივი ენა. მაგალითად, გვექნებოდა ბურჟუაზიულ-ინგლისური და პროლეტარულ-ინგლისური თავ-თავისი ლექსიკით, მორფოლოგიით, სინტაქსით... ინგლისური კი, როგორც **საერთო ენა**, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. ასეთი ენების არსებობა კი ფაქტია.

საერთო ენა ერის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. ენგელსის თქმით, ინგლისის მუშათა კლასი და ინგლისის ბურჟუაზია „ორი სრულიად განსხვავებული ხალხია, იმდენად განსხვავებული, რამდენადაც კი შეიძლება იყოს განსხვავებული მხოლოდ ორი რასა — ორი ხალხი“. ენა? „მუშებს თავისი დიალექტი აქვსო“ — ამბობს ენგელსი¹, ესაა კლასობრივი დიალექტი, მაინც **დიალექტი** და **არა ენა**.

¹ იხ. „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, გვ. 415. მოგვყავს შეკვეციტ.

საქმის ვითარება ემპირიულადაც შეიძლება შემოწმდეს. ავიღოთ ორი უკიდურესი პოლიტიკური მიმდინარეობის პრესის ორგანო, მაგ., ლენინის „პრავდა“ და სუვორონის „ნოვოე ვრემია“. რა ენით წერდნენ ეს გაზეთები? რუსული სალიტერატურო ენით. ეს ენა ლექსიკისა და სტილის მხრივ **დიდად განსხვავდება** ამ გაზეთებში, მაგრამ სიტყვათა ფორმები (ბრუნებისა და უღვლილების ფორმები), სიტყვათა დაკავშირების წესები შესიტყვებაში, მით უფრო ბგერითი შედგენილობა — ერთნაირია.

რატომ აღმოჩნდა ეს შესაძლებელი? იმიტომ, რომ ეს ფაქტები კლასობრივ თვალსაზრისს არ ასახავს, კლასობრივად ნეიტრალურია: **революционер** სიტყვაცა და **крамольник**-იც ნათესაობითში თანაბრად დაირთავა -ა-ს, მიცემითში -ყ-ს და ასე შემდეგ.

„ბატონო რედაქტორო!“ ასე იწყებოდა ხოლმე წერილი რედაქციის მიმართ რევოლუციამდელ გაზეთებში. ახლა ვწერთ: „ამხანაგო რედაქტორო!“ **ბატონ**-ფუძე შეიცვალა **ამხანაგ**-ფუძით: ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას ეს ახალი ფუძე შეეფერება. ძველი დაბოლოება **-ო** კი დარჩა. რატომ არ შეცვალეს ეს ძველი დაბოლოება ახლით, განსხვავებულით? იმიტომ, რომ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას **ეს -ო** ისევე შეეფერება, როგორც ძველს შეეფერებოდა, ზუსტად რომ ვთქვათ, **არც ძველის შესაბამისი იყო და არც ახლისაა**, ის ამ **ურთიერთობათა გარეშე** დგას, ნეიტრალური საშუალებაა, გამოსადეგი ორივესთვის, ის რომ ძველი თვალსაზრისის გამოვლენის საშუალება ყოფილიყო, იგივე ბედი ეწეოდა, რაც ბატონ-ფუძეს ეწია („ბატონო რედაქტორო“ შეიცვლებოდა ვთქვათ: „ამხანაგე რედაქტორე“-თი!).

საიდან წარმოდგა დებულება — ენაში ყველაფერი კლასობრივიაო? ეს მცდარი დებულება შემთხვევით არ გაჩენილა. მას საფუძვლად უდევს ასეთი მარტივი მსჯელობა: ენა ზედნაშენური კატეგორია, იდეოლოგიური მონაცემია. ყველა ზედნაშენური იდეოლოგიური მონაცემი კლასობრივია. მაშასადამე, ენაც კლასობრივი უნდა იყოს. ფაქტობრივ ვითარებას ეს დასკვნა არ შეეფერება, მაგრამ მას მაინც კატეგორიული მტკიცების სახით წარმოგვიდგენენ.

ენა ნიშანთა სისტემაა. ნიშანი გულისხმობს აღსანიშნს; ამ უკანასკნელის მიმართ იგი ზედნაშენური ბუნებისაა. მაგრამ **ერთი ძირითადი თავისებურება** ენისა, როგორც ზედნაშენური კატეგორიისა, იმაში მდგომარეობს, რომ **ენა ფორმა და გამოსახულების საშუალებაა** სხვა **ზედაშენურ მოვლენათათვის, როგორცაა ლიტერატურა, მეცნიერება, სამართალი, რელიგიები...**

როგორ შევუფუთოთ ამ დებულებას ცნობილი ფაქტი, რომ მორფოლოგიური კატეგორიები (რიცხვისა, გრამატიკული კლასისა...) ასახავენ სათანადო ენობრივი კოლექტივის მსოფლმხედველობას? განა მსოფლმხედველობა შეიძლება არ იყოს კლასობრივი? საქმე ისაა: რომ კლასობ-

რიგია მსოფლმხედველობა კლასობრივ საზოგადოებაში. ეს მორფოლოგიური კატეგორიები კი შექმნილია დიდად უფრო ადრე, ვინემ საზოგადოება კლასებად დაიყოფოდა და კლასობრივი თვალსაზრისი გაჩნდებოდა. მსოფლმხედველობის ასახვა კლასობრივ თვალსაზრისს არ გულისხმობს: ძველი, წინაკლასობრივი საზოგადოების მსოფლმხედველობაა ეს და იმიტომ.

ამრიგად: ენის მორფოლოგიურ კატეგორიათა ნეიტრალური ხასიათი არაა შემთხვევითი ფაქტი. პირიქით, ესაა ენის სპეციფიკის კანონზომიერი გამოვლენა.

ენის კლასობრიობასთან დაკავშირებით უნდა გავარჩიოთ ერთი დებულება: ენა კლასობრივი ბრძოლის იარაღიაო (იგულისხმება: კლასობრივ საზოგადოებაში). ეს ნიშნავს: ენა ემსახურება კლასს მისი ინტერესების დაცვაში, მისი თვალსაზრისის გატარებაში. ეს ფაქტია. განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ენა კლასობრივი უნდა იყოს? ოდნავადაც **არა!** ენას ყველა კლასი იყენებს, ენა სხვადასხვა, ერთიმეორის მოპირდაპირე კლასებს მოემსახურება. ამა თუ იმ კლასის წარმომადგენელი ენის საშუალებით ურთიერთობას ამყარებს, ენას ზემოქმედების იარაღად იყენებს არა მხოლოდ თავისი კლასის შიგნით, არამედ აგრეთვე საზოგადოების სხვა ფენებთან ურთიერთობისას. რომელსამე ბურჟუაზიულ პარლამენტში ტრიბუნაზე რომ გამოდიან სხვადასხვა კლასის ინტერესთა დამცველი დეპუტატები, სრულებითაც არ ცდილობენ ისე ილაპარაკონ, რომ ამან შთაბეჭდილება დატოვოს მხოლოდ თანამოაზრეებზე. პირიქით, „წარმატება ხვდაო“ — მაშინდა იტყვიან, თუ ეს ნათქვამი ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა არათანამოაზრეებისთვისაც.

დასკვნა: ენა კლასობრივი ბრძოლის იარაღია, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვი — ენა კლასობრივიაო. უნდა განვასხვავოთ თავისი (არსებით) **ბუნებით — de natura** — კლასობრივი მოვლენა მოვლენისაგან, რომელსაც ესა თუ ის კლასი თუ კლასები იყენებენ: შაშხანა თოფი, რომელიც მეფის ჟანდარმს ეკავა ხელში, მონარქიისა და ბურჟუაზიის დაცვის იარაღი იყო. იგივე თოფი ბარეკადებზე მუშის ხელში მუშათა კლასს ემსახურებოდა, და მონარქიის დამხობის იარაღს წარმოადგენდა: თოფი იარაღია კლასობრივი ბრძოლისა, მასთან „იარაღი“ არა გადატანითი მნიშვნელობით, არამედ პირდაპირ და უშუალოდ, იარაღია ნამდვილი ბრძოლისა (ამ სიტყვის ფიზიკური შინაარსით). კლასობრივია თუ არა ეს შაშხანა თოფი? თუ — კი, რომელი კლასისაა იგი? არც ერთი კლასის და ამიტომ ყველა კლასისა, უკეთ, კლას-გარეშე. რაც თოფია ბარეკადებზე ბრძოლაში, იგივეა ენა კლასობრივ საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის პირობებში.

თავისი ბუნებით (არსებით) კლასობრივი მოვლენა შეუძლებელია მოემსახუროს სხვადასხვა კლასს: ასე, მაგალითად, ფაშიზმის რასობრივი თეორია არაა და არც შეიძლება იყოს მშრომელთა კლასობრივი ინტერესების შესაბამისი — მას ვერც გამოიყენებს მშრომელი ადამიანი თავისი ინტერესების დასაცავად, რასობრივი თეორია მხოლოდ ფაშისტურ რეაქციას გამოადგება კლასობრივ ბრძოლაში იარაღად.

დავასკვნათ: კლასობრივი საზოგადოების არსებობის დროს ენაში კლასობრივი შეიძლება იყოს მხოლოდ ის მოვლენები, რომლებშიაც ასახულია კლასობრივი თვალსაზრისი, რომლებშიაც ჩანს კლასობრივი დამოკიდებულება აღსანიშნისადმი (უბირატესად — ლექსიკა-სტილი). უკლასო საზოგადოებაში კი ენაში არაფერი იქნება კლასობრივი. ეს ითქმის წინაკლასობრივი საზოგადოების შესახებაც და მომავალი უკლასო საზოგადოების შესახებაც.

§ 93. სოციალურობისა და კლასობრიობის ფარდობისათვის ენაში. რგორია შეფარდება სოციალურობასა და კლასობრიობას შორის ენაში?

ენაში სოციალურია (კოლექტივისეულია) ყველა ფაქტი, სოციალურია — **ყოველთვის. კლასობრიობა** კი შეიძლება დაჩნდეს (გამოსახოს) ენის **მხოლოდ გარკვეულ მოვლენებში**, ისიც არა ყოველთვის, არამედ **მარტოოდენ კლასობრივ საზოგადოებაში.**

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ენაში სოციალურობასა და კლასობრიობას „განკრძალვით გარჩევა უნდა“, მათი აღრევა შეუწყნარებელია.

§ 94. ენობრივი სისტემის რაობისათვის. ენა შედგება ნიშნებისაგან. ნიშნები მიმართებშია აღსანიშნთან. აღსანიშნი, როგორც ვიცით (§ 83), სინამდვილეა (ბუნება და საზოგადოება) მთელი თავისი მრავალფეროვნებით. აღსანიშნის სამყაროს ფაქტთა სიმრავლე საფუძვლად უდევს ენობრივ ნიშანთა სიმრავლეს.

სინამდვილის ფაქტები და მოვლენები ერთმანეთთან მრავალგვარ კავშირშია. ბუნებრივია, თუ ენობრივი ნიშნებიც კავშირში აღმოჩნდებიან ერთმანეთთან.

ენობრივი ნიშნები სისტემას ქმნიან: ნიშანთა სიმრავლე მექანიკური გროვა როდია, ესაა მოწესრიგებული სიმრავლე, სადაც **ყოველ ნიშანს მიჩენილი აქვს გარკვეული ადგილი** ნიშანთა სიმრავლეში. რის მიხედვით? იმის მიხედვით, თუ **როგორია მისი მიმართება**, ერთი მხრით, **აღსანიშნთან** და მეორე მხრით, **სხვა ნიშნებთან.**

ენობრივ ნიშანთა სიმრავლე სისტემაში **მთლიანობად** წარმოგვიდგება.

ენობრივ ნიშნებს შორის **სიტყვათა მარაგია** (ლექსიკა), ენის ძირითად მატერიალურ ფონდს რომ ქმნის. მორფოლოგია¹, სინტაქსი, სტილისტიკა ამ ფონდის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებენ. მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსის დებულებანი ესაა ფორმულები, რომლებიც აღნიშნავენ, რა ადგილიც უკავია სიტყვებსა და მათ ვარაიციებს ენობრივი სისტემის შიგნით.

ორიოდე მაგალითი ახალი ქართულიდან. თუ სახელის ფუძე თანხმოვნით თავდება, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი იქნება **-მა** (მეგობარ-**მა**), თუ ხმოვნით **-მ** (ძმა-**მ**). ამით გარკვეულია, მოთხრობითი ბრუნვის რა ვარიანტი როდის იქნება ახ. ქართულში გამოყენებული.

ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ქართული **-ელ** სუფიქსს იყენებს, ნივთის სადაურობის აღსანიშნავად **-ურ-**: კახ-**ელ-**ი მევენახე, კახ-**ურ-**ი ღვინო...

თუ მსაზღვრელი **უშუალოდ** წინ უძღვის საზღვრულს და ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე აქვს, ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს; მაგრამ თუ ფუძე თანხმოვანზეა დაბოლოებული, მსაზღვრელი ბრუნვათა მიხედვით იცვლება:

ღრმა მდინარე, ღრმა მდინარემ, ღრმა მდინარეს, ღრმა მდინარის...
მაგრამ:

ხარბი თვალი, ხარბმა თვალმა, ხარბ თვალს, ხარბი თვალის...

თუ ზმნა გარდამავალია, ნამყო ძირითადში სუბიექტი მოთხრობითში დაისმის, ობიექტი ნივთისა — სახელობითში. თუ ზმნა გარდაუვალია — სუბიექტი სახელობითში იქნება, ობიექტი კი (როცა ის არის) — მიცემითში.

მეზობელმა სახლი ააშენა — მეზობელი მეზობელს დაეხმარა...

აი მარტივი ნიმუშები იმ მორფოლოგიურ და სინტაქსურ ფორმულათა, რომლებიც მიუთითებენ, რა ადგილიც უკავია ახალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაში ხსენებულ მორფოლოგიურ ფაქტებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს.

ანალოგიური ფაქტები ფონეტიკაშიც დაიძებნება. სხვადასხვა ქართულ სიტყვაში ბგერათა თანამიმდევრობა შემთხვევითი და ნებისმიერი გვეჩვენება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ნამდვილად კი აქაც კანონზომიერებაა და არა შემთხვევითობა და ქაოსი. ასე, მაგალითად, ქართულში **წყ**-კომპლექსი ჩვეულებრივია (**წყ**ალი, **წყ**ება, **მწყ**ერი, **წყ**დომა, **წყ**-რომა...), მაგრამ არ დაიძებნება არც ერთი შემთხვევა **ყწ**-კომპლექსისა. ამჟამად გამორკვეულია, რატომაცაა ეს ასე: **წ**-ს შემდეგ **ყ** ფონეტიკურადაა განვი-

¹ სადაც ენის სტრუქტურა მას შესაძლებელს ხდის: მორფოლოგია გრამატიკის უცილობელი ნაწილი არაა. სინტაქსი და სტილისტიკა — ყველა ენის დამუშავებისას შეიძლება ჩამოყალიბდეს.

თარებული (გ. ახვლედიანი), ყ-ს შემდეგ კი წ არ ვითარდება. კომპლექსის საკითხი ზოგად კანონზომიერებას ემყარება.

კიდევ: ძველი ქართულისათვის **ვს** კომპლექსი კანონზომიერია, **სვ** — არაა; ასეთ შემთხვევაში კომპლექსის მეორე წევრი უთუოდ **ხ** იქნება: **ვს**, ერთი მხრით, — **სხ**, მეორე მხრით, თანაბრად ბუნებრივია (ვ. თ. ფ. უ. რ. ა).

სტილისტიკის ხაზით ენობრივი ფორმულები, პირველ ყოვლისა, ბუნებრივ გამოთქმებზე მიაქცევს ჩვენს ყურადღებას; მხარი დაუჭირა, პატივი სცა, ნება დართო, უური იძია, გზა გაუკაფა, გული შეუწუხდა, თვალი მოავლო, — ქართული ფრაზეოლოგიის კანონზომიერი ფაქტებია.

რაც უფრო რთულია ენობრივი სტრუქტურა, მით უფრო მეტი **ფორმულები** დაგვჭირდება იმ კანონზომიერების გამოსავლინებლად, რომელიც სათანადო ენობრივ სისტემას ახასიათებს, და — პირუკუ. ქართულში სახელთა ბრუნება შეუდარებლად მარტივია, ვინემ რუსულში. ქართული ზმნის უღვლილება დიდად უფრო რთულია რუსულისაზე.

ერთი ენის ფაქტების შეპირისპირება მეორე ენისასთან ხელშესახებს ხდის სისტემისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებას.

რუსულში გვაქვს სახელები Ленинград, Харьков — ქართულად ითქმის ლენინგრადი, ხარკოვი (-ი დაერთო), მაგრამ Пушкино, Одесса ისევ იმ დაბოლოებით რჩება: პუშკინო, ოდესა... რატომ? იმიტომ, რომ ქართულში სახელთა გაფორმებას შემდეგი ფორმულა განსაზღვრავს: თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს სახელობითში -ი დაერთვის (კაც-ი, სახლ-ი... ბათუმ-ი, ფოთ-ი...), ხმოვანზე დაბოლოებულს — არა (გზა... ქვა... კლდე... სოკო... სამტრედია... ახმეტა... ერწო... წყალტუბო...)... სხვა ენის მასალის გაფორმებისას გამოჩნდა ქართულისთვის დამახასიათებელი **მორფოლოგიური** ნორმები.

რუსულის სუსტად მცოდნე ქართველი იტყვის ხოლმე: პრაშუ ვამ... ეტო ემუ ნე კასაეტსია... რა იწვევს შეცდომას? ის, რომ ქართულში ზმნები „სთხოვს“, „ენება“ პირის ობიექტს მიცემითში იგუებენ: სთხოვს ამხანაგებს... ეს არ ენება მას... რუსული სიტყვები ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა ქართული **სინტაქსის** ფორმულის მიხედვით. რუსულში დაშვებულმა შეცდომამ გამოავლინა ქართულის წესი.

ზევით ვამბობდით: ენობრივი **სისტემები განსხვავდება სიართულე-სიმარტივის** მხრივო. განსხვავება ამით არ ამოიწურება: სხვაობა თვით ამ **სისტემის შინაარსშიაც** დასტურდება. ეს ითქმის **ლექსიკურ** შედგენილობაზე, **მორფოლოგიურ** ინვენტარზე, სტილის დამახასიათებელ გამოთქმებზე, ბგერებზე, ენის ამ საშენ მასალაზე:...

ქართულად ითქმის: საერთო საქმე, მაგრამ ზოგადი ენათმეცნიერება; რუსულად გვექნება: общее дело, общее языкознание.

ქართველი ამბობს: კარაქი, ერბო, ზეთი... რუსისთვის ყველა ეს **масло**-ა, — ოღონდ სხვადასხვანაირი: კარაქი — **сливочное масло**, ერბო — **топленое масло**, ზეთი — **растительное масло**... პირუკუ: ქართულად ვამბობთ: „დიდი სახლი“, „დიდი მოაზროვნე“ — რუსი სხვადასხვა სიტყვებს იხმარს დიდი-ს ადგილას: **большой дом, великий мыслитель**...

ქართულ ბრუნებაში მოთხრობითი გვაქვს, რუსულში — არა; რუსულში — აკუზატივი (**винительный**) მოიპოვება, ქართულმა ასეთი ბრუნვა არ იცის.

ორპირიანი ზმნა ქართულში ჩვეულებრივია (**მ**-ეხმარებ-ა მე ის, **გ**-ეხმარებ-ა შენ ის...), რუსულში ყველა ზმნა ერთპირიანია (**помогает он мне, тебе, ему**...).

წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი სხვაობა ენებს შორის არა გვაქვს. მაშინ ყველა ენას ერთი ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი და სტილისტიკა აღმოაჩნდებოდა, განსხვავება მხოლოდ სიტყვებში გვექნებოდა; ერთისა და იმავე საგნის სახელი სხვადასხვა ბგერებისაგან შედგება: სახლი — **дом**, კლდე — **скала**...

ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში — სხვა... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან — სხვაგვარად:

სამოცი (**3X20**) და **шестьдесят (6X10)** ობიექტურად ერთი და იგივეა. მაგრამ ქართულმა იგი სამი ოცეულისაგან შემდგარად წარმოვიდგინა, რუსულმა — ექვსი ათეულისაგან ააგო. შედეგი ერთია, პროცესი — სხვადასხვა (ესაა უმარტივესი მაგალითი — რიცხვის მასალაზეა და იმიტომ; შეიძლება შედეგშიაც იგრძნობოდეს ერთგვარი სხვაობა).

ანდა გამოთქმები რომ ავიღოთ: „ღვიძლი ძმა“ — ხუნძ. ტულალ'ულ ვაც (=ღვიძლი ძმა) — მეგრ. კვიდრი ჯიმა (=მკვიდრი ძმა) — რუს. **родной брат** (=შობითი ძმა)...

ანდა: ამხანაგს უყვარს წიგნის კითხვა — **товарищ любит читать книгу**; ქართული ფრაზა სიტყვასიტყვით რომ გადაგვეთარგმნა, იქნებოდა: **"товарищу любо (любится) книги чтение..."**

ზოგჯერ თავისებურება ისე შორს მიდის, რომ ერთი ენის გამოთქმა პირდაპირ არც ითარგმნის: გული მოუვიდა — **"сердце пришло к нему (!)"**, „აქ ქარი იცის“ — **"здесь ветер знает (!)"**...

დებულება: ყოველი ენა მსოფლიმხედველობააო, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურ სისტემაში, სინამდვილე (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული).

§ 95. ღირებულება-ცნებისათვის ენობრივ სისტემაში. ენობრივი სისტემისათვის ამოსავალია **ნიშნის ფუნქცია**, ე. ი. ნიშნის მიმართება **ალ-სანიშნისადმი**; მაგრამ როგორც ნათქვამია ზემოთ (გვ. 234), არის მეორე მომენტიც: ნიშნის მიმართება სხვა ნიშნებისადმი იმავე ენაში.

როგორია ამ მომენტის ხვედრი წონა?

ნიშანთა ურთიერთობაზე ენობრივი სისტემის შიგნით ყურადღება გაამახვილა სოსიურმა; იგი წერს: „რაკი ენა წარმოადგენს სისტემას, რომლის ყველა ელემენტი მთლიანობას ქმნის, ცალკეული ფაქტის ღირებულება მომდინარეობს ერთდროულად სხვა ფაქტების არსებობისაგან...“¹

ფრანგ. *mouton*, რუს. *баран* (ვერძი“) ერთი და იმავე მნიშვნელობისაა თითქოს, მაგრამ ფრანგ. *mouton* „ცხვრის ხორცსაც“ ნიშნავს, რუსულს კი საამისოდ *баранина* აქვსო².

ამგვარად, სიტყვებს *mouton* და *баран* სხვადასხვა **ღირებულება** (*valeur*) აქვს სათანადო ენობრივ სისტემაში: „შედის რა სისტემის შედგენილობაში, სიტყვას აქვს არა მხოლოდ მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე — და უმთავრესად — ღირებულება და **ეს კი სულ სხვა რამეა**“ (ხაზი ჩვენი — **ა. ჩ.**)³.

ფრანგული მრავლობითი — ამბობს სოსიური — და სანსკრიტის მრავლობითი ერთი და იგივე არაა: ფრანგულში მხოლოდობითი და მრავლობითი გაირჩევა, სანსკრიტში კი მხოლოდობითისა და მრავლობითის გარდა ორობითიც არის (თვალეზი, ყურები, ხელები, ფეხები ერთი ინდივიდისა — ორობითში დაისმის). მაშასადამე, მრავლობითის გამოყენების არე სანსკრიტსა და ფრანგულში განსხვავებულია⁴.

ანალოგიური მაგალითები ყველა ენაში დაიძებნება: შდრ. რუს. *имеет* ქართ. აქვს: *книгу имеет* — წიგნი აქვს, მაგრამ: *брата имеет* — ძმა ჰყავს... რუს. *положение*, ქართ. მდგომარეობა: *тяжелое положение больного* — ავადმყოფის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ: *положение в пространстве* — სივრცეში მდებარეობა; *основное положение доклада* — მოხსენების ძირითადი დებულება... ასევე: *племянник* — დისწულიცაა და ძმისწულიც (ოღონდ ვაჟი!), *племянница* — დისწული, ძმისწული (ქალი); რუსული ენა არ განასხვავებს, ვისი შვილია — დისა თუ ძმის; ქართული არ განასხვავებს, ვაჟია თუ ქალი... რუს. *тетка* — მამიდაცაა, დეიდაცა და ბიცოლაც... (იხ. აგრეთვე მაგალითები ზემოთ, გვ. 236).

¹ სოსიური: „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, რუს. თარგმანი, მოსკოვი. 1933 წ., გვ. 114.

ფრანგულ ლედანში აღებულია ფრანგ. *mouton* და ინგლ. *sheep* და *mutton*. რუს. თარგმანში ეს მაგალითი შეცვლილია რუსული ეკვივალენტებით: *баран, баранина*.

² იქვე, გვ. 11.

³ იქვე.

⁴ იქვე.

რუს. *шитье* — ქართ. კერვა ("школа кройки и шитья" — „ჭრა-კერვის სასწავლებელი“). მაგრამ „დაიწყო პალტოს კერვა“ — "начал шить пальто"...

„მაღალი“ თითქოს იგივეა, რაც რუს. *высокий*; ნამდვილად კი რუსულში მისი ფარდია *высокий, -ая -ое: высокий дом, высокая башня, высокое дерево* — მაღალი სახლი, მაღალი კოშკი, მაღალი ხე...

რუს. *помогает* — ეხმარება, შევლის... თითქოს ასეა! მაგრამ: *помогает тебе* — გეხმარება, *помогает мне* — მეხმარება... მამასადამე: ეხმარება-ს ეკვივალენტურია *помогает ему, им...* ეხმარება — არის ფორმა მესამე პირის სუბიექტისა და ობიექტისაც იმავდროულად, *помогает* მხოლოდ სუბიექტის III პირია.

ძვ. ქართ. წინადადება — აბრაამ შვა ისააკ (ძვ. სლავურით: *Авраам роди Исаака*) და გერმ. *Abraham zeugte Isaak* თითქოს ერთნაირ სუბიექტსა და ობიექტს შეიცავს: აბრაამ *Abraham*, ისააკ *Isaak*; ნამდვილად კი: ქართულში აბრაამ მოთხრობითია, გერმ. *Abraham* (რუს. *Авраам*) — სახელობითი; ქართულში ისააკ — სახელობითია, გერმ. *Isaak* — ბრალდებითი (აკუზატივი). შდრ. აბრაამ შვა ისააკ — მამამან შვა ძმ... *Abraham = Nominat. (der Vater), Isaak = Accus. (den Sohn)*... ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვას სხვადასხვა **მორფოლოგიური კვალიფიკაცია** უკეთდება იმიტომ, რომ სხვადასხვა **მორფოლოგიური ღირებულება** აქვს ქართულისა და გერმანულის სხვადასხვა მორფოლოგიურ **სისტემაში**.

§ 96. მნიშვნელობისა და ღირებულების ურთიერთობისათვის ენობრივ სისტემაში. ღირებულება ფაქტია; ამის თვალსაჩინოდ ჩვენება სოსიურის დამსახურებაა. როგორია მნიშვნელობისა და ღირებულების ურთიერთობა? ღირებულება ვერ დაუპირდაპირდება მნიშვნელობას, როგორც „სრულიად სხვა რამე“ ("tout autre chose")¹.

ღირებულება ეს **იგივე მნიშვნელობაა, ოღონდ დეტერმინირებული ენობრივ სისტემაში**. ეს დეტერმინაცია სისტემის სათანადო ფაქტებთან ურთიერთობის შედეგია. ეს ურთიერთობა ვერ გააქარწყლებს მნიშვნელობას; აღსანიშნისადმი მიმართება რჩება, როგორც ძირითადი მომენტი. ფრანგული (ანდა რუსული) მრავლობითი რიცხვი არ უდრის სანსკრიტი-სას (ან ძვ. ბერძნულისას), მათს ღირებულებას ვერ გავათანაბრებთ;

¹ ს ო ს ი უ რ ი გარკვეულ დასკვნებს აკეთებს ღირებულება-ცნებიდან; მთავარი შედეგია ისტორიზმის შეუფასებლობა. ეს პრინციპული შეცდომა ღირებულების არასწორი გაგებიდან მომდინარეობს.

ამის შესახებ საუბარი გვაქვს წერილში „სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა“ — „უნივერსიტ. შრომები“, XXVI (1944), გვ. 240-241.

მაგრამ ამისდა მიუხედავად ფრანგული მრავლობითიც მრავლობითია და სანსკრიტის მრავლობითიც! რატომ? იმიტომ, რომ ორსავე ენაში სათანადოდ ფორმები **მიუთითებენ სიმრავლეზე**. ოღონდ ფრანგულში ესაა ყოველგვარი ერთზე მეტი საგანი, სანსკრიტისათვის კი აქედან გამოირიცხება, ამას მოაკლდება **ორი საგნის** აღნიშვნის შემთხვევები (ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი აქ ცალკე რიცხვის მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის, ორობითისას)... სანსკრიტის მრავლობლითი განსხვავდება ფრანგულის მრავლობითისაგან **მოცულობით**, თუ შეიძლება ითქვას, კვანტიტატიურად, მაგრამ არა კვალიტატიურად: სანსკრიტის მრავლობითი მაინც მრავლობითია. და ამას, ვიმეორებთ, აღსანიშნისადმი მიმართება, **მნიშვნელობა განსაზღვრავს და არა ღირებულება**.

ღირებულება მნიშვნელობის მოდიფიკაციაა ენობრივი სისტემის წიაღში, პროდუქტია ენობრივი აპერცეფციისა. ღირებულება მოგვგაონებს საკონტექსტო მნიშვნელობას, ოღონდ ეს კონტექსტი ფრაზა კი არაა, არამედ ენის მთელი სისტემა. ღირებულების ძალა მნიშვნელობისას კი არ უარყოფს, არამედ მას ემყარება, როგორც საფუძველს: "БОЛЬШОЙ" და "ВЕЛИКИЙ", **ზოგადი და საერთო** (იხ. ზემოთ, გვ. 228) სათანადო ზოგადი მნიშვნელობის კერძობითი სახეებია. თითოეულ მათგანს აქვს მნიშვნელობა; მომალეთ ეს მომენტი, და შეუძლებელი გახდება ამ სიტყვათა ღირებულების გარკვევა სათანადო ენობრივ სისტემაშიც და სხვა სისტემებთან შეპირისპირებისას.

ღირებულებისთვის სათანადო ადგილის მინიჭება მნიშვნელობის დავიწყებას არ საჭიროებს, პირიქით, მოითხოვს მნიშვნელობის ადგილი მკაფიოდ მოიხაზოს. **მნიშვნელობა-ცნება ენობრივი სისტემისთვის ამოსავალია, ღირებულება-ცნება მისი კონკრეტიზაციის გამოვლენაა.**

ენობრივ სისტემას რომ მხოლოდ **მნიშვნელობის** მომენტი (აღსანიშნისადმი მიმართება) განსაზღვრავდეს, რეალობა რომ ენებში ერთნაირად აისახებოდეს, ყველა ენის სისტემა ერთნაირი იქნებოდა, ე. ი. ერთი ენობრივი სისტემა აღმოგვაჩნდებოდა, განსხვავებული მხოლოდ იმით, რომ ერთი და იმავე საგნის სახელები სხვადასხვა ბგერებისაგან შედგება (კლდე — скала, ფრან. roche, გერმ. Fels...).

ენობრივ სისტემას რომ მხოლოდ **ღირებულება-ცნება** ედოს საფუძველად, ერთი ენის სისტემას არაფერი ექნებოდა საერთო მეორე ენის სისტემასთან, გარდა იმისა, რომ ორივეში მასალად ბგერები აღმოჩნდებოდა (თუკი საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა ღირებულება-ცნებაზე ენობრივი სისტემის აგება: მნიშვნელობის გარეშე ღირებულება ფიქციაა).

ემპირიული მასალა კი გვეუბნება, რომ ენათა კონკრეტული სისტემები ამ ორ პოლუსს შორის მიმოიქცევა, ყოველ ენაში მოქმედებს ორი საწყისი: არ მოიპოვება არც ერთი ენა, რომ სხვა ენას რითიმე არ ჰგავდეს,

არ მოიპოვება არც ერთი ენა, რომ სხვა ენათაგან რითიმე არ განსხვავდებოდეს (და დროთა ვითარებაში „თავის თავისაგანაც“ არ განსხვავდეს).

ისტორიული დავა ფილოსოფიურსა და მეცნიერულ (ისტორიულ) გრამატიკას შორის ამ ფაქტითაა შეპირობებული.

რას მთავარი? **საერთო თუ განსხვავებული?**

„... თუ ფრიად განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრებანი საერთო აქვთ ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან, — მეორე მხრივ, **სწორედ ის, რაც ამ ზოგადისა და საერთოსაგან განსხვავებას წარმოადგენს, შეადგენს მათს განვითარებას**“-ო¹, შეიძლებოდა გვეთქვა კ. მარქსის სიტყვებით.

მართლაც, ისტორიული ენათმეცნიერების გაჩენაცა და განვითარებაც ენათა სხვაობის (სივრცეში, დროში) ძიებასთანაა შინაგანად დაკავშირებული...

ამით, რალა თქმა უნდა, „საერთოს“ საკითხი როდი მოიხსნა. „საერთო“ წინაპირობაა „განსხვავებულისა“: „განსხვავებული“ იმდენადაა „განსხვავებული“, რამდენადაც ამ საერთოს გულისხმობს. ამის გარეშე გვექნებოდა „სხვა“ (და არა „განსხვავებული“).

შესაბამისად: ენობრივი ფაქტის ღირებულება სისტემაში წარმოიქმნება ენობრივი ფაქტის მნიშვნელობის ფონზე. მნიშვნელობა წინაპირობაა ღირებულებისა, ენის სისტემაში ობიექტური მომენტი საყრდენია სუბიექტურისათვის.

„საერთოს“ დავიწყება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება მნიშვნელობის დავიწყება, მაგრამ ენის სპეციფიკის არსებითი მომენტის უგულვებლყოფა იქნებოდა, თუ „საერთო“ დაჩრდილავდა „განსხვავებულს“, მხოლოდ მნიშვნელობას დავინახავდით და ღირებულება შეუმჩნეველი დაგვრჩებოდა.

§ 97. ენა და აზროვნება. ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემა ძველისძველია. ამჟამად ეს პრობლემა, პირველ ყოვლისა, ორ-ორი სპეციალური მეცნიერების, ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების, შესწავლის ობიექტია. მაგრამ ამ საკითხზე უფიქრიათ, მის შესახებ მოსაზრებები გამოუთქვამთ გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება ცალკე მეცნიერებათა სახით ჩამოყალიბდებოდა. საკითხი ძველიცაა და რთულიც. იგი მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ აქ შემოვიფარგლებით იმით, რომ გამოვყოფთ ძირითად საკითხებს, რასაც ეს პრობლემა გულისხმობს და მივუთითებთ, როგორ დგება ეს საკითხი ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

¹ კ. მარქსი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ქართ. თარგმ., გვ. 5.

ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემა ენათმეცნიერებაში დგება ენის ექსპრესიული ფუნქციის გათვალისწინებისას (ამ ფუნქციის ხვედრი წონის შესახებ იხ. § 81).

ეს პრობლემა გულისხმობს ორ ძირითად საკითხს:

I. რა მიმართებაშია ენა და აზროვნება ერთმანეთთან ამჟამად:

ა. რა სამსახურს უწევს ენა აზროვნების პროცესს, როგორია **ენის მნიშვნელობა აზროვნებისათვის;**

ბ. როგორია სათანადო ფსიქოლოგიური პროცესი, ე. ი. **როგორ ხორციელდება აზრის გამოვლენა ენაში.**

II. როგორია **ისტორიული ურთიერთობა** აზროვნებისა და მეტყველებისა:

ა. რა უსწრებს რას: აზრი სიტყვას თუ პირუტყვ;

ბ. რა როლს ასრულებდა აზროვნების განვითარებაში მეტყველება და წინაუქმო, — მეტყველების განვითარებაში აზროვნება?

ერთი სიტყვით, ენისა და აზროვნების პრობლემას აქვს **ორი ასპექტი: ისტორიულ-გენეზისური** და არაისტორიული, **სისტემატური** ანალიზისა. როგორც უკვე ითქვა, პრობლემა არანაკლებაა ფსიქოლოგიის განსჯის საგანი, ვინემ — ენათმეცნიერებისა. კერძოდ, საკითხი — როგორ ხორციელდება აზრის გამოვლენა ენაში, როგორია სათანადო პროცესი, — თავისთავად ცხადია, სპეციფიკურ-ფსიქოლოგიურია.

რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ადამიანის აზროვნებისათვის მეტყველებას? ენა აზროვნების იარაღიაო, ასეთია პასუხის ტრადიციული ფორმულა. ამ ფორმულის შინაარსი უნდა დაზუსტდეს: არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აზრს მეტყველების გარეშე — ე. ი. სანამ ის მეტყველებაში გამოსახულებას პოვებდეს, — უკვე ჰქონდეს ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე და მეტყველება ასეთი მზამზარეული აზრის გარესამოსის როლში გამოდიოდეს. არა, **მეტყველება აზრის დანაწევრების, ჩამოყალიბებისა და გაფორმების** — მოკლედ, ხორცშესხმის — საშუალებაა.

აქედან დასკვნა: **დისკურსიული, დანაწევრებული აზროვნება მეტყველების გარეშე შეუძლებელია.**

„ცნება შეუძლებელია სიტყვის გარეშე, ცნებებით აზროვნება შეუძლებელია მეტყველებითი (ვერბალური) აზროვნების გარეშე“, წერს ლ. ვიგოტსკი¹. დ. უზნაძის თქმით: „სიტყვა განყენებული აზრის ობიექტივაციაა. იგი არათვალსაჩინო განცდის უშუალო მოცემულობად გადაქცევის საშუალებას იძლევა. უიმისოდ, მაშასადამე, განყენებული აზროვნების გაშლა შეუძლებელი იქნებოდა. ამრიგად, თვალსაჩინო, სენსორული შინაარსი პირველ რიგში სიტყვაში ხვდება არათვალსაჩინო აზრს და ამ უკა-

¹ იხ. Л. Виготский: Мышление и речь, мосკოვი, 1934 წ., გვ. 116.

ნასკნელს განვითარებისა და გაშლის შესაძლებლობას უქმნის. ამიტომ, რასაკვირველია, სამართლიანია, როდესაც ცნებითს, განყენებულ აზროვნებას ვერბალურ (სიტყვიერ) აზროვნებასაც უწოდებენ“ (ხაზი ავტორისაა)¹.

ცნებითი განყენებული აზროვნება შეუძლებელია მეტყველების გარეშე, — ამ საკითხში თანხმობა შემთხვევითი არაა, ესაა ამჟამად მიღებული შეხედულება. მაგრამ სწორედ განყენებული აზროვნებაა თანამედროვე კაცობრიობისათვის დამახასიათებელი: მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა უამისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ეს აზროვნება ვერ გახდებოდა ფაქტი მეტყველების გარეშე. მეტსაც ვიტყვი: კონკრეტული სახეებით აზროვნებაც საჭიროებს მეტყველებას, თუ მას დანაწევრებულ სახეს მივცემთ.

გვრჩება დაუნაწევრებელი, არადისკურსიული, აზროვნება, ე. წ. ინტუიციური აზროვნება (მაგალითად, ჰადრაკის თამაშის დროს რომ აქვს ადგილი); ის **არ საჭიროებს** მეტყველებას. მაგრამ საეჭვოა ინტუიციური აზროვნებას მიეღო ის სახე, რომელიც მას ახლა აქვს, მეტყველებითი (ვერბალური) აზროვნება გვერდით რომ არ უდგეს. **ინტუიციური აზროვნების შესაძლებლობაც, მაშასადამე, მეტყველებითი აზროვნების ფონზე უნდა იქნეს განხილული.**

§ 98. როგორია პროცესი აზროვნების გამოვლენისა მეტყველებაში?

ეს საკითხი ყველაზე გაურკვეველია: მისი დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა თანამედროვე ფსიქოლოგიაში არ ჩანს.

მოკლედ შევხებით გადაწყვეტის ერთ ცდას. იგი ასეთია: აზრთან ურთიერთობაშია არა თქმული სიტყვა, არამედ სიტყვის წარმოდგენა, არა „გარეგანი მეტყველება“, თუ შეიძლება ასე ითქვას, არამედ „შინაგანი მეტყველება“. მართლაც, მეტყველთან ჯერ აზრი გვაქვს, მერე შესაბამისი ენობრივი წარმოდგენები, შემდეგ კი სამეტყველო აპარატი წარმოქმნის სათანადო სიტყვებს, როგორც ფიზიკური ყოფიერების მქონე ურთიერთობის საშუალებებს. მსმენელამდის ჯერ ეს ფიზიკური მასალის სიტყვა მოდის, მერე აკუსტიკური სახე ივარაუდება, მერე — აზრი: მეტყველთან აზრით იწყება, მსმენელთან — აზრით თავდება. აზრი უცილობელი წევრია მიმართებისა.

პირველი სიძნელე აქ ჩნდება: სიტყვასთან აზრის ურთიერთობა რომ ვარკვიოთ, უნდა გვქონდეს აზრი, მეტყველების გარეშე აღებული, „მეტყველების მიღმა“ არსებული, „კრიტიკალური სახის აზრი“. მაგრამ ასეთი ფსიქოლოგიური ოდენობის მიღება ჭირს; ხოლო სანამ ფსიქოლოგიას ეს ვერ მოუხერხებია, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხი არა-თუ არ გადაწყდება, ჯეროვანი სახით არც დაისმის.

¹ იხ. დ. უ ნ ა ძ ე: ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940 წ., გვ. 383-384.

ვთქვათ, ეს დაბრკოლება გადავლახეთ: აზრის კრისტალები მოვიპოვეთ. მეორე წევრი, „შინაგანი მეტყველება“ გარკვეული ოდენობაა; საკითხავია, დაიყვანება თუ არა აზრისა და სიტყვის ურთიერთობის პრობლემა „აზრის კრისტალებისა“ და „შინაგანი მეტყველების“ ურთიერთობის პრობლემამდის? არა, ეს ვერ ამოწურავს საქმის ვითარებას.

მნიშვნელობის რაობის ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა (იხ. § 84), რომ არც საგნისა და არც სიტყვის წარმოდგენა აუცილებელი ნათქვამის გაგებისას მსმენელთან და, მაშასადამე, მეტყველთანაც: უსახო აზროვნების შესაძლებლობა ამის საწინდარია; შეიძლება აზრი გავიგოთ, რა გვითხრეს, ვიცოდეთ და კონკრეტული სახე (საგნისა, სიტყვისა) არ ჩანდეს; ასევე შეიძლება აზრი გამოვთქვათ და ასეთი სახეები არ დადასტურდეს ჩვენს „შინაგან გამოცდილებაში“; ასეთი „ავტომატურად წარმოსათქმელი“ და მოსმენისას „ავტომატურად გასაგები“ აზრი გამონაკლისი როდია. მაგრამ ის იშვიათიც რომ იყოს, მაინც პრინციპული ღირებულება ექნებოდა.

ამრიგად, „მეტყველებითი წარმოდგენებისადმი“ („შინაგანი მეტყველებისადმი“) აპელაციით საკითხი ვერ გადაწყდება. თვით საკითხის ამგვარი დასმა დროგადასულად უნდა მივიჩნიოთ მას შემდეგ, რაც უსახო აზროვნების ფაქტები დადგენილ იქნა. საკითხის ამგვარი დასმა ასახავს ფსიქოლოგიის განვითარების იმ ეტაპს, როდესაც **აზროვნების ფსიქოლოგია** უდრიდა **წარმოდგენათა ფსიქოლოგიას**. ახლა ეს განვლილი საფეხურია.

რა გამოვიდა? არკვევენ **აზრის** მიმართებას **„შინაგანი მეტყველებისადმი“** და მით სურთ გამოავლინონ, რაში მდგომარეობს აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა. მაგრამ აზრი, როგორც ასეთი, აზრი მეტყველების ჩარევის გარეშე — **გარკვეული ოდენობა აღარაა**, ის საძიებელია; „შინაგანი მეტყველება“ სრულიად გარკვეულ ოდენობას წარმოადგენს, მაგრამ ის ურთიერთობის **აუცილებელი წევრი** არაა. ამიტომ შინაგანი მეტყველებისადმი აპელაციით საკითხის გადაწყვეტა კერძობითი გადაწყვეტა თუ იქნებოდა.

ეს მიგვაჩნია პრინციპული ხასიათის დაბრკოლებად აზროვნებისა და მეტყველების **პროცესობრივი ურთიერთობის** ძიებისას. ამ დაბრკოლების შემოვლა საკითხის გადაწყვეტას კიდევ არ ნიშნავს, მაგრამ ამის გარეშე, თუ ეს წინაპირობა არ მოგვეპოვება, საკითხს ვერ გადავწყვეტთ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, ლ. ვიგოტსკი რომ წერს: „...**მიმართულებათა ცვლა ფსიქოლოგიაში**, რამაც ასე ძლიერად წასწია წინ ფსიქოლოგიის ისეთი თავები, როგორიცაა მოძღვრება აღქმისა და მეხსიერების შესახებ, ტოვებს **ერთ ადგილზე მოსაწყენი და ერთფეროვანი ტკეპნის შთაბეჭდილებას, წრეში ტრიალის შთაბეჭდილებას, როდესაც საქმე ეხება აზროვნებისა და მეტყველების პრობლემასაო**“¹.

¹ იხ. Л. Выготский, Мышление и речь, 1934, გვ. 267.

§ 99. როგორია აზროვნებისა და მეტყველების გენეზისური ურთიერთობა? წარმოშობის მიხედვით, რა უსწრებს რას? აზრი — სიტყვას თუ პირუკუ?

პირველი შეხედვით, აქ სარკვევი არაფერია: როგორ შეიძლება აზრის **წარმოშობა** არ უსწრებდეს სიტყვისას? სიტყვა აზრის გამოსახვის საშუალებაა; უნდა არსებობდეს ის, რაც უნდა გამოსახონ, რომ ვილაპარაკოთ იმის შესახებ, **რითაც** უნდა გამოსახონ.

ახლანდელი ვითარების მიმართ ამ დებულებას ძალა აქვს, მაგრამ ეს დედუქციური მსჯელობა ვერ გადაწყვეტს საკითხს, რამდენადაც **გენეზისი** გვაქვს მხედველობაში. საქმე ისე მარტივი როდია, თითქოს ჯერ ადამიანს აზროვნება განუვითარდა და შემდეგ კი ამ განვითარებულ, ჩამოყალიბებულ აზრს გამოსახვის საშუალება დაუძებნეს. ზემოთ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვნიშნა, რომ სიტყვა არაა სამოსი გაფორმებული, ჩამოყალიბებული აზრისათვის, ის თვით ამ ჩამოყალიბება-გაფორმების საშუალებაა; განყენებული აზრი ამ საშუალებაზეა დამოკიდებული. თუ ასეა ეს ამჟამად, რაღა ითქმის იმ ეპოქის შესახებ, როდესაც „ადამიანის წინაპრის“ ადამიანად ქცევის პროცესი მიმდინარეობდა.

მასასადამე: დებულებას — „აზროვნება უსწრებს მეტყველებასო“, — საკითხის ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტად ვერ გამოვაცხადებთ, რამდენადაც გენეზისის ძიება განგვიზრახავს. თუმცა აზრის უწინარესობას ახლაც ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს.

საილუსტრაციო მაგალითები: ა. აზრი წინ უსწრებს სიტყვას (წარმოშობის მიხედვით): შ ტ ა ი ნ თ ა ლ ი, ბ ე ნ ე კ ე, რ ა ვ ე ს ო ნ ი, მ ა ა ს ი ... „ენის შესაძლებლობის უცილობელი პირობა გონებაა. რაკი უმისოდ ცნებები შეუძლებელია, შეუძლებელია გვქონდეს ცნებათა რაიმე გამოსახულებაც, შეუძლებელია ენა“ (მ ა ა ს ი).

„ენა მიზეზი კი არაა გონებისა, არამედ მხოლოდ მისი პროდუქტი“ (რ ა ვ ე ს ო ნ ი).

ამავე დაფორმულებითაა ბ ე ნ ე კ ე ს დებულება წარმოდგენილი:

„ყოველი თვითმოქმედი აზროვნება ხორციელდება პირველ ყოვლისა ენის გარეშე... ენა არის აზროვნების პროდუქტი“¹.

„ადამიანის ენა მიზეზი კი არაა მისი გონისა (seines geistigen Charakters), არამედ ნაყოფი (Wirkung). ცხოველები სწორედ იმიტომ არ ლაპარაკობენ, რომ მათ სათანადო ფსიქიკური წარმონაქმნები არ გააჩნიათ“².

¹ Lehrb. der Psych., III გამოც., გვ. 54.

² იქვე, გვ. 55.

„...წარმოშობის მიხედვით მარტივი აზროვნება (ჭვრეტა) წინ უსწრებს ენას“¹.

ბ. უენოდ აზრი შეუძლებელია (გ ა ი გ ე რ ი, მ ა ქ ს მ ი უ ლ ე რ ი, მ ა უ თ ნ ე რ ი...):

„სანამ ენა გაუჩნდებოდა, ადამიანი გონებას მოკლებული იყო, ენა ქმნის გონიერ აზროვნებას“².

„გონება არ არსებობს ენის გარეშე; აზროვნება ენაა“³.

„არ არსებობს აზროვნება ენის გარეშე, არსებობს მხოლოდ აზროვნება, როგორც მეტყველება“⁴.

არა გენეზისი, არამედ თანამედროვე ვითარების თავისებური გაგებაა მოცემული შემდეგ გამონათქვამებში:

„აზროვნება და მეტყველება იდენტურია“⁵.

„გონება არის ენა (*"Vernunft ist Sprache"*). მთელი ფილოსოფია არის გრამატიკა“⁶.

ასეთ შემთხვევაში ურთიერთობის საკითხი არც დგას: ენისა და აზროვნების იგივეობის აღიარებით იგი მოხსნილია პრინციპულად.

ან ენა ან აზრი, ასეთია ალტერნატივა! რომელია უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან? არც ერთი, არც მეორე; მართებული იქნებოდა, თუ თავს დავაღწევდით ამ ალტერნატივას: არა **ან — ან**, არამედ **არც — არც...** „ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება“, — ამბობენ „გერმანული იდეოლოგიის“ ავტორები, მარქსი და ენგელსი (რუს. გამოც., გვ. 20)⁷.

გენეზისის თვალსაზრისით არც ენას აქვს უპირატესობა აზრის წინაშე, და არც აზრს ენის წინაშე: **ორივეს** ჩასახვას განსაზღვრავს **მესამე** ფაქტორი, ყველაზე არსებითი — **მოქმედება**, ელემენტარული შრომითი საქმიანობა, მიმართული ცხოვრებისეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ.

სიმძიმის ცენტრი მესამე ოდენობაზე გადადის; ამას მხარს უჭერს ყველაფერი, რაც ვიცით ადამიანის კულტურისა და მეტყველების გენეზისის შესახებ: პირველითვე იყო „საქმე“... „საქმემ“ ბიძგი მისცა ტვინის განვითარებასაც, მეტყველების გაჩენასაც... ეს დასაწყისში. შემდეგ?

¹ შტაინთალი: Einleit., მეორე გამოც., 1881, გვ. 51.

² "Vor der Sprache war der Mensch vernunftlos, die Sprache schafft das vernunftige Denken" — გ ა ი გ ე რ ი: Ursprung und Entwicklung der menschlichen Sprache und Vernunft, 1868, I, 22.

³ მაქს მიულერი: Das Denken im Lichte der Sprache, 1888, გვ. 69.

⁴ მაულენერი, Sprache und Psychologie, გვ. 106.

⁵ შლაიერმახერი, Psychol., 1862, გვ. 133.

⁶ ჰამანი, თხზ., ტ. VI, გვ. 365 (მოგვყავს Eisler-ის მიხედვით).

⁷ წარმოშობის მომენტს უნდა ეხებოდეს სიტყვები, რომლებიც ამას მოსდევს: „ენა ესაა სწორედ პრაქტიკული არსებული სხვა ადამიანებისათვის და მხოლოდ ამით აგრეთვე ჩემთვისაც არსებული ნამდვილი ცნობიერება“ (იქვე). ეს ადგილი ფასეულია ექსპრესიულ და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობის მხრივაც (იხ. გვ. 198-142).

მეტყველებისა და აზროვნების განვითარების შემდეგ ეტაპებზე კი არა მხოლოდ „საქმე“ მოქმედებს აზროვნებასა და მეტყველებაზე (კვლავ აზროვნების მეშვეობით), არამედ **თვით აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა იქცევა ძლიერ ფაქტორად, როგორც ერთის, ისე მეორის განვითარებისათვის.**

ამით პასუხი გაცემულია საკითხზედაც: რა როლს ასრულებდა აზროვნების **განვითარებაში** მეტყველება, და — წინაუქმო. ამ პასუხის ზუსტი ფორმულაა ენგელსის შემდეგი სიტყვები:

„ჯერ შრომა, და შემდეგ მის გვერდით დანაწევრებული მეტყველება აღმოჩნდა ყველაზე მთავარი სტიმული, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინს შეეძლო თანდათანობით გარდაქმნილიყო ადამიანის ტვინად. ტვინის განვითარების პარალელურად კი მიმდინარეობდა მისი უახლოესი იარაღების — გრძნობათა ორგანოების — განვითარება... ტვინისა და მისთვის დაქვემდებარებულ ორგანოთა... უკუქმედება კი — შრომასა და ენაზე — ორივეს სულ ახალსა და ახალ ბიძგს აძლევდა შემდგომი განვითარებისათვის“¹.

§ 100. ენის სპეციფიკის საკითხისათვის. არსებითად ეს საკითხი უკვე გარკვეულია აქამდის წარმოდგენილ მსჯელობაში, სხვადასხვა კონცეფციათა ანაღზის დროს — ნეგატიურად, ენის რაობის დახასიათებისას — პოზიტიურად. აქ მხოლოდ თავს მოგუყრით და შევავსებთ სათანადო დებულებებს.

ენა ნიშანთა სისტემაა. ნიშნის ცნება — ესაა ფუძემდებელი ცნება ენის რაობის რკვევისას. ბუნებრივია, თუ ამ ცნების შინაარსი დაგვანახვებს, რა არის ენისთვის სპეციფიკური. ნიშნის არსებითი, არაშემთხვევითი მომენტები უნდა გახდეს ამოსავალი საკითხის გარკვევისას.

ენობრივი ნიშანი ფიზიკურია მასალით, როგორც ნიშანი, სოციალურია მიზანდასახულებით, სისტემას ქმნის (სხვა ნიშნებთან ერთად). რა გამოდის აქედან?

1. ენობრივი ნიშანი რაღაცის ნიშანია. ამდენად, როგორც ვიცით (გვ. 230), ის **ფასეულია არა თავისთავად**, არამედ სხვა **რაღაცასთან მიმართებაში**, ფასეულია, როგორც ნიშანი.

ენობრივი ნიშანი **გამოსახვის საშუალებაა ისეთი მოვლენისათვის**, როგორიცაა ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, სამართალი, რელიგიური შეხედულებანი. კლასობრივ საზოგადოებაში ეს მოვლენები შესაძლოა კლასობრივი იყოს, ენა კი, როგორც ამ კატეგორიათა გამოსახვის საშუა-

¹ ენგელსი: შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში — იხ. *Диалектика природы*, რუს. IV გამოცემა, 1930 წ., გვ. 65.

ლება, არსებითად **ნეიტრალურია**, რამდენადაც საქმე ეხება ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს; კლასობრიობა შეიძლება დაჩნდეს მხოლოდ გარკვეულ მოვლენებში — ლექსიკა-სტილში (იხ. § 92, გვ. 227).

ამგვარად: ენის პირველი სპეციფიკური თვისება ენობრივი ნიშნის თავისებურებიდან მოდის; ენა **სპეციფიკური კატეგორიაა**

2. **ენობრივი ნიშნები სისტემას ქმნიან** (§ 94). სისტემის შექმნის საფუძველი ორი რამაა: ნიშნის მიმართება აღსანიშნისადმი, ერთი მხრივ, ნიშნის მიმართება სხვა ნიშნებისადმი, მეორე მხრივ. პირველი ნიშნის **მნიშვნელობაა** და აღსანიშნს გულისხმობს, ამ მხრივ არსებული თავისებურება წინა მუხლშია გათვალისწინებული. მეორე მომენტი, ნიშნის **ღირებულება**, საგულისხმოა: ენობრივი სისტემა, როგორც მთლიანობა, ნიშნის ამ მხარესთანაა კავშირში; ნიშნის ღირებულება, როგორც ენობრივი სისტემის წიაღში მნიშვნელობის მოდიფიკაცია, ნაჩვენებია თავის ადგილას (§ 96, გვ. 235). ორი მომენტის — **მნიშვნელობისა და ღირებულების** — ხვედრი წონის **შეფარდება** ენობრივი ნიშნის რაობას განსაზღვრავს, **ენობრივი ნიშნისთვის სპეციფიკურია**.

3. **ენობრივი ნიშნის მასალა ფიზიკურია: ეს მასალაა ბგერა** (ჟესტ-მიმიკის ენაში — მოძრაობა, ე. ი. კვლავ ფიზიკური მონაცემი).

ფიზიკური მასალა ესაჭიროება მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას. ფერწერისათვის მასალის საკითხი არაა მთლად პატარა საკითხი. არც ხუროთმოძღვრებისათვისაა სულერთი — აგურისგან მოუხდება მას სახუროთმოძღვრო ძეგლის აგება თუ ქვისაგან, ხისაგან თუ რკინა-ბეტონისაგან. ასევე: მოქანდაკისათვის სულერთი არაა — მასალად ქვა აქვს თუ ბრინჯაო; მასალის საკითხი აქაც არაა გამორიცხული.

მაგრამ ენისთვის მასალის საკითხი სრულიად განსაკუთრებულ სახეს იღებს; ენობრივი ნიშანი ცვალებადია. ენობრივი ნიშანი დროთა ვითარებაში შეიძლება ისე გარდაიქმნეს, რომ მისი ცნობა შეუძლებელი აღმოჩნდება, თუ არა გვაქვს გათვალისწინებული მომხდარი ცვლილება.

ამ ცვლის პროდუქტია დიალექტების გარდაქმნა ენებად, ერთი ენიდან ენათა წყების მიღება... ცვალებადია მასალა — ბგერითი მხარე. მასალის ცვლას ხშირად ფუნქციის ცვლაც ზედ ერთვის, მაგრამ ეს ორი პროცესი ერთმანეთთან შინაგანად არაა დაკავშირებული: შეიძლება მასალა იცვალოს, ფუნქციას ეს არ დაეტყოს და პირუკუ¹: მასალა — დროის გარკვეულ მონაკვეთზე — უცვლელად იყოს შემონახული, ფუნქცია კი არსებითად ცვლილიყოს.

¹ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ისტორიულ-შედარებით მეთოდთან დაკავშირებით.

დიფერენცია არა ქმნის ენობრივი ნიშნის ცვლის ერთადერთ შინაარსს. არაიშვიათად ადგილი აქვს საწინააღმდეგო პროცესსაც... ამის ერთ-ერთი გამოვლენაა განსხვავებულ ნიშანთა დამსგავსება: სულ სხვადასხვა წარმოშობის ნიშანი შეიძლება ბგერითად ერთნაირი აღმოჩნდეს. ომონიმების პრობლემას ეს აჩენს.

ორიოდე მაგალითი თქმულის საილუსტრაციოდ: ქართ. **იაკობი** და ინგლ. **ჯეკ** — ერთი და იგივე სიტყვაა.

ქართ. **თვე** და სვან. **დოშდულ** „თვე“ „მთვარე“ ისტორიულად ერთი და იგივე სიტყვაა (იხ. ქვემოთ). ამჟამად ამ ორ სიტყვას არც ერთი საერთო ბგერა არ გააჩნია.

ასევე ერთია წარმოშობით:

ქართ. **დარჩა** და სვან. **ჩუა-სად** („დარჩა“)...

პირუტყუ: ქრთ. ხერხი გამოთქმაში: „ხერხი სჯობია ღონესა“ სულ სხვა სიტყვაა, ვინემ იმავე ბგერათაგან შემდგარი „ხერხი“ გამოთქმაში: „ხერხით გახერხა“... ძვ. ქართ. პირველი იწერებოდა ჳ-არით: ჳერჳი (მოხერხება), მეორე კი ხ-ანით, — როგორც ახლა ხერხი (იარალი)...

ჳ-ს დაკარგვის შემდეგ პირველი მეორეს დაემსგავსა. თავისებური აქ ისაა, რომ მნიშვნელობით შეუძლებელი არ იქნებოდა ეს ორი სიტყვა დაგვეახლოვებინა: მოხერხება, — ხერხის, — გარკვეული იარალის, — გამოყენება... მნიშვნელობათა ანალოგიური განვითარება უჩვეულო რამ არაა. ამრიგად, გამოვიდოდა, რომ ჩვენ აქ გვაქვს ერთი სიტყვა ორი მნიშვნელობით, ვთქვათ იმ რიგისა, როგორცაა: წვერი: წვერი მოიპარსა — კალმის წვერი...

ნამდვილად კი ჩვენ წინ ორი სიტყვაა, ბგერითად დამსგავსებული, წარმოშობითა და ფუნქციით სხვადასხვა. ამას ისტორია გვეუბნება.

კამპანია: „წარმატებით ჩავატარეთ თესვის კამპანია!“ — „კამპანიას გაუმარჯოს!“ (იხ. ვაჟა-ფშაველა: „ჩხიკვათა ქორწილი“).

რა გვაქვს აქ: ერთი სიტყვა ორი მნიშვნელობით თუ ორი სიტყვა ერთნაირი ბგერითი შედგენილობისა? ეს სიტყვები შემოსულია რუსულის მეშვეობით. საკმარისია რუსულის ჩვენება გავითვალისწინოთ, რათა ცხადი გახდეს, რომ აქ ორი სხვადასხვა სიტყვა გვქონია:

"посевная кампания" — "Зингер и компания"...

Кампания ფრანგული სიტყვა (campagne) და „ლაშქრობას“ ნიშნავს; მომდინარეობს იტალიური campagna-დან („ველი“, მერე: „ბრძოლის ველი“); ძირი ლათინურია: campus „მინდორი“, „სწორი ველი“.

Компания-ც ფრანგულია: compagnie („ადამიანთა კრებული“); ძირი აქაც ლათინური უნდა იყოს (panis — პური; com — თანა)...

სულ სხვადასხვა ძირისა და მნიშვნელობის სიტყვები — კამპანია და კომპანია — ქართულში ერთმანეთს დაემთხვა („ზინგერი და კომპანია“-სა და მსგავს გამოთქმებში **ო**-ს სალიტერატურო ქართული, მართალია, ხმარობს, მაგრამ ზეპირმეტყველებაში — ლხინის მნიშვნელობით — „კამპანია“ ითქმის და არა „კომპანია“).

მსგავს შემთხვევაში საძიებელია: ერთი სიტყვა გვაქვს ორი მნიშვნელობით თუ ორი სიტყვა ერთნაირი გარეგნობით (ბგერითი შედგენილობით)? თუ ეს ვერ გავარკვეით, ფაქტს სწორი კვალიფიკაცია ვერ გაუკეთდება. ამრიგად, სწორი კვალიფიკაცია რომ გაკეთდეს, საჭიროა ვიცოდეთ, რა ცვლილებები განიცადა სიტყვის ბგერითმა შედგენილობამ... ეს — დამსგავსების შემთხვევაში. მეტი სიმწვავე ახლავს ანალოგიურ საკითხს დიფერენციაციის შედეგთა გათვალისწინებისას; აქ კი ამაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ენათა ისტორიული ურთიერთობის დადგენას (იხ. ქვემოთ, §§ 103-108).

საზოგადოებრივ მოვლენებში ძნელია დაიძებნოს სხვა, რომ **მასალა ექვემდებარებოდეს ასეთ ცვლას და ამ ცვლის გათვალისწინებას სათანადო ფაქტის კვალიფიკაცია-ანალიზისათვის ეგოდენი მნიშვნელობა ჰქონდეს**, როგორც აქვს **ენის ნიშნის მასალის** (ბგერის) ცვლას — ენობრივი ფაქტის კვალიფიკაცია-ანალიზისათვის.

ენათმეცნიერების ისტორია მოწმობს, რომ ამ მასალის ცვლის კანონზომიერებათა დადგენა მოასწავებდა არა მხოლოდ ფონეტიკის, როგორც მტკიცე სამეცნიერო დისციპლინის, დაფუძნებას, არამედ წარმოადგენდა ისტორიული ენათმეცნიერების დიდ გამარჯვებასაც.

თავი მეოთხე

ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდები

§ 101 საკითხის დასმისათვის. მეცნიერება გულისხმობს დასაბუთებულ ცოდნას. ამდენად ყველა მეცნიერებისათვის საერთოა არა მარტო ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, არამედ დასაბუთებული ცოდნის მოპოვების ზოგადი წესებიც. ანალიზისა და სინთეზის ოპერაციების გარეშე რომელიმე მეცნიერება ძნელი წარმოსადგენია. ინდუქციასა და დედუქციას ყველგან მიმართავენ. მაგრამ ეს არაა საკმარისი. ყოველ მეცნიერებას ამას გარდა ესაჭიროება **სპეციალური ხერხები** (მეთოდები) შესასწავლი ობიექტის თვისება-თავისებურებათა შესაბამისად.

როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს (იხ. § 3), ეს მეთოდები სამეცნიერო დარგის წარმატებათა საწინდარია. თავის მხრივ მეცნიერული აზრის წარმატებები მოითხოვენ სპეციალური მეთოდების გაუმჯობესებას. ახალი სპეციალური მეთოდების გამომუშავება ყველაზე ინტენსიურად ექსპერიმენტულ მეცნიერებებში მიმდინარეობს. დიდი პროგრესი, რომელსაც მიაღწიეს უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ფიზიკამ და ქიმიამ და რომელმაც გამოსახულება პოვა, სხვათა შორის, ამ მეცნიერებათა დიფერენციაციაში, — ახალი დარგების გამოყოფაში (ელექტროქიმია, სტერეოქიმია... ასტროფიზიკა, გეოფიზიკა...), შეუძლებელი იქნებოდა ახალ სპეციალურ მეთოდთა გამოყენების გარეშე.

ენათმეცნიერება, რა თქმა უნდა, ამ მხრივ ფიზიკასა და ქიმიას ვერ დაეტოლება, თუმცა ეს ჰუმანიტარული მეცნიერება შედეგთა სიზუსტის მხრივ ზუსტ მეცნიერებებს უახლოვდება.

ენათმეცნიერებაში უნდა განვასხვავოთ **სპეციალური მეთოდები ორი სახისა:**

1. მეთოდები **ენის დინამიკის** შესწავლისა, — ენის შესწავლისა მის განვითარებაში, — და 2. მეთოდები **ენის სტატიკური ანალიზისა**, ანუ მეთოდები ამა თუ იმ მომენტში აღებული ენობრივი სისტემის აღწერისა.

პირველ შემთხვევაში საქმე ეხება **ისტორიული ენათმეცნიერების** სპეციალურ მეთოდებს, მეორეში — **აღწერითი, დესკრიფციული ენათმეცნიერებისათვის**, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე, **აღწერითი გრამატიკისათვის** საჭირო სპეციალურ მეთოდებს.

მუშავდებოდა ეს ორი სახის მეთოდები სხვადასხვა დროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ენის **დინამიკის** შესწავლის მეთოდები მეცხრამეტე საუკუნეში გამო-
მუშავდა **ისტორიული ენათმეცნიერების** შექმნის პროცესში; **სტატიკური**
შესწავლის მეთოდური საკითხების ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა უკვე მო-
ცემულია ინდურისა და ბერძნული ენის პირველსავე გრამატიკებში (ჩვენს
წელთაღრიცხვამდის 5 — 1 საუკუნით ადრე).

პირველმა — ენათმეცნიერების წარმატებანი განსაზღვრა, მეორის
(სტატიკური შესწავლის) მოუგვარებლობა ენათმეცნიერების სისუსტის ძი-
რითადი წყაროა დღემდის. ბოლო ხანებში ლამისაა მისი უარყოფითი გა-
ვლენა ისტორიულ ენათმეცნიერებაზედაც გავრცელდეს (იხ. § 53).

1. ისტორიული ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდები

**§ 102. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემოღების ისტო-
რიიდან.** ისტორიულ ენათმეცნიერებას დასაბამი მიეცა მეცხრამეტე
საუკუნის პირველ მეოთხედში. ჩამოყალიბდა იგი **ისტორიულ-შედარებითი**
გრამატიკის სახით. ისტორიულმა თვალსაზრისმა აქცია ენის შესახებ აზ-
როვნება ენათმეცნიერებად¹. განვითარების პრინციპმა მოგვცა ის, რაც ვერ
მოახერხა ფილოსოფიურმა გრამატიკამ, ვერ მოახერხა სწორედ იმიტომ,
რომ მისთვის ენა არსებობდა მხოლოდ სტატიკაში, — როგორც აზრის
გამოვლენა-განხორციელების საშუალება.

**ისტორიული გრამატიკა მეცნიერულია, ფილოსოფიური გრამატი-
კა — წინარემეცნიერული. ობიექტურად ახალი** — ისტორიულ-შედარე-
ბითი — თვალსაზრისი პირველად გატარებულია დანიელი მეცნიერის რას-
მუს რასკის (Rasmus Kristian Rask) შრომაში „**გამოკვლევა ძველი ჩრდი-
ლოური ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ**“ (დამთავრებული
იყო 1814 წელს, დაიბეჭდა 1818 წ.; გერმანულ ენაზე ითარგმნა 1822
წელს, ისიც მეორე ნაწილი „თრაკიული ენობრივი ჯგუფის შესახებ“)².
რასკისაგან დამოუკიდებლად **ახალი შედარებითი** ძიება მოიმარჯვა ფრანც
ბოპმა გამოკვლევაში: „უღვლილების სისტემისათვის სანსკრიტისა შედარე-
ბით უღვლილების სისტემასთან ბერძნული, ლათინური, სპარსული და

¹ **ამ მხრივ** ენათმეცნიერება გვერდით უდგას ახალ (ისტორიულ) გეოლოგიასა
და ბიოლოგიას; ეს მეცნიერებებიც განვითარების პრინციპმა შექმნა, ოღონდ უფრო
გვიან: ენათმეცნიერებას მეცხრამეტე საუკუნის **პირველ** მეოთხედში ეყრება საძირ-
კველი (1814—1819 წწ.), ისტორ. გეოლოგიას — **მეორე** მეოთხედში (ლაიბნიცი:
„გეოლოგიის საფუძვლები“, 1831—1833 წწ.), ბიოლოგიას — **მესამე** მეოთხედში
(დარვინი: „სახეობათა წარმოშობა“, 1859 წ.).

² შრომა დაჯილდოებულ იქნა დანიის „სამეცნიერო საზოგადოების“ პრემიით: —
იხ. Thomsen: Geschichte der Sprachwissenschaft, გერმან. თარგმ., 1927 წ., გვ. 45.

გერმანული ენისა“; **ისტორიული** გრამატიკის პირველი ნიმუში იაკობ გრიმის კალამს ეკუთვნის; ესაა „გერმანული გრამატიკა“, ოთხ ტომად (პირველი ტომის პირველი გამოცემა 1819 წლისაა, ამავე ტომის მეორე გამოცემა — 1822 წ., დანარჩენი სამი ტომი გამოიცა 1837 წლამდის; „გერმანული გრამატიკა“ გრიმისა — მონუმენტური თხზულებაა — ოთხი ათას გვერდამდის)¹. იაკობ გრიმის ამ შრომაში (პირველ ტომში) დადგენილია, სხვათა შორის, ცნობილი **ბგერათგადაწევის კანონი** (ე. წ. გრიმის კანონი), რომელსაც იხსენიებს ენგელსი წერილში ი. ბლოხისადმი; ფონეტიკაში იწყება ისტორიული ენათმეცნიერების ტრიუმფი; ამან ათქმევინა აგვუსტ პოტს: **მარტოოდენ ბგერათცვალების ისტორიის გრიმისეულ კანონს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ზოგ ენის ფილოსოფიასო**².

სისტემატური სახით ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა პირველად ინდოევროპულ ენათა მასალაზეა ჩამოყალიბებული ფრ. ბოპის შრომაში: **„შედარებითი გრამატიკა სანსკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტაურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა“** (I გამოც., ბერლ., 1833—1852 წწ. მეორე, სრულიად გადამუშავებული გამოცემა 1857—1861 წწ.).

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის გამოყენებისათვის ინდოევროპული ენები მეტად მოხერხებული მასალა აღმოჩნდა: მრავალი ცოცხალი წევრი და, მაშასადამე, ძლიერი დიფერენციაცია და იმავე დროს საუკუნეთა მანძილზე გაშლილი **დოკუმენტირებული** ისტორია (ძვ. ინდური, ძველი სპარსული, ძველი ბერძნული, ლათინური და, ნაწილობრივ, გუთური სამწერლო ენების ძეგლებში შემონახული) ისტორიული და შედარებითი თვალსაზრისის მომარჯვებისა და ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას ქმნიდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისი მხოლოდ ინდოევროპულ ენათა მასალის მიმართ შეიძლება იქნეს მომარჯვებულიო. ისტორიულ-შედარებითმა შესწავლამ შექმნა სემიტური ენათმეცნიერება (არაბულ-ებრაულ-სირიული... ენებით წარმოდგენილი ჯგუფის დამუშავებისას), უნგრულ-ფინური ენათმეცნიერება; ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლაც ამ თვალსაზრისის გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

¹ I ტ. (1822 წლის გამოცემა) ეხება ფონეტიკას (შეიცავს 937 გვ.); II ტ. გამოვიდა 1826 წელს (985 გვ.); III ტ. გამოვიდა 1831 წ. (769 გვ.); II და III ტომები მიძღვნილია სიტყვაწარმოებისათვის; IV ტ. გამოვიდა 1837 წ. (937 გვ.), განხილულია სინტაქსის საკითხები.

² Benfey: Geschichte der Sprachwissenschaft, 1869, გვ. 439.

შედარებით ძიებას რომ ვახსენებთ, ერთი გარემოება არ უნდა დაგვავიწყდეს. ენათა შედარება მეცხრამეტე საუკუნეში არ დაწყებულა; მას უფრო ადრეც მიმართავდნენ და საკმაო გატაცებითაც. შედარების მეოხებით არათუ ევროპის ენათა შორის მსგავსება იყო დადასტურებული, არამედ მათს ნათესაობაშიც დარწმუნებული იყვნენ. ლაიბნიცი პირდაპირ ამბობდა: კელტური, ლათინური, ბერძნული, გერმანული ერთი წარმოშობის ენებია¹. ეს ასეა. მაგრამ ეს სწორი დებულება შემთხვევით მოპოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებს; ასეთივე აპოდიქტურობით ლაიბნიცი მოგვითხრობს: ყველა ენა ერთი ენიდან უნდა მომდინარეობდესო და ამ დასაბამიერ ენასთან ყველაზე ახლოს ებრაულიაო...

რასკისა და ბოპის დამსახურება ისაა, რომ მათ **მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს შედარებას**: შესაძლებელი გახადეს **შემთხვევითი მსგავსება** განგვესხვაებინა **კანონზომიერი ჩასიათის** მსგავსებისაგან.

კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა შედარების შესახებ. „ისტორიულ-შედარებითი“ გრამატიკის ნაცვლად ხშირად „შედარებითი“ იხმარება: „შედარებითი გრამატიკა“, „შედარებითი ენათმეცნიერება“; იხ. გერმ. „vergleichende Grammatik“, „vergleichende Sprachforschung“; ფრანგ. „grammaire comparée“; ინგ. „comparative philology“ (!)... ასეთი გამოთქმები არაა ზუსტი: ყოველი მეცნიერული შედარება ისტორიას ემსახურება: არ შეიძლება „შედარებითი“ იყოს და „ისტორიული“ არ იყოს. მაგრამ „ისტორიული“ შეიძლება არ იყოს „შედარებითი“: ენის განვითარების გარკვეული ეტაპი შეიძლება შევისწავლოთ შედარების გამოუყენებლადაც სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე (ვთქვათ, მეთავე საუკუნის ძველი ქართული ახალ ქართულთან შეპირისპირებით). ამდენად „ისტორიული გრამატიკის“ ეკვივალენტურ გამოთქმად „შედარებითი გრამატიკა“ არ გამოდგება. ძირითად ტერმინად უნდა იხმარებოდეს **„ისტორიული გრამატიკა“** („ისტორიული ენათმეცნიერება“), ხოლო იმის საჩვენებლად, რომ ისტორიაში შედარებაც მონაწილეობს, გამოსადეგი იქნებოდა ტერმინი „ისტორიულ-შედარებითი“ გრამატიკა² (და არა სადაც: „შედარებითი გრამატიკა“).

¹ იხ. „Nouveaux Essais“, Liv. III, Chap. II, § 1 — ლაიბნიცის თხზულებათა კრებულიში, პარიზი, 1842 წ., I, გვ. 208. ლაიბნიცი ხსენებულ — ინდოევროპულ — ენებს **იაფეტურ** ენებს უწოდებდა (ამავე ტერმინზე შეჩერდა ბოლოს რასკიც. იხ. Thomsen, გვ. 51). დამახასიათებელია ლაიბნიცის სიტყვები კელტური ენების შესახებ: „...ეს ენები ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობენ და **შეიძლება მივიჩნიოთ ერთი და იმავე ენის სხვცვლადო**“ (იქვე). უდრ. მე ი ე ს განსაზღვრება: „ორი [რომელიმე] ენა იწოდება მონათესავედ, როცა ისინი წარმოდგენენ წინათ ხმარებული **ერთი და იმავე ენის ორი განსხვავებული ევოლუციის შედეგს**“ — „შესავალი ინდოევროპ. ენათა შესწავლაში“, რუს. თარგმ., 1938, გვ. 50.

² შებრუნებული თანამიმდევრობით „შედარებით-ისტორიული“, ჯერ ერთი, წინა რიგში „შედარებითს“ დააყენებდა, რაც არაა გამართლებული, მერეა და, ქართულ სიტყვახმარებაში ორანზოვანიც შეიძლება გამოსულყო („შედარებით მაღალი“, „შედარებით ახალი“... „შედარებით ისტორიული“...).

§ 103. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. უკვე აღვნიშნეთ, რომ ისტორიული ენათმეცნიერება ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის სახით ჩამოყალიბდა: მისი ძიების გზა ისტორიული და შედარებითი იყო.

ყოველი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (*resp.* ენათმეცნიერება) მონათესავე ენათა შესწავლას გულისხმობს, გარკვეული ენების ოჯახს ეხება, ანდა ოჯახის რომელიმე შტოს, მაგრამ მაინც ენათა **ჯგუფს** (და არა ერთ ენას). მასთან არა შემთხვევით თუ ნებისმიერ ჯგუფს, არამედ **მონათესავე** ჯგუფს: ინდოევროპული ენების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (*resp.* ინდოევროპული ენათმეცნიერება) ინდოევროპულ ენებს ეხება, სემიტური ენათმეცნიერება — სემიტურ ენებს, ქართველური ენათმეცნიერება — ქართველურ ენებს და ასე შემდეგ. ინდოევროპულ ენათა წრეში გამოიყოფა რომანულ ენათა, სლავურ ენათა, კელტურ ენათა, გერმანულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა...

ცნება: „მონათესავე ენა“ გენეალოგიურ კლასიფიკაციის ვარაუდობს, წარმოშობის მიხედვით დახასიათებას გულისხმობს: მონათესავე ენებად იწოდება ისეთი ენები, რომელნიც **ერთი ენიდან** მომდინარეობენ, ამ ენის დიალექტთა განვითარების პროდუქტს წარმოადგენენ.

ეს ერთი ენა **ფუძე** ენაა; ასეთი ფუძეენები ივარაუდება ყოველი ენათა ოჯახისათვის (ინდოევროპული ფუძეენა, სემიტური ფუძეენა...), ყოველი ენათა შტოსათვის (რომანულ ენათა ფუძეენა, სლავურ ენათა ფუძეენა, გერმანულ ენათა ფუძეენა და სხ.). ფუძეენათა არსებობის შესახებ ასკვნიან გარკვეულ, კონკრეტულ მონათესავე ენათა არსებობის მიხედვით: რეალური ენების ნათესაობა საფუძველია **სავარაუდო** ენის ოდესღაც არსებობისათვის. ასეთი სავარაუდო ენა რეალურადაც დადასტურებულია ერთ შემთხვევაში: რომანული ენები (იტალიური, ფრანგული, პროვანსული, ესპანური, კატალონიური, პორტუგალიური...) **ხალხური ლათინურის** წიაღიდან მოდიან, ეს ენები ხალხური ლათინურის გარდაქმნის¹ პროდუქტადაა მიჩნეული.

ფუძეენის (*Grundsprache*) ნაცვლად ჩვეულებრივ „წინარე ენას“ ხმა-რობენ (*Ursprache*). უკანასკნელი ტერმინი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს იყოს „თავდაპირველი“ თუ არა, უძველესი ენა მაინც. ნამდვილად კი საყოველთაოდ აღიარებულია ერთი რამ: ინდოევროპული ფუძეენა, სემიტური ფუძე-ენა თუ სხვა ყოველი მსგავსი ერთეული უზარმაზარი მანძილითაა დაშორებული ძველისძველ მეტყველებას და ხანგრძლივი განვითარების პროდუქტადაა მიჩნეული. ამით წყდება ტერმინის საკითხი.

¹ სქემის ვითარებას არ ცვლის იბერიულისა და კელტურ ენათა როლი ამ პროცესში: ეს პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორთა საკითხია.

შესაძლოა წინარე ენა (*Ursprache*) იყოს ნახმარი ფუძეენისაგან (*Grundsprache*) განსხვავებით: „ფუძეენათა წინაპარი რამ ენა“. ასეთი წინარე ენა ფიქციაა, ესაა შედარების შედეგად სავარაუდებელ **ჰიპოთეტურ ფორმულათა ერთობლიობა**.

ტერმინები „ოჯახი“ და „ნათესაობა“ არაა მარჯვე: ბიოლოგიიდან გადმოღებული ტერმინებია და განწყობილებას ბადებს, ენების ნათესაობა ფიზიკური ნათესაობის ანალოგიით წარმოიდგინონ: დედაენა („მშობელი ენა“ — ფუძეენა), „ენები-ძმები“, „ენები-ბიძაშვილები“ და სხვ. ასეთი ანალოგია მცდარ შთაბეჭდილებას ქმნის: დედა შვილებს შობს; ნაშობი და მშობელი სხვადასხვა ორგანიზმია. დედის სიკვდილამდის ორივე არსებობს ერთიმეორის გვერდით. ფუძეენა და მისგან მომდინარე მონათესავე ენები კი სხვაგვარ ურთიერთობაშია: „ნაშობი ენები“ ეს იგივე „მშობელი ენაა“: ეს უკანასკნელი ცალკე „ორგანიზმი“¹ არაა, რომ „შვილების“ გვერდით ისიც არსებობდეს. ეს იგივე „ორგანიზმი“, **გარდაქმნილი ახალ ერთეულებად**: მშობელი და ნაშობი უწყვეტი განვითარებითაა დაკავშირებული.

ხსენებულ უხერხულობისდა მიუხედავად, ტერმინები „ოჯახი“, „მონათესავე ენა“ უნდა დარჩეს: სათანადო ცნებათა ზუსტად ხმარებამ უნდა დაგვაზღვიოს უხერხულობისაგან, რაც ტერმინს ახლავს. ყოველ შემთხვევაში ამჟამად უკეთესი ტერმინები არ ჩანს².

პროცესი, რომლის წყალობითაც ფუძეენის დიალექტები ახალ ენებად, — მონათესავე ენებად გარდაიქმნება, დიფერენციაციის პროცესია: ამას მოწმობს მიღებული შედეგი. დიფერენციაციის პროცესი არ მოასწავებს ენის ტრანსფორმაციას მხოლოდ შინაგანი მიზეზის წყალობით. სხვა ენებთან კონტაქტი — მეტ-ნაკლები ინტენსიობისა — ამ პროცესის ბუნებრივი მონაწილე შეიძლება იყოს³.

როგორც ვნახეთ, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და მონათესავე ენათა შესწავლა ენათმეცნიერების ისტორიაში ერთმანეთთან დაკავშირე-

¹ „ორგანიზმი“ აქ პირობითაა ნახმარი „მშობელი“ და „ნაშობი“ ენის შესაბამისად.

² გაცილებით ნაკლები სიზუსტე ახლავს ტერმინებს: „ნათესაობითი ბრუნვა“ *genitivus*, „ბრალდებითი ბრუნვა“ (*accusativus, винительный*): ესენი გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული, ბერძნულიდან უხეიროდ თარგმნის შედეგად: უნდა იყოს: „გვარობითი“, „მიზეზობითი“ (ანდა: „შეპირობებული“) — *γενική, αίτιατική* ამას გულისხმობს... ეს ტერმინები არავის ხვდება თვალში.

აღსანიშნავია, რომ ნ. მარმა, რომელიც „ოჯახს“, „ნათესაობას“ ენერგიულად უარყოფდა, როგორც ბიოლოგიის ტერმინებს, თვითონ დაამკვიდრა ერთი ახალი, აგრეთვე ბიოლოგიური ტერმინი **„შეჯვარება“** (ენათა).

³ ამას ვეხებით „ზოგადი ენათმეცნიერების“ პირველ ნაწილში (1939 წ.), გვ. 110—113. დაწვრილებით — ქართულ ენაზე — ამ საკითხს იხილავს თ. შარაძენიძის მონოგრაფია: „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“, 1942 (საკანდიდ. დისერტაცია).

ბული გამოდის: **გენეალოგიური კლასიფიკაცია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუნქციაა**¹. სხვანაირად ვერც იქნებოდა.

მართლაც, გენეალოგიური კლასიფიკაცია ენებს აჯგუფებს ნათესაობის მიხედვით, ე. ი. წარმოშობის მიხედვით: მონათესავე ენები წარმოშობით ერთი ენის კილოებია. გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა ისტორიაზე დაფუძნებული (მეიე)²; მონათესავე ენები ერთმანეთს კიდევ ემსგავსებიან და კიდევ სხვაობენ; მსგავსებას ქმნის საერთო წარმოშობა (ერთი ენის კილოები **იყვნენ**), განსხვავებას — განვითარების გავლილი გზა (სხვადასხვა ენებად **იქცნენ**). ამიტომ აღმოჩნდა მონათესავე ენათა შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებისათვის საუკეთესო ასპარეზი.

შეიძლება თუ არა **შეგადართ** ერთმანეთს არამონათესავე ენები (სხვადასხვა წარმოშობის ენები)? შეიძლება, მაგრამ ეს იქნება **ტიპოლოგიური** მსგავსების დადგენა, და შესადარებელ ენათა ისტორიის დადგენას არ წაადგება.

შეიძლება თუ არა **ვიკვლიოთ** არამონათესავე ენათა ისტორიული განვითარება? რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ამ ისტორიაში შედარება მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მონათესავე ენათა შესწავლისას ისტორია და შედარება ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ და იძლევიან შედეგს, რომელსაც ცალკე ვერც ერთი მოგვცემდა და ვერც შეორე.

შედარებაც და ისტორიაც — ორივე საჭიროა: მაგრამ მათ თანაბარი ხვედრი წონა როდი აქვს: ისტორია **მიზანია**, შედარება — დამხმარე **საშუალება** ისტორიისათვის. შედარების მეოხებით ხერხდება გავლილი გზის ისეთი ეტაპების აღდგენა, რასაც ისტორია უშუალოდ ვერა სწვდება. ასეთ შემთხვევაში შედარება აგძრელებს ისტორიას, იგი ისტორიულ წარსულში უფრო შორს გახედვის საშუალებაა.

ქართული სამწერლო ენის დოკუმენტირებულ ისტორიის მეხუთე საუკუნეს იქით არ მივყავართ. სიტყვა „ძმა“ უძველეს ქართულ ძეგლებშიც ისევე ჟღერს, როგორც ამჟამად: თოთხმეტი საუკუნის მანძილზე ამ სიტყვის არც ბგერითი მხარე ცვლილა, არც — მნიშვნელობა. შეგვიძლია თუ არა უფრო ადრინდელი ვითარების შესახებ რამე ვთქვათ? ზოგი რამ ახალი შეუძლია შეგვძინოს ზანურთან (მეგრულთან და ჭანურთან) შედარებამ: ძმა←ძამ-ან³; ამ უკანასკნელში **-ან** ფუძის საწარმოებელი სუფიქსია (დეტერმინანტი სუფიქსი), რომელსაც ბოლოკიდური **-ნ** დაუკარ-

¹ „ერთადერთი ენათმეცნიერული კლასიფიკაცია, რომელიც ფასეულია და სასარგებლო, ესაა გენეალოგიური კლასიფიკაცია, დაფუძნებული ენათა ისტორიაზე“ — Meillet: კრებულში „Les langues du monde“ (1924), Introduction, გვ. 1.

² იხ. წინა შენიშვნა.

³ დაწვრილებით იხ. ავტორის: „სახელის ფუძის უძველ. აგებულ. ქართველურ ენებში“, 1942, § 5, გვ. 7.

გავს (შდრ. დაბ←დაბა-ან... უ-დაბ-ნ-ო←უ-დაბ-ან-ო); **-ან** სუფიქსის ზეგავლენით ფუძეში ამოვარდნილია **ა**: ძმ←**ძამ**. ეს უკანასკნელი ძველ სამწერლო ძეგლებში არა ჩანს, მაგრამ ცოცხალ ზეპირ მეტყველებაში შემონახულია (ძამ-ო! ძამ-ი-ა!); აქედან დასკვნა: ზეპირი მეტყველების, დიალექტების, ფაქტთა შედარებითი შესწავლა **პრინციპში** ისევე ფასეულია, როგორც მონათესავე ენათა მონაცემების შედარება.

შედარება **ენმარება** ისტორიას, როცა სამწერლო ენის სახის სხვადასხვა ეპოქის ენობრივი ფაქტები დაცულია. მაგრამ, თუ ეს პირობა გვაკლია, **შედარება** ერთადერთი საშუალებაა წარსულის გათვალისწინებისა, ისტორიის დადგენისა. ასეთ შემთხვევაში ფაქტების თანამიმდევრობა **რელატიური ქრონოლოგიის** სახით წარმოგვიდგება: გვეცოდინება, რა უსწრებს რას, მაგრამ არ გვეცოდინება, სახელდობრ, რას როდის ჰქონდა ადგილი. ვთქვათ, ჭანური აორისტი გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტს სახელობითში სვამს: კოჩი დოღურუ — „კაცი მოკვდა“; მეგრულში სუბიექტი აქაც მოთხრობითშია ისევე, როგორც გარდამავალ ზმნასთან: კოჩქ დოღურუ — „კაცმა მოკვდა“. მეგრულისა და ჭანურის მონაცემთა შედარება ეჭვს არ ტოვებს, რომ ჭანურ კილოს შეუნახავს ძველი სინტაქსური ნორმა, მეგრულის კონსტრუქცია კი უფრო ახალია, მეორეულია ჭანურისასთან შედარებით. სახელდობრ, როდის (რომელ საუკუნეში) დამკვიდრდა აქ მოთხრობითი სახელობითის ადგილას, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში შედარება ამაზე მითითებას არ იძლევა. უმწერლო ენებში ისტორიის ტვირთი გეოგრაფიამ უნდა ზიდოს: კილოებმა, კილოკავებმა... ერთი და იმავე კილოს (კილოკავის) ფარგლებში კი სხვადასხვა გამოთქმებსა და ნაწარმოებ ფორმებში გარჩენილ ჩვენებებს ძვირფასი მასალა შეუძლია მოგვაწოდოს (აქაც „გეოგრაფია“: ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა „პუნქტში“ მეტყველების სხვაობის დადგენა, შეპირისპირება და სხვაობის დალაგება დროის თანამიმდევრობაში).

§ 104. როგორ არკვევენ ენათა ნათესაობას? ამოსავალია მსგავსება. რისა და როგორი?

ენის ისეთი ფაქტებისა, რომლებიც შედარებით ყველაზე ნაკლებ ეჭვმღებებარება ცვლას სხვა ენის გავლენით; ისეთი მსგავსება, რომელიც არაა შემთხვევითი, არამედ არსებითია ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით.

მსგავსება ჩნდება ნასესხები მასალის წყალობით: რომელიმე „თამბაქო“, „კომბაინი“, „კაბიტალიზმი“, „კომუნისმი“ და ბევრი სხვა ანალოგიური სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ ენებში, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო: საერთო წყაროა, რომ ასაზრდოებს ენებს ერთი და იმავე მასალით. ამგვარი მასალა ნივთიერი კულტურისა და საზოგადო-

ებრივი ურთიერთობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში მრავალ სალიტერატურო ენაში მეორდება. კიდევ უფრო ეს ითქმის სამეცნიერო დარგების ტერმინთა შესახებ: სპეციალობათა ლექსიკა თვალსაჩინო ნაწილში „ინტერნაციონალურია“, როგორც იტყვიან ხოლმე. „გეომეტრია“, „პლანიმეტრია“, „სტერეომეტრია“, „ცილინდრი“, „კონუსი“, „კათეტი“, „ჰიპოტენუზა“, „ტრაპეცია“, „სინუსი“, „კოსინუსი“, „ტანგენსი“, „კოტანგენსი“ და მრავალი სხვა მეტწილად ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვა რუსულშიც ისევე ჩვეულებრივია, როგორც ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში თუ ქართულში.

შემთხვევითი არაა, მაგრამ ენათა ისტორიულ ურთიერთობას ვერ გააშუქებს ბავშვთა ლექსიკის ისეთი მასალა, როგორცაა **папа, мама; მსგავსი** ბერათა კომპლექსები შეიძლება **დამოუკიდებლად** განივითარონ სულ სხვადასხვა წარმომავლობის ენებმა (პაპა ქართულშიც ითქმის — „მამის ან დედის მამა“; მაგრამ არაფერი საერთო რუსულ **папа**-სთან არა აქვს; საერთო არაფერი აქვსო, რომ ვამბობთ, ისტორიული ურთიერთობა გვაქვს მხედველობაში, თორემ ეს სიტყვები, თუ ქართ. პაპა-ც ბავშვის ლექსიკის კუთვნილება აღმოჩნდებოდა, **ერთნაირი იქნებოდა**, ერთნაირი და **არა ერთი და იგივე**).

ორ ენას შეიძლება ერთი და იგივე **მორფოლოგიური აგებულება** ჰქონდეს: პრეფიქსაცია ან სუფიქსაცია თანაბრად იყოს წარმოდგენილი. სახელისა და ზმნის კატეგორიებიც ერთნაირი მოეპოვებოდეს. ამის მიხედვით აგრეთვე არავითარი დასკვნა **გენეზისის** შესახებ არ შეიძლება გაკეთდეს.

ორ ენას მორფოლოგიაში თუ ფრაზეოლოგიაში ერთი და იგივე **ყალიბი** შეიძლება აღმოაჩნდეს: მეგრ. თუთაშხა — „ორშაბათი“ და გერმ. Montag (იმავე მნიშვნელობისა) ერთსა და იმავე „შინაგან ფორმას“ იძლევა: „მთვარის დღე“ „თუთაშხა←თუთაშ-დღა“, Montag←Mond-tag... ანდა: კვირა — დღის სახელი — მეგრ. ჟაშხა←ბჟაშ-დღა — გერმან. Sonntag თანაბრად აღნიშნავს „მზის დღეს“-ს.

ჭანური ბჟარამინონ „დავწერ“ (სიტყვასიტყვით „ვწერო-მინდა“) აგებულია იმავე ფორმულის მიხედვით, როგორც ახალი ბერძნულის მყოფადის წარმოებაში მჟღავნდება **θή γράψω** „მინდა ვწერო“, ანდა გერმ. **ich will schreiben = ich werde schreiben**. მაგრამ ასეთი ერთგვარობა მეგრულისა და გერმანულისა, ჭანურისა და ახალი ბერძნულისა, ამ ენათა გენეზისურ ურთიერთობას ოდნავადაც არ ახასიათებს; ჭანურში ახალი ბერძნულის გავლენით უნდა გაჩენილიყო მყოფადის ასეთი წარმოება (ჰ. შუხარდტი) ანდა ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად არის ნაწარმოები საფუძველი ერთგვარობისა? გაგების ერთგვარობა: კვირა მზის დღეა, ორშაბათი — მთვარისა (ქართული „შაბათის“ სისტემაზე მერეა გადასუ-

ლი, ალბათ, ეკლესიის გავლენით), ანდა ერთგვარი განვითარება მნიშვნელობისა: მინდა ვწერო... „მინდა“, სრული მნიშვნელობის სიტყვა, დამხმარე სიტყვამდისა ჩამოქვეითებული, და მთელი წარმოება დროის გაგებას იძლევა.

ბგერითი შედგენილობის ერთგვარობაც ენათა ნათესაობის არც უცილობელი პირობაა და არც საკმარისი.

ამრიგად, **ვერც მორფოლოგიური სტრუქტურა, ვერც ბგერითი შედგენილობა, ვერც შინაგანი ფორმა** (კალკი) ნაწარმოები სიტყვისა, ფრაზისა თუ სინტაქსური კონსტრუქციისა **ნათესაობის რკვევისას დასაყრდენი ვერ იქნება.**

მთავარია მსგავსება, — კანონზომიერი მსგავსება, — **მორფოლოგიურ ინვენტარში, ფორმანტების ბგერით შედგენილობაში** და გარკვეული სიტყვების **ძირთა ბგერით შედგენილობაში**. მორფოლოგიური ელემენტის სესხება ყველაზე ძნელია. ლექსიკა კი ყველაზე ადვილად იცვლება სხვა ენის ზეგავლენით; ამიტომაც შესადარებლად ყველაზე გამძლე ლექსიკური მასალა უნდა გამოიყოს; ასეთია ის, რასაც ბავშვი პირველ წლებში ითვისებს: რიცხვითი სახელები (ათამდის), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინები (და, ძმა, მამა, დედა...), ზოგი ნაცვალსახელი და ზმნა (მაგალითად: „არის“...); ზმნების სესხება გაცილებით იშვიათია, ვინემ სახელებისა, მაგრამ აქ ენები დიდ ინიციატივას იჩენენ დამოუკიდებლად ახალ ფუძეთა გამოყენებაში; ნაცვალსახელებში შემთხვევითი ერთგვარობა არაიშვიათია: ქართ. **მე←მენა** და რუს. **меня**, ლათინ. ირიბ ბრუნვათა ფუძე: **me-i, me...** (ნათ. და ბრალდ. = **меня**); ანდა: ლათ. **is** მესამე პირის ნაცვალსახელი (**is, ea, id — он, она, оно**) და ქართ. **ის...**

როცა მორფოლოგიური ინვენტარი და ძირები მსგავსებას ამჟღავნებს, ფონეტიკური შედგენილობის მსგავსებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

მსგავსება უნდა გვექონდესო, ვამბობთ. მსგავსება მეზობელ ენებში ისე საყურადღებო არაა, როგორც ტერიტორიულად დაშორებულებში:

	ბერძნ.:	ლათინ.:	ძვ. ინდური:	რუსული:
„ორი“	δύο...	duo...	dvā	dva ¹
„სამი“	τρεις	tres	trayas	tri
„ხუთი“	πέντε	quinque	pāñca	pyat'
„შვიდი“	επτὰ	septem	sapta	sem'←sed'←sed'm
„ცხრა“	έννέα	novem	nava	dev'at'←nev'at'

¹ სქესთა მიხედვით ვარიანტებს განზე ვტოვებთ: ეს მხოლოდ გააძნელებდა თავლის გადავლებას.

ბერძნული და ლათინური რომ ერთმანეთს ჰგავს, კაცი იფიქრებდა, ეგების კონტაქტის შედეგი იყოსო, მაგრამ რუსულისა და ძველი ინდურის ჩვენებას რა ვუყოთ? ლათინური უფრო ჰგავს ძველ ინდურს, ვინემ — ბერძნული („ორი“, „შვიდი“, „ცხრა“). ეგვევ ითქმის რუსულისა და ინდურის შესახებ. მასთან მსგავსება ერთსა და ორ შემთხვევით სიტყვას კი არ ახასიათებს, არამედ რიგ სიტყვებს, ისიც რიცხვით სახელებს; მერე: მსგავსება დასტურდება ისეთ ენებში, რომელთაც ისტორიის სივრცეზე არა ჰქონიათ კონტაქტი, რომ ეს სიტყვები შეთვისებულად ეცნოთ: ინდური და ბერძნული, ლათინური... რუსული (სლავური) და ინდური, რუსული და ლათინური... მეორე მხრით, ასეთი მსგავსება არ ჩანს ბასკურსა და ლათინურს შორის, თუმცა საუკუნეთა მანძილზე ბასკური ენა ლათინურისა და მისგან განვითარებული ესპანურისა და ფრანგულის გარემოცვაში იმყოფებოდა, პოლიტიკურად ბასკეთი რომის პროვინციას წარმოადგენდა, რომის კულტურის ორბიტაში იყო მოქცეული (შემდეგ: ესპანეთისა და საფრანგეთის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა). ასევე ქართული: მას ბერძნულ ენასთან საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა; არცერთი ზემოხსენებული რიცხვითი სახელი ქართულისას არ ემსგავსება: „ორი“, „სამი“, „ხუთი“, „შვიდი“, „ცხრა“...

§ 105. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ბგერითი შესატყვისობის საკითხი. ისეთი მსგავსება, როგორც ლათინურს, ბერძნულს, რუსულსა და ძვ. ინდურს აღმოაჩნდა, არ შეიძლებოდა შემთხვევით მიგველო. ასეთი მსგავსება ამ ენათა ისტორიულ, — უფრო ზუსტად — გენეზისურ ურთიერთობას უნდა ახასიათებდეს. ასეთი მსგავსებაა, რომ ენათა ნათესაობის (ერთი ენიდან წარმომავლობის) **საკითხს აჩენს**. საკითხს სვამს, მაგრამ არ კი წყვეტს: საჭიროა ამ მსგავსებას **კანონზომიერი** ხასიათი ჰქონდეს, ე. ი. ერთნაირი ზომის მსგავსება გვექონდეს სხვადასხვაგვარ ფაქტებში, ვთქვათ, ძირეულ ნაწილსა და აფიქსებში (და თუ ეს ირღვევა, მისი გამომწვევი მიზეზებიც ჩანდეს).

ასეთ კანონზომიერ მსგავსებაზე მაშინ შეგვეძლება ლაპარაკი, თუ **ბგერათა შესატყვისობა** დადასტურდა. ბგერათა შესატყვისობა კანონზომიერი მსგავსების გამოხატულებაა.

ბგერათა შესატყვისობის ნიმუშს იძლევა ე. წ. გრიმის კანონი (ზოგადად ნაჩვენები იყო პირველად რასკის მიერ)¹:

¹ აქ არ ვეხებით არც ე. წ. გამონაკლისებს; ეს შესატყვისობის ფორმულის გართულებას გამოიწვევდა. მერე: ვარჩიეთ ძვ. ინდ., ბერძნ. და ლათინური დაგვეტოვებინა „საერთო ინდოევროპულის“ ნაცვლად, როგორც ამ ამოსავალს უწოდებენ ხოლმე (იხ. Meillet: méth. comparat., გვ. 30). მაგალითები კონკრეტული ენების რეალური ფაქტებია.

ძვ. ინდ., ბერძნ., ლათინ.: t d **θ**... k g h (χ) p b f
გერმან.: p t d h k g h p b

მაგალითები:

ლათ.	tres ,	ბერძ.	τρεις ,	ძვ. ინდ.	trayas —	გერმ.	(გუთური):
							„ preis „სამი“
„	dens						„ tunfus „კბილი“
		„	θύρα				„ daur „კარი“
			θύρατῆρ				„ dauthar „ქალიშვილი“
„	cornu						„ haurn „რქა“
„	genus						„ kinnus „გვარი“
„	homo						„ guma „ადამიანი“
„	pater	„	πατήρ	„	pitár		„ fadar „მამა“
„	frater				bhrátar		„ brofar „ძმა“

შესატყვისობის ნიმუშად გამოდგებოდა აგრეთვე ქართულისა და ზანურის ბგერათა ცნობილი შეფარდება:

ქართული **ს ზ ც ძ წ... ე ა ი...**
ზანური (ჭანური, მეგრული): **შ ყ ჩ ჯ ჳ... ა ო ე...**

მაგალითად:

ქართ.: **ს**მა... **ზ**ე... **ც**ხ-ელ-ი... **ძ**ლ-ლ-ი... **წ**აბ-ლ-ი... **მ**ე...
ზან.: **შ**უმა... **ყ**ი... **ჩ**ხ-ე... **ჯ**ოლ-ორ-ი... **ჳ**უბ-ურ-ი... **მ**ა...
თაფ-ლ-ი ქართ.: ფქვ-**ი**ლ-ი.
თაფ-ურ-ი... ჳან.: ფქვ-**ერ**-ი.

შესატყვისობის მაგალითები სახელებია (ერთის გარდა), ამასთან შესატყვისობა ძირეულ მასალას ეხება; ეს შემთხვევითია: მნიშვნელობა არა აქვს, რა მეტყველების ნაწილია ესა თუ ის სიტყვა: ქართ. მო-მ-**ც**-ა — ჳან. მო-მ-**ჩ**-**უ**... ქართ. იქმ-ს←ი-ქამ-ს — ჳან. (არქაბ.) იქ**მ**-ს... ქართ. დაწერ-**ა** — ჳან. მეგრ. დოჭარ-**უ**... ჳამ-**ა** (მან) — ჳან. მეგრ. ჳკომ-**უ**... აფიქსებშიც ისევე ტარდება შესატყვისობის პრინციპი, როგორც ძირეულ მასალაში: ქართ. ხარ-**ის** — ჳან. მეგრ. ხოჯ-**იშ**... ქათამ-**ი** — ჳან. ქოთუმ-**ე**... სა-გზ-ალ-ი — მეგრ. **ო**-რზ-ოლ-ი... და-შრ-**ა** — ჳან. მეგრ. დო-სქირ-**უ**... მოსაზრება, თითქოს ფონეტიკურ ცვლილების თვალსაზრისით მნიშვნელობა ჳქონდეს, რა ფუნქციისაა სიტყვის სათანადო ნაწილი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ფონეტიკური თვალსაზრისითაც არის ამ ნაწილებს შორის სხვაობა, ე. ი. პრინციპში უმართებულოა.

ცალკე უნდა გამოიყოს, ამ საკითხის რკვევისას, სალიტერატურო ენის ვითარება: მეტყველების ფაქტთან შეგნებული დამოკიდებულება (რეფლექსია) ის ფაქტორია, რომლის ხვედრი წონაც შედეგების შეფასებისას საგანგებო გათვალისწინებას მოითხოვს.

§ 106. შედარების ძირითადი წესები¹. თუ ბგერათა შესატყვისობა დადგენილია, შედარება მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დგას. მაგრამ რიგმა დაბრკოლებამ მაინც შეიძლება გაართულოს შედარების პროცესი. გასათვალისწინებელია ზოგი შემთხვევა.

ა. შედარება შეიძლება, თუ ერთი და იმავე მასალის **კანონზომიერი დიფერენცია**აა მოცემული; შედარება არ შეიძლება, თუ სულ **სხვადასხვა** ოდენობაა, განსხვავებული **წარმოშობის** ფუძეები გვაქვს: ქართ. **მთა** და მეგრ. **გოლა** || **გვალა**, — ქართ. **მიწა** და მეგრ. **დიხა**, ქართ. **ფეხი** და მეგრ. **კუჩხი** ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ შესადარებლად არ გამოდგება: ეს **სხვადასხვა წარმოშობის** ერთეულებია (ბგერითი მხარე გვაქვს მხედველობაში!).

შედარებისათვის არ რჩება ადგილი მაშინაც, თუ ორი ენის ფაქტი ბგერითად ერთნაირია, სხვაობა სულ არა ჩანს ანდა შემთხვევითი ხასიათისაა: ქართ. **ცხენი** და ჭან. მეგრ. **ცხენი**; ქართ. **კისერი** — მეგრ. **კისერი**, ქართ. **კვერცხი** — მეგრ. **კვერცხი ერთი და იგივე** ოდენობაა, შესადარებელი აქ აღარაფერია.

ბ. დიფერენცირებული მასალის შედარებისას შესაძლოა მთელი **ფუძე** (ძირეული მასალა, საწარმოებელი აფიქსები) ანდა მთელი **სიტყვა** (ძირეული მასალა, საწარმოებელი აფიქსები, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები) კანონზომიერ შესატყვისობას გვაძლევდეს:

ქართ.	ქმ-არ-ი	და-წერ-ა	კაც-ის
ჭან.	ქომ-ოჯ-ი...	ჭან. მეგრ.	დო-ჭარ-უ... კოჩ-იშ...

გ. შესაძლოა ძირი იძლეოდეს შესატყვისობას, აფიქსები (დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ფუძის საწარმოებელი) — არა. აფიქსები ასეთ შემთხვევაში ან ერთი და იგივეა (საერთოა), ან სულ სხვადასხვა ფონეტიკური შედგენილობისაა და მხოლოდ ფუნქციურად უდრის ერთიმეორეს, ანდა კიდევ ერთ შესადარებელ ენაში არის, მეორეს სულ არა აქვს.

¹ ეს ნაწყვეტი ერთგვარი გავრცობით იმეორებს ავტორის „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში წამოყენებულ დებულებებს, გვ. 2—6; იხ. აგრეთვე ავტორის „ზოგადი ენათმეცნიერება“, I (1939), გვ. 102—105.

აფიქსები ერთი და იგივეა:

ქართ. კაც-ი... კაც-ს... სა-ქათმ-ე... ნა-წერ-ი... სვამ-დ-ა... წერ-ა
 ჰან. მეგრ. კოჩ-ი... კოჩ-ი-ს... ო-ქოთომ-ე... ნა-ჭარ-ა... შენ-დ-უ... ჭარუ-ა.

აფიქსები **სხვადასხვაა ფონეტიკურად, შესატყვისობა მხოლოდ ფუნქციურია:**

კაც-მა — მეგრ. კოჩ-ქ, ჰან. კოჩ-ი-ქ
 არი-ს — მეგრ. ჰან. ორე-ნ (= რე-ნ)
 შე-შ-ა — მეგრ. ჰან. დი-შქ-ა
 ცე-ცხ-ლ-ი — ჰან. და-ჩხურ-ი || → მეგრ. და-ჩხ-ირ-ი
 წ-ელ-ი — ჰან. ჭ-უ
 ბელ-ელ-ი — ჰან. მეგრ. ბალ-უ
 მ-ჭედ-ელ-ი — მეგრ. ჭკად-უ

აფიქსი ერთს შესადარებელ სიტყვაში გვაქვს, მეორეში — არა:

და-თ-გ-ი — ჰან. მ-თუ-თ-ი, მეგრ. თუ-ნ-თ-ი
 თაგ-გ-ი — ჰან. მ-თუგ-ი
 შიბ-ი — ჰან. მ-სქიმ-უ = ფ-სქიბ-უ „წისქვილი“
 — მეგრ. სქიბ-უ „წისქვილის ქვა“
 ს-ვლ-ა — მეგრ. ულ-ა...
 თხ-ელ-ი — ჰან. თუ-თხ-უ (= თი-თხ-უ)... სვან. დგ-თხ-ელ...

დ. შესაძლოა ძირი (ფუძე) არ გვაძლევდეს შესატყვისობას, აფიქსებში კი ფონეტიკური შესატყვისობა დასტურდებოდეს (ანდა საერთო აფიქსი იყოს):

მთებ-ის — მეგრ. გოლეფ-იშ... (თავ-ი — მეგრ. დულ-ი)

ენათა ურთიერთობის რკვევისას ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად ყველაზე ნაკლები მნიშვნელობისაა.

რა იწვევს აფიქსთა სხვაობას, როცა ფუძე კანონზომიერ შესატყვისობას ამჟღავნებს? ის, რომ საერთო ფუძე შესადარებელ ენებში გაფორმებულია დამოუკიდებელივ (დიფერენციაციის შემდეგ), ეს აფიქსები (ორი-ოდე ანდა ერთ-ერთი მაინც) დიფერენციაციის შემდგომი ხანისაა; ასეთია მოთხრობითის ნიშანი -მა-ნ ქართულში, -ქ ჰანურსა და მეგრულში; ეგვევ ითქმის სუბიექტის მესამე პირის -ს, -ნ სუფიქსთა შესახებ, აგრეთვე შე- (←სე) და დი- პრეფიქსთა შესახებ სახელებში (შე-შ-ა — დი-შქ-ა... იხ. ზემოთ).

S₂ -ს და -ნ, პრეფიქსები შე-, დი- სხვადასხვა ოდენობაა, ისინი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ამის გამო მათი შედარება ისევე შეუძლებელია, როგორც ქართ. მიწა და მეგრ. დიხა-სი, თუმცა უკანასკნელი იმავე მნიშვნელობისაა, რაც — „მიწა“ (ამის შესახებ — იხ. ზემოთ).

როგორღა უნდა აიხსნას ის შემთხვევები, როდესაც **აფიქსები ერთი და იგივეა**, ფუძეები კი კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებენ? კაც-ს — კოჩი-ი-ს... წერ-ა — მეგრ. ჭარუ-ა...

ან ასეთი საერთო მასალა ერთი ენის კუთვნილება იყო და მეორეს მერე აქვს შეთვისებული; ასეთი უნდა იყოს, მაგალითად, მასდარის -ა მეგრულში; იგი ქართულიდან შესული ჩანს; ნ. მარი ანალოგიურ ახსნას აღწევდა მიცემითის ნიშანს: -ს სისინა წრის კუთვნილება იყო და აქედანაა შიშინა წრეში გადასულიო...

ანდა შეიძლება მესამე წყაროდან — ვთქვათ, შემდეგ გამქრალიდან, — იყოს შეთვისებული ორსავე შესადარებელ ენაში.

გამორიცხული არაა მესამე შესაძლებლობაც: დამოუკიდებელია ორსავე ენაში **ერთნაირი ფუძისაგან** ერთნაირი აფიქსები მიღებული... მაგრამ ერთნაირი ფუძეები როგორღა შეგვჩინა დიფერენცირებულ ენებში? იქნებ პირველი შესაძლებლობის საფუძველზე. მაშინ ეს არ იქნებოდა ახალი შესაძლებლობა, ეს გამოვიდოდა პირველი შესაძლებლობის ვარიანტი...

დასასრულ, შეიძლებოდა გვევარაუდებინა, რომ ეს საერთო აფიქსები დიფერენციაციის წინა ხანისააო. მაგრამ მაშინ საკითხავია: რატომ არ განიცადა დიფერენციაცია? შეიძლებოდა გვეთქვა: საერთო **აფიქსები** ისევე შეიძლებოდა შემოგვჩინოდა გაუდიფერენცირებლად, როგორც საერთო ფუძეები გვაქვსო (კისერ-, ცხენ-, მელ-ა, გულ-ა — აკი ქართულსაც აქვს და მეგრულსაცაო). მაგრამ საქმეც ისაა, რომ დამაკმაყოფილებლად არც ეს ფაქტია ახსნილი, ხოლო, სადაც ისტორია ხელს გვიწყობს, ცხადი ხდება, რომ ცხენ- და მსგავსი ფუძეები ქართულიდანაა აქვს ზანურს შეთვისებული¹: შეთვისებული დამკვიდრდა, შესაბამისი საკუთარი სიტყვა კი ხმარებიდან გამოვიდა.

ამგვარად, ჩამოთვლილ შესაძლებლობათაგან ისევ პირველი ორია უფრო რეალური: საერთო აფიქსი ან ერთი ენიდანაა მეორეში შესული ანდა ორივეს — მესამე წყაროდან მიუღია. ესაა უფრო რეალური, მაგრამ ეს არ ამოწურავს სინამდვილეს. საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ზემოთ ჩვენ წამოვაცენთ დებულება: **ძირეულ მასალაში შესატყვისობის ქონა არ ნიშნავს, რომ აფიქსებშიც შესატყვისობა უცილობლად გვექნებაო**. ეს გარემოება არაა გათვალისწინებული ნ. მარის შრომებში², სადაც ქართული, ჭანურ-მეგრული და სვანური ლექსიკური მასალაა შესადარებლად აღებული.

¹ საინტერესოა სოფლის სახელი **ჩხენიში** სამტრედიის რაიონში ცხენისწყლის სანაპიროზე: **ჩხენ-** შიშინა, ზანური, ვარიანტი უნდა იყოს **ცხენ-**ისა, ასევე მაჩხვარეთი — სოფ. ლანჩხუთის რაიონში (მეგრ. მანცხვარი-ი „მაცხვარი“).

² ამ შრომების მეტი წილი 1915 წლამდისაა გამოქვეყნებული და საერთოდ, მეტად მნიშვნელოვანია.

ნ. მარი ხედავს, რომ აფიქსებში სხვა მდგომარეობაა, ვინემ ძირეულ ნაწილში: აქ შესატყვისობა არ ჩანს, მაგრამ ნ. მარი ცდილობს აღდგენილი ნებისმიერი საფეხურების არსებობა ივარაუდოს და ამ გზით მოიპოვოს კანონზომიერი **ფონეტიკური** შესატყვისობა აფიქსებშიც, როცა სინამდვილეში **მორფოლოგიური ეკვივალენტი**ა გვაქვს. ასე, მაგალითად, ქართ. **სა-** პრეფიქსისა და ჰან.-მეგრ. **ო-** პრეფიქსის ურთიერთობის შესახებ ნ. მარი ამბობს:

„ტუბალ-კაინური (ე. ი. მეგრულ-ჰანური — **ა. ჩ.**) პრეფიქსი **დო-** (←*ჯო) ხშირადაა წარმოდგენილი **-ო** (←*ცო || **შო**)-ს სახით და არის ქართული **სა-**ს ეკვივალენტი“¹.

ავიღოთ ქართ. **სა-**ხლ-ი და ჰან. **ო-**ხორ-ი „სახლი“; ნ. მარის აზრით: უნდა არსებულებო **შო-**ხორ-ი || **ცო-**ხორ-ი და ამ უკანასკნელში **ც-**ს დაკარგვის შემდეგ მივიღეთ **ო-**ხორ-ი.

ც და **შ**-ს მონაცვლეობას ნ. მარი ხშირად ემყარება და ყოველთვის სათანადო მაგალითი ვარსკვლავიანი ვარაუდია და არასოდეს — ფაქტი. **დო-** და **სა-** პრეფიქსების გამოცხადება **ფონეტიკურ ეკვივალენტებად** არც შეიძლება და არც არის საჭირო. უქმია აგრეთვე გარდამავალი საფეხურები **შო-** || **ცო-**.

§ 107. რა ართულებს შედარებას? მონათესავე ენათა სიტყვებს კანონზომიერი შესატყვისობით ნავარაუდები სახე ხშირად არა აქვს, თუმცა შესადარებელი ერთეულები ერთი და იმავე მასალის დიფერენციაციის პროდუქტს წარმოადგენენ; მიზეზი: დიფერენციაციის შემდეგ სათანადო სიტყვაში **ბგერითი ცვლილებები მოხდა**; ეს ცვლილებები მონათესავე ენათა დიფერენციაციის შემდგომ პერიოდს ეკუთვნის, ცალკეულ ენათა ისტორიული განვითარების პროცესს ახასიათებს. ასეთი ცვლილებები შეიძლება ერთ შემთხვევაში მეტი იყოს, მეორეში — ნაკლები, შეიძლება ერთ-ერთ შესადარებელ ერთეულს ეხებოდეს, შეიძლება — ორივეს (ყველას). ქართ. **კაც-** — ჰან. მეგრ. **კოჩ-**: არც ქართულში განუცდია ამ ფუძეს ცვლილება, არც ჰანურში და არც მეგრულში. მოსალოდნელი შესატყვისობა დაცულია სრულად.

ავიღოთ ქართ. **ძმა** — ჰან. **ჯუმ-ა** — მეგრ. **ჯიმ-ა...**

ძ და **ჯ** ერთუროს შეესატყვისება. მაგრამ ბოლოკიდური **ა** ასეთ შესატყვისობას არ იძლევა: ქართულშიც, ჰანურში, მეგრულშიც **-ა** გვაქვს. მერე: **ჯ**-სა და **შ**-ს შორის ჰანურსა და მეგრულში ხმოვანი გვაქვს, ქარ-

¹ იხ. Н. Я. Марр: История термина „абхаз“— Известия Академии Наук, 1912, 83. 700.

თულში მისი შესაბამისი არაფერი ჩანს; თვით ჭანურსა და მეგრულში ხმოვანი მონაცვლეობს: ჯუმა — ჯიმა... რა იწვევს ყველაფერ ამას?

ბოლოკიდური -ა სუფიქსია, ის საერთოა სამივე შესადარებელი ერთეულისათვის. ამ -ა სუფიქსის დართვამ გამოიწვია ხმოვნის დაკარგვა ძ-სა და მ-ს შორის; ეს ხმოვანი იყო -ა (ძამ-ი-ა! ძამ-ო!)... მისი შესატყვისი -ო ჭანურში დავიწროებულია უ-დ, ხოლო ამ უკანასკნელს მეგრულში შენაცვლება ი: უ→ი. მერე: ჭან.-მეგრ. მრავლობითი (ჯუმ-ალ-ეფ-ე) ცხადყოფს, რომ -ა სუფიქსი მიღებულია -ალ-ისაგან, გურული ძმ-ან-ები კი ქართული-სათვის -ან სუფიქსს გვაგარაუდებინებს. ზემოთქმულის გათვალისწინებით ძმა- სიტყვისა და მისი ზანური ვარიანტების ცვალებადობა ასე წარმოგვიდგება:

ქართ. ძმა- ← ძამ-ა ← ძამ-ან-: მომხდარია ორი ცვლილება.

ჭან. ჯუმა ← ჯომ-ა ← ჯომ-ალ: მომხდარია ორი ცვლილება, ამათგან ერთი სხვაგვარია.

მეგრ. ჯიმა ← ჯუმ-ა ← ჯომ-ა ← ჯომ-ალ-: მომხდარია სამი ცვლილება.

ბგერათა ცვლილებებს, რომელთაც დიფერენციაციის შემდეგ აქვს ადგილი, აღვნიშნავთ ტერმინით **ფონეტიკური გადახრა**.

ქართ. მწერ-ი — ჭან. მჭაჯ-ი — მეგრ. ჭანჯ-ი „ბუზი“: ფონეტიკური გადახრა ერთი შეხედვით მართოდენ მეგრულში შეინიშნება: ნ- არის განვითარებული ჯ-ს წინ; რაც შეეხება თავკიდურ მ-ს, იგი ქართულსა და ჭანურში ფონეტიკური დანართი უნდა იყოს. ამრიგად, თითო ცვლილება სამსავე ვარიანტში გვაქვს.

ქართ. თვე — მეგრ. თუთა „თვე“, „მთვარე“... აქ თვალსაჩინო ცვლილებებია მომხდარი ქართულში: თვე←თთუე←თუთე←თუთე... მეგრულში ამ თუთე-ს ეკვივალენტია, რომ გვაქვს. სვანურ დომდულ-თან შედარება ცხადყოფს, რომ მეგრულშიცა და ქართულშიც თავკიდური თ მეორეულია; მიღებულია დ-საგან (ძირეულ თ-სთან ასიმილაციით: მეგრ. თუთა←დუ-თა... ქართ. თუთე←დუთე... დუ- ფორმანტია)¹.

ქართ. ცე-ცხლ- — ჭან. და-ჩხურ- — მეგრ. და-ჩხირ-...←დაჩხ-ურ...

ცეცხლ←სე-ცხლ←სე-ცლ←სე-ც-ალ...

ფონეტიკური გადახრის გარდა შედარებისას გასათვალისწინებელია **სემასიოლოგიური გადახრა** — ცვლილება დიფერენცირებული მასალის მნიშვნელობაში...

ქართ. ძილ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული ჯირ-, რაც წოლას ნიშნავს: ონ-ჯირ-უ „სა-წოლ-ი“; ძილის მნიშვნელობით კი სხვა

¹ იხ. ავტორის: „სახელის ფუძის უძველ. აგებულ. ქართველურ ენებში“, § 58. გვ. 174–175.

სიტყვა იხმარება: ლურ-ი: ლურ-ს „სძინავს“... სემასიოლოგიური გადახრა მეგრულ **ჯირ-** ფუძეში გვაქვს.

ქართ. **ხუცეს-** ფუძის ფონეტიკური შესატყვისია მეგრული **უჩაშ-**ი (ნ. მარი), რაც „უფროსს“ ნიშნავს. სემასიოლოგიური გადახრა აქ ქართულშია მომხდარი: სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულა: „ხუცესი“ — „უფროსი“; მერე: „უფროსი სამღვდელ პირი“.

ქართ. **ღამე-**ს შესატყვისება — ჭან. **ლომან** „გუშინ“, — მეგრ. **ღუ-მა(ნ)** „წუხელ“ (იხ. ღუმან-ერ-ი — „წუხანდელი“). მნიშვნელობის გადახრა მოუცია ჭანურსაც, მეგრულსაც (ალბათ, ეს გამოიწვია **სერ-** სიტყვის დამკვიდრებამ ღამის მნიშვნელობით ჭანურსა და მეგრულში).

სემასიოლოგიური გადახრის შედეგად რთულდება **შესაბამისი ფუძის** დაძებნა შედარებისას: ქართ. **ღამე** — ჭან. მეგრ. **სერ-**, ქართ. **ძილ** — მეგრ. **ლურ-**... მაშ, **ღამე**, **ძილ-** ფუძეებს შესატყვისი არ ჰქონიათ ზანურში? ოღონდაც აქვს, მაგრამ ამ შესატყვისებს სხვა მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც იქ ვერ ვპოვებთ, სადაც მათ მოველოდით ქართული ფუძეების მნიშვნელობიდან ამოსვლისას...

ფონეტიკურ გადახრას სემასიოლოგიურიც ზედ ერთვის ხოლმე: ასე, მაგალითად, მეგრ. **ჭანჯ-**ი „ბუზია“ და არა „მწერი“. სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულა. მეგრ. **თუთა** „თვეც“ არის და „მთვარეც“, ქართული შესატყვისი „თვე“ მნათობს არ აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებასთან უნდა გვქონდეს საქმე: დავიწროებულა ქართ. **თვე-**ს მნიშვნელობა იმის შედეგად, რომ მნათობის სახელად **მთვარე** (= „მანათობელი“, **თ-**ძირიდან: ა-თ-ევ-ს) დამკვიდრდა.

ეს მცირეოდენი გადახრის შემთხვევებია. სვან. **ჭაშ** — ქართ. **კაც** (ნ. მარი): **ჭაშ** — „ქმარია“ (შდრ. ქართლური: „ჩემი კაცი“ = „ჩემი ქმარი“): მნიშვნელობა საგრძნობლადაა ცვლილი; ბგერითი შედგენილობიდან: მკვეთრი **კ** გააფრიკატებულია (**ჭ**), აფრიკატ **ც**-ს ადგილი უჭირავს სპირანტი **შ**-ს. სვანურში **ჩ** უნდა გვქონოდა (ჭაჩ), თუ ამოსავალი **ც** იქნებოდა (**კაც**); **შ**- სპირანტი **ჩ**-ს ნაცვლად უნდა იყოს: **ჭაშ←კაჩ**, ე. ი. სვანური ზანური ვარიანტიდან მოდის. ხმოვანი? **ჰ**, მართალია, გაუმლაუტებელია, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ აქ **ა** ყოფილა (და არა **-ო**, რასაც ზანური ნორმა მოითხოვდა). მაშ, **ჭაშ** არ მომდინარეობს **კაჩ**-იდან? არა, სვანური **ჭაშ** უნდა იყოს ზანური ვარიანტის ტრანსფორმაცია, ოღონდ თვით ეს ზანური მიგვითითებს ისეთ მდგომარეობაზე, როდესაც თანხმოვნებში ქართულსა და ზანურს შორის შესატყვისობა გვქონდა, ხმოვნებში — ჯერ კიდევ არა: ხმოვნებში დიფერენციაცია იმავდროული არ ყოფილა, ის შემდეგაა მომხდარი.

წარმოდგენილი ახსნა შესაძლოა სადავო იყოს, მაგრამ ამით მხოლოდ უფრო ხელშესახები გახდება, როგორ **ართულებს შედარებას ფონეტიკური** და სემასიოლოგიური **გადახრა**. ჩვენი მიზანია, **ჭაშ** მაგალითს რომ ვასახელებდით, ეს იყო.

ინდოევროპულ ენათა შედარებისას ანალოგიური შემთხვევები უფრო რთული სახითაა ჩვეულებრივად წარმოდგენილი (მეტადრე ფონეტიკური გადახრა):

ფრანგ. **bouche** (ბუშ) „პირი“ — ლათ. **os** (ოს)-სიტყვას ვერ დაუკავშირდება, თუმცა ამასვე ნიშნავს. რაღაა **bouche**-ის შესატყვისი? სხვა ფუძე: **bucca** „(გამობერილი) ლოყა“.

ასევე ფრანგ. **cheval** (შვალ) „ცხენი“ არაა ლათინურ **equus** (ეკუს)-ის დიფერენციაციის გზით წარმოშობილი, ესაა ლათ. **bouche**-ის სახეცვლა („ცხენი“, „ცხენუკა“)¹.

ძვ. ინდ **ca** (ჩა) — ლათ. **que** (კვე) — ბერძნ. **τε** (ტე) -**ცა** (ნაწილაკი), **და** (კავშირი).

ძვ. ინდ. **catvāras** (ჩატვარას) — ლათ. **quatuor** (კვატუორ)— ბერძნ. **τέσσαρες** (ტესარეს) „ოთხი“.

ხმოვანთა შეფარდება: ძვ. ინდურში **a** გვაქვს (**ca**, **catvāras**), ბერძნულში — **ε** (**τε τέσσαρες**), ლათინურში — **e**, **a** (**que**, **quatuor**)...² პალატალობის კანონის მიხედვით გაირკვა, რომ ძვ. ინდურშიც აქ **e** უნდა ყოფილიყო: ამის კვალაა დარჩენილი **c** (**h**)-ში: **c←k** (ჩ←კ)... ამრიგად: **e**-ს ადგილი დაიკავა **a**-მ ძვ. ინდურში (ეგვე ითქმის ლათინურ **quatuor**-ის შესახებ). სხვანაირად რომ ვთქვათ: ძვ. ინდურში წინანდელი ვითარება შეიცვალა; ბერძნულმა ძველი მდგომარეობა შეინარჩუნა. **ფონეტიკური გადახრა ძვ. ინდურის ისტორიის კუთვნილებაა**.

რამდენად ართულებს ეს ფონეტიკური გადახრა შედარებას (და შედარების მიხედვით ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებას), იქიდანაც ცხადია, რომ კარგა ხნის განმავლობაში ზემოთ მოყვანილი (და მსგავსი) მაგალითებიდან ასკვნიდნენ: ინდოევროპულ ფუძენას **e** (და **o**) ხმოვანი არ მოეპოვებოდა, მერეა განვითარებულიო. ძველი მდგომარეობა ინდურშია დაცულიო. ფონეტიკურ გადახრას რომ მიაკვლიეს, სხვა დასკვნა გაკეთდა: ინდოევროპულ ფუძენაში უკვე ყოფილა **e** და ძვ. ინდურში შენაცვლებია მას **a**-ო³. ხმოვ. **e**-ს შესახებ საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ

¹ ორივე სიტყვის — **bouche**, **cheval** — შესახებ იხ. Meillet: *Méthode comparat.*, გვ. 9, 47.

² შდრ. აგრეთვე ძვ. ინდ. **pacati** (პაჩატი) — ძვ. სლავ. **печать** (რუს. **печет**, **пеку**...)

³ იხ. Delbrück: *Einleitung*..., 1908 წლ. გამოცემა, გვ. 110.

Богородицкий: *Краткий очерк сравнительной грамматики арио-европейских языков*, Казань, 1916, გვ. 5.

ო-ს შესახებ ზოგი რამ დღემდის სადავოა¹: ფონეტიკური გადახრის პროცესი აქ მთლიანად გათვალისწინებული არაა.

მაშასადამე: **ფონეტიკური გადახრის გათვალისწინებით** ძვ. ინდუ-რისა და ბერძნულის (ლათინურის...) **ურთიერთობა** ასეთ სახეს მიიღებდა (ცვლისხმობთ ზემოთ განხილულ მაგალითებს):

ძვ. ინდ. e — ბერძნ. e...

↓
a

ფონეტიკური გადახრის გათვალისწინების გარეშე იგივე ფაქტები იძლევა შეფარდებას:

ძვ. ინდ. a — ბერძნ. e (იხ. ზემოთ).

სულერთი არ არის, როგორ ვივარაუდებთ? არა: უკანასკნელ შემთხვევაში **განვითარების სხვადასხვა საფეხურია შეპირისპირებული**: ძველი ვითარების ამსახველი ბერძნ. ε და ცვლილებამოვლილი ძვ. ინდური a. ამის შედეგად ხმოვანთა შესატყვისობა რთულ სახეს იღებს: ძვ. ინდურის a შეესატყვისება ბერძნ. ε-საც და α-საც². საქმე მართო სირთულე არაა, მთავარია სხვადასხვა რიგის ფაქტების დაყენება ერთ სიბრტყეზე, ე. ი. **ისტორიული პერსპექტივის დაუცველობა**.

ამ წესით რომ დაგვეხასიათებინა ქართულისა და ზანურის ურთიერთობა, ბგერათა შესატყვისობა სხვაგვარი იქნებოდა, ვინემ ახლა გვაქვს:

ქართ. ძმა ← ძამ-ა — ჭან. ჯუმა, მეგრ. ჯიმა	}	ქართ. ა — ზან. ა, უ, ი, ო.
„ კაც- „ კაჩ		

ნამდვილად კი აქ შესატყვისობა მხოლოდ ა- და ო-ს შორის არსებობს; უ, ი, შედეგია ო-ს ცვლისა (იხ. ზემოთ); ბოლოკიდური -ა იგივეა (და არა შესატყვისი).

აღ. ცაგარელი, რომელმაც დაადგინა ქართულისა და მეგრულის ბგერათა შესატყვისობანი, სწორედ ამგვარად იქცევა; აი რას წერს, მაგალითად, ის ჯ-ს შესახებ:

„მეგრ. ჯ შეესატყვისება ქართ. ჯ-ს, ძ-ს, რ-ს, დ-ს, ც-ს, ხ-ს“...

¹ იხ. Богородицкий: ხსენ. შრომა, გვ. 6.

² იხ. Богородицкий: Крат. очерк сравнит. грамат., გვ. 42 (ბგერათა შესატყვისობის ცხრილი).

საილუსტრაციო მასალა ასეთია:

- ა. მეგრ. ჯიკი — ქართ. ჯირკი, მეგრ. ჯარი — ქართ. ჯავრი...
- ბ. მეგრ. ჯოლორი — ქართ. ძაღლი, მეგრ. ჯვეში — ქართ. ძველი, მეგრ. ჯერღვი — ქართ. ძარღვი, მეგრ. სინჯა — ქართ. სიძე, მეგრ. ჯიმა — ქართ. ძამია...
- გ. მეგრ. ხუჯი — ქართ. მხარი, მეგრ. ყუჯი — ქართ. ყური, მეგრ. ღეჯი — ქართ. ღორი, მეგრ. ხოჯი — ქართ. ხარი.
- დ. მეგრ. ხინჯი — ქართ. ხიდი.
- ე. მეგრ. ჯიხა — ქართ. ციხე.
- ვ. მეგრ. ჯა — ქართ. ხე...¹

აქედან მხოლოდ ბ და გ მუხლებს აქვს მნიშვნელობა შესატყვისობის თვალსაზრისით: მეგრ. ჯ — ქართ. ძ, რ (თუმცა ერთს სიბრტყეზე ამათი მოთავსებაც ძნელია: ჯ — ძ სხვა რიგის ფაქტია, ჯ — რ კიდევ სხვა რიგისა: ჯ — რ-ს შესატყვისი კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ბგერისა, რომლის ადგილიც ამ რ-მ დაიჭირა და რომელიც უნდა ყოფილიყო ენის წვერისმიერი მჟღერი თანხმოვანი...).

სხვა ყველა შემთხვევა გამოუსადეგარია შესატყვისობის დასადგენად:

§ ა-ში მოცემული მაგალითები (ჯირკი, ჯავრი) საერთო მასალას შეიცავს, ხინჯის ჯ (§ დ) მეორეულია, იგი დ-საგანაა მიღებული; ჯიხა (§ ე) იმას გვაფიქრებინებს, რომ ქართ. ციხე←ძიხე და არა იმას, თითქოს მეგრ. ჯ ქართ. ც-ს შესატყვისებოდეს; ჯა (§ ვ) არ შეიძლება შევუდაროთ ხე-ს: ეს სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეებია (ჯა-ს შესატყვისია ძელ-; იხ. ქვემოთ). ერთი სიტყვით, ალ. ცვარელთან გარჩეული არაა ნამდვილი შესატყვისობის შემთხვევები მოჩვენებითი შესატყვისობის შემთხვევათაგან; სხვა შემთხვევები შერჩეულია იმის მიხედვით, შეიცავს თუ არა ეს სიტყვა ჯ-ს მეგრულში და რა ბგერაა იმ ავე მნიშვნელობის მქონე ქართულ სიტყვაში; ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში არც ფონეტიკურ გადახრას ეწევა ანგარიში და არც სემასიოლოგიურს, ზოგჯერ ფუძეები შესატყვისიც კი არაა.

§ 108. შესადარებელ ოდენობათა გაერთმნიშვნელობა. შედარების წესები, რომლებიც აქამდე დავასახელებთ, ერთ მიზანს ემსახურება: შესადარებელი მოვლენები უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ დიფერენცირებულ მასალას, არამედ ასახავდეს დიფერენციაციის პროცესის ერთსა და იმავე საფეხურს: შესადარებელი მოვლენები ან უნდა წარმოგვიდგენდნენ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურს ანდა, თუ ასე არაა, უნდა იქნენ დაყვანილი ერთ საფეხურამდის. ეს ისევე აუცილებ-

¹ იხ. А. Цагарели: Мингрельские этюды, вып. II. Опыт фонет. мингр. яз. СПб, 1880, § 38, გვ. 64.

ლია, როგორც აუცილებელია წილადთა სიდიდის შედარებისას ანდა წილადთა შეკრება-გამოკლებისას მათი **გაერთმნიშვნელიანება...** ($\frac{3}{7}$ და $\frac{2}{7}$) შეიძლება ერთმანეთს **შევუდაროთ** ამ სახით, პირდაპირ (რომელია მეტი, ნაკლები); შეიძლება ერთმანეთს მივუმატოთ, შეიძლება ერთს მეორე გამოვაკლოთ, — შეიძლება, რადგანაც ეს ერთმნიშვნელიანი წილადებია. მაგრამ ($\frac{3}{7}$ და $\frac{3}{11}$)-ს ერთმანეთს **ამ სახით** ვერ შევუდარებთ, ვერ მივუმატებთ; ამისთვის არ კმარა, რომ მათ ერთნაირი მრიცხველები აქვს, აუცილებელია მათი გაერთმნიშვნელიანება.

ენობრივი ფაქტების შედარებისას ასეთივე **გაერთმნიშვნელიანებაა საჭირო**; ეს ნიშნავს: **უნდა ვიცოდეთ შესადარებელ ოდენობათა ისტორია**; უნდა ვიცოდეთ, **განვითარების რა გზა გაუვლია შესადარებელ ენობრივ ფაქტს** სათანადო ენაში, **მონათესავე ენათა დიფერენციაციის შემდეგ**. თუ ეს პირობა შესრულებულია, შედარება ისტორიის ძლიერ საშუალებად მოგვევლინება.

ერთი შეხედვით, აქ გამოუვალი წრე იქმნება: შედარება ისტორიას ემსახურება, მაგრამ სათანადოდ რომ მოემსახუროს, ამისთვის მას თვითონ ისტორიის დახმარება ესაჭიროება. გარკვეულ შემთხვევებში, მართლაც, არაა ადვილი ამ წრეს დააღწიოს თავი მკვლევარმა, მაგრამ ხშირად თვით შესადარებელი ოდენობები ერთმანეთს უწყვეტ კონტროლს და მათი ვარიაციები ნიშანსვეტებად გვევლინებიან განვითარების გავლილი გზის გათვალსაზიარებისას; რაც უფრო მეტია ეს ვარიაციები, მით უფრო ადვილია შედარება.

არსებითად გაერთმნიშვნელიანებას გულისხმობს **შ ლ ა ი ხ ე რ ი**, როცა ამბობს: „ორი მონათესავე ენის ფორმათა შედარებისას მე, პირველ ყოვლისა, ვცდილობ შესადარებელი ფორმები დავიყვანო სავარაუდებელ ძირითად სახეობამდის, იმ სახეობამდის, რომელიც მათ უნდა ჰქონოდათ, სანამ მერმინდელ ბგერათცვლილებას დაურჩებოდა ადგილი, ანდა დავიყვანო ისინი ბგერითი ფარდობის ერთსა და იმავე საფეხურამდის. ვინაიდან ჩვენი ოჯახის უძველესი ენები, თვით სანსკრიტიც კი, წარმოდგენილია არა მათი უძველესი ბგერითი აღნაგობით და შემდეგ, ვინაიდან სხვადასხვა ენებს ჩვენ ვიცნობთ მათი განვითარების (ასაკის) სხვადასხვა საფეხურზე, საჭიროა ასაკობრივი განსხვავება შეძლებისდაგვარად მოვშალოთ, სანამდის შედარებას მოვახდენდეთ, მოცემული სიდიდეების ერთ საერთო გამოსახულებამდის დავიყვანოთ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ განტოლებაში შევიტანდეთ, — იქნება ეს საერთო გამოსახულება სავარაუდებელი უძველესი ბგერითი სახეობა ორივე შესადარებელი ენისათვის თუ ბგერითი სახეობა ერთ-ერთი მათგანისა“¹.

¹ ა. შ ლ ა ი ხ ე რ ი ს „რომის — „ძვ. სლავური ენის მორფოლოგია“ — წინასიტყვაობიდან; მოგვყავს Delbrück-ის მიხედვით — *Einleitung* (1908), გვ. 93.

ეს სწორი დებულება თვით შლაიხერს მხოლოდ ნაწილობრივ თუ აქვს გამოყენებული¹. ამ დებულებით რომ ეხელმძღვანელათ, ძვ. ინდურისა და ბერძნულ-ლათინურის ხმოვანთა შესატყვისობის ზემოხსენებული წესი (გვ. 265) სხვა სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, კერძოდ, შლაიხერთან.

§ 109. შესატყვისობა, როგორც ძიების წარმართავი საშუალება ისტორიის აღდგენისას. ფონეტიკური შესატყვისობა ხშირად საშუალებას გვაძლევს დავძენოთ ისტორიულად არსებული დიფერენცირებული ფუძე, რომელიც სხვა ფუძეს შეუცვლია:

ქართ. **ხე**, მეგრ. **ჯა** ერთმანეთის შესატყვისი არაა; **ხ** — **ჯ**! მეგრულის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ქართულში „**ძე**“ ფუძე უნდათ მიგვეჩინა **ჯა**-ს ეკვივალენტად. „**ძე**“ გვაქვს, მაგრამ ვაჟიშვილს ნიშნავს. მნიშვნელობით ახლოსაა **ძელ**-, ოღონდ აქ ზედმეტი **ლ** აღმოგვაჩნდა: **ჯა** — **ძელ**... მაგრამ მეგრ. **ჯა**-ს მრავლობითს თუ მოვიგონებთ, ეს დაბრკოლება მოიხსნება: **ჯალ**-ეფი- „ხეები“; აქ დაცულია ბოლოკიდური **-ლ**, მხოლოდობითს იგი დაუკარგავს: **ჯალ**- — **ძელ**- **ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისია**; **ძელ**- ფუძეს მივაკვლიეთ მეგრ. **ჯა**-ს შემწეობით, თავის მხრივ **ძელ**- ფუძემ გვაპოვნინა მეგრ. **ჯა**-ს სრული სახე **ჯალ**-.

კი მაგრამ „ჯა“ ხეს ნიშნავს, **ძელ**-ი კი ხის ერთი სახეობაა, ესაა „ხე მოკვეთილი“ (ს ა ბ ა). ძველად ძელ- უფრო ფართო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო: „ძელი ცხოველი“... კაცი იტყოდა: მაინც „მოკვეთილი ხე“ იგულისხმებოდაო... მაგრამ გვაქვს: **ძეწა**, კომპოზიტი: ძელ+წა; **ძელ**-აქ „ხეს“ ნიშნავს... მეორე **ძელ**-ქვა (= ხე-ქვა) — „ძელი ულპოლველი“, ურთხელი...

ძელს „მოჭრილი ხის“ მნიშვნელობა შემდეგ გასჩენია: მნიშვნელობის ეს დავიწროება ახალი ფუძის („ხე“) მოცილებას უნდა გამოეწვია: ზოგადი მნიშვნელობით დამკვიდრდა **ხე**, ხის ერთ-ერთი სახეობის აღნიშვნა **ძელ**- ფუძეს დაეკისრა.

ხე- ფუძეს ჩაჩნური ჯგუფის ენებისაკენ მივყავართ². ზოგადი მნიშვნელობით **ძელ**-ი, როგორც **ხე**- ფუძის სინონიმი, ამ უკანასკნელის შეთვისებად უნდა ყოფილიყო ქართულში ნახმარი.

ზანურისა და ქართულის შედარებამ, ამრიგად, **აღგვადგენინა**: ქართული **ძელ**- ფუძის **ძველი მნიშვნელობა**, მეგრ. **ჯა** ფუძის **ბოლოკიდური თანხმოვანი** და **აღძრა საკითხები ხე**- ფუძის **ქართულში დამკვიდრების ისტორიისა**.

¹ იხ. Delbrück, Einleit., გვ. 94.

² იხ. ავტორის „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), გვ. 120.

ქართ. **წყალ-**, მეგრ. **წყარ-**, ჰან. **წკარ-** || **წარ-**: მეგრულ **წყარ-**-ს (აგრეთვე ჰანურ ვარიანტებს) წყალ- ფუძის შესატყვისად ვერ მივიჩნევთ: ეს იგივე **ფუძეა**, ოდნავ სახეცვლილი.

შესატყვისობის ნორმათა მიხედვით მეგრულსა და ჰანურში **წყალ-** ფუძეს უნდა მოეცა **ჰყორ-**; **ჰყორ-** მეგრულს მოეპოვება, ოღონდ ეს **მწყერ-** ფუძეს ეტოლება (მნიშვნელობითაც და ბგერითი შედგენილობის მიხედვით). მეგრულში **წყალ-** ფუძის შესატყვისი **ჰორ-ოფ-ა-ში** უნდა იგარაუდებოდეს: „ჰოროფა“ „ავდრიანობაა“, სიტყვასიტყვით „წყლიანობა“: **ჰორ-** საწარმოებელი ფუძე. რატომ **ყ** არ ჩანს? **-ყ** ქართ. **წყალ-**ში ფონეტიკურადაა განვითარებული; მეგრ. **ჰორ-** შეესატყვისება **წყალ-** ფუძის ძველ სახეობას, **-ყ-** განვითარებამდის რომ უნდა გვქონოდა: **წ-ალ-**.

ყ-ს მეორეულობა ქართულში გამოავლინა მეგრულმა შესატყვისმა. თვით ეს შესატყვისი ქართულ **წყალ-** ფუძემ დაგვაძებნინა. შეუძლებელი არაა **ყ-**ს განვითარების შემდეგ მიღებული **წყალ-** ფუძე იყოს ასახული მეგრ. ჰოჰყო-ში „ჰაობიანი ადგილი“: **ჰო-ჰყო** (←ჰორ-ჰყოლ-←ჰორ-ჰოლ-←ჰორ-ჰორ-) „წყალ-წყალი“ (შდრ. მეგრ. ჰვარ-ჰვალ-ი (←**ჰვარ-ჰვარ**): წყარი ჰვარჰვალანს „წყალი მოწანწკარებს“ (წან-წკარ←**წან-წარ**; შდრ. **წ-ალ-**).

ქართ. **ფეხ-**, ძვ. ქართ. **ფერჰ-** და მეგრ. **კუჩხ-** (ჰან. კუჩხ-ე) ერთმანეთს მხოლოდ მნიშვნელობით უდრის; ფუძეთა შესატყვისობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება: ეს სულ სხვადასხვა ფუძეა.

მეგრულის მიხედვით ქართულს უნდა ჰქონოდა **კუცხ-**; ნაწარმოებ სახელებში ქართულს დაუცავს ეს ფუძე ძველი მნიშვნელობით („კუცხ“ = ფეხი): მოკურცხლ-ა — „მოუსვა (ფეხი)“... მკურცხლ-ი „ქვეითი“ (საპირის-პიროა: მწედარი): მკურცხლ მავალი „ფეხით მოსიარულე“...

იგივე ფუძეა: კუარცხლ-ბეკ-ში, გასარკვევია ოღონდ **ჰ** || **უა**: მკურცხლ- || კუარცხლ- (←კორცხლ-).

თანაბარ პირობებში შედარება უფრო ადვილია, თუ შესატყვისი ფუძე ვრცელია, ვთქვათ, ერთ მარცვალზე მეტს შეიცავს, მაგრამ ერთმარცვლიანი ძირი ხშირად ცალი თანხმოვნითაა წარმოდგენილი; ასეთ შემთხვევაში საკმარისია ერთი თანხმოვანი იცვალოს, რომ შედარებისას გაძნელება შესატყვისი ძირის პოვნა (შეუძლებელიც კი გახდება მისი მოკვლევა); ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეთა გარჩევა ასეთ პირობებში დიდ სიძნელეებს წააწყდება.

როგორც აღნიშნული გვაქვს სხვაგან, ქართ. **დათვ-** ფუძის ძირეული მასალა **თ-** თანხმოვნითაა წარმოდგენილი: **და-** გრამატიკული კლასის ნიშანია, **-ვ** ფუძის დეტერმინანტი. ძირეულ **თ-**ს გამოყოფა გზას გვიხსნის იმისათვის, რომ შესაძლებლად ვცნოთ ამ ძირის დაკავშირება **ც-** ფუძეს-

თან, რომელიც ხუნძურში გვაქვს და იმავე მნიშვნელობისაა (ც^{ნი} — „დათვი“). დაღესტნის ენათა ც^{ნი} ფუძეს ეკედლება ჩაჩნურისა და აფხაზურის სახელები იმავე ნადირისა¹. მაგრამ სწორედ ამგვარ სიტყვათა შედარებაა რთული და სადავო.

ერთსა და იმავე ენაშიც კი ძირი ბგერითად განუსხვავებელი გამოდის: შ- ძირი გვაქვს შე-შ-ა-შიც, შა-შ-ვ-შიც, ლა-შ-შიც... შუ- ძირი გამოიყოფა სა-შუ-ალ-ში, მ-შუ-ენ-ი-ერ-ში (ძვ. ქართ. შე-ა-შუ-ს — შვენის), ში-შუ-ელ-შიც...

ძირთა ომონიმია არის შედეგი ძირთა სიმარტივისა ქართველურ ენებში. ეს აადვილებს ბგერითი შედგენილობის მიხედვით არსებითად **განსხვავებულ ფუძეთა** დაკავშირებას, რამდენადაც ძირეული მასალა ერთია. მაგრამ სწორედ იმის გამიჯვნა ჭირს, როდისა გვაქვს მართლაც **ერთი და იგივე** ძირი და როდის — **ბგერითად ერთნაირი ომონიმური ერთეულები**.

§ 110. ბგერათა შესატყვისობის ისტორიული რაობისათვის. რა უღვეს საფუძვლად ბგერათა შესატყვისობას? როგორ ჩნდება კანონზომიერი შეფარდება ბგერებს შორის?

აქამდე თქმული ცხადყოფს ბგერათა შესატყვისობის მნიშვნელობას შედარებისათვის. ბუნებრივია ვიკითხოთ: რას წარმოადგენს ისტორიულ-შედარებითი ძიების ეს მძლავრი იარაღი წარმოშობით?

ბგერათა შესატყვისობა ბგერათა ცვლის შედეგია. ეს ცვლა, როგორც წესი, ეხება არა ერთ რომელსამე ბგერას, არამედ ბგერათა წყებას, ჩვეულებრივ ერთი და იმავე რიგის ბგერებს. ეს **ცვლა სპონტანურია და არა კომბინაციური**. უკანასკნელი მომენტი გამორიცხული არაა: მისი ზეგავლენით შეიძლება მივიღოთ ძირითადი კანონზომიერებიდან თავისებური გადახრა — აგრეთვე კანონზომიერი; ამის ნიმუშია ვერნერის კანონი, რომელმაც ახსნა გრიმის კანონის „გამონაკლისები“.

ძვ. ინდ. t-ს შეესატყვისება გერმ. f: ძვ. ინდ. bhrātār „მამა“ — გერმ. (გუთ.) brōþar. მაგრამ ეს შესატყვისობა ზოგჯერ ირღვევა: ძვ. ინდ. pitār „მამა“ — გერმ. (გუთ.) fadar, ძვ. ინდ. mātār — გერმ. (ძველ. საქს.) mōdar. ვერნერმა მიაკვლია მიზეზს: კანონზომიერება დაცულია, თუ თანხმობანი t მახვილიანი მარცვლის შემდეგაა (მახვილი უსწრებს), კანონზომიერება დარღვეულია, თუ მახვილი t-ს მომდევნო მარცვალზე მოდის:

ძვ. ინდ. bhrātār — გერმ. brōþar
 „ „ pitār — „ fadar...²

¹ იხ. ავტორის „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942), გვ. 176.

² იხ. აქვე, § 32, გვ. 50.

ცვლილებების გამომწვევი მახვილი საკომბინაციო ელემენტია, ე. ი. ახალი მომენტი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვაში შესაძლოა სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდეს და პირობათა თავისებური კომბინაცია მოგვცეს. ძირითადი პრინციპი მაინც სპონტანური ცვლაა.

ბგერათა ეს სპონტანური ცვლა შეიძლება ორგვარი იყოს:

ა. შესადარებელი ენებიდან **ერთში ბგერები მოცემულია წინანდელი, უფრო ძველი, სახით, სხვაში (თუ სხვებში) შეცვლილი სახით.** ამგვარად: შესადარებელი ენები განვითარების ორ საფეხურს წარმოგვიდგენენ — **უწინარესსა და შემდგომს.**

ამის ნიმუში გვექნებოდა ქართულისა და ზანურის ბგერათა შესატყვისობაში¹, გრიმის კანონში... ეს ნიშნავს, როცა ერთმანეთს ვადარებთ **კაც-** და **კოჩ-** ფუძეებს, ანდა ლათ. cornu — გუთ. haurn („კა“) სიტყვებს, შესადარებელი კონკრეტული მონაცემების ამოსავალი **არ უნდა ვეძიოთ ამ მონაცემებს იქით** რაღაც დიფუზურ ბგერებში, რომლებიც — ა/ო, ც/ჩ, c/h — ბგერათა არითმეტიკულ საშუალოს წარმოადგენდა, — არა, **ამოსავალი თვით ამ შესადარებელ ოდენობებში გვაქვს, ამოსავალი — ერთ-ერთი ამ ოდენობათაგანია, ჰიპოთეზური დიფუზური ბგერებისადმი აპელიაცია საჭირო არაა.**

ბ. შესადარებელი ენებიდან **წინანდელი, ძველი, ვითარება არცერთში არ შენახულა, ყველგან ცვლილი სახითაა მოცემული რაღაც სხვა, და ეს სხვაა ამოსავალი** შესადარებელ ოდენობათათვის.

ამგვარი შესატყვისობის მშვენიერი ნიმუშია ქეთ. ლომთათიძის მიერ დადგენილი შესატყვისობა **გ ძ ძ** სპირანტებისა და **ძ ც წ** აფრიკატებისა აფხაზური ენის დიალექტებში (პროცესს ყაბარდოულშიც აქვს ადგილი):

აფხაზურის დიალექტებს (აბჟუურს, ბზიფურს, აშხარულს) სპირანტები შეეფერება, ტაპანთურ დიალექტს — აფრიკატები:

აბჟ.	ბზ.	აშხ.	ავარა	—	ტაბ.	(ა)ძა „გვერდი“...
„	„	„	ავანგზა	—	„	აძანგზა „ელენთა“...
„	„	„	ავაწგს	—	„	აძაწგს
„	„	„	ძ-ბა	—	„	ც-ბა „ექვსი“...
„	„	„	აჭგ	—	„	აც „ჭეჭა-ქუხილის ღმერთი: შდრ. ამა-ც ⁰ -გს „მეხი“.
„	„	„	აჭბ	—	„	წა „წვრილი“

¹ ორიოდ შემთხვევის გამოკლებით: შესატყვისობანი რ:ჯ (ყური — ყუჯი), ს:ო (სავსე — ოფშა) ცვლის სხვა, ბ-ტიპს, უნდა ეკუთვნოდეს; ეს აიხსნება რ, ს, ჰ, — ბგერათა ისტორიით ქართულში (იხ. ავტორის: „ჭან-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი“, გვ. 412).

ხსენებული შესატყვისობისათვის **ამოსავალი** რთული ლაბიალიზებული ბგერები; შესატყვისობა მივიღეთ ამ ბგერათა **დაშლით**; ტაპანთურს მოეპოვება სათანადო „ძირითადი“ ბგერა **ლაბიალიზაციის გარეშე**; დანარჩენ კილოებში ლაბიალიზაციის მომენტი, ცალკე ფონემად რომ ჩამოყალიბდა („ძირითადი“ მომენტი გამქრალია)¹.

ეს შესატყვისობა ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ დადასტურებულია (— თუმც ცალკეულ შემთხვევაში, მაგრამ რეალურად) ამოსავალი რთული ლაბიალიზებული ბგერის არსებობა:

აჟგ — აც — შდრ. ამა-ც⁰-ს (აქვე, ზემოთ).

ეს ნიშნავს: ამოსავალი რთული ბგერის გახლეჩის გზით ახალ, ერთმანეთთან კანონზომიერ შეფარდებაში მყოფი შესატყვისობის მიღება **ისეთივე რეალური ფაქტია ენათა ისტორიისა**, როგორც ც→ჩ ზანურში ანდა კ→ჭ ინდოევროპულ ენებში.

ასეთი ბედნიერი შემთხვევა იშვიათია: ჩვეულებრივ ბგერათა გახლეჩის შემთხვევაში ამოსავალი ქრება; რომ ის არსებობდა, ამას დიფერენცირებული შესატყვისი ბგერების მიხედვით ვასკვნივთ. აღდგენილი ბგერა შესაძლებლობაა და არა ფაქტი (ფაქტია მხოლოდ ის, რომ რთული **ბგერის გახლეჩამ** შეიძლება მოგვცეს შესატყვისობა).

ამოსავალი ბგერის აღდგენა და მისი შედეგი რეალურ ვითარებას — სხვა თანაბარ პირობებში — მით უფრო გაგვათვალისწინებინებს, რაც უფრო სრულად იქნება დაცული გახლეჩის შედეგად მიღებული ბგერები. მაინც შედეგი პირობითი ხასიათისაა, და ეს განასხვავებს შესატყვისობის ამ მეორე ტიპს პირველი ტიპისაგან, — **იქ ამოსავალი ვითარება რეალური ფაქტია და არა დანასკვი**.

რაც ცალკეული ამოსავალი ბგერის შესახებ ითქვა, სავსებით შეიძლება გავავრცელოთ, საერთოდ, ფუძეენის **ძირთა** და **სიტყვათა** აღდგენაზე. აღდგენილი ძირი (თუ სიტყვა) ვარაუდია; იგი შეიძლება მეტ-ნაკლებად უახლოვდებოდეს რეალურად არსებულ მდგომარეობას. ეს ვარაუდი სასარგებლოა, მისი წამოყენებაც კანონიერი და გამართლებული ოპერაციაა, თუკი ის **რეალური ენობრივი ფაქტების ისტორიული ვითარების გარკვევას ემსახურება, უსარგებლოა და უქმი, თუ ამ მიზანს ივიწყებს და საშუალებიდან მიზნად იქცევა**.

ისტორიული ენათმეცნიერების ინტერესების შესაბამისია მეიეს კატეგორიული თქმა: „შედარების გზით შეუძლებელია აღვადგინოთ გამქრალი ენა: რომანული ენების შედარებას არ შეუძლია მოგვცეს ზუსტი

¹ იხ. К. В. Ломтатидзе: Об одной фонет. закономерности в абхаз.- абаз. диалектах — Сообщения Акад. Наук Грузинской ССР, т. III, № 8 (1942), გვ. 862 შმდ.

და სრული წარმოდგენა ხალხური ლათინურის შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, და საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპულ ენათა შედარება მეტ შედეგს მოგვცემს. ინდოევროპული ენის აღდგენა შეუძლებელია... დადებით ფაქტებს წარმოადგენენ მხოლოდ შესატყვისობანი, „აღნადგენი“ კი მხოლოდ ნიშნებია, რომელთა მეშვეობითაც მოკლედ გამოისახება შესატყვისობანია¹.

ეს ეხება სიტყვის ბგერითი სახით აღდგენას: როგორ ითქმოდა ფუძეენაში, ვთქვათ, სიტყვები „მამა“, „დედა“, „ძმა“, „სახლი“, „ცხენი“... მეტი გარკვეულობა ახლავს საკითხს: რა მორფოლოგიური კატეგორიები უნდა არსებულებოდა ფუძეენაში დიფერენციაციის მომენტისათვის და რა ძირითადი ერთეულები ჰქონდა ამ კატეგორიებს (მაგალითად, იყო თუ არა ბრუნება, უღვლილება; თუ იყო, რა და რა ბრუნვები ჰქონდა სახელს, რა და რა დრო თუ ასპექტი, გვარი, კილო გაირჩეოდა ზმნის უღვლილებაში...). ამგვარ საკითხებზე პასუხის გაცემა უფრო ადვილია, ვინემ იმის ჩვენება, თუ რა აფიქსით გადმოიცემოდა ნათესაობითი ბრუნვა ანდა ვნებითი გვარი...

ბგერითი შესატყვისობის ორგვარი ტიპი² გამოყავით. მიღებულია ეს ტიპები, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა გზით. მაინც ორივეს აერთიანებს ის, რომ შესატყვისობა ასახავს ისტორიულად მომხარ ბგერათცვლას: კორელაციის წევრები ან ერთი მეორემდის დაიყვანება ანდა ორივე დაიყვანება სხვა ოდენობამდის. ორსავე შემთხვევაში **ფონეტიკური** ტრანსფორმაციის შედეგთან გვაქვს საქმე. ორსავე შემთხვევაში ეს ტრანსფორმაცია ენათა **დიფერენციაციის** ისტორიული პროცესის რეალური ფაქტია.

ამათგან უნდა განვასხვავოთ სხვაგვარი, არაფონეტიკური ხასიათის, შესატყვისობა; ასეთია, მაგალითად:

ქართ. სი-სხლ-	—	ჭან. დი-ცხირ- „სისხლი“
„ *სე-შა (→შეშა)	—	„ დი-შქა „შეშა“
„ *სე-ცხლ- (→ცეცხლ-)	—	„ და-ჩხურ- „ცეცხლი“
„ *სა-ცხუ- (→ცაცხუ-)	—	„ დუ-ცხუ „ცაცხვი“

¹ А. Мейе: Введение в сравнит. изуч. инд.-европ. яз. — рус. т.არგმ. (1938), გვ. 73—74 (ხაზი ავტორისა).

² არსებითად იგივე ორი ტიპი უნდა ივარაუდებოდეს მეიეს მიერ გაცვრით წამოყენებულ დებულებაში: „რასაც ჩვეულებრივად ფონეტიკური კანონი ეწოდება, ... ესაა მხოლოდ ფორმულა რეგულარული შესატყვისობისა ან ორ ერთმანეთის მომდევნო ფორმას შორის ანდა ერთი და იმავე ენის ორ დიალექტს შორის“ — А. Мейе: Введение в сравнит. изуч. инд.-европ. языков (1938), გვ. 64:

სამწუხაროდ, უფრო დაწვრილებით მეიე ამ საკითხზე არ ჩერდება.

ს და **დ** ერთმანეთს შეესატყვისება: ერთის ადგილას სისტემატურად ზის მეორე... **ამ მხრივ** ასეთი შესატყვისობა **შეუძლებელია განვასხვავოთ** იმ შესატყვისობისაგან, **ც** და **ჩ**-ს შორის (კაც — კოჩ-) რომ გვაქვს: **ს—დ... ც—ჩ**.

მაგრამ **სხვა მხრივ** აუცილებლად **უნდა განვასხვავოთ**; **ჩ** ფონეტიკური სახეცვლაა **ც**-სი; **დ**- ბგერა კი არ გამოიყვანება **ს**-საგან; **ს** და **დ** შესატყვისებიან ერთმანეთს **ფუნქციის** მიხედვით, როგორც ფორმანტები და არა ფონეტიკურად. მეორე — და ესაა მთავარი: ფონეტიკური შესატყვისობა ენათა **დიფერენციაციის პროცესს ასახავს, ენათა განვითარების გზას შუქს ჰფენს** (გარკვეული ფაქტების მიხედვით), მორფოლოგიური შესატყვისობის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით.

მე ი ე ერთმანეთს უდარებს ლათ. *duo*-სა და სომხ. *erku*-ს; ერთმანეთს ესენი სრულებით არ ჰგვანან, მაგრამ შესატყვისობას აქ ადგილი მაინც აქვს: ანალოგიური შეფარდება სხვა ფაქტებშიც დასტურდება:

ლათ. *duo*

სომხ. *erku*

ბერძნ. *dwi* ძირი „შიშის“ მნიშვნელობით — სომხ. *erk* (*erkivwi* *Երկիւի*) „შიში“.

ბერძნ. *dwārón* (ძვ. ზედსართ.) „ხანგრძლივ“ — სომხ. *erkar* „გრძელი“¹.

თუ ეს ფონეტიკური შესატყვისობაა, უნდა იქნეს ნაჩვენები ის შუარგოლები, რომლებიც დაახლოებენ ამ ერთეულებს, რომელთაც ერთი საერთო ბგერაც კი არ მოეპოვებათ.

მე ი ე ც ცდილობს დაძებნოს ეს დამაკავშირებელი რგოლები: სომხ. *k* უკანანისმიერი შეეფერება ბერძნ. ლათ. *tw*-ს; ბერძ. *twe* (→ ატიკ. *se*) — სომხ. *k'o* (*ք*); *r* ბგერა სომხურში თავკიდური თანხმოვნის სონორობას ასახავს; ამ *r*-მ გამოიწვია თავის მხრივ *e*- ხმოვნის განვითარება... ამ ვარაუდებს, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს სომხ. *kr-kin* (←**kir-kin*←**kur-kin*) „ორმაგი“...² მე ი ე დასძენს: ამგვარი შესატყვისობანი მონათესავე ენათა შიგნით სავსებით რეალური შესაძლებლობაა, ოღონდ, თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი შესატყვისობებით ვერ დავიწყებთ ენათა ნათესაობის დადგენასა...³

ამრიგად: ფონეტიკური შესატყვისობა **მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართალი ბგერითი შესატყვისობა**, თუ **შესატყვისი ბგერები ერთიმეორეზე დაიყვანება ანდა მესამის მეშვეობით აიხსნება**⁴.

¹ იხ. Meillet: *Méthode comparat.*, გვ. 6.

² იქვე, გვ. 31—32.

³ იქვე.

⁴ თავისთავად ცხადია ეს „დაყვანა“ სათანადო ენებისთვის დამახასიათებელ ბგერათცვლილებას უნდა ემყარებოდეს და არა განყენებულ ზოგად შესაძლებლობას.

ფონეტიკური შესატყვისობა ბგერათა ტრანსფორმაციის შედეგია. ამიტომ არის, რომ ერთნაირი შესატყვისობა სხვადასხვა წარმომავლობის ენებში შეიძლება დადასტურდეს: სისინა და შიშინა აფრიკატების მონაცვლეობა ქართულსა და ზანურში გვაქვს, ოსური ენის დიალექტებშიც შეინიშნება...

ინდ. ევრ. p ძვ. სომხურში h-(ჰ)-თია ცვლილი: ლათ. pater — სომხ. hayr (ჰადრ)... ხუნძური ენის ონსოქოლოს თქმაში ფ-ს ადგილს იჭერს ჰ: ფერ „ხახვი“ — ჰერ, ფილფილ — ჰილჰილ-...

§ 111. ნარევი ენა და შედარება. შედარების საკითხი თავისებურად დგება ნარევი ენაში. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია წამოვყენოთ ისეთი შესატყვისობანი, რომელთაც ძალა ექნებოდა მთელი ენობრივი მასივისათვის: მთლიანი ენობრივი მასივი ასეთ შემთხვევაში არც გამოიყოფა. ნარევი ენაში სიმძიმის ცენტრი **ცალკეულ ფენათა გამოვლენაზე** გადადის; ესაა ერთადერთი გზა, თუ გვინდა მოვიპოვოთ შედარებისათვის საჭირო **წინაპირობა**, გავითვალისწინოთ **შესადარებელ ოდენობათა ისტორია**. არ შეიძლება სვანური ვიკვლიოთ იმ წესით, რაც ასე ნაყოფიერია ქართულისა და ზანურის შედარებითი შესწავლისას. სვანურში უნდა გავარჩიოთ: 1. ზანური ფენა, 2. ძვ. ქართულის ერთ ინგრედიენტს დამთხვეული ფენა, 3. ადიღეური ფენა და 4. რალაც იქს-ფენა, რომელიც თითქოს კანონზომიერ შესატყვისობაშია ქართულთან და ზანურთან: ამ ფენის არსებობაა საფუძველი იმისათვის, რომ ქართველურ ენათა წრეში სვანური, როგორც ცალკე წევრი, გამოვყოთ. ყველა სხვა ფენა სათანადო ერთეულებთან — ზანურთან, სვანურთან, ადიღეურთან — დაკავშირებით უნდა იქნეს შესწავლილი¹.

ნარევი ენათა შესწავლის მეთოდოლოგია დამუშავებული არაა. თვით ცნება ნარევი ენისა სხვადასხვაგვარად ესმით. ამაზე აქ ვერ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ უკიდურესობას ნარევიობის ზვედრი წონის გაგებაში. მე ი ე ამბობს: თუ ენას მორფოლოგიური კატეგორიები მოეპოვება, შერევა თითქმის შეუძლებელია, — მეტყველი ყოველთვის გარკვეულ ენაზე ლაპარაკობს, მთქმელს ყოველთვის ეცოდინება, რა ენაზედაც ლაპარაკობს იგი. რაც უნდა გადაგვარებული იყოს ბრეტონელი, მან იცის — ფრანგულს ლაპარაკობს თუ ბრეტონულსაო.

სადაც ენას მორფოლოგია მინიმუმამდის დაუდის, სხვა მდგომარეობაა: ანამურ ენაზე მოუბარს შესაძლებლობა აქვს ჩინური ელემენტები შემოაღოსო².

¹ ამ ფენის საკითხი, ახლანდელ სვანურ ენაში საკუთრივ სვანური ფენის გამოვლენის საკითხი, — ყველაზე ნაკლებად დამუშავებული.

² Meillet: Methode comparative, გვ. 82.

შუხარდტი პირიქით ამტკიცებს: არ არსებობს სრულებით შეუ-
რევენელი ენა¹.

„ენის შერევის შესაძლებლობას არცერთი მხრით არ უჩანს ზღვარი; იგი აღწევს ენობრივი სხვაობის (Sprachverschiedenheit) მაქსიმუმს ისევე, როგორც მინიმუმს“...². მეტადრე ეს ითქმის ინდივიდუალური ენის შესა-
ხებ: „ყოველი ინდივიდი სწავლობს და ასხვაფერებს თავის ენას სხვა ინდი-
ვიდებთან ურთიერთობაში“³.

რასაკვირველია, ყოველი ენა ნარევი გამოვა, თუკი ინდივიდუალური ენა არ არის ენა; არაერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ ენა სწორედ იმდენად ენა, რამდენადაც ის არაა ინდივიდუალური. ენის რაობის ინდივი-
დუალისტური კონცეფცია, ამრიგად, განსაზღვრავს შუხარდტის დე-
ბულებას: ყოველი ენა ნარევიანო. მასთან უეჭველია, რომ ენათა შერევა ფაქტია **განვითარებული მორფოლოგიური სისტემის არსებობის პირო-
ბებშიც**. ეს შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს დებულებიდან, რომ ფორმანტების სესხება შესაძლებელია, ხოლო ნარევი ენა მიიღება სხვა ენის მასალის შეთვისების (სესხების) გარკვეულ დონეზე. რა დონეა ეს? ესაა ვითარება, როცა ენა აღარ შეიცნობა როგორც გარკვეული სის-
ტემა, როცა ამ სისტემას ეკარგება ის ნიშნები, რაც მის ინდივიდუალურობას განსაზღვრავდა. ასეთ შემთხვევებს უთუოდ აქვს ადგილი.

სესხება კონტაქტს გულისხმობს; შერევა ენათა **ინტეგრაციის (უნი-
ფიკაციის)** პროცესში მიიღება. **ინტეგრაციის (უნიფიკაციის)** ფაქტორი ყოველთვის მოქმედებს: არ არსებობს ენა, რომელსაც სხვა ენის მასალა ოდესმე არ შეეთვისებინოს (და ნიადაგ არ ითვისებდეს მას). **ინტეგრაცია (უნიფიკაცია)** პ რ ი ნ ც ი ბ შ ი ისთივე მაგისტრალური ხაზია ენათა გან-
ვითარებისა, როგორც **დიფერენციაცია**⁴.

დიფერენციაციის პროცესში წარმოქმნილ **მონათესავე ენებს** ისტო-
რიული ენათმეცნიერება წარმატებით სწავლობს შედარების გზით ბგერა-
თა შესატყვისობის გამოვლენითა და გამოყენებით. ინტეგრაციის პროცეს-
ში წარმოქმნილ **ნარევი ენათა** შესწავლის გზები **ისტორიულ ენათმეცნიე-
რებას დასადგენი აქვს**. ნარევი ენებში უნდა განვასხვავოთ ის შემთხვევები, როცა **სხვადასხვა ოჯახის ენა ირევა ერთმანეთში** იმ შემთხვევათაგან, როცა **შერევას ადგილი აქვს თვით მონათესავე ენებს შორის**. ამ ტიპის ნარევი ენის ანალიზს განსაკუთრებული სიძნელე ახლავს: წინანდელი ისტორიული ურთიერთობის გათვალისწინება ჭირს.

როგორც არ უნდა იყოს ვითარება, ერთი რამ ცხადია: **ნარევი ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი გზით უნდა წარმოებდეს**. ეს ძნელია, მაგრამ სიძნელე აუცილებლობას კი არ აქარწყლებს, არამედ

¹ Schuchardt-Brevier, გვ. 153.

² იქვე, გვ. 154.

³ იქვე.

⁴ ინტეგრაციისა და დიფერენციაციის ხვედრი წონის შესახებ ენათა განვითარებაში საუბარი გვქონდა „ზოგადი ენათმეცნიერების“ I ნაწილში, გვ. 112-113.

მეტი სიმწვავით სვამს საკითხს და მიზნის შესაფერ ხერხთა დამუშავებას მოითხოვს.

ენათა ნარეგობის საკითხს კავკასიურ ენათა (ქართველური ენების, სომხურის, აფხაზურის...) შესწავლისას ყურადღების ცენტრში აყენებდა ნ. მარი, როცა გენეალოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისზე იდგა (დაახლოებით 1923 წლამდის).

ნ. მარის სათანადო შრომებში ფენათა გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფენათა დასახასიათებლად გამოყენებული იყო ფონეტიკური პრინციპი: ესა თუ ის კავკასიური ენა ხასიათდებოდა, როგორც სიბილანტური (სისინა თუ შიშინა), სპირანტული თუ სონორული ჯგუფის წარმომადგენელი... და მათი შეჯვარება. ამ მხრივ ნ. მარი არაერთი **მეტად საყურადღებო** — ხსენებულ ენათა **ისტორიის** თვალსაზრისით — **დებულება წამოაყენა.**

სამწუხაროდ, თანდათანობით შეჯვარება უნივერსალურ პრინციპად იქნა გამოცხადებული და ფენათა გამოყოფა უკვე აღარ ემსახურებოდა ძირითად დანიშნულებას — **ყოფილიყო ენათა ისტორიის აღდგენის საშუალება.** პირუკუ, **შეჯვარების პრინციპმა იაფეტურ ენათმეცნიერებაში შეამზადა ნიადაგი ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზისათვის** (იხ. ქვემოთ), რაიც პრინციპში ანტიისტორიულია.

§ 112. ცნება „ენათა კავშირის“ (Sprachbund) საკითხისათვის.

მონათესავე ენებს საერთო ნიშან-თვისებები ახასიათებს. ეს „საერთო“ ერთი წარმომობითაა შეპირობებული: დიფერენციაციის პროცესში ერთმანეთს დაშორებულ ენებში შედარება ამ „საერთოს“ გამოავლენს ხოლმე.

მაგრამ საერთო ნიშან-თვისებები ენათა დაახლოების შედეგადაც შეიძლება მივიღოთ. ინტეგრაციის პროცესის შედეგი ემსგავსება იმ მდგომარეობას, რომელიც დიფერენცირებულ მონათესავე ენათა ურთიერთობას ახასიათებს. **ინტეგრაციის ამ პროდუქტის აღსანიშნავად უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ტერმინი „ენათა კავშირი“**, ესაა ენათა ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმომობა არ აკავშირებს, მაგრამ საერთო ნიშან-თვისებები აქვს ლექსიკაში, ბგერათ სისტემაში (ფონოლოგიურ სისტემაში) და მორფოლოგიურ სტრუქტურაში. ტერმინი შემოღებულია ნ. ტრუბეცკოის მიერ, რომელმაც სცადა ეს ცნება მოემარჯვებინა კავკასიურ ენათა ურთიერთობის დასახასიათებლად¹.

ქამიტურ ენათა მიმართ ანალოგიური ცდა წარმოდგენილია გამოჩენილი სემიტოლოგის ბროკელმანის წერილში „არსებობს თუ არა ქა-

¹ წერილი გამოქვეყნებულია ნ. ტრუბეცკოის გარდაცვალების შემდეგ 1939 წ. ჟურნ. Acta Linguistica-ს III ნაკვეთში. სამწუხაროდ, ეს შრომა ხელთ არა გვაქვს და ამიტომ არსებითად ახალი ცნების („ენათა კავშირი“) შესახებ აქვერ ვიმსჯელებთ. აღრე ეს ცნება ნ. ტრუბეცკოის უნდა ჰქონდეს წამოყენებული მოხსენებაში ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1930 წელს (იხ. Deeters: Vergleich. Sprachforsch., „Lehrbuch der Völkerkunde“ (1937), გვ. 233.

მიტურ ენათა ოჯახი?“ სიმბტომატურია სიტყვები, რომლითაც თავდება წერილი: „ცალკე ამოცანაა იმ ნიშან-თვისებათა გამოკვლევა, რაც საერთოა დედამიწის ყველა ენისათვის (*alle Sprachstämme*); თუ მას (გამოკვლევას) ნაჩქარევად დავუკავშირებთ ისტორიულ ენათმეცნიერებას, ამით ზიანს უფრო მივაყენებთ მის (ე. ი. ისტორიული ენათმეცნიერების) შესწავლას, ვინემ ხელს შევუწყობთ მას“¹.

ცნობილი ენათმეცნიერი ულენბეკი ერთ-ერთ სპეციალურ წერილში, რომელიც ბასკურისა და ინდოევროპული ენების კონტაქტს ეხება, შესაძლებლად თვლის დაუპირისპიროს ერთმანეთს ენათა „**წარმოშობითი ნათესაობა**“ და „**შეძენილი ნათესაობა**“:

„...თანდათანობით მე მივედი იმ დასკვნამდის, რომ შედარებით ენათმეცნიერებაში ჩვენი უპირველესი ამოცანაა არა ის, რომ თავდაპირველი ნათესაობა (*Urvendtschaft*) დავადგინოთ, არამედ, პირიქით **გამოვავლინოთ**... თავისთავად საკმაოდ ძნელი ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური **შეხვედრები** (*Übereinstimmungen*) **სხვადასხვა ენებსა და ენათა ოჯახებს შორის** და მით შევამზადოთ ნიადაგი კიდევ უფრო ძნელი საკითხის გადასაწყვეტად, — **რა ხასიათისაა ამგვარი შეხვედრები და როგორ უნდა ავხსნათ ისინი ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით**“².

და ამას მოსდევს კითხვათა წყება, რომელიც შესაძლოა პასუხებს შეიცავს: შეხვედრა გამოწვეული ხომ არაა სესხებით? სესხება ცალმხრივია თუ საურთიერთო? და თუ ასეთი საურთიერთო სესხების ფაქტები მრავალრიცხოვანია, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ ენათა შერევის შესახებ, რომელიც კულტურათა შერევის პარალელურად მიმდინარეობს? რა რიგისაა დადგენილი ურთიერთმოქმედება — სუბსტრატის მოვლენებია, სუპერსტრატისა თუ ადსტრატისა?

და ამის შემდეგ წამოყენებულია ყველაზე საგულისხმო ალტერნატივა: „მოეპოვება თუ არა სათანადო ენებს ძირითადი ბირთვი (*Grundkern*), რომელიც მიგვითითებს წინარე ენის (*Ursprache*) დიფერენციაციაზე? **თუ — ჩვენ საქმე გვაქვს ენებთან, რომლებიც მთელი თავისი არსებით ღრმად ანდა ნაწილობრივ განსხვავდებიან, და რომელთა დაახლოებაც მეორეულ მოვლენას წარმოადგენს? რასთან გვაქვს საქმე: დიფერენციაციაზე დამყარებულ ენათა ოჯახებთან თუ ენათა კავშირებთან ტრუბეცკოისებური გაგებით? ანდა გვაქვს კი საერთოდ მხოლოდ და მხოლოდ დიფერენციაციაზე დამყარებული ენათა ოჯახები?**“³.

¹ იხ. Brockelmann: „Gibt es einen hamitischen Sprachstamm?“ — ჟურნ. „Anthropos“, ტ. XXVII (1932), გვ. 818. ამ წერილს სპეციალური მოხსენება უძღვნა პროფ. გიორგი წერეთელმა.

² იხ. K. Uhlenbeck: Vorlateinische indogermanische Anklänge im Baskischen — ჟურნ. Anthropos, ტ. XXXV—XXXVI (1940-1941), გვ. 202.

³ იხ. K. Uhlenbeck: Vorlateinische indogermanische Anklänge im Baskischen — ჟურნ. Anthropos, ტ. XXXV—XXXVI (1940—1941), გვ. 202.

ალტერნატივები, რომელთა სახესაც ეს კითხვები იღებენ, ეჭვს არ ტოვებენ არც იმაში, თუ რა ვითარებაშია გაჩენილი ეს საკითხები, და არც იმაში, თუ რა მიმართულებით შეიძლება მოველოდეთ მათს გადაწყვეტას.

დაწვრილებით ამაზე აქ ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. ჩვენ წინ გარკვეული სიმბტომია: **ნარევ ენათა შესწავლის სიძნელები აჩენენ სკეფსისს: ეს სკეფსისი გრცელდება ისტორიული ენათმეცნიერების ძირითად ცნებებზედაც.** „ენათა კავშირი“ თითქოს ავსებდა „ენათა ოჯახს“. არაა გამორიცხული, რომ ეს ახალი ცნება ძველს დაუპირისპირდება: არა „ერთიც, მეორეც“, არამედ ან „ერთი, ან მეორე“ — ასეთი სახით დგება საკითხი.

მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გამართლებულია საკითხის ასე დასმა, რამდენად მნიშვნელოვანია და ფასეულია ახალი ცნება „ენათა კავშირისა“, საკვლევადიებო პრაქტიკა და მისი შედეგები გაარკვევს ამას.

ამჟამად კი მხოლოდ შთაბეჭდილებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ნარევ ენათა შესწავლა იმიტომაცა ძნელი, რომ შესადაარებელ ოდენობათა ისტორიის დადგენა და ამ მხრივ მკვიდრი საყრდენის მოპოვება ჭირს. როგორ ხერხდება ამ სიძნელის გადალახვა „ენათა კავშირის“ მეშვეობით? დაბრკოლების გადალახვის საშუალებად **ახალი ცნებაა წარმოდგენილი: ან ჩვენ ვიცით, დარწმუნებული ვართ, რა წარმომავლობისაც არიან „ენათა კავშირის“ წევრები და მაშინ ეს ცნება ზედმეტია** (ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა). **ანდა არ ვიცით, განვითარების რა გზა გაუვლიათ „ენათა კავშირის“ წევრებს, და მაშინ ახალი ცნება მხოლოდ დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენ წინ გაურკვეველი ოდენობაა, თავისებური მოვლენაა, და ახალი ტერმინი სტატიკურად აღნიშნავს ამ ფაქტს, იძლევა ფაქტის კონსტატაციას, მაშინ როდესაც საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სათანადო ენათა გენეზისის გარკვევას, მათი წარმომავლობის ისტორიის დადგენას.** ეს, მაშასადამე, არაა საკითხის გადაწყვეტა.

გ ე ნ ე ს ი ს ს აკითხვის შეცვლა ს ტ ა ტ ი კ ი ს ფიქსაციით შემეცნებითი წინსვლა, ყოველ შემთხვევაში, არაა. ისტორიული ენათმეცნიერების ძირითადი ცნების მაგვირობას ეს ახალი ცნება ვერ გასწევს. ამას გვაფიქრებინებს ის, რაც დღემდისაა ცნობილი ცნების „ენათა კავშირის“ შესახებ.

§ 113. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ენის ისტორია.

ბგერათა შესატყვისობა შედარების კომპასია. შედარება ისტორიის ბერკეტია. ისტორიულ-შედარებით მეთოდთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერების, როგორც პოზიტიური სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებაც და დიდი წარმატებებიც, რომელთა შესახებაც ასეთი მოწონებით ლაპარაკობს

ენგელსი¹. ამჟამადაც ენათა მეცნიერული შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებასთანაა დაკავშირებული; ყველაფერი, რაც კი მტკიცე მეცნიერულ მონაპოვარს წარმოადგენს სხვადასხვა ენათა შესწავლისას — მათ შორის, ქართველურ ენათა შესწავლისას — ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სწორად გამოყენების შედეგადაა მიღებული. **ნამდვილი რაც ვიცით, ამ გზით ვიცით.** სადაც ამ გზას ვერ ვიყენებთ, იქ გვიჭირს, არ არსებობდა და არც ამჟამად არსებობს გზა, რომელსაც შეეძლოს არათუ უკეთესი შედეგების მოცემა — **ვგულისხმობთ ენის დინამიკის შესწავლას**, — არამედ თუნდაც დაახლოებით იმგვარივესი, როგორსაც ისტორიულ-შედარებითი ძიება იძლევა.

ყოველივე ამის განხიზჟება ზედმეტი იქნებოდა, რომ ერთი გარემოება არა: თანამედროვე ენათმეცნიერებაში — დასავლეთშიაც და საბჭოთა კავშირშიც — **მეტად ძლიერია ტენდენცია ისტორიზმის პრინციპის დაჩრდილვისა** ან იმით, რომ ყურადღების **ცენტრი სტატიკურ ანალიზზე გადადის** (სტრუქტურალიზმი) ანდა იმის გამო, რომ **ისტორიულის** ადგილს **ტიპოლოგიურის** შესწავლა იკავებს.

ენათმეცნიერების წინსვლა მოითხოვს არა **ისტორიზმის პრინციპის შეზღუდვას, არამედ ამ პრინციპის უფრო სრულად და თანამიმდევრობით გამოყენებას, ვინემ ამას აქამდის ჰქონდა ადგილი.** ამას გვასწავლის ჩვენი მეცნიერების ისტორია.

II. იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური მეთოდი

§ 114. პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდი იაფეტურ თეორიაში. ისტორიულ-შედარებით მეთოდს იაფეტურმა თეორიამ დაუპირისპირა **პალეონტოლოგიური** მეთოდი ისევე, როგორც **გენეალოგიური** კლასიფიკაცია შეცვალა იაფეტურ თეორიაში ენათა **სტადიურმა** კლასიფიკაციამ **სისტემების** მიხედვით.

ეს მოხდა იაფეტური თეორიის ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე. ნ. მარის თქმით „ოთხი ლინგვისტური ელემენტის თეორია საბოლოოდ განმტკიცდა 1926 წელს“...² მაგრამ გენეალოგიური კლასიფიკაციისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უარყოფა ერთბაშად არ მომხდარა;

¹ დიურინგის შესახებ ენგელსი წერს: „ამჟამად ჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს ენათმეცნიერთან, რომელსაც არაფერი გაუგონია ისტორიულ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაზე, რაც ასე ძლიერ და ნაყოფიერად განვითარდა უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში, და რომელიც ამიტომ ენის სწავლების „უაღრესად თანამედროვე განმანათლებელ ელემენტებს“ ეძებს არა ბოპის, გრიმისა და დიციის, არამედ ნეტარსენებელი ჰეიზეს და ბეკერის ნაწერებში“ — ანტი-დიურინგი, ქართ. თარგ., გვ. 274.

² იხ. Н. Я. Марр: Сдвиги в технике языка и мышления (1933), ИР, II, 440.

არსებითად ეს უარყოფა მოცემულია უკვე მოხსენებაში „ხმელთაშუა - ზღვის ინდოევროპული ენები“¹.

აქ ნ. მარი აცხადებს: „ინდოევროპული ენები ესაა შემდგომი საფეხური (дальнейшее состояние) იმავე იაფეტური ენებისა..., ამათი განვითარების გარკვეულ სტადიაზე“... და დასძენს: ეს დებულება საჭირო იყო საჯაროდ გამოგვეტანა (дать огласку), რადგანაც ეს იქნება „შემდგომი იაფეტოლოგიური მუშაობის ღერძი“². ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მოშლა აქ უკვე ფაქტია; ეს კი პრინციპში იმ მეთოდის უარყოფასაც მოასწავებს, რაც ხსენებულ კლასიფიკაციასთანაა დაკავშირებული ლოგიკურადაც და ისტორიულადაც.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1923 წლამდის ისტორიულ-მედარებითმა მეთოდმა იაფეტურ თეორიაში საკმაოდ თავისებური ხასიათი მიიღო: გახშირდა **ისეთი ფაქტების შედარება, რომელთა ისტორია სრულიად გაუთვალისწინებელი იყო**. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ შრომაში (1920 წელს) **პელასგ-**, — სახელწოდება ტომისა, საბერძნეთის ძველისძველი არაინდოევროპული მოსახლეობა რომ უნდა ყოფილიყო, — შედარებულია ლეზგ-თან³ (დალესტნის ერთ-ერთი ტომის სახელია: ლეზგ-, რუს. лезг-ин) და ამის მიხედვით გაკეთებულია დასკვნა: ლეზგები ნაშთია პელასგებისა, რომელთაც კავკასიაში გამოუვლიათ და აქ თავისი კვალი დაუტოვებიათ... მთელი ეს მსჯელობა დაფუძნებულია **პელასგ-** ფუძეში **ლასგ-**ის გამოყოფაზე, ე. ი. ფუძის **პე-** და **ლასგ-** ნაწილებად დაშლაზე; ამ დაშლის **დასაბუთება კი არ ჩანს**. იქვე ს უ მ ე რ-, თ ო ბ ე ლ-, ი ბ ე რ-⁴ ერთი და იმავე ფუძეებად არის დასახული. **არც ესაა ახსნილი**, თუ როგორ მომხდარა. უკვე ესაა შედარება **უისტორიოდ** და არა ისტორიულ-მედარებითი ძიება, რომელიც მიმართულია ნებისმიერი ოპერაციების აღკვეთისაკენ...⁵

¹ იხ. Н. Я. Марр: Индо-европейские Языки Средиземноморья, მოხსენება წაკითხულ იქნა 1923 წ., გამოქვეყნდა 1924 წელს „მეცნიერ. აკად. მოხსენებათა“ სერიაში; შეტანილია რჩეული შრომების I ტომში, გვ. 185—186.

² იქვე, გვ. 185.

³ იხ. Н. Я. Марр: Яфетический Кавказ и третий этнический элемент..., 1920 ИР, I, გვ. 110.

⁴ იქვე, გვ. 112.

⁵ იმავე შრომაში — Яфет. Кавказ.... —, სადაც **პელასგ-** დაშლილია პე-ლასგ-ად (რომ ლეზგ-ს დაუკავშირდეს), ნ. მარი ასე ახასიათებს პელასგ-ის **პელ-ასგ-**ად დაშლის ცდას: „Я уже не говорю о таких с ветра берущихся анализах, как когда в составе *πελασγοί* по созвучию предлагается признать арм. *azg* *народ*, слово, кстати, также яфетического происхождения“ — Яфет. Кавказа, ИР, I, გვ. 81.

უისტორიო შედარებისა და ნებისმიერი ანალიზის უფრო მკვეთრი დახასიათება ძნელი წარმოსადგენია.

კვლევა-ძიების ახალი პალეონტოლოგიური მეთოდის დაფორმულება პირველად ნ. მარმა მოგვცა 1928 წ. „იაფეტურ თეორიაში“.

...**ყველა ენის ყველა სიტყვა**, რამდენადაც ისინი არიან ერთი შემოქმედებითი პროცესის პროდუქტი, შედგება **სულ ოთხი ელემენტისაგან**, — ყოველი სიტყვა — ერთი ან ორი, იშვიათად სამი ელემენტისაგან; **რაგინდარა ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არ მოიპოვება სიტყვა, რომელიც შეიცავდეს რასმე ისევე და ისევე იმ ოთხი ელემენტის გარეშე**.

ამ ოთხ ელემენტს აღვნიშნავთ ლათინური მთავრული ასოებით: A, B, C, D; **ესენი**, — წინათ მათ ჩვენვე ტომობრივ სიტყვებს — Sal, Ber, Yon, Roш — ვუწოდებდით, **საფუძველია ყოველი სიტყვის ფორმალური პალეონტოლოგიური ანალიზისა; ასეთი ანალიზის წინასწარ ჩატარების გარეშე სიტყვების დაშლის გარეშე მასში წარმოდგენილ ელემენტებად**, — ერთ, ორ ან სამ ელემენტად, — არ შეიძლება ვაწარმოთ შედარება, **ასეთი ანალიზის გარეშე შედარებით მეთოდს ძალა არა აქვს**¹.

ამრიგად, ოთხი ლინგვისტური ელემენტი ამოსავალი პუნქტია, საშენი მასალაა ყველა ენისათვის: ყველაფერი, რაც ამჟამად მოგვეპოვება კაცობრიობის ბგერით მეტყველებაში, თურმე მიღებულია ამ ოთხი ელემენტისაგან (**—სალ, ბერ, ფონ, როშ—**), ამ ელემენტების ტრანსფორმაციითაა წარმოქმნილი. მხოლოდ ეს რომ იყოს თქმული, გვექნებოდა მეტად თავისებური **ვარაუდი** — ენათა ლექსიკური მასალის წარმომავლობის შესახებ, თავისებური, მაგრამ უწყინარი ვარაუდი, რომელსაც ამჟამად ენათა შესწავლის თვალსაზრისით უშუალო მნიშვნელობა არა აქვს, და, მაშასადამე, არც სიმწვავე ახლავს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ზემოხსენებულ დებულებას ახლავს მეორე: **ამჟამადაც ეს ელემენტები უნდა ვიპოვოთ სიტყვებში, ამის გარეშე შედარება უქმიაო**. ეს ნიშნავს: ოთხი ელემენტის თეზისი მარტოოდენ დასაბამის შესახები თეორიული ვარაუდი როდია, იგი დღევანდელი დღის საკი-

¹ საჭიროდ მიგვაჩნია ეს ადგილი დედანშიც მოვიყვანოთ: «...все слова всех языков, поскольку они являются продуктом одного творческого процесса, состоят всего-навсего из четырех элементов, каждое слово из одного или двух, реже трех элементов; в лексическом составе какого бы то ни было языка, нет слова, содержащего что-либо сверх все тех же четырех элементов. Эти четыре элемента обозначаем прописными латинскими буквами A, B, C, D; они, — прежде называвшиеся нами же племенными словами Sal, Ber, Yon, Roш, — основа формального палеонтологического анализа каждого слова; без предварительного производства такого анализа, без разложения слова на наличное в нем количество элементов, — одного, двух или более, — нельзя сравнивать, без такого анализа сравнительный метод недействителен» (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**): «Яфетическая теория», ბაქო, 1928, გვ. 7, ИР, II, გვ. 16.

რჩეულ შრომებში, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, „იაფეტური თეორია“ შესულია სახელწოდებით „ზოგადი კურსი ენის შესახებ მოძღვრებისა“.

თხია, ენათმეცნიერული მუშაობის განმსაზღვრელია, უცილობელი წინაპირობაა ყოველგვარი შედარებისათვის.

პალეონტოლოგიური მეთოდი არ ამოიწურება ოთხელემენტოვანი ანალიზით: ელემენტებად სიტყვის დაშლას უნდა მოჰყვეს **სემასიოლოგიური** ანალიზი „მეტყველების პალეონტოლოგიის კანონების მიხედვით“ — ესაა მარტივი სემასიოლოგიური ანალიზი, შემდეგ კი — რთული სემასიოლოგიური ანალიზი, როცა წარმოებს მნიშვნელობის შემოწმება „მატერიალური კულტურის ისტორიით, საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიით და შემდეგ ზედნაშენურ სოციალურ კატეგორიათა, ხელოვნებისა, მხატვრობისა და სხვ. ისტორიით“¹.

სემასიოლოგიური ანალიზი **რაგვარობითა** (კვალიტატიური), ელემენტებად დაშლა — **რაოდენობითა** (კვანტიტატიური), **ფორმალურია**².

როგორია ამათი ხვედრი წონა პალეონტოლოგიურ მეთოდში? „ხსნა კვალიტატიურ ანალიზშია“... „მარტოოდენ რაოდენობითი ანუ ფორმალური ანალიზი არაფერს გვავალებს, — წერს ნ. მარი, — რადგანაც, რაკი კაცობრიობის მეტყველებაში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ელემენტი მოიპოვება, მივიღეთ იმდენი ერთნაირად მჟღერი ანდა ფორმალური აგებულებით (по формальному облику) თანხვედრილი სიტყვა, რომელთაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, რომ მათს შემთხვევით იგივეობას შეუძლია შეგვიყვანოს და მართლაც შევყავართ ხოლმე აურაცხელ შეცდომაში (в безграничное число заблуждений), მიუხედავად ე. წ. ფონეტიკური კანონების არსებობისა, რომელთა მოთხოვნასაც ისინი ხშირად სავესებით აკმაყოფილებენ“...³

ვინც ვარაუდობს, რომ კაცობრიობის მეტყველებას საფუძვლად უდევს ოთხი ელემენტი, მას ბუნებრივად უნდა ეჩვენოს, რომ მრავალი სიტყვა ერთმანეთს დაემთხვა: აკი თითო ელემენტმა კაცობრიობის სამეტყველო მარაგის (ლექსიკონის) ერთი მეოთხედი უნდა დაიტიოს... მაგრამ ჩვენ აქ ავტორის მსჯელობის სქემა გვანტერესებს და არა წარმოდგენილი დებულების შეფასება (ამას ქვემოთ დავუბრუნდებით). ამ სქემის მიხედვით კი **პალეონტოლოგიური ანალიზისათვის ოთხელემენტოვანი ანალიზი მიუცილებელია**, მაგრამ **საკმარისი არაა**: ელემენტოვანი ანალიზს **სემასიოლოგიური ანალიზი** კონტროლს უწევს და ავსებს.

ასეთია დებულება. რამდენად გამართლებულია **პრაქტიკით** ეს დებულება, რამდენად ხორციელდება იგი კვლევა-ძიებაში, — ამას სათანადო ფაქტების განხილვა და ნ. მარის ავე სხვა შრომებში წამოყენებული დებულებები დაგვანახებს.

¹ „Яфет. теория“, გვ. 8, ИР, ტ. II, გვ. 17.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 7—8.

პალეონტოლოგიური მეთოდის დახასიათებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ:

1. რას ემყარება ოთხელემენტოვანი ანალიზი?
2. რა როლი ეკისრება ოთხელემენტოვან ანალიზს პალეონტოლოგიურ ანალიზში? როგორია ფორმალური და სემასიოლოგიური მომენტების ურთიერთობა?
3. რა ადგილი უკავია ოთხელემენტოვან ანალიზს იაფეტურ თეორიაში? ანუ: რა შინაგანი კავშირი არსებობს ოთხელემენტოვან ანალიზსა და იაფეტური თეორიის სხვა პრინციპულ დებულებებს შორის?

4. რას ემყარება მოძღვრება ოთხი ელემენტის შესახებ?

§ 115. რას ემყარება ოთხელემენტოვანი ანალიზი? — ელემენტების ფონეტიკურ გარდაქცევათა სქემებს. აი ეს სქემები:¹

I. A ელემენტი (Sal):

ს ი ბ ი ლ ა ნ ტ უ რ ი შ ტ ო :

ს ი ს ი ნ ა ჯგუფი:	შ ი შ ი ნ ა ჯგუფი:
საღ → ზაღ	შორ... ↔ შურ...
↗ წაღ → ძაღ → ცაღ	ჭორ → ჯორ → ჩორ...

დ ე ს ბ ი ლ ა ც ი ი თ :

ტაღ → დაღ → თაღ	ტორ → დორ → თორ
-----------------	-----------------

იგიგე — სპირანტიზებული თავკიდური თანხმოვანი:

ჰაღ → ღაღ	ცორ... ↔ ცურ...
↗ ყაღ → ღაღ → ხაღ	↗ ყორ → ღორ → ხორ

დ ე ზ ა ს პ ი რ ა ც ი ი თ :

კაღ → გაღ → ქაღ	კორ → გორ → ქორ.
-----------------	------------------

¹ მოგვყავს ძირითადი ნაწილი, როგორც ილუსტრაცია. ლათინური ტრანსკრიფცია შეცვლილია ქართულით, რათა სქემა ხელმისაწვდომი იყოს. სამწუხაროდ, ზოგი დიაკრიტიკულიშინიანი ბგერის გადმოცემა ქართული ასოებით არ ხერხდება.

II. B ელემენტი (Ber):**ს ი ბ ი ლ ა ნ ტ უ რ ი შ ტ ო :**

ს ი ს ი ნ ა ჯგუფი:

ვალ → მალ

↗ პალ → ბალ → ფალ

შ ი შ ი ნ ა ჯგუფი:

ვორ (→მორ) ↔ ვურ (→მურ)

↗ პორ (→ბორ→ფორ) ↔ პურ (→ბურ→ფურ)

III. C ელემენტი (Yon):**ს ი ბ ი ლ ა ნ ტ უ რ ი შ ტ ო :**

ს ი ს ი ნ ა ჯგუფი:

სან → ზან

↗ წან → ძან → ცან

შ ი შ ი ნ ა ჯგუფი:

შონ (→ჟონ) ↔ შუნ (→ჟუნ)

↗ ჭონ (→ჯონ→ჩონ) ↔ ჭუნ (→ჯუნ→ჩუნ)

დ ე ს ი ბ ი ლ ა ც ი ი თ :

ტან → დან → თან

ტონ (→დონ→თონ) ↔ ტუნ (→დუნ→თუნ)

იგივე — სპირანტიზებული პირველი თანხმოვით:

ჭან → ღან

↗ ყან → ღან → ხან

ცონ (ღონ) ↔ ცუნ (ღონ)

↗ ყონ (→ღონ→გონ) ↔ ყუნ (ღუნ→გუნ)

დ ე ზ ა ს პ ი რ ა ც ი ი თ :

კან → გან → ქან

კონ (→გონ→ქონ) ↔ კუნ (→გუნ→ქუნ).

IV. D ელემენტი (Row):**ს ი ბ ი ლ ა ნ ტ უ რ ი შ ტ ო :**

ს ი ს ი ნ ა ჯგუფი:

ლას (||ნას) → ლაზ (||ნაზ)

↗ ლაწ (||ნაწ) → ლაძ (||ნაძ) → ლაძ (||ნაძ)

შ ი შ ი ნ ა ჯგუფი:

როშ (||ნოშ) ↔ რუშ (||ნუშ) →

როყ (||ნოყ) ↔ რუყ (||ნუყ)

როჭ (||ნოჭ) ↔ რუჭ (||ნუჭ) →

როჯ (||ნოჯ) ↔ რუჯ (||ნუჯ) →

როჩ (||ნოჩ) ↔ რუჩ (||ნუჩ)

დესიბილაციით:

ლატ (ნატ) → ლად (||ნად) → როტ (||ნოტ) ↔ რუტ (||ნუტ) →
ლათ (||ნათ) როდ (||ნოდ) ↔ რუდ (||ნუდ) →
როთ (||ნოთ) ↔ რუთ (||ნუთ).

სქემა ამით არ ამოიწურება: დიფუზური თავკიდური თანხმონით დაწყებული ელემენტი ახალ ვარიანტებს მოგვცემს. სქემაში A და C ელემენტების ვარიაციებია ნაჩვენები. ჩვენ აქ A-ს (ე. ი. Sal-ის) ვარიანტებს დავჯერდებით: საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

A ელემენტი (Sal):

<p>სისინა ჯგუფისა: ს/პალ → ზ/ლალ ↗ წყალ → ძღალ → ცხალ</p>	<p>შიშინა ჯგუფისა: შ/პორ (→ შ/პურ) → შ/ცორ (↔ შ/დურ) ↗ ქყორ → ჯღორ → ჩხორ (↔ ქყურ → ჯღურ → ჩხურ)</p>
---	--

წინაენისმიერის დესიბილაციით:

<p>ტყალ → დღალ → თხალ</p>	<p>ტყორ → დღორ ← თხორ (↔ ტყურ → დღურ → თხურ)</p>
----------------------------------	---

უკანაენისმიერი დეზასპირაციით:

<p>წკალ → ძგალ → ცქალ</p>	<p>ქკორ → ჯგორ → ჩქორ (↔ ქკურ → ჯგურ → ჩქურ)</p>
----------------------------------	---

წინაენისმიერის დესიბილაციითა და უკანაენისმიერის დეზასპირაციით:

<p>ტკალ → დგალ → თქალ</p>	<p>ტკორ → დგორ → თქორ (↔ ტკურ → დგურ → თქურ)...</p>
----------------------------------	--

პირველი თანხმონის პალატალიზაციით:

ს'ალ || შ'ორ (↔ შ'ურ)¹

¹ Н. Я. Марр: Яфет. теория, ИР, II, გვ. 98.

ამისდა მიხედვით, მარტოდენ A ელემენტის (**სალ**) სიბილანტური შტოს სისინა ჯგუფის ვარიაციები რომ ჩამოვთვალოთ (ვგულისხმობთ დი-ფუზურ-თავკიდურის ვარიაციებსაც), გვექნება:

სალ, ზალ, წალ, ძალ, ცალ... ტალ, დალ, თალ... ჰალ, ლალ, ყალ, ხალ... კალ, გალ, ქალ... ს/ჰალ, ზ/ღალ, წყალ, ძღალ, ცხალ, ტყალ, დღალ, თხალ... ტკალ, დგალ, თქალ... ს'ალ — ე. ი. ყოველი ამათგანი შეიძლება სალ- — ელემენტის ფონეტიკურ სახეცვლად მიიჩნიოს იაფეტური თეორიის წარმომადგენელმა ოთხელემენტოვანი ანალიზის პროცესში — **წყალ-** ისევე, როგორც **ჰალ**, როგორც **კალ**, როგორც **ყალ...** სხვანაირად რომ ვთქვათ, **ს- ბგერას მიეწერება თვისება იცვალოს ტ-დ, ყ-დ, კ-დ... და სხვა.**

ეს ცოტაა. ნ. მარსი შემომოყვანილი ტაბულის შესახებ შენიშნავს:

ტაბულაში არაა გათვალისწინებული შეჯვარდინებული სახესხვაობანი (**სარ, შარ, ცოლ, შოლ, პოლ** და სხვ.), არაა ნაჩვენები ვარიაციები, მიღებული ბაგისმიერ ხმოვანთა გადასმით (**შრო↔შრუ ~ შორ↔შურ** და სხვ.), ან ბაგისმიერ ხმოვანთა რედუქციით (**შერ↔შერ / შორ↔შურ**) ანდა ეკვივალენტით შეცვლით (**შერ↔შირ...**), ანდა მათი სრული დაკარგვით (**შრ-** და სხვ.)... არაა აღნიშნული სახესხვაობანი სპირანტების დაკარგვით (**ალ || ორ ↔ ურ...**)¹.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: **A ელემენტის (სალ) ვარიანტები გაცილებით უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვინემ C ელემენტის (აონ) ვარიანტებისაგან, შდრ.**

სალ: ზალ, წალ, ძალ, ცალ... ტალ, დალ, თალ... ჰალ, ლალ, ყალ, ხალ, კალ, გალ, ქალ.

აონ: ზან, წან, ძან, ცან... ტან, დან, თან... ჰან, ლან, ყან, ხან, კან, გან, ქან...

განსხვავება მხოლოდ უკანასკნელ თანხმოვანშია: **სალ-** ელემენტის ვარიანტებს ბოლოკიდურად **-ლ** მოუდის, **აონ-** ელემენტისას — **-ნ...** საკმარისი იყო ეს ორი ბგერა — **ლ** და **ნ** ერთმანეთის მონაცვლედ მიეჩნია ნ. მარს, რომ მესამე ელემენტი (C — **აონ**) თავისი ვარიაციებით A ელემენტის (**სალ-** ელემენტის) ვარიანტებში მოექცეოდა: ოთხი ელემენტი სამამდის დავიდოდა. მაგრამ ეს შესაძლებლობა უარყოფილია. გამოდის, რომ **ს-** ბგერისაგან დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნეს მოპოვებული **წ, ძ, ც, ყ, ღ...**, **ლ-**სა და **ნ-**ს შენაცვლება კი შეუძლებლადა გამოცხადებული.

შემდეგ: ელემენტთა ვარიანტები მოცემულია „სისინა“ და „შიშინა“ „ჯგუფის“ მიხედვით: არსებით მომენტებში ესაა ქართულისა და ზანურის

¹ Н. Я. Марр: Яфет. теория, ИР, II, გვ. 99.

შესატყვისობა. განსაკუთრებით ხელშესახებია ეს დიფუზური თავკიდურის მქონე ელემენტის ვარიანტებში: **ტყ, წყ, ჰყ...** კომპლექსები, რომლებსაც აქ წარმოგვიდგენენ, ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა კავკასიურ ენას არ **ახასიათებს**, თვით სვანურშიც კი იგი იშვიათია.

გასაგებია, რატომ დაკმაყოფილდა ნ. მარი „სისინა“ და „შიშინა“ ჯგუფით: სპირანტული ჯგუფისათვის შესატყვისობათა ანალოგიური, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული, სქემის მოცემა შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად).

რა თქმა უნდა, ქართული და ზანური ვერ გახდება პასუხისმგებელი იმ ფონეტიკურ ცვლილებათათვის, რომელთაც თვით სისინა ჯგუფის ანდა შიშინა ჯგუფის **შიგნით** ვარაუდობს ნ. მარი:

ს→ზ→წ→ძ→ც→ტ→ შ→ჟ→ჭ→ჯ→ჩ→
დ→თ→პ→ღ→ყ...

აქ ამოსავალიც არა ჩანს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ამგვარ ცვლილებას რომელსამე ენაში დაფუძნებთ საფუძველი, ზუსტად რომ ვთქვათ, საილუსტრაციო მასალა. კითხვა იბადება:

რომელი ენისათვის აქვს ძალა ელემენტთა ვარიანტების მოცემულ სქემას? რომელ ენაში (თუ ენებში) მიმდინარეობს ფონეტიკური ცვლილებები ამ სქემათა მიხედვით?

ამ ენათა **განვითარების რა პერიოდისთვის** აქვთ ამათ მნიშვნელობა?

ენათმეცნიერების ისტორიამ იცის კლასიკური შეცდომის მაგალითი; ეს შეცდომა მოუვიდა შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებელს ფრ. ბოპს, როცა მან მოისურვა ინდოევროპულ ენებში დადასტურებული ფონეტიკური წესები დრავიდულ ენათა ფაქტებისთვის მიეყენებინა. ეს იყო თითქმის მთელი საუკუნის წინ. ამჟამად ასეთი რამ შეუძლებელია. ფონეტიკური წესი დასტურდება ამა თუ იმ ენაში (თუ ენებში) მისი განვითარების გარკვეული პერიოდისთვის, — იგი **არაა უნივერსალური**, პირიქით, იგი **შეზღუდულია მეტყველი ენობრივი კოლექტივითა და დროით**¹, ამიტომ და ამდენად არის იგი სოციალური (და არა მექანიკური თუ ფიზიოლოგიური).

ნ. მარისათვის ფონეტიკურ ცვლილებადობას არაფერი ზღუდავს: **არც დრო, არც სივრცე** (ენობრივი კოლექტივი), იგი **ზეისტორიული, კონკრეტულ ენათაგან დამოუკიდებელი კანონზომიერებაა: ელემენტთა ცვლა** ხსენებული სქემების მიხედვით **ყველა ენაში თანაბრად გამოიყენება, ძველი სამწერლო ენა იქნება თუ ახალი, ლათინური, ქართული თუ ჩინური!**

¹ ერთნაირი ცვლის ცალკეული შემთხვევები (იხ. § 110, გვ. 274-275) სხვადასხვა ენებში ამ პრინციპს არ არყვეს.

ცხადია, ვარაუდს — ყველა ენის ყველა სიტყვა ოთხი ელემენტისაგან შეიქმნაო — აქ ერთვის დებულება: ამ **ელემენტთა გარდაქმნა ყველგან და ყოველთვის** სქემებში ნაჩვენები ფონეტიკური წესების საფუძველზე მიმდინარეობდაო.

ამგვარად ეს **ზეისტორიზმი** უმაგალითო **ანტიისტორიზმს** მოასწავებს. მაგალითები საძებარი არაა: ოთხელემენტოვანი ანალიზის ყოველი შემთხვევა მეტ-ნაკლები დემონსტრაციულობით ცხადყოფს ამას.

§ 116. პალეონტოლოგიური ოთხელემენტოვანი ანალიზის ნიმუშები. 1. ქართ. **წყურ-** ერთელემენტიანი მონაცემია A (ე. ი. Sal), მაგრამ დიფუზური თავკიდურის ჰ/ს-ს გახლეჩით „ჩვედა საფეხურზე“ მივიღებდით **სურ-**ს, resp. სპირანტ **ჰურ-**ს, გაუხლეჩელად ფუძეს ექნებოდა **ჰურ←ჯურ-**ის სახე.

აქედან **ჯურ** სომხურად ახლაც ნიშნავს „წყალს“. მაგრამ ქართულშიც ამ ფუძეს დიფუზური თავკიდურისაგან მიღებულ **წყ-**ს გარდა თავკიდურად **წ** და **ც-**ც მოუღის:

წორ←წურ- („წურ-ავს“)

ცორ←ცურ- („ცორ-ავს“, „ცურ-ავს“)...

სომხურში ეგვევ ძირი გვაქვს სიტყვებში:

წორ-ელ „დენა“

წორ-წორ „ხევი“ ← „ნიაღვარი“, „ნაკადული“...

აგრეთვე: ძორ „ნიაღვარი“, „ხეობა“.

თორ: თორ-ელ „დენა“, „დინება“...

ამით არ თავდება ამავე ელემენტის მწკრივი. მისი სახესხვაობაა:

ქართ. **თურ-** „და-თურ-ა“, „მ-თურ-ალ-ი“...

ქართ. **სურ-** „მ-სურ-ს“ (←„მწყურია“ „у меня жажда“)...

ქართ. **წყალ-**

და, აგრეთვე:

სომხ. **წარ-**ავ „წყურვილი“ — (შეგვარებულ AB (Sal-Ber), — სიტყვასიტყვით ← „წყალი+წყალი“...

მაგრამ მას მოეპოვება „დაბალი საფეხურიც“: **სარ** „და აი მისი სპირანტული სახესხვაობა **ჰარ→არ** შეგვარებულ ფუძის შედგენილობაში: ***ჰარ-ბ→ჰარ-ბ←ჰარ-ბ**, საიდანაც აქვთ მიღებული ძველად სომხებს **არ-ბ-ი** „დავლიე“, ამჟამად **ჰარ-ბ-ი** „მთვრალი“, ქართველებს კი **ჰ→ხ: ხარ-ბ-ი**“.

მაგრამ **სარ-**ს გვერდით უდგას **სურ:**

ქართ. სუ-მა, მეგრ. შუ-მა

თურქ. სუ „წყალი“

ქართ. წუ-მა→წვი-მა←წყალი.

მაგრამ ბოლოკიდურ **-რ**-ს დაკარგვას უნდა გამოეწვია წინა ხმოვნის დაგრძელება და აი გვაქვს კიდევ:

კობტურში: სო cw — „სმის“ მნიშვნელობით, ეგვიპტურში კი **-რ**-ც არის შენახული: სურ (س) სუჲ)...

შუმერულში: შუ — „ხელი“; მართალია, აქ „შუ“ ხელს ნიშნავს, მაგრამ პალეონტოლოგიურად „ხელი+ქალი+წყალი“ ერთ კავშირს ქმნის.

ეგეც რომ არ იყოს, შუმერულში მოიპოვება ზმნური **შურ** „წვიმის მოსვლის“, „სისხლის ღვრის“, „ცრემლთა ღვრის მნიშვნელობითა“...¹

დასასრულ, შორეულ აღმოსავლეთში, რიგ ჩრდილოურ ენებში:

შურ ნიშნავს „წყალს“, „მდინარეს“...

ჩინურში: **შურ** — „წყალი“, ხოლო მისი სპირანტული სახესხვაობა ძუ (←*ძურ) „წვიმა“, აგრეთვე „თევზი“...¹

ესაა ნიმუში **შედარებით მარტივი** პალეონტოლოგიური ანალიზისა: თითქმის ყველა ფუძე მარტივი შედგენილობისადაა მიჩნეული, ერთელემენტოვანია.

ანალიზის პროცესში ერთმანეთს დაუკავშირდა: ქართული, სომხური, თურქული, კობტური, ეგვიპტური, შუმერული, ჩინური და „რიგი ჩრდილოური ენები“ (ალბათ, ე. წ. ჰიპერბორეული ანუ პალეოაზიური ენები).

ერთ და იმავე ოდენობადაა დასახული:

ქართული: წყურ- (წყურია), წყალ, წურ- (წურავს), ცურ- (ცურავს), თურ- (თურ-ებ-ა), სურ- (სურ-ს)... სუ-მა, წუ-მა... ხარ-ბ-ი...

სომხური: წარ-ა-ვ (წყურვილი), წორ-ელ („დენა“), წორ-წორ- (ხეობა), ჯურ (წყალი), თორ-ელ „დენა“, „დინება“, არ-ბ-ი (დავლი), ჰარ-ფ-ატ (მთვრალი)...

თურქ: სუ (წყალი)

კობტ: სო (cw) (სმა)

ეგვიპტ: სურ...

შუმერ: შუ (ხელი), შურ „წვიმის მოსვლა“...

ჩინური: შუჲ (წყალი), ძუ „წვიმა“, „თევზი“.

სომხურსა და ქართულში რომ საზიარო ფუძე აღმოჩნდეს, მოულოდნელი სრულებითაც არ იქნება: სომხური, როგორც ეს თვით ნ. მარს აქვს საკმაო დამაჯერებლად ნაჩვენები თავის აღრინდელ შრომებში, ნარევი ენაა, მასში ერთ ძირითად ფენას ქმნის კავკასიური და, პირველ ყოვლისა, ქართველურ ენათა, ლინგვისტიკური მასალა.

¹ Н. Я. Марр: Египетский, шумерский, китайский и их палеонтологические встречи (1927), ИР, IV, გვ. 112—114.

შეუძლებელი არც ის იქნებოდა, რომ დადასტურებულიყო ლექსიკური შეხვედრა თურქულ ენასთან: ისტორიული კონტექსტი ამას გასაგებს გახდოდა. ამ მხრივ არც შემერულთან კავშირი იქნებოდა მოულოდნელი.

მაგრამ ნ. მარი ისტორიულ კონტექსტს თუ პერსპექტივას როდი ემყარება: საქმეც ისაა, რომ მისთვის **ქართულის დაკავშირება ჩინურთან და კობტურთან ისევე ბუნებრივი ჩანს, როგორც სომხურთან — ყველაში ოთხი ელემენტის ტრანსფორმაციაა ნავარაუდები და იმიტომ**. ეს — ერთი.

რაც შეეხება განხილულ ფუძეთა ურთიერთობას, ყურადღებას იქცევს შემდეგი:

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ **წყურ-** და **წყალ-** ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები ფუძეა; ორივეში **-ყ** ფონეტიკურად განვითარებულ ბგერად მიაჩნიათ (შდრ. მეგრ. ჭორ-ოფ-ა „ავდრიანობა“ — „გოლოფა“-ს — „გვალვის“ საწინააღმდეგო). ამდენადვე **წურ-** ფუძეც იმავე ძირისად შეიძლებოდა გვევარაუდებინა, **-ურ-** სუფიქსის ფუნქცია რომ არ ართულებდეს საქმეს.

რაც შეეხება ცურ-, თურ-, წუმა-, სუმა- ფუძეებს, აქ სულ სხვა ძირები გვაქვს; მით უფრო ეს ითქმის **სურ-**ს და ხ ა რ ბ ი- სიტყვების შესახებ.

არსებითად ასეთივე ურთიერთობა უნდა ვივარაუდოთ სომხურ ფუძეთა შორისაც (ძ→წ, ძ→თ გამართლებული არაა — იხ. სათანადო სიტყვები).

და თუ ეს სხვადასხვა ძირები ნ. მარმა ერთ მწკრივში მოაქცია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი **მნიშვნელობით შეიძლება** ერთმანეთთან დაკავშირდეს: „თვრობაც“, „სმაც“, „წვიმაც“, „ცურვაც“, — „წყალს“, „სითხეს“ გულისხმობს... ლოგიკური კავშირი ამ სიტყვათა შინაარსს შორის დაიძებნება, თუკი ასეთი კავშირის დადგენა საკითხს გადაწყვეტდა.

ამრიგად, მოცემული ანალიზი სანიმუშოა იმ მხრივ, რომ აქ ნ. მარი მნიშვნელობის მიხედვით **ასე თუ ისე კავშირში მყოფ სიტყვებს ერთ მწკრივში** აქცევს, **ფონეტიკური სხვაობა** კი გადალახულია ოთხელემენტოვანი ანალიზის ფონეტიკური საჭურვლით: „წვიმა“- სიტყვისაგან „ხარბი“ სიტყვა ოთხელემენტოვანი ანალიზით თუ მიიღება.

ოთხელემენტოვანი ანალიზი მიუცილებელი საშუალებაა პალეონტოლოგიური სემასიოლოგიისათვის.

სხვა მაგალითებში ეს უფრო მკვეთრად დაჩნდება.

„ამჟამადაც ე. წ. ველური ტომები იყენებენ ხელს [ცნებათა აღსანიშნავად], ერთი ტომი, მაგალითად, ხელით გამოხატავს 18 ცნებას...

...უფრო მნიშვნელოვანია მეტყველების წარმოშობის ისტორიისათვის ის ფაქტი, რომ იაფეტურ ენებში მრავალი ათეული სიტყვა გამოიხატებოდა „ხელი“- სიტყვის ფუძით; არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცნება „ჩვენებისა“ მიღებულია ცნებისაგან „ხელი“, ასე, მაგალითად, ქართ. ჩუ-ენება იწარმოება **ჩუ-საგან: ჩუ`შუ** შემერულად — „ხელი“¹

¹ Н. Я. Марр: О происхождении языка (1926 წ.), ИР, ტ. II, გვ. 201.

ერთადერთი საბუთი იმისა, რომ ჩუ-ენ-ებ-ა-ში „ჩუ“ „ხელს“ აღნიშნავს, ისაა, რომ შემერულში მოიპოვება **შუ**-სიტყვა „ხელის“ მნიშვნელობით. რა უფლება გვაქვს, სუმერული **შუ**-ს მიხედვით ავხსნათ ქართული **ჩუ**-?

ეგების იმიტომ ვიყენებთ შემერულს, რომ დარწმუნებული ვართ შემერულისა და ქართულის ნათესაობაში? რასაკვირველია, არა: ნათესაობა არაფერ შუაშია, შემერულის ნაცვლად რომ ჩინურში გვებოვა საჭირო მასალა, დაუბრკოლებლად გამოვიყენებდით. რატომ? იმიტომ, რომ ოთხი ელემენტიდან მომდინარეობს ყველა ენა!

„...პოლისემანტიზმი: „ხელი“, „ძალი“, „სიდიდე“, „უფლება“ და სხვ. ასე, მაგ., ქართ. ძალ- (*„ხელი“→) „ძალა“; „ხელ“→უფლება — სომხ. ძერ „ხელი“, ქართ. „ჯერ“ — „ვალი“ („ДОЛГ“), „წყალი“, „მდინარი“ — „წყალ“, სა←*სალ||შურ→შუ resp. სუ. ყოველივე ეს მემკვიდრეობაა სემანტიკური მწკრივისა („კონის“ „пучок“), „ხელი+ქალი+წყალი“.

„და დიფერენციაცია ერთი (მწკრივული) მნიშვნელობის სამი ელემენტისა იმის საშუალებით, რომ ყოველი მნიშვნელობა დაიმკვიდრა [ფონეტიკურმა] სახესხვაობამ საგანგებო სოციალური განმარტების (ა, ო, ე) გამოყენებით ანდა იმის საშუალებით, რომ სახესხვაობას თანხმოდანთა საგანგებო სოციალური შენაცვლება ახასიათებს (ძ→ც — ხ):

ქართ. ხელ — ძალ ← „ხელი“, ა-ძღე-გ-ს;
 „ წყალ (→დალ — ღალ→ხალ\ჰალ),
 resp. სალ || შურ და სხვ.
 ქართ. ქალ-, ძალ- (ს-ძალ-).

„სხვა უფრო გვიანდელი სისტემის ენებში კი იმავე მნიშვნელობის სიტყვებს, ეტყობა, არაფერი აქვთ საერთო — არც ბერძნულში — ხედრ, გუნე, ჯღორ χείρ, γυνή, ὕδωρ, არც ლათინურში — manus, femina, aqua — არც სემიტურში: — არაბ. დად-უნ:, ნისა-უნ, მაყ-უნ, არც რუსულში — „рука“, „женщина“, „вода“¹.

იაფეტურ ენებში **„ხელი—ქალი—წყალი“** სემანტიკურ მწკრივს ქმნის, ინდო-ევროპულსა და სემიტურ ენებში — არა. საიდან ჩანს ეს? ქართულში „ხელი, ძალი, ქალი, სძალი, წყალი“ — **სალ-** ელემენტის სახესხვაობად მიიჩნევა, **სალ-** ელემენტიდან გამოიყვანება, ერთი ოდენობის ტრანსფორმაციად აქვს დასახული ნ. მ ა რ ს².

¹ Н. Я. Марр: Яфет. теория, ИР, II, გვ. 83.

² რუსულისათვის „მდგომარეობა იქვე გამოსწორდა“: მართალია, „рука—женщина—вода“ ერთ ოდენობამდის არ დაიყვანება, მაგრამ საკმარისია მოვშველიოთ русалка-река, რომ მივიღებთ სასურველ მწკრივის „კონას“ рука—русалка—река (მდრ. „ხელი—ქალი—წყალი“), მასთან ру-сал-ка თურმე შეჯვარების შედეგია; იგი უდრის: „ხელი+ხელი“ და „ქალი+ქალი“, და „წყალი+წყალი“... იხ. იქვე, ტ. II, გვ. 83—84.

არც ბერძ. **ხეარ**, **გვნე**, **ვლორ**, არც ლათინური **მანუს**, **ჭემინა**, **აკვა** ამის შესაძლებლობას არ ქმნის: ერთ ელემენტამდის მათი აყვანა ოთხ-ელემენტოვანი ანალიზის ფონეტიკური წესებითაც კი შეუძლებლადაა მიჩნეული.

კითხვა ისმის: **ფონეტიკური მხარე მიჰყვება სემასიოლოგიურის კარნახს თუ პირუკუ?** ცხადია, ბგერითი მხარის ურთიერთობაა აქ წამყვანი, **მნიშვნელობათა მწკრივის („კონის“) არსებობა მხოლოდ მაშინ გადაწყდება დადებითად, თუ ბგერითი მხარე „ხელს გვიწყობს“.**

ნ. მარის ტერმინები რომ ვიხმაროთ, **ფორმალური პალეონტოლოგიური ანალიზი** მარტივი, რაოდენობითი ანალიზი, **განსაზღვრავს სემანტიკურ, იდეოლოგიურ, რაგვარობით ანალიზს.**

ამგვარად, სიტყვათა ანალიზის პრაქტიკაში არ მართლდება დაპირება: სემანტიკური, იდეოლოგიური, რაგვარობითი ანალიზია გადამწყვეტი მნიშვნელობისა, საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნისო (იხ. ოთხელემენტოვანი ანალიზის დებულება, § 114).

სხვაგვარი დასკვნა ვერ გაკეთდება ზემოხსენებული მაგალითისაგან, და ასეთი მაგალითები ნ. მართან მრავალია.

და მაინც: არცთუ იშვიათია ისეთი მაგალითებიც, — სადაც მნიშვნელობის მიხედვით სიტყვათა დაკავშირებისას ბგერითი სრული სხვაობა დაბრკოლებას არა ქმნის: ელემენტების ჯადოქრული ტრანსფორმაცია შეუძლებელს შესაძლებლად მიიჩნევს; შდრ. ზემოთ: **წურ-** და **ხარბ-** ერთმანეთს დაუკავშირდა.

საბოლოო ანგარიშში აქაც ელემენტოვანი ანალიზია გზის მაჩვენებელი. ერთი სიტყვით, ელემენტოვანი ანალიზისათვის **არც სემასიოლოგიური** და **არც ფონეტიკური მხარე** დაბრკოლებას არა ქმნის. ელემენტოვანი ანალიზი ყოვლისშემძლეა.

თუ არ ოთხელემენტოვანი ანალიზი, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან ქართ. **-თან** (თანდებული), მეგრ. **ჭან**-აფა „მოწვევა“, სომხ. **ძაღն** ძაღნ „ხმა“... ქართ. „ენა“, ტიტინ-ი, ინგლ. tongue „ენა“ (ორგანო), რუს. **речь, изрекать** და სვან. რე-ქჷ „თქვა“...¹

დასასრულ, ერთი ნიმუშიც. მხედველობაში გვაქვს წყება **მუხა** → **პური**, **ხე...**

ნ. მარის ჩვენებით: **მუხა** ორელემენტოვანი ტერმინია, მასში შედის **ბერ+ხალ: მუხა+ხა... ხა** იგივეა, რაც ჭან. **ყა**, მეგრ. **ცა** „ტოტის“, „მტოს“ მნიშვნელობით; **ხა**-ს ქართული ეკვივალენტი უნდა ყოფილიყო **ხე** (და გვაქვს კიდევ აკიო!).

¹ Н. Я. Марр: Яфет. теория — ИР, II, გვ. 82.

მეორე მხრით, ამ **ხა-ს ხ** გადმონაშთია დიფუზური ჰ/ს-ის, რომლის სახესხვაობაცაა **ტყ** — სიტყვაში ტყე, მეგრ. ტყა(ლ): „ხე“ — „ტყე“ ერთმანეთს უკავშირდება პრინციპის მიხედვით „ნაწილი მთელის კვალობაზე“.

რაც შეეხება პირველ ნაწილს — **მუ-**, მას პირდაპირ მივყავართ ჩინურთან: ჩინურში **მუ** = „ხე“. ამრიგად: **მუ-ხა** წარმოშობით უდრის **ხე+ხე**, ორი ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ელემენტის შეჯვარებაა.

ჩინურისა და ქართულის შუა რგოლებს გვაწვდიან ფინური ენები: **პუ** „ხე“ — უდმურტულში, მორდოვულში **პუ** = პუუ — სუიომი-ენაში (ე. ი. ფინურში), ესტონურში.

უ-ს დაგრძელება ბოლოკიდურ **-რ-ს** დაკარგვითაა გამოწვეული: **პუ←პურ**.


ეს **პურ** მოცემულია კიდევ ქართულ სიტყვაში **ფურ-ცელ** (←*ხე: **-ფურ** ნიშნავდა „ხეს“, — პრინციპი: — „ნაწილის მიხედვით მთელი“), იგივე **პურ** უცვლელად წარმოგვიდგება სიტყვაში **პურ**, რაც წარმოშობით ნიშნავდა **რკოს**, resp. **მუნას**.

პურ-ის ფონეტიკური სახესხვაობაა **პალ || ბალ-**; ეს კი გვაქვს ბერძნ. **βάλ-av-ος** (სალ-ფონ ელემენტთა შეჯვარება!) — „რკო“, და, მამასა-დამე, „მუნა“...

„ეგვე“ **ბალ** დასტურდება ქართ. ხორ-**ბალ**-ში, მეგრ. ქო-ბალ-სა და ჭან. ქო-ვალ-ში („პური“)... პირველი ელემენტი **ხორ** დაცულია ბასკურში **ურ**-ის სახით და „თხილს“ ნიშნავს.

„იგივე“ ელემენტი **კურ**-ის სახით შუმერულსაც მოეპოვება და იქ „პურს“ უდრის: **კურ** „ცხოზა“, „პურის ცხოზა“...¹

მუნა- სიტყვის კონა გრაფიკულად რომ წარმოვადგინოთ, ასეთ სქემას მივიღებთ:



¹ Н. Я. Марр: Китайский язык и палеонтология речи (1926), ИР, ტ. IV, გვ. 104—106.

ქართ. ხორ-**ბალ**-, — ბასკ. ურ „თხილი“ || შუმერ. კურ. „პურის ცხოზა“
 მეგრ. ქო-**ბალ**- „პური“
 ჰან. ქო-**ვალ**- „

ოთხელემენტოვანმა ანალიზმა ქართული **მუნა** დაუკავშირა ჩინურს, ბერძნულს, ფინურს... ოთხელემენტოვანმა ანალიზმა **სემასიოლოგიური** კავშირი გააბა მუნასა და პურს შორის: **მუნა—რკო—პური**.

იაფეტურ თეორიაში (და მის გარეთაც არასპეციალისტებს შორის) ამ მწკრივს დიდი მოწონება ხვდა წილად; ამაში ხედავენ იაფეტური თეორიისა და პალეონტოლოგიური ანალიზის სანიმუშო მიღწევას: გაირკვა კაცობრიობის ძველი ყოფის უაღრესად მნიშვნელოვანი დეტალი — ადამიანი რკოთი იკვებებოდა თურმეო...

აღტაცების პროცესში დაავიწყდათ, ეკითხათ: გამოდგება კი რკო — ფიზიოლოგიურ მიზეზთა გამო — საკვებ პროდუქტად?¹ დაავიწყდათ, რომ ეს დასკვნა მოპოვებულია ისეთი საშუალებით, რომლითაც შეიძლება ასეთივე წარმატებით დამტკიცდეს სხვა, სრულებით საწინააღმდეგო დებულებაც. ოთხელემენტოვანი ანალიზი ამის საწინდარია.

ოთხელემენტოვანი ანალიზი უნივერსალური გასაღებია: მას შეუძლია გახსნას ყოველგვარი საიდუმლოება, ამოხსნას ყოველგვარი ამოცანა.

სემასიოლოგიური პრინციპი „ნაწილისა მთელის მიხედვით“, „ფუნქციური სემანტიკის პრინციპი“ და სხვ., რასაც ფართოდ იყენებს ნ. მარი, ენათმეცნიერებაში ახალი არაა; ახალი და სპეციფიკურია **პრინციპი**, რომლითაც მასალას ანალიზი უკეთდება: ესაა ელემენტოვანი ანალიზის პრინციპი, „**ფორმალური პალეონტოლოგიური ანალიზის პრინციპი**“, რომელსაც დაუბრკოლებლად შეუძლია დედამიწის ყოველი ენის ყოველი სიტყვა **დააკავშიროს რაგინდარა ენის რაგინდარა სიტყვასთან**.

უამისოდ არც რკოს აღმოაჩნდებოდა სასურსათო ფუნქციები იაფეტურ თეორიაში და არც ხსენებულ სემასიოლოგიურ პრინციპთა გამოყენებისათვის გაიშლებოდა ასპარეზი.

აქამდის მოყვანილი მაგალითები არ შეიცავენ არაფერ განსაკუთრებულს. შეიძლებოდა დაგვესახელებინა უფრო თავისებური შემთხვევებიც, მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ესეც კმარა: ეს მაგალითები ეჭვმიუტანელს ხდის, რომ იაფეტური თეორიის **პალეონტოლოგიური მეთოდი ოთხელემენტოვანი ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია**, რომ **სემასიოლოგიური-იდეოლოგიური** (ე. წ. რაგვარობითი) **ანალიზი** ფორმალური, ელემენტო-

¹ მხოლოდ ერთი ჯიშის მუხის რკო ყოფილა საჭმელად ვარგისი. მაგრამ, ესეც არ იყოს, საკითხავია: რატომ უნდა მისძალეობოდა ის ძველისძველი „ადამიანი“ რკოს? რატომ, ვთქვათ, წაბლს არ მისცა უპირატესობა?

ვანი (რაოდენობით), ანალიზის გარეშე გზას ვერ გაიკაფავს, რომ იაფეტური თეორიის „სემანტიკური კონები“ შეუძლებელია შეიკრას ელემენტოვანი ფორმალური ანალიზის გამოყენებლად.

§ 117. ოთხელემენტოვანი ანალიზის პრინციპი და დებულება ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ (ენათა სტადიური კლასიფიკაცია). ამოიწურება თუ არა ოთხელემენტოვანი ანალიზის ფუნქცია ამით? ოდნავადაც არა. იმ პრინციპიდან, რომელიც ელემენტოვან ანალიზს ასაბუთებს, რიგი დასკვნა გამომდინარეობს შინაგანი აუცილებლობით.

რაკი ყველა ენა ოთხი ელემენტის ტრანსფორმაციით შეიქმნა, რაკი „რაგინდარა ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არ მოიპოვება სიტყვა, რომელიც შეიცავდეს რასმე მეტს გარდა ისევ და ისევ ამ ოთხი ელემენტისა“, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება ენათა სხვადასხვა წყაროდან წარმოშობის შესახებ.

ნ. მარი წერს: „ენებს ერთი წარმოშობა აქვს“... „მთელი სამყაროს ენები წარმოადგენენ ერთიანი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტს, ეკუთვნიან რა წარმოქმნის დროს მიხედვით ამა თუ იმ სისტემას, რომლებიც ერთი მეორეს ცვლიდა“¹.

მაშასადამე, პროცესი ენათა წარმოქმნისა ერთია; განსხვავება იმაშია, თუ განვითარების რა საფეხურს განეკუთვნება ენა, და ამისდა კვალად რა სისტემისაა იგი.

1928 წელს ერთ თავის შრომაში ნ. მარმა ერთიანი გლოტოგონიური პროცესისა და მასში გამოყოფილი სისტემების შემდეგი სქემა დასახა:

I. ენები პირველადი პერიოდის სისტემისა, მონოსილაბური და პოლისემანტიკური ენები:

1. ჩინური,
2. შუა აფრიკისა და შორეული (?) აფრიკის ცოცხალი ენები.

II. ენები მეორეული პერიოდის სისტემისა:

1. უნგრულ-ფინური ენები,
2. თურქული ენები,
3. მონღოლური ენები.

III. ენები მესამეული პერიოდის სისტემისა:

1. გადმონაშთი იაფეტური ენები,
2. ქამიტური ენები (ახლო და შორეული აფრიკის ენები).

IV. ენები მეოთხეული პერიოდის სისტემისა:

¹ „Языки всего мира представляют продукты одного глоттогонического процесса, в зависимости от времени возникновения принадлежат к той или иной системе, сменявшей одна другую...“ – Н. Я. Марр. Язык, ИР, II, გვ. 135.

1. სემიტური ენები,

2. პრომეთეიდული ანუ ე. წ. ინდოევროპული ენები¹.

ამ სქემას საილუსტრაციო მნიშვნელობა აქვს, როგორც ენათა სტადიური კლასიფიკაციის ნიმუშს. მისი დაწვრილებითი ანალიზი ჩვენს ამოცანას არ შეადგენს მით უფრო, რომ ჯერჯერობით არათუ კლასიფიკაცია არაა გარკვეული სახით ჩამოყალიბებული, არამედ ისიც კი არაა ნაჩვენები, თუ **კონკრეტულად რა ნიშნების მიხედვით** უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ენა ამა თუ იმ სისტემას².

მთავარია ის, რომ სხვადასხვა ოჯახის ენები აქ **განვითარების ერთ ნაწილაკად მოთავსებული**; ინდოევროპულ ენებს, სემიტურ ენებს, უნგრულ-ფინურ ენებს, კავკასიურ ენებს ამ სქემის მიხედვით წარმოშობის განსხვავებული წყარო, — სხვადასხვა **ფუძენა** — სხვადასხვა ძირები არა აქვს და, მაშასადამე, არც საკუთარი ენობრივი მასალა მოეპოვება; არა, ყველა ესენი **ერთი მასალის გარდაქმნა-გადამუშავების სხვადასხვა საფეხურს ასახავენ** და **მეტი არაფერი**; ერთიმეორის **გვერდით** კი არ არსებობდნენ ძველთაძველი დროიდან ინდოევროპული, სემიტური, უნგრულ-ფინური, კავკასიური და სხვა ანალოგიური ენათგუფები, არამედ სხვადასხვა დროს ჩაისახნენ, ერთი და იმავე მასალის ტრანსფორმაციის პროცესში განვითარების ერთიან კალაპოტში... კითხვა: **რა წყაროდან მომდინარეობს? შეცვალა კითხვამ: რა ფორმაციისაა?**

ყველაზე ახალი ფორმაციისაა სემიტური და ინდოევროპული ენები, — ესაა განვითარების მწვერვალი, ტრანსფორმაციის უკანასკნელი საფეხური... ერთი საფეხურით ადრე, ე. ი. ქვევით, ჩვენი (იაფეტური) ენებია და ქამიტური ენები... უნგრულ-ფინური — განვითარების უფრო ძველი საფეხურია, ჩინური — ყველაზე ძველი.

რატომ დარჩა ხსენებული ენები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ესაა ძირითადი საკითხი, რომელიც ამგვარმა გაგებამ პირველ რიგში უნდა გაარკვიოს (ამ კითხვაზე პასუხი იაფეტურ თეორას არა აქვს; ზოგი რამ ამასთან დაკავშირებით — იხ. ქვემოთ).

§ 118. სტადიური კლასიფიკაციის დაპირისპირება გენეალოგიური კლასიფიკაციისათვის, როგორც შედეგი ელემენტოვანი ანალიზის დაპირისპირებისა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისათვის. რა მიმართებაშია ეს კლასიფიკაცია გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან?

¹ იხ. Почему так трудно стать лингвистом-теоретиком? ИР, II, გვ. 405.

² „სტადიათა რიცხვი დაზუსტებული არ არის ისევე, როგორც ჯერ კიდევ არ არის გამოყვანილი დამახასიათებელი სტადიური ნიშნები, სისტემები კი სრულელებით არ არის დამუშავებული დეტალურად ცალკე ენობრივ დაჯგუფებათა მიხედვით“ — იხ. И. И. Мещанинов: Проблема классификации языков..., 1934, გვ. 21.

ენათა სტადიების სქემის განხილვამ გვიჩვენა, რომ **სტადიური, სისტემებრივი, კლასიფიკაცია არის უარყოფა გენეალოგიური კლასიფიკაციისა** ისევე, როგორც **პალეონტოლოგიური მეთოდი იაფეტური თეორიისა წარმოადგენს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უარყოფას**. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: **სტადიური კლასიფიკაცია სწორედ იმიტომ არის ანტითეზა გენეალოგიური კლასიფიკაციისა, რომ სტადიური კლასიფიკაციის მეთოდი — პალეონტოლოგიური ანალიზი ელემენტების მიხედვით არის ანტითეზა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა**.

მართლაცდა: როგორ შეიძლება ენათა სხვადასხვა წყაროდან წარმოშობილობა ვიწამოთ, თუ ყველა ენა ერთი და იმავე ელემენტებისაგან — ოთხი კონკრეტული ელემენტისაგან — არის წარმოქმნილი, ან ერთი — ან მეორე: ერთი მეორეს გამორიცხავს.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ვარაუდობს, რომ არსებობს სხვადასხვა წარმოშობის, — **სხვადასხვა ამოსავალი მასალის**, — მქონე ენათა ჯგუფები („ოჯახები“). მათი შესწავლა მათი გენეზისის გარკვევაა, მათი განვითარების გზის გათვალისწინებაა. ეს გზა ტიპოლოგიურად ბევრ რასმე საერთოს შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ **კონკრეტული ენობრივი მასალის** მიხედვით განსხვავებულია: იმიტომ, რომ განსხვავებულია **ამოსავალი მასალა** (სხვადასხვა ფუძენა!).

შედარება მონათესავე ენათა განვითარების ისტორიას სათანადოდ მხოლოდ მაშინ არკვევს, თუ გათვალისწინებულია შესაძარებელ მოვლენათა ისტორია, თუ ეს მოვლენები განვითარების დონის მიხედვით გაერთმნიშვნელებულია (იხ. ზემოთ „ისტორიულ-შედარებითი მეთოდი“ — § 88). შედარება ისტორიას **ემყარება** და **ისტორიასვე** ემსახურება.

არ შეიძლება **სხვადასხვა წარმოშობის** ენათა ფაქტების შედარება იმიტომ, რომ სხვადასხვა მასალაა განვითარებისთვის ამოსავალი. არ შეიძლება ისტორიული ფონეტიკის წესების დაუცველად სიტყვათა შედარება **ერთი წარმოშობის ენათა წრეშიც** იმიტომ, რომ ფონეტიკური წესი (ბგერათა ცვლა) განსაზღვრულია **ენობრივი კოლექტივით**, ერთის მხრით, **დროის მონაკვეთით**, მეორეს მხრით: ესა თუ ის ბგერითი ცვლა მიმდინარეობს **გარკვეულ ენაში გარკვეულ** დროს, ეს ცვლა ამდენადვე ისტორიული და სოციალურია თავისი რაობით, — და არა უნივერსალური და მექანიკურ-ფიზიოლოგიური.

ვთქვათ, ერთ-ერთი კავკასიური ენის, ხუნძურის, ზოგ კილოში ტ→ც (ტეჰ→ცეჰ „ყვავილი“), ხოლო მეორე კავკასიურ ენაში, ზანურში ყ→ც: ქართ. ყური, ჭან. (არქ.) და მეგრ. ყუჯი... შეიძლება თუ არა ამის მიხედვით დავასკვნათ: რაკი ხუნძურში **ც** შეიძლება მოგვცეს **ტ**-მ, ხოლო ზანურში ც-ს **ყ** იძლევა, **ყ** და **ტ** კავკასიურ ენებში ერთმანეთს ენაცვლებაო. არ

შეიძლება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სადაც ყ→ც, იქ ტ არ გადადის ც-ში და პირუკუ. ერთ ენაში (ენობრივ კოლექტივში) შესაძლებელი ცვლა მეორე ენისთვის (ენობრივი კოლექტივისთვის) უცხო გამოდის... თვით იმავე ენაშიც ეს ცვლა ყოველთვის როდი ხდება: იწყება გარკვეული დროიდან და ადგილი ურჩება გარკვეულ დრომდის. რომ ეს გარემოება არა, ფონეტიკა **ფიზიკის** დარგი იქნებოდა და არა **ენათმეცნიერებისა**.

პალეონტოლოგიური მეთოდი გვეუბნება: არ შეიძლება განვასხვაოთ ენები წარმოშობის მიხედვით, არ შეიძლება ენები დავაჯგუფოთ გენეალოგიის მიხედვით, რადგანაც ყველა ენა **ერთი და იმავე მასალისაგანაა** აგებული, ყველა ენის ყველა სიტყვა ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის ტრანსფორმაციას წარმოადგენსო.

განსხვავება ენებს შორის არსებობს, მაგრამ არა იმის გამო, რომ სხვადასხვა ამოსავალი აქვს, არამედ იმის გამო, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურს ასახავენო. ენათა კლასიფიკაცია განვითარების საფეხურების მიხედვით უნდა გაწარმოოთ.

შედარება საჭიროა, მაგრამ შედარებისას არ უნდა შევიზღუდოთ თავი (ამა თუ იმ ენათა ოჯახით): რაგინდარა ენის სიტყვა შეიძლება შევუდაროთ რაგინდარა ენასაო (**თვით სტადიათა სხვაობასაც არა აქვს მნიშვნელობა**); საფუძველი: ყველა ენის ყველა სიტყვა ერთი და იმავე მასალისაგან (ოთხი ელემენტისაგან) მომდინარეობსო...

შედარებისათვის, მაშასადამე, არა აქვს მნიშვნელობა, **რა ენისაა** ეს სიტყვა, **რა სტადიისაა** ეს ენა. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ვიცოდეთ: რა ელემენტიდანაა შექმნილი ეს სიტყვა... სპეციფიკური ფონეტიკური სქემები, როგორც ვიცით, ადვილებენ ამ დასაბამიერი ელემენტის (თუ ელემენტების) „მოპოვებას“ სიტყვაში: არავითარი ისტორიული ფონეტიკა, არავითარი შეზღუდვა ენითა თუ დროით: კაბილური—ჩინური—ქართული—ლათინური—ფინური — ყველა ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული შედარებისას: საერთო მნიშვნელია „ელემენტები“; გაერთმნიშვნელობა ელემენტებად დაშლის საშუალებით ხდება.

ერთი სიტყვით: **დაპირისპირება გენეალოგიური და სტადიური კლასიფიკაციისა დამყარებულია ისტორიულ-შედარებითი და პალეონტოლოგიური მეთოდის დაპირისპირებაზე. დაპირისპირებისათვის საბოლოო ანგარიშში ამოსავალია დებულება: ყველა ენის ყველა სიტყვა შედგება ოთხი ელემენტისაგან...**

§ 119. ენის წარმოშობის საკითხი იაფეტურ თეორიაში და ოთხ-ელემენტოვანი ანალიზი. იაფეტურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენის წარმოშობის საკითხს. მას ნ. მარი აცხადებს ენათმეცნიერების ცენტრალურ საკითხად, ამ საკითხისადმი ინდოევროპეისტიკის უყურადღე-

ბობა მიჩნეულია ნიშანდობლივად ამ უკანასკნელისათვის, როგორც ბურ-ყუაზიული თეორიისათვის.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის განხილვას, რამდენად შეიძლება ენის წარმოშობის საკითხით დაინტერესება თუ დაუინტერესებლობა იდეოლოგიური პოზიციების დასახასიათებელ საშუალებად გამოდგეს; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ისტორიული ენათმეცნიერების გულგრილი დამოკიდებულება ენის წარმოშობის საკითხისადმი გამოწვეული იყო იმით, რომ ეს საკითხი არ მიაჩნდათ ისეთ საკითხად, რომლის პოზიტიური გადაწყვეტაც შეიძლებელი იყოს; მასთან დავძენთ, რომ ხსენებული საკითხი ენათმეცნიერებისათვის ისეთივე აქტუალურია, როგორც სიცოცხლის წარმოშობის საკითხი ბიოლოგიისათვის, — ეს საკითხი, მაშასადამე, **ერთ-ერთი** ძირითადი საკითხია ზოგადი ენათმეცნიერებისა.

ნ. მარს ასეთი გაგება არ აკმაყოფილებს: ენის წარმოშობის საკითხი მისთვის **ყველაზე ძირითადი საკითხია** (და არა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი).

საიდან მოდის ასეთი შეხედულება? გასაღები ისევ პალეონტოლოგიურ მეთოდშია მოცემული; ოთხელემენტოვანი ანალიზის თეზაში ნათქვამია: ყველა ენის ყველა სიტყვა შეიქმნა ოთხი ელემენტისაგან, ამ ელემენტთა ტრანსფორმაციას წარმოადგენსო. მერე: შედარებისას სიტყვა უნდა დაიშალოს ამ ელემენტებად, **უამისოდ შედარება უქმიაო**. მაშასადამე, შედარების ყველა შემთხვევა ჩვენ **გვაყენებს პირისპირ დასაბამიერ მასალასთან**, ოთხ ელემენტთან, რომლისაგანაც კაცობრიობის მეტყველება შეიქმნა, მოკლედ: შედარების ყოველი შემთხვევა დაკავშირებულია ენის წარმოშობის საკითხთან.

ამრიგად, მეტყველების დასაბამის საკითხი არა მხოლოდ მაშინ იმის, როდესაც ენის წარმოშობის პრობლემაზე ვმსჯელობთ და შესაბამის კონცეფციას ვიმუშავებთ, არამედ ყოველდღიური საენათმეცნიერო კვლევებიც პროცესშიც, თუკი იგი იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური მეთოდით წარმოებს.

ერთი სიტყვით: **ენის წარმოშობის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა** იაფეტურ თეორიაში **ოთხელემენტოვან ანალიზთან დაკავშირებით**.

§ 120. ინდოევროპეისტიკის კრიტიკა იაფეტურ თეორიაში და ოთხელემენტოვანი ანალიზი. იაფეტური თეორიის ნეგატიურ დებულებათა შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ორი: 1. გენეალოგიური კლასიფიკაცია რასობრივი თეორიას ენათმეცნიერებაში, 2. ინდოევროპეისტიკა ფორმალისტურიაო. საგანგებოდ ამისათვის ადგილების ამოწერა არაა სა-

ჭირო. ამ დებულებებს¹ სათანადო შრომებში მკითხველი წააწყდება ყოველი ფენის გადადგმაზე, თუმცა მათი დასაბუთება არსადაა მოცემული. დაუსაბუთებლად ამგვარ დებულებათა წამოყენება შემთხვევითი არაა, როგორც ვნახავთ.

რატომაა ინდოევროპეისტიკა რასიული თეორია? სხვადასხვა კონტექსტებიდან მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ ამის საბაზს იძლევა ფუძენა: სხვადასხვა ენათა ოჯახები სხვადასხვა ფუძენიდან მომდინარეობენ (სხვადასხვა „წინარე ენიდან“, როგორც ხშირად ამბობენ და წერენ ხოლმე). მაშასადამე, ასკვნის იაფეტური თეორია, სხვადასხვა რასის კუთვნილება ყოფილო: სხვადასხვა ფუძენის დაშვება სხვადასხვა რასების დაშვებას გულისხმობსო.

აქ ორი საკითხი ისმის: ასეა თუ არა ეს ფაქტობრივი? და თუ ასეა, შეიძლება თუ არა ამის მიხედვით დავასკვნათ, რომ ამის აღიარება რასობრივი თეორიის თვალსაზრისზე დადგომას ნიშნავს? დავიწყეთ მეორე საკითხით. რასების არსებობის აღიარება, რასაკვირველია, რასობრივი თეორია არაა. რასებზე, რასების განსხვავებაზე ლაპარაკობს ენგელსი ცნობილ ადგილას: „ესაა ორი სრულიად განსხვავებული ხალხი, იმდენად განსხვავებული, რამდენადაც შეიძლება იყოს განსხვავებული ორი რასა, ორი ხალხი“...² რასების არსებობას ცნობს საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც მთელი თავისი არსებით მიმართულია რასობრივი თეორიის წინააღმდეგ³. და ეს სავსებით ბუნებრივია: რასობრივი თეორია რასების არსებობის აღიარებაში არ მდგომარეობს (რასების არსებობა ფაქტია); რასობრივი თეორიისათვის ნიშანდობლივია ის, რომ სხვადასხვა რასა სხვადასხვა ღირებულებების მქონეაა გამოცხადებული, ზოგს აქვსო განვითარების უნარი, ზოგს — არა (და ამდენად თვით რასა განვითარების ფაქტორადაა მიჩნეული) და აქედან, ამ მეცნიერულად ყალბი დებულები-

¹ ვტყვით ასეთი სახით: «В применении к науке об языке... термин «яфетический» сохраняет смысл лишь условно, как противоположность *расовому языковедному построению – индоевропейстике*» – Н. Я. Марр: Яфетические языки (1931), ИР, I, გვ. 291.

ანდა ასე: «Утверждаю, что индоевропейской семьи языков, расово отличной, не существует. Индоевропейские языки Средиземноморья никогда и ниоткуда не являлись ни с каким *особым языковым материалом*, который шел бы из какой-либо *расово особой семьи языков* или тем менее восходил к какому-либо расово особому праязыку» – Н. Я. Марр: Индоевроп. языки Средиземноморья, ИР, I, გვ. 184.

² ფრ. ენგელსი: მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში — რუს. თარგმ. იხ. Соч. Маркса-Энгельса, III (1930), გვ. 415.

³ იხ. მუხლი 135: „დებუტატთა არჩევნები საყოველთაო: სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა... უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დებუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნეს“...

დან, კეთდება რეაქციული დასკვნა: ერთი რასა უნდა ბატონობდეს მეორეზე. რასობრივი თეორია ხალხთა თანასწორუფლებიანობის უარყოფაა და ხალხთა ჩაგვრის პრინციპული დასაბუთება-გამართლებაა. ეს — ერთი.

საინტერესოა, რომ ინდოევროპული ენების არცერთი ანრაგიშვასაწევი სპეციალისტი არ ამტკიცებს, თითქოს სხვადასხვა ფუძეენა სხვადასხვა რასის ენა იყოს, თითქოს წინარე ენების გარჩევა რასების გარჩევას ემყარებოდეს: თითქოს ინდოევროპული წინარე ენა ინდოევროპულ **რასას** გულისხმობდეს და ამ რასის კუთვნილება იყოს, სემიტური წინარე ენა სემიტური **რასის** არსებობას მოწმობდეს და ასე შემდეგ. პირიქით, ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები გარკვევით აღნიშნავენ — ენის მიხედვით რასა ვერ გაირკვევა... სო ს ი უ რ ი ამბობს: „მეცდომა იქნებოდა გვეფიქრა,... თითქოს ცნება ენათა ოჯახისა ფარავდეს ოჯახის ანთროპოლოგიურ ცნებას“¹. მეიე წერს: „ენა დამოკიდებულია ისტორიულ პირობებზე და სრულებით არაა დამოკიდებული რასაზე“², რომელიც ფიზიკური ხასიათის ცნებას წარმოადგენს. ცნება ინდოევროპული ენებისა არის რაღაც სავსებით გარკვეული, მაგრამ მხოლოდ როგორც ისტორიული ხასიათის ცნება: ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში არსებობდნენ ხალხები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ერთიან ენაზე და რომელთაც ჰქონდათ ერთნაირი კულტურა. ცნება „ინდოევროპული რასისა“ კანონიერი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენდნენ, რომ ესა და ეს ხალხები წარმოიშვნენ წინაპრებისაგან, რომელთაც ერთნაირი ანატომიური თავისებურება ახასიათებდა, ანდა თუკი ეს ხალხები რომელიმე მომენტში გამოირჩეოდნენ ანატომიური და ფიზიოლოგიური ტიპის ერთიანობით. მაგრამ არ არსებობს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინდოევროპულ ენათა ფარგლები და ამგვარად გაგებული რასის ფარგლები ერთმანეთს დამთხვეოდეს. სინამდვილეში კი ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ძველთაგანვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი გარეგნობით და არ ხასიათდებიან რაიმე საერთო ფიზიკური ტიპით, რომელიც მათ განასხვავებდა სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხებისაგან. კიდევ უფრო ნაკლები საშუალება გვაქვს ვამტკიცოთ, თითქოს ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები წარმოშობილიყვნენ საერთო წინაპრებისაგან. ამიტომ ამ წიგნში, რომელიც ენებისადმი მიძღვნილი, ადგილი არა აქვს რასების საკითხს“³.

ასეთია ინდოევროპულ ენათა კომპეტენტური სპეციალისტების აზრი, შემთხვევითი არაა ამიტომ, თუ იაფეტიდოლოგიურ შრომებში

¹ იხ. Курс общ. лингвистики, გვ. 200.

² ხაზი დედნისაა.

³ А. Мейе: Введение в сравнит. изуч. инд.-евр. яз. (1938), გვ. 106—107.

არ ასახელებენ ინდოევროპეისტებს, როცა რასობრივი თეორიის დაცვას მიაწერენ ინდოევროპეისტიკას.

ენათა ოჯახი რასას არ განსაზღვრავს, ფუძეენები რასების ენები არაა, მაგრამ რომც იყვნენ, ეს არ იქნებოდა რასობრივი თეორია.

ენათა ოჯახებისა და სათანადო ფუძეენების არსებობიდან ამოდიოდა ენგელსი, როცა იკვლევდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ჩრდილო-გერმანულ დიალექტებს, როცა მოწონებით იხსენიებდა ისტორიული ენათმეცნიერების, ბოპის, გრიმისა და დიცის სახელებთან დაკავშირებული ენათმეცნიერების, წარმატებებს¹, როცა ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი ძიების შედეგებსაც და გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებებს იყენებდა შრომაში: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“...² მარქსი ერთ თავის წერილში ენგელსისადმი ამ უკანასკნელს უწოდებს „**მკვლევარს შედარებითი ენათმეცნიერების დარგში**“: „როგორც მკვლევარმა შედარებითი ენათმეცნიერების დარგში, შენ, იქნებ, იბოვო შენთვის საინტერესო ფორმები XV საუკუნის დასაწყისის ერთი მოტლანდიური ქრონიკის ექსცერპტშიო“³.

1869 წელს, როცა ამას მარქსი წერდა, ერთადერთი შედარებითი ენათმეცნიერება არსებობდა, — ეს იყო ისტორიული და შედარებითი მეთოდით მომუშავე ენათმეცნიერება, მისი გენეალოგიური კლასიფიკაციითა და ენათა ოჯახებით, კერძოდ, ინდოევროპულ ენათა ოჯახითა და ფუძეენით („საერთო არიული“ — იხ. ამავე გვერდზე, სქოლიოში შენიშვნა 2). ენგელსი ამ შედარებითი ენათმეცნიერების მკვლევარი იყო, მაგრამ რასობრივი თეორიის მიმდევარი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, ვერ იქნებოდა: გენეალოგიური კლასიფიკაცია, ენათა ოჯახებად დაჯგუფება (სხვადასხვა წარმოშობის მიხედვით), სხვადასხვა **ფუძე-ენის, ამოსავალი საერთო ენის** დაშვება — **არაა რასობრივი თეორია** ფაქტობრივად და არც ლოგიკურად გულისხმობს რასობრივ უთანასწორობას (და რასებთან კავშირსაც კი!).

¹ იხ. ფრ. ენგელსი: ანტიდიუტინგი, ქართ. თარგმანი, გვ. 274 (გერმანული ტექსტის გვ. 317, 1934 წლის გამოცემით. მოსკ.-ლენინგრ.).

² იხ. მაგ.: „გვარის“ (gens) აღმნიშვნელ ტერმინთა შესახებ ადგილები: „ლათინური სიტყვა gens... იმავე მნიშვნელობის ბერძნული genos-ის მსგავსად მომდინარეობს **საერთო არიული** ძირისაგან gan (გერმანულად, — სადაც ზოგადი წესის შესაბამისად არიული გ-ს ნაცვლად უნდა გვქონდეს კ — kan), რაიც ნიშნავს „წარმოქმნას“, „დაბადებას“; genos, სანსკრიტის janas, გუთური kuni, ძველი ნორმანული და ანგლოსაქსური kyn, ინგლისური kin, საშუალო გერმანული künne თანაბრად აღნიშნავენ „გვარს“, „წარმოშობას“, — იხ. Энгельс: Происхожд. семьи, част. собственности и государства — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის გამოცემა, მოსკ., 1932, გვ. 84 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**). — იხ. აგრეთვე გვ. 137. „არიული“ ენგელსთან „ინდოევროპულს“ უდრის.

³ წერილი დათარიღებულია 1869 წლის იანვრით.

იაფეტური თეორია უარყოფს გენეალოგიურ კლასიფიკაციას არა იმიტომ, რომ ეს რასობრივი თეორიაა, არამედ იმიტომ, რომ გენეალოგიური კლასიფიკაცია და პალეონტოლოგიური, ოთხელემენტოვანი ანალიზი შეუთავსებელია; რასობრივ თეორიაზე ლაპარაკი **პოლემიკური საშუალებაა: ამ გზით უფრო მარტივად გაიკაფება გზა ელემენტოვანი ანალიზის მონობოლოგიური უფლებების დამკვიდრებისათვის.**

ენათა სტადიური კლასიფიკაცია რომ ინდოევროპულ ენათმეცნიერებას წამოეყენებინა, იაფეტური თეორია, უნდა ვიფიქროთ, უყურადღებოდ არ დატოვებდა ძირითად საკითხს, რომელიც ჩნდება სტადიური კლასიფიკაციის გატარებისას: ენებს განსხვავებს **არა ამოსავალი მასალა, არამედ განვითარების საფეხური;** აქ ენებს შორის განსხვავება მკვეთრად იგრძნობა: ჩინური შერჩა ძველისძველ საფეხურს, ინდოევროპული ენები განვითარების ბოლო წევრს წარმოგვიდგენენო, მაგრამ ეს ხომ იმას უდრის, რომ გაბატონებული ხალხების, ევროპელების ენებმა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიეს, სხვა არცერთი ხალხის მეტყველებას (სემიტური ენების გარდა) ამ საფეხურამდის არ მიუღწევია! რატომ გარჩენენ სხვა ენები განვითარების წინა, ე. ი. უფრო დაბალ საფეხურებზე? განაჩინის სახეს არ იღებს განა ის განმარტება, რომელსაც ნ. მარი უკეთებს ხსენებულ ფაქტს: „შეცვლილ სისტემათა ენები ახასიათებს ხალხებს, რომლებიც მოწყდნენ საერთო მსოფლიო განვითარებას — **მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი კვლავ ჩათრეული მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ მსოფლიო ორომტრიალში, გაიარეს თავისი მაღალი კულტურული განვითარების ახალი ისტორიული გზა ისეთი ენით, რომელიც მოწყვეტილია სისტემის ზოგად განვითარებას ანდა ისეთი ენით, რომელიც დრომოჭმულ სისტემას ეკუთვნის** — ანდა კიდევ [მიუხედავად იმისა] ესა თუ ის ხალხები სავსებით გარჩენენ მეურნეობითაც და საზოგადოებრიობითაც ცაცობრიობის განვითარების სათანადო საფეხურზე“¹.

თავი დავანებოთ ამ უკანასკნელს, რომელნიც თურმე „მეურნეობითაც და საზოგადოებრიობითაც გარჩენენ განვითარების სათანადო საფეხურზე“ (თუმც კია საკითხავი: რატომ გარჩენენ? განვითარების უნარს მოკლებული არიან?), როგორა დგას იმ ხალხთა საკითხი, რომელნიც წინანდელი სისტემის ენებს ფლობენ? რატომ შერჩა მათ ეს ენები?

¹ ერთი მაგალითი: იაფეტური სისტემა გარდაიქმნა ინდოევროპულად მეტალოგიური კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ კულტურის შემოქმედი კი იაფეტური ტომები არიან; იაფეტური ენები კი „ძველს საფეხურზე“ გარჩენენ: მიზეზმა შედეგი იქ არ მოგვცა, სადაც მან თავი იჩინა... რაც მთავარია: თუ ერთი სისტემა გარდაიქმნება მეორედ, როგორა შეიძლება ის — ამოსავალი სისტემა დარჩეს? ეს ხომ დედა არაა, რომ შვილიც გააჩინოს და თვითონაც მასთან ერთად არსებობდეს?

თურმე ესაა გამოწვეული იმით, რომ სათანადო ხალხები მოსწყდნენ მსოფლიო განვითარებას — და ენაც გაქვავდა. შემდეგში ეს ხალხები შეიძლება კვლავ ჩაებან მსოფლიო განვითარების ფერხულში, მაგრამ ენის სისტემას ეს უკვე აღარა ცვლის¹; გამოთიშვა უარყოფით შედეგს იძლევა, ჩართვა — მოსალოდნელ დადებით ეფექტს — არა! რით არ არის ეს **განვითარების უნარის უქონლობა?**

ვიმეორებთ: სტადიური კლასიფიკაცია რომ ინდოევროპული ენათმეცნიერების კუთვნილება ყოფილიყო, იაფეტური თეორია ამ საკითხებს დასვამდა და, ალბათ, არა ასეთ ფორმებში; მასთან, რაც მთავარია, ეს საკითხები კანონიერი საკითხები იქნებოდა: სტადიური კლასიფიკაცია, **ობიექტურად**, საკმაოზე მეტ შესაძლებლობას იძლევა იმისათვის, რომ რასობრივი თეორიის ბუნებრივ წინამძღვრად იქცეს. ამაში ბრალი მიუძღვის კვლავ პალეონტოლოგიურ ელემენტოვან ანალიზს, ენების ინდივიდუალობა რომ მოშალა და ყველა ენა განვითარების ერთი ხაზის სხვადასხვა პუნქტებს რომ მიაჯაჭვა.

იაფეტური თეორია დეკლარაციულად ფორმალისმს ებრძვის. აი ერთი, ამ მხრივ დამახასიათებელი ადგილი: „დღემდის ინდოევროპული ენათმეცნიერება მუშაობს ფორმალური მეთოდით და გულსყური მიქცეული აქვს რა ფონეტიკასა და მორფოლოგიაზე, ლექსიკას ანიჭებს მეორეხარისხოვან ადგილს, აბსოლუტურად არ უწევს ანგარიშს სემანტიკის მოვლენებს, მოძღვრებას სიტყვების მნიშვნელობის შესახებ, მნიშვნელობათა, რომლებიც კანონზომიერად გამომდინარეობენ ენის კავშირიდან სამეურნეო-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ეტაპებთან“².

ინდოევროპული ენათმეცნიერების ფორმალური მეთოდი აქ დახასიათებულია ნეგატიურად, — როგორც აბსოლუტური უყურადღებობა სიტყვის მნიშვნელობათა რკვევისადმი, — და პოზიტიურად, როგორც გატაცება ფონეტიკითა და მორფოლოგიით.

სემასიოლოგიის პრობლემები, მართლაც, სათანადოდ დამუშავებული არაა ზოგად ენათმეცნიერებაში; თვით ძირითადი ცნება „(სიტყვის) მნიშვნელობისა“ არაა ჯეროვნად გარკვეული; მაგრამ ამ მხრივ იაფეტური თეორია ისევე ჩამორჩენილია, როგორც ინდოევროპული ენათმეცნიერება (იაფეტურ თეორიაში არც კი დასმულა ცენტრალური პრობლემა მნიშვნელობის რაობისა). რაც შეეხება ინდოევროპულ ენათა ლექსიკის შესწავლას, უგულვებელყოფილი ის არც წინათ ყოფილა და არც ახლას (კულტურის ფაქტებთან კავშირში სიტყვის მნიშვნელობის ისტორიის საკვლევი სპეციალური ჟურნალიც კი არსებობს — „Wörter und Sachen“ — „სიტყვები

¹ Н. Я. Марр: Язык, ИР, II, გვ. 135 (ხაზი ჩვენია — **ა. ნ.**).

² Н. Я. Марр: Язык, ИР, II, 128, იხ. აგრეთვე II, 179.

და ნივთები“). რაობა სიტყვის მნიშვნელობისა, პრინციპები მნიშვნელობის განვითარებისა სათანადოდ გარკვევისაგან შორსაა ინდოევროპულ ენათმეცნიერებაშიცა და იაფეტურ ენათმეცნიერებაშიც. და ესაა შედეგი არა უყურადღებობისა, არამედ შესასწავლი ობიექტის სირთულისა.

ჩამორჩენა მაინც ფაქტია, და მისი აღნიშვნის ობიექტური შესაძლებლობა, ცხადია, არსებობს. მაგრამ რა შუაშია აქ ფორმალური მეთოდი? განა სემასიოლოგიის საქმეს წინ წასწევდა, მორფოლოგიის საკითხები რომ არ დაემუშავებინათ? მერე: რატომ დაიმსახურა საყვედური ფონეტიკამ? რატომაა ფონეტიკის ინტენსიური შესწავლა „ფორმალური მეთოდის“ ინგრედიენტი? საქმე ისაა, რომ, ფონეტიკა შინაგან კავშირშია ისტორიულ-შედარებით მეთოდთან: ისტორიული შედარებითი გრამატიკის დამუშავების პროცესშია შექმნილი ფონეტიკა, როგორც ძლიერი იარაღი ისტორიულ-შედარებითი ძიებისა (იხ. ზემოთ „ისტორ.-შედარ. მეთოდი“, § 109, აგრეთვე გვ. 248). მაგრამ ესაა **პოზიტიური დისციპლინა, აბსოლუტურად შეუთავსებელი იმ ზეისტორიულ უნივერსალურ ბგერათცვალებასთან, რასაც ელემენტთა ტრანსფორმაცია გულისხმობს, საჭიროებს და საჭიროების მიხედვით თხზავს ხოლმე.**

ფონეტიკასა და მორფოლოგიას უპირისპირდება არა სემასიოლოგია, არამედ პალეონტოლოგიური სემასიოლოგია, ე. ი. სემასიოლოგია, დაფუძნებული ოთხელემენტოვან ანალიზზე. სხვანაირად რომ ვთქვათ: იაფეტური თეორიის ბრძოლა ფორმალური მეთოდის წინააღმდეგ ნამდვილად არის ბრძოლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წინააღმდეგ. არის ბრძოლა ისევ და ისევ პალეონტოლოგიური მეთოდისათვის, ოთხელემენტოვანი ანალიზისათვის.

შეიძლება დავასკვნათ: **ერთიანი გლოტოგონიური პროცესის აღიარება და ენათა სტადიალური კლასიფიკაცია, ენის წარმოშობის საკითხის გამოცხადება ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად,** ერთი მხრივ: **ბრძოლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ, უარყოფა ისტორიული ფონეტიკისა** („ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ“) — **ყველაფერი ეს საბოლოო ანგარიშში შეპირობებულია პალეონტოლოგიური მეთოდით;** თვით ამ მეთოდის ფარგლებში **სემასიოლოგიური (რაგვარობითი) ანალიზი დაფუძნებულია ფორმალურ (რაოდენობით) ელემენტოვან ანალიზზე.**

ოთხელემენტოვანი ანალიზის პრინციპი განსაზღვრავს იაფეტური თეორიის ძირითად დებულებებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ნაწილში.

ეს შეიძლება დაუჭერებელი გვეჩვენოს მეტადრე მაშინ, თუ იაფეტური თეორიის სათანადო შრომებს უშუალოდ არ ვართ გაცნობილი. გარკვეულ მოსაზრებათა გამო ოთხელემენტოვანი ანალიზის ასეთ კვალიფიკაციას არ იზიარებენ ზოგჯერ თვით იაფეტური თეორიის მიმდევრებიც.

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი რომ ობიექტურ ვითარებას ასახავს, ცხადი ხდება თვით ნ. მარის სიტყვებიდან, რომლებშიც ელემენტოვანი ანალიზის დაფასებაა მოცემული:

„იფეტური თეორია, ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება, თავის კვლევა-ძიებაში უყოყმანოდ იყენებს ორ, სრულიად მკვიდრად დადგენილ საშუალებას: **ერთი მათგანია** — განსაკუთრებითი კვლევითი **გრაფიკა, ანალიზური ანბანი**, მეორე — **ანალიზი ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის** მიხედვით“, რომელიც გამოგვივლენს მათს იდეოლოგიურობას...¹ მეორე ადგილას ვკითხულობთ:

„შეიძლება კი ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის აღმოჩენამდის თავი გაგვერთვა... მუშაობაში წამოჭრილ ახალ პრობლემათათვის და დაგვემუშავებინა მოპოვებული მიღწევები ყველა მის წვრილმანში, ზოგჯერ კი არსებითადაც, როგორც ახლა ჩვენ გვესმის?“²

და როგორც პასუხი ამ კითხვაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, დადებით პასუხსა ვარაუდობს (ეს თვით კითხვიდან ჩანს), — შეიძლება ერთი ადგილიც მოგვეყვანა:

„...ეს ზედნაშენური კატეგორიები... მსოფლმხედველობა... და აზროვნება მისი ცვალებადი ტექნიკით... ხელმისაწვდომია **მეტყველების პალეონტოლოგიის მეშვეობით, რომელიც ემყარება ოთხ ლინგვისტიკურ ელემენტს** — A, B, C, D ელემენტებს, რომლებიც წარმოადგენენ კავშირს (увязка) ზედნაშენის ორივე ნაწილისა, თვით ენისა, — იდეოლოგიური ნაწილისა ისევე, როგორც ფორმალურისა, — მატერიალურ ბაზასთან“.

„**მას შემდეგ რაც დავეუფლეთ კვლევის ამ ახალ იარაღს, აღმოაშკარავდა კავშირები (вскрылись связи), რომელთაც არავინ ვარაუდობდა, ცალკეულ ენებს შორის**, რომლებიც გაშლილი არიან აფრიკის, ევროპისა და აზიის მთელ ტერიტორიაზე“...³

¹ «...Яфетическая теория, новое языковедное учение, пользуется безоговорочно двумя совершенно прочно установленными средствами в своих изысканиях, одно из них – особая исследовательская графика, аналитический алфавит, другое – анализ по четырем лингвистическим элементам, который вскрывает их идеологичность...» – Н. Я. Марр: К семант. палеонтологии... (1931), ИР, ტ. II, გვ. 256 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² «Но можно ли было до скрyтия четырех лингвистических элементов технически справиться с наметившимися в той работе новыми проблемами и проработать имевшиеся достижения во всех подробностях, а иногда и по существу, как мы теперь то понимаем?» – Н. Я. Марр: Яфет. теория, ИР, II, გვ. 248 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

³ «...Доступ же к последним надстроечным также источникам, мировоззрению с растущим количественным и качественным охватом явлений и мышлению с изменчивой техникой... открыт палеонтологией речи, опирающейся на четыре лингвистических элемента A, B, C, D, этих увязок обеих частей надстройки, самого языка, – идеологической части так же, как формальной – с материальной базой.

По овладению этим новым орудием исследования вскрылись связи, никем негаданные, между отдельными языками, раскинутыми по всей территории Африки, Европы и Азии... Н. Я. Марр: Языковая политика яфетич. теории... ИР, I, стр. 288.

უფრო მარტივად და ხელშესახებად ოთხელემენტოვანი ანალიზის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მოთხრობილია იაფეტური თეორიის ერთ-ერთი ორთოდოქსული მიმდევრის მ. ჩხაიძის ნაშრომში — „იაფეტიდოლოგიის მარქსისტული საფუძვლების შესახებ“.

აი რამდენიმე ადგილი ამ შრომიდან:

„ვინც იაფეტიდოლოგიის განვითარებას თვალყურს ადევნებდა, მან კარგად იცის, რომ იაფეტიდოლოგიის **პალეონტოლოგიური მეთოდი უფრო და უფრო მახვილდება იმისდა მიხედვით, რამდენადაც მარი სიტყვების ელემენტურ ანალიზს აღრმავებდა**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პალეონტოლოგიური მეთოდი უშუალო კვლევა-ძიების პრაქტიკაზეა აგებული (sic! — ა. ჩ.). სწორედ ამიტომ **პალეონტოლოგიური მეთოდი აღმოჩნდა იგივე დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდი**, დაკონკრეტებული სპეციფიკურ, — ამ შემთხვევაში ენობრივ მასალაზე. პალეონტოლოგიური მეთოდის სპეციფიკურობაზე აქ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც ის წარმოადგენს ამავე დროს ენის ანალიზის ახალ ტექნიკას. **პალეონტოლოგიური ანალიზი არსებითად ენის ელემენტური ანალიზია...**“¹.

მეორე ადგილას ვკითხულობთ: „აქედან ცხადია, რომ უელემენტებოდ არ შეიძლება ენის სტადიური განვითარების მოძღვრება გამოიმუშავებულიყო, მაშასადამე, უელემენტებოდ იაფეტიდოლოგიას არ შეეძლო გადაეჭრა ენათმეცნიერების კარდინალური საკითხები. ეს კი სავსებით ცხადყოფს ელემენტური ანალიზის უდიდეს პრინციპულ-მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას“ (ხაზი დედნისა)².

და კიდევ: „დავასკვნით: **ელემენტების გამოყენებით სრულიად უდავო გახდა ენისა და აზროვნების სტადიური ცვლილებები**. ამავე ელემენტების მოხმარებით თანდათანობით ირკვევა განსაზღვრული კანონზომიერება სტადიურ ცვლებში. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება **მატერიალური ბაზისის განვითარების კანონზომიერებასაც მივაგნოთ**. ასეა გადაჯაჭვული ლინგვისტური ელემენტების გამოყენების საკითხი იაფეტიდოლოგიის მიერ გაშუქებულ ყველა უდიდეს საკითხებთან. ამიტომ დღეს ყოველი საბჭოთა ენათმეცნიერი იძულებული ხდება ორში ერთი აირჩიოს: ან ელემენტების საშუალებით აწარმოოს ანალიზი, და მაშინ ენის რეალ.-ისტორიულ სინამდვილეს არ ასცილდება, — ან ელემენტები უარყოს და მაშინ იძულებული გახდება ისევ ინდო-ევროპეისტიკის ფეტიშს, არაფრის არ მაუწყებელ სიტყვის ფუძეს და ფორმებს ხელახლა თავყანი სცეს და ისევ ფორმალიზმის ჭაობში ჩაეშვას“.

¹ იხ. მ. ჩხაიძე: „იაფეტიდოლოგიის მარქსისტული საფუძვლების შესახებ“ — თბილისი, 1937, გვ. 42.

² იქვე, გვ. 37.

„მოგონილი **ზღაპარია** ისიც, **თითქოს შეიძლებოდეს უელემენტებოდ მუშაობა თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის მარტო ფორმას, პრეფიქსს ან სუფიქსს ვიკვლევთ.** როგორც იაფეტიდოლოგია გვაუწყებს, პრეფიქსებიც და სუფიქსებიც ერთ დროს დამოუკიდებლად არსებული იგივე ელემენტებია. მით უმეტეს მათზეა საჭირო ელემენტური ანალიზი, რომ მათ განიცადეს უფრო მეტი ცვალებადობა ფორმითაც და შინაარსითაც, ვიდრე დღევანდელმა დამოუკიდებელმა სიტყვებმა“¹ (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ჩვენ არ დავერიდეთ ვრცელი ამონაწერის მოყვანას, რადგანაც იშვიათია, რომ ასე სადად და გარკვევით (შეიძლებოდა გვეთქვა: ჯიქურ) იაფეტიდოლოგიურ ლიტერატურაში ყოფილიყო დახასიათებული იაფეტური თეორია; უფრო გარკვევით თქმა ძნელია: ელემენტოვან ანალიზთანაა დაკავშირებული იაფეტური თეორიის არსი: პალეონტოლოგიური მეთოდიც, სტადიური კლასიფიკაციაც, ენისა და აზროვნების სტადიური ცვლების დადგენა; „უელემენტებოდ იაფეტიდოლოგიას არ შეეძლო გადაეჭრა ენათმეცნიერების კარდინალური საკითხებიო“. ვიმეორებთ, უფრო გარკვევით თქმა ძნელია; კერძოდ, თვით ნ. მარს არ უხერხდებოდა ასე გარკვევით თქმა, რომ „პალეონტოლოგიური ანალიზი არსებითად ელემენტური ანალიზია“ და რომ „პალეონტოლოგიური მეთოდი (ე. ი. არსებითად ელემენტური ანალიზი) არის იგივე დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდი...“

ავტორმა მ. ჩხაიძემ იაფეტური თეორიისა და ინდოევროპული ენათმეცნიერების წყალგამყოფი ხაზი სწორად დაახასიათა: ან ელემენტოვანი ანალიზი უნდა მიიღო ანდა, ელემენტებს თუ უარყოფ, ინდოევროპეიზმის თაყვანისმცემელი იქნები და ფორმალისმის ჭაობში ჩაეშვებიო! სხვა გზა საბჭოთა ენათმეცნიერს არა აქვსო.

ასეთი ალტერნატივა ნ. მარსაც ჰქონდა წამოყენებული: „ახლა საკითხი დადგა იაფეტური თეორიისა და ინდო-ევროპულის შესახებ. ან ერთი ან მეორე იმიტომ, რომ ორი თეორია არ შეიძლება არსებობდეს. შეუძლებელია ისე იყოს, რომ ერთ უნივერსიტეტში იყოს ორი თეორია. „მობრძანდით ჩვენს უნივერსიტეტში, ჩვენ გვაქვს იაფეტური და ინდო-ევროპული თეორია. რას ინებებთ?“ ეს რომ ყოფილიყო უპასუხისმგებლო დილეტანტებისათვის ანდა თვით მეცნიერთათვის, როგორც ეს ხდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ეს სხვაა, მაგრამ თქვენ ხომ ასწავლით ახალ თაობას, ქმნით კადრებს. არ შეიძლება მათი ასე მზადება. ამ საკითხს აქვს აქტუალური საზოგადოებრივი მნიშვნელობა“².

¹ მ. ჩხაიძე: „იაფეტიდოლოგიის მარქსისტული საფუძვლების შესახებ“, გვ. 38—39.

² იხ. Н. Я. Марр: „К бакинской дискуссии о яфетидологии и марксизме“ — ბაქო, 1932, გვ. 45—46.

მ. ჩხაიძის ალტერნატივა ცხადყოფს, რასაც ნიშნავს აქ: ან იაფეტური თეორია ან ინდოევროპული (ან ელემენტოვანი ანალიზი იწამე ანდა ინდო-ევროპეისტად და ფორმალისტად გამოგაცხადებო), რაც შეეხება მ. ჩხაიძის დებულებას — პალეონტოლოგიური მეთოდი (რაც არსებითად ელემენტური ანალიზია ავტორის თქმით) დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდიაო, — იქნებოდა დიდი უსამართლობა — მეტი რომ არა ვთქვათ — ელემენტოვანი ანალიზისათვის პასუხისმგებლობა დიალექტიკურ მატერიალიზმს დაკისრებოდა. ამაში მხოლოდ იაფეტიდოლოგიის სურვილი (და ცდა) მქლავნდება: ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი დიალექტიკურ-მატერიალისტურ მოძღვრებად გამოაცხადოს ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

§ 121. რას ემყარება მოძღვრება ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის შესახებ? დაგვჩა უკანასკნელი საკითხი: რას ემყარება მოძღვრება ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის შესახებ? საიდან ჩანს, როგორ დამტკიცდა, რომ მართლა ოთხი ელემენტისაგან შეიქმნა ყველა ენის ყველა სიტყვა? ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ **ყველა ძირითადი დებულება იაფეტური თეორიისა ოთხი ელემენტის დებულებაზეა დაფუძნებული.**

მაგრამ მანადმის ერთი საკითხიც უნდა განვიხილოთ.

ვთქვათ, ყველა ენის ყველა სიტყვა წარმოიქმნა ოთხი ელემენტისაგან: **სალ, ბერ, ფონ, როშ.** ამჟამად დედამიწაზე სულ მცირე ექვსასიოდე ძირითად ენას თვლიან; თითოეულ ენაში ასიოდე ძირიც რომ ვივარაუდოთ, სამოც ათასამდე ძირს მივიღებთ. რა ხნის განმავლობაში იქმნებოდა ეს (ბგერითი) ენები? დავდგეთ ნ. მარის თვალსაზრისზე: ბგერითი მეტყველება, სულ მცირე, ორმოცდაათი ათასი წლის ხნოვანებისად უნდა ვცნოთ, და იქვე დასძენს: სავსებით შესაძლებელია ათჯერ ორმოცდაათი ათასი წელი იყოს ბგერითი მეტყველების გაჩენიდან გასულიო... მაშასადამე: ათეული ათასი წლების მანძილზე ოთხი ელემენტისაგან — **სალ, ბერ, ფონ, როშ**, — მივიღეთ რამდენიმე ასეული ენა და, სულ მცირე, რამდენიმე ასეული ათასი ძირი. უმაგალითო სიმდიდრისაა პროცესი, სიტყვათა აურაცხელი ნაირსახეობითაა გაშუამავლებული განვითარების საწყისი პუნქტი და „ბოლო წერტილი“, თანამედროვე ვითარება! **თუ ოთხმა ელემენტმა იმდენნაირი ცვლა გამოიარა, რომ დღევანდელი კაცობრიობის მეტყველება შექმნა, როგორღა შეგვიძლია დღეს „ეს“ ელემენტები ვიპოვოთ?** ამ ელემენტების ძებნა ხაზის გადასმაა განვითარების მთელი გზისათვის, **გაუქმება ისტორიისა.** ვინც თქვა: ყველა ენის ყველა სიტყვა ოთხი ელემენტისაგან შეიქმნაო, ამით ისიც თქვა, რომ **ამ ელემენტების გამოყოფა დღევანდელ სიტყვებში შეუძლებელია, პრინციპში გამორიცხულია...** და თუ მაინც ვეძებთ ამ ელემენტებს, სათანადო ოპერაციას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

არას გამბობთ იმის შესახებ, რომ ელემენტების ძიება სიტყვაში, როცა წინასწარ გადაწყვეტილია, რომ ამ ოთხი ელემენტის გარდა შეუძლებელია რაიმე იპოვო, თვით ამ ძიებას ყოველგვარ აზრს უკარგავს. ელემენტების ძებნა მოგვაგონებს კედლის ძებნას სხვადასხვა ოთახში, როცა ნამდვილად იცი, რომ ყოველ ოთახს ოთხი კედელი აქვს.

სად და როგორ დაამტკიცა იაფეტურმა თეორიამ თავისი ცენტრალური დებულება, — რომ კაცობრიობის მეტყველება ოთხი ელემენტისაგან შეიქმნა? **არსად არავის**, რასაკვირველია, ეს **არ დაუმტკიცებია**. ან კი როგორ შეეძლო ასეთი რამ დაემტკიცებინა? მეტი კიდევ: არც ნ. მარს, არც მის რომელსამე მიმდევარს არსებითად **არც უცდია** ამის **დამტკიცება**, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

„იაფეტურ თეორიაში“, რომელიც 1928 წელს გამოვიდა, ვკითხულობთ: **„გაურკვეველი დაგვრჩა ელემენტთა რიცხვი — ოთხი — და ეს ასედაც რჩება“**¹ და ორიოდ გვერდს იქით: „...თუ არ შევუდგებით იმის ახსნას, **რატომ სახელდობრ, ოთხი ელემენტი, საკითხი, როგორც ვნახეთ, ჭერ კიდევ ღიაა“**² და ეს სწორედ იმ შრომაშია, სადაც კატეგორიული სახითაა წამოყენებული დებულება: ყველა ენა ოთხი ელემენტისაგან წარმოიქმნა... შედარება სიტყვაში ამ ელემენტების დაძებნით უნდა დავიწყოთ...

1932 წელს ამავე ელემენტების შესახებ ნ. მარი ელექტრობის ანალოგიით მსჯელობს: „ელექტროდენის გამოყენება მატერიალურ წარმოებაში უზარმაზარია და არავინ ამბობს უარს გამოიყენოს ელექტროენერგიის მიღწევები, თუმცა მოვლენის მიზეზები — როგორ და რატომ — არავინ იცის“³. ეს უკვე საკითხის გარკვევაზე ხელის აღებას მოასწავებს: პრაქტიკულად გამოსადეგია; როგორ და რატომ, არ ვიცით!

იმავე 1932 წელს ბაქოში, დისკუსიასთან დაკავშირებულ მოხსენებაში, შეკითხვაზე „რატომ ოთხი ელემენტიო“ ნ. მარმა უპასუხა: „არის ზოგი რამ, **რასაც დამტკიცება კი არ სჭირდება, არამედ ჩვენებაო“**⁴.

¹ „У нас осталось неразъясненным число элементов – четыре, – и оно таковым и остается“ – Н. Я. Марр: Яфет. теория, ИР, II, გვ. 94.

² „Если не задаваться мыслью объяснить, почему именно четыре [элемента], вопрос, как мы видели, еще открытый...“ – Н. Я. Марр: იქვე, გვ. 96.

³ იხ. Н. Я. Марр: Сдвиги в технике языка и мышления, ИР, ტ. II, გვ. 441, მართალია, იქვე მოსდევს სიტყვები: ახლა გაირკვა, რატომ — ოთხი და როგორ მივიღეთ იგიო, მაგრამ მკითხველი ამაოდ ეძიებს ამას.

⁴ „...Некоторые вещи доказывать нет надобности, их надо показывать! Так, например, видишь, что элементы существуют. Вопрос не в том, как они возникли. Наблюдение показало (!), что есть 4 элемента. Почему, не знаю. Это просто факт, а почему – это другой вопрос“ – „К бакинской дискуссии“... (1932), გვ.44.

ასე და ამრიგად, **ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის დებულება, წინათ რომ დასამტკიცებელ თეორემად იყო მიჩნეული, ახლა აქსიომად იქნა გამოცხადებული...** ასეთი თავისებური ბედი ეწია დებულებას, რომელიც **საფუძველია პალეონტოლოგიური მეთოდისა და ქვაკუთხედია მთელი იაფეტური თორიისა.**

ოთხელემენტოვანი ანალიზის დებულება მისტიკურია.

საიდან გაჩნდა იაფეტურ თეორიაში ეს ელემენტები? წარმოშობით ესაა ტომობრივი სახელები. იაფეტურ ენათა შესწავლის პროცესში ნ. მარი გარკვეული დროიდან ფართოდ იყენებდა საანალიზო მასალად ტომონიმიკურ ტერმინებსა და ტომობრივ სახელებს. განსაკუთრებით ფართო გასავალი მიეცა ამას მას შემდეგ, რაც იაფეტურ ენათა წრე გაფართოვდა და მასში მოექცა კავკასიური ცოცხალი ენებისა და წინა აზიის ძველი მკვდარი ენების (ურარტულის, სუზურის, ხეთურის...) გარდა ხმელთაშუა ზღვის ენებიც, როგორცაა მკვდარი ენები — პელასგური (ბალკანეთის ნახ.-კუნდ.), ეტრუსკული (აპენინის ნახ.-კუნდ.) — და ცოცხალი ენა ბასკური (პირენეის ნახევარკუნძულზე). ისტორიულად შემოწმებული შესადარებელი მასალა თანდათან მცირდებოდა. განვითარების სხვადასხვა გზა გამოვლილი ენების შედარებისას სათანადო ფაქტების საერთო ისტორიულ მნიშვნელამდის დაყვანა დღითიდღე ძნელდებოდა. ენათა ურთიერთობის ძიებისას მკვლევრის მასალა თანდათანობით იზღუდებოდა, ტომთა სახელების ხვედრი წონა მატულობდა... „ბასკი“, „მესხი“, „აფხაზი“ („აბასგი“) აღვილად „უკავშირდებოდა“ ერთიმეორეს. ამრიგად გამოიყო, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ჯერ 11 ტომობრივი სახელი, მერმე — 7, და ბოლოს — 4.

ამას დაერთო ვარაუდი: ყოველ ტომს თავდაპირველად მხოლოდ ერთი სიტყვა ჰქონდა. ეს იყო მისი ტოტემიცა და სახელიცო. ტომობრივ სახელთა შეჯვარება კი ტომთა მეტყველების უნივერსალურ პრინციპად გამოცხადდა. ეს ეხებოდა ჯერ მხოლოდ იაფეტურ ტომებსა და ენებს. მერე მოხდა ამის უნივერსალიზაცია („იაფეტიზმები“ ვიპოვეთ დედამიწის თითქმის ყველა ენაში). ამ გზით მივალწიეთ დებულებამდის: ყველა ენის ყველა სიტყვა ოთხი ელემენტისაგან შედგაო.

არა ჩანს ოღონდ, რატომ დაემატა ამას მეორე დებულება: ახლა სიტყვის ანალიზი ამ ელემენტის აღმოჩენით უნდა დავიწყოთო. ძნელია ლოგიკური დასაბუთება მოვუპოვოთ ალოგიკურ დებულებას. წინა დებულებაც — ყველა სიტყვა ოთხი ელემენტისაგან შეიქმნა — უფრო **აზრთა შესაძლო ფსიქოლოგიურ თანამიმდევრობას აღნუსხავს, ვინემ აზრთა ლოგიკურად აუცილებელ განვითარებას.**

ამრიგად, ოთხელემენტოვანი ანალიზის პრინციპი იაფეტურ თეორიაში, არც ერთბაშად გაჩენილა და არც შემთხვევითი ხასიათისაა: ესაა **ისტორიზმის პრინციპის თანდათანობითი განვითარება-დაღვინის პროცესის შედეგი**: იაფეტურმა თეორიამ დაიწყო **ისტორიულ-შედარებითი** მეთოდით და დაამთავრა ისტორიულ საყრდენს მოკლებული **შედარებით...**

ასე წარმოგვიდგება ოთხი ელემენტის შესახებ დებულების დამკვიდრების პროცესი იაფეტურ თეორიაში. რასაკვირველია, ესაა ერთგვარი ახსნა უცნაური დებულების წარმოჩენისა, მაგრამ ეს არაა დასაბუთება არც მისი საჭიროებისა და არც მისი შესაძლებლობისა...

§ 122. ზოგადი დასკვნა ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდის შესახებ. იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური მეთოდი ანტი-ისტორიულია. ოთხი ელემენტის შესახებ დებულება არ დამტკიცებულა და ვერც დამტკიცდება. ეს დებულება მისტიკურია. ელემენტების მიხედვით ანალიზი ნებისმიერია.

თეორია, რომელიც ენათმეცნიერული კვლევის იარაღად იყენებს პალეონტოლოგიურ ოთხელემენტოვან ანალიზს, არათუ არ არის ენის დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, — ის ვერც იქცევა ასეთ თეორიად: ოთხი ელემენტის შესახებ მოძღვრებიდან მატერიალისტური დიალექტიკისაკენ გზა არ გაიკაფება.

პალეონტოლოგიური ელემენტოვანი ანალიზი აუპიროვნებს ენებს, დაჰყავს რა ყველა ისინი ოთხი ელემენტის შესაძლო პროდუქტამდის¹, და შინაგანი აუცილებლობით იძლევა ცალკეული კონკრეტული ენების პრინციპში ლიკვიდაციას: ცალკეული ენა, როგორც განვითარების თავისი კონკრეტული სახის მქონე, უარყოფილია; პალეონტოლოგიურ ანალიზს ყველა ენა დაჰყავს ოთხი ელემენტის საერთო მნიშვნელამდის.

პალეონტოლოგიური ელემენტოვანი ანალიზის საშუალებით არ მოხერხდა არცერთი კონკრეტული ენის შესწავლა; ეს შემთხვევითი არაა: ელემენტოვანი ანალიზის გამოყენებით შეუძლებელია დამუშავდეს რომელიმე ენის ისტორიული, გინდ სტატიკური გრამატიკა. ინდოევროპული ენათმეცნიერების კრიტიკა პალეონტოლოგიური ელემენტოვანი ანალიზის პოზიციებიდან არაა მეცნიერული, მარქსისტული: ის უარყოფს იმას, რაც ყველაზე ფასეულია ენათმეცნიერებაში — **უარყოფს ისტორიულ-შედარებით მეთოდს** — და **არაფერს იძლევა ისეთი მოვლენების დასაძ-**

¹ შდრ.: „თუ ფრიად განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრებანი საერთო აქვთ ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან, — მეორე მხრივ, — სწორედ ის, რაც ამ ზოგადისა და საერთოსაგან განსხვავებას წარმოადგენს, შეადგენს მათს განვითარებას“ — კ. მარქსი, „პოლიტიკ. ეკონომიის კრიტიკისათვის“ — ქართ. თარგმ., გვ. 5.

ლევად, როგორცაა, ინდივიდუალიზმი, ფსიქოლოგიზმი, ესთეტიზმი დასავლეთის ენათმეცნიერებაში, ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი და ფორმალიზმი სტატიკურ ენათმეცნიერებაში.

ნ. მარის ახალი მეთოდი, პალეონტოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მაგივრობას ვერ გასწევს. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი საჭიროებს შევსება-დაზუსტებას (პირველ ყოვლისა, ნარევ ენათა შესწავლის საჭიროებათა მიხედვით). ეს დაზუსტება ისტორიზმის გაძლიერებას მოითხოვს და ამის გარეშე შეუძლებელია.

§ 123. ახალი ეტაპი იაფეტურ თეორიაში — პალეონტოლოგიური მეთოდი უელემენტებოდ. ზემოთ (§§ 118—120) ნაჩვენებია, რომ ელემენტოვანი ანალიზი ქმნის **წყალგამყოფ ხაზს** იაფეტურ თეორიასა და ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას შორის. ელემენტოვანი ანალიზის პრინციპი განსაზღვრავს იაფეტური თეორიის პოზიციებს, როგორც პოზიტიურ, ის ნეგატიურ მომენტებში. ელემენტოვანი ანალიზი შეუთავსებელია საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითად პრინციპებთან. ელემენტოვანი ანალიზით არაფერი შეიძლება დასაბუთდეს. ესა თუ ის დებულება, რამდენადაც ის ელემენტოვან ანალიზზეა დამყარებული და სხვა გზით შეუძლებელია იქნეს დამტკიცებული, მეცნიერულ დებულებად ვერ მიიჩნევა.

ხსენებული მოსაზრებანი წარმოდგენილი იყო ჩვენს მოხსენებაში: „პრობლემა ენისა, როგორც ენათმეცნიერების საგნისა“...¹ ელემენტოვან ანალიზს დამცველი არ აღმოუჩნდა, ყოველ შემთხვევაში წამყან სპეციალისტთა შორის.

1940 წლიდან „ენისა და აზროვნების“ ინსტიტუტმა (ყოფ. „იაფეტური ინსტიტუტი“) ხელი აიღო ელემენტოვან ანალიზზე. დღის წესრიგში დადგა, როგორც გადაუდებელი საკითხი, იმ დებულებათა გამოყოფა, რაც ძალაში რჩება ამ პირობებშიც, რისი დამტკიცებაც შეიძლება ელემენტების გარეშე.

¹ სათანადო ადგილი ასეა: *«Палеонтологический метод антиисторичен. Учение о четырех элементах не доказано и недоказуемо. Анализ по элементам произволен... Речь идет не, вообще, о палеонтологии речи, а о палеонтологическом анализе при помощи четырех лингвистических элементов.*

Сама по себе палеонтология речи – увязка древнейшей истории языка с древнейшей историей мышления, с историей культуры, вообще, и техники, в частности, – в принципе бесспорна; но положения палеонтологии речи, поскольку их нельзя обосновать иными средствами, – не могут не быть отклонены» – იხ. *«Проблема языка как предмета лингвистики в свете основных задач советского языковедения»* – წაკითხულია მოხსენებად საკავშირო მეცნიერებათა აკად. ლიტერატურისა და ენის განყოფ. სესიაზე, 1940 წ. 27 მაისს. დაიბეჭდა ენიშკის მოამბეში, X (გვ. 394).

იაფეტური თეორია უელემენტებოდ — ესაა ამ თეორიის განვითარების ახალი ეტაპი.

1940 წლის დამლევს გამოქვეყნდა ი. მეშხანიანოვის წერილი „საბჭოთა ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“¹. არსებითად ამ წერილს საპროგრამო ხასიათი აქვს; მისი მიზანია გაარკვიოს იაფეტური თეორიის პოზიციები ელემენტების საკითხის მოხსნის შემდეგ. წერილი მიზნად ისახავს, რაც შეიძლება უმტკივნეულო იყოს ახალ პოზიციებზე ოფიციალურად გადასვლა². წერილის შინაარსი სქემატურად ასე გადმოიციმა: ნ. მარი იყენებდა ელემენტოვან ანალიზს, აუცილებლადაც კი მიაჩნდა იგი. ნ. მარის მიმდევრებმა პალეონტოლოგიური ანალიზი გააიგივეს ელემენტოვან ანალიზთან. ჩვენ ელემენტებს ვერ ვიყენებთ და არ ვიყენებთ, მაგრამ პალეონტოლოგიურ ანალიზს ძალაში ვტოვებთ: ეს ანალიზი მეტყველების სტადიური განვითარებისა (და, მაშასადამე, ერთიანი გლოტოგონიური პროცესის) დებულებებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

აი დამახასიათებელი ადგილები ამ საყურადღებო წერილიდან:

„ერთიანი გლოტოგონიური პროცესის აღიარებამ... წინ წამოსწია გადმონაშთების პრობლემა მათს ისტორიულ განაკვეთში, რამაც თავის მხრივ დასვა საკითხი ბგერითი მეტყველების დასაწყისი პერიოდების შესახებ. აქ პოვა თავისი ადგილი ოთხმა ელემენტმა. როგორც ყოველი მეცნიერული კონცეფცია, თუნდაც პრობლემატური, ლინგვისტიკური ელემენტების სქემა საჭიროებს მეცნიერულ დამტკიცებას თუ უარყოფას. მე ახლა ხელს არ ვკიდებ არც ერთს და არც მეორეს. ჩემს მიზნად ვთვლი გამოვარკვიოთ, რამდენადაა შესაძლებელი პალეონტოლოგიური ანალიზის წარმოებისას ჩვენს დროს და ჩვენი ძალებით გამოვიყენოთ აღნიშნული კონცეფცია.

ამ საკითხის გარკვევისათვის, პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩემი თვალსაზრისით, **არაა დამტკიცებული ელემენტოვანი ანალიზის გამოყენების აუცილებლობა იმ ენების მიმართ, რომლებშიაც სიტყვის ფუძეები არ ემთხვევიან პირველადი ოთხი ლინგვისტიკური ელემენ-**

¹ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ელემენტოვან ანალიზს უკვე აღარ ემყარება ი. მეშხანიანოვის შრომები: „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ (1936 წ.) და „ზოგადი ენათმეცნიერება“ (1940 წ.).

შდრ. იმავე ავტორის წერილი: „ძირითადი ლინგვისტიკური ელემენტები (მათს იაფეტიდოლოგიურ გაშუქებაში)“, Яз. и мышл. II (1934), გვ. 7—31. აქ ავტორი ელემენტებს ასაბუთებს და იცავს.

² იხ. Изв. Отдел. Литерат. и Языка Акад. Наук СССР, 1940, №3.

ტის უშუალო ნაირსახეობებს, და იმ ენების მიმართ, სადაც ეს ელემენტები, როგორც ძირეული მასალა, სუსტად ჩანს (აუცილებელი არაა, იმიტომ რომ შეუძლებელია?! — **ა. ჩ.**).

მეორე მხრივ, ელემენტოვანი **ანალიზის გამოყენებით მუშაობა მეტად რთულია, ვინაიდან თვით ელემენტის გაგება... სრულებით არაა დადგენილი ერთხელ და სამუდამოდ ყველა ენისათვის**. არ შეიძლება ვამტკიცოთ, თითქოს სიტყვის ასეთი ძირები არსებობდეს ყველა ენაში თავისი აქტუალური მნიშვნელობით... (მდრ. ნ. მარის მოსაზრებანი, § 114, გვ. 281).

ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის გამოყენებას მნიშვნელოვნად აძნელებს ისიც, რომ პირველად, ბევრით კომპლექსებად მიჩნეულ ამ ელემენტებს, მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებით უნდა განეცადათ ცვლილება ისევე, როგორც ყველაფერ სხვას ენაში. **ელემენტების ძიება — მათი უცვლელი სახით — ადამიანის მეტყველების განვითარების ისტორიული პროცესის მთელ სივრცეზე... ძირითად წინააღმდეგობაში იქნებოდა პალეონტოლოგიური კვლევის მთავარ პრინციპებთან**¹ (მდრ. ნ. მარის შეხედულებანი: § 104, გვ. 253-254, §§ 118—120).

დამახასიათებელია ასეთი ადგილებიც:

„...ასეთ პირობებში ელემენტოვანი ანალიზის გამოყენებისათვის საჭირო იქნებოდა წინასწარ დაგვედგინა თვით ელემენტების რაგვარობითი მდგომარეობა ყოველი სტადიური პერიოდისათვის და, მაშასადამე, ყოველი ენობრივი სტრუქტურისათვის, რომელნიც დიდად დაშორდნენ მეტყველების პირვანდელ მდგომარეობას. ნ. მარის მოწაფეთა და მიმდევართაგან არავის მოუკიდია ხელი ასეთი მუშაობისათვის და არცთუ შეეძლო მოეკიდებინა ხელი“ (საჭირო კი იყო? — **ა. ჩ.**).

„ასეთ პირობებში ოთხელემენტოვანი ანალიზის გამოყენებას იქ, სადაც ელემენტები ნიშნად ოდენობას არ წარმოადგენს, ეკარგება უდავო დამტკიცების ძალა“².

უფრო კატეგორიული ხასიათი აქვს ი. მეშჩანინოვის მტკიცებას, როცა ლაბარაკობს „რაგვარობით ცვლილებებზე ლექსიკურ შედგენილობაში“: **„აქ ელემენტოვანი ანალიზი არაფერს ამტკიცებს**, მაშინ როდესაც პალეონტოლოგიური მიდგომა სავსებით ძალაშია. შემდეგ, რამდენადაც ვლაპარაკობთ „მეტყველების აგებულების გარდაქმნაზე“, იმდენად პალეონტოლოგიურ ანალიზს შეიძლება დაექვემდებაროს მთელი ფრაზის აგებულებ-

¹ იხ. ი. მეშჩანინოვი: Очеред. задачи, ИАН, გვ. 21—22 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² ი. მეშჩანინოვი, Очеред. задачи, ИАН, გვ. 23: „При таких условиях при-
менение анализа по четырем элементам там, где элементы уже не являются значимую
величиною (სადაც, მაშ, აქვს მნიშვნელობა?!), утрачивает силу бесспорного дока-
зательства“.

ბაც (მაგ., ნომინატიური წინადადების წარმოქმნა რაგვარობის მიხედვით სხვანაირი წყობის წინადადებისაგან და ა. შ.) ამ **შემთხვევაშიაც ელემენტოვან ანალიზს აგრეთვე ადგილი არ ურჩება**¹.

საგულისხმოა შემდეგი დებულება: „მართალია ნ. მარი ფართოდ იყენებდა ელემენტოვან ანალიზს, **ოთხელემენტოვანი ანალიზის გამოყენებას აუცილებელ პირობადაც კი მიიჩნევდა პალეონტოლოგიურ ძიებაში**. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ელემენტოვანი ანალიზი არ ეწევა პალეონტოლოგიური ანალიზის მაგვირობას, არამედ არის მხოლოდ ტექნიკური ხერხი და ისიც **მხოლოდ სიტყვებზე მუშაობისას**, და არა **მეტყველების სტრუქტურაზე მუშაობისას**...².

რას მოითხოვს ი. მეშჩანინოვის აზრით პალეონტოლოგიური ანალიზი? **შედარებას**, ოღონდ არა ერთი ოჯახის ენათა წრეში, არამედ სხვადასხვა ოჯახის ენებს შორის: პალეონტოლოგიური ანალიზი ამით განსხვავდება ფორმალურ-შედარებითი ანალიზისაგან, რომელსაც „ნ. მარი სრულებითაც არ უკუაგდებდა, არამედ ართულებდა პალეონტოლოგიური ანალიზითაც და მით აპყავდა უფრო მაღალ საფეხურზეო“, ამბობს ი. მეშჩანინოვი.

არც ენათა ოჯახი ყოფილა უარსაყოფი: „...ენათა დაჯგუფება ოჯახებად მეცხრამეტე საუკუნის ენათმეცნიერების უდიდესი მიღწევააო“ — წერს ი. მეშჩანინოვი. ნ. მარმა მხოლოდ სახელები გამოცვალა („პრომეთეიდული“ — ინდოევროპულის ნაცვლად, „ალდანური“ — თურქულის ნაცვლად, „სისტემა“ — ოჯახის ნაცვლად), თვით კლასიფიკაცია კი დატოვა³. ოღონდ ენათა ოჯახი წინარე ენით არაა შეპირობებული, ე. ი. წარმოშობა არ აერთიანებსო. რის მიხედვითაა, მაშ, გაერთიანებული ენები ოჯახში? ამის პასუხი ზოგადად გვეუბნება — „ენათა დაჯგუფება [ოჯახებად] კაცობრიობის ისტორიის პროდუქტიაო“⁴.

ამრიგად, უელემენტო **პალეონტოლოგიური ანალიზი ესაა შედარებითი ანალიზი, ოღონდ მას იყენებენ სხვადასხვა ოჯახის ენათა მიმართ, რათა ამ გზით გამოვლენილ იქნეს მეტყველების სტადიური განვითარება**. დებულება სტადიური განვითარების შესახებ შინაგან კავშირშია დებულებასთან ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ: **სხვადასხვა ოჯახის ენებში წარმოდგენილია სხვადასხვა საფეხური (სტადია) ენათა წარმოქმნა-განვითარების ერთიანი პროცესისა**, შედარებამ ეს უნდა გამოავლინოს. რა მასალაზე? **სიტყვასა და შესიტყვებაზე**. განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე.

¹ იქვე, გვ. 21 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

² ი. მეშჩანინოვი, Очеред. задачи, ИАН, გვ. 21 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

³ იქვე, გვ. 24, 25.

⁴ იქვე.

§ 124. უელემენტო პალეონტოლოგიური ანალიზი და ენის ისტორია. რა სახეს იღებს ეს საპროგრამო დებულება საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკაში? ი. მეშხანინოვმა სცადა პალეონტოლოგიური გზით ეკვლია წინადადების აგებულების ევოლუცია; წინადადების აგებულება პალეოაზიურ ენებში (ესკიმოსურში, გილიაკურში, ჩუკოტკურში) შეპირისპირებულ იქნა სხვადასხვა კავკასიურ ენათა (აფხაზურის, ხუნძურ-დარგუულ-ლაკურის, ქართულისა და ზანურის) და ინდოევროპულ ენათა წინადადების აგებულებასთან და წამოყენებულ იქნა დებულება, რომ ამ ენებში **დადასტურებული სხვადასხვა კონსტრუქცია** ასახავს **სინტაქსურ კონსტრუქციათა ისტორიულ შემდგომადობას**: **ინკორპორაცია** — **პოსესიური კონსტრუქცია** — **ერგატიული კონსტრუქცია** — **ნომინატიური კონსტრუქცია** — **ესაა საფესურები წინადადების კონსტრუქციის ისტორიული განვითარებისა**¹. ელემენტები არსად ჩანს; **ტიპოლოგიური შედარება** კვლევის საშუალება.

რამდენად გამართლებულია ასეთი კვლევა: ე. ი. საკითხის ამგვარი დაყენება და ამ წესით გადაწყვეტა? **პრინციპში ასეთი ცდა მისაღებია. ფაქტობრივ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად იქნება ისტორიული პერსპექტივა დაცული, ისტორიული ვითარება გავალისწინებული.**

საკითხი, მაშასადამე, ასე დგას: სხვადასხვა ოჯახის ენათა **ტიპოლოგიური** შეპირისპირება მოგვცემს თუ არა ამ ენათა ისტორიას (სათანადო ფაქტების მასალაზე, რა თქმა უნდა), თუ პირუკუ: უნდა ვიცოდეთ შესაპირისპირებელ მონაცემთა ისტორია, თუ გვინდა ამგვარი ტიპოლოგიური შეპირისპირებიდან მეცნიერული მნიშვნელობის დასკვნები გაკეთდეს?

პირველ შემთხვევაში **ტიპოლოგიური შედარება** ისტორიულ-შედარებითი ძიებისაგან დამოუკიდებელი აღმოჩნდება, პალეონტოლოგიურ ანალიზს ისტორიულ-შედარებითი ძიება აღარ დასჭირდება, — აქ ახალი, **თავისთავადი გზა** იქნება ნაპოვნი. მეორე შემთხვევაში კი, **ტიპოლოგიური ანალიზი**, შეპირისპირება და მისი შედეგი ისტორიულ-შედარებითი ძიების **დანართი**, ისტორიულ-შედარებით ძიებაზე **დამოკიდებული მეორეული** მომენტი აღმოჩნდებოდა.

რომელი შესაძლებლობა შეეფერება საქმის ვითარებას?

ამის შემოწმება შეიძლება მხოლოდ იმ მონაკვეთზე, სადაც ი. მეშხანინოვის მიერ განხილულ ენათა ისტორია ასე თუ ისე ხელმისაწვდომია. მხედველობაში გვაქვს კავკასიური ენები, კერძოდ, ქართველური ენები (პალეოაზიური ენების ჩვენება ასეთი შემოწმებისას არ გამოგვადგებოდა).

¹ იხ. ი. მეშხანინოვი: *Общее языкознание*, 1940 (უფრო აღრე: *Новое учение о языке*, 1936). აგრეთვე: *Глоттогонический процесс и проблема стадийности*, ИАН, 1941, №3, გვ. 8—28.

ქართველურ ენებში ისევე, როგორც მთის კავკასიურ ენებში, ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს: გარდამავალ ზმნასთან რეალური სუბიექტი ერგატივშია (მოთხრობითში). ოღონდ ერთი განსხვავებით: ზოგი კავკასიური ენა ასეთ შემთხვევაში ზმნის დროს არ უწევს ანგარიშს (რა დროც უნდა იყოს, რეალური სუბიექტი ერგატივშია), ზოგან კიდევ ერგატივი მხოლოდ გარკვეულ დროებთან იხმარება. ხუნძურში, მაგალითად, ითქმის: ინსუცა რუყ — ბანა, ბალა „მამა სახლი აშენა“, „(მამამ სახლი) აშენებს“, ქართულში გვაქვს: მამამ სახლი აშენა, მაგრამ: მამა სახლს აშენებს. თუ ზმნა აწმყოშია, ქართულში რეალური სუბიექტი სახელობითშია (კონსტრუქცია ნომინატიურია), ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ნამყო ძირითადის ჯგუფში გვექნება.

ქართველურ ენათაგან სვანური ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს; მეგრულში — ერგატიული კონსტრუქცია აგრეთვე ნამყო ძირითადის ჯგუფში გვაქვს, მაგრამ ყველა ზმნასთან — გარდამავალთანაც, გარდაუვალთანაც (ბაბაქ აკეთუ, ბაბაქ დოღურუ — „მამამ აკეთა“, „მამამ მოკვდა“). ჭანურში სწორედ ისეთივე სურათი გვაქვს, როგორსაც ხუნძური გვიჩვენებს: ბაბაქ ოხორი კოდუმს — „მამამ სახლი აშენებს“, ბაბაქ ოხორი დოკოდუ — „მამამ სახლი ააგო“, ბაბაქ ოხორი დოკოდუდორენ || დოკიდერენ — „მამამ სახლი „ნაშენება“ — ყველგან მოთხრობითი გვაქვს (ბაბაქ „მამამ“).

რა განმარტება მიეცა ამ ფაქტს პალეონტოლოგიური უელემენტო ანალიზის თვალსაზრისით? **ჭანურში** დაცულია **ძველი ვითარება**: რაც ქართულში დასტურდება, ჭანურთან შედარებით ახალიაო. ძველ ქართულშიც რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს, ეს არაფერს ნიშნავს: ცოცხალმა უმწერლო ჭანურმა შემოგვინახა განვითარების უფრო ძველი საფეხური, ვინემ თხუთმეტი საუკუნის წინანდელმა ქართულმა ძეგლებმაო; სხვანაირად რომ ვთქვათ: **ჭანურის კონსტრუქცია სტადიურად უფრო ძველია, ძველი ქართულის უძველეს ძეგლებში დაცული კონსტრუქცია სტადიურად უფრო ახალია.**

მწყობრი და თანამიმდევრულია მსჯელობა, მარტივი და მიმზიდველი სქემა. ოღონდ საკითხავია: რამდენად ეთანხმება იგი ფაქტებს? ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, ცოცხალმა მეტყველებამ (დიალექტმა), რასაკვირველია, შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში უფრო ძველი ვითარება შემოგვინახოს, ვინემ დიდი ხნოვანების წერილობითმა ძეგლმა. საამისო ფაქტები ყველა ენის ისტორიაში დაიძებნება, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ერთადერთი არაა. საწინააღმდეგო შესაძლებლობაც არანაკლებ ცნობილია.

სათანადო შემთხვევები საგანგებოდ უნდა შემოწმდეს — კონკრეტული ენის ისტორიის რეალურ კონტექსტში.

რას გვეუბნება ქართველურ ენათა ისტორია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე? **ჭანურის კონსტრუქცია უფრო ახალია, ვინემ ქართულიდან ცნობილი კონსტრუქცია:** ესაა ქართულის ვითარება, გამარტივებული **უნიფიკაციის** შედეგად. უნიფიკაცია მეგრულშიც გვაქვს; იქ **მოშლილია ზმნის გვართა სხვაობა** ნამყო ძირითადში და ყველა ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს: ბაბაქ გააკეთე, — ქომორთუ, — დოღურუ — „მამამ გააკეთა, — მოვიდა, — მოკვდა“... ჭანურში უნიფიკაცია ზმნის გვარებს არ შეხებია, უნიფიკაციამ **ღროთა სხვაობა** მოშალა: ბაბაქ დოკიდუ, — კოდუმს, — დოკოდუდორენ „მამამ ააშენა, აშენებს, ნაშენება“ (მაგრამ: ბაბა დოღურე — „მამა მოკვდა“). გარდამავალ ზმნას ჭანურში ყველა ღროთში ერგატიული კონსტრუქცია აქვს. ყველაზე ახალია ეს კონსტრუქცია თურმეობითის ჯგუფში (ბაბაქ დოკოდუდორენ); მას წინ უნდა უსწრებდეს ერგატივის გამოყენება აწმყოში (ბაბაქ კოდუმს); ნამყო ძირითადი — ბაბაქ დოკოდუ — ამოსავალია უნიფიკაციის პროცესისათვის.

აქა-იქ არქაბულ კილოკავში დღემდის შემოგვრჩა ქართულისებური კონსტრუქციის — ე. წ. ნომინატიური კონსტრუქციის აწმყო: უსთაქ (|| უსთა) ოხორი კოდუმს „ოსტატმა (|| ოსტატი) სახლი აშენებს“; ცაჯვი (|| ცაჯვიქ) ცილუმს მთუთი „მონადირე (|| მონადირემ) კლავს დათვი; ქმათიბი (|| ქმათიბიქ) ნჭარუმს ქარტალი „მწერალი (|| მწერალმა) წერს ქალაღი“¹.

ჭანური ვითარების მეორეულობას სვანურის ჩვენებაც ადასტურებს: სვანურს იგივე კონსტრუქციები აქვს, რაც — ძველ ქართულს: ნამყო ძირითადში — ერგატიული, აწმყოში — ნომინატიური.

კონსტრუქციათა სტადიური ტანსფორმაციის სქემა გართულდა: ჭანურში ერგატიული კონსტრუქცია **მოსდევს** ნომინატიურს (აწმყოში), დატიურს (თურმეობითში). არის საკმაო საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხუნძურშიც I და II პირის ნაცვალსახელებთან ერგატიული კონსტრუქცია მეორეულია.

გენეზისის თვალსაზრისით კიდევ უფრო არსებითია ის, რომ ქართულში I და II პირის ნაცვალსახელებთან ერგატიული კონსტრუქცია დღემდის არ გავაჩნია, ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

რამდენადაც ჭანურის ვითარებაშია მოცემული საკონტროლო მაგალითი, დასკვნა ერთია: **სტადიური განვითარების სურათი, მოპოვებული ტიპოლოგიური შედარების გზით, პალეონტოლოგიური უელემენტო მეთოდის გამოყენებით, არ ეთანხმება ისტორიული დოკუმენტაციის მონაცემებს.** ამ კონტექსტში არსებითია არა შემოწმების შედეგი თავისთავად, არამედ ზოგადი დასკვნა, რომელსაც იგი გვავალებს: **ერთიანი გლოტოგონიური პროცესის სტადიურ ტანსფორმაციათა სურათი იმ შე-**

¹ იხ. ავტორის: ჭანურის გრამატ. ანალ., II, გვ. 2.

მთხვევაში იქნება მეცნიერულად ფასეული, თუ ისტორიული ანალიზის მტკიცე შედეგებზეა დამყარებული. მაშასადამე, ტიპოლოგიური შეპირისპირება დოკუმენტირებული ისტორიული ანალიზის მაგვირობას ვერ გასწევს, ტიპოლოგიური შედარება ისტორიულ-შედარებითი ძიების ადგილს ვერ დაიჭერს. იგი საჭიროებს ასეთ ძიებას, როგორც საყრდენს. უამისოდ ტიპოლოგიური შედარება ეთნოფსიქოლოგიისაგან ძნელი გასამიჯნი იქნებოდა.

რასაკვირველია, ერთიანი გლოტოგონიური პროცესი არ შეიძლება იმის დასამტკიცებელ საბუთად იქცეს — ინდოევროპული ენები კავკასიური ენების ტრანსფორმაციის შედეგია, ამ ტრანსფორმაციის შემდეგი საფეხურიაო. ასეთი რამ არ შეიძლება დამტკიცდეს. ასეთი რისამე მტკიცება **ტიპოლოგიური შედარებისათვის საჭირო სრულებით არაა.**

ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ენათა ერთიმეორისაგან წარმოქმნას არ შეიძლება გულისხმობდეს, **თუ ამოსავალი მასალის ერთობა არაა ნავარაუდევო, თუ შედარება ტიპოლოგიურია¹.**

ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ენათა განვითარების ერთგვარობას უნდა გულისხმობდეს, ერთგვარობას სხვადასხვა წარმოშობის ენებში. ამ შემთხვევაში ერთგვარობა უფრო საგულისხმო მოვლენაა, ვინემ იმ შემთხვევაში, როცა მას ერთი წარმოშობის ენებში ვადასტურებთ.

პროცესის ერთგვარობა შეიძლება მკლავნდებოდეს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, სტილში. ამ ერთგვარობის დადგენის ერთადერთი გზაა — **სათანადო ენათა ისტორია.** რაც უფრო მეტი ენის მასალა იქნება შესწავლილი, რაც უფრო მდიდარი შინაარსი აღმოაჩნდება

¹ ამიტომ არაა გასაგები, როცა ი. მეშჩანინოვი ამბობს: ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია (სხვადასხვა წარმოშობის აღიარება) მნიშვნელოვნად აბრკოლებდა სხვადასხვა სისტემის ენათა შედარებით მიმოხილვასო (იხ. ი. მეშჩანინოვი: *Новое в учении о языке*, 1945, გვ. 6).

ორში ერთი: ან საქმე ეხება **ტიპოლოგიურ შედარებას**, და მაშინ რაიმე შეფერხებაზე ლაპარაკი შეუძლებელია; პირიქით, ამგვარი შედარებისათვის ისტორიული ენათმეცნიერება უხვსა და საიმედო მასალას გვაწვდის; ანდა საქმე ეხება **არატიპოლოგიურ შედარებას** სხვადასხვა ოჯახის ენათა, და ამას გენეალოგიური კლასიფიკაცია და ისტორიული ენათმეცნიერება არათუ აფერხებს, არამედ პრინციპში უარყოფს.

მეორეგან ი. მეშჩანინოვი უსაყვედურებს ისტორიულ ენათმეცნიერებას: ერთი ოჯახის ენებს მუდამ იმავე ოჯახში ტოვებენო, ე. ი. ერთი ოჯახის ენების სხვა ოჯახისად გარდაქმნას უარყოფენო (იხ. *Новое в учении о языке*, გვ. 8). რადაა საჭირო დავუშვათ ერთი ოჯახის ენათა ტრანსფორმაცია მეორე ოჯახის ენებად, თუ **ტიპოლოგიურ** შედარებაზეა ლაპარაკი? ასეთი რამ აუცილებელი იყო ელემენტოვანი ანალიზისათვის და არა ტიპოლოგიური შედარებისათვის.

კონკრეტულ ენათა კონკრეტულ ისტორიას, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება გამოვყოთ **ერთგვარი პროცესები** ცალკე ენების განვითარებაში, ცალკეული ოჯახის ენათა განვითარებაში, სხვადასხვა ოჯახის ენათა განვითარებაში, რაიც პრინციპში **საერთოდ ენის განვითარების ერთიანობას ეტოლება**: ამგვარ ცდებს განზოგადების მეტნაკლებობა განასხვავებს.

§ 125. ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და ისტორიული ენათმეცნიერება. ასეთი განზოგადება ისტორიული ენათმეცნიერებისათვის უცხო არაა. დებულება: სინტაქსურ ურთიერთობათა ისტორიაში შეთანხმება უფრო ძველია, მართვა — უფრო ახალი — ისეთი დებულებაა, რომელსაც დადასტურება მოეპოვება სხვადასხვა წარმოშობის ენაში.

ასევე დებულება: ინდოევროპულ ენათა განვითარებაში მორფოლოგიური ინვენტარი ღარიბდება, სინტაქსური ურთიერთობა რთულდება — ზოგადი ხასიათისაა.

იქნებ ისტორიული ენათმეცნიერება სტიქიურად მივიდა ამგვარ დებულებათა წამოყენებამდის? არა, ამგვარი **ძიების კანონზომიერება შეგნებული** იყო და ძიება **პრინციპულად დასაბუთებული**. ამაზე ი. მეშჩანინოვიც მიუთითებს და ვანდრიესი და სეპირი მოჰყავს მაგალითად¹.

უფრო დამახასიათებელი იქნებოდა ზოგი სხვა ენათმეცნიერის შეხედულება ამის შესახებ. პირველ რიგში, აქ შლაიხერი უნდა დავასახელოთ. თავის ადგილას (იხ. § 15) მოხსენებული გვაქვს შლაიხერის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

როგორც ცნობილია, შლაიხერი განასხვავებდა ენის ევოლუციის ორ პერიოდს; ერთია ენის წარმოქმნის პერიოდი, მეორე — ენის დაშლა-რღვევის პერიოდი. შლაიხერის აზრით ენის წარმოქმნის პროცესი ყველგან არსებითად ერთნაირია, არსებითად ერთნაირია ენის დაშლა-რღვევის პროცესიც. რა იწვევს ამას? „ეს გამომდინარეობს ადამიანის ბუნების არსებითი იგივეობისაგან და სამეტყველო ორგანოთა თანაგვარობისაგან“². „...მთავარ მომენტებში **ადამიანის არსი შინაგანი აუცილებლობით ყველგან ერთი და იგივეა**. ენაში ეს მყლავნდება მეტად მკვეთრად, მაგრამ მყლავნდება აგრეთვე ისტორიაში. ყველა ერის ისტორია ზოგადად განვითარების ერთსა და იმვე გზას გაივლის... ამისდა შესაბამისად ენათა ისტორიის შედარებითი განხილვა ისევე კანონიერია, როგორც საერთოდ ისტორიის შედარებითი განხილვა...“

¹ იხ. ი. მეშჩანინოვი: Глоттогон. процесс... ИАН, 1941, №3, გვ. 8—9.

² იხ. შლაიხერი: Spr. Europ., გვ. 16—17.

„ენათა ისტორიის ასეთი დამუშავებისას... რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იქნეს შესწავლილი, რომ ზოგადი მნიშვნელობის მქონე დებულებები მოვიპოვოთ. ყოველივე კერძობითი მასში უნდა იქნეს განხილული, როგორც ზოგადის დადასტურება ანდა მისი უარყოფა. ასეთი — ყოველ შემთხვევაში მიზნად დასახული უნივერსალურობა, ეს ზოგადი, არის ის, რაც ენის ისტორიას აახლოებს ფილოსოფიის ისტორიასთან, ვინაიდან ეს ზოგადია ფილოსოფიური“¹.

„დებულება, რომ ენებს არსებითად ერთნაირი ისტორია აქვს, უყოყმანოდ უნდა მივიღოთ, როგორც ადამიანის არსის ბუნებიდან გამომდინარე“².

პოვა თუ არა ამ თეორიულმა დებულებებმა შლაიხერის კვლევა-ძიებით პრაქტიკაში რაიმე გამოსახულება? თუ სათანადო დებულებებს დეკლარაციული ხასიათილა აქვს? შრომა, საიდანაც ამონაწერების უმეტესობაა მოყვანილი, მიძღვნილია პალატალიზაციის (მოტაციის) საკითხისადმი: ინდოევროპულ, სემიტურ, უნგრულ-ფინურ და სხვა ენათა ფაქტები უხვად არის მიწოდებული მოტაციის პროცესის შესასწავლად. ამრიგად, კონკრეტული ფონეტიკური პროცესის მაგალითზეა ნაჩვენები პროცესის ერთგვარობა სხვადასხვა წარმოშობის (ოჯახში) ენებში: თეორიული დებულება სპეციალური გამოკვლევითაა ილუსტრირებული (დამახასიათებელია შრომის ქვესათაურიც — „შედარებითი ენათისტორიისათვის“, — ენათა ისტორიაა შედარებითი განხილვის საგანი).

მოტაციის მაგალითი არაა ერთადერთი, იმავე შრომაში უკვე გვაქვს ერთიანი პროცესის **ილუსტრაცია მორფოლოგიიდან**: ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური ენები — ესაა განვითარების სამი საფეხური; ამათგან ძირეული ენა განვითარების პირველ საფეხურზე დარჩა, აგლუტინაციურმა მეორე საფეხურამდის აიწია, ფლექსიურმა — მესამემდის, წინა ორი საფეხურის გავლით³.

მაშასადამე, სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა ყველა ენაში განვითარების ერთსა და იმავე გზას გაივლის: **წარმოშობა სხვადასხვაა, მასალა ნაირნაირი, პროცესი — ერთი და იგივე**.

როგორც აქედან ჩანს, შლაიხერი მორფოლოგიის მასალაზე იმავე საკითხს არკვევს, რასაც ი. მეშჩანინოვი სინტაქსის ობიექტზე აშუქებს: **შლაიხერი სიტყვის სტადიურ განვითარებაზე** მოგვითხრობს, **ი. მეშჩანინოვი — წინადადების კონსტრუქციისაზე**.

¹ იხ. Zetaz., გვ. 14.

² იქვე, გვ. 4.

³ ეს დებულება მეორდება Sprachvergl. Untersuchungen-ის ორივე ნაწილში (1848–1850 წ.), Deutsche Sprache-ში, 1859 წ.

ა. შლაიხერის იდეური მოწინააღმდეგე იყო ჰ. პაული, ნეოგრამატიკული მიმდინარეობის თეორეტიკოსი. სიტყვის განვითარების პროცესის ერთიანობა ან სხვა რამ მსგავსი პაულს არ უმტკიცებია, მაგრამ ერთ რამეში პაულიც შლაიხერის პრინციპს იზიარებდა: ენათმეცნიერება ენის ისტორიაა, მაგრამ **ენათა ისტორიის კვლევა საკმარისი არაა, საჭიროა ისტორიული განვითარების პრინციპთა დადგენა**. ამ პრინციპთა შემსწავლელი მეცნიერება ანუ პრინციპთმოდვრება მიზანდასახულის მიხედვით ისტორიული პროცესის მეცნიერული თეორიაა (დაწვრილებით იხ. § 34).

შლაიხერი მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდამეათე-მესამოცე წლებში მოღვაწეობდა, პაულის „ენის ისტორიის პრინციპები“ პირველად 1880 წ. გამოვიდა. ანალოგიური დებულებები გვაქვს მეოცე საუკუნეშიც. მასთან ისტორიული ენათმეცნიერების ისეთ ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან, როგორცაა ა. მეიე: „ენათა ისტორიის დადგენა არსებით მომენტს წარმოადგენდა ენათმეცნიერების განვითარებაში; მაგრამ **ისტორია ვერ იქნება ენათმეცნიერებისათვის მეტი, ვინემ საშუალება, იგი ვერ იქნება მისი მიზანი**“.

„ენობრივ ცვლილებებს აზრი ენიჭება მხოლოდ მაშინ, თუ განვიხილავთ მთლიან განვითარებას, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ... აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა ვცადოთ იმ კანონების დაფორმულება, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს ენობრივი ცვლილება. ამგვარად უნდა განისაზღვროს... **ზოგადი კანონები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს არა რომელიმე ენის განვითარების მხოლოდ ერთი მომენტისათვის, არამედ, პირიქით, ყველა დროისათვის, რომლებიც არ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე ენით, არამედ, პირიქით, თანაბრად ეხება ყველა ენას**“ (იხ. § 40).

რა გზით უნდა იქნეს მოპოვებული ეს ზოგადი კანონები? ენათა **ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგთა განზოგადებით**: „იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ჩამოყალიბდება სხვადასხვა ჯგუფის ენათა შედარებითი გრამატიკა უფრო სისტემატური სახით, ზოგადი ენათმეცნიერების კანონები გახდება უფრო დამაჯერებელი, მოიპოვებს მეტ სიზუსტეს და უფრო სრულად ამოწურავს ენობრივი ფაქტების ერთობლიობას“ (იქვე).

„ძველ ზოგად გრამატიკას სახელი გაუტყდა იმიტომ, რომ ის სხვა არაფერი იყო, თუ არა უხეირო გამოყენება ფორმალური ლოგიკისა ენათმეცნიერებაში, სადაც ლოგიკის კატეგორიებს არაფერი ესაქმებათ. ახალ ზოგად ენათმეცნიერებას, რომელიც დაფუძნებულია **ყველა ენის ზუსტსა და დეტალურ შესწავლაზე მათი განვითარების ყველა პერიოდში...**, მოაქვს სრული განახლება მეთოდებისა და იდეებისა: კერძო ისტორიულ

ფაქტებზე ის ამყარებს სწავლას მთლიანის შესახებ, სისტემას¹. ეს ზოგადი იმ შემთხვევაში იქნება აუცილებლობა და არა შესაძლებლობა, თუ დაუკავშირდა **საზოგადოების სტრუქტურას**: „ისტორიული ფაქტები არასოდეს არ განსაზღვრავენ პირდაპირ ენობრივ ცვლილებებს, და ეს მხოლოდ საზოგადოების სტრუქტურის ცვლილებებია, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ ენის არსებობის პირობები“² (დაწვრილებით იხ. § 49, 50).

ამრიგად: **ენათა ისტორია საშუალებაა, მიზანი — ზოგადი კანონებია** (ფონეტიკისა, მორფოლოგიისა, სინტაქსისა...), კანონები, რომელთაც ძალა აქვს არა ამა თუ იმ ენის განვითარების ამა თუ იმ პერიოდისათვის, არამედ **ყველა დროისათვის და ყველა ენისათვის**. ასეთი **ზოგადი კანონები** იქნებოდა საერთოდ ენის განვითარების კანონები. ამგვარი კანონები უნდა მოვიპოვოთ **სხვადასხვა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მონაცემთა** განზოგადებით.

განვითარების ამ ზოგად კანონთა საფუძველია **საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლა** — ასეთია ა. მეიეს დებულებათა სქემა.

ა. მეიეს დებულებები საპროგრამო ხასიათისაა. ეს დებულებები ცხადყოფენ, რომ ერთიანი გლოტოგონიური პროცესის საკითხი **არც მიზნის მხრივ არის უცხო ისტორიული ენათმეცნიერებისათვის და არც მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით ახალი** (რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ გლოტოგონიური პროცესი ელემენტებს არ დაუკავშირდება).

განსხვავება საშუალებაშია: რა გზით წარიმართება კვლევა-ძიება — **ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გზით** ინდუქციურად თუ **ტიპოლოგიური ანალიზის მეშვეობით** უისტორიოდ, დედუქციურად?

ელემენტოვანი ანალიზის დემონსტრაციული **ანტიისტორიზმი** უკუგდებულია **ტიპოლოგიურ** შედარებაში, რომელსაც ი. მეშჩანინოვი იყენებს. ამაშია იაფეტური თეორიის **ახალი ეტაპის თავისებურება** და **ი. მეშჩანინოვის მეცნიერული დამსახურება**. ისტორიზმის პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება: ტიპოლოგიური შედარება (სტადიური ტიპოლოგია) უისტორიოდ შედარებაა, თუმცა მიზნად ისტორიის რკვევას ისახავს.

ახლო მომავალი დაგვანახვებს — დაემყარება პალეონტოლოგიური უელემენტო ანალიზი ისტორიზმის მტკიცე საფუძველზე თუ — ტიპოლოგიური შედარება, ამ საფუძველს მოკლებული, ეთნოფსიქოლოგიური დისციპლინის სახეს მიიღებს³.

¹ იგივე წერილი, საიდანაც ამონაწერებია მოყვანილი § 48-ში: Études, იხ. Linguistique historique..., გვ. 15.

² იქვე, გვ. 17.

³ 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის დროს ივ. მეშჩანინოვი ელემენტებს დაუბრუნდა (გაზ. „Правда“, 16, V. 1950 წ.).

III. სტატიკური (აღწერითი) ანალიზის მეთოდები

§ 126. სტატიკური (აღწერითი) ანალიზის ამოცანა. სტატიკური ანალიზის ამოცანაა **აღწეროს ენა** იმ სახით, რა სახითაც იგი მოცემულია **გარკვეულ მომენტში** (ვთქვათ, ქართული სალიტერატურო ენა მეოცე საუკუნის მეორმოცე წლებში).

აღწერამ უნდა დაგვანახვოს: რა **სიტყვები აქვს** ამ ენას (**ლექსიკა**), რა **გამოთქმებია** ჩვეულებრივი და ბუნებრივი მისთვის (**ფრაზეოლოგია**), რა და რა სახით **იცვლება სიტყვები** (**სიტყვის ფორმები, სიტყვაწარმოება**), რა საშუალებით გამოისახება **სიტყვათა ურთიერთობა** შესიტყვებაში (შესიტყვებისა და, კერძოდ, წინადადების **აგებულება** და **სინტაქსური მექანიზმი**), რა **ბგერები** მოეპოვება ენას, როგორია მათი ცვლა, მათი ბუნებრივი კომპლექსები, როგორია ხმის აწევა სიტყვასა და შესიტყვებაში (**ბგერითი სისტემა...**).

ერთი სიტყვით, ენის სრულმა აღწერამ უნდა დაგვიხასიათოს ესა თუ ის ენა **ლექსიკა-სტილისტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ფონეტიკის** თვალსაზრისით, ე. ი. ყველა იმ თვალსაზრისით¹, რაც კი საჭიროა და მიჩნეული ენის მეცნიერული ანალიზისათვის.

ამგვარი აღწერა, როგორც ითქვა, ენის განვითარების გარკვეულ მომენტს გულისხმობს: ენას ვიღებთ სტატიკაში (და არა დინამიკაში). **სტატიკის ანალიზი სტატიკურ ანუ აღწერითს** გრამატიკას (უცხოურად: **დესკრიფციულ გრამატიკას**) მოგვცემს (ისევე, როგორც ენის დინამიკის შესწავლა ისტორიული გრამატიკის საქმეა).

ენათა ამგვარი ანალიზის გზები უნდა დასახოს სტატიკური ანალიზის მეთოდებმა.

სტატიკური გრამატიკა (აღწერითი გრამატიკა) დარგების შედგენილობის მიხედვით არ უნდა განსხვავდებოდეს ისტორიული გრამატიკისაგან: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია (სტატიკური სემასიოლოგია), სტილისტიკა აღწერითი ანალიზის შედეგად ისევე მიიღება, როგორც ისტორიული ანალიზის პროცესში, თუკი ეს ანალიზი სრულია, თუკი იგი ენის ყველა არსებით მხარეს ეხება.

სტატიკურმა ანალიზმა უნდა მოგვცეს **ენობრივი სისტემის განაკვეთი** (ამა თუ იმ მომენტისათვის) და **ამ სისტემის ნამდვილი სახე გვიჩვენოს**. ისტორიული გრამატიკა სწავლობს იმავე სისტემას დინამიკაში, — როგორც განვითარების შედეგს თუ განვითარების ეტაპს.

¹ გვაკლია ეტიმოლოგიური თვალსაზრისი: სტატიკური ანალიზი ეტიმოლოგიას ვერ მოგვცემს. ეტიმოლოგია ისტორიულ-შედარებითი ძიების პროდუქტია.

§ 127. რა მნიშვნელობა აქვს სტატიკურ ანალიზს ისტორიო-სათვის? თქმულიდან ჩანს: **სტატიკური ანალიზი აუცილებელი ელემენტია დინამიკაში ენის შესწავლისათვის:** უნდა ვიცოდეთ, რა იყო, ვთქვათ, მეათე საუკუნის სალიტერატურო ქართულში, რომ ცხადი იყოს, როგორ ცვლილა ეს ენა შემდეგ საუკუნეებში (ანდა: უნდა ვიცოდეთ, რა არის მეოცე საუკუნეში, რომ შევუპირისპიროთ იმას, რაც მანამდის, — სიტყვაზე, იმავე მეათე საუკუნეში, — იყო).

სტატიკური ანალიზი აუცილებელი ელემენტია ისტორიული ძიებისა, აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი. თუ სტატიკური ანალიზი სწორად არის ჩატარებული, ისტორიული ვითარების ძიება ჯეროვანი გზით წარიმართება: **სწორი სტატიკური ანალიზი ისტორიის საკითხების სწორად დასმის საწინდარია.** ქართულ ენათმეცნიერებაში ამის ნიმუშს მკითხველი იპოვის აკ. შანიძის მონოგრაფიაში პრეფიქსების შესახებ: მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსების სისტემატურმა ანალიზმა მკვეთრად გამოყო **ხ-** პრეფიქსის გამოყენება ორ ზმნაში (**ხ-არ**, **ხ-უალ**) და სავსებით საფუძვლიანად ავარაუდებინა ავტორს: „...ხანი, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (**ხ-არ**, **ხ-უალ**...) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც **ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღვლილებაშიაც, საზოგადოდ**“¹. ივ. ჯავახიშვილისა და რ. ბლეიკის მიერ აღმოჩენილმა² ხანმეტმა ძეგლებმა უეჭველი გახადეს, რომ მართლაც არსებობდა ისეთი კილო, რომელსაც „ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა სხვა ზმნების უღვლილებაშიც“, „ახასიათებდა საზოგადოდ“.

აკ. შანიძე მორფოლოგიური სისტემის სტატიკურ ანალიზს ემყარებოდა, როცა სავარაუდო დებულება წამოაყენა. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ამ ვარაუდის ბრწყინვალე დადასტურება მოგვცა.

რასაკვირველია, ეს ბედნიერი შემთხვევა იყო, რომ ვარაუდის სისწორე ასე მალე ფაქტით დამტკიცდა; ყოველთვის ასეთ შედეგს არ უნდა მოველოდეთ. მაგრამ ერთი უდავოა: **თუ სტატიკური ანალიზი სწორი გზით მიდის, ისტორიის კვლევას საიმედო ამოსავალი მოეპოვება, ისტორიის საკითხებიც სწორად დაისმის.** ყოველ შემთხვევაში ამის ობიექტური შესაძლებლობა მოცემული იქნება. მაგრამ, **თუ სტატიკური ანალიზი სწორი გზით არ მიდის, არც ენის მოქმედი სისტემის გათვალისწინება მოხერხდება და არც ისტორიის საკითხები დაისმის მართებულად.**

¹ იხ. ა. შანიძე: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. 1920 წ., § 56, გვ. 130.

² ეს აღმოჩენები ორი წლის შემდეგ — 1922 წ. — გაკეთდა.

ამის მაგალითად გამოგვადგება ქვემდებარისა და დამატების კვალი-ფიკაცია ქართულ ინვერსიულ ზმნებთან: „შენ დაგიხატავს სურათი“ — რეალურად მოქმედი სახელი (**შენ**) ჩვეულებრივ გამოცხადებულია სუბიექტად, და **გ**- პრეფიქსიც, ამის შესაბამისად, მიჩნეულია **სუბიექტურ** პრეფიქსად. ამის შემდეგ ინვერსიის რაობაც შეუძლებელია თვით ამ კონსტრუქციის ფარგლებში ხელშესახები გახდეს, და ინვერსიული წარმოების ისტორიის ძიებაც მართებული გზით ძნელია წარიმართოს, რამდენადაც საკითხის სწორად დასმა გამორიცხულია.

§ 128. სტატიკური ანალიზის სიძნელეები ობიექტის (ენის) თავისებურებასთან დაკავშირებით. ენობრივი სისტემის აღწერისათვის საჭიროა ენობრივი ფაქტების სიმრავლეს თავი გავართვათ; ამისათვის ძირითადი საშუალება მოგვეპოვება: ფაქტების კლასიფიკაცია (სხვა გზა ჯერ-ჯერობით არა ჩანს)¹. კლასიფიკაცია მიზანს მაშინ აღწევს, თუ საკლასიფიკაციოდ ისეთი **ნიშანია** არჩეული, რომელიც **არსებითია** საკლასიფიკაციოდ მასალისათვის, და თუ ეს ნიშანი თანამიმდევრულადაა გამოყენებული.

პირველი სიძნელე აქ ჩნდება: რაა არსებითი ნიშანი ისეთი რთული ფაქტებისათვის, როგორცაა **სიტყვა, შესიტყვება?** რის მიხედვით უნდა დავახასიათოთ სიტყვა, **როგორც მეტყველების ნაწილი, როგორც მორფოლოგიის ობიექტი — ფუძის მნიშვნელობისა** თუ **ფორმის მნიშვნელობის მიხედვით?** კიდევ უფრო რთულია ანალოგიური საკითხი, როცა ის შესიტყვებას (კერძოდ, წინადადებას) ეხება: რის მიხედვით უნდა დავახასიათოთ სიტყვათა ურთიერთობა შესიტყვებაში — იმ **მნიშვნელობის** მიხედვით, რაც სიტყვებს ენიჭებათ სათანადო წინადადებაში, თუ იმ **ურთიერთობის** მიხედვით, რომელიც მყარდება სიტყვებს შორის სათანადო შინაარსის გადმოსაცემად? ან, იქნებ, როგორც ერთი, ისე მეორე თვალსაზრისითაც? თუ — ორივე თვალსაზრისით, რომელი თვალსაზრისია სინტაქსის შესაფერისი? რა დარგს ეკისრება დარჩენილი — ერთ-ერთი თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლა?

სიტყვის შესწავლისას საკითხი მარტივი გვეჩვენება, მაგრამ სხვადასხვა ენის ვითარებას თუ მივიღებთ მხედველობაში, მოულოდნელ სიძნელეებს წავაწყდებით². შესიტყვების, კერძოდ, წინადადების შესწავლისას შექმნილ მდგომარეობაზე ქვემოთ იქნება დაწვრილებით მოთხრობილი.

¹ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა კლასიფიკაციის გარეშე გადაეწყვიტათ საკითხი. შედეგად ისევ კლასიფიკაცია მივიღეთ, ოღონდ ნაწილობრივი, ამაზე — სპეციალურად სხვაგან.

² ამის დაწვრილებითი ანალიზი სპეციალური მონოგრაფიული შესწავლის საქმეა. ვითარების წინასწარი დახასიათება იხ. ავტორის „ზოგადი ენათმეცნიერების“ პირველ ნაწილში (II გამოც., 1939 წ.), § 49, 50, გვ. 127—134.

საკლასიფიკაციო ობიექტის სირთულე თვალსაზრისთა სხვადასხვაობას შესაძლებელს ხდის (შესაბამისად იცვლება არსებითი ნიშანიც): შედეგი განსხვავებული კლასიფიკაციებია.

ამრიგად, **სტატიკური ანალიზის ერთ-ერთი სიძნელის სათავე შესასწავლი ობიექტის სირთულეშია**. ეს — ერთი.

ენობრივი ფაქტი ხშირად დაუდევარია. არათუ სხვადასხვა დროს შეიძლება იგი იყოს განსხვავებული, არამედ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა კონტექსტში ფუნქცია იცვალოს.

შდრ. „**დღეს** ღამე მოსდევს“ და „**დღეს** ამხანაგი შემხვდა“; „დღეს“ მიცემითი ბრუნაა, მაგრამ **დღე**-სახელის მიცემით ბრუნვად ის მხოლოდ პირველ წინადადებაში გვევლინება (**რას** მოსდევს ღამე? დღეს. დღეს = за днем); მეორე წინადადებაში „დღეს“ ზმნისართია (**როდის** შემხვდა ამხანაგი? **დღეს**; დღეს = сегодня).

მომავალი: „აწმყო და **მომავალი**“ (= будущее) და „ჩემკენ **მომავალი** ამხანაგი შევნიშნე“ (მომავალი = идущий сюда). „მომავალი“ მიმღობაა ზმნისა „მო-ვალ-ს“ || მოვა, დროის მიხედვით აწმყოა (მომავალი = „ვინც მოდის“ → მოვა, „რაც მოდის“, идущий). პირველ შესიტყვებაში („აწმყო და მომავალი“) ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობისაა: მომავალი = будущее.

ესაა სულ მარტივი მაგალითები; გაცილებით უფრო რთულ სხვა მაგალითებს უხვად გვაწვდის მორფოლოგია, სინტაქსი...

დაუდევარი მოვლენა საკლასიფიკაციო რუბრიკათა მერყეობას იწვევს, ე. ი. კლასიფიკაციას აძნელებს. ეს — მეორე.

ენაში ძველი და ახალი ერთიმეორის გვერდით დგას. რა იწვევს ამას? მარტივი, მაგრამ ფუძემდებელი მნიშვნელობის ფაქტი: ენაში ყველაფერი **თანაბრად არ იცვლება**. გარკვეული დროის მონაკვეთში ზოგი რამ რიგ ცვლილებას გამოივლის, ზოგი რამ უმნიშვნელოდ იცვლება, ზოგიც — იმავე ხნის განმავლობაში უცვლელია. ასე, მაგალითად, მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის პრეფიქსი VI-XX ს.ს. მანძილზე სხვადასხვა სახით გვაქვს: ჯერ გვქონდა **ხ-** (**ხ**-იყავ, **ხ**-ზი, **ხ**-თხოვე), მერე — **ჰ** (**ჰ**-იყავ, **ჰ**-ზი, **ჰ**-თხოვე), მერე — ნული, **ჰ** და **ს** (იყავ, ჰ-ზი, ს-თხოვე). პირველი პირის სუბიექტისა და ობიექტის პრეფიქსები კი **ვ** და **მ** იყო მეექვსე საუკუნეში და ასევეა მეოცე საუკუნეშიც (**ვ**-ზი... **ვ**-არ... **მ**-თხოვს...), რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასევე დარჩება.

ენობრივ სისტემაში რომ ყველაფერი თანაბრად იცვლებოდეს, ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ცვლა თანაბარი არაა, და ყოველ ენაში დასტურდება **არქაიზმები და ნეოლოგიზმები** (ამ სიტყვათა ზოგადი მნიშვნელობით). ეს **ართულებს მოვლენის კვალიფიკაციას**. რატომ? იმიტომ, რომ ყველგან არაა ურთიერთობა ისე მარტივი, როგორც პრეფიქსე-

ბის ზემოდასახელებულ შემთხვევაში. მაგალითად: ძმანი, დღენი, — ძველებური მრავლობითია; ახალ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივია ძმები, დღეები, მაგრამ ჩვენებით ნაცვალსახელებში ნ-იანი მრავლობითი ძველიაო, ვერ ვიტყვით: ისინი, ესენი, ისევე ჩვეულებრივია და თანამედროვე, როგორც ძმები, დღეები.

ისტორიულისა და თანადროულის, ძველისა და ახლის სათანადო კვალიფიკაცია ზემოხსენებულის გამო გაძნელებულია. ეს — მესამე.

მეტყველს არა აქვს ცნობიერად წარმოდგენილი, როგორ ლაპარაკობს ის (ვთქვათ, თავის დედაენაზე): რატომ ხმარობს ამა თუ იმ ფორმას, რატომ იყენებს ამა თუ იმ სინტაქსურ კონსტრუქციას. რაც უნდა თქვას, იცის, სათქმელს სწორად გადმოსცემს, მაგრამ როგორ ხდება ეს, არ იცის. მაგალითად: ვიტყვით „მოწაფე გაკვეთილს სწავლობს“, მაგრამ: „მოწაფემ გაკვეთილი დაისწავლა“, „მოწაფეს გაკვეთილი დაუსწავლია“... ანდა: „მოწაფე გაკვეთილს სწავლობს“, მაგრამ „მოწაფემ გაკვეთილი იცის“... რატომაა ერთგან მოწაფე, მეორეგან — მოწაფემ, მესამე წინადადებაში — მოწაფეს? (რუსულ სათანადო მაგალითებში ყველგან სახელობითი გვექნებოდა — ученик...) მეტყველს ამის ცოდნა რომ ჰქონდეს, დედაენის გრამატიკა დასასწავლი აღარ იქნებოდა (ნამდვილად კი დედაენის გრამატიკის შესწავლა არანაკლებ ძნელია, ვინემ სხვა რომელიმე ენის გრამატიკისა).

მეტყველების პროცესისა და სათანადო მექანიზმის არაცნობიერი მიმდინარეობა დიდ სიძნელეს ქმნის, მეტადრე სიტყვის ფორმათა კვალიფიკაციისას. ეს — მეოთხე. ამბობენ ხოლმე: ესა და ეს ფორმა ასეთსა და ასეთს გაგებას იძლევაო. ეს უფრო მკვლევრისეულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, ვინემ ფორმის ფუნქციის ობიექტურ გაგებას.

ამრიგად, კლასიფიკაციის საკითხი რთულდება იმ თავისებურებათა გამო, რომლებიც ენობრივ ფაქტებს ახასიათებს. ეს სიძნელები შესასწავლი ობიექტიდან მომდინარეობს.

§ 129. სტატიკური ანალიზის სიძნელები აღწერითი გრამატიკის ისტორიასთან დაკავშირებით. არის სხვა რიგის სიძნელებიც. მხედველობაში გვაქვს ის მოვლენები, რაც გრამატიკის ისტორიის თავისებურ გზებთანაა დაკავშირებული.

ენათმეცნიერება შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში (ისტორიულ-მედარებითი გრამატიკის საფუძველზე). სტატიკური გრამატიკა კი ჩამოყალიბდა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდის: ძველი ინდური ენის გრამატიკული სისტემა შექმნილი იყო უკვე მეხუთე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდის, ბერძნული ენის გრამატიკა კი — მეორე და პირველი საუკუნის მიჯნაზე (ჩვენ წელთაღრიცხვამდის). გრამატიკულ აზროვნებაზე

ევროპაში გავლენას ახდენდა სწორედ ბერძნული გრამატიკა. როგორც ვხედავთ, მისი ჩამოყალიბება წინ უსწრებს ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას თითქმის ოცი საუკუნით.

როგორ გაჩნდა ბერძნული აღწერითი გრამატიკა? როგორი იყო მისი განვითარების გზები, უკეთ, იმ სისტემის განვითარების გზები, რაც ბერძნულ გრამატიკაში იყო პირველად წარმოდგენილი და შემდეგ ლათინური ენის (აგრეთვე ევროპის ენათა) გრამატიკებს დაედო საფუძვლად?

ბერძნული ენის გრამატიკა **ფილოლოგიური** გრამატიკაა: ის ჩამოყალიბდა ფილოლოგიური ძიების პროცესში; ფილოლოგიურ ძიებას მიზნად ჰქონდა გაუგებარი ტექსტი განემარტა და გასაგები გაეხადა. ამგვარად, აქ პრაქტიკული მოტივები უწყობდნენ ხელს ენობრივ ფაქტებზე დაკვირვებას. მაგრამ **სანამ ფილოლოგიური გრამატიკა შეიქმნებოდა, ძირითადი გრამატიკული ცნებები უკვე შექმნილი იყო** და სათანადო ტერმინებიც (სახელი, ზმნა, ბრუნება, ბრუნვათა სახელები: წრფელობითი, ნათესაობითი, უკეთ, გვარეობითი, მიცემითი, ბრალდებითი, უფრო სწორად, მიზეზობითი...) შერჩეული. ეს გააკეთა ბერძნულმა **ფილოსოფიამ** (მეტადრე დიდი როლი შეასრულეს ამ მხრივ არისტოტელემ და სტოელებმა). ეს არ იყო შემთხვევითი; გრამატიკისადმი ინტერესი ბუნებრივად გამომდინარეობდა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის იმდროინდელი გაგებიდან: ენა და აზრი ორი განსხვავებული ფენომენი როდი იყო; პლატონისათვის, მაგალითად, აზრი იგივე მეტყველება იყო, ოღონდ უხმო; არისტოტელე ერთმანეთში ურევდა აზრითსა და ენობრივს (იხ. ქვემოთ). ასეთ პირობებში აზროვნების პრობლემაზე მუშაობა ენაზე დაკვირვებასაც ბუნებრივად გულისხმობდა. გასაგებია, თუ ბერძნული გრამატიკის ძირითადი ცნებები გრამატიკის გაჩენამდე უკვე იყო შექმნილი ფილოსოფიაში.

ფილოლოგიური გრამატიკა გენეზისურად ფილოსოფიასაც უკავშირდება.

ამ გენეზისურმა კავშირმა თავისებური სახე მიიღო მეჩვიდმეტე საუკუნეში. საფრანგეთში, პორ-როიალის ლოგიკის შექმნას თან მოჰყვა პორ-როიალის გრამატიკის შექმნაც. ეს იყო „ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა“, ფილოსოფიური გრამატიკის პირველი ვარიანტი (1660 წ.). პორ-როიალის გრამატიკის ძირითადი პრინციპი მარტივია და ნათელი: რაკი მეტყველება აზროვნებას გამოხატავს, გრამატიკა ლოგიკაზე უნდა იყოს დაფუძნებულიო (შესასწავლ ობიექტთა გარკვეული ურთიერთობა განსაზღვრავს შემსწავლელ დისციპლინათა ურთიერთობასაო); ლოგიკა ერთია, გრამატიკაც ერთი უნდა იყოს; ეს იქნება **გრამატიკა ზოგადი, რაციონალური**, გრამატიკა, რომლისთვისაც **ენობრივი ფაქტები** (კატეგორიები) **ლოგიკურ კატეგორიათა გამოსახვის საშუალებაა.**

აზრითი და მეტყველებითი აქ ერთმანეთში აღარ ირევა: მათი **გარჩევა** ფაქტია. ეს ფაქტი ამოსავალია წამოყენებული პრინციპისათვის: ენის ფაქტები უნდა აღიწეროს აზროვნების ცნებებზე დამყარებითო.

რაციონალურ გრამატიკაში პირველად დასაბუთდა ლოგიციზმი, როგორც **სტატიკური ანალიზის პრინციპი**. ეს პრინციპი **ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტაა სტატიკური ანალიზის ძირითადი პრობლემისა** (წინადადების საკითხში ლოგიციზმის შესახებ იხ. ქვემოთ).

მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდამეათე წლებში ლოგიციზმს დაუპირისპირდა **ფსიქოლოგიზმი**. ფსიქოლოგიზმის დასაბუთება შტაინთალის სახელთანაა დაკავშირებული. სათანადო შრომა — „გრამატიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, მათი პრინციპები და ურთიერთობა“ — 1855 წელსაა გამოსული. ფსიქოლოგიზმისათვის ენა არაა ლოგიკურ კატეგორიათა გამოსახულება. ენაში ფსიქოლოგიური კატეგორიები გადმოიცემა. მაშასადამე, ენობრივი ფაქტის აღწერისას **ფსიქოლოგიური კატეგორიები უნდა იყოს ამოსავალი**.

ლოგიციზმის სათავე ფილოსოფიაშია (სახელდობრ, დეკარტის რაციონალიზმში: პორ-როიალის ლოგიკისა და პორ-როიალის გრამატიკის ერთი ავტორთაგანი, ანტ. არნო, კარტეზიანელი იყო). **ფსიქოლოგიზმი ვ. ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფიიდან მოდის** (შტაინთალი ვ. ჰუმბოლდტის მიმდევარი და ინტერპრეტატორია).

ლოგიციზმიცა და ფსიქოლოგიზმიც ისტორიზმის პრინციპს უგულვებელყოფს. სტატიკური ანალიზის პროცესში მიღებული მორფოლოგიური და სინტაქსური **ცნებები** (არსებითი სახელი, ქვემდებარე, შემასმენელი...) **უნივერსალური ხასიათისაა**. ეს ცნებები ყველა ენას უნდა გამოადგეს, მასთან — ყოველი ეპოქისას.

ლოგიციზმი წინ უსწრებს ისტორიული გრამატიკის ჩამოყალიბებას, ფსიქოლოგიზმი — შემდეგი დროის ფაქტია, მაგრამ ისტორიულ გრამატიკასთან კავშირის საკითხი არ დგას არც ფსიქოლოგიზმში და არც ლოგიციზმში (იგულისხმება მის შემდეგ, რაც ისტორიული გრამატიკა ფაქტი გახდა). **სტატიკური გრამატიკა — ლოგიცისტურიცა და ფსიქოლოგისტურიც — თავის გზით მიდიოდა და მიდის**. ისტორიული გრამატიკის თანაპოვნირებას რაიმე **არსებითი** გავლენა სტატიკურ გრამატიკაზე ამ შემთხვევაში არ მოუხდენია.

სტატიკური გრამატიკა მოწყვეტილია ისტორიულ გრამატიკას: ესეც ართულებს სტატიკური ანალიზის საკითხს და **იწვევს სტატიკური გრამატიკის სისუსტეს**.

§ 130. სტატიკური ანალიზის საკითხი ისტორიული ენათმეცნიერების წარმომადგენლებთან. ამის შესახებ ზოგი რამ უკვე ითქვა პა-

ულისა და სოსიურის კონცეფციათა ანალიზთან დაკავშირებით. პაულთან ენათმეცნიერება სხვა არაფერია, თუ არ ენის ისტორია. „არაისტორიული“ მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს მეცნიერული, რამდენადაც ისტორიზმის ელემენტები მანაც შემოვა განხილვაში. ერთი სიტყვით, მეცნიერული იქ თავდება, სადაც „ისტორიული“ წყდება. ასეთი თვალსაზრისი სტატიკური ანალიზის პრობლემის დასმისა და გადაწყვეტისათვის მინიმალურ შესაძლებლობას ტოვებს (იხ. § 40). აღსანიშნავია, რომ სტატიკური ანალიზის საკითხებში პაული ფსიქოლოგიზმის პოზიციებზე დგას (იხ. ქვემოთ, წინადადების პაულისეული განსაზღვრება): აღწერითი გრამატიკის ძირითად საკითხთა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია ბუნებრივი განვითარებაა ფსიქოლოგიზმისა ენის რაობის გაგებაში პაულთან.

პაული არაა გამონაკლისი: ისტორიული ენათმეცნიერების წარმომადგენელთა შორის ფსიქოლოგიზმს — გვულისხმობთ სტატიკური ანალიზის საკითხებს — ბევრი მიმდევარი ჰყავს (გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი, რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი, პ ო ტ ე ბ ნ ი ა, ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი, შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი...).

ფორტუნატოვის სკოლამ რუსეთში სტატიკური ანალიზის პრობლემის ფორმალისტური ინტერპრეტაცია მოგვცა (ფორმალიზმის დასაბამი — ელემენტარულის სახით შლაიხერთან უნდა გვქონდეს)¹. ფორმალიზმის წარმომადგენლებმა სცადეს ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის უნივერსალური განსაზღვრებანი შეეცვალათ კონკრეტული ენის თავისებურებათა გათვალისწინებაზე დამყარებული განსაზღვრებებით. მართალია, მოპოვებულ იქნა ზოგი საყურადღებო დაკვირვება მორფოლოგიასა და სინტაქსში, მაგრამ მთლიანად სტატიკური ანალიზის ძირითადი პრობლემის გადაწყვეტის ცდა უშედეგო აღმოჩნდა: ფორმალიზმმა აღწერითი გრამატიკა განმარტა როგორც მოძღვრება ფორმათა შესახებ (სიტყვის ფორმათა და შესიტყვების ფორმათა შესახებ). ამან **პრინციპში** შეუძლებელი გახადა სემასიოლოგიური (მნიშვნელობის) მომენტისათვის სათანადო ადგილის მიჩენა გრამატიკაში, მაგრამ რაკი ამ მომენტის უგულვებელყოფა **ფაქტობრივ** შეუძლებელი იყო, ფორმალიზმში სტიკურად შემოიჭრა ფსიქოლოგიზმი. განსაკუთრებით ეს ითქმის წინადადების საკითხის შესახებ: აქ ფორმალისტების გარჩევა ფსიქოლოგისტებისაგან აღარც ხერხდება (იხ. ქვემოთ ფორტუნატოვის, შახმატოვის... შეხედულებანი წინადადების შესახებ).

ფორმალიზმი სტატიკური გრამატიკის ცნებათა უნივერსალურ განსაზღვრებებს არ სცნობდა. ეს გვაფიქრებინებდა, რომ ისტორიული გრამატიკის შედეგები სათანადოდ გამოყენებული იქნებოდა. მაგრამ ფორმალიზმმა გრამატიკის ცნება შემოფარგლა მოძღვრებით ფორმათა შესახებ:

¹ ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. სათანადო მასალის უქონლობის გამო აქ მხოლოდ გაკვრით მივუთითებთ ამ ვარაუდზე.

გრამატიკა = მორფოლოგია + სინტაქსი (ფონეტიკის დართვა არსებითად არაფერს ცვლის). მაგრამ ასეთი შინაარსის გრამატიკა წინარემეცნიერული გრამატიკაა. ისტორიული გრამატიკის საჭირო დარგთაგან სემასიოლოგია აქ არსად ჩანს (გვაკლია აგრეთვე სტილისტიკა, რომლის საკითხი თვით ისტორიული გრამატიკისათვისაც არაა გადაწყვეტილი: აქ ისტორიული გრამატიკაც უკმარია). ამგვარად, გრამატიკა-ცნების შინაარსის ფორმალისტურმა გაგებამ იმათივე შეუძლებელი გახადა ისტორიული ენათმეცნიერების დასკვნები სტატიკური ენათმეცნიერების პრობლემების გადასაწყვეტად ყოფილიყო გამოყენებული. ისტორიული ენათმეცნიერების მიმდევართა ამ ფრთამ ვერ მოავგარა **ისტორიული ენათმეცნიერებისა და სტატიკური ენათმეცნიერების დაკავშირების საკითხი**. ფორმალიზმი ძლიერი იყო რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში.

უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე სტატიკური ანალიზის პრობლემათა შესწავლა თანდათანობით ძლიერდებოდა დასავლეთ ევროპაშიც. გამოვიდა: დანიელი ენათმეცნიერის ოტო იესპერსენის — „გრამატიკის ფილოსოფია“ (ინგლისურ ენაზე)¹, დანიელი ენათმეცნიერის ლუი ჰიელმსლევის — „ზოგადი გრამატიკის პრინციპები“ (ფრანგულ ენაზე)², მეორედ გამოიცა რისის მონოგრაფია „რა არის სინტაქსი?“³; გამოვიდა იმავე ავტორის: „შესიტყვების შესახებ მოძღვრებისათვის“⁴; მისივე „რა არის წინადადება?“⁵ (სამივე შრომა გერმანულ ენაზე).

ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესებზე სტატიკური ანალიზის (აღწერითი გრამატიკის) საკითხები ყურადღების ცენტრში მოექცა. აი რას წერდა ა. მეიე მეორე საერთაშორისო კონგრესის შესახებ, რომელიც მოეწყო ჟენევაში 1931 წლის 25—29 აგვისტოს: „კონგრესი მოწვეული იყო სოსიურის მოწაფეების ინიციატივით. თავიდანვე კონგრესს ახალი და ორიგინალური სახე მიეცა. თვალში გეცემოდათ ის, რომ ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის საკითხები, რასაც ისტორიულ ენათმეცნიერებაში გაბატონებული ადგილი უკავია, აქ პირველ რიგში აღარ იღვა. ჟენევის **კონგრესზე მოხსენებათა უმეტესობა ზოგადი გრამატიკის საკითხს ეხებოდა**. უპირატესად ეს მიეწერება კონგრესის ორგანიზატორთა გავლენას“⁶.

¹ O. Jespersen: *The Philosophy of Grammar*, ლონდონი, 1924 წ. (უცვლელი შემდგომი გამოცემები — 1925 წ., 1929 წ., 1935 წ.), 359 გვ.

² L. Hjelmslev: *Principes de grammaire générale*, კოპენჰაგენი, 1928 წ., 362 გვ.

³ J. Ries: *Was ist Syntax?* პრაღა, 1927 წ., 191 გვ. (პირვ. გამოც. 1894 წლისაა).

⁴ J. Ries: *Zur Wortgruppenlehre*, პრაღა, 1928 წ. (ჩვენ ხელთ არა გვქონია).

⁵ J. Ries: *Was ist ein Satz?* პრაღა, 1931, 236 გვ.

⁶ იხ. *Bulletin de la Société de Linguistique...*, ტომი 35-ე, ნაკვ. 2, პარიზი, 1935, *Comptes rendus*, გვ. 1.

არის ცნობები, რომ შემდგომ კონგრესებზედაც „ზოგადი გრამატიკის“ საკითხებს ყურადღება არ მოჰკლებია.

კონგრესის ორგანიზატორები, როგორც ითქვა, სოსიურის მოწაფეები იყვნენ. საესებით ბუნებრივია, თუ სოსიურის მიმდევრებმა ყურადღება გაამახვილეს სტატიკური ანალიზის — ანუ, მეიეს სიტყვები რომ ვიხმაროთ, — **ზოგადი გრამატიკის** — საკითხებზე. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის საკითხებიდან ყურადღებამ გადაინაცვლა აღწერითი გრამატიკის დაუმუშავებელ საკითხებზე.

ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ეს საკითხები დაუმუშავებელია. ოღონდ გასარკვევია: რა შედეგი მივიღეთ? **მოხერხდა თუ არა ხიდის გადება ისტორიულსა და აღწერით (სტატიკურ) გრამატიკას შორის? დაუკავშირდა თუ არა სტატიკური ანალიზის გზები ისტორიული ენათმეცნიერებისას?**

სამწუხაროდ, ჩვენ ამ კონგრესების „შრომებზე“ ხელი არ მიგვიწვდებოდა, რომ არსებითი მომენტების **დეტალური ანალიზი** წარმოვადგინოთ¹. ზემოთ დასმულ კითხვაზე ზოგადად პასუხის გაცემა კი ძნელი არაა, თუ მოვიგონებთ, რომ იმპულსის მიმცემი სოსიურის სკოლაა. თავის ადგილას (§ 47) ნაჩვენებია, რომ სოსიურთან სინქრონიული ენათმეცნიერებაა პირველ რიგზე დაყენებული; ამით აღწერითი ენათმეცნიერების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და ეს ხდება ისტორიზმის უცილობელ უფლებათა შებღალვის ფასად. სტრუქტურალიზმის სახით კი მოცემულია სოსიურის ანტიისტორიულ ტენდენციათა ლოგიკური განვითარება: **სინქრონიულ** თვალსაზრისს დაერთო **პანქრონიული** თვალსაზრისი, და ამ უკანასკნელის ლოგიკური დანასკვია **აქრონია**, ე. ი. არაისტორიული თვალსაზრისი. სინქრონიულმა ენათმეცნიერებამ მიგვიყვანა ფილოსოფიურ გრამატიკამდის („ზოგადი გრამატიკა“ შენევის კონგრესთან დაკავშირებით ანტ. მეიეს შემთხვევით არ უხსენებია).

ამრიგად: არც რუსული ფორმალიზმის მეშვეობით, არც დასავლური სტრუქტურალიზმის გზითარ მოხერხდა სტატიკური გრამატიკის დაკავშირება ისტორიულ გრამატიკასთან. სტრუქტურალიზმში ასეთი საკითხი არც დაისმის: აქ სტატიკურია წამყვანად გამოცხადებული. ისტორიული დაქვემდებარებული გამოდის. მაშასადამე: სტატიკური ანალიზის მოუგვარებელი საკითხები მოუგვარებელივე რჩება. იმ პრინციპს კი, რომელზედაც აიგო ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება, საძირკველი ეცლება.

ისტორიული და სტატიკური გრამატიკის ბუნებრივი ურთიერთობის საკითხი დღემდის მოუგვარებელია. ამაშია სტატიკური ენათმეცნიერების სისუსტის დამატებითი წყარო.

¹ ასეთი ანალიზის უქონლობის პირობებში ჩვენ ხელი ავიღეთ რიგი საკითხის განხილვაზე და აქ მხოლოდ აუცილებელის აღნიშვნით დაგვმყოფილდით.

§ 131. ნარევი თვალსაზრისი სტატიკური ანალიზის პროცესში.

არის ერთი გარემოებაც, რომელსაც დიდი სიმწვავე ახლავს სტატიკური ანალიზის ძირითად საკითხთა გადაწყვეტისას. არცთუ იშვიათად, სტატიკური გრამატიკის **სხვადასხვა საკითხები სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით** წყდება: **მორფოლოგიაში ერთგვარი საზომია**, სინტაქსში — **სხვაგვარი**, გრამატიკა-ცნების განსაზღვრება კიდევ სულ სხვა საზომს გვაგვარაუდებინებს. რაც მთავარია, არ ჩანს, რას ემყარება ეს საზომები. **თანამიმდევრობის უქონლობა ბუნებრივადაა შექსოვილი ნებისმიერ მსჯელობასთან.** ეკლექტიზმიაო, გვეტყვიან. ეკლექტიზმი ყველგან უბედურებაა, მაგრამ არსად არაა იგი ისე აუტანელი, როგორც სტატიკური გრამატიკის სინამდვილეში.

ჩვენ ნავარაუდები გვქონდა დაწვრილებით განგვეხილა **სტატიკური ანალიზის განვითარების გზები**, აგრეთვე **ძირითადი მიმართულებანი სტატიკური გრამატიკისა**, როგორც **მორფოლოგიაში**, ისე **სინტაქსში**. ზოგი აუცილებელი შრომის ხელზე უქონლობამ იძულებული გაგვხადა ზემოთქმულით დაგვამყოფილებულიყავით და აღგვენუსხა ის **ძირითადი საკითხები**, რომლებზედაც **უთუოდ უნდა გაიცეს პასუხი სტატიკური ანალიზის პრობლემის გადაწყვეტისას** ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

მაგრამ ამ მსჯელობას სქემატური ხასიათი ექნებოდა, თუ რაიმე საკითხის მაგალითზე არ იქნებოდა ნაჩვენები, როგორია საქმის ვითარება: როგორაა დასმული სათანადო საკითხი სხვადასხვა მიმდინარეობაში (და ავტორთანაც კი) და რა პასუხი ეძლევა საკითხს. ბუნებრივია, თუ ყველგან ამოსავალ პრინციპებს მიექცევა გულისყური.

ასეთ საკითხად წინადადების საკითხი გვაქვს გამოყოფილი: **მიმდინარეობათა სხვაობა აქ უფრო მკვეთრად ჩანს**, მასთან ყველაზე რთული სადავო დღესაც ეს საკითხია.

IIIა. წინადადება, როგორც სინტაქსის საგანი სხვადასხვა მიმდინარეობაში

§ 132. **წინადადება და სინტაქსი.** ვინც კი თვლის წინადადებას გრამატიკის საგნად, მას სინტაქსის ობიექტად მიიჩნევს. მაგრამ სინტაქსის საგნის გაგება ერთნაირი არაა. სამი შეხედულებაა აღსანიშნავი: 1. სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ (ფორტუნათოვი); 2. სინტაქსი არის მოძღვრება წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ (დებრიუკი; ეს ყველაზე გავრცელებული შეხედულებაა); 3. სინტაქსი

არის მოძღვრება სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობის შესახებ (მიკლოშიჩი)¹.

ამათგან ყველაზე თავისებურია მიკლოშიჩის გაგება. პირველი ორისთვის საერთოა წინადადების მიჩნევა სინტაქსის საგნად: შესიტყვება წინადადებასაც მოიცავს, თუკი იგი ერთ სიტყვაზე მეტია (შესიტყვება კი წინადადება ყოველთვის არაა: „ქუჩის ხმაური“ შესიტყვებაა, წინადადებად არ მიიჩნევა; „ქუჩა ხმაურობს“ შესიტყვებაცაა და წინადადებაც).

წინადადების საკითხი, მაშასადამე, პირველი ორი გაგებისათვის სინტაქსის შესწავლის საგანია, ოღონდ ერთი განსხვავებით: ფორტუნატოვისათვის ესაა ერთ-ერთი ძირითადი საგანი სინტაქსისა, დელბრიუკისათვის — ერთადერთი საგანი.

წინადადების საკითხში მიმდინარეობათა განხილვისას დაცული იქნება ისტორიული თანამიმდევრობა: **ა. ლოგიციზმი, ბ. ფსიქოლოგიზმი, გ. ფონეტიზმი და მორფოლოგიზმი.**

§ 133. წინადადების ლოგიცისტური განსაზღვრების ნიმუშები.

სისტემატური სახით ეს თვალსაზრისი ბოლო ხანებში არსად არის წარმოდგენილი; მის გამოყენებას კი დასაბუთების გარეშე მეტად ხშირად ვხვდებით, განსაკუთრებით, სასკოლო სახელმძღვანელოებში. „როცა ჩვენ რასმე ვამბობთ, ჩვენ ამით წინვდებთ (предлагаем) ჩვენს აზრს ან მსჯელობას; ამიტომ ყოველი მსჯელობა, რომელიც **გამოთქმულია**, ე. ი. გადმოცემულია სიტყვებით, იწოდება წინადადებად; მაგალითად: მზე ანათებს, ჰაერი გამჭვირვალეა, სწავლა სასიამოვნოა“².

„ყოველ წინადადებაში არის საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია, რომელიც ექვემდებარება მსჯელობას. ასე, მაგ., წინადადებაში: მზე ანათებს; რუსეთი დიდია; თოვლი ჭრიალებს — სიტყვები: მზე, რუსეთი, თოვლი — საგნებია, რომელთა შესახებაც არის ლაპარაკი წინადადებაში...“ „საგანი, რომელიც ექვემდებარება მსჯელობას, იწოდება ქვემდებარედ...“ „ყოველ წინადადებაში ქვემდებარის შესახებ რაიმე ითქმის; წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა მსჯელობა, არ იქნებოდა წინადადება. მაგალითად, წინადადებაში: მზე ანათებს, მზე-ქვემდებარის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ანათებს. რუსეთი დიდია — რუსეთ-ქვემდებარის შესახებ ნათქვამია, რომ იგი დიდია... ის, რაც წინადადებაში ნათქვამია ქვემდებარის შესახებ, იწოდება შემასმენლად: ანათებს, დიდია — შემასმენლებია“³.

¹ ამ შეხედულებათა შესახებ დაწვრილებით იხ. ავტორის „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ I, 1928 წ., გვ. 141—144; აგრეთვე „ზოგადი ენათმეცნიერება“, I (1939), § 67, გვ. 163 და შემდ.

² Миропольский, Рус. грам., стр. 190, § 3.

³ Миропольский, Рус. грам., § 4, გვ. 109—110.

ამ განსაზღვრებაში ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა შემდეგი ადგილი: როცა რასმე ვამბობთ, ჩვენ წინვდებთ (*предлагаем*) ჩვენს **აზრს** ანდა **მსჯელობასა** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**). „აზრის“ ხმარება „მსჯელობის“ ნაცვლად ჩვეულებრივია ასეთი ტიპის გრამატიკებში, უმთავრესად სასკოლოში; არის შემთხვევა, როდესაც მსჯელობა-სიტყვა სრულებით არ გულისხმობს ლოგიკის მსჯელობა-ცნებას, არამედ იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას ყოველდღიურ სიტყვახმარებაში აქვს: ამის ნიმუშია შემდეგი განსაზღვრება:

„ყოველ აზრში ჩვენ გამოვთქვამთ რაიმე მსჯელობას საგნის შესახებ, და აი ასეთი მსჯელობა, გამოხატული სიტყვებით, მეცნიერებაში(!) იწოდება წინადადებად“¹. „მთავარი საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში, იწოდება ქვემდებარედ იმიტომ, რომ იგი ექვემდებარება ჩვენს მსჯელობას; ხოლო თვით მსჯელობა საგნის შესახებ იწოდება შემასმენლად იმიტომ, რომ წინადადების ამ ნაწილში ჩვენ გამოვთქვამთ იმას, რისი თქმაც გვინდა საგნის შესახებ“².

მსჯელობის ნაცვლადაა ნახმარი **აზრი** შემდეგ განსაზღვრებაში: „...წინადადება არის **სიტყვათა შეხამება** (*сочетание слов*), რომელიც **გამონატავს რაიმე აზრს**... ზოგჯერ წინადადების აზრი შეიძლება იქნეს გასაგებად გამოხატული მარტო ერთი სიტყვითაც“³.

„... წინადადების ის **სიტყვა**, რომელიც **გვიჩვენებს**, რომელი **საგნის შესახებაა ლაპარაკი** (სხვანაირად რომ ვქთვათ, რომელი საგანი ექვემდებარება მოუბარის მსჯელობას), იწოდება **ქვემდებარედ წინადადებისა**. წინადადების მეორე სიტყვა კი, სახელდობრ, ის, რომელიც გვიჩვენებს, რა ითქმის... საგნის შესახებ, იწოდება შემასმენლად წინადადებისა“⁴.

ქართული სასკოლო გრამატიკებიდან მოვიყვანთ მოსე ჯანაშვილის განსაზღვრებებს.

მოსე ჯანაშვილი წერს: „**აზრი**, გამოთქმული სიტყვით ან წერით, იწოდება **წინადადებად**. **საგანი**, რომლის შესახებ გამოთქმულია აზრი, იწოდება **ქვემდებარედ**, ხოლო რაც ამ ქვემდებარის შესახებ გამოთქმულია, იმას ეწოდება შემასმენელი“⁵.

სილ. ხუნდაძის სახელმძღვანელოში ნათქვამია: „**ცალკე გამოთქმულ თითოეულ აზრს** გრამატიკაში(?) **წინადადება** ქვია. წინადადების შესადგენად უმთავრესად ორი ნაწილია საჭირო: ერთი — **საგანი**, რომელ-

¹ Г о в о р о в, Элемент. грам., стр. 4.

² იქვე, გვ. 4—5.

³ К р а с н о გ ო რ ს კ ი, Синтаксис рус. яз., стр. 2.

⁴ იქვე, გვ. 3—4.

⁵ ქართ. გრამ., გვ. 134.

საც ჩვენი საუბარი განსაკუთრებით შეეხება: ამისთანა ნაწილს ქვია ქვემდებარე. მეორე — მოქმედება, რომელიც ქვემდებარეს შეეხება; ამისთანა ნაწილს შემასმენელი ეწოდება“¹.

§ 134. წინადადების ლოგიკისტური განსაზღვრების ორი ვარიანტი. ყველა აქ წარმოდგენილ განსაზღვრებაში ზოგადია ერთი რამ: **წინადადების** განსაზღვრისას **დასაყრდენია აზრი (ან მსჯელობა), ქვემდებარე-შემასმენლის** განსაზღვრისას კი — **ამ აზრის (მსჯელობის) ნაწილები**. მაგრამ როგორც კი დაისმის საკითხი: როგორ წარმოუდგენიათ აზრისა (მსჯელობის) და მისი ნაწილების **მიმართება წინადადებასა და მის ნაწილებთან**, ჩვენ წინ დადგება ერთი და იმავე შეხედულების ორი სახეობა; ერთის მიხედვით: წინადადება არის სიტყვათა შეხამება (ასეთი და ასეთი... იხ. კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი ს განსაზღვრება). ...ქვემდებარე, შემასმენელი კი არის **სიტყვა** (ასეთი და ასეთი... კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი); მეორე სახეობა კი გვეუბნება: წინადადება არის **აზრი** თუ **მსჯელობა** (სიტყვებში გადმოცემული). ქვემდებარე არის **საგანი** (რომლის შესახებაც რაღაცაა ნათქვამი), ხოლო ის, რაც არის ნათქვამი, შემასმენელია (იხ. მ ი რ ო პ ო ლ - ს კ ი, გ ო ვ ო რ ო ვ ი, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხ უ ნ დ ა ძ ე).

ერთი სიტყვით, ამ განსაზღვრებათა შორის **განსხვავებას ამყარებს უახლოესი გვარი (genus proximum), სპეციფიკური განსხვავების (differentia specifica) მიხედვით კი იგინი ერთდებაინ.**

განსაზღვრების პირველი სახეობა ცდილობს განსაზღვრების გარეგნობაში მაინც დაიცვას გრამატიკის თვალსაზრისი და აშკარა წინააღმდეგობას თავი დააღწიოს; **წინადადება** და მისი **ნაწილები მისთვის სიტყვათა შეხამებაა** და **სიტყვებია**. ამ სახეობაში მოცემულია ლოგიკისტური გაგება დამუშავებული სახით.

მეორე სახეობა იმთავითვე შორდება გრამატიკულ თვალსაზრისს, როცა ამბობს: **წინადადება** არის **აზრი** (თუ მსჯელობა); **ქვემდებარე** არის... **საგანი**. განა ცხადი არ არის, რომ თუ „წინადადება არის... აზრი (გინდ მსჯელობა)“, **გრამატიკა** და, კერძოდ სინტაქსი, რომელიც წინადადებას შეისწავლის, ამით უკვე აღიარებულია სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც **აზრს შეისწავლის**, ე. ი. **სინტაქსი კისრულობს იმავე საქმეს**, რასაც **ლოგიკა და ფსიქოლოგია აკეთებენ**, თუ სინტაქსის ამოცანა ამნაირად იქნა გაგებული, **ფსიქოლოგია-ლოგიკასთან აღრევას გრამატიკა თავს ვერ დააღწევს**, ხოლო რამდენად დაუშვებელია ეს, ამის შესახებ ამჟამად არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

¹ იქვე, გვ. 25.

ცხადია, ლოგიკისტური მიმდინარეობის ეს სახეობა ყველაზე სუსტია, და მაინც უნდა ითქვას, ლოგიციზმისათვის სწორედ ეს სახეობაა უფრო დამახასიათებელი.

§ 135. ქვემდებარე (სუბიექტი), შემასმენელი (პრედიკატი) სინტაქსში ლოგიკიდან შემოდის. ტერმინები სუბიექტი, პრედიკატი (ქვემდებარე, შემასმენელი) პირველად ნახმარია ბოეთიუსის (Boethius)¹ ნაწარმოებში: „შესავალი კატეგორიულ სილოგიზმებში“ (Introductio ad syllogismos categoricos).

მაშასადამე, ეს ტერმინები ლოგიკის ტერმინები იყო; არისტოტელეს ორგანონის ლათინურად მთარგმნელი ბოეთიუსი იძლევა პირველად ამ ლოგიკური ტერმინების განსაზღვრებას² თავის კომენტატორულ ლოგიკურ ნაწარმოებში, მაგრამ, როგორც ტერმინები, სუბიექტი, პრედიკატი (ქვემდებარე, შემასმენელი) საშუალო საუკუნეებში ხმარებაში არ ყოფილა; ასე, მაგალითად, მეთორმეტე საუკუნის სქოლასტიკოსი პეტრე ჰელიასი ხმარობს *suppositum*-ს (არისტოტელეს *ὑποκείμενον*-ისა და ბოეთიუსის *subiectum*-ის ნაცვლად) და *appositum*-ს (არისტოტელეს *κατηγορούμενον*-ისა და ბოეთიუსის *praedicatum*-ის ბადლად): „სუბიექტი არის ის, რასაც ეხება საუბარი, აპოზიტი არის ის, რაც ითქმის სუბიექტის შესახებ“-ო.

ასე რომ არისტოტელეს *ὑποκείμενον*, *κατηγορούμενον* ლათინურად გადმოცემული იყო *subiectum*, *praedicatum*-ით V-VI ს. (ბოეთიუსის მიერ), *suppositum*, *appositum*-ით XII საუკუნეში (პეტრე ჰელიასის მიერ), მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიკიდა ფეხი. მხოლოდ **ვოლფის შემდეგ (XVIII ს.) დამკვიდრდა სუბიექტ-პრედიკატი ლოგიკაში და იქიდან გადატანილ იქნა სხვა დისციპლინებში** (გრამატიკაში, ქვემდებარე-შემასმენლის სახით, — შემდეგ ფსიქოლოგიაში...), ვოლფის მნიშვნელოვან დამსახურებად დებრიუკი თვლის სწორედ ამ ტერმინების დამკვიდრებას, რაიც ვოლფის დიდ გავლენას მიეწერება³.

¹ ბოეთიუსის გარდაცვალების წლად დებრიუკს 525 წ. აქვს ნაჩვენები (იხ. *Vergl. Synt.* I, 24), ვლადისლავლევს — 570 წ. (იხ. მისი *Логика*, დამატება 57), პრანტიკი 524 წ. ასახელებს (იხ. *Geschichte der Logik*, I, 679).

² „მარტივ გამოთქმათა ნაწილებია სუბიექტი და პრედიკატი; სუბიექტი არის ის, რაც პრედიკატის ნათქვამს განიკუთვნებს... პრედიკატი კი არის, რაც ითქმის სუბიექტის შესახებ...“ („*simplicium vero enuntiationum partes sunt subiectum et praedicatum; subiectum est quod praedicati suscipit dictionem..., praedicatum vero est, quod dicitur de subiecto*“ — *Introductio ad syllogismos categoricos*, გვ. 563; მოგვყავს Prantl-ის მიხედვით: *Geschichte der Logik*, I, გვ. 696).

³ იხ. *Vergl. Synt.*, გვ. 25.

ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პარალელური ანალიზი მსჯელობისა და წინადადებისა და ორივეში ორი შემადგენელი ელემენტის აღნიშვნა: მსჯელობაში — ორი ცნებისა, წინადადებაში ორი ტერმინისა. ჩვენ ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვოლფი ლოგიკოსია და რომ მისი მოძღვრება წინადადების ტერმინების შესახებ მის ლოგიკაშია წარმოდგენილი.

ამგვარად მსჯელობისა (თუ წინადადებისა...) და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის, შესახებ მოძღვრება ლოგიკიდან გადმოვიდა გრამატიკაში. ძველი და საშუალო საუკუნეების გრამატიკოსები წინადადების განსაზღვრის შემდეგ წინადადებაში შემავალ სიტყვათა დახასიათებაზე გადადიოდნენ, მეტყველების ნაწილების ანალიზს იწყებდნენ, ხოლო სინტაქსში სიტყვათა შეხამების წესებსა და მთავარ სახეებს არკვევდნენ¹; მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან კი წინადადებისა და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრება, სინტაქსის საფუძვლად იქცა. ეს ეხება არა მარტო სასკოლო ლიტერატურას, არამედ თეორიულ კურსებსაც...

წინადადების თეორიის წარმოდგენილი გენეზისი იმასაც გვიჩვენებს, რომ ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრება სინტაქსში ლოგიკისტური კვალიფიკაციით იქნა შეთვისებული.

აქ წარმოდგენილი გენეზისი მართებული ვერ იქნებოდა და საქმის ვითარებაზე სწორ წარმოდგენას ვერ შეგვამუშავებინებდა, თუ დავასკვნიდით, რომ ლოგიკის ცნებათა და ტერმინთა გრამატიკაში გადმოტანა მხოლოდ გრამატიკის მეთოდოლოგიურ სისუსტეს მიეწერება. **შესაძლებლობა, ლოგიკის ცნებანი უცვლელად ყოფილიყვნენ გადმოტანილი გრამატიკაში, ანასიათებს არა მარტო გრამატიკას, რომელმაც ეს ცნებები მიიღო, არამედ ლოგიკასაც, რომელსაც მოეპოვებოდა ისეთი ცნებები, რომელთა შეტანა გრამატიკაში შესაძლებელი იყო.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკის ცნებათა ეს გადმონერგვა ასე მარტივად არ განხორციელდებოდა, რომ იმდროინდელ ლოგიკაში ლოგიკური და გრამატიკული მკვეთრად გარჩეული ყოფილიყო.

¹ ლომონოსოვის გრამატიკაში („Российская грамматика“ Михаила Ломоносова), რომელიც 1755 წელს დაიბეჭდა და პირველი სერიოზული გრამატიკული ნარკვევია რუსული ენის შესახებ, ქვემდებარე-შემასმენელზე არაფერია ნათქვამი. ანტონ I-ის ქართულ გრამატიკაში (პირველი ვარიანტი — 1753 წ., მეორე ვარიანტი — 1767 წ.) ქვემდებარე-შემასმენელი არსად ჩანს. ორივე ავტორთან სინტაქსი სიტყვათა შეკავშირების შესახებ მოგვითხრობს.

§ 136. აზროვნებითი და მეტყველებითი არისტოტელესთან.

ლოგიკის მამამთავარი, „ორგანონ“-ის უკვდავი შემოქმედი არისტოტელე აზრისა და არსის სამყაროს იკვლევდა. ამ კვლევის დროს მისთვის დასაყრდენი იყო მეტყველება. სიტყვიერების ანალიზს მის „ორგანონში“ ამიტომ არა მცირედი ადგილი უკავია. მისი „კატეგორიები“ იძლევიან სიტყვათა კლასიფიკაციას მათის საპრედიკატო შესაძლებლობის მიხედვით; სიტყვა აღებულია არა შეხამებაში სხვებთან, არამედ განცალკევებით; იგი განეკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიას იმისდა მიხედვით, თუ აზრს ან აზრის რა სახეობას აღნიშნავს იგი: „ყოველი სხვებთან დაკავშირების გარეშე თქმული სიტყვა აღნიშნავს ან სუბსტანციას, ან რაოდენობას ან რაგვარობას, ან მიმართებას, ან „სად“-ს, ან „როდის“-ს, ან მდგომარეობას, ან ქონებას, ან მოქმედებას, ან ვნებასო“, ამბობს არისტოტელე¹.

რა კვალიფიკაციაც არ მისცენ „კატეგორიებს“ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, — მიიჩნევენ მას სიტყვათა გრამატიკულ კლასიფიკაციად, თუ დაინახავენ მასში ონტოლოგიური ხასიათის ნააზრევს, — ერთი მაინც უდავოა: არისტოტელე სიტყვათა კლასიფიკაციას ახდენს. ამ კლასიფიკაციას არ ჩაუვლია უკვალოდ გრამატიკისათვის; საერთოდ მისი ტირანია მთელ საშუალო საუკუნეების აზროვნებაზე განუზომელი იყო.

„ორგანონ“-ის მეორე ნაწილი „პერიჰერმენიას“ („გამოთარგმანებისათვის“) არანაკლებ ყურადღებას აქცევს ენობრივ მომენტს: „უწინარესად უნდა დავაწესოთ, რა არის სახელი და რა — ზმნა, შემდეგ რა არის უარყოფა, დამტკიცება, წარმოთქმა (Aussage) და სიტყვა“ (ე. ი. მეტყველება)²; შემდეგ: „სახელი არის... ხმა, რომელიც პირობით რასმე აღნიშნავს გარეშე დროულობისა და თან ისე, რომ მის ნაწილს თავისთავად მნიშვნელობა არა აქვს“³. შემდეგ: „ზმნა არის სიტყვა, რომელიც დროს აღნიშნავს, რომლის ნაწილები არასოდეს არ აღნიშნავენ რასმე თავისთავად და რაც ყოველთვის (ისეთ) რასმე გვაგებინებს, რასაც სხვა (რადაცის შესახებ) აქვს მნიშვნელობა“⁴.

სახელისა და ზმნის დახასიათების შემდეგ არისტოტელე, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვის განსაზღვრებას იძლევა: „სიტყვა (λόγος) არის ხმა, რომელიც პირობით რასმე აღნიშნავს და რომლის ცალკე ნაწილი, განკერძობით აღებული, რასმე აღნიშნავს, როგორც უბრალოდ თქმა, და არა როგორც დადასტურება ან უარყოფა...“⁵ „დადასტუ-

¹ Aristoteles: *Kategorien*, თავი IV, გვ. 37.

² Aristoteles: *Peri hermenias*, თავი I, გვ. 1.

³ იქვე, თავი II, გვ. 2.

⁴ იქვე, თავი III, გვ. 3.

⁵ იქვე, თავი IV, გვ. 4.

რება არის წართქმა, რომელიც რასმე მიაწერს რაღაცას, უარყოფა არის წართქმა, რომელიც რისამე შესახებ რასმე უარყოფს¹.

ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე ე ნობრივი მომენტის ანალიზით იწყებს და მისი საშუალებით ცდილობს არაენობრივი შეისწავლოს, აზრისა და არსის სამყაროს სწვდეს: ეს მკაფიოდ ჩანს თუნდაც მისი „პირველი ანალიტიკის“ იმ ადგილიდან, სადაც იგი ცნებათა მიმართების შესახებ მსჯელობს: თუკი **A** არცერთ **B**-ს არ ეხება, არც **B** შეიძლება რომელსამე **A**-ს ეხებოდეს... მაგრამ თუ **A** ყოველ **B**-ს ეხება, **B**-ც შეეხება რომელსამე **A**-ს“...² ცხადია, აქ **A**-ც, **B**-ც აზრის ელემენტს აღნიშნავს, ლაპარაკია აზრის ელემენტების ურთიერთობის შესახებ.

როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე ს აზრისა და მეტყველების მომენტების ურთიერთობა? ასხვავებდა თუ არა ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე მათ მკაფიოდ? პასუხს ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე ს შემდეგი განსაზღვრება იძლევა: „წინადადება არის სიტყვა (**λόγος**), რომელიც ადასტურებს ან უარყოფს რასმე რისამე შესახებ“³; შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ლოგიკის ცნებასთან არა გვაქვს საქმე: მაგრამ ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე ამ წინადადებას ათავსებს **ცნებასა** და **დასკვნასთან** ერთ სიბრტყეზე: „ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ამბობს იგი, **რა არის წინადადება, რა არის ცნება და რა არის დასკვნა**“⁴. ცხადია, აქ წინადადება მსჯელობის მაგივრობას ეწევა, „წინადადება“-სახელწოდებაში სააზროვნო კატეგორია იგულისხმება; მთელი „ა ნ ა ლ ი ტ ი კ ა“ ამას ამტკიცებს.

რაღაა დასკვნა? „დასკვნა არის სიტყვა (**λόγος**, მეტყველება), რომელშიაც, თუკი რამეა დაშვებული, დაშვებულისაგან განსხვავებული რაღაც აუცილებლობით გამომდინარეობს იმის გამო, რომ იგი (დაშვებული) არის“⁵.

„დასკვნა არის სიტყვა (მეტყველება)“...ეს თქმა ეჭვმიუტანელს ხდის იმას, რომ ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე ს თ ა ნ **მეტყველება და აზროვნება არ არის მკაფიოდ განსხვავებული**: აზროვნების ოპერაციები, რომელთაც სილოგიზმში აქვს ადგილი, და ის სიტყვიერი გამოხატულება, რომელშიაც ეს ოპერაციები იმოსება, ერთურთისაგან გარჩეული არ არის, ერთის ნაცვლად მეორის ხმარება შესაძლებელად და ნორმალურად არის მიჩნეული.

¹ იქვე, თავი VI, გვ. 5.

² Aristoteles: Erste Analytik, თავი II, გვ. 3—4.

³ იქვე, თავი I, გვ. 1.

⁴ Aristoteles: Erste Analytik, თავი I, გვ. 1.

⁵ იქვე, გვ. 2.

ეს ცოტაა; არა მარტო სიტყვა (მეტყველება) და აზროვნება, არამედ სიტყვა და საგანი შეიძლება ერთურთს შეენაცვლოს, ერთმა მეორის მაგივრობა გასწიოს; სანიმუშოდ ვასახელებთ შემდეგ ადგილებს: „საგნები წარითქმიან რომელიმე სუბიექტის შესახებ, ისე რომ სუბიექტში აღარ არიან — ანდა ისინი არიან სუბიექტში ისე კი, „რომ სუბიექტის შესახებ არ იყვნენ წართქმული“...¹ ანდა: „ვინაიდან საგნები არიან ნაწილობრივ ზოგადნი, ნაწილობრივ კერძობითნი, — ზოგადის ქვეშ ვგულისხმობ ისეთებს, რომელნიც ბუნებრივად შეიძლება იქნენ წართქმული მრავალთა შესახებ, — კერძო საგნის ქვეშ, — რაიც არა მრავალთა შესახებ შეიძლება იყოს წართქმული“...²

„საგნები წარითქმიან (werden ausgesagt) რომელიმე სუბიექტის შესახებ“... „საგნები არიან **ნაწილობრივ ზოგადნი, ნაწილობრივ — კერძობითნი**“... მარტო ეს გამოთქმებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: არა თუ მეტყველებისა და აზროვნების მომენტები არ არის მკვეთრად გარჩეული ერთი მეორისაგან, არამედ სიტყვა და საგანიც ერთი მეორეში ირევა... **არისტოტელეს აზროვნების ამ თავისებურების შესახებ შტაინთალი ამბობს:** „არისტოტელე ისწრაფვის სწვდეს წმინდა ცნებებს, როგორც ასეთებს... მაგრამ მის ცნობიერებაში მისთვის შეუცნობლად და შეუმჩნევლად ხან **სიტყვიერი გამოთქმა იჭერს ცნებითი მიმართების ადგილს**, ხან კიდევ **საგანი იჭერს სიტყვის ადგილს**. რაიც **ჩვენთვის სამად არის გათიშული, მისთვის არსებითად ერთია**. ჩვენი გაგებით ეს ერთი არის ცნება და აზრი: მისთვისაც ეს ასეა; მაგრამ იგი შეუწავლავს ხოლმე მას სიტყვას და მეტყველებას ისევე, როგორც საგანთა სამყაროს“³.

არანაკლებ გარკვეულად ახსიათებს **არისტოტელეს** ნააზრევს **ერდმანის** შემდეგი სიტყვები: „ვინაიდან **არისტოტელე** აზროვნებასა და მეტყველებას ერთურთს ისე არ აცილებს, როგორც ეს ამჟამად ხდება, მასთან პირიქით **λῶγος** (სიტყვა) ეწოდება **აზრის ისევე, როგორც წინადადებას**, შემდეგ, — ვინაიდან იგი აზრებსა და, მაშასადამე, სიტყვებს უყურებს, როგორც **δμοιώματα τῶν πραγμάτων**-ს (გამოხატულებას საგანთა), შეიძლება აიხსნას, როგორც ხდება, რომ წესები, რომელსაც იგი წინადადების ანალიზით პოულობს, იღებს გრამატიკული მნიშვნელობის გარდა აგრეთვე ლოგიკურსაც, [შეიძლება იქცეს] ნორმებად სწორი აზროვნებისათვის, მაგრამ დასასრულ მეტ-ნაკლების თანამიმდევრობით მათ ენიჭება მნიშვნელობა, როგორც რეალური ყოფის კანონებს“⁴.

¹ Kategorien, თავი II, გვ. 36.

² Peri herm., თავი VII, გვ. 6.

³ Stainthal: Geschichte der Sprachwissenschaft, I, გვ. 204.

⁴ Erdmann: Gesch. der Philosophie, გვ. 124—125.

გაუდიფერენცირებლობა აზრისა, სიტყვისა, საგნისა¹; ამ ნიადაგზე წარმოშობილი აღრევა ამ სამი სხვადასხვა კატეგორიისა, კერძოდ, მეტყველებითი მომენტის ანალიზით შენაცვლება აზრის ანალიზისა — აი რა დაუტოვა არისტოტელემ შემდგომ საუკუნეებს მემკვიდრეობად. ენობრივი მხარის ანალიზი აზრის ანალიზის ნაცვლად თავის შედეგად ლოგიკის გრამატიზაციას იძლეოდა².

საშუალო საუკუნეებში ლოგიკას შეემატა მხოლოდ ფორმალისმი: „XVII საუკუნემდის ლოგიკას ყველაზე ხშირად განსაზღვრავდნენ როგორც ხელოვნებას მიმოსჯისა (рассуждения), პაექრობისა, საუბრისა, და არა იშვიათად მას ახლოვებდნენ რიტორიკასა და გრამატიკასთან“³.

მოვიგონოთ თუნდაც ბოეთიუსი; მისი განსაზღვრებანი სუბიექტისა და პრედიკატისა უკვე იყო მოყვანილი; რის ნაწილებია სუბიექტი და პრედიკატი? რასაკვირველია, მსჯელობისა, გვეტყვიან ლოგიკოსები: „არისტოტელეზე დამყარებით ბოეთიუსი თავის „*Introd. ad syllog. categor.*“-ში იძლევა მოძღვრებას მსჯელობათა შესახებ, როგორც სილოგიზმის წანამძღვართა და, რომ სავსებით გაარკვიოს მათი ბუნება, შედის სუბიექტისა და პრედიკატის ანალიზში...“, ამბობს ვლადისლავლევი⁴; პრანტლიც აგრეთვე ფიქრობს, რომ ბოეთიუსის სუბიექტი და პრედიკატი მსჯელობის ნაწილებია⁵. რასაკვირველია, ბოეთიუსი აზრის ერთეულს **გულისხმობდა** და ამ ერთეულის ნაწილებად მიაჩნდა სუბიექტი და პრედიკატი; ამდენად ვლადისლავლევიც მართალია და პრანტლიც... მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს იგი **მსჯელობის** ანალიზს აწარმოებდეს; **მსჯელობა, როგორც ასეთი, განსხვავებული სიტყვიერი ფორმისაგან** (წინადადებისაგან), **მისთვის არ არსებობდა**; ეს იქიდან ჩანს ნათლად, რომ ბოეთიუსი ლაპარაკობს *enuntiationum*-ს და არა *judicium*-ის შესახებ, *Simplicium vero enuntiationum* (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)

¹ ამის შესახებ არაფერს ამბობს 1941 წ. გამოსული „История философии“, ტ. I; იხ. გვ. 212 და შემდ.: პარაგრაფი *Логика и диалектика*.

² ლოგიკის გრამატიზაციის თვალსაჩინო ნიმუშია მსჯელობის შემადგენელ ნაწილად სუბიექტისა და პრედიკატის გარდა კობულას მიჩნევა; რომ ასეთი შეხედულება ენობრივი მომენტის ლოგიკურში არევით არის გამოწვეული და, კერძოდ, ინდოევროპულ ენათა აგებულების თავისებურებამ წარმოშვა, საშუალება გვქონდა სხვაგან აღგვენიშნა (იხ. „ყუ-ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ — *წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი*, ტ. II, გვ. 51, შენიშვნა 1).

³ „До XVI в. [логика] определялась чаще всего как „искусство рассуждения, спора, разговора (*ars disserendi, disputandi, dicendi*) и нередко даже сближалась с риторикой и грамматикой“ — იხ. Г р о т: *К вопросу о реформе логики*, стр. 11.

⁴ იხ. *Логика, დამატება*, გვ. 59.

⁵ იხ. Prantl: *Gesch. der Logik*, გვ. 696.

partes sunt subjectum et praedicatum¹; enuntiatio კი უწინარეს ყოვლისა „წართქმა“ (Aussage), „წინადადება“ და არა მსჯელობა. ბოეთიუსი წინადადების წინაარსს, ე. ი. აზრს ეხებოდა, მაგრამ ამ აზრისა და მისი აღმნიშვნელი წინადადების გარჩევა მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც არისტოტელესათვის.

ეჭვს გარეშეა, ასეთ ლოგიკასთან დაახლოება გრამატიკისათვის ადვილი საქმე იყო; ეს დაახლოება ორივე დისციპლინისათვის საზარალო აღმოჩნდა: გრამატიკიზმი ლოგიკაში, ლოგიკიზმი გრამატიკაში დღემდის ცოცხლობენ. და საინტერესო ის არის, რომ ორივეს ერთი პრინციპი აქვს: **სხვა დისციპლინის ობიექტების შესახებ მსჯელობა**. შემთხვევა გვექონდა გვენახა გრამატიკოსები, რომელნიც ამბობდნენ: „წინადადება არის აზრი ანუ მსჯელობა (სიტყვებით გამოხატული)“; გრამატიკოსი აზრის განსაზღვრას კისრულობდა... და პირიქით, მოიპოვებიან ლოგიკოსები, რომელნიც ასე მსჯელობენ. „ის ელემენტი, ის უმცირესი ერთეული, რომელთანაც საქმე აქვს ლოგიკას, არის წინადადება. წინადადება შედგება ქვემდებარისა და შემასმენლისაგან, რომელშიაც რაღაცა ითქმის ქვემდებარის შესახებ“². ...წინადადებისა და მისი ნაწილების ანალიზის დროს ენობრივ მომენტს იხილავენ; ასე, მაგ., გამოჩენილი ინგლისელი ლოგიკოსი ჯ. ს. მილი, რომელიც ამ შემთხვევაში ტრადიციისადმი ერთგულებას იჩენს, აუცილებლად თვლის ლოგიკაში განხილულ იქნეს წინადადება და ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „წინადადება არის თქმა (речение), რომელშიაც რაიმე მტკიცდება ან უარყოფა რისამე შესახებ“, „...ყოველი წინადადება შედგება სამი ნაწილისაგან: ქვემდებარისა, შემასმენლისა და კავშირისაგან. შემასმენელი არის **სახელი** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**), რომელიც აღნიშნავს იმას, რაც მტკიცდება ან უარყოფა. ქვემდებარე არის **სახელი** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**), რომელიც აღნიშნავს იმ პირს ან იმ საგანს, რომლის შესახებაც რაიმე მტკიცდება ან უარყოფა. კავშირი არის ნიშანი უარყოფისა ან მტკიცებისა“³.

თუ **გრამატიკოსი-ლოგიკისტი აზრის დახასიათებით იწყებდა**, აქ **ლოგიკოსი წინადადებისა და მისი ნაწილების შესწავლას ჰკიდებს ხელს**. ერთი და იგივე მოვლენა დასტურდება ორ დისციპლინაში; **ერთი და იგივე შეცდომა დაშვებული ორსავე შემთხვევაში**.

¹ იქვე, შენიშვნა 124.

² ...Тем элементом, той наименьшей единицей, с которым имеет дело логика, является предложение. Предложение состоит из подлежащего и сказуемого, в котором говорится, «сказывается» что-нибудь о подлежащем – М и н т о: Логика, стр. 537 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

³ იხ. Д. С. М и л л ь: Система логики, стр. 13.

§ 137. ლოგიციზმის კრიტიკული ანალიზი. ლოგიციზმი, როგორც ვთქვით (§ 124), ორი სახეობით გვხვდება. მათგან ერთი გრამატიკა-ლოგიკის ცნებათა აღრევას წარმოადგენს. ისიც ვიცით, რომ ლოგიციზმისთვის დამახასიათებელი სწორედ ეს სახეობა არის. ლოგიკა აღარ არჩევდა მსჯელობას წინადადებისაგან (ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, ბ ო ე თ ი უ ს ი...); ამრიგად ლოგიკაში საკმაოდ იყო გრამატიციზმი; როცა წინადადება-მსჯელობის მოძღვრება გადმოიტანეს გრამატიკაში, ამით გრამატიკა (სინტაქსი) გახდა ლოგიკისტური: **ლოგიკისტური გრამატიკა მემკვიდრეა გრამატიკისტული ლოგიკისა.**

ლოგიციზმის პირველი სახეობა სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მასში უცვლელად არის შერჩენილი ლოგიციზმი პირვანდელი სახით, იმ სახით, როგორც იგი წარმოიშვა.

ამ სახეობის მიხედვით: **წინადადება** არის **აზრი** ან **მსჯელობა** (გამოთქმული ან დაწერილი); მაგრამ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, აზრს, მსჯელობას ფსიქოლოგია, ლოგიკა-გნოსეოლოგია შეისწავლიან; ეს მათი საგანია; მაშასადამე, გრამატიკას სხვისი საქმე ეკისრება და ამით ლოგიკა-გნოსეოლოგიის, ფსიქოლოგიისა და გრამატიკის ამოცანები ერთურთში ირევა; ეს გარემოება უკვე განსაზღვრავს ამ შეხედულების მეცნიერულ ღირებულებას.

შემასმენლის შესახებ ნათქვამია: „ეს ის არის, რაც ქვემდებარის შესახებ ითქმის“; ეს კი არის სიტყვასიტყვით გამეორება იმ განსაზღვრებისა, რაც ტრადიციულ ლოგიკაში პრედიკატს გააჩნია. ესე იგი, ლოგიკის ცნება გრამატიკის ცნებად ცხადდება; ეს უკანონო მითვისებაა, მეთოდოლოგიურად კიდევ უფრო დაუშვებელი, ვინემ წინადადების ზემოხსენებული განსაზღვრება: იქ სიტყვიერი მომენტი ნახსენები მაინც არის (აზრი..., „გამოთქმული“), აქ კი ამის კვალიც არა ჩანს.

ქვემდებარის განსაზღვრება იმავე წესით ხდება; ან ამბობენ: „ქვემდებარე ის არის, რის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში“, ესე იგი, მას ისევე განსაზღვრვენ, როგორც სუბიექტს ტრადიციულ ლოგიკაში. ლოგიკის ცნება სუბიექტისა მარტივად მკვიდრდება გრამატიკაში; და მაშინ მასზე მთლიანად ვრცელდება ის, რაიც შემასმენლის განსაზღვრების შესახებ ითქვა. ანდა ამბობენ (ალბათ, მეტი სიცხადისათვის): „**ქვემდებარე** არის **საგანი**, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი“. ამ შემთხვევაში საგანზე ლაპარაკი გრამატიკაში კიდევ უფრო უცნაურად ისმის, ვინემ წინადადების განსაზღვრებისას აზრის, მსჯელობის შესახებ ლაპარაკი: გამოდის ისე, თითქოს გრამატიკა ონტოლოგიური ძიება იყოს, და არა სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც მეტყველებას შეისწავლის (უკეთ ვთქვათ, მეტყველების ზოგიერთ მხარეს).

ერთი სიტყვით, ლოგიციზმის პირველი სახეობა სამეცნიერო აზროვნების ელემენტარულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათა უხეშ დარღვევაზეა დაფუძნებული.

უფრო ფრთხილია მეორე სახეობა; მისთვის **ქვემდებარე, შემასმენელი სიტყვებია ოდენ, წინადადება კი — სიტყვათა შეხამება**. რომელი სიტყვაა ქვემდებარე, რომელია — შემასმენელი? სიტყვათა რანაირი შეხამებაა წინადადება? ამაზე პასუხის გაცემით იწყება აპელაცია ლოგიკის სამყაროსადმი. სიტყვათა შეხამება უნდა გამოხატავდეს აზრს; ქვემდებარე-შემასმენელი კი ის სიტყვებია, რომლებითაც გადმოცემულია სუბიექტი და პრედიკატი. აზრი აქ უფრო საბოპულაროზაციო მიზნით უნდა იყოს ნახმარი, მისი რეალური ღირებულება «მსჯელობა» უნდა იყოს; ეს იქიდანა ჩანს, რომ **ამ აზრის ელემენტებად სუბიექტი და პრედიკატი** გვევლინება: საგანი, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი; ის, რაც ამ საგნის შესახებ არის ნათქვამი (იხ. მაგ., კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი ს განსაზღვრება). ამრიგად, **დასაყრდენია აზრი (მსჯელობა) და მისი ელემენტები — სუბიექტი და პრედიკატი**; ამათი **სიტყვიერი გამოხატულებაა: წინადადება, ქვემდებარე და შემასმენელი**.

ასე რომ, ამ სახეობის მეთოდოლოგიური პრინციპია **შესატყვისობა აზრისა (მსჯელობისა) და წინადადების**; აზრის ელემენტებისა (სუბიექტის, პრედიკატისა) და **წინადადების წევრების (ქვემდებარისა და შემასმენლის) პარალელიზმი**.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ჯერ ერთი, სრულიად დამოუკიდებელი ენისაგან უნდა იქნეს გარკვეული, **რა არის აზრი (მსჯელობა), სუბიექტი, პრედიკატი**; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გამოვიყენოთ ესენი დასაყრდენად, გავარკვიოთ მათი საშუალებით: წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი. მეორეცაა და, ცნება აზრისა (მსჯელობის) **თავისი მოცულობით** სავსებით უნდა **ფარავდეს ცნება წინადადებას**; ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნაკლები; აგრეთვე **სუბიექტ-პრედიკატ-ცნებათა მოცულობა** უნდა უდრიდეს **ქვემდებარე-შემასმენელ ცნებებისას**; სხვანაირად რომ ვთქვათ, **ყოველ წინადადებაში უნდა იყოს მოცემული მსჯელობა, ყოველი ქვემდებარე უნდა აღნიშნავდეს სუბიექტს, ყოველი შემასმენელი — პრედიკატს**.

ეს ორი ძირითადი პირობა უნდა იქნეს შესრულებულ-დაცული, თუ გვინდა მსჯელობასა და მის ელემენტებზე დავამყაროთ წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრება.

პირველი პირობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ლოგიკოსი მსჯელობის განსაზღვრებას ენისაგან დამოუკიდებელი კი არ აწარმოებს, არამედ სწორედ წინადადებას ემყარება, წინადადე-

ბაზე დაყრდნობით აწარმოებს მსჯელობის განსაზღვრას. ასე მაგ., ზ ი გ - ვ ა რ ტ ი ამბობს: „წინადადება, რომელშიაც რაიმე გამოითქმის რისამე შესახებ, არის გრამატიკული გამოხატულება მსჯელობისაო“¹; წინადადება მას მიაჩნია მსჯელობის იმ ნიშნად, რომელსაც განეკუთვნება ობიექტური არსებობა (დაწერილია ან გამოითქმის)², იგია მხილება აზრისა; ყოველ შემთხვევაში, ზ ი გ ვ ა რ ტ ი ს თ ვ ი ს მსჯელობის ჩამოსაყალიბებლად წინასწარ აუცილებელია წინადადების გარკვეულობა: **წინადადება უკვე მოცემულია, მსჯელობა ირკვევა წინადადების საშუალებით**; და როცა გრამატიკოსი, ლოგიკის მოიმედე, ცდილობს მსჯელობაზე დაამყაროს წინადადების განსაზღვრება, განა შესაძლებელია მოჯადოებულ წრეს (circulus vitiosus) თავი დავაღწიოთ? ასეთია პირველი პირობის ვითარება.

მეორე პირობის განხილვა მოითხოვს წინასწარ გამოირკვეს ერთი საკითხი; წინადადება და მისი ნაწილები უნდა შეესატყვისებოდეს მსჯელობას და მის ელემენტებს: სუბიექტსა და პრედიკატს; კი, მაგრამ **რომელი გაგებით?** ამ საკითხში **ლოგიკოსები არანაკლებ განსხვავდებიან ერთურთისაგან**, ვინემ **სხვა ფუძემდებელი საკითხების გაგებაში**. რა არის მსჯელობა? რა შეადგენს მის რაობას? რა არის სუბიექტი, პრედიკატი? როგორია მსჯელობის დამოკიდებულება წინადადებასთან? ეს კითხვები არსებითად განსხვავებულ პასუხს პოულობს სხვადასხვა ლოგიკოსთან.

ვთქვათ, ერთი უკიდურესი ფრთა ამბობს: „მსჯელობა არის გონებრივი აქტი, რომელიც თან ახლავს წინადადების გამოთქმას: მსჯელობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ წინადადების სახით, არა სხვანაირად... აგრეთვე წინადადება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გამოხატულება მსჯელობისა“...³ „ის უმცირესი ერთეული, რომელთანაც საქმე აქვს ლოგიკას, არის წინადადება...“, წინადადება შეიძლება დავშალოთ ნაწილებად, ზოგად სახელებად, რომელთა შესახებ მოძღვრება არის ამოსავალი პუნქტი სილოგისტური ანალიზისათვისო“⁴; **სიტყვიერი მომენტი აქ ყურადღების ცენტრშია**; მისი შემწეობით სურთ აზრის სათანადო მოვლენები არკვიონ. ეს — ერთი მხრით. სხვები კი გვეტყვიან: მართალია, აზრი ჩამოისხმის ენის ფორმებში, მაგრამ ამ ფორმების ანალიზი ლოგიკისათვის არაფრის მაქნისია; პირიქით, „ლოგიკისათვის აუცილებლად საჭიროა აზრის წმინდა ელემენტები ზედმიწევნით განსხვავოს ენობრივი სამოსისაგან“⁵. ამ ორ უკიდურესობას შორის მრავალი გარდამავალი საფეხური მოიპოვება.

¹ Зигварт: Логика, т. I, § 5, გვ. 24.

² იქვე.

³ М и н т о, Логика, გვ. 165—166.

⁴ იქვე, გვ. 53—54.

⁵ იხ. Schuppe: Gurndriß, გვ. 1.

სუბიექტი და პრედიკატიც სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული. ტრადიციულად მას განსაზღვრავს ზიგვარტი: „ის, რის შესახებაც რაიმე გამოითქმის, არის სუბიექტი; ის, რაც გამოითქმის, არის პრედიკატი“¹. თითქმის ასევე — მინტოც².

ვედენსკის მეტი გარკვეულობა შეაქვს ამავე განსაზღვრებაში, როცა ამბობს: „აზრი იმის შესახებ, რის შესახებაც მსჯელობაში რასმე ვამტკიცებთ ან უარყოფთ“, არის სუბიექტი; „აზრი იმის შესახებ, რაც მტკიცდება ან უარიყოფა ჩვენ მიერ“, არის პრედიკატი; გაურკვეველი „**ის რაც**“... აქ შეცვლილია გარკვეულით: „**აზრი**“... ამას გარდა ტრადიციული გაგება აქ განვრცობილ-გადამუშავებულია ამ „აზრის“ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციით (ამაზე ქვემოთ).

არსებითად სხვაა ლიფსის განსაზღვრება: „სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ ის, რაც მსჯელობის აქტში ნაგულისხმევია (Vorausgesetzte), მოცემულია, რაც საფუძვლად უდევს პრედიკაციას, ამრიგად ის, რასაც რაიმე განეკუთვნება ობიექტური აუცილებლობის შეგნებით, ანდა რომლის დაშვებით უნდა იქნეს რაიმე ნაფიქრი; პრედიკატის ქვეშ — მხოლოდ ის, რაც მას განეკუთვნება ან მის დაშვებასთან უნდა იქნეს ნაფიქრი³; ვუნდტისათვის კი სუბიექტი არის მთლიანი წარმოდგენის ის ნახევარი, რომელიც საგანს წარმოადგენს; პრედიკატი კი, — რაც მითვისებასა ან მდგომარეობას აღნიშნავს⁴.

რა შეხედულებაა დასაყრდენი ლოგიკისტიკისათვის, როცა იგი წინადადებისა და მის ნაწილების შესატყვისობას ლოგიკაში ეძიებს? რომელი მიმართულებაა მისთვის საორიენტაციო? ჩვეულებრივად ის ტრადიციული შეხედულება, რომელიც ამბობს: „მსჯელობის დროს მე გამოვთქვამ რასმე რისამე შესახებ; ...ის, რაც გამოითქმის, პრედიკატია; ის, რის შესახებაც რაიმე გამოითქმის, არის სუბიექტი...“

არჩევანი სხვადასხვა ლოგიკურ მიმართულებებში, რომელსაც ლოგიკისტი-გრამატიკოსი აკეთებს, მეტად დამახასიათებელია, მისი ორიენტაცია ძალზე სიმბტომატურია: მისი საყრდენია არა ის ლოგიკა, რომელიც ცდილობს მტკიცედ შემოფარგლოს ლოგიკის სამყარო, არამედ ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად გამოკვეთილია მეცნიერული თავისთავადობის მხრით, და, ამრიგად, — ყველაზე სუსტი.

რამდენად გამოხადვია თუნდაც **ასეთი**, ტრადიციული, ფორმალური ლოგიკის **გაგება მსჯელობისა** და **მისი ელემენტებისა**, როგორც **და-**

¹ Логика, I, § 5, გვ. 25.

² იქვე, გვ. 53.

³ Logik, § 40, გვ. 20.

⁴ Logik, გვ. 152.

საყრდენი წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრებისათვის? შეიძლება თუ არა შესატყვისობის პრინციპზე დავამყაროთ წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრებანი? **შეუძლებელია** და აი რატომ.

ა. მსჯელობა-ცნება და წინადადება-ცნება ერთმანეთს არ ფარავენ მოცულობით: ავიღოთ — კითხვითი, ბრძანებითი წინადადებანი: «იქნება წელს სუსხიანი ზამთარი?» «დაწერეთ ეს სამუშაო!» არის თუ არა ეს წინადადებები? რასაკვირველია, წინადადებებია. მაგრამ არის თუ არა მათში მსჯელობები მოცემული. არა, გვეტყვიან ლოგიკოსები, მათ შორის ტრადიციული ფორმალური ლოგიკის წარმომადგენლებიც. მაშასადამე, ყოფილა წინადადებები, რომელთა შინაარსი მსჯელობას არ წარმოადგენს; თუ ლოგიციზმის განსაზღვრება გავიზიარეთ, ხსენებულ ფრაზებს წინადადებებად ვერ ჩავთვლით. ამრიგად ყოველი წინადადება როდია მსჯელობა; **წინადადების ცნება უფრო ფართოა თავისი მოცულობით, ვინემ მსჯელობისა;** ამიტომ შეუძლებელია წინადადების განსაზღვრა მსჯელობაზე დაყრდნობით.

ამას შემდეგი უნდა დავუმატოთ: ზოგიერთი ლოგიკოსი იმ აზრისა არის, რომ არა თუ ყოველი წინადადება არ არის მსჯელობის გამოხატულება, არამედ პირიქითაც: ყოველი მსჯელობა როდი გადმოიცემა წინადადებით; ლიფსი, მაგალითად, გვეუბნება: გარეგნული მხარე, მეტყველების სამოსი არ არის არსებითი მსჯელობისათვის; ბავშვი, რომელსაც, ვთქვათ, ცეცხლის ალმა ხელი დასწვა ერთხელ, მეორედ უფრთხილდება ალს. რატომ? იმიტომ, რომ მას ახსოვს წინანდელი განცდა ტკივილისა, — მან იცის, რა მოჰყვება ალის შეხებას, მის ცნობიერებაში უკვე არის სათანადო აქტი მსჯელობისა, თუმცა მან ლაპარაკი არც კი იცის და ვერც გამოთქვამს ამას. არა მხოლოდ ბავშვი, არამედ მოზრდილიც ხშირად არ მართავს წინადადებას მსჯელობის გადმოსაცემად; უბრალო ამოძახილი, მითითება, ცალკე სიტყვა შეიძლება ასრულებდეს წინადადების მაგივრობასო¹. ერთი სიტყვით: **ყოველ წინადადებას არ უდრის მსჯელობა, არც ყოველ მსჯელობას — წინადადება;** ამ ორი ცნების მოცულობა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს.

ბ. ახლა მსჯელობისა და წინადადების ნაწილთა შესახებ: შესატყვისება თუ არა ყოველთვის ქვემდებარე სუბიექტს? „ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, ვის ანუ რის შესახებ არის ლაპარაკიო“. მაგრამ ცნობილია, რომ ის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, ვის ანუ რის შესახებაც არის ლაპარაკი, ქვემდებარედ ყოველთვის ვერ ჩაითვლება: ლათინურ ფრაზაში *placet mihi liber* «მომწონს მე წიგნი», ლაპარაკი, ცხადია, მე

¹ იხ. Lipps: Logik, §§ 45, 46, გვ. 23—24.

შემეხება: *mihi* არის ამ მსჯელობის სუბიექტი ტრადიციული ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით, გრამატიკისათვის კი ქვემდებარე არის *liber (mihi)* კი არის დამატება); ვერც ერთი ლოგიკისტი-გრამატიკოსი ვერ უარყოფს ამას... ასეთი მაგალითები უხვად არის სხვა ენებშიც; მაგალითად, *es scheint mir* — «მე მეჩვენება», *мне нужна тетрадь* — «მე მჭირდება რვეული»... და სხვ. (მაგალითები ქართულიდან განზრახ არ მოგვყავს: შესაძლებელია ანალოგიურ ფრაზებში ქვემდებარე-დამატების გამოსახულება საცილობლად იქნეს მიჩნეული). მაგრამ დასახელებული ნიმუშები ზოგიერთი ენებიდან საკმაო სიცხადით არკვევს, რომ **მსჯელობის სუბიექტი სხვაა, წინადადების ქვემდებარე — სხვა**; პარალელიზმი **ვერც ტარდება, შესაბამისობას ადვილი არა აქვს**.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ ვიცოდით, რომელია ის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვის ანუ რის შესახებაც არის ლაპარაკი, ოღონდ ეს სიტყვა არ იყო ხოლმე ქვემდებარე. მაგრამ ხშირად არ არის ადვილი იმის გარკვევა, რომელია **ის სიტყვა**, რომელიც აღნიშნავს, თუ ვის ანუ რის შესახებაც არის ლაპარაკი, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როგორც ხშირად გვხვდება ქართულში; მაგ., წინადადებაში: **მამას უყვარს შვილი; მელას შემოეყარა ტურა...** ვის ანუ რის შესახებ არის აქ ლაპარაკი? **ლაპარაკია მამის შესახებ, რომ მას უყვარს შვილი, თუ შვილის შესახებ, რომ იგი უყვარს მამას**; ლაპარაკია მელას შესახებ, რომ მას შემოეყარა ტურა, თუ პირიქით, ტურის შესახებ, რომ იგი შემოეყარა მელას.

რასაკვირველია, შეიძლება გვითხრან, რომ პირველ ფრაზაში ლაპარაკია მამის შესახებ; საბუთად მოიყვანონ, რომ „მას უყვარს“, „იგი მოქმედი“ და ეს ცხადია უცხო (ევროპული) ენებიდან, სადაც ეს უფრო ნათლად ჩანს: *отец любит сына; der Vater liebt den Sohn; pater filium amat...* მაგრამ უცხო ენაზე მითითება აქ საბუთად ვერ გამოდგება: ერთი ენის აგებულება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მეორისაგან; ამისდა კვალად ერთი ენის კატეგორია-სქემებით ხელმძღვანელობა მეორის შესწავლისას შეიძლება ისევე შეუფერებელი აღმოჩნდეს, როგორც „ერთი ქალაქის გეგმით ხელმძღვანელობა მეორე ქალაქის დათვალეობისას“ (**Mauthner**); ქართულს ფრაზაში **მამა** არ არის წარმოდგენილი მოქმედად, ისევე როგორც ის არის, ვთქვათ, რუსულში, გერმანულში ან ლათინურში; მისგან კი არ გამომდინარეობს „მოქმედება“, არამედ მას მიეწერება იგი (შვილის სიყვარული); ამდენადვე ამ გზით საკითხი ვერ გადაწყდება. მეორე ფრაზაში მელას თუ ტურას აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია (მელას შემოეყარა ტურა): აზრის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, რომელია ქვემდებარე: „მელას“ თუ „ტურა“... შესაძლოა ვინმემ უპირატესობა იმ სიტყვას მისცეს, რომელიც სახელობითია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს უცხო ენის თვალ-

საზრისის გამოყენებას ნიშნავს, და მეორე, რაც მთავარია, ეს იქნებოდა აშკარა უარყოფა იმ პრინციპისა, რომლითაც ხელმძღვანელობა სავალდებულოა: ვის (რის) შესახებ არის ლაპარაკი. ამგვარად: ზემოხსენებული პრინციპით ასეთ მაგალითებში გარკვევა და ქვემდებარის გამოძებნა შეუძლებელია.

ვის შესახებაცაა ლაპარაკი ამა თუ იმ ფრაზაში, ჩვეულებრივ ეს ირკვევა კონტექსტში; მართლაცაა, პირველი ფრაზა: „მამას უყვარს შვილი“ სამნაირად შეიძლება გამოითქვას: ძლიერი ინტონაცია იყოს პირველ, მეორე ან მესამე სიტყვაზე: ა) **მამას** უყვარს შვილი: უყვარს მამას და არა, ვთქვათ დედას: კონტექსტის **აზრის მიხედვით** აქ ლაპარაკია მამის შესახებ; მაშასადამე, **ლოგიკისტური განსაზღვრების მიხედვით** «მამას» არის ქვემდებარე; ბ) „მამას უყვარს **შვილი**“; შვილი და არა ცოლი, ძმა ან სხვა ვინმე, იმავე პრინციპის მიხედვით ქვემდებარე იქნება «შვილი»... გ) „მამას **უყვარს** შვილი“, უყვარს და არა სძულს ან ეზიზღება; რის შესახებაა აქ ლაპარაკი? იმის შესახებ, რომ უყვარს; ამრიგად «უყვარს» ყოფილა ქვემდებარე; ზმნის გარკვეული ფორმა აღმოჩნდა ქვემდებარე, რასაც თვით ლოგიკისტური გრამატიკაც ვერ აიტანს; გრამატიკოსს ასეთი კაზუსი სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს, ლოგიკოსისათვის კი ასეთი შემთხვევა განსაკუთრებულს არაფერს უნდა წარმოადგენდეს, თუ აზრის ანალიზი გვაქვს მხედველობაში.

ეს კია, რომ ტრადიციული ფორმალური ლოგიკა ერთი ფრაზის შინაარსის ასეთ მოდიფიკაციებს არ ვარაუდობს, მაგრამ ეს მოდიფიკაცია დეტალიზაცია და განვითარებაა იმ განსაზღვრებისა, რომელიც ტრადიციულ ლოგიკაშია წარმოდგენილი; და თუ მისაღებია **სუბიექტად** იმის **მიჩნევა, ვის ანუ რის შესახებაც არის ლაპარაკი, უდავოა, რომ ასეთი სუბიექტის ძიება ყველაზე მართებულია ამ გზით ხდებოდეს**¹.

¹ სუბიექტისა და პრედიკატის ტრადიციული განსაზღვრების ასეთ ინტერპრეტაციას ადგილი აქვს, მაგალითად, ვედენსკის *Логика*-ში (იხ. გვ. 54—55); ფრანკი ასეთ ინტერპრეტაციას ფსიქოლოგისტურს უწოდებს: იგი აღნიშნავს, რომ ინტონაციის გამოცვლით მიღებულია ახალი მსჯელობა: ობიექტური, საგნობრივი აზრი ცვლილებისა და მიუხედავად ერთი და იგივეა; ინტონაციით, ხაზგასმის გზით ჩვენ აღვნიშნავთ, რა გვინტერესებს ჩვენ, რა გვინდა ვთქვათ... (იხ. მისი *Предмет знания*, გვ. 6—7). ტრადიციული ფორმალური ლოგიკა რომ ობიექტურ აზრს (*объективный смысл*) ეძიებდეს, მის განსაზღვრებათა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ იგი ენობრივ მომენტს ემყარება; ცვლილება ამ უკანასკნელში არ შეიძლება მასაც არ დაეტყოს; ამდენადაც იგი სრულიადაც არ არის დაზღვეული სუბიექტივიზმისა და ფსიქოლოგიზმისაგან.

აზრის ნიუანსები, რომლებიც ინტონაციის ცვლით არის გამოწვეული, შეიძლება სიტყვათა რიგის ცვლით აღინიშნონ.

ამ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციის გარეშეც შეიძლება შეიქმნეს ისეთი ვითარება, რომ „ის, რის შესახებაც არის ლაპარაკი“, ქვემდებარედ სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდება. ლოსკის ასეთი მაგალითი მოჰყავს: „ვთქვათ, ჩვენ წინ არის ევკლიდის გეომეტრიის შემდეგი ნაწყვეტი: „...გადავიდეთ ახლა სწორფერდოვანი სამკუთხედების განხილვაზე; სწორფერდოვან სამკუთხედებში ფუძესთან მდებარე კუთხეები თანასწორია». საგანი, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკია, არის, რასაკვირველია, «სწორფერდოვანი სამკუთხედები», მაშასადამე, საგანი და სუბიექტი მსჯელობისა გამოხატულია სიტყვებით: «სწორფერდოვან სამკუთხედებში», პრედიკატი კი — სიტყვებით: «ფუძესთან მდებარე კუთხეები თანასწორია»¹. ასეთი შემთხვევები მეტყველების კონტექსტში ყოველ ნაბიჯზე შეგვხვდება; ქვემდებარე-შემასმენლისა და სუბიექტ-პრედიკატის შესაბამისობაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია².

რასაკვირველია, მრავალია ისეთი შემთხვევა, სადაც წინადადებისა და მსჯელობის ელემენტების პარალელიზმი შეიძლება ჩატარდეს უმტკივნეულოდ; მაგალითად, მარტივ გაუვრცელებელ წინადადებაში, როგორცაა: «ბავშვი თამაშობს», «მოსწავლე სწავლობს», «ჩიტი დაფრინავს»... «ბავშვი» ქვემდებარეც არის და მსჯელობის სუბიექტსაც გამოხატავს; «თამაშობს» შემასმენელიც არის და პრედიკატსაც აღნიშნავს³; პარალელიზმი სრულია; შესატყვისობა მთლიანად დაცულია. მაგრამ პარალელიზმი გაქრება, როგორც კი გავავრცობთ იმავე წინადადებას: «ჩვენი მეზობლის ცელქი ბავშვი მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს», «ბეჯითი მოსწავლე კარგად სწავლობს გაკვეთილებს».

ლოგიკისათვის პირველ ფრაზაში სუბიექტი იქნება «ჩვენი მეზობლის ცელქი ბავშვი», პრედიკატი კი: «მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს». ასევე — მეორე ფრაზაში სუბიექტია «ბეჯითი მოსწავლე», პრედიკატია: «კარგად სწავლობს გაკვეთილებს».

ლოგიკისტური პრინციპის მიხედვით მივიღებდით უცნაურ **ქვემდებარეებს** («ჩვენი მეზობლის ცელქი ბავშვი», «ბეჯითი მოსწავლე») და **შემასმენლებს** («მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს», «კარგად სწავლობს გაკვეთილებს»). და ეს მაშინ, როცა გრამატიკოსისათვის **ქვემდებარეც, შემასმენელიც** (თუ რთული არაა) **ერთი სიტყვით უნდა იყოს გადმოცემუ-**

¹ იხ. Логика, I, 65.

² თავისთავად ცხადია, რომ ლოსკის მაგალითში ინტონაციის როლს კონტექსტი ეწევა; იქ ინტონაცია ცვლილებებს იწვევდა ერთი ფრაზის ფარგლებში, აქ ფრაზათა კონტექსტში ერთი ფრაზის ამა თუ იმ ნაწილს მიეპყრობა გულისყური, ის ხდება „იმად, რის შესახებაც არის ლაპარაკი“.

³ იგულისხმება, რომ ინტონაცია ჩვეულებრივია.

ლი. სხვა სიტყვები ზოგი განსაზღვრებაა, ზოგი — დამატება, ზოგიც — გარემოება, რომელთაც ლოგიკისტური გრამატიკა სრულიადაც არ აუქმებს.

მერე სადღა ამ უკანასკნელთა შესატყვისი ელემენტები მსჯელობაში? ვთქვათ, ქვემდებარეს სუბიექტი უდრის; შემასმენელს — პრედიკატი; **რადა უდრის გრამატიკის დამატებას, განსაზღვრებას, გარემოების სიტყვებს?** შეიძლება თუ არა მათ მოეძებნოს პარალელი მსჯელობაში? რასაკვირველია არა.

ეს კი ნიშნავს: ლოგიკისტური გაგებით **წინადადების მეორენაარის-ხოვანი წევრებისათვის არავითარი დასაყრდენი არ მოიპოვება.** მათი დახასიათება შეუძლებელია იმ პრინციპის მიხედვით, რითაც ვხელმძღვანელობდით ქვემდებარე-შემასმენლის დახასიათებისას.

ამრიგად: მსჯელობისა და წინადადების პარალელიზმზე დაყრდნობით ლოგიკიზმი ვერ იძლევა წინადადებისა და მისი წევრების თანამიმდევრულ განსაზღვრებას.

მასთან, წინადადების **ლოგიკისტური ინტერპრეტაცია სრულიად ივიწყებს იმ სხვაობას, რაც ენებს შორის არსებობს წინადადების სტრუქტურის მხრივ: ჩინური, აფხაზური, ლათინური ერთნაირად უნდა იქნეს დახასიათებული.**

თუ ლოგიკოსები ცდილობენ ბოლო მოუღონ გრამატიკიზმს ლოგიკაში, გრამატიკისათვის კიდევ უფრო აუცილებელია თავი დააღწიოს ლოგიკიზმს; გრამატიკულისა და ლოგიკურის გამიჯვნას მოითხოვს სამეცნიერო ინტერესები, როგორც გრამატიკისა, ისე ლოგიკისა¹.

§ 138. წინადადების ფსიქოლოგიკისტური განსაზღვრებანი პაულისა და ვუნდტისა. წინადადების შესახებ პაული ამბობს: „წინადადება არის ენობრივი გამოხატულება, სიმბოლო იმისა, რომ მეტყველის სულში ადგილი ჰქონდა მრავალ **წარმოდგენათა ჯგუფის შეკავშირებას**, და საშუალება იმისათვის, რომ წარმოშვას იმავე წარმოდგენათა იგივე შეკავშირება მსმენელის სულში“².

¹ გრამატიკა-ლოგიკის ამ მხრივ ურთიერთობისა და კერძოდ ლოგიკიზმის შესახებ გრამატიკაში იხ. **П о т е б н я:** Из записок I-II, გვ. 60 და შემდ. **К е р н:** Грамматическое предложение и логическое суждение: Педагог. сборн., стр. 426, 452; **В е д е н - с к и й:** Логика, стр. 50–57; **Лосский:** Логика I, стр. 64–67; **С л а н с к и й:** Грамматика как она есть..., стр. 3; **П е ш к о в с к и й:** Школьная и научная грамматика, стр. 52–54 და სხვ. დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები ამ შრომების შესახებ იხ. ბოლოს **„მითითებული ლიტერატურის“** სიაში.

ამ ლიტერატურაში წარმოდგენილი არგუმენტაციიდან გამოყენებულია ის, რაც მისაღებად მიგვაჩნდა; უგულებელყოფილია, რაც უმართებულოდ ჩავთვალეთ.

² Paul: Prinzip. § 85, გვ. 121.

ვუნდტი წერს: „წინადადება მისი სუბიექტურისა თუ ობიექტური ნიშნების მიხედვით შეიძლება განსაზღვროთ, როგორც ენობრივი გამოხატულება მთლიანი წარმოდგენის ნებისითი დანაწევრებისა მის შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც ურთიერთთან ლოგიკურ მიმართებაშია დასმული“¹.

პაულისა და ვუნდტის განსაზღვრებას ორი რამ აქვს საერთო. ჯერ ერთი, ორივეს მიხედვით წინადადება არის **ენობრივი გამოხატულება**: წინადადება-ცნების განსაზღვრისას, ამნაირად უახლოესი გვარი (*genus proximum*) ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა. მართალია, კითხვაზე: „რავარ ენობრივ გამოხატულებას უნდა ეწოდოს წინადადება“ — პასუხი სხვადასხვანაირია; პაული გვეუბნება: „ისეთ ენობრივ გამოხატულებას, რომელიც წარმოდგენათა **შეკავშირებას** გადმოგვცემს“; ვუნდტი კი პირიქით, ფიქრობს, რომ ეს ისეთი „ენობრივი გამოხატულებაა, რომელიც მთლიანი წარმოდგენის შემადგენელ ნაწილებად **დაშლას** აღნიშნავს“. სხვანაირია ეს პასუხი თავისი შინაარსით; ამისდაკვალად სხვადასხვანაირია წინადადების განსაზღვრებაში სპეციფიკური განსხვავება (*differentia specifica*); ამ უკანასკნელის **შინაარსი** პაულისა და ვუნდტის განსაზღვრებაში დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს; მაგრამ **პრინციპი**, რომლის მიხედვითაც არის ეს სპეციფიკური განსხვავება გამომუშავებული, ორსავე განსაზღვრებაში ერთი და იგივეა. ეს პრინციპია: **დადგენილ იქნეს ბუნება იმ ფსიქიკურ პროცესთა, რომლებიც თან ახლავს „ენობრივ გამოხატულებას“**. ეს პრინციპი არის ის მეორე ნიშანი, რომელიც საერთოა პაულისა და ვუნდტის განსაზღვრებაში.

მეტსაც ვიტყვით: ეს პრინციპი ფსიქოლოგიზმის ზოგადი პრინციპია, რამდენადაც ფსიქოლოგიზმი ენათმეცნიერულ აზროვნებაში იჩენს თავს: მეტყველების მოვლენათა კვალიფიკაცია იმისდა მიხედვით, თუ **ცნობიერების რავარი მოვლენებს აღნიშნავენ ისინი**, — ფსიქოლოგიზმის ძირითადი მეთოდოლოგიური წანამძღვარია; წინადადებად მიიჩნევა ესა თუ ის ენობრივი გამოხატულება, უკეთეს იგი გადმოგვცემს ცნობიერების გარკვეულ მოვლენებს; ესა თუ ის სიტყვა მიიჩნევა მეტყველების ამა თუ იმ ნაწილად იმისდა მიხედვით, თუ რავარი ფსიქოლოგიური ღირებულება აქვს მას.

§ 139. მსჯელობა ფსიქოლოგიური გაგებით, როგორც საფუძველი წინადადებისა. წინადადება „ენობრივი გამოხატულებაა“. რისა? ეს სხვადასხვაგვარად ესმის პაულსა და ვუნდტს, სხვადასხვაგვარად იმიტომ, რომ სხვადასხვაგვარია იმ **ფსიქოლოგიური** ცნების გაგება, რომელიც წინადადებას შეესატყვისება. ეს ცნებაა **მსჯელობა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით**.

¹ Wundt: Völkerpsychologie, ტ. II, გვ. 248.

წარმოდგენათა შეკავშირება, რომლის შესახებაც პაულ ლაპარაკობს, არის მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა გარკვეული შეხედულების მიხედვით; ასე მაგალითად, ზიგვარტის გაგებით მსჯელობისათვის საჭიროა ორი წარმოდგენა; „წარმოდგენა, რომელიც აღნიშნავს სუბიექტს; იგი მოცემულია უწინარეს ყოვლისა... მას ემატება ჩვენს ცნობიერებაში მეორე წარმოდგენა, რომელიც პრედიკატად გვევლინება“¹.

წინადადების ვუნდტიციულ განსაზღვრებას შეიძლება შევუდართოთ იმავე ვუნდტიცი „ლოგიკის“ შემდეგი ადგილი, სადაც მსჯელობა განსაზღვრულია, როგორც „დანაწევრება მთლიანი წარმოდგენისა მის შემადგენელ ნაწილებად“².

ამრიგად: ის, რაც წინადადების ფსიქოლოგიურ რაობას წარმოადგენს პაულის მიხედვით, ზიგვარტის შეხედულებით მსჯელობის რეალობას განსაზღვრავს; მთლიანი წარმოდგენის შემადგენელ ნაწილებად დაშლა ესაა ვუნდტიციისათვის როგორც წინადადების ფსიქიკური საფუძველი, ისე მსჯელობის რაობაც.

მართალია, მსჯელობის ეს განსაზღვრება ორსავე შემთხვევაში ლოგიკაში გვხვდება; გარდა ამისა პირველ შემთხვევაში ერთი და იგივე განსაზღვრება სხვადასხვა მოაზროვნესთან (პაული, ზიგვარტი) იჩენს თავს, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის; ლოგიკაში წარმოდგენილ განსაზღვრებაზე დაყრდნობა იმიტომ არ არის უხერხული, რომ ზიგვარტიცა და ვუნდტიც ლოგიკაში (ყოველ შემთხვევაში, **მსჯელობის საკითხში**) ფსიქოლოგისტები არიან; ლოგიკაში ისინი **მსჯელობის აქტის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციიდან გამოდიან**; ამიტომ მსჯელობის მათს განსაზღვრებაში ფსიქოლოგიური მომენტია წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე გარემოებას, პაულის განსაზღვრების დამყარება ზიგვარტისაზე იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ორივე ერთ ნიადაგზე დგას, ერთი ფსიქოლოგიით საზრდოობს. ამიტომ თამამად შეიძლება ზიგვარტზე დაყრდნობით პაულის განსაზღვრების პრინციპი ნათელყოფოთ...

§ 140. ჰერბარტის ფსიქოლოგიის პრინციპები და პაულისეული განსაზღვრება წინადადებისა. საკითხავია: თუ პაულიც მსჯელობის ფსიქოლოგიურ გაგებაზე ამყარებს წინადადების განსაზღვრებას, ვუნდტიც, როგორ მოხდა, რომ მათი განსაზღვრებანი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა; როგორ მოხდა, რომ ორი განსაზღვრება, ერთ პრინციპზე დაფუძნებული, სულ სხვადასხვა შინაარსის მქონეა; უკეთ რომ ვთქვათ, **როგორ არის შესაძლებელი მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა ასე განსხვავებულად იყოს გაგებული.**

¹ იხ. ზიგვარტ: *Логика*, I, გვ. 26.

² იხ. Wundt: *Logik*, I, გვ. 148.

ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ზოგად ფსიქოლოგიურ ბაზაში, რომელსაც ემყარება მსჯელობისა და მასთან წინადადების ეს სხვადასხვაგვარი გაგება: ენათმეცნიერი პაულის ჰერბარტის ფსიქოლოგიის ნიადაგზე დგას, ფსიქოლოგი ვუნდტი ენის პრობლემებს საკუთარი ფსიქოლოგიური სისტემის თვალსაზრისით არკვევს; და თუ გვსურს გავიგოთ, რატომ განსხვავდება პაულის განსაზღვრება ვუნდტისეულისაგან, უნდა მოვიგონოთ ჰერბარტისა და ვუნდტის ფსიქოლოგიის პრინციპები.

ჰერბარტის ფსიქოლოგია ინტელექტუალისტურია და ასოციაციონისტური, ცნობიერების მოვლენათა ძირითად სახედ მიჩნეულია **წარმოდგენა**: ეს ინტელექტუალური ელემენტი საფუძველია სხვა ფსიქიკურ მოვლენათათვის: ემოციები, სურვილი, მისწრაფებანი, ნებისყოფის აქტები და სხვ. წარმოდგენათა ურთიერთობით შეიქმნებიან, წარმოდგენათა დერივატები არიან; ყოველგვარი ფსიქიკური მოვლენა დაიყვანება წარმოდგენამდე; წარმოდგენა არის ერთადერთი ძირითადი მასალა, რომლითაც აიგება ცნობიერების შენობა. ამდენადვე ინტელექტუალისმი ჰერბარტის ფსიქოლოგიის მთავარი პრინციპია.

ცნობიერების ეს ერთფეროვანი მასალა მრავალფეროვან სულიერ მოვლენებად იშლება იმ ურთიერთობის წყალობით, რომელიც იქმნება წარმოდგენათა შორის; ამ ურთიერთობას ქმნის წარმოდგენათა მოძრაობა და წონასწორობა; წარმოდგენათა სხვადასხვაგვარი შეხამება იძლევა სხვადასხვაგვარ სულიერ მოვლენებს; უნივერსალური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს წარმოდგენათა ამ შეხამებას არის **ასოციაცია**. ამრიგად, **წარმოდგენები და მათი ურთიერთობა, ასოციაციის პრინციპზე** დამყარებული, ქმნის ჰერბარტის ფსიქოლოგიის ხერხემალს.

ჰერბარტის ფსიქოლოგია დიდი გავლენით სარგებლობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედში; და როცა ენათმეცნიერება ფსიქოლოგიის ორიენტაციას დაადგა, ბუნებრივი იყო, თუ მან ჰერბარტის ფსიქოლოგიას მიმართა.

ამ ფსიქოლოგიის გავლენა ცხადად ჩანს პაულის განსაზღვრებაში; მან როგორც ფსიქოლოგისტიმა, ცნება—წინადადება—დაამყარა ფსიქოლოგიურ მსჯელობაზე; ხოლო, როცა იგი მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის ჩამოყალიბებას შეუდგა, მას არ შეეძლო გვერდი აეჭვია წარმოდგენებისათვის, როგორც მსჯელობის შემადგენელი ელემენტებისათვის. არ შეეძლო წარმოედგინა მათი ურთიერთობა სხვაგვარად, თუ არა შეკავშირების სახით: ყოველივე ამას განსაზღვრავდა ჰერბარტის ფსიქოლოგიის წანამძღვრები. ასეთი იყო **ჰერბარტის ფსიქოლოგია**, — ასეთი არის **პაულის განსაზღვრება**.

§ 141. მსჯელობის ფსიქოლოგია ვუნდტისა და წინადადების განსაზღვრება. ვუნდტის ფსიქოლოგია ვოლუნტარისტულია და აპერცეფციონისტული; ვოლუნტარისტულია იგი არა იმიტომ, რომ ნებისყოფა მიაჩნია ძირითად ფსიქიკურ ელემენტად; რასაკვირველია, არა. არათუ ძირითად, არამედ ცალკე ელემენტებადაც კი არ მიაჩნია იგი ვუნდტს. სამაგიეროდ, ნებისყოფის პროცესებში პოვებს ვუნდტი რთულსა და ფსიქიკური სინამდვილისათვის დამახასიათებელ ფენომენს: ასე უნდა იქნეს გაგებული ვოლუნტარიზმი, როცა იგი ვუნდტის ფსიქოლოგიის დამახასიათებლად მიიჩნევა.

ვუნდტისათვის ცნობიერების სამყარო არათუ არ ამოიწურება წარმოდგენებით, არამედ იგი ტიპურ დამახასიათებლადც ვერ ჩაითვლება ცნობიერებისათვის. ამდენადვე ვუნდტის **ვოლუნტარიზმი** უპირისპირდება ჰერბარტის **ინტელექტუალიზმს**.

ვუნდტმა არსებითად გადაასხვაფერა მოძღვრება ასოციაციათა შესახებ; ასოციაციონისტები მოგვითხრობენ მხოლოდ წარმოდგენათა ასოციაციების შესახებ; ვუნდტი კი გვეუბნება: ასოციაციას შეიძლება ადგილი ექნეს ყოველ ფსიქიკურ შინაარსს შორის (მაგ., გრძნობებს შორისაც); მერეა და: როცა წარმოდგენათა ასოციაციების შესახებ ლაპარაკობენ, ჩვეულებრივად ვარაუდობენ, რომ წარმოდგენა ელემენტარული ერთეულია, რომელიც ასოციირდება ასეთსავე მეორე ერთეულთან. ვუნდტი სხვა აზრისაა: თვით წარმოდგენა არ არის ელემენტარული ერთეული; ერთმანეთს უკავშირდებიან წარმოდგენათა ელემენტები; ასოციაციის ელემენტარულ პროცესს ადგილი აქვს ამ ელემენტთა შორის¹. ამ ორი არსებითი შესწორებით მიიღო ვუნდტმა ასოციაცია, ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ტრადიციულ ასოციაციათა (მეზობლობითის, მსგავსებითის, კონტრასტისა...) ნაცვლად ვუნდტმა თავისებური პროცესები წარმოგვიდგინა: შერწყმისა, ასიმილაციისა, კომპლიკაციისა და სხვ., ხოლო ზოგადად ასოციაციათა ორი ძირითადი სახე ივარაუდა: ერთბაში ანუ სიმულტანური და თანამიმდევრობითი ანუ სუქცესიური.

მაგრამ ამ ცვლილების შემდეგაც ასოციაცია ვერ იქცა ვუნდტის ფსიქოლოგიის ბერკეტად. ვუნდტის ფსიქოლოგიური სისტემა აიგო **აპერცეფციის** ცნებაზე.

აპერცეფცია ვუნდტის მოძღვრებაში არ არის ყოველთვის ერთნაირად განმარტებული. ერთ შემთხვევაში ასეთ გაგებას ვხვდებით: ზოგი ფსიქიკური შენაერთები შეიქმნება „თავისთავად“, ე. ი. მათ არ ახლავს მო-

¹ იხ. Wundt: Logik, I, გვ. 17—18; უფრო დაწვრილებით: Wundt: Grundriß. გვ. 271—175.

ქმედების გრძნობა. ზოგნი კი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამ გრძნობასთან (რომელიც დამახასიათებელი შემადგენელი ნაწილია აპერცეფციულისა და ნებისყოფითი პროცესებისა). ამისდა კვალობაზე პირველი განიცდიან, ვითარცა პასიურნი, მეორენი — როგორც აქტიურნი. პასიურად განცდადნი ასოციაციები, აქტიურად განცდადნი კი — აპერცეფციული შეკავშირებანი ანუ, მოკლედ, აპერცეფციები. სხვა თვისებაც ახასიათებს ამათ, მაგრამ მთავარი მაინც ეს არის¹.

აპერცეფციის პროცესი უპირისპირდება აქსოციაციის პროცესს იმ რაგვარობათა მიხედვით, რომლებიც მათ, ვითარცა **პროცესებს**, ახასიათებს. ეს — ერთი გაგების მიხედვით.

მეორის მიხედვით კი „აპერცეფცია არის პროცესი, რომლის შემწეობითაც რაიმე ფსიქიკური შინაარსი ნათლად განიცდების“².

ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ყურადღებასთან, რომელიც ამ პროცესის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ აპერცეფციის პროცესი უთუოდ დახასიათდება მოქმედების გრძნობით? რასაკვირველია, არა. ხშირია შემთხვევა, როცა ყურადღების შემწეობით ცნობიერების მრავალფეროვანი შინაარსიდან რომელიმე ერთი განსაკუთრებული სიცხადით წარმოგვიდგება. აქ მოქმედების გრძნობაც არის და განაცადის სიცხადეც. მაგრამ არანაკლებ ხშირია შემთხვევები, როდესაც რაიმე შთაბეჭდილება ჩვენდა უნებურად შემოიჭრება ჩვენი ცნობიერების არეში და ძალაუნებურად დაჩრდილავს სხვა ყველაფერს (მაგ., ახლო გასროლილი თოფის ხმა ანდა, ვთქვათ, ტკივილი კბილისა); განსაკუთრებული სიცხადე ასეთ განცდასაც აქვს, მაგრამ ნებისყოფა, მოქმედების გრძნობა თუ (აქტიური) ყურადღება აქ არაფერ შუაშია: ჩვენი ნებისყოფა სრულებით არ არის მოწადინებული, რომ გავბატონოთ ისინი ცნობიერებაში; ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ, ტკივილის) ნებისყოფა, პირიქით, ებრძვის მათ; ამისდა მიუხედავად ეს ფსიქიკური შინაარსი ბატონობს ცნობიერებაში; ამ დაუპატიჟებელ სტუმარს დაპატიჟებულზე მეტი ძალა აქვს, მას მეტი სიცხადე ახასიათებს. რას ნიშნავს ეს? ყოველ შემთხვევაში იმას, რომ, თუ აპერცეფციის რაობის დადგენისას პროცესის თავისებურებას (**აქტივობის გრძნობა**) კი არ დავემყარებით, არამედ შედეგს (**განაცადის სიცხადე**), იძულებული ვიქნებით დავუშვათ ორგვარი აპერცეფცია: აპერცეფცია **აქტიური** (აქტივობის გრძნობა პლუს განაცადის სიცხადე) და აპერცეფცია **პასიური** (სიცხადე განაცადისა აქტივობის გრძნობის გარეშე).

¹ Вундт: Введение в психологию, стр. 55; Grundriß, გვ. 307; Logik, I, გვ. 17.

² Grundriß, გვ. 252. აქვე აპერცეფციას ვუნდტი უპირისპირებს პერცეფციას, ე. ი. ისეთ თვისებას ცნობიერების შინაარსისა, რომელსაც ყურადღება არ ახლავს.

ვუნდტიც განსხვავებს აპერცეფციის ამ ორ სახეს¹ და დასძენს, რომ ამ განსხვავებას ნაწილობრივ ფარავს განსხვავება აქტიურისა და პასიური ყურადღებისა².

პასიური აპერცეფცია პროცესობრივად არაფრით განსხვავდება ასოციაციისაგან: ორივეს პასიურობა ახასიათებს, აქტიური აპერცეფცია კი არსებითად განსხვავდება ასოციაციისა თუ პასიური აპერცეფციისაგან. ის, რაც პირველი გაგების მიხედვით აპერცეფციის სადა სახელწოდებით აღინიშნებოდა, უდრის მეორე გაგებით აქტიურ აპერცეფციას: ზოგადია მათთვის აქტიურობის გრძნობა; ამით უპირისპირდებიან ისინი ასოციაციას.

აპერცეფცია (გინა აქტიური აპერცეფცია) ვუნდტის ფსიქოლოგიის ერთი მთავარ პრინციპთაგანია: ვუნდტის **აპერცეფციონიზმი** ისევე უპირისპირდება ჰერბარტის და სხვათა **ასოციაციონიზმს**, როგორც მისივე **ვოლუნტარიზმი** მათს **ინტელექტუალიზმს**.

აზროვნების პროდუქტთა ყველა ძირითადი სახე აპერცეფციის წარმონაქმნია; აპერცეფციის ფუნქციაა: ცნების წარმოქმნა, მთლიანი წარმოდგენის ჩამოყალიბება, წარმოდგენათა სინთეზი, აგლუტინაცია და ყველა ის პროცესი, რაც დისკურსიულ აზროვნებად იშლება.

ვუნდტის განსაზღვრება წინადადებისა ლაპარაკობს მთლიანი წარმოდგენის დანაწევრებაზე ლოგიკურ მიმართებაში მყოფ შემადგენელ ნაწილებად. ამაშია მოცემული წინადადების ფსიქოლოგიური რაობა; ეს არის იმავე დროს მსჯელობის რაობაც. რაღაა მთლიანი წარმოდგენა? როგორ და რად ნაწევრდება იგი? ამაზე **ზოგად** პასუხს იძლევა ვუნდტი წინადადების განსაზღვრებასთან დაკავშირებით „ხალხთა ფსიქოლოგიის“ II ტომში, უფრო **დაწვრილებით** — მსჯელობის ანალიზთან დაკავშირებით „ლოგიკა“-ში. დავიწყოთ პირველით.

წყარო მთლიანი წარმოდგენისა ერთბაშე და თანამიმდევარ ასოციაციათა პროცესია. მთლიანი წარმოდგენა, როგორც მონაცემი, არის შედგენილი ცალკე წარმოდგენა (*zusammengesetzte Einzelvorstellung*); მისი შინაარსი არის ან ცალკე საგანი ან პროცესი, რომელიც ნაწილებისაგან შედგება.

მთლიანი წარმოდგენა გამოეყოფა ცნობიერების სხვა შინაარსებს ორი პროცესის საშუალებით, რომლებიც ერთერთს უშუალოდ ეკვრიან; ეს არის ასოციაცია და აპერცეფციის აქტი. ის შეგრძნებითი ელემენტები, რომელნიც საგნის აღქმაში მონაწილეობენ, ერთერთს უკავშირდებიან ასოციაციის საშუალებით. აღსაქმელი საგანი სხვადასხვა პირობებში ვარიაციას იძლევა მოძრაობის თუ სხვა რაიმე ცვლილების გამო; აღქმის პროცე-

¹ Logik, I, გვ. 34; Grundriß, გვ. 264.

² Logik, I, გვ. 34.

სის სათანადო ცვალებადი ნაწილები თანდათანობით უკუიხევენ, უცვლელად შერჩენილ ელემენტებს შორის კი მყარდება თანდათანობით უფრო მჭიდრო ურთიერთობა — ასოციაციის წყალობით. ამდენადვე ასოციაცია შეამზადებს ნიადაგს მთლიანი წარმოდგენისათვის.

მაგრამ მთლიან წარმოდგენად აღქმის შინაარსი ამ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს, თუ ასოციაციურად დაკავშირებული ელემენტები ათვისებული იქნება, როგორც მთლიანი რაღაც, მარტივ შემთხვევაში, როგორც ცალკე საგანი. ელემენტთა ასოციაცია ვერ შექმნის ამ მთლიანს, მაგრამ იგი შეამზადებს მას იმდენად, რამდენადაც ამ ასოციაციას უმეშვეოდ მოჰყვება ცნობიერებაში გარკვეული აქტი; ამის გამო ცნობიერება განასხვავებს ამ მთლიანის შექმნას, როგორც მოქმედებას, იმ პასიურობისაგან, რომელიც ახასიათებს ასოციაციას. ამდენადვე მთლიანი წარმოდგენის შექმნაში ადგილი აქვს ნებისყოფის აქტს; იგი განიხილავს გარეგნულ მოძრაობაში გამოხატული ნებისყოფითი აქტისაგან იმით, რომ მისი ობიექტი არის საგანი, რომლის აღქმაც სურთ.

ამგვარად, ეს არის პროცესი, რომელსაც ვუწოდებთ **აპერცეფციას**, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს ობიექტური მხარე, — ობიექტისადმი გამართვა, — და **ყურადღებას**, რამდენადაც ნაგულისხმევია სუბიექტური მხარე, — გრძნობათა მიმდინარეობა¹; ასე წარმოებს აპერცეფციის საშუალებით ასოციაციურად შეკავშირებული შეგრძნებითი ელემენტების გადაქცევა **მთლიან წარმოდგენად**: ასოციაცია ამზადებს ნიადაგს, თავს უყრის მასალას, აპერცეფციის წყალობით ეს მასალა ორგანულ ერთიანობად, მთლიანობად იქცევა.

როგორ არის შესაძლებელი ამ მთლიანი წარმოდგენის დანაწევრება? ამ შესაძლებლობის საფუძველი მოცემულია მთლიანი წარმოდგენის მთავარ თვისებაში: იგი შედგება მრავალი ნაწილისაგან, რომელთაც ერთმანეთთან მიმართებაში ყოფნის უნარი აქვს². ის კი არ არის მთავარი, რომ შემადგენელ ნაწილთა სიმრავლეს აქვს ადგილი, არამედ ის, რომ ეს ნაწილები ურთიერთთან მიმართებაში იმყოფება. და ეს მიმართებაში ყოფნის უნარი აშკარავდება სწორედ იმაში, რომ მთლიანი წარმოდგენა მართლაც იშლება; ამას ადგილი აქვს წინადადების ჩამოყალიბების პროცესში; მთლიანი წარმოდგენის დაშლა წინადადების ჩამოყალიბებაზეა დამყარებული. „მთლიანი წარმოდგენა ფსიქიკური წარმონაქმნია, ფსიქიკურ-ენობრივად კი იქცევა მხოლოდ პროცესი მისი დაშლისა“³.

¹ ზემოხსენებულისათვის იხ. *Völkerpsychol.*, II, გვ. 252—253.

² იქვე, გვ. 254.

³ იქვე.

დანაწევრების პროცესი ორ მომენტს შეიცავს: ერთია — ნაწილთა გარჩევა; მეორე — შეკავშირება მიმართების სახით. პირველი — აპერცეფციის აქტის ფუნქციაა: ოღონდ აქ აპერცეფცია მიმართულია არა მთელზე, არამედ ნაწილებზე. ასოციაცია აქაც შეამზადებს ამის შესაძლებლობას, რამდენადაც ზოგიერთ ნაწილთა შორის არსებული უფრო მჭიდრო კავშირი უპირისპირდება სხვას, ნაკლებ მჭიდროს. ყურადღების ნებისყოფითი აქტის საშუალებით მთლიანს გამოეყოფა ნაწილი: ამით თავდება პირველი მომენტი, ნაწილთა გარჩევა. მაგრამ ეს ნაწილები ართუ ოდენ განსხვავდებიან, არამედ დაისმიან ურთიერთთან ლოგიკურ მიმართებაში. ეს ლოგიკური მიმართებანი ცალკე კონკრეტული შემთხვევებიდან არიან მიღებული იმავე აპერცეფციის წყალობით. კატეგორიები საგნისა, თვისებისა, მდგომარეობისა მიღებულია მისი შემწეობით.

პროცესი მთლიან წარმოდგენაში ნაწილების გარჩევისა და შემდეგ ამ ნაწილების ურთიერთთან ლოგიკურ მიმართებაში მოქცევისა არის ის, რასაც წინადადებაში აქვს ადგილი. ეს პროცესი იწყება ისეთი შემთხვევებიდან, სადაც აღქმის შინაარსი გრძნობითი, თვალსაჩინოა და თანდათანობით ვრცელდება უფრო რთულსა და განყენებულ აზრებზე¹.

უკანასკნელთა შესახებ არაფერია გარკვევით ნათქვამი „ხალხთა ფსიქოლოგიის“ შესაბამის ნაწილებში; სამაგიეროდ „ლოგიკა“-ში ამას სათანადო ყურადღება ექცევა, საჭიროა ამის გათვალისწინება.

რომ აგველო მსჯელობა: სამართლიანობა სათნოებაა (ვუნდტის მაგალითია), რა გვექნებოდა ამის შესატყვისად ცნობიერებაში? ლაპარაკი არ შეიძლება აღქმითი სახის შესახებ, რომელიც შემადგენელ ნაწილებად იშლებოდეს (ისევე, როგორც შეუძლებელია თვალსაჩინო წარმოდგენათა გაერთიანება ვივარაუდოთ). ვუნდტი მაინც ფიქრობს, რომ არსებობს „აზრი მთლიანისა“ უწინარესად და შემდეგა ხდება მისი დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად. ამ გარემოებას შეაქვს კორექტივი ვუნდტის მიერ ზემოთ წამოყენებულ განსაზღვრებაში: თუ იქ საქმე ეხებოდა მთლიანი წარმოდგენის დაშლას, რომელსაც აღქმად სინამდვილეში ჰქონდა დასაყრდენი, აქ ლაპარაკი მხოლოდ **აზრის** დაშლაზე შეიძლება. ასე რომ, წინათ მსჯელობა განისაზღვრებოდა, ვითარცა „დანაწევრება მთლიანი წარმოდგენისა მის შემადგენელ ნაწილებად“, ახლა მისი საბოლოო განსაზღვრება ასეთ სახეს იღებს: მსჯელობა არის „დანაწევრება აზრისა მის ცნებით შემადგენელ ნაწილებად“².

¹ მთლიანი წარმოდგენის დანაწევრების შესახებ იხ. Völkerpsychol., II, გვ. 254—256.

² Logik, I, გვ. 149.

მსჯელობის შინაარსი მოცემულია როგორც მთლიანობა, ვიდრე იგი ნაწილებად დაიშლებოდეს; ამდენად ყოველი მსჯელობა შეიძლება დაგსახოთ ანალიზურ ფუნქციად; მსჯელობა აზრის გადმოცემაა (Darstellung des Gedankens), და ამ გადმოცემის მიზნით ანაწევრებს იგი აზრს მის ელემენტებად, ცნებებად; **ცნებებისაგან კი არ შეადგენს მსჯელობა აზრს, არამედ აზრს ანაწევრებს ცნებებად¹.**

წინადადების განსაზღვრება ვუნდტმა **მსჯელობა-ცნებაზე დააფუძნა, მსჯელობა** საბოლოო ანგარიშში **აღმოჩნდა აზრის დანაწევრება შემადგენელ ელემენტებად**; ესე იგი: წინადადების განსაზღვრებისას დასაყრდენია **აზრი**, გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსის მატარებელი.

§ 142. მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა იერუზალემის მიხედვით. ვუნდტისა და პაულის ხელში წინადადების განსაზღვრების ბედი მსჯელობის ბედს დაუკავშირდა. მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა მათ ერთნაირად არ ესმით: პაულისათვის იგი წარმოდგენათა შეკავშირებაა, — **სინთეზური ფუნქციის** მატარებელია; ვუნდტისათვის — პირუტყუ: მსჯელობა მთლიანი წარმოდგენის ანდა აზრის დანაწევრებაა, — მასში **ანალიზური ფუნქციაა** მოცემული. ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო გაგებაა წარმოდგენილი.

როგორია სხვა ფსიქოლოგების შეხედულება?

იერუზალემი, რომელმაც ცალკე გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ წარმოდგენილი შინაარსის დაშლა მართლაც შედის ერთ-ერთ მომენტად მსჯელობის აქტში, მაგრამ იგი არ ქმნის მსჯელობას: როცა ვინმე, მაგ., აყვავებულ ხეს უყურებს და ამბობს, «ხე ყვავის», მის ცნობიერებაში უფრო რთული პროცესები იჩენს თავს; ეს არის წარმოდგენილი შინაარსის დანაწევრება, გაფორმება. „მსჯელობის საშუალებით მთელი წარმოდგენითი კომპლექსი (იგულისხმება ჩვენი შემთხვევა: «ხე ყვავის»), დაუნაწევრებელი პროცესი ფორმდება და ნაწევრდება იმის გამო, რომ «ხე» წარმოიდგინება, როგორც ძალით დაჯილდოებული ერთგვარი არსება, რომლის ძალაც ამჟამად აშკარავდება აყვავებაში“².

ჩვენს მაგალითში ხე წარმოიდგინება, ვითარცა თავისთავადი, აღმქმელი პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ძალის მქონე ცენტრი, აყვავება კი გაიგება, როგორც მისი მოქმედება: მსჯელობის აქტმა ხეს მიაწერა ძალა წარმოშვას აყვავება. მაგრამ რაკი ხე თავისთავად არსებული ძალის ცენტრად მივიჩნით, მოხდა მისი გაობიექტურება. ამგვარად: „დანაწევრებასა და გაფორმებასთან ერთად მსჯელობაში წარმოებს აგრეთვე ის, რასაც ინ-

¹ იქვე, I, გვ. 149—150.

² Jerusalem: Urtheilsfunktion, გვ. 82.

გლისელები **belief**, ხოლო ბრენტანოს სკოლა შეწყნარებას უწოდებსო¹, ამბობს იერუზალემი¹.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იერუზალემი: **ა.** მსჯელობის რაობის დადგენისას კონკრეტული შინაარსის მქონე აღქმის ანალიზიდან ამოდის; **ბ.** მისი შეხედულებით მსჯელობასა და აღქმას შორის ზღვარი მოშლილია („აღქმა უკვე არის მსჯელობა“)² და **გ.** რაც განსაკუთრებით საინტერესოა, წინადადება, მსჯელობის ეს „გაფორმება“, არის მისთვის დასაყრდენი, როცა იგი „შინაფორმას“, ე. ი. მსჯელობის ფსიქოლოგიურ რაობას ეძიებს³.

ყოველივე ამით აღძრულ საკითხებს აქ აღარ გამოვეყიდეებით; შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმის დადგენით, რომ იერუზალემის მიხედვით მსჯელობის ფუნქციაა წარმოდგენილი შინაარსის დანაწევრება, გაფორმება და გაობიექტურება.

§ 143. მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა ბრენტანოს მიხედვით.

ბრენტანოს აზრით მსჯელობა წარმოდგენათა შეკავშირება კი არ არის, ანდა რაიმე მთლიანი მონაცემის დანაწევრება; შედგენილობა კი არ განასხვავებს მსჯელობას თუნდაც იმავე წარმოდგენისაგან, არამედ **ცნობიერების მიმართება** მისდამი; ფსიქიკურ ფენომენტთა კლასიფიკაცია ამ მიმართებაზეა აგებული. წარმოდგენა აუცილებელია მსჯელობისათვის, მაგრამ სრულიად უმნიშვნელოა, რამდენია წარმოდგენა: ერთი თუ მრავალი, ვინაიდან ერთი წარმოდგენაც სავსებით საკმარისია მსჯელობისათვის: „არაფერი არ შეიძლება განსჯილ იქნეს, რაც წარმოდგენილი არ არის: მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ, როდესაც საგანი წარმოდგენისა შემწყნარებელი ან უარისმყოფელი მსჯელობის საგნად იქცევა, ცნობიერება სრულიად ახალი სახით **მიმართებაში** დგება მასთან. მაშინ: საგანი ორმაგად აითვისების ცნობიერების მიერ: ვითარცა წარმოდგენილი და ვითარცა ჭეშმარიტად აღიარებული ანდა უარყოფილი“⁴. მსჯელობა სწორედ ეს უკანასკნელია: **წარმოდგენილის უარყოფა ან შეწყნარება.**

აქედან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს გარდაუვალი საჭიროება მსჯელობის ყოველი ტიპი დაყვანილ იქნეს ეგზისტენციალურ მსჯელობამდის, ე. ი. ისეთი სახე მიიღოს, რომ წარმოდგენდეს რისამე არსებობის დადასტურება-აღიარებასა თუ უარყოფას. ბრენტანოც ასე

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 83.

³ Jerusalem: Urtheilsfunktion, გვ. 80. „Aus dem Satze, der ä u s s e r e n Form des Urtheils, kann man erkennen, dass es auch eine i n n e r e Urtheilsform gibt, die im Satze zur vollen Entfaltung gelangt“.

⁴ Brentano: Psychologie, გვ. 266.

იქცევა: მისთვის მსჯელობა: «ვიღაც კაცი ავად არის» ეთანაბრება **აზრის მიხედვით** ეგზისტენციალურ მსჯელობას: «ვიღაც ავადმყოფი არსებობს». აქედან ჩანს, თუ რა ფასად არის მიღებული ეგზისტენციალურ მსჯელობად გადაკეთება ყოველი მსჯელობისა: ერთგვარობა **აზრის მიხედვით** ფსიქიკურ (პროცესობრივ) ერთგვარობას, რასაკვირველია, არ ნიშნავს...

მაგრამ, თავი რომ დავანებოთ იმას, მართებულია თუ უმართებულო ბრენტანოს შეხედულება, არის თუ არა იგი სქოლასტიკოს ოკამის შეხედულებასთან დაბრუნება, როგორც ზოგი (მაგ., იერუზალემი) ფიქრობს, ერთი რამ მაინც დარჩება ფაქტად: იმ პრინციპების ნიადაგზე რომლებიდანაც აქ წარმოდგენილი გაგება გამომდინარეობს, წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა. ამდენადაც ბრენტანოს შეხედულება ანგარიშგასაწევია.

§ 144. მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის საკითხი მარბეს ექსპერიმენტების მიხედვით.

ყველა ჯერჯერობით ნახსენები მოაზროვნე თავის შეხედულებებს თვითდაკვირვების გზით მოიპოვებდა ხოლმე; ეს ან იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი არ იყვნენ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები (ჰერბარტი, იერუზალემი, ბრენტანო), ანდა იმიტომ, რომ რთულ ფსიქიკურ ფენომენტა, და, მათ შორის, მსჯელობის ექსპერიმენტული შესწავლა პრინციპულად შეუწყნარებლად მიაჩნდათ; ეს ეხება ვუნდტსაც — ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამა-მთავარს.

ვუნდტის სიცოცხლეშივე — მიუხედავად იმისა, რომ ვუნდტი ამას არ ცნობდა — ექსპერიმენტი ძლიერად შეიჭრა რთულ ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლაში.

მსჯელობა ექსპერიმენტული შესწავლის საგანია კ. მარბესთან: ზოგადად მისი ცდების შესახებ იხ. § 84, გვ. 195. აქ საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, როგორ დგას კ. მარბესთან საკითხი და რა შედეგებია მიღებული მსჯელობის ფსიქოლოგიური არსის ექსპერიმენტულად შესწავლისას.

რა არის მსჯელობა? მარბემ ასეთი განსაზღვრება წამოაყენა: „მსჯელობას მე ვუწოდებ ცნობიერების ისეთ პროცესებს, რომელთა მიმართაც შეიძლება ვიხმაროთ პრედიკატები — სწორი ან მცდარი აზრის შესაბამისად“¹.

ჩანს, მარბეს, მსჯელობის დახასიათებისას, საზომი მოაქვს ლოგიკიდან და არა ფსიქოლოგიიდან; **მსჯელობა-ცნების მოცულობას** ლოგიკაში მოიპოვებს და ექსპერიმენტებით ეძიებს, თუ როგორ განიცდება ეს შემეცნებითი პროცესები, რით არიან იგინი წარმოდგენილი ცნობიერებაში.

¹ K. Marbe: Untersuchungen, გვ. 10—11.

მსჯელობა შეიძლება იყოს გამოხატული ან წინადადებით, ან სიტყვით, ან ჟესტით, ანდა შესაძლოა სულ არ იყოს გამოხატული გარეგნულად, ხოლო მოხდეს მისი რეპრეზენტაცია ცნობიერებაში წარმოდგენისა ან ცნობერების მდგომარეობის სახით; ამისდა მიხედვით მსჯელობის აღმნიშვნელ საშუალებათა ამ სხვადასხვა სახეს მ ა რ ბ ე უწოდებს: **მსჯელობით წინადადებას, მსჯელობით სიტყვას, მსჯელობით ჟესტს, მსჯელობით წარმოდგენასა და ცნობიერების მდგომარეობას.**

ვთქვათ, ჩვენ გავიფიქრეთ: «ხვალ სადგურზე ვიქნებით», «გუშინ შეუადღეს შინ ვიყავით» (მაგალითები მ ა რ ბ ე ს ი ა); ეს წინადადებანი გადმოგვცემენ აზრს, რომელიც შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი, რასაკვირველია, იმისდა მიხედვით, ჰქონდა ადგილი წინადადებაში აღნიშნულ ფაქტებს თუ არა. ეს იქნებოდა მსჯელობითი წინადადების ნიმუში. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენ რაიმე კითხვაზე გავცეთ პასუხი სიტყვებით: «კი!», «არა!», ცხადია ამ პასუხების გაცემის დროს ჩვენს ცნობიერებაში გარკვეულ პროცესებს აქვს ადგილი: ისინი მსჯელობას წარმოადგენენ, რამდენადაც არის სწორი ან მცდარი, აღინიშნებიან კი ცალკე სიტყვით — «კი», «არა». ეს **მსჯელობითი სიტყვის** ნიმუშია. სიტყვებს გარდა აზრი შეიძლება იქნეს გადმოცემული ჟესტითაც: კითხვაზე, საითკენ არის ესა და ეს ადგილი? ჩვენ შეგვიძლია გავცეთ პასუხი ხმის ამოუღებლივ — მხოლოდ მითითებით. ეს მითითება და ის პროცესი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ამ მითითებას წინ უძღოდა, აგრეთვე შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი: ცხადია, ჟესტსაც შესძლება გამოხატოს მსჯელობა. ეს მითითება **მსჯელობითი ჟესტის** ნიმუში იქნებოდა... კიდევ მეტი: ვთქვათ, ვინმე ფიქრობს ჭადრაკის ფიგურათა გადაჯგუფებაზე — ისე კი, რომ ჭადრაკის ფიგურები თვალწინ არა აქვს; ამისდა მიუხედავად იგი აწარმოებს **წარმოდგენაში** ფიგურათა გადაჯგუფებას; ეს გადაჯგუფება შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი, რას განეკუთვნება აქ პრედიკატი სწორისა თუ მცდარის? — მხოლოდ ამ ფიგურების ადგილმდებარეობათა შესახებ წარმოდგენებს: ეს წარმოდგენებია **მსჯელობითი წარმოდგენები.**

ჩვენი მიზნებისათვის ეს კმარა. მ ა რ ბ ე ს საექსპერიმენტო კლასიფიკაციაზე შევჩერდით იმიტომ, რომ იგი მსჯელობის ანალიზის პროცესში **წინადადებას კი არ ემყარება**, არამედ პირიქით, იძლევა იმის ნათელ ილუსტრაციას, რომ მსჯელობა და წინადადება ცნებანი თავისი მოცულობით ერთმანეთს არა ფარავენ: მოცულობა მსჯელობა-ცნებისა უფრო ფართოა; აზრისა და მსჯელობის ყველა გამოხატულება არ არის წინადადება.

მ ა რ ბ ე მ ექსპერიმენტულად გამოიკვლია მსჯელობის ყველა სახე და მეტად თავისებური შედეგები მიიღო: ცდის პირებს არავითარი განცდები არ აღმოაჩნდათ. კითხვაზე სწორ პასუხს იძლევიან, ამოცანას მართებულად წყვეტენ, მაგრამ ყოველივე ეს თითქმის ავტომატურად მიმდინარე-

ობს... მ ა რ ბ ე ისე შორს წავიდა, რომ დაასკვნა: „...საერთოდ არ არსებობს მსჯელობის არავითარი ფსიქოლოგიური პირობები, რა ხასიათისაც არ უნდა იყვნენ ის განცდანი, რომელნიც ცალკე შემთხვევაში მსჯელობად იქცევიან“¹.

რით აიხსნება ექსპერიმენტების ეს უცნაური შედეგები, რომელთაც თვით ცდის პირებშიც განცვიფრება გამოუწვევია. შეიძლება ცდის პირებმა სწორად ვერ გადმოგვეცეს განაცადი. მაგრამ ეს არ არის საფიქრებელი, მათს თვითდაკვირვების უნარში ეჭვს ვერ შევიტანთ: ორივე პროფესორი იყო, ერთი მათგანი კი (კ ი უ ლ პ ე) — ცნობილი ფსიქოლოგი; გარდა ამისა: ორივეს ჩვენება ერთნაირ სურათს იძლევა. სამაგიეროდ, ცდების მასალა, ა მ ო ც ა ნ ე ბ ი მეტად მ ა რ ტ ი ვ ი ხასიათისა იყო; ამ სიმარტივეში უნდა ვეძიოთ შედეგების თავისებურების ახსნა. „ვინ არიან ყველაზე ცნობილი თანამედროვე გერმანელი დრამატურგები?“ „საითკენ არის თქვენი ბინა?“ „რამდენია 7-4?“ და სხვ. და ამას ეკითხებიან არა ბავშვებს, არამედ პროფესორებს. და განა ბუნებრივი არ არის, თუ პასუხი და განაცადის ოქმი ლაკონურად მოგვითხრობს: **პასუხი:** „ზუდერმანი და ჰაუპტმანი არიან ყველაზე ცნობილი თანამედროვე დრამატურგები“. **ჩვენება:** „წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა რ ე ფ ლ ე ქ ტ ო რ უ ლ ა დ წ ა მ ო ი ჯ რ ა კ ი თ ხ ვ ი ს თ ა ნ ა გ ე ო“... (კითხვა ცალკე ბარათზე იყო დაწერილი).

პასუხი **მექანიკურად** მოსდევდა კითხვას, ცხადია, იმიტომ, რომ პასუხის გაცემა არავითარ გონებრივ მუშაობას (ძალისხმევას) არ მოითხოვდა, ამდენად ელემენტარულია ის ურთიერთობა, რომელიც კითხვასა და პასუხს შორის არსებობს.

მაგრამ განა ასევე მექანიკური იქნებოდა პასუხი, ბავშვობაში რომ მიეცათ ეგვევ კითხვები იმავე ცდისპირებისათვის? განა ყველას შეუძლია ასევე მარტივად უპასუხოს ამ კითხვებს?

ცნობიერი პროცესი რომ მექანიკური შეიძლება გახდეს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი **ყოველთვის** ასეთივე მექანიკური იყო; არც იმას, რომ იგი **ყველასათვის** მექანიკურია: ერთისთვის მექანიკური, მეორისათვის თავსამტვრევი და ძნელად მოსაფიქრებელი რამ შეიძლება იყოს. ამდენადვე შეუძლებელია საფუძვლიანად მივიჩნიოთ მ ა რ ბ ე ს განზოგადება: მსჯელობას ფსიქიკური ეკვივალენტი არ გააჩნიაო. მაგრამ მისი ცდები ეჭვმიუტანლად ხდის ერთ რასმე: ზოგიერთ მსჯელობას შეიძლება მექანიკური ხასიათი ჰქონდეს. მსჯელობის სხვა სახეებს რომ თავი დავანებოთ, ე. წ. **მსჯელობითი წინადადებანი** (ჩვენ მხოლოდ ეს გვანინტერესებს) შესაძლებელია თურმე ავტომატურად წარვთქვათ: შეიძლება იყოს თქმული **წინადადება**,

¹ იხ. Untersuchungen, გვ. 43.

და ცნობიერებაში ადგილი არა ჰქონდეს არც სინთეზს, არც ანალიზს, გაობიექტურება-გაფორმებას, ანდა სხვა რაიმე ფსიქიკურ პროცესს. მარბეს ცდებმა ეს ცხადყვეს. ამდენადვე ფასეულია ეს ცდები ჩვენთვის. რატომ — ამაზე ქვემოთ.

§ 145. წინადადების ფსიქოლოგიური განსაზღვრების შეფასება.

როგორც ვნახეთ, მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის შესახებ მოიპოვება ერთმანეთის გამომრიცხველი შეხედულებები (პაულისა, ვუნდტისა, იერუზალემისა, ბრენტანოსი...). ეს უსათუოდ აძნელებს წინადადების განსაზღვრების დამყარებას მსჯელობაზე; საცილობელ ოდენობაზე დამყარებით საცილობელ განსაზღვრებას თუ მივიღებთ.

მარბეს ექსპერიმენტების ზემოხსენებული შედეგები კი ქმნის მდგომარეობას, რომელიც შეუძლებელს ხდის წინადადების განსაზღვრისას ფსიქოლოგიურ ორიენტაციას: შეუძლებელია ენობრივად ერთგვარის, გარკვეული მონაცემის (წინადადების) განსაზღვრება დავამყაროთ ფსიქიკურად სულ სხვადასხვაგვარის განსაზღვრებაზე (ზოგჯერ — ფსიქიკურად — ნეგატიურზე).

ფსიქოლოგიზმის სისუსტე სხვა რაშიმეც აშკარავდება; ავიღოთ გარკვეული წინადადება, კონკრეტული შინაარსის მქონე: დაფუშვით, რომ მას გარკვეული ფსიქიკური კორელატი მოეპოვება, განა შეიძლება გვეკისრა იმის დამტკიცება, რომ **ეს კორელატი ერთი და იმავე პირისათვის ერთნაირი იქნებოდა ყოველთვის?**

საილუსტრაციოდ მივმართოთ მაგალითს... ღამეა; გვესმის სიმღერა. ჩვენ ვერ ვარკვევთ, ვინ უნდა იყოს ეს მომღერალი: მეურმე, უბრალო მგზავრი თუ სხვა ვინმე. არის წარმოდგენა სიმღერისა, არა ჩანს ის, ვის წარმოდგენასაც უნდა დაუკავშიროს ჩვენმა ცნობიერებამ იგი. გვეუბნებიან: ეს ღამის მეხრეაო. ახლა ვიცით, რომ «მღერის ღამის მეხრე». ეს წინადადებაა: რანაირ აზრთა სხვადასხვაობასაც ჰქონდეს ადგილი ენათმეცნიერთა შორის წინადადების განსაზღვრის შესახებ, არავინ დაიწყებს დავას იმაზე, არის თუ არა ეს ფრაზა ქართულ ენაში წინადადება. რა ფსიქიკური კორელატი მოეპოვება ამ წინადადებას ჩვენს შემთხვევაში? სავარაუდებელია, წარმოდგენათა სინთეზი: წარმოდგენა სიმღერისა დაუკავშირდა წარმოდგენას მომღერლისა, ღამის მეხრეს. პაული მართალი აღმოჩნდა.

მაგრამ, ვთქვათ, მეორეჯერ საკუთარი თვალთ ვნახეთ მთვარიან ღამეში ღამის მეხრე, ნაღვლიანად მომღერალი. ითქვა იგივე წინადადება: «მღერის ღამის მეხრე». მაგრამ აქ ეს წინადადება წარმოდგენათა სინთეზზე არ აშენებულა. პირიქით: მომღერალი მეხრის მთლიანი სახე არის უწინარესი; მასში გამოვყოფთ მეხრეს და მის მოქმედებას — მღერას; უკანას-

კნელს განვუკუთვნებთ პირველს, და ამნაირად, საფიქრებელია, ადგილი ექნება მთლიანი წარმოდგენის იმ დანაწევრებას, რომლის შესახებაც ვუნდღის განსაზღვრება ლაპარაკობდა.

ენობრივი მხარე უცვლელი დარჩა; იყო და არის: სახელობითი ბრუნვა («ლამის მეხრე») პლუს ზმნის მესამე პირი მხოლოდობით რიცხვში («მღერის»). ფრაზა ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა: «ლამის მეხრე მღერის», ფსიქიკური კორელატი კი სულ სხვადასხვაა: ერთ შემთხვევაში — სინთეზი, მეორეში — ანალიზი. შეიძლება მეტიც ვიგულისხმოთ; ვთქვათ, ისე შევეჩვიეთ ლამის მეხრის სიმღერას, რომ კითხვაზე: რა ისმის? მექანიკურად ვუპასუხებთ: «ლამის მეხრე მღერის». ფსიქიკური კორელატი აქ ნულს უდრის¹.

ამ ერთი წინადადების განცდისათვის სამი შესაძლებლობაა აღნიშნული — ერთი და იმავე პირისათვის. მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სამი სხვადასხვა პირი, რომე-

¹ შეიძლება ბრენტანოს სკოლის ზოგიერთი მოაზროვნის შეხედულების თანახმად აქ გვეულისხმებინა „ინტენციის აქტი“. მაშინ ჩვენს ფრაზას სინთეზისა და ანალიზის გარდა ინტენციის აქტის სახით მესამე შესაძლო ფსიქიკური კორელატიც გაუჩნდებოდა... მაგრამ ინტენციაზე შეჩერება იმიტომ არ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ინტენცია **მარტო მსჯელობას კი არ ანახიათებს, არამედ ცნებასაც**. ამდენადვე წინადადების განსაზღვრება ვერ დაფუძნდება ინტენციაზე. ეს — ერთი; მეორეცაა და: რას ვუზამდით იმ შემთხვევებს, სადაც გარკვეული ფსიქიკური პროცესი (სინთეზისა, ანალიზისა...) უეჭველად გვაქვს. დავეყრდნობოდით ამათ, თუ იმ ინტენციას, რომელიც ასეთ შემთხვევებსაც თან ახლავს, და რაც უმთავრესია: არის კი „ინტენცია“ ფსიქიკური ოდენობა?

აქ ძალაუფლებურად გვაგონდება დიურის მსჯელობის რაობად წარმოდგენათა სინთეზს, ანალიზს ან ფსიქიკური მდინარების სხვა თავისებურებებს იმიტომ ვერ მივიჩნევთ, ამბობს იგი, რომ მსჯელობას საქმე აქვს წარმოდგენებთან კი არა, არამედ ცნებებთან. ასე რომ, დიურის გაგებით მსჯელობის მასალა ცნებებია, ხოლო აზროვნებითი აქტი მსჯელობისა ამ ცნებათა (და ცნებებში აღქმული) მიმართების აღქმაა. („... das Erfassen von Beziehungen zwischen begrifflich erfassten Gegenständen“, – Ebbinghaus-Dürr: Grundzüge der Psychol., II, გვ. 277).

ამ განსაზღვრებაში მოხმარებულია ცნება მიმართებისა და ცნება ცნებებისა; არც ერთი და არც მეორე **ფსიქოლოგიური ცნება** არ არის, არამედ შემეცნებითი ფაქტია; აუცილებელი იქნებოდა დაგვეძებნა მათი ფსიქიკური ეკვივალენტები და მხოლოდ შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი მათზე აგვეგო ცნება მსჯელობისა (ფსიქოლოგიის გაგებით).

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ წინადადების განსაზღვრება, დამყარებული მსჯელობის ასეთ განსაზღვრებაზე, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ვერ გამართლდება (მხედველობაში გვაქვს წინადადების შემდეგი განმარტება: „ყოველი წინადადება შეიცავს მიმართებას, რომელიც დადასტურებულია, ან სასურველი ან საძებარია მიმართულების სულ მცირე ორ წევრს შორის“: Grundzüge der Psych., II, გვ. 754).

ლიც ერთსა და იმავე დროს (მაგრამ სხვადასხვა ადგილას) იმავე წინადადების შინაარსს განიცდის სხვადასხვანაირად: ერთი — ანალიზის სახით, მეორე — სინთეზისა და მესამე კი „ნულის“ სახით, შესაბამისად იმ ერთი პირის სამი მდგომარეობისა.

მაშასადამე, **ერთი და იმავე წინადადების ფსიქიკური კორელატი შეიძლება იყოს სულ სხვადასხვა: ერთი და იმავე პირისათვის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირისათვის ერთსა და იმავე დროს.**

ვ უ ნ დ ტ ი ერთ ადგილას ამბობს: „წინადადება არის უწინარეს ყოვლისა ენობრივი წარმონაქმნი... ამიტომ, თუ კითხვა ისმის წინადადების რაობის შესახებ, ეს შეიძლება მხოლოდ მის ენობრივ ბუნებას შეეხებოდესო“¹; და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა ვთქვათ: ამ „ენობრივი ბუნების“ გარკვევა, რამდენადაც მიზნად იქნება დასახული წინადადების განსაზღვრა, ფსიქიკურ მოვლენებზე დაყრდნობით შეუძლებელია.

რაკი წინადადების კრიტერიუმად ცნობიერების მოვლენა იქნება მიჩნეული, განსაზღვრისას სიმძიმის ცენტრი კორელატ ფსიქიკურზე გადადის: წინადადება არის **ენობრივი გამონატულება**, რომელსაც ასეთი და ასეთი ფსიქიკური ფენომენები უდევს საფუძვლადო, ამბობს ფსიქოლოგისტი; **მისთვის სულერთია**, რას წარმოადგენს ეს „ენობრივი გამონატულება“, **არის იგი შესიტყვება თუ ცალკე სიტყვა**. ამით აიხსნება ის, რომ, როცა ფსიქოლოგისტები ამ „ენობრივი გამონატულების“ დეტალიზაციას იძლევიან, მათი განსაზღვრების სათანადო ნაწილი ასეთ სახეს იღებს: წინადადება არის **სიტყვა ან შესიტყვება...** სიტყვა და შესიტყვება ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოთავსებული საგრამატიკო ობიექტი არ არის; ესენი სულ სხვადასხვაგვარ ოდენობას წარმოადგენენ. ფსიქოლოგიზმისათვის ეს შეუმჩნეველი რჩება.

მართალია, არიან ისეთი ენათმეცნიერები-ფსიქოლოგისტები, რომელნიც ამბობენ: წინადადება არის შესიტყვებაო... ცალკე სიტყვა მათ წინადადებად არ მიაჩნიათ, მაგრამ ასეთი მსჯელობა არაა თანამიმდევრული; ფსიქოლოგისტს არ შეუძლია წინადადების კარები დახშოს ცალკე სიტყვისათვის: სათანადო ფსიქიკური ფენომენი ისევე შეიძლება იყოს გამონატული ცალკე სიტყვით, როგორც შესიტყვებით, უფორმო სიტყვებით «გუშინ», «გვიან», ისევე, როგორც ფორმიანით («ვწერდი», «ავდექი»); დამხმარე სიტყვები («თუკი...», «ვინძლო...») და შორისდებულები («ეს!») შეიძლება გარკვეულ კონტექსტში ისეთივე უფლებით აღიჭურვოს, როგორითაც სრული სიტყვები და შესიტყვებანი.

¹ Wundt: Völkerpsychol., II, გვ. 237.

უფრო შორსაც წავალთ, თუ იმ თვალსაზრისს დავადექით, **რა** გამოხატვის: სრულებით მიიკარგება ზღვარი მეტყველებითსა და ყველა იმ საშუალებებს შორის, რომელნიც მეტყველების ფუნქციებს კისრულობენ და ენის სახელწოდებით შეიძლება იქნენ მონათლული. წინადადების როლი ჩინებულად შეიძლება შეასრულოს სტვენამ, ხელის დაქნევამ, მითითებამ და სხვ. კითხვაზე: «საითკენ არის უნივერსიტეტი?» შეიძლება ვუპასუხოთ მთელი ფრაზით: «უნივერსიტეტი იქით არის». ან სადად ვთქვათ: „იქით!“ ანდა ხმის ამოუღებელი ხელით ვანიშნოთ მიმართულება. იმ პირისათვის, ვინც შეგვეკითხა, სამივე პასუხი ერთისა და იმავე ღირებულებისაა: აზრი ზოგადად სამივეში გასაგებია. ამას ემყარებოდა მარბე, როცა მსჯელობით წინადადებას გვერდში ამოუყენა მსჯელობითი სიტყვა და მსჯელობითი ჟესტი.

ფსიქოლოგიზმი არ ასხვავებს იმას, რისი გარჩევაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით აუცილებელია: შესიტყვება, სიტყვა, ნაწილაკი, ჟესტი ერთი ღირებულებისა გამოდის. თუ, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიზმი **არ ასხვავებს სიტყვას, შესიტყვებას თუ ნაწილაკს**, როცა, მაგალითად, ევროპულ ენათა მასალაა შესასწავლი; მეორე მხრივ, **ანგარიში არ ეწევა იმ სხვაობას, რომელიც არსებობს ენებს შორის**. სიტყვისა და შესიტყვების სტრუქტურის თვალსაზრისით **ფსიქოლოგიზმს ისევე ანასიათებს უნივერსალიზმი, როგორც ლოგიციზმს**.

§ 146. წინადადების ნაწილთა საკითხი ფსიქოლოგისტებთან. ცნება „ფსიქოლოგიური სუბიექტისა (resp. პრედიკატისა)“ გაბელენტთან. როგორღა წყდება პაულისა და ვუნდტის მიხედვით წინადადების ნაწილთა (ქვემდებარის, შემასმენლის, დამატების) საკითხი? პაული ამბობს: „ყოველი წინადადება შედგება სულ მცირე ორი ელემენტისაგან. ეს ელემენტები... განსხვავდება ფუნქციათა მიხედვით. მათ აღნიშნავენ, ვითარცა სუბიექტსა და პრედიკატს. ეს გრამატიკული კატეგორიები ემყარება ფსიქოლოგიურ ურთიერთობას. მართალია, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ფსიქოლოგიური და გრამატიკული სუბიექტი resp. პრედიკატი, ვინაიდან ორივე ერთ-ერთს არა ყოველთვის დაემთხვევა... მაგრამ მაინც გრამატიკული ურთიერთობა აგებულია ფსიქოლოგიური ურთიერთობის საფუძველზე. ფსიქოლოგიური სუბიექტი არის მეტყველის, მოაზროვნის (des Denkenden) ცნობიერებაში უკვე არსებული წარმოდგენითი მასა, რომელსაც მიემატა მეორე [წარმოდგენითი მასა], ფსიქოლოგიური პრედიკატი. შტაინთალთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტი არის მათემატიკური, პრედიკატი — გააპერცეფირებული“¹.

¹ იხ. Paul: Prinzipien, § 87, გვ. 123—125.

ცნება ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისა პირველად ფონდერ გაბელენციმა წამოაყენა თავის წერილში: „Ideen zu einer vergleichenden Syntax“¹; ამ წერილში ის მიზნად ისახავდა გამოერკვია, თუ რა ზოგად პრინციპს ემყარება სიტყვათა და წინადადებათა განრიგება ცალკე ენებში; სიტყვათა თანამიმდევრობის საფუძველს იგი წარმოდგენათა თანამიმდევრობაში ეძიებს. გაბელენცი მსმენელის მდგომარეობიდან ამოდის; იგი ამბობს: ჩვენ ვისმე ვესაუბრებით. რა მიზნით? რომ მასში გარკვეული აზრები გამოვიწვიოთ. აქ ორი რამ არის საგულისხმო: ჯერ ერთი, ის რომ, ჩვენ წავმართავთ მოსაუბრის ყურადღებას (მის აზროვნებას) რაიმესაკენ, და მეორეც ის, რომ ჩვენ მას ვაფიქრებინებთ ამ რაღაცის შესახებ გარკვეულ რაღაცას. და მე ვუწოდებ მას, რაზეც, რის შესახებაც მოსაუბრეს ვაფიქრებინებთ, **ფსიქოლოგიურ სუბიექტს**; იმას რაც მან ამის შესახებ უნდა იფიქროს, **ფსიქოლოგიურ პრედიკატს**².

ამათ გაბელენცი წინადადების მთავარ ფსიქოლოგიურ ნაწილებს უწოდებს³. მათი თანამიმდევრობა წინადადებაში გარკვეული სახითაა: **სუბიექტი უწინარესია, პრედიკატი — მომდევნო**⁴; „ცხადია, ამბობს იგი (ამისავე შესახებ სხვა ნაშრომში), რომ მე პირველად მას ვასახელებ, რაც ჩემს აზროვნებას აღძრავს, რის შესახებაც მე ვფიქრობ, ჩემს ფსიქოლოგიურ სუბიექტს, და შემდეგ მას, რასაც მის შესახებ ვფიქრობ, ჩემს ფსიქოლოგიურ პრედიკატს, და შემდეგ, როცა საჭიროა, კვალად ორივეს გავხდი საგნად შემდეგი აზროვნებისა და მეტყველებისა“⁵. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამას ეწინააღმდეგება Ideen-ის შემდეგი ადგილი: გრამატიკული პრედიკატი ან მისი ნაწილი შეიძლება წინ უსწრებდეს სუბიექტსაო⁶... გაბელენცი Ideen-ის ერთ ადგილას პირდაპირ ამბობს: „ჩვენი მიზნისათვის სულერთია, წინადადების სათანადო ნაწილი (და მაშასადამე, ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატის შესატყვისი ნაწილიც — **ა. ჩ.**) შედგებოდეს იქნება ერთისა თუ რამდენიმე სიტყვისაგან, გინდა მთელი წინადადებისაგან“⁷.

ამ განცხადების შემდეგ გაუგებარია, როგორ შეიძლება ითქვას: „წინადადების ორი თავდაპირველი ნაწილი მრავალგზის გვევლინება რთულ ფორმაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი განვრცობის ორი სახე: მეო-

¹ იხ. Zeitschr. für Völkerpsychol. und Sprachwissen. Bd. VI (1869).

² იქვე, გვ. 378 (§ 5).

³ იქვე, გვ. 379.

⁴ იქვე.

⁵ იხ. Sprachwissenschaft, გვ. 353—354.

⁶ იხ. Zeitschrift... VI, გვ. 381, § 9.

⁷ იხ. Zeitschrift... VI, გვ. 379, § 7.

რეხარისხოვანი პრედიკატები (*Nebenprädicate*) და ობიექტიო¹. თუ მეორეხარისხოვანი პრედიკატები და ობიექტი წინადადების მონაწილედ შემოვიყვანეთ, ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისათვის „რამდენიმე სიტყვა“ საიდანღა დარჩება? ვთქვათ, ფრაზაში: «ნაპოლეონი დამარცხებულ იქნა ლაიფციგთან»², ფსიქოლოგიური სუბიექტი «ნაპოლეონი»-ით აღინიშნება. რაღა გადმოგვცემს ფსიქოლოგიურ პრედიკატს? შეიძლება გვეფიქრა: «დამარცხებულ იქნა ლაიფციგთან»; აკი გვითხრეს: წინადადების ესა თუ ის ნაწილი და, მაშასადამე, ფსიქოლოგიური სუბიექტი (*resp.* პრედიკატიც) შეიძლება გადმოიცეს რამდენიმე სიტყვით, მთელი წინადადებითაც კიო. მაგრამ ეგების „დამარცხებულ იქნა“ პრედიკატი, «ლაიფციგთან» კი არის ობიექტი (თუ: მეორეხარისხოვანი პრედიკატი); არც ეს შესაძლებლობაა გამორიცხული, თუ ავტორის თვალსაზრისზე დავდგებით.

უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ ობიექტი გაბელენცისა წმინდა გრამატიკულ კატეგორიას გულისხმობს: გაბელენცი ლაპარაკობს პირდაპირისა და არაპირდაპირი ობიექტის შესახებ. ამგვარად: **ფსიქოლოგიურ კატეგორიებს** სუბიექტ-პრედიკატისა და მეორეხარისხოვანი პრედიკატისა შეექსოვა **გრამატიკული კატეგორია** (ობიექტისა).

გაბელენცი შენიშნავს: „... ფსიქოლოგიური კატეგორიები ხშირად განსხვავებული არიან თავისი გრამატიკული კორელატებისაგანო“³. ამის ილუსტრაციას უნდა წარმოადგენდეს მისი დასკვნები იმ შემთხვევების შესახებ, როცა უპიროვნო გერმ. ნაცვალსახელი *es* (ანდა ინგლ. *there*) იხმარება ფრაზაში: „ფსიქოლოგიურად აქ პრედიკატი არის სუბიექტი, გრამატიკული სუბიექტი კი პრედიკატიო“⁴.

თუ ფსიქოლოგიურ და გრამატიკულ კატეგორიას შორის კორელაცია ხშირად ირღვევა, როგორ შეიძლება პირველს მეორე დაემყაროს?

§ 147. წინადადების ნაწილთა საკითხი პაულთან. პაულის შესხედულებაში მეტი თანამიმდევრობაა. გაბელენცითან შედარებით მას შემდეგი ახასიათებს:

1: მსმენელის ცნობიერებაზე დაყრდნობა ფსიქოლოგიური სუბიექტის (*resp.* პრედიკატის) განსაზღვრისას მას უხერხულად მიაჩნია; ჩვენ იმას უნდა მივაპყრათ გულისყური, რომ წარმოდგენა მიერთვის სხვა წარმოდგენას საერთოდ ცნობიერებაშიო, ამბობს იგი⁵.

¹ იქვე, გვ. 382—383, § 10.

² მაგალითი გაბელენცისაა (იქვე, გვ. 380, § 8).

³ *Ideen, Zeitschr.* VI, გვ. 378, § 5.

⁴ იქვე, გვ. 381, § 9.

⁵ *Paul: Prinzipien*, გვ. 125, § 87.

2. წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციისას პ ა უ ლ ი, როგორც ჩანს, სხვა შეხედულებისაა, ვინემ გა ბ ე ლ ე ნ ც ი. ფრაზას: „კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს“¹, პ ა უ ლ ი ასე ანალიზებს (იგულისხმება, რომ მსმენელი მოუმზადებელია ამ ფრაზის ასათვისებლად და ფრაზის შინაარსში ყველა ნაწილი მისთვის თანაბრად ახალია). «კარლო» — სუბიექტი, «მიემგზავრება» — პრედიკატი, «ხვალ» აგრეთვე პრედიკატი «მიემგზავრებას»-ი, რომელიც «ხვალ»-ის მიმართ სუბიექტია; «ბერლინს» აგრეთვე პრედიკატი (მეორე) და იმავე გასუბიექტებულ «მიემგზავრებას»-ს განეკუთვნება. მეორეხარისხოვანი პრედიკატი, თუ ასეთებად «ხვალ» და «ბერლინს» არ მივიჩნევთ, არსად ჩანს, და უფრო საგულისხმო ის არის, რომ «ობიექტი» ტერმინიც პაულს არ მოეპოვება.

3. სუბიექტი ყოველთვის არ გამოითქმის უწინარეს პრედიკატისაო, ამბობს პ ა უ ლ ი: მართალია, მეტყველის ცნობიერებაში სუბიექტი უწინარესია, მაგრამ შესაძლოა საქმე ისე მოეწყოს, რომ ლაპარაკის დაწყებისას პრედიკატის უფრო მნიშვნელოვანი ცნება წინ წამოიჭრას იმდენად, რომ პირველად პრედიკატი იქნეს გამოთქმული და მხოლოდ შემდეგ — სუბიექტი. ასეთი შემთხვევა ხშირია, თუ სუბიექტის შესახებ უკვე იყო ლაპარაკიო²; მაგალითად, თქვენ ამბობთ: „თვედორე გონიერი ადამიანი ჩანს“?, თქვენი მოსაუბრე კი მოგიგებთ: „უგუნურია იგი“³.

ასეთ შესაძლებლობას გაბელენციც აქცევდა ყურადღებას, მაგრამ იგი მეტყველების ფაქტიდან გამოდიოდა: გრამატიკული პრედიკატი ან მისი ნაწილი შეიძლება წინ უძღოდეს სუბიექტსაო; ეს მოვლენა არ მიაჩნდა მეტად ხშირად და არ უწევდა როგორც ჩანს, მას ანგარიშს; მისთვის თითქოს მაინც ძალაში რჩებოდა ის დებულება, რომ ცნობიერებაშიც და მეტყველებაშიც უწინარესია სუბიექტი, მომდევნოა — პრედიკატი⁴.

პ ა უ ლ მ ა, პირიქით, სათანადო დასკვნები გააკეთა ამ ფაქტიდან. ეს აუცილებელი იყო და აი რატომ:

პ ა უ ლ ი გარკვევით ამბობს, რომ კატეგორიები ფსიქოლოგიური სუბიექტისა (resp. პრედიკატისა) უნდა იქნეს განსხვავებული გრამატიკის სათანადო კატეგორიათაგან; მაგრამ პ ა უ ლ ი ამასთანავე პირდაპირ გვე-

¹ იქვე, გვ. 283, § 197.

² იქვე, § 88, გვ. 127.

³ პ ა უ ლ ს საილუსტრაციოდ სხვა, სახელდობრ, შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „Müller scheint ein verständiger Mann zu sein; ein anderer entgegnet: ein Esel ist er!“ – Prinzipien, გვ. 127, § 88.

⁴ „როგორც ჩანს“, „თითქოს“ იმიტომ დავატანეთ, რომ ამ მხრივ გა ბ ე ლ ე ნ ც ი ს შეხედულებაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი არ არის მოხსნილი არც ხსენებულ Ideen-ში, არც საკმაო ხნის შემდეგ გამოსულ Sprachwissenschaft-ში.

უბნება: გრამატიკული კატეგორიები ემყარება ფსიქოლოგიურსაო; ამდენადვე ჩვენ საშუალება უნდა გვქნეს ამ ფსიქოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით მივაგნოთ გრამატიკულ კატეგორიებს. თუ ეს ასე არ იქნებოდა, სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდებოდა ეს ფსიქოლოგიური კატეგორიები და უადგილო იქნებოდა მათ შესახებ ლაპარაკი წინადადების ნაწილებთან დაკავშირებით.

გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი ს დებულება რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს, ადვილად დაიძებნებოდა ფსიქოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით გრამატიკული; იგი ამბობდა: რაც უწინარესია ცნობიერებაში, ის უწინარესია მეტყველებაშიც. ეს უწინარესი — ფსიქოლოგიური სუბიექტია; მაშასადამე, მისი აღმნიშვნელი სიტყვაც — გრამატიკული სუბიექტი, — ფრაზაში უწინარესი იქნება. ასე რომ, ფრაზაში ადგილმდებარეობა უკვე მიგვითითებს, რა სიტყვაცაა ფსიქოლოგიური სუბიექტის შესატყვისი (რა — პრედიკატისა).

მაგრამ ეს საიმედო საშუალებად ვერ ჩაითვლება მას შემდეგ, რაც დაშვებულია შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც პრედიკატმა შეიძლება გაუსწროს სუბიექტს, და, მაშასადამე, პირველი სიტყვა ფრაზაში უკვე სუბიექტს კი არ აღნიშნავს, არამედ პრედიკატზე უნდა მიგვითითებდეს. ერთი სიტყვით: ასეთი შესაძლებლობა **შეუძლებელს ხდის სიტყვათა თანამიმდევრობა გამოყენებულ იქნეს საშუალებად სუბიექტ-პრედიკატის გამოძებნა-დადგენისათვის.**

ამას უნდა უწევდეს პ ა უ ლ ი ანგარიშს, როცა იგი სხვა საშუალებით ცდილობს ფსიქოლოგიური პრედიკატის დადგენას. პრედიკატი, მისი აზრით, შეიძლება იქნეს გადმოცემული ფრაზის ყოველი სიტყვით იმისდა მიხედვით, თუ როგორია კონტექსტი და რისკენ არის მიპყრობილი მსმენელის ყურადღება, რას ხვდება ყველაზე ძლიერი ტონი. პ ა უ ლ ი ს საილუსტრაციო მაგალითი ნათლად დაგვანახებს, თუ რას წარმოადგენს მისი კრიტერიუმი.

ფრაზაში: «კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს» (ვტოვებთ სიტყვათა იმ თანამიმდევრობას, რომელიც დედანშია: **Karl fährt morgen nach Berlin**), როგორც ზევით ვნახეთ, «კარლო» სუბიექტია, «მიემგზავრება» — პრედიკატი, პრედიკატებია აგრეთვე «ხვალ ბერლინს»; ისინი განეკუთვნებიან «მიემგზავრება»-ს, როგორც სუბიექტს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მსმენელისათვის ამ ფრაზის შინაარსი სრულიად უცნობი იყო მანამდის, სანამ მას ეს უთხრეს: არც ის იცოდა, ვინ მიემგზავრებოდა, არც ის, თუ სად, როდის და, საერთოდ, მიემგზავრებოდა თუ არა.

მაგრამ, ვთქვათ, მან უკვე იცის, რომ კარლო მიემგზავრება ხვალ, ოღონდ არ იცის, სად; ასეთ შემთხვევაში, მან გაიგონა ფრაზა «კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს». «ბერლინს» სწორედ ის ახალი წარმოდგენა

იქნება, რომელიც უკვე არსებულს «კარლო ხვალ მიემგზავრება» მიერთო, და ამდენადვე — პრედიკატიც. ესაა ერთი შესაძლებლობა.

მეორე შესაძლებლობა: უკვე ვიცით, რომ «კარლო მიემგზავრება ბერლინს», არ ვიცით, როდის; ასეთ შემთხვევაში იმავე ფრაზაში პრედიკატად «ხვალ» მოგვევლინებოდა.

მესამე შესაძლებლობა: ვიცით, რომ «კარლო ხვალ ბერლინისაკენ» გაემართება, მაგრამ ზღვით, ხმელეთით, მატარებლით, ცხენით თუ ქვეითად, ეს გაურკვეველია: ასეთ პირობებში იმავე ფრაზის პრედიკატად იქნებოდა «მიემგზავრება».

დასასრულ, მეოთხე შესაძლებლობა: ვიცით, რომ ხვალ ბერლინს ვილაცხა მიემგზავრება, მაგრამ ვინ, — უცნობია, ამ კონტექსტში თუ გვეტყვიან: «კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინსო», პრედიკატად «კარლო» უნდა მივიჩნიოთ.

პ ა უ ლ ი ამბობს: „ოთხი აქ მოყვანილი ვარიაცია ერთისა და იმავე სიტყვებისაგან შემდგარი ერთისა და იმავე წინადადებისა შეესატყვისება ოთხ სხვადასხვა კითხვას: სად მიემგზავრება კარლო? როდის მიემგზავრება კარლო ბერლინს? როგორ მიემგზავრება (reist) კარლო ხვალ ბერლინს? ვინ მიემგზავრება ხვალ ბერლინს?“¹ პრედიკატის ბედი შეიძლება გაიზიაროს სუბიექტმაც.

ლოგიციზმის შეფასებისას (იხ. § 137) ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაკვრით აღგვენიშნა, რომ ლოგიკაში არსებობს სუბიექტისა და პრედიკატის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია; ის გვასწავლის, რომ ფრაზაში ინტონაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ ვის შესახებაა ლაპარაკი. ფრაზაში: «მამას უყვარს შვილი» ეს ინტონაცია შეიძლება სამსავე სიტყვაზე გვქონდეს, იმისდა მიხედვით, თუ რანაირია კონტექსტი: «**მამას** (და არა დედას) უყვარს შვილი»; «მამას **უყვარს** (და არა სძულს) შვილი»; «მამას უყვარს **შვილი**» (და არა ძმა...); თუ ამას დავემყარებოდით, იძულებული ვიქნებოდით ქვემდებარედ მიგვეჩინა ხან «მამას», ხან «შვილი», ხან კიდევ «უყვარს»...

ლოგიკისტური გრამატიკის არცერთი წარმომადგენელი, რამდენადაც ცნობილია, ამ გზით არ წასულა, ვინაიდან ეს გზა უცნაურ დასკვნებამდე მიგვიყვანდა.

ის, რისაგან თავი შეიკავეს ლოგიკისტებმა, გააკეთა ფსიქოლოგიზმმა პ ა უ ლ ი ს სახით. პ ა უ ლ ი ს ფსიქოლოგიზმი — წინადადების ნაწილთა ძიების საკითხში — არაფრით განირჩევა ლოგიციზმის იმ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციისაგან, რომელიც აქ არის მოხსენებული. ერთს შემ-

¹ Prinzipien, § 197, გვ. 283.

თხვევაში, — იქ, ლოგიკაში, — მეტყველის თუ მსმენელის ინტერესი, მოცემული კონტექსტი, და ამით განსაზღვრული **ინტონაცია** არის ერთადერთი კრიტერიუმი იმის გასათვალისწინებლად, თუ რის შესახებაა ლაპარაკი, ამ გზით ეძიებენ იქ სუბიექტს. მეორე შემთხვევაში, აქ, ფსიქოლოგიზმი იმავე საშუალებით არკვევს, რა წარმოდგენაა ის, რომელიც უკვე არსებობს ცნობიერებაში ან უნდა მიემატოს მას; ამ გზით ეძიებენ აქ, სუბიექტსაც, პრედიკატსაც.

ამ შემთხვევაში პ ა უ ლ ი ს შეხედულებას მოეპოვება შინაგანი თანამიმდევრობა: **თუ წინადადება ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოსახულებაა, მისი ნაწილებიც ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილთა გამოსახულება უნდა იყოს**; მსჯელობა წარმოდგენათაგან შედგება, **წინადადების ნაწილებს საფუძვლად სწორედ ეს წარმოდგენები უნდა ედოს. საორიენტაციოდ რჩება კვლავ მსჯელობა და მისი ნაწილები** ისევე, როგორც ამას ლოგიკიზმთან ჰქონდა ადგილი. არ შეცვლილა მეთოდოლოგიური პრინციპი. შეიცვალა მხოლოდ მისი შინაარსი: **ლოგიციზმის ადგილი დაიკავა ფსიქოლოგიზმმა**. შედეგიც მივიღეთ დამახასიათებელი. პ ა უ ლ ი ს საილუსტრაციო ფრაზაში ფსიქოლოგიური პრედიკატი აღმოჩნდა რიგ-რიგად: «ბერლინს», «ხვალ», «მიემგზავრება», «კარლო». დავამყარებთ ამ ფსიქოლოგიურ კატეგორიაზე გრამატიკულსა და იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ გრამატიკულ პრედიკატად, **შემასმენლად**, გვევლინება «მიემგზავრება»-ს გარდა: «ბერლინს», «ხვალ», «კარლო»...

საინტერესოა, რომ პ ა უ ლ ი მშვენივრად ხედავს, რომ ფსიქოლოგიურისა და გრამატიკული კატეგორიების ფარდობა არა გვაქვს მეოთხე შესაძლებლობის გათვალისწინებისას (იხ. ზემოთ). ის თვითონ ამბობს: „გრამატიკული სუბიექტი «კარლო» არის აქ ფსიქოლოგიური პრედიკატიო“¹; მაშინაც კი, როცა ფსიქოლოგიურ პრედიკატად არის «მიემგზავრება» და, შესაბამისად, უნდა გვეფიქრა, რომ ფსიქოლოგიური და გრამატიკული კატეგორიები ერთურთს ხვდება, მაშინაც თურმე ამ ორი კატეგორიის თანხმობა სრული არ არის, რადგანაც ზმნა fährt «მიემგზავრება» იშლება ორ შემადგენელ ნაწილად „მოძრაობის აღმნიშვნელ ზოგად ზმნად და განსაზღვრებად, რომელიც გვიჩვენებს მოძრაობის სახეობას და მხოლოდ უკანასკნელია პრედიკატიო“²; ესე იგი, t-სუფიქსი ყოფილა პრედიკატი! (მდრ. ქვემოთ ფორტუნატოვისა და ბუდეს შეხედულება).

პ ა უ ლ ი უფრო შორსაც მიდის: „**წინადადების ყოველი წევრი რაგვარ გრამატიკულ ფორმაშიაც უნდა გვევლინებოდეს იგი**, შესაძლებელია **ფსიქოლოგიურად განხილვისას აღმოჩნდეს სუბიექტი გინდ პრე-**

¹ Prinzipien, § 197, გვ. 283.

² იქვე.

დიკატი, გინდ **მაკავშირებელი წევრი** (Bindeglied), persp. მისი ნაწილიო¹.

და ამას გარდა ვკითხულობთ: „ერთწევროვან წინადადებაში შესაძლებელია, რომ ენობრივად (!) ის, რაც მეტყველისათვის ფსიქოლოგიური პრედიკატი, მსმენელისათვის, პირიქით, სუბიექტი იყოს. იმისათვის, ვინც ხანძრის დანახვაზე ყვირის «ცეცხლი!», მდგომარეობა არის სუბიექტი და ზოგადი ცნება «ცეცხლი» პრედიკატი; პირიქით, იმისათვის, ვისაც ესმის ყვირილი «ცეცხლი», სანამ იგი თვითონ ცეცხლს დაინახავდეს, ცნება ცეცხლისა სუბიექტია და მდგომარეობა — პრედიკატი“².

პაულის მოყვანილ სიტყვებში უკვე მოცემულია მისი შეხედულების სრული დაფასება. წინადადების **ყოველი ნაწილი** შეიძლება აღნიშნავდეს **სუბიექტსაც, პრედიკატსაც**; წინადადების **ერთი და იგივე** ნაწილი **სხვადასხვა მომენტში** შეიძლება გადმოგვცემდეს **სუბიექტსაც, პრედიკატსაც**; და კიდევ მეტი: **ერთსა და იმავე მომენტში ერთი და იგივე ნაწილი მეტყველისათვის შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური პრედიკატი, მსმენელისათვის კი — ფსიქოლოგიური სუბიექტი.**

მაგრამ **გრამატიკულ სუბიექტად, პრედიკატად ხომ არ გამოვადგება ყოველი ნაწილი წინადადებისა?** ხომ არ შეიძლება ერთი და იგივე, გარკვეული ფორმის მქონე სიტყვა ერთსა და იმავე წინადადებაში ერთ შემთხვევაში იყოს **ქვემდებარე**, მეორეში — **შემასმენელი** ანდა: მეტყველისათვის — **ქვემდებარე**, მსმენელისთვის — **შემასმენელი**, თუ პირუკუ! ასეთ პირობებში რანაირად შეგვიძლია დავეყრდნოთ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს? და თუ დავემყარებით, რისთვის? რას მოგვცემს იგი?

ორში ერთი: **ან ფსიქოლოგიური კატეგორია სუბიექტ-პრედიკატისა არის დასაყრდენი სათანადო გრამატიკულ კატეგორიათათვის, და მაშინ ვღებულობთ უაზრობას, რამდენადაც საქმე წინადადების აღწერთ ანალიზს შეეხება; ანდა ამოსავლად ეს ფსიქოლოგიური კატეგორიები არ გამოვადგება, და მაშინ მათ არაფერი ესაქმება წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციასთან.**

ეს ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრის შესახებ. პაულის არაფერი მოუპოვება დამატების გრამატიკული კვალიფიკაციისათვის. პაულის ფსიქოლოგიზმი უძლურია მას მოუძებნოს, საერთოდ, ფსიქოლოგიური შესატყვისიც კი, ისევე როგორც ლოგიციზმი ვერ ახერხებდა ამას: საამისო შესაძლებლობას აკი არ იძლევა მსჯელობა, იქნება იგი აღებულ ლოგიკის თუ ფსიქოლოგიის გაგებით.

¹ იქვე, § 198, გვ. 284.

² იქვე, § 90, გვ. 129.

§ 148. წინადადების ნაწილთა საკითხი ვუნდტთან. წინადადების ნაწილთა შესახებ არც ვუნდტი ამბობს, პაულთან შედარებით, პრინციპულად ახალ რასმე. ის უარყოფითად ეკიდება ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიატის ცნებას, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის მაინც წარმოდგენას მიმართოს. ამოსავლად ვუნდტი მაგაბატონებულ წარმოდგენა (*dominierende Vorstellung*) მიიჩნია; ასე იწოდება წინადადებაში ის სიტყვის-წარმოდგენა (*Wortvorstellung*), რომელიც ლაპარაკის დროს ყურადღების ნათელ წერტილშია მოქცეული¹. ასეთი გაგების უპირატესობად ვუნდტს ის მიაჩნია, რომ იმთავითვე არ არის ნავარუდები რომ წინადადებას ორი წევრი აქვს: გაბატონებულისა და უკანა რიგში მოქცეული (*zurücktretende*) წარმოდგენის სახით, არამედ აქ შეიძლება წევრთა მეტი ოდენობაც ვივარაუდოთ; ადგილი აქვს დასაფხურებას. ჩვეულებრივია სამი საფეხური, მაგ., მარტივი წინადადება: «დღეს ჩემი დაბადების დღეა» შეიძლება «ერთ ძლიერ ხაზგასმულ და ერთ სუსტ ხაზგასმულ წევრებად» დაიშალოს: «დღეს» — «ჩემი დაბადების დღე»; მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მეორე ნაწილისაგან გამოიყოს შედარებით უფრო ძლიერ გახაზული ნაწილი (*stärker gehobener Teil*) «ჩემი» ან «დაბადების დღე»². ცნობიერების ნათელ წერტილში მოყოლილი წინადადების ნაწილი (*Satzteil*), რასაკვირველია, ისწრაფვის დაიკავოს პირველი ადგილი წინადადებაში. ამრიგად: გაბატონებული და უკანა რიგში მოქცეული წარმოდგენები ერთმანეთს მისდევენ. ამას შეიძლება წინ აღუდგეს ან რაიმე ლოგიკური მოტივები ანდა წარმოდგენების ნაწილთა განწესრიგების კანონები და დაარღვიოს ეს თანამიმდევრობა; მაგრამ ენას სხვა გამომხატველობითი საშუალებანიც მოეპოვება: მახვილი და ტონებრივი მოდულაცია, და ამათ შეუძლიათ აღადგინონ გაბატონებული წარმოდგენის შელახული უფლება³.

საბოლოო ანგარიშში, აქაც ისევე, როგორ პაულთან, ტონებრივი მოდულაცია და მახვილი არკვევს, წინადადების რომელი სიტყვა აღნიშნავს გაბატონებულ წარმოდგენასა და რომელი — უკანა რიგში მოქცეულს... ვთქვათ, ეს უკვე ვიცით; რას მივიღებთ, ამის მიხედვით რომ განვადასოთ წინადადების ნაწილები? ცხადია, სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გაბატონებულ წარმოდგენას, და სიტყვას (თუ სიტყვებს), რომელიც აღნიშნავს უკანა რიგში მოქცეულ წარმოდგენას; ეს იმ შემთხვევაში, თუ ორი ნაწილი გამოიყოფოდა; თუ — მეტი, მაშინ: ერთი გაბატონებულისა და ორი (თუ მეტი) მეტ-ნაკლებად უკანა რიგში მოქცეული წარმოდგენის აღმნიშვნელ

¹ Wundt: *Völkerpsychol.*, II, გვ. 271.

² Wundt: *Völkerpsychol.*, II, გვ. 271.

³ იქვე, გვ. 272.

სიტყვებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დამოკიდებულია კონტექსტზე, სადაც შეუძლებელი არაა მსმენელმა ზედმიწევნით ვერ გაითვალისწინოს, რამდენი „ხაზი ესმება“ ამა თუ იმ წარმოდგენას და, მასამასადამე, შეცდომა მოუვიდეს „დასაფხუტებაში“, მაგრამ „დასაფხუტების“ სიძნელე შეუძლებლობის სახეს იღებს, როცა ნათქვამის მოსმენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ დაწერილის წაკითხვასთან: გაბატონებული წარმოდგენის მოძებნა აქაც შეიძლება, მაგრამ გრადაციების აღნიშვნა სრულიად მოუხერხებელია. ეს — ერთი.

გაბატონებული წარმოდგენა შეიძლება იქნეს გამომხატული ყოველი სიტყვით (სახელით, ზმნით, უფორმო სიტყვით...); კონტექსტის მიხედვით — ერთ შემთხვევაში ერთითა და მეორეში — მეორით ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში; ვუნდტის მაგალითში: «დღეს ჩემი დაბადების დღეა» გაბატონებულ წარმოდგენას გამოხატავს «დღეს» ისევე, როგორც ეს შეეძლო «ჩემი დაბადების დღეს». უკანა რიგში მოქცეულ წარმოდგენათა შესახებაც ეგვე ითქმის და ეს კი ნიშნავს: ვუნდტის ამ წარმოდგენებზე დამყარებით წინადადების ნაწილთა გამოყოფა ისევე შეუძლებელია, როგორც პაულის ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე. ეს — მეორე.

გაბატონებული და უკანა რიგში მოქცეული წარმოდგენები შეიძლება გადმოცემულ იქნეს, როგორც თითო, ისე მეტი სიტყვითაც (იხ. ვუნდტის მაგალითი ზემოთ). ორი წევრი შეიძლება აღმოაჩნდეს გავრცელებულ წინადადებას ისევე, როგორც გაუვრცელებელს. «მონადირე ნადირობს» და «მარჯვე მონადირე მიუვალ კლდეებში ჯიხვზე ნადირობს» თანაბრად შეიძლება ორწევრიანად გამოცხადდეს. ამ მხრივ შესიტყვებათა განსხვავება ვუნდტისათვის არ არსებობს; ენობრივად განსხვავებულს ვუნდტის კონცეფცია არ განასხვავებს. ეს — მესამე.

ამ შენიშვნებს გამოიწვევდა ვუნდტის შეხედულება, თუ წინადადების ნაწილთა კვალიფიკაცია იწარმოებდა ვუნდტის „გაბატონებულ“ და „უკანა რიგში მოქცეულ“ წარმოდგენებზე დაყრდნობით.

მაგრამ შეიძლება სხვა მიმართულება მიეცეს საკითხს, თუ მოვიგონებთ, რომ ვუნდტს თავისებურად ესმის „წინადადების ნაწილი“; ასეთად მას წარმოდგენა მიაჩნია; მართალია, სიტყვის-წარმოდგენა (*Wortvorstellung*), მაგრამ მაინც წარმოდგენა. ვუნდტი იმას იკვლევს, თუ რა მიმართებაშია ცნობიერების ნათელ წერტილთან ესა თუ ის წარმოდგენა, რამდენად ახლოსაა თუ შორს მისგან ენობრივი საშუალებანი; სიტყვათა თანამიმდევრობა, მახვილი, ტონებრივი მოდულაცია გამოყენებულია იმისათვის, რომ ცნობიერებაში წარმოდგენათა ვითარება იქნეს გათვალისწინებული. **წარმოდგენებზე დაყრდნობით კი არ ეძიებს ვუნდტი წინადადების ნაწილებს, სიტყვებს, პირიქით, სიტყვების საშუალებით — წარმოდგენებს.**

თუ ეს ასე იქნებოდა, ცხადია, ვუნდტს ვერ ვუსაყვედურებდით: წინადადების ნაწილათვის დასაყრდენად გამოსადეგი ფსიქოლოგიური ბაზა ვერ მოძებნაო. მაგრამ, ჯერ ერთი, ამით ნათქვამი იქნებოდა, რომ ვუნდტი სულ არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა ნაწილები აქვს წინადადებას და როგორ უნდა განისაზღვროს ეს ნაწილები.

მეორეცაა და თუ წინადადების ნაწილებად წარმოდგენები მოგვევლინება, ცხადია, წინადადება ფსიქოლოგიური ცნება ყოფილა და არა ენათმეცნიერული; ამის მთქმელ ვუნდტს წინააღმდეგობა ის ვუნდტი, რომელიც ამბობდა, წინადადება არის ენობრივი გამოხატულებაო.

ასე რომ: **ან ვუნდტი სულ არ იძლევა პასუხს წინადადების ნაწილთა შესახებ, ანდა ეს პასუხი წინადადების ენობრივი ბუნების გარკვევისათვის სრულიად გამოუსადეგარია¹.**

ვუნდტი ამბობდა: „როცა საკითხი ისმის წინადადების რაობის შესახებ, საქმე შეიძლება მხოლოდ მის ენობრივ ბუნებას შეეხებოდესო“², ეს მართებული პრინციპი, პირველ ყოვლისა, ვუნდტთანაა დავიწყებულნი. მისი წინადადების განსაზღვრება, წინადადების ნაწილთა დახასიათება ამის ნათელი ილუსტრაციაა.

§ 149. ოვსიანიკო-კულიკოვსკი წინადადების საკითხის შესახებ.

ოვსიანიკო-კულიკოვსკი ამბობს: „წინადადება არის სიტყვა ანდა ისეთი მოწესრიგებული და გააზრებული შეხამება სიტყვათა, რომელიც დაკავშირებულია აზრის განსაკუთრებულ მოძრაობასთან, რომელიც ცნობილია პრედიცირების (შემასმენლობის) სახელით“³.

„შემასმენელი — ეს არის წინადადების ის ნაწილი, რომელშიაც განსახიერებულია აზრის მაპრედიცირებული მოძრაობა და მასთან ერთად აღნიშნულია თვით შინაარსი, რომელიც გვევლინება პრედიცირების საგნად ანუ მიზნად“⁴.

¹ ჩვენ გვგონია, რომ ვუნდტი „პასუხს არ იძლევა“, მაგრამ მეორე შესაძლებლობის განხილვაც საჭიროდ ჩავთვალეთ „ყოველი შემთხვევისათვის“, რადგანაც ვუნდტის ნააზრების ჩვეულებრივი ბუნდოვანება აქაც იჩენს თავს, თან „გაბატონებულისა და უკანა რიგში მოქცეულ წარმოდგენათა“ ურთიერთობა საკმაოდ არ არის გაშუქებული. ამ მხრივ საინტერესოა ზოგი რამ. პაული, მაგ., კითხვას სვამს: რა უნდა ვივლისხმოთ გაბატონებული წარმოდგენის ქვეშ, ფსიქოლოგიური სუბიექტი თუ პრედიკატი (Prinzipien, გვ. 124, შენ. 1); ზიუტერლინს, როგორც ჩანს, გაბატონებული წარმოდგენა ფსიქოლოგიურ სუბიექტად მიუჩნევია და ამის მიხედვით სათანადო დასკვნები გაუტეობია... როზვადოვსკი ამაზე შენიშნავს: ვუნდტის შეხედულება ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის შესახებ „ზიუტერლინს ვერ გაუგიაო“ (იხ. Rozwadowski: Wortbildung, გვ. 66).

² Völkerpsychol., II, გვ. 237.

³ Руководство, გვ. 36.

⁴ იქვე, გვ. 37.

„ქვემდებარე არის წინადადების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს იმ მოქმედს, რომელიც წარმოშობს შემასმენელის ლექსიკურ შინაარსში მოცემულ ნიშანს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ მოქმედს, რომელსაც მიეწერება შემასმენლის მიერ აღნიშნული მოქმედება“¹.

„დამატება არის წინადადების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგნებს, რომლებზედაც ვრცელდება შემასმენლით აღნიშნული მოქმედება ანუ რომელიც იმყოფებიან ამა თუ იმ მიმართებაში წინადადების სხვადასხვა ნაწილებთან“².

როგორც ამ განსაზღვრებათაგან ჩანს, დამატებაც, ქვემდებარეც განსაზღვრულია შემასმენელთან მიმართებით, შემასმენლისა და წინადადების განსაზღვრებათა საძირკველს კი შეადგენს **ცნება პრედიციებისა** ანუ შემასმენლობისა. ამ ცნებაშია მოქცეული სიმძიმის ცენტრი.

რა არის პრედიცირება? იგი არ არის ენობრივი კატეგორია, იგი თუმცა თავისებური, მაგრამ მაინც ფსიქოლოგიური კატეგორიაა; პრედიცირება არის „აზრის მეტი ძალისხმევის შეგრძნება, საჭირო იმისათვის, რათა არა მხოლოდ დავასახელოთ, აღვნიშნოთ, არამედ ამას გარდა, კიდევ ვამტკიცოთ (დადებითად თუ უარყოფითად), ვაპრედიციროთ“³. როდის იჩენს ეს მოვლენა თავს? ოგსიანიკო-კულიკოვსკი შემდეგს მოგვითხრობს: „როცა მე ვამბობ ან ვფიქრობ: «სითეთრე», «თეთრი», «ხმაურია-ნი», «ყინვიანი», მე მხოლოდ ვასახელებ, აღვნიშნავ სათანადო წარმოდგენებს და ვაკლასიფიცირებ მათ (გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით). ხოლო როცა ვამბობ ან ვფიქრობ... «თეთრად ჩანს»... «ხმაურობს»⁴ მე არა მხოლოდ ვასახელებ ან აღვნიშნავ და ვაკლასიფიცირებ ამ წარმოდგენებს, არამედ კიდევ ვამტკიცებ რაღაცას (სულერთია დადებითად თუ უარყოფითად: «არ ჩანს თეთრად», «არ ხმაურობს», «არ ყინავდა»...). აზრის ეს დანართი მუშაობა ქმნის იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ პრედიცირებას ან შემასმენლობას. მას შეიძლება აგრეთვე ვუწოდოთ აზრის მაპრედიცირებელი მოძრაობა ან პრედიცირების (შემასმენლობის) ძალა. ამ მოძრაობას, ამ ძალას შევიცნობთ იმ განსაკუთრებული გონებრივი გრძნობით — აზრის მეტი ენერგიისა, მეტი სიცხადისა, მეტი სიმძიმისა, რომელიც თან სდევს ზმნებს, მიმღობათ და აბსოლუტივებს“⁵.

¹ იქვე, გვ. 45.

² Руководство, გვ. 46.

³ «Это (ე. ი. პრედიცირება) — ощущение *большого усилия мысли*, потребного для того, чтобы не только *называть, обозначать*, но кроме того, еще и *утверждать (положительно или отрицательно), предсказывать*» — Овсяннико-Куликовский: Руководство; გვ. 35 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

⁴ დედანშია აგრეთვე მაგალითები: белеть, белеющий, шумящий..., რომელთა გადათარგმნა ისე, რომ საჭირო ფორმა ქართულშიაც შერჩენოდათ, ვერ მოხერხდა.

⁵ იქვე, გვ. 33.

ზმნას, მიმღეობას, აბსოლუტივს განა თანაბარი სიძლიერის პრედიცირება აქვს? რასაკვირველია არა, პრედიცირების ინტენსივობა მეტია, როცა იგი ზმნურია, ნაკლებია, როცა მიმღეობისა ან აბსოლუტივის ფორმით გვევლინებაო, — ამბობს ავტორი¹. ცხადია, პრედიცირების ჭეშმარიტი წყარო ზმნა არის, მეტყველების სხვა ნაწილებს ზმნისაგან დაჰყვებათ იგი და ააშკარავებენ ამ თვისებას იმდენად, რამდენადაც მათ შერჩება ზმნური თვისებები.

აზრის მაპრედიცირებელი მოძრაობა აუცილებელი პირობაა წინადადების წარმოქმნისათვის, მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი არ არის საკმარისი: იგი „უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნილებებს“², რაც მხოლოდ ზმნურ ფორმას შეუძლია: „არა ყოველი პრედიცირება ქმნის წინადადებას, არამედ მხოლოდ ზმნური პრედიცირებაო“, — გვეუბნება ოვსიანიკო-კულიკოვსკი³; „ზმნის, ზმნურობის გარეშე არ არსებობს წინადადება“⁴; ჩვენ უნდა მივმართოთ ზმნის გარკვეულ ფორმას, თუ გვინდა მივიღოთ წინადადება. ავიღოთ ზმნები: «ვზივარ»... «დავდიოდი»... «კითხულობდა»... იქნება თუ არა ეს წინადადებები? არა, გვეტყვის ოვსიანიკო-კულიკოვსკი: მე შემიძლია ოცი ასეთივე ზმნის ფორმა დავასახელო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ოცი წინადადება ვთქვი⁵, ანდა დავაუღვლო ზმნა: მიმაქვს, მივაქვს, მიაქვს... მაგრამ არც ეს ნიშნავდეს იქნება, რომ მე სათანადო ოდენობის წინადადებანი ვაწარმოე⁶. რატომ? თურმე არც ზმნის ფორმა იძლევა ყოველთვის საკმაო ინტენსივობის პრედიცირებას, ანუ, როგორც ავტორი განმარტავს: წინადადების საწარმოებლად საჭირო ყოფილა აზრის გარკვეული ენერგია, მაპრედიცირებელი მასალის მინიმუმი, რომელზე ნაკლებს არ შეუძლია შექმნას წინადადება⁷... თურმე ზმნის ფორმას ესაჭიროება „ხელის შემწყობი ფსიქოლოგიური პირობები“, რომ გამოიწვიოს ჩვენს გონებაში აზრის ის მაპრედიცირებელი მოძრაობა, რომელსაც შეუძლია შექმნას წინადადება, და თუ ეს პირობები არ გვარდება, არც წინადადება შეიქმნება⁸. ოვსიანიკოვსკი შენიშნავს: „წინადადება უბრალო პრედიცირების აქტი კი არ არის, არამედ პრედიცირების გააზრიანებული და მიზანშეწონილი აქტიო“⁹.

¹ იქვე.

² Руководство; გვ. 34.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 35.

⁷ იქვე, გვ. 34—35.

⁸ იქვე, გვ. 35.

⁹ იქვე, გვ. 35—36.

ოვსიანიკო-კულიკოვსკის შეხედულებაში ჩვენ ამჟამად არ გვინტერესებს ის, რაც არის მასში ტიპური, საერთოდ ფსიქოლოგიზმისათვის დამახასიათებელი, პირიქით, ყურადღებას იქცევს ის, რაც არის კერძობითი, სპეციფიკური.

ასეთია პრედიციების (პრედიკაციის) ცნება. ამ ცნების შესახებ უნდა ითქვას: ოვსიანიკო-კულიკოვსკიმ ვერ დაადგინა ის ოდენობა პრედიციების ძალისა, რომელიც საკმარისია წინადადებისათვის. არა ჩანს, რატომ არ კმარა პრედიციების ის ოდენობა, რომელიც მიმღეობას ან აბსოლუტივს აქვს, წინადადების ჩამოსაყალიბებლად; ზმნა ენობრივად განირჩევა მიმღეობისაგან, აბსოლუტივისაგან: ამისათვის არსებობს გარკვეული ნიშანი, მოიპოვება საზომი — წმინდა **ენობრივი**; მაგრამ ოვსიანიკო-კულიკოვსკის შეხედულებაში არ მოიპოვება არავითარი **ფსიქოლოგიური საზომი** იმისათვის, რომ შეიძლებოდეს თქმა: პრედიციების ძალის ამდენი და ამდენი ერთეულია მიმღეობაში, ამდენი აბსოლუტივში და ამდენი ზმნაში, და წინადადებისათვის არ კმარა ის ოდენობა, რომელიც პირველ ორს მოეპოვებაო.

ეს კიდევ არაფერი. თუ ფსიქოლოგიურად არა, ენობრივად მაინც დავდებთ ზღვარს აბსოლუტივ-მიმღეობასა და ზმნას შორის, და ამ ენობრივი ზღვარის ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას წარმოვადგენთ: მეთოდოლოგიურად ეს უმართებულო იქნებოდა¹, მაგრამ ფაქტობრივ — შესაძლებელი.

შეუღარებლივ უფრო რთულია მდგომარეობა, როცა იძულებული ვხდებით დავადგინოთ: ზმნური პრედიკაციის რაგვარი ოდენობა იძლევა წინადადებას? ანუ: წმინდა ზმნური ფორმა როდის შეიძლება იქცეს წინადადებად და როდის არა, ამას ოვსიანიკო-კულიკოვსკი განმარტავს ასეთი ფრაზებით: „საჭიროა აზრის გარკვეული ენერჯია“, „საჭიროა ხელის შემწყობი ფსიქოლოგიური პირობები“... — „წინადადება გულისხმობს აზრის აქტიურობას, მის თვითმოქმედების გარკვეულს ხარისხს“². ყოველივე ეს გაურკვეველი რომ არის, სუბიექტური და დაუდგარი ნიშანია; არაფერს შველის ამ მხრივ იმის თქმაც, რომ „პრედიციების გააზრიანებული და მიზანშეწონილი აქტია“ წინადადება, რადგანაც ცნება „გააზრიანებულისა“, „მიზანშეწონილისა“, ფსიქოლოგიაში უცნობი და უცხოა.

მაგრამ პრედიციებისა და ზმნის ურთიერთობა სხვანაირად გაშუქდება, როცა გავიგებთ, რომ შეიძლება პრედიცილება იყოს გამომხატული ზმნის გარეშეც, მასთან ისეთი ოდენობითაც კი, რომ წინადადება აწარმოოს:

¹ დაუშვებელი იქნებოდა იმიტომ, რომ ფსიქოლოგისტი ვალდებულია ფსიქიკურზე დაყრდნობით ახსნას ენობრივი და არა — პირუკუ.

² იქვე, გვ. 35.

ამოძახილებში «ცეცხლი» ან «ცისკარი, მეგობრებო, ცისკარი!» (პოლონ-სკის ლექსიდანაა) გვაქვს თურმე აზრის მაპრედიცირებელი აქტი; ოვსიანიკო-კულიკოვსკი ამბობს: „აქ არ არის ზმნები გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობით, მაგრამ არის ზმნურობა, არის ზმნური-პრედიკატული მოძრაობა აზრისა, რომელიც ვრცელდება მოცემულ არსებით სახელებზე, რომელნიც ამ აზრით „ზმნურდებიან“¹.

ეს ნიშნავს: **ზმნა არ ყოფილა არც საკმარისი, არც აუცილებელი პირობა წინადადებისათვის.** სახელსაც შესძლება გარკვეულ კონტექსტში გამონათოს პრედიცირება, იქცეს წინადადებად. ამნაირად მივიღეთ ის, რაც ასე ჩვეულებრივია და მოსალოდნელი ფსიქოლოგისტიკაგან, რომელიც ამბობს: წინადადება არის აზრის აღმნიშვნელი **სიტყვა თუ შესიტყვებაო**, ოღონდ სხვა ტერმინებშია ეს დასკვნა მოცემული: „ზმნურდება არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში, მას თან ახლავს აზრის მაპრედიცირებელი აქტი“...²

სახელი ზმნურდება („существительное оглаголивается“) — აი ultima ratio ფსიქოლოგიზმისა ოვსიანიკო-კულიკოვსკის სახით.

§ 150. ფორტუნატოვი წინადადების საკითხის შესახებ. ფორტუნატოვის შეხედულებას ჩვენ ვითვალისწინებთ მისი წერილის მიხედვით: „О преподавании грамматики русск. языка в средней школе“, რომელიც მოხსენებად იყო წაკითხული 27. XII. 1903 წ. სამხედრო სასწავლებელთა რუსული ენის მასწავლებლების ყრილობაზე.

ჩვენის აზრით, ფორტუნატოვის შეხედულების ძირითადი წანამძღვარი მოცემულია წერილის იმ ადგილში, სადაც ნათქვამია, რომ ენის სხვადასხვა ფორმათა მნიშვნელობის შესწავლა ნიშნავს მეტყველების მიმართების გათვალისწინებას აზროვნებისადმი, და ეს კისინტაქსის საქმეაო³.

¹ „Глаголов нет в смысле определенного лексического значения, но есть глагольность, есть глагольно-предикативное движение мысли, распространяющееся на данные существительные, которые в этом смысле „оглаголиваются“ – იქვე, გვ. 42.

² Руководство; გვ. 42.

³ ფორტუნატოვი ამაზე ლაპარაკობს უფროს კლასებში გრამატიკის სწავლების საკითხთან დაკავშირებით; სათანადო ადგილი ასეა: „При преподавании русской грамматики в старших классах учащиеся получают более полное знакомство с звуковой стороной русского языка... и главное внимание учащихся сосредоточивается на значениях, принадлежащих различным формам языка, и следовательно, на отношении языка к мышлению: поэтому в преподавании русской грамматики в старших классах школы особенно видное место должен иметь отдел синтаксиса“ – იხ. Препод. грамматики, РФВ, стр. 58 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ფორტუნატოვის თქმით, წინადადების განსაზღვრის საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ საკითხებთან, რომელნიც წამოიჭრებიან ხოლმე ჩვენის აზროვნების შესწავლისას. არსებობს ერთი ზოგადი და ამიტომ გაურკვეველი განსაზღვრება წინადადებისა, რომლის მიხედვითაც წინადადება მეტყველებაში (**предложение в речи**) წარმოადგენს მთლიანი აზრის გამოსახულებას სიტყვაში ან სიტყვებში. ამ განსაზღვრებაზე შეიძლება შეთანხმდნენ სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელი¹.

ფორტუნატოვი ამ ზოგადი განსაზღვრებიდან ამოდის; იგი იწყებს იმ აზრ-ცნების დეტალიზაციით, რომელიც საფუძვლად უდევს წინადადებას. შედგენილობის მხრივ ამ აზრში ფორტუნატოვი ვარაუდობს ორ ნაწილს (რომელთაგანაც თითოეული შეიძლება იყოს რთულიც) და მიმართებას ამ ნაწილთა შორის². ეს ნაწილები წარმოდგენები³. აზრი ფორტუნატოვს ესმის როგორც პროცესი, აგრეთვე, რამდენადაც საქმე ეხება მეტყველებაში აზრის გამოხატვას, თვით პროცესის შედეგი⁴.

რაში მდგომარეობს ეს პროცესი? „აზრის ის პროცესი, რომელიც გამოიხატება მეტყველებით წინადადებაში (**предложение в речи**), მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენათა მოცემულ შეხამებაში ჯერ გამოიყოფა ერთი ნაწილი, ამ აზრის პირველი ნაწილი, რომელიც თვითონ შეიძლება იყოს რთული და რომელიც შეიცავს აზრის პირველი საგნის წარმოდგენას, შემდეგ — მეორე ნაწილი, რომელიც აგრეთვე თვითონ შეიძლება იყოს რთული და რომელიც შეიცავს იმავე აზრის მეორე საგნის წარმოდგენას. და როგორც მთლიანი აზრის მესამე ელემენტი, გამოიყოფა შეგნება კავშირისა ან კავშირის არარსებობისა აზრის ამ ორ საგანს შორის⁵.

„ფსიქოლოგიური მსჯელობა, მაშასადამე, შეიცავს სამ ელემენტს, მაგრამ როცა ფსიქოლოგიური მსჯელობა მეტყველებაში გადმოიცემა, თუნდაც ეს გადმოცემა სრული იყოს, შეგნება კავშირისა წარმოდგენათა შორის, რომელნიც მსჯელობის ცალკე ნაწილებს წარმოადგენენ, რასაკვირველია, არ შეიძლება იქნეს გადმოცემული ცალკე და შედის ერთ-ერთი ნაწილის გამოხატულებაში. ამიტომაც, — ამბობს ფორტუნატოვი, — ფსიქოლოგიურ მსჯელობაშიაც, რამდენადაც მას განვიხილავთ მის მიმართებაში მის გამოხატულებასთან მეტყველებაში, ჩვენ შეიძლება გავარჩიოთ ორი ელემენტი: ფსიქოლოგიური მსჯელობის პირველი ნაწილი და მეორე —

¹ იქვე, გვ. 65.

² იქვე, გვ. 55—65.

³ იქვე, გვ. 66.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 67.

მის იმ მიმართებაში პირველ ნაწილთან, რომელსაც აზრი ააშკარავებს¹. ამას მოსდევს მსჯელობისა და წინადადების ნაწილთა ასეთი კვალიფიკაცია: „ფსიქოლოგიური მსჯელობის მეორე ნაწილი მის მიმართებაში პირველ ნაწილთან შეიძლება იწოდოს **ფსიქოლოგიურ შემასმენლად**, ხოლო პირველი, რომელიც ნავარაუდევია ასეთი მეორე ნაწილის მიერ — **ფსიქოლოგიურ ქვემდებარედ** იმისდა შესაბამისად, რომ ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილთა გამოხატულებას მეტყველებაში შეადგენენ ეგრეთ წოდებული ქვემდებარე და შემასმენელი წინადადებაში იმ შემთხვევაში, სადაც ეს ნაწილები შეიძლება იქნეს გარჩეული მეტყველებაში“².

ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან დაკავშირებით წყდება საკითხი სრულ და უსრულ წინადადებათა შესახებ. სრულ წინადადებაში მსჯელობის ყოველი ნაწილი აღნიშნულია სათანადო სიტყვით, არაფერია ნაგულისხმევი, ხოლო უსრული წინადადება არის „ისეთი ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულება, რომელშიაც მისი შემადგენელი ორი ნაწილისაგან მხოლოდ ერთი შეიცავს სიტყვის ან სიტყვათა წარმოდგენებს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილს არ გააჩნია სიტყვიერი წარმოდგენა და შედგება აზრის საგნის ან მისი ნაწილის უშუალო წარმოდგენისაგან“³. ამისდა კვალობაზე ირკვევა, რომ სიტყვა «ხ ა ნ ძ ა რ ი», არათუ გარკვეული აფექტის ზეგავლენით წამოძახებული, არამედ დამშვიდებულ საუბარშიაც შეიძლება იყოს ნახმარი, როგორც უსრული წინადადება: იგი აღნიშნავდეს იქნება ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ს, ხოლო ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ი ს როლში თვით ხანძრის წარმოდგენა იქნებოდა. ისეთი სიტყვებიც კი, თურმე, როგორიცაა «სახლი», «ლამფა», «ხე», «ფრინველი», „შეიძლება მოგვევლინოს მეტყველებაში წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა დ, სახელდობრ, უ ს რ უ ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა დ“⁴.

ფსიქოლოგიური მხარის განხილვას მოსდევს ენობრივის ანალიზი. იგი იწყება შესიტყვების განსაზღვრებით: „შესიტყვებას მეტყველებაში მე ვუწოდებ იმ მთლიანს მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც იწარმოება ერთი სრული სიტყვის (და არა ნაწილაკის) მეორე სრულ სიტყვასთან შეხამებით, იქნება იგი მთლიანი ფსიქოლოგიური მსჯელობის თუ მისი ნაწილის გამოხატულება“⁵.

¹ იხ. Препод. грамматики, РФВ, გვ. 67—68.

² იქვე, გვ. 68.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 68—69.

⁵ იხ. Препод. грамматики, РФВ, გვ. 69.

როგორია შესიტყვების შედგენილობა? „ყოველ შესიტყვებაში განიჩევა მნიშვნელობის მიხედვით ორი ნაწილი: დამოკიდებული, არათავისთავადი, და დამოუკიდებელი, თავისთავადი; შესიტყვებაში აზრის საგანი ამ ორ ნაწილთაგან ერთ-ერთში აღინიშნება, როგორც გარკვეულ მიმართებაში მყოფი აზრის საგანთან შესიტყვების მეორე ნაწილში“¹.

რა მიმართებაშია წინადადება შესიტყვებასთან? ფორტუნათოვი ასხვევებს სრულსა და უსრულ წინადადებას; უსრული წინადადების განსაზღვრება უკვე იყო ზევით მოცემული; სრულ წინადადებას კი იგი ასე განსაზღვრავს: „სრული წინადადება მეტყველებაში გამოხატავს ისეთ ფსიქოლოგიურ მსჯელობას ანუ წინადადებას აზრში (предложение в мысли), რომელსაც ორსავე ნაწილში აქვს სიტყვათა წარმოდგენები“²; აქვე მოცემულია პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე: „რუსულ ენაში სრული წინადადება ჩვეულებრივად შეიცავს ერთ სიტყვას კი არა, არამედ შესიტყვებას, თუმცა **გარკვეულ პირობებში შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგანაც** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.); მაგალითად, უპიროვნო «თენდება», «ყინავს», განუსაზღვრელ პიროვან ფორმაში «რეკავენ», და სხვ.³ სრული წინადადება გადმოიცემა ერთი სიტყვითაც: პირიქით, უსრული წინადადება შეიძლება აღინიშნოს შესიტყვებით: „უსრული წინადადება შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ ცალკე სიტყვას, არამედ შესიტყვებასაც, როგორც ნაწილს ფსიქოლოგიური მსჯელობისა ანუ მთელი წინადადებისა აზრში, მაგალითად, «მფრინავი ფრინველი», ანდა «ფრინველი ფრენს»-აც კი **შეიძლება იხმარებოდეს სრულ მეტყველებაში, როგორც უსრული წინადადებაც** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), მსგავსად, მაგალითად, ცალკე სიტყვისა «ფრინველი»⁴. ეს მაშინ ხდება, თუ შესიტყვება «ფრინველი ფრენს» ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილს გამოხატავს⁵.

როგორ წარმოუდგენია წინადადების ნაწილები ფორტუნათოვის? იგი უწინარეს ყოვლისა ქვემდებარესა და შემასმენელს გამოყოფს. ქვემდებარის განსაზღვრება დამყარებულია შემასმენლის განსაზღვრებაზე, შემასმენლის განსაზღვრება კი ასეთი სახისაა: „გრამატიკული შემასმენელი ისეთი სიტყვა ან სიტყვათა შეერთება, რომელშიც ენის ფორმა აღნიშნავს აზრის მოცემულ საგანს, აზრის მიერ გამოაშკა-

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 70.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ შდრ. იქვე, გვ. 74. „...словосочетание, являющееся по образованию грамматическим предложением, может употребляться в речи и как неполное предложение, выражающее лишь одну часть психологического суждения“.

რავებულს შეხამებაში მეორე საგანთან“¹. „გრამატიკული ქვემდებარე კი არის სიტყვა, რომელსაც უერთდება, რომელსაც მიეკუთვნება შესიტყვებაში გრამატიკული შემასმენელი“².

გრამატიკულ შემასმენლად რუსულში არის ზმნა უღვლილების ფორმებში, მაგრამ ზმნას გრამატიკულ შემასმენლად ხდის თურმე პირის ფორმები კი არა, არამედ დროისა და კილოს ფორმები³, და სწორედ ამ ფორმებს უწოდებს ფორტუნატოვი შემასმენლობის ფორმებს⁴. ამას ფორტუნატოვი ასე ასაბუთებს: „პირის ფორმებით ზმნაში აღინიშნება მოქმედება ანუ მდგომარეობა მის მიმართებაში გარკვეულ პირთან, რომელიც წარმოშობს მოქმედებას ან მატარებელია მდგომარეობისა, მაგრამ **არ აღინიშნება** ის, რომ **ასეთი მიმართება მოქმედებისა ან მდგომარეობისა აშკარადდება აზრის მიერ** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**), (ასეთი მიმართება) რომ არ არის მოცემული აზრის საგანში“⁵.

გრამატიკული ქვემდებარე და შემასმენელი ყოველთვის როდი გადმოგვცემს ფსიქოლოგიურ სუბიექტსა და პრედიკატს; ამდენადვე გრამატიკული და ფსიქოლოგიური ანალიზი ერთგვარ შედეგებს როდი იძლევა. ასე, მაგალითად, შესიტყვება «**№№** ჩამოვიდა მოსკოვიდან» გრამატიკული წინადადებაა, რომელშიაც «მოსკოვიდან» არის არამთავარი ნაწილი, დაკავშირებული გრამატიკულ შემასმენელთან «ჩამოვიდა»; იმ ფსიქოლოგიურ მსჯელობაში კი, რომელიც ამ წინადადებით არის გადმოცემული, „შემასმენლად შეიძლება იყოს სიტყვის წარმოდგენა «მოსკოვიდან», წარმოდგენა სიტყვებისა კი «**№№** ჩამოვიდა» შეიძლება შეადგენდეს ფსიქოლოგიური მსჯელობის ქვემდებარეს, რამდენადაც **№№**-ის საიდანდაც ჩამოსვლის თვით ფაქტი უკვე ცნობილი იყო“⁶. ...აგრეთვე: შესიტყვებანი «ჩამოვიდა **№№**», «ფრენს ფრინველი» შეიძლება ვიხმართ მეტყველებაში, როგორც გამოსახულება ისეთ ფსიქოლოგიურ მსჯელობათა, რომლებშიაც ქვემდებარეებად

¹ „...грамматическое сказуемое – такое слово или такое соединение слов, в котором формой языка обозначен данный предмет мысли в открываемом мыслью сочетании его с другим предметом“ – იქვე, გვ. 71–72.

² „...грамматическим подлежащим является слово, с которым соединяется, к которому относится в словосочетании грамматическое сказуемое“, იქვე, გვ. 71.

³ იქვე, გვ. 72.

⁴ იქვე.

⁵ „Формы, делающие глагол грамматическим сказуемым, не формы лица сами по себе; формами лица в глаголе обозначается действие или состояние в отношении к известному лицу, как производителю действия или носителю состояния, но не обозначается то, что такое отношение действия или состояния открывается мыслью, не дано в предмете мысли“, იქვე, გვ. 72.

⁶ იხ. Препод. грамматики, РФВ, გვ. 74.

იქნებიან წარმოდგენანი სიტყვათა — «ჩამოვიდა», «ფრენს», შემასმენლებად კი — წარმოდგენანი სიტყვათა «*№№*», «ფრინველი»¹. ამიტომაც: „გრამატიკულ წინადადებათა გრამატიკული ანალიზი სასტიკად უნდა იქნეს განსხვავებული იმ მსჯელობათა ანუ აზრში წინადადებათა ფსიქოლოგიური ანალიზისაგან, რომელნიც გამოისახვიან მეტყველებაში გრამატიკულ წინადადებებში“².

ფორტუნატოვი აღნიშნავს, რომ მსჯელობის ნაწილთა თანამიმდევრობის მიხედვით არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული წინადადების ნაწილთა თანამიმდევრობა: „ფსიქოლოგიურ მსჯელობაში ანუ წინადადებაში აზრში... ქვემდებარე შეადგენს პირველ ნაწილს, შემასმენელი — მეორე ნაწილს, პირველის მომდევნოს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება აქედან გავაკეთოთ დასკვნა სიტყვათა განრიგების შესახებ სრულ წინადადებაში მეტყველებისა“³.

ამრიგად, ფორტუნატოვის შეხედულების ჩონჩხს ქმნის შემდეგი დებულებები:

1. წინადადება ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოსახულებაა. ფსიქოლოგიური მსჯელობის შედგენილობაც, პროცესობრივი რაობაც (არსებითად) პაულისებურია: წინადადებაში მესამე ნაწილად მიმართების გამოყოფა აგრეთვე პაულს მოგვაგონებს (იხ. ზემოთ § 147, გვ. 378).

2. წინადადების ნაწილები ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილების გამოსახულება არ არის და ვერც იქნება: გრამატიკული ქვემდებარე შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური შემასმენელი (პრედიკატი); გრამატიკული შემასმენელი — ფსიქოლოგიური ქვემდებარე (სუბიექტი) და — პირიქით, ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის თანამიმდევრობა სრულებით არ განსაზღვრავს სიტყვათა თანამიმდევრობას წინადადებაში.

3. ქვემდებარის განსაზღვრება ემყარება შემასმენლის განსაზღვრებას. არც პირველი და არც მეორე არ განისაზღვრება ფსიქოლოგიურ ცნებებზე (კერძოდ, სუბიექტ-პრედიკატზე) დაყრდნობით. შემასმენლობის ფორმებად მიჩნეულია დროისა და კილოს ფორმა ზმნაში.

ერთი სიტყვით, შეხედულების პირველი ნაწილი წმინდა ფსიქოლოგისტურია.

შეხედულების ფსიქოლოგიური ბაზა განსაზღვრავს ძირითადი შეცდომის აუცილებლობას. ცალკე სიტყვა (სახელიც კი «ხანძარი», «ფრინველი»...) შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს წინადადებად (უსრულად), თუ

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 75.

³ იქვე, გვ. 76–77.

იგი გამოხატავს ფსიქოლოგიურ მსჯელობას; პირიქით, შესიტყვება (ისეთიც კი, როგორცაა: «ფრინველი ფრენს»...) შეიძლება არ იყოს წინადადება, თუ გამოხატავს მხოლოდ ნაწილს ფსიქოლოგიური მსჯელობისა.

წინადადების ნაწილთა საკითხში **ფსიქოლოგიზმი უარყოფილია, მაგრამ არ არის დაძლეული**: ეს ნათლად ჩანს იმაში, რომ შემასმენლობის ფორმებად დროისა და კილოს ფორმა მიჩნეული (ესე იგი, არასინტაქსური ფორმები); ხოლო პირის ფორმა, ზმნის ეს ძირითადი სინტაქსური ფორმა შემასმენლობის ფორმად არაა მიჩნეული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ გვიჩვენებს, რომ „მოქმედებისა თუ მდგომარეობის მიკუთვნება გარკვეული პირისათვის აშკარადება აზრის მიერ“. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პირის ფორმის საშუალებით აღინიშნება „მოქმედება თუ მდგომარეობა მის მიმართებაში გარკვეულ პირთან, როგორც მოქმედების მწარმოებელთან ან მდგომარეობის მატარებელთან“.

ფსიქოლოგიზმი მაინც არ არის დაძლეული ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებისას, რამდენადაც აქაც შეიჭრა ფსიქოლოგიური კატეგორია: „შემასმენელი არის სიტყვა ანუ ისეთი შეერთება სიტყვათა, რომელშიაც ენის ფორმა აღნიშნავს **აზრის მოცემულ საგანს აზრის მიერ გამოაშკარავებულ შეხამებაში სხვა საგანთან**“. განსაზღვრების ბუნდოვანება მხოლოდ თუ გახაზავს ასეთი ფსიქოლოგიზმის სისუსტეს.

ცალკე აღნიშნავს საჭიროებს ფორტუნატოვის შეხედულების შემდეგი მომენტი. ზემოთ არაერთხელ შეგვხვდა გამოთქმა: «წინადადება აზრში» (предложение в мысли); მის კორელატად კიდეც — «წინადადება მეტყველებაში» (предложение в речи). რომ ეს გასაგები გახდეს, უნდა მოვიგონოთ ფორტუნატოვის შემდეგი სიტყვები: „იმის გამო, რომ მსჯელობა-ტერმინი ძველთაგანვე გარკვეულად იხმარებოდა ლოგიკაში, ზოგიერთი მეცნიერი წინააღმდეგია ეს ტერმინი გადატანილ იქნეს ყოველ აზრზე, რომელიც გამოხატულია წინადადებით მეტყველებაში, მაგრამ ეს არ არის არსებითი საკითხი, იგი ეხება მხოლოდ ტერმინის ხმარებას. ჩვენ მაინც შეგვეძლო გაგვევრცელებინა „წინადადება“ სახელწოდება თვით იმ აზრზედაც, რომელიც გამოისახება წინადადებით მეტყველებაში, ესე იგი, შეგვეძლო განგვესხვაებინა **წინადადებანი აზრში** და **წინადადებანი მეტყველებაში**, ვითარცა აზრის გამოსახულებაში“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)¹. მართალია, „წინადადება“ ტერმინიც (ბერძნული πρόταση) აგრეთვე იხმა-

¹ „Мы можем, впрочем, распространить название „предложение“ и на самую мысль, выражающуюся в предложении в речи, т. е. можем различить предложение в мысли и предложение в речи, как в выражении мысли“, იქვე, გვ. 67.

რება ლოგიკაში, სხვათა შორის, იმავე აზრით, როგორც მსჯელობა, მაგრამ, როგორადაც უნდა იყოს, იგი დიდი ხანია ცნობილია მეტყველებაში აზრის გამოსახატავადაც¹.

რა უფლებით შეგვიძლია ჩვენ გავავრცელოთ „წინადადება“ აზრზე-დაც? ალბათ, იმიტომ, რომ ფორტუნატოვის გაგებით „აზრში, რომელიც გამოიხატება წინადადებაში, ყოველ შემთხვევაში მისი ორი ნაწილიდან ერთი მაინც შეიცავს სიტყვის წარმოდგენას ან სიტყვათა წარმოდგენებს...“². ჩვეულებრივად ალბათ, ორივე ნაწილი ასეთ სიტყვის წარმოდგენას შეიცავს, ხოლო თუ კვლავ დავსვამდით კითხვას: რატომ ხდება ეს ასე, იძულებული ვიქნებოდით გავვეთვალისწინებინა ფორტუნატოვის შეხედულება მეტყველების აზროვნებასთან მიმართების შესახებ.

გავრცელებული შეხედულება არის საშუალება აზრთა გადმოსაცემად, ფორტუნატოვს დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია: ისე გამოდის, თითქოს აზრი, რომელიც აშკარავდება მეტყველებაში, არსებობს, ვითარდება სიტყვათაგან დამოუკიდებლად ისევე, როგორც გრძნობანი, რომელნიც მართლაც არსებობენ და ვითარდებიან სიტყვათაგან დამოუკიდებლივ³. უფრო მართებულად ფორტუნატოვს მიაჩნია ის გაგება, რომლის მიხედვითაც ენა წარმოადგენს არა მარტო საშუალებას აზრთა გამოსახატავად, არამედ აზროვნების იარაღსაც. აქ ის მაინც არის ნაჩვენები, რომ აზროვნება ქმნის თავისთვის რაღაცას ენის საშუალებით. მაგრამ ამით მაინც არ არის ზედმიწევნით განმარტებული აზროვნების პროცესში ენის მნიშვნელობა; ენა მაინც რაღაც გარეშედ არის მიჩნეული.

„სინამდვილეში კი გარკვეულის მხრით ენის გამოვლენები თვით განეკუთვნებიან აზრის მოვლენებს. ენა ჩვენს ზეპირი მეტყველების პროცესში... არსებობს იმიტომ, რომ იგი არსებობს ჩვენს აზროვნებაში: ჩვენს მეტყველებაში სიტყვები უშუალოდ გამოსახავენ, ააშკარავენ ისეთ აზრებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან წარმოდგენანი იმავე სიტყვათა, ვითარცა სააზროვნო ნიშანთა... წარმოდგენანი სიტყვათა, ე. ი. წარმოშობის მიხედვით წარმოდგენანი კუნთებისა და აკუსტიკურ შეგრძნებათა, რომელთაც იწვევენ სიტყვების ნათქვამი ან გაგონილი ბგერები; [აი ეს წარმოდგენანი]: არიან აზროვნებაში სხვა წარმოდგენათა მაგიერნი, და ამიტომ, თუკი გვაქვს სიტყვათა წარმოდგენები, ჩვენ საშუალება გვეძლევა

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 66.

³ იქვე, გვ. 54.

ვიაზროვნოთ იმის შესახებაც, რაც უშუალოდ სრულიად არ შეიძლებოდა წარმოგვედგინა ჩვენს აზროვნებაში. და ვიაზროვნოთ ისე, როგორც ვერ ვიაზროვებდით, სახელდობრ, აზრის საგანთა განზოგადებისა და განყენების მხრივ, თუ არ გვექნებოდა აზროვნების ნიშანთა წარმოდგენები“¹.

თავისი აზრის საილუსტრაციოდ ფორტუნატოვი ამბობს: „საერთოდ «არყის ხეს» მე ვერ წარმოვიდგენ ისე, რომ არ გამიჩნდეს წარმოდგენა რომელიმე ინდივიდუალური არყისა, რომლის შემადგენელი ნაწილები მეტ-ნაკლების სიცხადით წარმომიდგება, მაგრამ «არყი» სიტყვის წარმოდგენა ჩემს აზროვნებაში არის წარმოდგენა ზოგადი ნიშნისა ყველა ინდივიდუალური არყისათვის“².

მაშასადამე, საგანთა და თვისებათა ზოგადი წარმოდგენა არ არსებობს: ინდივიდუალური საგნის წარმოდგენა ეწევა მის მაგივრობას, თუ საქმე საგანს შეეხება; ხოლო თუ თვისებას ეხება საქმე, იგი რაიმე საგანთან დაკავშირებით წარმოიდგინება. მათ აღმნიშვნელ სიტყვათა წარმოდგენები კი შესაძლებელყოფენ „ზოგადის“ წარმოდგენას. აზროვნების დროს ცნობიერებაში ეს სიტყვის-წარმოდგენებია. მაშასადამე, აზრი ყოფილა შემდგარი არა საგანთა წარმოდგენებისაგან (ან სხვა რაიმე მოვლენებისა თუ პროცესებისაგან), არამედ სიტყვათა-წარმოდგენებისაგან. ასე რომ, ფრაზა «ბალახი მწვანეა» მეტყველებაში წარმოადგენს **ორი სიტყვისაგან შემდგარ წინადადებას, აზროვნებაში კი ამავე სიტყვათა წარმოდგენებს და მათს მიმართებას**. ამიტომაც არსებობს წინადადება მეტყველებაში და წინადადება აზრში. ალბათ ამიტომვე იყო შესაძლებელი აზრის, ფსიქოლოგიური მსჯელობის, სამი ნაწილი ორამდე ყოფილიყო დაყვანილი (იხ. ზემოთ), როცა გამოირკვა, რომ წინადადებაში მესამე ნაწილი ცალკე არ არსებობს.

ფორტუნატოვის ამ შეხედულებათა შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: ზოგადი წარმოდგენა შეიძლება რეპრეზენტირებული იყოს ინდივიდუალური სახის საშუალებით; ასეთი ინდივიდუალური სახის უქონლობა არ ანიჭებს თავისთავადობას სიტყვის წარმოდგენას; საერთო წესის მიხედვით ეს სიტყვის წარმოდგენებიც შეიძლება ცნობიერებაში არ აღმოგვაჩინდეს მსჯელობის პროცესში; აზროვნება სავსებით შესაძლებელია სიტყვის წარმოდგენათა გარეშეც („უსახო აზროვნება“ — იხ. § 84). ყოველივე ამის გამო შეუძლებელია აზრის დაშლა სიტყვის წარმოდგენებად, შეუძლებელია აზრს (ფსიქოლოგიურ მსჯელობას) ეწოდოს „წინადადება აზრში“ („предложение в мысли“).

¹ იხ. Препод. грамматики, РФВ, გვ. 55.

² იქვე.

§ 151. შახმატოვი წინადადების საკითხის შესახებ.

თავისებურია შახმატოვის შეხედულება. „სინტაქსი ეწოდება გრამატიკის იმ ნაწილს, რომელიც განიხილავს საშუალებებს აზროვნების გამოვლენისა სიტყვაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, გარეგან ნიშანთა იმ კრებულში, რომელსაც აწარმოებენ მეტყველების ორგანოები და რომელნიც აღიქმებიან სმენის საშუალებით“¹. „სინტაქსის ამოცანას შეადგენს შეისწავლოს როგორც წინადადება, ე. ი. სააზროვნო ერთეულის სიტყვიერი გამოსახულება, ისე... შესიტყვებანი და სიტყვანი, რამდენადაც ამ უკანასკნელთ... არ დაუკარგავთ კავშირი წინადადებასთან, შეუნახავთ რა მნიშვნელობა წინადადების ნაწილებისა და წევრებისა“². „სინტაქსი იყოფა რამდენიმე ნაწილად: ძირითად ნაწილში განიხილება მოძღვრება წინადადებისა და მისი მთავარი წევრების შესახებ; სხვა ნაწილებში განიხილავენ მოძღვრებას შესიტყვებათა და წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა შესახებ, აგრეთვე მოძღვრებას მეტყველების ნაწილთა შესახებ“³.

„წინადადება არის მეტყველების ერთეული, რომელსაც მეტყველიცა და მსმენელიც აღიქვამს, როგორც გრამატიკულ მთლიანობას და რომლითაც სიტყვიერად გამოისახება აზროვნების ერთეული. ჩვენი აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს შეადგენს წარმოდგენათა ის მარაგი, რომელიც ჩვენ მოგვცა წინამორბედმა გამოცდილებამ და რომელიც იზრდება მიმდინარე განცდების საშუალებით; წინადადების ფსიქოლოგიურ საფუძველს კი შეადგენს ამ წარმოდგენათა შეხამება აზროვნების იმ განსაკუთრებულ აქტში, რომლის მიზანსაც შეადგენს აუწყოს სხვა ადამიანებს აზროვნებაში მომხდარი შეხამება წარმოდგენათა; ამ ფაქტს ჩვენ ვუწოდებთ კომუნიკაციას“⁴.

„აზროვნების უმარტივესი ერთეული, უმარტივესი კომუნიკაცია შედგება ორი წარმოდგენის შეხამებისაგან, რომელნიც ნებისყოფის მოძრაობამ დააყენა პრედიკატულ კავშირში (ესე იგი, საერთოდ განმსაზღვრელ,

¹ „Синтаксисом называется та часть грамматики, которая рассматривает способы обнаружения мышления в слове, иначе – в совокупности внешних знаков, воспроизводимых органами речи и воспринимаемых слухом“ – Шахматов: Синтаксис, стр. 423. Примечание редактора, § 1.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ Предложение – это единица речи, воспринимаемая говорящим и слушающим, как грамматическое целое и служащая для словесного выражения единицы мышления. Психологической основой нашего мышления является тот запас представлений, который дал нам предшествующий опыт и который увеличивается текущими нашими переживаниями; психологической же основой предложения является сочетание этих представлений в том особом акте мышления, который имеет целью сообщение другим людям состоявшегося в мышлении сочетания представлений; этот акт мы называем коммуникацией – Шахматов: Синтаксис, стр. 1, § 1.

კერძოდ, დამოკიდებულ, მიზეზობრივ, გენეტურ კავშირში). კომუნიკაციებს ეკუთვნის არა მარტო პროპოზიციები და მსჯელობანი, არამედ წარმოდგენათა ყოველი სხვა შეხამებანიც, რომლებიც (წარმოდგენები) ჩვენ მიერ დაკავშირებულია განზრახ, ამა თუ იმ მიზნით, მაგ., შეხამებანი, რომელთაც გამოსახულება პოვეს სიტყვებში, როგორიცაა, მაგ., «შინ არის მამა?», «წადით!», «დაგველია რამე!», «დამჯდარიყავით ჩვენთან!»¹.

„კომუნიკაციასა და წინადადებას შორის, რომელშიაც კომუნიკაცია პოულობს გამოსახულებას, ჩვეულებრივ შუამავლად გვევლინება შინაგანი მეტყველება, ესე იგი აკუსტიკურსა, ნაწილობრივ (კიდევ) ოპტიკურ ნიშნებში გადმოცემული აზრი“². „კომუნიკაციის ფსიქოლოგიური აქტი უნდა მივიჩნიოთ რთული პროცესის შედეგად, რომელიც თავში შედგებოდა ნებისყოფის მოძრაობისაგან, — რომელიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ მოსაუბრისთვის ეუწყებინა ორი შეხამებული წარმოდგენა, — შემდეგ კი ამ წარმოდგენათა ფსიქიკური ანალიზისაგან... კომუნიკაციის დასაბამი იწყება შინაგანი მეტყველების საზღვრებს მიღმა, მაგრამ დასრულებას იგი პოვეს შინაგანი მეტყველების პროცესში, საიდანაც იგი უკვე გადადის გარეგან მეტყველებაში“³.

ამიტომ, ამბობს შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი, შემცდარი იქნებოდა იგივეობის ნიშანი დაგვესვა გარეგან მეტყველებასა, კერძოდ, წინადადებასა და კომუნიკაციას შორის: კომუნიკაცია შუამავალია მეტყველების ფსიქიკისა და მის (ფსიქიკის) იმ გამოვლენას შორის სიტყვაში, რომლისკენაც იგი (ფსიქიკა) ისწრაფვის; ამდენადვე კომუნიკაციაში უკუფენილია, ერთი მხრით, ადამიანის ფსიქიკის უღრმესი ფენები, მეორე მხრით, ის გარეგანი საშუალებანი, რომლებშიაც იგი გამოიხატება, ესე იგი ბგერითი წარმოდგენანი სიტყვების შესახებ“⁴.

კომუნიკაცია-ცნება შ ა ხ მ ა ტ ო ვ ს ნასესხები აქვს ს ვ ე დ ე ლ ი უ - ს ი ს ა გ ა ნ, რომლის 1897 წელს უ პ ს ა ლ ა შ ი გამოსულ ტრაქტატზე „L'analyse du langage appliquée à la langue française“ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი თვითონ მიუთითებს⁵. მაგრამ ს ვ ე დ ე ლ ი უ ს ი კომუნიკაცია-ტერმინით აღნიშნავდა ორ რასმე: სამეტყველო ერთეულის ფსიქიკურ სუბსტრატსაც და სამეტყველო ერთეულის გარეგან გამოხატულებასაც⁶. შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა კ ი, როგორც უკვე ვნახეთ, არსებითად შე ე ც ვ ა ლ ა კომუნიკაცია-ცნების შინაარსი.

¹ იქვე, გვ. 1—2, § 2.

² იქვე, გვ. 2.

³ იქვე.

⁴ Синт., გვ. 2—3, § 3.

⁵ იქვე, გვ. 1, შენიშვნა 1.

⁶ იხ. ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი: Известия, გვ. 215.

ფსიქოლოგიური კომუნიკაცია ისევე, როგორც ფსიქოლოგიური მსჯელობა, შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს აზრით შედგება სუბიექტისა და პრედიკატისაგან: სუბიექტს იგი განსაზღვრავს როგორც წარმოდგენას, რომელიც გაბატონებულია მასთან შეხამებულ წარმოდგენაზე: ეს უკანასკნელი კი იქნებოდა პრედიკატი; პრედიკატი დამოკიდებულია სუბიექტზე¹.

საიდან გამომდინარეობს სუბიექტისა და პრედიკატის ასეთი ურთიერთობა? ერთი წარმოდგენის გაბატონებული მდგომარეობა მეორის მიმართ განსაზღვრულია სათანადო წარმოდგენათა ბუნებით: მაგალითად, წარმოდგენა საგნისა არ შეიძლება არ იყოს გაბატონებული ნიშნის წარმოდგენაზე, ვინაიდან საგანი არის მატარებელი ნიშნისა; საგნის წარმოდგენა ამიტომ სუბიექტად უნდა მოგვევლინოს, ნიშნის წარმოდგენა — პრედიკატად². შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ამრიგად არ იზიარებს ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის იმ გაგებას, რომელიც წამოაყენა გაბელენცმა და რომელსაც მიემხრნენ, როგორც ამას შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ც აღნიშნავს, პ ა უ ლ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი; შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი უფრო ვ უ ნ დ ტ ი ს ა კ ე ნ იხრება, თუმცა ამბობს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რასაც გაბელენცი და მისი მიმდევრები აღნიშნავენ³. ანგარიშის გაწევა იმაში გამოიხატება, რომ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ასხვავებს გაბატონებული წარმოდგენის ორ სახეს: ერთია გაბატონებული — თავის ბუნებისდა მიხედვით, მეორე — გაბატონებული ხდება მეტყველების ნება-სურვილისა თუ გუნება-განწყობილების წყალობით; ამ შესაძლებლობის ახსნა უნდა ვეძიოთ კონფლიქტში ადამიანის ფსიქიკის საფუძვლებსა და მისი ცნობიერების ცვალებად, დაუდევარ განწყობილებათა შორის; საბოლოო ანგარიშში პირველს და მასზე დამყარებულ ბუნებრივად გაბატონებულ წარმოდგენას აქვს უპირატესობა⁴. ასე ფიქრობს შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი.

სუბიექტი საგნის წარმოდგენა უნდა იყოს, თუ საგნისა და ნიშნის წარმოდგენაა შეხამებული; ნიშნის წარმოდგენა სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს, თუ იგი შეხამებაში იმყოფება ისევ ნიშნის წარმოდგენასთან; შეიძლება აგრეთვე ნიშნის წარმოდგენა სუბიექტი იყოს, პრედიკატად კი გვექონდეს წარმოდგენა მიმართების შესახებ⁵.

ასეთია კომუნიკაციის ნაწილების, ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის ბუნება და მათი შესაძლო კონკრეტიზაცია საგნის, ნიშნისა და მიმართების წარმოდგენათა სახით. მერე საიდან ვიცით ყოველივე ეს? „ჩვენ

¹ Синт., გვ. 4, § 5.

² იქვე, გვ. 5, § 5.

³ იქვე, გვ. 7, § 6.

⁴ Синт., გვ. 7, § 6.

⁵ იქვე, გვ. 8—10, §§ 8, 9.

ამას ვასკვნით ენის მონაცემზე დაყრდნობით, კომუნიკაციის გამოვლენით სიტყვაშიო¹, გვეუბნება შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი.

წინადადება შეესატყვისება **კომუნიკაციას**; არსებობს თუ არა ასეთივე შესატყვისობა **წინადადებისა** და **კომუნიკაციის წევრებს შორის**? შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს პასუხი უარყოფითი იქნება: „წინადადებას «ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი აფრინდა მალალ ცაცხვზე» შეესატყვისება კომუნიკაცია, რომლის სუბიექტია «ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი», ხოლო პრედიკატი — «აფრინდა მალალ ცაცხვზე»; კომუნიკაციის ორ წევრს უპირისპირდება შვიდი სიტყვა და ეს სიტყვები წინადადების ექვს წევრს შეესატყვისება².

რაზე უნდა დავამყაროთ წინადადების წევრების განსაზღვრება, თუკი „პირდაპირი შესატყვისობა მათ შორის აღარ არის?“³ კომუნიკაცია ორი წარმოდგენისაგან შედგება, მაგრამ მისი შესატყვისი წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, სამი ანდა მეტი სიტყვისაგან, ამისდა კვალობაზე გვექნება: **ა.** ერთწევრიანი (односоставные) წინადადებანი: მაგ., «ყინავს» (мороз!). კომუნიკაციის დაშლას სუბიექტად და პრედიკატად აქ არა აქვს ადგილი. მათი შეხამება ერთ სიტყვაშია მოცემული; **ბ.** ორწევრიანი წინადადება: «ძალი ყეფს», აქ სუბიექტიც ცალკე სიტყვით არის გადმოცემული, პრედიკატიც, ქვემდებარე ხვდება სუბიექტს, შემასმენელი — პრედიკატს... ქვემდებარე და შემასმენელი ერთმანეთთან გრამატიკულად არის დაკავშირებული: **„ქვემდებარე არის მთავარი წევრი გაბატონებული შედგენილობისა, შემასმენელი — მთავარი წევრი დამოკიდებული შედგენილობისა“⁴.** „შემასმენელი საერთოდ დამოკიდებულია ქვემდებარეზე; მისი ესა თუ ის ფორმები მიგვითითებს მის დამოკიდებულებას ქვემდებარეზე, შემასმენელი გრამატიკულად ემსგავსება ქვემდებარეს...“⁵

სიტყვათა გაბატონებული და დამოკიდებული მდგომარეობის შესახებ საგულისხმოა შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შემდეგი მოსაზრებანი: „ყოველ გრამატიკულ ერთიანობაში მოიპოვება ერთი გაბატონებული სიტყვა; მასთან შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული სიტყვა... **ბატონობს ესა თუ ის სიტყვა უწინარეს ყოვლისა თავისი მნიშვნელობის წყალობით: აქ ისევე, როგორც კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ წევრთა ურთიერთობაში, აშკარავდება ზოგიერთი მუდმივი მიმართებანი: არსებითი სახელი**

¹ „Наши заключения основываются на данных языка, на обнаружении коммуникаций в слове“ – იქვე, გვ. 10, § 10.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 12, § 12.

⁴ „Подлежащее – это главный член господствующего, а сказуемое – главный член зависимого состава“ – Синтакс., გვ. 13, § 12.

⁵ იქვე, გვ. 238.

(ესე იგი სუბსტანციის ან საერთოდ ნიშანთა მატარებლის სახელი) **მუდამ გაბატონებულია ზედსართავ სახელსა და ზმნაზე**¹.

დამატებას შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ასე განსაზღვრავს: „დამოკიდებული სიტყვა, რომელიც დაკავშირებულია გაბატონებულ სიტყვებთან ობიექტური მიმართებით, იწოდება გრამატიკაში დამატებად“².

განსაზღვრების დეფინიცია ასეთი სახისაა: „ზედსართავი სახელი, რომელიც ნახმარია ატრიბუტად მასზე გაბატონებულის, მისი მმართველის არსებითი სახელისათვის, შეესატყვისება წინადადების იმ ნაწილს, რომელიც იწოდება განსაზღვრებად“³.

სინტაქსი აზროვნებასთან დაკავშირებით შეისწავლება... წინადადების ფსიქოლოგიური ბაზა არის კომუნიკაცია, ცნება უფრო ფართო, ვინემ ფსიქოლოგიური მსჯელობა: კომუნიკაცია შედგება ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისაგან; სუბიექტი ეწოდება გაბატონებულ წარმოდგენას, პრედიკატი — დამოკიდებულს. წინადადების წევრები არაა კომუნიკაციის ნაწილებთან ისეთსავე სრულ შესატყვისობაში, როგორც არსებობს კომუნიკაციასა და წინადადებას შორის: კომუნიკაცია მუდამ ორი წევრისაგან შედგება, წინადადება კი შეიძლება შედგებოდეს როგორც ორი, ისე ერთი, სამი თუ მეტი სიტყვისაგან. ამისდა მიუხედავად წინადადების წევრთა ურთიერთობა აგებულია იმავე პრინციპზე, რომელიც კომუნიკაციის წევრთა ურთიერთობას ახასიათებს: აქაც გაბატონებული და დამოკიდებული შედგენილობაა. ბატონობს ის სიტყვა, რომლის ფსიქიკური კორელატიც არის გაბატონებული წარმოდგენა⁴. ასეთია სქემა-განაკვეთი შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებისა.

ამ შეხედულების თავისებურებას შეადგენს:

ა. წინადადებისათვის ახალი ფსიქოლოგიური სახის წამოყენება კომუნიკაციის სახით;

ბ. კომუნიკაციის წევრების, სუბიექტისა და პრედიკატის, სხვაგვარი გაგება, ვინემ ეს გა ბ ე ლ ე ნ ც - პ ა უ ლ ს ა და მათ მიმდევრებს ჰქონდათ; შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი საერთოდ ვ უ ნ დ ტ ს მისდევს, მაგრამ მისგანაც განსხვავდება;

¹ იქვე, გვ. 14, § 13 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

² „Зависимое слово, связанное с господствующим словом объективным отношением, называется в грамматике дополнением“ – Синтакс., გვ. 22, § 23.

³ იქვე, გვ. 21, § 21.

⁴ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს გაბატონება-დამოკიდების პრინციპი შ ა ხ მ ა ტ ო ვ ს ჯერ წარმოდგენათა სამყაროში აღმოეჩინოს და შემდეგ აქედან გადაეტანოს მეტყველების სინამდვილეში. ქვემოთ დავინახავთ, რომ ადგილი ჰქონდა სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას. მაგრამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც აქ წარმოდგენილია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულების სისტემატური ანალიზი (და არა — მისი გენეზისი).

გ. წინადადების მთავარ წევრთა, ქვემდებარისა და შემასმენლის, ურთიერთობაში იმავე პრინციპის დადგენა, რასაც ადგილი აქვს სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობაში. ეს გარემოება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ორი მხრით: ჯერ ერთი, უარყოფილია ის შეხედულება, თითქოს ზმნა-შემასმენელი იყოს წინადადების უმთავრესი წევრი, რასაც ასე დაბეჭითებით იცავდნენ ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა - ტ ო ვ ი... მეორეცაა და: შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა ამით შეძლო ის, რაც მანამდე არ ხერხდებოდა. ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრება ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე დაყრდნობით ვერ შეძლო ვერც ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ - მ ა, ვერც პ ა უ ლ მ ა: აქ საჭირო იყო ახალ საშუალებათა დაძებნა წინადადების წევრთა განსაზღვრების მოსაცემად. შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა აქაც იგივე პრინციპი (გაბატონება-დამოკიდებისა) მოიმარჯვა, რასაც კომუნიკაციაში ვხვდებოდით; ამდენადვე დატულია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს ფსიქოლოგიზმის შინაგანი ლოგიკა, ამიტომაც შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებას მეტი მთლიანობა და თანამიმდევრობა ახასიათებს, ვინემ რომელსამე სხვა ფსიქოლოგისტის ნააზრევს.

რამდენად მკვიდრია ამ შეხედულების საფუძვლები? შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი გვეუბნება: კომუნიკაცია-ცნებას ის უპირატესობა აქვს ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან შედარებით, რომ იგი უფრო ფართო ცნებაა; იგი წარმოადგენს არა მარტო თხრობითი კილოთი გადმოცემულ წინადადებათა ფსიქიკურ კორელატს, არამედ მასვე შეუძლია დაითიოს კითხვითი, ბრძანებითი და ნატვრითი წინადადებების ფსიქიკური ეკვივალენტებიო. ეს რომ ასე იყოს, ფსიქოლოგიზმის პირველი მთავარი ამოცანა დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი, რადგანაც მოცემული იქნებოდა წინადადების **ვეელა სახის** შესატყვისი ფსიქიკური ოდენობა. არის კი ეს ასე? უდავოა, რომ თხრობითი, კითხვითი, ნატვრითი წინადადებები წინადადებებია; არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ფსიქიკაში ჩვეულებრივ მათ რაღაც შესატყვისი გააჩნია; მაგრამ ეს „ფსიქიკური შესატყვისი“ მხოლოდ მაშინ შეიძლება „კომუნიკაციის“ (თუ სხვა რომელიმე **ერთი**) სახელწოდებით აღინიშნოს, თუ დამტკიცებული იქნება, რომ ამ სხვადასხვაგვარ წინადადებათა კორელატები ფსიქიკურად, — პროცესის რაობისა და რაგვარობის მხრივ, — ერთნაირია. ფსიქოლოგიური მსჯელობის რაობის განხილვის დროს შემთხვევა გვქონდა საკმაო სიცხადით დაგვენახა, თუ რამდენად ცვალებადი და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს იგი: შეიძლებოდა საკითხიც დაგვესვა, გვაქვს თუ არა უფლება „ფსიქოლოგიური მსჯელობა“ ვუწოდოთ ამ სხვადასხვაგვარ მოვლენას, შეიძლება თუ არა მსჯელობა იქცეს ფსიქოლოგიის ცნებად.

ჩვეულებრივ ის, რასაც ფსიქოლოგიური მსჯელობა ეწოდება, არის თხრობითი წინადადების ეკვივალენტი. თუ წინადადების მხოლოდ ერთ ტიპს ვერ მოვუძებნეთ მკვიდრი და ერთფეროვანი ფსიქოლოგიური ბაზა, ადვილი წარმოსადგენია, როგორი წარმატებით შეიძლება დასრულდეს ცდა ყველა ტიპის წინადადებისათვის ასეთი ბაზის მოცემისა. მრავალფეროვნება აქ შეიძლება მხოლოდ გაიზარდოს. ეს კი ნიშნავს: მათ შესატყვისად ერთი ფსიქოლოგიური ოდენობის გამოძებნა შეუძლებელია.

როგორღა მოაგვარა შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა ეს საკითხი? მას იგი არც დაუსვამს: **კომუნიკაცია — წინადადებაზე დაყრდნობით ნავარაუდევო დაშვება ფსიქიკურის მიმართ და არა ფსიქიკის წიაღში მოპოვებული ფაქტი.** თვით ტერმინი „კომუნიკაცია“ გვიჩვენებს, რომ ამ ცნების გამომუშავებისას ამოსავალი იყო მეტყველების სოციალური ფუნქცია (ურთიერთობა ლათ. *communicatio*), მაშასადამე, ენობრივი და არა ფსიქიკური მომენტი. ტერმინის ანალიზს გარდა ამას ცხადყოფს ტერმინის ისტორიაც. ს ვ ე დ ე ლ ი უ ს ი ს ა თ ვ ი ს, რომლისაგანაც არის ნასესხები ეს ტერმინი, კომუნიკაცია აღნიშნავს, როგორც სააზროვნო ერთეულს, ისე შესატყვისის სამეტყველო ერთეულს: ესე იგი, იგი არც არის ფსიქოლოგიური ცნება; შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა ამ ცნებას მოაცილა შინაარსის ერთი ნაწილი და აქცია იგი წინადადების ფსიქიკური სუბსტრატის აღმნიშვნელად. ეს, რა თქმა უნდა, თავისუფალი ოპერაციაა, რომლის შედეგებისათვის ფსიქოლოგია პასუხს ვერ აგებს; სამაგიეროდ, ფსიქოლოგიას რჩება სრული უფლება განაცხადოს, რომ ასეთ ცნებას იგი არ იცნობს და საგანგებო დასაბუთების გარეშე მას თავის წიაღში ვერ მიიღებს. დასაბუთებად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება კომუნიკაციის წარმოდგენილი დახასიათება: „ისეთი სააზროვნო აქტი, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანთ შეატყობინოს, რომ აზროვნებაში ადვილი ჰქონდა წარმოდგენათა შეხამებასო“. დანიშნულება-მიზანი ტელეოლოგიური მომენტი, მასზე ნორმატიული დისციპლინის ცნებალა თუ შეიძლება იქნეს აგებული, ყოველ შემთხვევაში არა ფსიქოლოგიისა. ეს — ერთი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ამბობს: ფსიქოლოგიური სუბიექტი — გაბატონებული წარმოდგენაა, პრედიკატი კი — დამოკიდებული. გაბატონებული წარმოდგენა ვ უ ნ დ ტ ი ს ტერმინია. მაგრამ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს გაბატონება-დებულება არ არის შემთხვევითი მოვლენა, ვისამე ნება-სურვილზე დამოკიდებული: წარმოდგენის ბუნება იმთავითვე განსაზღვრავს, რომელი წარმოდგენა უნდა იყოს გაბატონებული და რომელი დამოკიდებული. ასე, მაგალითად, თუ საგნის წარმოდგენა უკავშირდება ნიშნის წარმოდგენას, პირველი უნდა იყოს გაბატონებული, მეორე — დამოკიდებული.

ეს არ არის სწორი: ან გაბატონება-დამოკიდება ფსიქიკური მოვლენებია, და, მაშასადამე, არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ მხოლოდ საგნის წარმოდგენა შეიძლება იყოს გაბატონებული, ესე იგი, იყოს ცნობიერების ნათელ წერტილში, სარგებლობდეს ცნობიერებაში უპირატესობით; ნიშნის წარმოდგენამ შეიძლება სრულიად დაჩრდილოს იგი გარკვეულ კონტექსტში; ან გაბატონება-დამოკიდება გარკვეული და უცვლელია და, მაშინ საქმე ფსიქიკურ სინამდვილესთან არა გვაქვს.

ასეთი კონსტანტობა ენობრივ სინამდვილეს ახასიათებს და არა ფსიქიკურს.

მართლაცდა, ფრაზაში «კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს» (იხ. ზემოთ, გვ. 376) ფსიქიკურმა ცენტრმა ოთხჯერ იცვალა ადგილი; მათში საგნის წარმოდგენა მხოლოდ ერთხელ იყო გაბატონებული, დანარჩენ სამ შემთხვევაში სწორედ ის წარმოდგენები იყო „გაბატონებული, რომლებიც შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს თეორიით „დამოკიდებული“ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ უცვლელი დარჩა ენობრივი აგებულება: სახელობითი ბრუნვა სახელისა პლუს მასთან შეთანხმებული ზმნა პლუს... და სხვა. „წარმოდგენათა ბუნება“ რომ გარანტიად არ გამოდგება, ამას ნაწილობრივ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ც ალიარებს: მეტყველის ნება-სურვილითაც შეიძლება გაბატონდეს წარმოდგენაო, ამდენადვე ანგარიშგასაწევია გა ბ ე ლ ე ნ ც ი ს ა და მისი თანამოაზრეების შეხედულებაო (იხ. ზემოთ).

ამრიგად, „ნება-სურვილით გაბატონებული“ გვერდში ამოუდგა „ბუნებით გაბატონებულს“; უკანასკნელის „ბატონობას“ რომ ამით დიდი საფრთხე მოელის, ჩანს ზემოხსენებული ფრაზის განხილვიდან, ხოლო რაკი „ბუნებითი ბატონობა“ კითხვის ქვეშ დაისვა, უდავოა, რომ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს სუბიექტ-პრედიკატ კატეგორიათა სიმკვიდრე ჰაერში გამოეკიდა. შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი მაინც იმეორებს: წარმოდგენათა ბუნებრივი გაბატონება-დამოკიდება ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობისააო; კონფლიქტი ადამიანის ფსიქიკის საფუძვლებსა და მის ცვალებად, დაუდევარ გუნებას შორის ზოგიერთ შემთხვევაში მაინც გადაწყდება იმ ძირითად მიმართებათა სასარგებლოდ, რომელნიც წარმოდგენათა ჯგუფებს შორის არსებობს მიუხედავად მეტყველის ნება-სურვილისაო¹.

მეტყველის ნება-სურვილით წარმოდგენათა გაბატონების შესაძლებლობას ბოლოს და ბოლოს შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი არ უწევს ანგარიშს. ეს გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი პირდაპირ ამბობს: „ჩვენი დასკვნები (კომუნიკაციისა და მის წევრ სუბიექტ-პრედიკატის შესახებ) ემყარება ენის მონაცემს, კომუნიკაციის გამოვლენას მეტყველებაში“². ეს გვაძლევს უფლებას დავასკვნათ: სუბიექტ-პრედიკატის სიმკვიდრე და-

¹ Синт., გვ. 7.

² იქვე, გვ. 10, § 10.

ფუძნებულია ენობრივ კვარცხლბეკზე და სიმკვიდრესაც იმდენად აქვს ადგილი, რამდენადაც იგი ამ კვარცხლბეკიდან არ გადმოდის. სხვანაირად რომ ვთქვათ: **წარმოდგენათა გაბატონებამ კი არ მოგვცა სათანადო სიტყვათა გაბატონება, პირიქით, სიტყვათა ურთიერთობიდან არის გამოყვანილი დასკვნა წარმოდგენათა ურთიერთობის შესახებ.**

ჩვენს ასეთ გაგებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის, რომ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებაში მსჯელობა ფსიქიკურის შესახებ წინ უძღვის მსჯელობას ენობრივის შესახებ, და უკანასკნელი პირველზეა დამყარებული: აქ გენეტურ ანალიზთან გვაქვს საქმე. ასე რომ: შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს აზროვნება წინადადებიდან კომუნიკაციისაკენ წარემართა, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობიდან სუბიექტ-პრედიკატის ურთიერთობისაკენ; ფსიქოლოგიური კორელატი ნამდვილად ბაზა კი არ არის წინადადებისათვის, არამედ — „ზედნაშენი“. თუ ასეა, განა არ შეიძლება მოვხსნათ ეს ზედნაშენი და დავტოვოთ ქვემდებარე-შემასმენლის საკითხში წმინდა ენობრივი გაგება?

რასაკვირველია, არა. ქვემდებარე იმიტომ არის გაბატონებული, რომ იგი სუბსტანციის წარმოდგენას აღნიშნავს¹, შემასმენელი იმიტომ არის დამოკიდებული, რომ ნიშანს გადმოგვცემს; სხვანაირად რომ ვთქვათ: ქვემდებარის ბატონობის წყარო არის არსებითი სახელის ფსიქოლოგიური რაობა. და ეს ნიშნავს: შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს **სინტაქსი ფსიქოლოგისტურია იმიტომ, რომ ფსიქოლოგისტურია მისი მორფოლოგია.** არსებითი სახელის ფსიქოლოგიური რაობა განსაზღვრავს ქვემდებარის ბატონობას, ქვემდებარის ბატონობა — ფსიქოლოგიური სუბიექტის ბატონობას. ამიტომაც შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს სინტაქსის ფსიქოლოგიური „ზედნაშენი“ რომ მოვაცილოთ, ფსიქოლოგიაში მაინც დარჩება: მორფოლოგიაში ღრმად აქვს მას გადგმული ფესვები.

ეს კი მნიშვნელოვანია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულების დაფასებისათვის. შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი არ ცდებოდა, როცა ქვემდებარე (რუსულში) წინადადების გაბატონებულ მთავარ წევრად გამოაცხადა, შემასმენელი კი — დამოკიდებულ მთავარ წევრად. ენობრივი სინამდვილე ამას მოწმობს, და ჩვენ ვიცით, როგორი ძალის დატანება იყო საჭირო მეტყველების ფაქტებსა და აზროვნების კანონებზე, რომ საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ (ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი...): შ ა ხ მ ა ტ ო -

¹ შლრ. არსებითი სახელის განსაზღვრება: „Существительное – это часть речи, соответствующая: 1) представлению о субстанции, 2) представлению о качестве-свойстве или действии-состоянии, мыслимом вне сочетания с носителями или производителями их“ – Б е р н ш т е й н, Известия, გვ. 223; ესე იგი, არსებითი სახელი ან სუბსტანციის წარმოდგენას გამოხატავს, ან ისეთი თვისება-მდგომარეობის წარმოდგენას, რომელიც სუბსტანციის წარმოდგენას ეთანაბრება თავისი დამოუკიდებლობით.

ვის დებულება სწორია და მთლიანად მისაღები; შახმატოვის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქვემდებარის პრიმატი წამოაყენა და შემასმენელი-ზმნა ჩვეულებისამებრ წინადადების ცენტრად არ გამოაცხადა. მაგრამ ეს დებულება სწორია რუსული ენისათვის; ქართულში კი იგი სრულებით არ გამოგვადგება: სახელის გამოცხადება ზმნაზე გაბატონებულად აქ შეუსაბამობა იქნებოდა.

რას გვიჩვენებს ეს? მხოლოდ იმას, რომ უმართებულოა ის პრინციპი, რომელზედაც აშენდა წინადადების ნაწილთა ურთიერთობა შახმატოვის გაგებით; სუბსტანციას განეკუთვნება ნიშანი, მაგრამ ეს არ მოასწავებს, რომ სუბსტანციის აღმნიშვნელს **ყოველთვის** და **ყოველ ენაში** გაბატონებულის როლი ხვდება წილად. ქართულში „ნიშნის“ გამომხატველი ზმნა ჩვეულებრივად ბატონობს „სუბსტანციის“ გამომხატველ სახელზე. თვით რუსულშიაც, როგორც ამას თვითონ შახმატოვიც ამბობს, ინფინიტივი, ზმნისართი, შორისდებული შეიძლება გაბატონებულ წევრად მოგვევლინოსო. მაგრამ ესენი ხომ სუბსტანციის წარმოდგენას არ აღნიშნავენ? მაშ, როგორ შეუძლიათ მათ არსებითი სახელის როლი იკისრონ? შახმატოვთან ამის პასუხი არა ჩანს; ფაქტი კი ფაქტად რჩება, და იგი მოწმობს, რომ სინტაქსური გაბატონება სიტყვისა არ ნიშნავს სათანადო წარმოდგენის ბატონობას ცნობიერებაში.

შეიძლება დავასკვნათ: **ქვემდებარე-შემასმენლის კვალიფიკაცია შახმატოვისა (რუსულისათვის) სრულიად მართებულია, პრინციპი კვალიფიკაციისა — უმართებულო; მცდარი პრინციპის მიხედვით სწორი დებულება შემთხვევით არის მიღებული.**

§ 152. ფონეტიზმი დ მორფოლოგიზმი. დელბრიუკი წინადადების საკითხის შესახებ. როგორც ლოგიციზმს, ისე ფსიქოლოგიზმს აერთიანებს ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი: ენობრივი ფაქტი შესწავლილ იქნეს იმ ლოკიგურ თუ ფსიქოლოგიურ კატეგორიებზე დაყრდნობით, რომელნიც ამ ენობრივ ფაქტში პოვებენ გამოსახულებას.

მოიპოვებიან ისეთი ენათმეცნიერებიც, რომელნიც ცდილობენ წინადადებისა და მის წევრთა საკითხი ენობრივ ნიადაგზე ენობრივი საშუალებით გადაჭრან.

ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: პეტერსონი, დელბრიუკი, დერჟავინი, ბუდე. აქ შევჩერდებით სამ უკანასკნელზე.

წინადადებას დელბრიუკი ასე განსაზღვრავს: „წინადადება არის დანაწევრებულ მეტყველებაში წარმოებული გამონათქვამი (Äußerung), რომელიც მეტყველსა და მსმენელს ევლინება, როგორც კავშირში მყოფი და დამთავრებული მთლიანობა“¹. იმ ფსიქიკურ ვითარებას, რომელიც

¹ Delbrück: Vergl. Synt., I, გვ. 75.

წინადადების გამოთქმას წინ უძღვის, დელბრიუკი დასაყრდენად არ იყენებს წინადადების განსაზღვრება-ინტერპრეტაციისათვის. საკმარისია, თუ იგი ისეთი თვისებისა იქნება, რომ გამოიწვიოს ენობრივი გამოთქმა და არა ყვირილი¹. როგორც ვუნდტის სიტყვებიდან ჩანს, თავის შრომაში „Grundfragen der Sprachforschung“ დელბრიუკი წინადადებისათვის გვაროვნულ ცნებად «გამონათქვამს» თვლის და წინადადებას განსაზღვრავს, „ვითარცა გამონათქვამს, რომელიც სულ ცოტა ორი წევრისაგან შედგება“².

შეიძლებოდა შემდეგი დროის განსაზღვრებაც მოგვეგონებინა; იგი ასეთი სახისაა: „წინადადება (არის...) დანაწევრებულ ბგერებში მოცემული უწყვეტობა (Kontinuum), რომელიც მეტყველსა და მსმენელს ევლინება, ვითარცა მთლიანობა“³. ეს სამი განსაზღვრება ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის აქ წარმოდგენილი: პირველი ეკუთვნის 1893 წ., მეორე — 1901 წ., მესამეს ვხედავთ 1919 წლის გამოცემაში „შესავლისა ინდოევროპულ ენათა შტუდიებში“.

ქვემდებარე დელბრიუკის გაგებით არის „არსებითი სახელი, რომელიც დასმულია სახელობით ბრუნვაში და წარმოადგენს გამონათქვამის ცენტრალურ პუნქტს, პრედიკატი კი — ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი“⁴.

დელბრიუკი აღნიშნავს, რომ ეს ცნებები ლოგიკიდან არის ნასესხები, მაგრამ მას გრამატიკული მნიშვნელობით აქვს ნახმარი; გაბეღენციკისებურ გაგებას სუბიექტ-პრედიკატისა იგი არ იზიარებს⁵.

დამატების შესახებ ვკითხულობთ: დამატება არის „სავანი, რომელსაც უშუალოდ ეხება მოქმედება ზმნისა“⁶.

დელბრიუკის განსაზღვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია წინადადების განსაზღვრება. ამ განსაზღვრების სამი ვარიანტიდან უკანასკნელი ყველაზე ზოგადია, პირველში — მისი ერთგვარი დეტალიზაციაა მოცემული, ხოლო მეორე ამ ორი დანარჩენის შეზღუდვა-დავიწროებას წარმოადგენს: მეორე განსაზღვრება ისეთსავე მიმართებაშია პირველსა და მესამესთან, როგორშიაც სახეობა და გვარი ერთმანეთთან. ბუნება კი სამივე განსაზღვრებისა ერთნაირია.

¹ იხ. Vergl. Synt., I, გვ. 75.

² იხ. Wundt: Sprachgeschichte..., გვ. 72. რადგანაც დელბრიუკის Grundfragen თბილისში არ იშოვება, ვუნდტისებულ გადმოცემას ვემყარებით.

³ აღსანიშნავია, რომ ამ განსაზღვრებასთან დაკავშირებით დელბრიუკი წინადადების ფსიქოლოგიური სუბსტრატის საკითხს განიხილავს და საერთოდ ვუნდტის გაგება მიაჩნია მისაღებად (იხ. იქვე, 233—234).

⁴ იხ. Delbrück: Vergl. Synt., III, გვ. 6.

⁵ Vergl. Synt., III, გვ. 6.

⁶ Vergl. Synt., I, გვ. 376.

დელობრიუკის განსაზღვრებათა შესახებ უნდა ითქვას: 1. წინადადების წარმოდგენილი განსაზღვრება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული დაწერილი წინადადების მიმართ; 2. თქმული წინადადებისათვის იგი მეტად ზოგადია: წიგნის სათაურად გამოყენებული შესიტყვება, როგორცაა «ინდოევროპულ ენათა სინტაქსი», «მორფოლოგიური ძიებანი» — ამ განსაზღვრებათა თანახმად წინადადება იქნებოდა. ეს კერძოდ. საერთოდ კი: 3. განსაზღვრება ენობრივია, მაგრამ იგი **არ არის არა თუ სინტაქსური, არამედ მორფოლოგიურიც** კი, იგი **ფონეტიკური განსაზღვრებაა**; აქედან ის გამომდინარეობს, რომ განსაზღვრება არა თუ უგულვებელყოფს იმ ენობრივ საშუალებებს, რომელნიც ქმნიან სიტყვათაგან შესიტყვებას, არამედ სრულიად არ იღებს მხედველობაში სიტყვას, როგორც მორფოლოგიურ ერთეულს. ამიტომ, 4. თუ ჩვენ ეს პრინციპი წინადადების ნაწილთა განსაზღვრისასაც დავიცავით, წინადადება უნდა დავეყოთ **ფონეტიკურ ერთეულებად ინტონაციის ჩვენებათა მიხედვით**: ცხადია, ცალკე სიტყვათა საზღვრების დაცვა აქ შეუძლებელი იქნებოდა; წინადადების წევრებად (ქვემდებარე-შემასმენლად, დამატებად და სხვ.) ეს ფონეტიკური ერთეულები გვექნებოდა.

ქვემდებარის განსაზღვრება, რომელსაც დელობრიუკი იძლევა, მხოლოდ ნაწილობრივ არის ენობრივი (ისიც **მორფოლოგიური და არა სინტაქსური!**), რამდენადაც ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში ყოფნით ხასიათდება; შემასმენლის განსაზღვრება იმეორებს ფორმალური ლოგიკის პრედიკატის განსაზღვრებას; დამატების განსაზღვრება ყოველდღიური ლოგიკის ცნებებშია წარმოდგენილი.

ამრიგად, წინადადების წევრები **უმართებულოდაა განსაზღვრული**, მასთან მათი განსაზღვრა წარმოებს **სხვა პრინციპის** მიხედვით, ვინემ წინადადების განსაზღვრა, ე. ი. დელობრიუკის შეხედულებაში არაა დაცული თანამიმდევრობა, გვაკლია შინაგანი მთლიანობა.

§ 153. ბუდე წინადადების რაობის შესახებ. ბუდე თავის რეცენზია-წერილში „К учению о синтаксисе простого предложения“ 1894 წელს წინადადებას ასე განსაზღვრავს: „წინადადება არის შესიტყვება, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთ აზრს, გამოხატულს ზმნის პიროვანი ფორმით (*verbum finitum*)“¹. ბუდეს აზრით, ზმნაში მოცემულია როგორც ქვემდებარე, ისე შემასმენელი: ზმნის ფუძე შემასმენელია, პირის სუფიქსი — ქვემდებარე (*Subjekt*), ხოლო ის, რასაც ჩვეულებრივად ქვემდებარეს უწოდებენ, მას იგი ზმნის პირის განმსაზღვრელად მიაჩნია (*Subjektswort*); მაგ-

¹ Будде: К учению, Ж. М. П., გვ. 213.

რამ ვინაიდან ზმნის პირი ქვემდებარედ არის აღიარებული, იგი იწოდება ქვემდებარის განმსაზღვრელად; ასე რომ, წინადადებაში: *птица летит — лет-შემასმენელი* იქნება, *-(и)т* — ქვემდებარე, *птица* კი ქვემდებარის განმსაზღვრელი; სიმოკლისათვის ქვემდებარეს ბუდე სუბიექტს უწოდებს, ქვემდებარის განმსაზღვრელს კი — ქვემდებარეს¹. ქვემდებარე არ არის ისე არსებითი, როგორც სუბიექტი, ზმნის პირით აღნიშნული, ბუდეც განსაზღვრებები ასეთ სახეს იღებს.

„ქვემდებარე (თუ: სუბიექტი? — **ა. ჩ.**) არის ის, ვისი მდგომარეობაც (ნამდვილი, მოჩვენებითი თუ სასურველი) აღინიშნება პიროვანი ზმნით. შემასმენელი-პრედიკატი კი არის თვით მდგომარეობა ქვემდებარისა“².

აქედან ჩანს, რომ ბუდეც განსაზღვრება **წინადადებისა ფსიქოლოგიისტურია, ქვემდებარე-შემასმენლისა — მორფოლოგიისტურია** (იხ. ზმნის ანალიზი).

სუბიექტი — ზმნის სუფიქსიაო, შემასმენელი — ზმნის ფუძე; გამოდის, რომ შესიტყვების წევრი შეიძლება იყოს ფუძე და არა სიტყვა; მეორეცაა და, თუ სუბიექტად ზმნის სუფიქსი მივიჩნიეთ, ქვემდებარედ (სუბიექტის განმსაზღვრელად) რატომ უნდა მივიჩნიოთ **მთელი სიტყვა** (ვთქვათ *птица*)? უფრო მართებული არ იქნებოდა, აქაც სახელობითის -а- ფორმანტისთვის დაგვეკისრებინა ეს როლი? ამისათვის იმდენივე უფლება გვაქვს, რამდენიც ზმნაში სუფიქსის გამოყოფისათვის; არათუ უფლება გვაქვს, ეს გვევალება კიდევ. მაგრამ ეს უკვე არ იქნებოდა შესიტყვება, არამედ მეტად თავისებური კონგლომერატი. ამ გარემოებათა გამო ბუდეც გაგება სუბიექტ-ქვემდებარისა შეუძლებელია გავიზიაროთ.

ამას უნდა დავუმატოთ: გაუგებარია, რა საჭირო იყო ბუდეცათვის წინადადების მიჩნევა შესიტყვებად; გაცილებით უფრო თანამიმდევრული იქნებოდა წინადადებად ზმნის პიროვანი ფორმა დაესახა.

ბუდეც შემოხსენებული შეხედულება გამოქვეყნებული აქვს 1894 წელს, უფრო საინტერესოა მისი შედარებით ახალი გაგება. 1913 წ. გამოსულ წიგნში „**Основы синтаксиса**“ ენის გრამატიკული შესწავლის საგნად ფორმა არის მიჩნეული³. სინტაქსის შესახებ ნათქვამია: „სინტაქსს, როგორც ენის გრამატიკის ნაწილს, შეუძლია და უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ფორმალურ ნიშნებს, რომლებითაც სიტყვები უკავშირდება ერთმანეთს წინადადებაში“⁴. ამიტომაც „შესიტყვების ფორმის გარეშე არ არსებობს «გრამატიკული» წინადადება, ხოლო ყოველი «არაგრამატიკული» შესი-

¹ Будде: К учению, Ж. М. П., გვ. 215.

² იქვე, გვ. 216.

³ Будде: Осн. синтакс., გვ. 6.

⁴ იქვე.

ტყვება, რომელსაც არ განსაზღვრავს სიტყვათა ფორმები, არ არის გრამატიკული წინადადება, და ამიტომაც იგი არ ექვემდებარება სინტაქსის განხილვას...“¹; წინადადება — გრამატიკული შესიტყვებაა, იგი „სიტყვათა შეხამებაა გარკვეული გრამატიკული, ფორმალური პრინციპების თანახმად“². „გრამატიკული წინადადება არის ისეთი შესიტყვება, რომელშიაც შემასმენლობის განსაკუთრებული ფორმით გარკვევით გამოხატულია შემასმენლის მიმართება სახელობით ბრუნვასთან, ქვემდებარესთან“³. „შემასმენლობის ფორმა განსაზღვრავს გრამატიკულ წინადადებას“⁴; ამიტომაც „წინადადების განსაზღვრების სიმძიმის ცენტრი შემასმენლობის ფორმაშია; შემასმენლობის ფორმებია: ფორმები პირისა, დროისა და კილოსი“⁵.

„წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვემდებარეც. სახელობრ, იქ, სადაც არ არის ფორმალური ნიშანი, რომელიც მიგვითითებდეს პირზე და სადაც მისი ფუნქციები აუღია თავზე სიტყვის სხვა დაბოლოებას“⁶. **ქვემდებარე არის „ფორმა მხოლოდ სახელობითი ბრუნვისა“**⁷. „შემასმენლობის ფორმად მუდამ პირის ფორმა გვევლინება, რა დროსა და კილოსაც არ უნდა ეკუთვნოდეს შემასმენელი, როგორც სიტყვის მნიშვნელობა“⁸. ბ უ დ ე აღნიშნავს, რომ წინადადების სიტყვებს შორის ადგილი აქვს შეთანხმებას, მართვას⁹ და შემდეგ ასე მსჯელობს: „[ფორმალური სინტაქსის] პრინციპის თანახმად წინადადება „Дым багровый кругами всходит к небесам навстречу утренним лучам“ დაიშლება შემდეგ წევრებად: ქვემდებარედ, შემასმენლად, განსაზღვრებად, დამატებად და გარემოებებად“.

„მაგრამ ჩვენ მოგვიხდება ეს მნიშვნელობათა („ლოგიკური“) ტერმინები შევცვალოთ ფორმალური ტერმინებით: მაშინ შესიტყვებაში მოგვიხდება განვასხვავოთ ცვალებადი სიტყვები (ფორმის მქონე) და უცვლელი სიტყვები (ფორმის არმქონე) (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). პირველთ განეკუთვნება: ა) სახელობითი ბრუნვის ფორმები, ბ) ირიბ ბრუნვათა ფორმები, გ) სქესის ფორმები, დ) პირის, დროისა და კილოს ფორმები. მეორეთ განეკუთვნება: ფორმის მიხედვით უცვლელი სიტყვები, ე. ი. ზმნი-

¹ Будде: Осн. синтакс., გვ. 9.

² იქვე, გვ. 10.

³ იქვე, გვ. 13, აგრეთვე გვ. 11.

⁴ იქვე, გვ. 17.

⁵ იქვე, გვ. 16.

⁶ იქვე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁷ იქვე, გვ. 17 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 18.

სართები, წინდებულები, კავშირები, აბსოლუტივები; შემდეგ ერთიც შევნიშნოთ: სახელობითი ბრუნვის ფორმა წინადადების დამოუკიდებელი წევრია; ირიბ ბრუნვათა ფორმები კი — ყოველთვის დამოკიდებული წევრებია ისევე, როგორც სქესის, პირის, დროის, კილოს ფორმები, და ესენი შეიძლება დაჯგუფდნენ სახელობითი ბრუნვის ფორმასთან... სახელობითი ბრუნვის ფორმა, ირიბ ბრუნვათა ფორმები, სქესის ფორმები და უცვლელი სიტყვები თავს იყრიან შემასმენლობის ფორმათა გარშემო; ეს უკანასკნელი დაჯგუფება წარმოადგენს კავშირს — ან შეთანხმების ან მართვის პრინციპის მიხედვით“...¹

ეს გრძელი ამონაწერი იმიტომ მოგვყავს, რომ ნათელი იყოს ბუდე-ს მიერ წამოყენებული პრინციპი და მისი გამოყენების შედეგი; ბუდე **ფორმალური სინტაქსის** ლოზუნგით გამოდის, მაგრამ ეს **ფორმალური სინტაქსი „მორფოლოგიური სინტაქსის“** სახეს იღებს, ესე იგი, სინტაქსის უარყოფას წარმოადგენს. წინადადება მან შემასმენლობაზე დაყრდნობით განსაზღვრა, შემასმენლობა კი — პირის, დროისა და კილოს ფორმები აღმოჩნდა; ეს არის ჯამი ზმნის მორფოლოგიური ნიშანთა და არა შემასმენლის სინტაქსური კვალიფიკაცია.

კიდევ უფრო აშკარაა ეს მორფოლოგიზმი, როცა ბუდე ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, განსაზღვრებასა და გარემოებას მნიშვნელობის ტერმინებად (термины значения) აცხადებს, ამათ ნაცვლად ახალ ტერმინებს ეძიებს და ამისდა კვალობაზე წინადადებაში ასხვავებს ცვალებადსა და უცვლელ სიტყვებს; **აქ უქმდება ძველი ტერმინები კი არა, ძველი ცნებები**; უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ ეს **ახალი ტერმინები როდია, ეს მორფოლოგიის ტერმინებია**; ამიტომაც, როცა ბუდე გვეუბნება: წინადადებაში უნდა განვასხვავოთ ცვალებადი და უცვლელი სიტყვებიო, პრინციპში ეს უდრის დიონისე თრაკიელი-სა და აპოლონიოს დისკოლოსთან დაბრუნებას. ისინიც აგრე იქცეოდნენ; წინადადების განსაზღვრებიდან ისინი გადადიოდნენ წინადადების ნაწილების განხილვაზე; **წინადადების ნაწილები და მეტყველების ნაწილები ერთმანეთისაგან არ იყო გარჩეული**; უკეთ რომ ვთქვათ, წინადადების ნაწილების ნაცვლად **წინადადებაში შემავალ სიტყვათა მორფოლოგიური დახასიათება იყო წარმოდგენილი**. ბუდეც ამას იმეორებს. ოღონდ ეს კია, რომ ბუდე-სათვის წინადადება ცვალებად და უცვლელ სიტყვათაგან შედგება, დიონისე თრაკიელი კი წინადადების ნაწილებად პირდაპირ ასახელებდა: სახელს, ზმნას, მიმღეობას, ნაწევარს, ნაცვალსა-

¹ Будде: Осн. синтакс., გვ. 19—20.

ხელს, წინდებულს, ზმნისართსა და კავშირს¹. მართალია, ბუდე შეთანხმება-მართვასაც არ ივიწყებს, მაგრამ ესენი უფრო დამატებით მომენტს წარმოადგენენ, ვინემ ძირითად ცნებებს.

ერთი სიტყვით, ბუდე სინტაქსი მხოლოდ იმდენად არის სინტაქსი, რამდენადაც სინტაქსის **საგანი განსხვავებულია მორფოლოგიის საგნისაგან**: მის სინტაქსს აქვს მიჩენილი ცალკე საგანი — **შესიტყვება**, მაგრამ არ მოეხოვება საკუთარი თვალსაზრისი და მეთოდი; მისი დამუშავება წარმოებს მორფოლოგიის მეთოდით; შედეგიც გარკვეულია: **სინტაქსის საგნის მორფოლოგიის ცნებებში აღწერა** — ასე შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა ბუდე სინტაქსი.

§ 154. დერჟავინი წინადადებისა და მისი წევრების შესახებ.

ასეთსავე მორფოლოგიზმის ილუსტრაციას წარმოადგენს დერჟავინის „Маленькая грамматика“. წინადადება მასში განსაზღვრულია, როგორც შესიტყვება, „რომელიც გამოხატავს ერთ გარკვეულ აზრს“². „**ცალკე სიტყვები, — მეტყველების ნაწილები, — რომლებიც ამ შესიტყვებას შეადგენენ, წინადადების წევრებად იწოდება**“³. „გრამატიკული წინადადების ყველაზე აუცილებელი, უმთავრესი წევრი არის **შემასმენელი**. შემასმენლად წინადადებაში მუდამ არის ზმნა...“⁴. „რომელიმე სახელის, — არსებითის, ან ზედსართავისა და მიმღობის, ან რიცხვითი სახელის ან ნაცვალსახელის, — **სახელობითი ბრუნვა შეადგენს წინადადებაში ქვემდებარეს**“⁵. „არსებით სახელთა, ზედსართავთა, მიმღობათა, რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ყველა ირიბი ბრუნვა შეადგენს წინადადებაში დამატებას“⁶. „ყველა ზედსართავი სახელი... წინადადებაში განსაზღვრება“⁷. „ყველა ზმნისართი და აბსოლუტივები წინადადებაში გარემოებას წარმოადგენენ (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა)“⁸.

აქ **წინადადების განსაზღვრება ფსიქოლოგიზმს იძლევა, წინადადების ნაწილები — კვლავ მორფოლოგიზმს**; უკანასკნელი მკაფიოდ არის წარმოდგენილი დებულებაში: წინადადებაში შემავალი ცალკე სიტყვები, —

¹ იხ. Delbrück: Vergl. Synt., I, გვ. 3.

² დერჟავინი: Маленькая грамматика, გვ. 122.

³ იქვე, გვ. 123 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 125 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

⁶ იქვე, გვ. 126.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, გვ. 127.

მეტყველების ნაწილები, — წინადადების ნაწილებად იწოდებაო. ამ მხრივ დერჟავინი უფრო ახლოს არის დიონისე თრაკიელთან, ვინემ — ბუდე.

დერჟავინის მორფოლოგიზმი არც იმის გარანტიას იძლევა, რომ მორფოლოგიაში წმინდა ენობრივი თვალსაზრისი იქნება გატარებული.

დამახასიათებელი ფაქტია, რომ, როგორც ბუდე, ისე დერჟავინი **შემასმენელს წინადადების უმთავრეს წევრად თვლის**; ეს ცხადყოფს, რომ მორფოლოგიზმი ფსიქოლოგიზმის ზეგავლენისაგან თავისუფალი არ არის¹.

ენობრივ თვალსაზრისზე მდგომი სამი ავტორი განვიხილეთ²; გამოიკვია, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს სინტაქსისათვის ნიშანდობლივი თვალსაზრისი გატარებული სინტაქსში; გარდა ამისა არც ერთი არ არის მთლად თავისუფალი ფსიქოლოგიზმისაგან (ან ლოგიციზმისაგან), რომელიც ხან წინადადების განსაზღვრებისას წარმოჩნდება, ხან — წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციის დროს. და თუ მაინც ზემოხსენებული სამი ავტორი ფსიქოლოგისტებთან ერთად არ განვიხილეთ, ეს იმიტომ, რომ ყოველი მათგანი კრიტიკულად ეკიდება ფსიქოლოგიზმს და **ცდილობს** ენობრივ ნიადაგზე დადგეს და სინტაქსური სინამდვილე მისი შესაბამისი საზომით გაზომოს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ წინადადების (და მისი წევრების) კვალიფიკაციის დროს ენობრივ ნიშანს ან ფონეტიკურ სინამდვილეში ეძიებენ ანდა მორფოლოგიურ თვისებებში, ერთი სიტყვით, **ლოგიციზმსა და ფსიქოლოგიზმს უპირისპირდება „ფონეტიზმი“ და „მორფოლოგიზმი“**, აღარსადა ჩანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, **„სინტაქსიზმი“**, ესე იგი სინტაქსის შესწავლა სინტაქსის შესაბამისი თვალსაზრისით.

ს ა ზ ო მ ი ს ა ჭ ი რ ო ა იყოს ობიექტის მიმართ ჰომოგენური, არის კი ჰეტეროგენული.

¹ ბუდეზე შეიძლება ასეთი დასკვნა არ გაგვევრცელებინა იმ მოსაზრებით, რომ მას ზმნის შედგენილობა ესმის თავისებურად: ზმნის სუბიექტზედაც მიგვითითებს. ამიტომ არის იგი წინადადების უმთავრესი წევრიო (იხ. **Основы синтакс.**, გვ. 14—15); მაგრამ ეს ხდება ზმნის პირის საშუალებით, ბუდე აზრით კი შემასმენლობას პირის გარდა დრო და კილო ქმნის (იქვე, გვ. 16). ასეთი დასკვნის გაზიარება კი შეუძლებელია.

² მეტად საინტერესო იქნებოდა პეშკოვსკისა და პეტერსონის კონცეფციათა განხილვაც. მაგრამ უადგილობის გამო იძულებული ვიყავით აქ ამაზე ხელი აგვედო ისევე როგორც არაერთი სხვა ავტორის შეხედულებათა ანალიზზე. ეს მით უფრო, რომ ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი, ფონეტიზმ-მორფოლოგიზმი ჩვენ აქ გვინტერესებს არსებული ვითარების **საილუსტრაციოდ**, — **საკითხის შესაძლო დასმა-გადაწვევების** თვალსაზრისით. უფრო სრულად ამ მიმდინარეობათა კრიტიკულ ანალიზს მსურველი იპოვის ავტორის შრომაში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“: I, თბილისი, 1928, გვ. 4—134.

ამაზე სრული, მასთან სისტემატური ანალიზი სინტაქსის მიმდინარეობათა არც რუსულ, არც უცხოურ ლიტერატურაში, რამდენადაც მასალაზე ხელი მიგვიწვდება, ჯერჯერობით არა ჩანს.

III ბ. ზოგადი დასკვნა სტატიკური (აღწერითი) ანალიზის საკითხებზე

§ 155. სტატიკური (აღწერითი) ანალიზის ძირითად საკითხთა გადაწყვეტის გზები. წინადადების ანალიზი ჩვენთვის სანიმუშო იყო. პრინციპში ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მეტყველების ნაწილთა საკითხშიც, ე. ი. მორფოლოგიაშიც.

რა ენის ფაქტები იყო ანალიზის საგანი, როცა წინადადებისა და მისი წევრების საკითხს იხილავდნენ ფსიქოლოგიზმის, ლოგიციზმისა და ფონეტიზმ-მორფოლოგიზმის წარმომადგენლები? საილუსტრაციო მასალას იღებდნენ ჩვეულებრივ იმ ენიდან, რომელზედაც შრომა იწერებოდა: რუსული, გერმანული თუ სხვა ევროპული ენებიდან. მაგრამ წარმოდგენილი **განსაზღვრება კი უნივერსალური ხასიათისა იყო:** წინადადება არის ესა და ეს... **რა ენაში? ამ ენის განვითარების რა პერიოდში?** ასეთი საკითხი ატყვევებდა ჩვენ მიერ განხილულ კონცეფციაში არ ჩანდა.

წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი არის ესა და ეს **საერთოდ** — არსად ყოფილა ხაზგასმული, მაგრამ **ყველგან იგულისხმებოდა.** სინტაქსი აქ იმეორებდა მორფოლოგიას, სადაც შესაბამისად საკითხი ასე იმის: **რამდენია მეტყველების ნაწილი?** და არაა ნაჩვენები, რა ენაში?

როგორც ერთგან აღვნიშნავდით, «რამდენია **საერთოდ** მეტყველების ნაწილი», ისევე არ შეიძლება ვიკითხოთ, როგორც არ შეიძლება ვარკვიოთ: რამდენია საერთოდ **ენაში ბგერა?** ანალოგია სრული მაინც არაა: ბგერები მეტ-ნაკლები რაოდენობისა ყოველ ენაში გვაქვს, მეტყველების ნაწილები კი, როგორც **მორფოლოგიური კატეგორია**, ზოგ ენაში შეიძლება სულაც არ იყოს (უაფიქსო ენებში, მაგალითად). და როცა ჩინურშიც ცხრა მეტყველების ნაწილს ეძიებენ ისევე, როგორც ლათინურში ან რუსულში, ასეთ მეტყველების ნაწილს, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება სათანადო ენათა **მორფოლოგიური სტრუქტურის** გასათვალისწინებლად. ვინც მეტყველების ნაწილთა **უნივერსალურ** კლასიფიკაციას მოითხოვს, ის ან **მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებას არ თვლის მორფოლოგიის საგნად**, ანდა, თუ მორფოლოგიის საგნად თვლის და მაინც **ერთიან კლასიფიკაციას** იძლევა, **რაციონალური გრამატიკის** ნიადაგზე დგას: უნივერსალური განსაზღვრება, რომელიც **ენის სტრუქტურას ეხება**, მაგრამ კონკრეტულ ენათა სხვაობას და ამ ენათა **განვითარების საფხურს ანგარიშს არ უწევს, მეცნიერული განსაზღვრება ვერ იქნება**¹.

¹ მეტყველების ნაწილთა საკითხში მდგომარეობა მაინც უფრო გარკვეულია: მორფოლოგიისა და სემასიოლოგიის დიფერენციაცია ისტორიულ გრამატიკაში ადვილეს საკითხის სწორად დასმას სტატიკურ გრამატიკაშიც (იხ. ავტორის „ზოგადი ენათმეცნიერება“, I (1939), §§ 49, 50, გვ. 127—134).

ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ენათმეცნიერების საფუძვლად იმიტომ იქცა, რომ მან **ცხადყო მეტყველების სტრუქტურის მრავალსახეობა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა დროს — ერთსა და იმავე ენაში**. ამით **პრინციპული მარცხი განიცადა რაციონალურმა გრამატიკამ**, რომელიც **ლოგიკის კატეგორიებზე** დაყრდნობით ცდილობდა **დროისა და სივრცის გარეშე** აღებული **მეტყველებითი კატეგორიები** ჩამოეყალიბებინა¹.

ზემოთ (§ 128) აღნიშნული გვაქვს: სტატიკური ანალიზის საკითხი რთულდება იმით, რომ სტატიკურ გრამატიკას კავშირი არა აქვს ისტორიულ გრამატიკასთან, **სტატიკური გრამატიკა თავისი გზით მიდის**, და ეს არის **რაციონალური გრამატიკის გზა**. წინადადების თეორიათა განხილვა ამის საკმაო ილუსტრაციას იძლევა.

სტრუქტურულ ცნებათა (მეტყველების ნაწილი, წინადადება, შემასმენელი, დამატება...) **უნივერსალური განსაზღვრება შეუძლებელია** — ამას გვასწავლის **ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა** (ისტორიული ენათმეცნიერება). ისტორიულ ენათმეცნიერებასთან კავშირი სტატიკურმა გრამატიკამ ამ **ძირითადი პრინციპული დებულების** გათვალისწინებითა და აღიარებით უნდა დაამყაროს.

სტრუქტურული ცნების განსაზღვრება უნივერსალური ხასიათისა ვერ იქნება. არის კი «წინადადება», «ქვემდებარე», «შემასმენელი»... «მეტყველების ნაწილი» სტრუქტურული ცნება თუ ეს ფუნქციური ცნებებია? ამით დასმულია **ცნებათა ბუნების საკითხი: აღწერითი გრამატიკის ცნებათა განსაზღვრისას საკითხთა საკითხია ამ ცნებათა ბუნების საკითხი**.

მაგრამ ეს საკითხი არ გადაწყდება, თუ არ გაირკვა **უფრო ზოგადი** ხასიათის საკითხი: **რა არის სინტაქსი? მორფოლოგია?** და რაც, უფრო არსებითია: **რა არის გრამატიკა? მოძღვრება მხოლოდ სტრუქტურის შესახებ? თუ მხოლოდ ფუნქციების შესახებ? თუ — როგორც სტრუქტურისა, ისე — ფუნქციათა შესახებაც?**

ისტორიული გრამატიკა არის მოძღვრება ენის, როგორც სტრუქტურისა, ისე ფუნქციათა შესახებ: მორფოლოგიის გვერდით სემასიოლოგიის არსებობა (სემასიოლოგია-მორფოლოგიის დიფერენციაცია ისტორიულმა გრამატიკამ მოგვცა გასული საუკუნის მეორმოცე წლებიდან, —

¹ რაციონალური გრამატიკა (XVII-XVIII ს.ს.) მეტყველების კატეგორიებს, როგორც ლოგიკურ კატეგორიათა გამოსახულებას, **განვითარების გარეშე** განიხილავდა. მეოცე საუკუნეში თვით **ეს ლოგიკური კატეგორიები** ისტორიული განვითარების პროდუქტადაა მიჩნეული. ისტორიული თვალსაზრისი ლოგიკის კატეგორიებზედაც გავრცელდა (იხ. კერძოდ, ლევი-ბრიუსის შრომები პრიმიტიული აზროვნების შესახებ).

სტატიკურ გრამატიკაში ორივე შეთავსებული იყო «ეტიმოლოგიაში») ამის ილუსტრაციაა **სიტყვის** შესწავლის მაგალითზე. ამით პრინციპულად გადაწყვეტილია საკითხი მეორე წყვილის შესახებ — **სინტაქსისა და სტილისტიკის შესახებ**, რამდენადაც **შესიტყვების** (resp. წინადადების) შესწავლას ეხება საქმე.

ისტორიულ გრამატიკასთან კავშირი, მაშასადამე, გვავალებს დავასკვნათ: **სტატიკური გრამატიკა სწავლობს (უნდა სწავლობდეს) როგორც სტრუქტურას, ისე ფუნქციას** ამა თუ იმ ენისა.

სტატიკურ გრამატიკაში უნდა გვქონდეს ყველა ის დარგი, რაც ისტორიულ გრამატიკაში მოგვეპოვება¹.

ისტორიული გრამატიკა პრინციპში წყვეტს სტატიკური გრამატიკის ერთ მთავარ საკითხსაც. ეს საკითხია: შეიძლება თუ არა **ფუნქციის ანალიზმა სტრუქტურის ანალიზის საკითხიც გადაწყვიტოს** (მაგალითად, **სიტყვის ფუძის მნიშვნელობის** ანალიზმა ცხადყოს სიტყვის **ფორმის მნიშვნელობა**)?

არა, გვეუბნება ისტორიული გრამატიკა: სიტყვის ფუძე, ვთქვათ, საგნის სახელზე მიუთითებს; აქედან ვერ დავასკვნით, რომ ეს სიტყვა ბრუნებადი იქნება: **СТОЛ** «მაგიდა» საგნის სახელიცაა და იბრუნვის კიდევ, მაგრამ იგივე სიტყვა აფხაზურში **არ** იბრუნვის («ასტოლ» თუმცა აქაც საგანს აღნიშნავს); **НЫК** რუსულში მამრობითი სქესისაა; ხუნძურში, დარგულში და რიგ სხვა კავკასიურ ენებში „საშუალო სქესისა“ (ნივთის კლასშია მოქცეული და მამრობითი სქესის ადამიანის გვერდით შეუძლებელია მოჰყვეს), ქართულში კი («ხარი») — უსქესოა: სქესების გარჩევა ქართულმა არ იცის...

ანალოგიურად დვას შესიტყვების ფორმისა და შესიტყვების შინაარსის ურთიერთობის საკითხიც: «**Давид хвалит Симона**» და «დავითი აქებს სიმონს» ერთი და იგივე **ფუნქციის**, მაგრამ სულ სხვადასხვაგვარი **სინტაქსური კონსტრუქციის** წინადადებებია².

ამრიგად, **შესიტყვების ფუნქცია** არ წყვეტს **შესიტყვების სტრუქტურის** საკითხს. სტრუქტურას სპეციფიკური კანონზომიერება ახასითებს, ფუნქციურ კატეგორიას — აგრეთვე. ფუნქციური კატეგორიები ახსლოებენ ენებს, სტრუქტურული კატეგორიები განსაზღვრავენ ამა თუ იმ ენის სისტემის ინდივიდუალურობას.

¹ მეცნიერული ეტიმოლოგიის გამოკლებით: სტატიკურ (აღწერით) გრამატიკაში ეს დარგი არ გვექნება (იხ. გვ. 326, შენ. 1).

² იხ. ავტორის „ზოგადი ენათმეცნიერება“ I, § 65, გვ. 157—163; უფრო დაწვრილებით: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ I, გვ. 210 და შემდ. გვ. 284, 286.

აქედან დასკვნა: **ფუნქციათა ანალიზი სტრუქტურული ანალიზის მაგვირობას ვერ გასწევს და პირუკუ. ერთიცა და მეორეც აუცილებელია ენობრივი ფაქტის სრული ანალიზისათვის;** ერთსაც და მეორესაც თავისი საზომი სჭირდება: ერთიცა და მეორეც **დამოუკიდებელივ უნდა ჩატარდეს,** სანამ ენის **განზოგადებულ სინთეზურ** დახასიათებაზე გადავიდოდეთ.

„თუ ფრიად განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრებანი საერთო აქვს ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან, — მეორე მხრივ, სწორედ ის, რაც ამ ზოგადისა და საერთოსაგან განსხვავებას წარმოადგენს, შეადგენს მათს განვითარებას“¹. ესაა მკვეთრი ფორმულა ისტორიული და სტატიკური გრამატიკის ურთიერთობისა და იმავე დროს ფუნქციური და სტრუქტურული მომენტების შეფარდებითი მნიშვნელობისა.

ამრიგად: სტატიკური ანალიზის პრობლემა მოითხოვს პასუხს შემდეგს ძირითად საკითხებზე:

ა) რა არის სტატიკური (აღწერითი) გრამატიკა? **მხოლოდ სტრუქტურის (ფორმის) შესახებ მოძღვრება** თუ — **მოძღვრება როგორც სტრუქტურისა, ისე ფუნქციათა შესახებ?**

ბ) რა დარგები აქვს გრამატიკას (ანუ, რაც იგივეა, სტატიკურ ენათმეცნიერებას)? მხოლოდ **მორფოლოგია და სინტაქსი** (პლუს ფონეტიკა), თუ — **ყველა ის დარგი, რაც ენის მეცნიერული შესწავლისას გამოიყოფა, რაც ისტორიულ ენათმეცნიერებაში მოგვეპოვება** (და უნდა მოგვეპოვებოდეს)?

გ) შეიძლება თუ არა **ფუნქციური და სტრუქტურული მომენტები** არ განვასხვავოთ და ისტორიული ენათმეცნიერების დონეზე ვიდგეთ?

დ) შესაძლებელია თუ არა **ფუნქციური ანალიზის მიხედვით სტრუქტურის დახასიათება** (ენის თავისებურებათა გამოვლენა) თუ — **საჭიროა სტრუქტურული და ფუნქციური ანალიზის ცალკე წარმოება?**

ე) რას წარმოადგენენ თავისი ბუნებით თანამედროვე სტატიკური გრამატიკის ცნებები («მეტყველების ნაწილი», «წინადადება», «ქვემდებარე», «შემასმენელი»...) — **სტრუქტურულსა თუ ფუნქციურ ცნებებს** და **როგორი უნდა იყოს ეს ცნებები?**

ვ) გამოდგება თუ არა არსებული ტერმინოლოგია, და თუ კი, — რისთვის: **ფუნქციურ ცნებათა აღსანიშნავად** თუ — **სტრუქტურული ცნებებისათვის?**

ყველა ეს საკითხი ერთმანეთთან **შინაგან კავშირშია**. კერძობითი გადაწყვეტა ამა თუ იმ საკითხისა სხვათა გაუთვალისწინებლად მხოლოდ

¹ კ. მარქსი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 5.

აღრევას მოგვცემდა. ხსენებულ საკითხთა გარკვევის გარეშე **სტატიკური გრამატიკა მეცნიერული ვერ იქნება, ენათმეცნიერების დარგად იგი შეუძლებელია იქნეს მიჩნეული.**

აქ აღძრულ კითხვებზე **ერთგვარი პასუხი** უკვე გაცემული გვაქვს იმ **სქემატურ** მსჯელობაში, რაც ამ საკითხთა აღნუსხვას წინ უძღვის.

ჯეროვანი სისრულით ამ პრობლემატიკის განხილვა გულისხმობს წინასწარ რიგი ძირითადი საკითხის **მონოგრაფიულ** შესწავლას. ეს საკითხებია: **ფორმისა** (სტრუქტურისა) და **შინაარსის** (ფუნქციის) საკითხი; **მორფოლოგიური, სინტაქსური და სემასიოლოგიური კატეგორიის რაობის საკითხი, ენობრივი ერთეულის საკითხი** იგივეობის საკითხთან დაკავშირებით, **ენათმეცნიერების დარგთა რაოდენობისა და ურთიერთობის საკითხი.**

სანამ ეს არაა გაკეთებული, შეიძლება საკითხის წინასწარი **გადაწყვეტა** გვქონდეს, და მთავარ ამოცანად რჩება იმ **პრინციპთა ცნადყოფა**, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ხსენებულ საკითხთა მეცნიერული გადაწყვეტა.

ზემოთქმულიც ამ პრინციპთა ჩვენებას ისახავს მიზნად.

მითითებული ლიტერატურა

- „აქტა ლინგვისტიკა“:** Acta linguistica. „სტრუქტურალური ენათმეცნიერების საერთაშორისო ორგანო“, I ტ., I ნაკვ., კოპენჰაგენი, 1939 წ. (ბრონდალისა და იელმსლევის ხელმძღვანელობით).
- ანტონ I:** ქართული ღრამმატიკა (1967 წლ. ვარიანტი), თბილისი, 1985.
- არისტოტელე:** Aristoteles: Erste Analytik („პირველი ანალიტიკა“), იხ. Philosophische Werke, Bd. III: Organon, herausgegeben von Eugen Rolfes, Leipzig, 1925 (გერმ. თარგმ.).
- „ Aristoteles: Kategorien („კატეგორიები“), იქვე.
- „ Aristoteles: Peri hermenias („გამოთარგმანებისათვის“), იქვე.
- ახვლედიანი გ.,** ენათმეცნიერების შესავალი, ნაკვ. I, II, III, თბილისი, 1919 წ.
- ბალი:** Bally Ch.: Le langage et la vie („მეტყველება და ცხოვრება“), Paris, 1926.
- „ Linguistique générale et linguistique française („ზოგადი ენათმეცნიერება და ფრანგული ენათმეცნიერება“), Paris, 1932.
- ბენფეი:** Benfey: Geschichte der Sprachwissenschaft und orientalischen Philologie in Deutschland seit Anfang des XIX Jahrhunderts („ენათმეცნიერებისა და აღმოსავლური ფილოლოგიის ისტორია გერმანიაში XIX ს. დასაწყისიდან“), München, 1869.
- ბერნშტეინ-ი:** Бернштейн: Известия: Основные вопросы синтаксиса в освещении А. А. Шахматова, — Известия русского языка и словесности Российской Академии Наук, т. XXV (1920), Петроград. 1922.
- ბინე:** Binet Alfr.: ჰადრაკის გამოჩენილ მოთამაშეთა და მოანგარიშეთა ფსიქოლოგიისათვის (ფრანგ. ენ.), 1894; მოგვყავს Ланге-ს (იხ.) მიხედვით.
- „ „ „ გონების ექსპერიმენტული შესწავლა (ფრანგ. ენ.), 1903, მოგვყავს Ланге-ს მიხედვით.
- „ „ „ აზროვნება სახეების გარეშე (ფრანგ. ენ.), 1909.
- ბიულერ-ი:** Bühler K.: Kritische Musterung der neueren Theorien des Satzes („წინადადების ახალ თეორიათა კრიტიკული განხილვა“) — Indogermanische Jahrbuch, Bd. VI, 1918.
- „ „ „ Sprachtheorie („ენის თეორია“), 1934.

- ბოგოროდიცკი:** Богородицкий: Краткий очерк сравнительной грамматики арио-европейских языков, Казань, 1916.
- ბლუმფილდ-ი:** Блумфилд: Язык, М., 1968 (L. Bloomfield: "Language", 1933).
- „ „ „ Introduction to the study of language. New York, 1914.
- ბოპ-ი:** Bopp Franz: Ueber das Conjugationssystem der Sanskrit-Sprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen, und germanischen Sprachen („უღვლილების სისტემისათვის სანსკრიტისა შედარებით უღვლილების სისტემასთან ბერძნულისა, ლათინურისა, სპარსულისა და გერმანული ენებისა“), 1816.
- „ „ „ Vergleichende Grammatik des Sanskrit, Zend, Armenischen, Griechischen, Lateinischen, Litauischen, Altslawischen, Gothischen und Deutschen („შედარებითი გრამატიკა სანსკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტაურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა და ბერძნულისა“), I-III Bde, 1833-1852, მეორე გამოცემა — 1857-1862 წ.წ.
- ბრეალ-ი** Bréal Michel: Essai de sémantique („სემასიოლოგიის ნარკვევი“), 1896.
- ბრენტანო:** Brentano F.: Psychologie vom empirischen Standpunkte („ფსიქოლოგია ემპირიული თვალსაზრისით“), 1874.
- ბროკელმან-ი:** Brokelmann C.: Gibt es einen hamitischen Sprachstamm? („არსებობს თუ არა ქამიტურ ენათა ოჯახი?“) — ჟურნ. Anthropos Bd. XXVII (1932), გვ. 797-818.
- ბრუგმან-ი და შტრაიტბერგ-ი:** Brugmann K. [und] W. Streitberg: Zu Fr. Bopps hundertjährigem Geburtstage („ფრ. ბოპის დაბადების ასი წლისთავისათვის“) — Indogermanische Forschungen, Bd. I; 1892.
- ბუდე:** Будде: Основы...: Основы синтаксиса русского языка, — Казань 1916. К учению...: К учению о синтаксисе простого предложения — Журн. Минист. Народн. Просвещения 1894 г., март.
- ბულიჩ-ი:** Булич С. К., Очерк истории языкознания в России, I. СПб, 1904.
- გაბელენტ-ი:** v. der Gabelentz, Georg: Ideen: Ideen zu einer vergleichenden Syntax („იდეები შედარებითი სინტაქსის შესახებ“) — Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft, Bd. VI (1869).
- „ v. der Gabelentz Georg: Sprachwissenschaft...: Die Sprachwissenschaft, ihre Aufgaben, Methoden und bisherigen Ergebnisse („ენათმეცნიერება, მისი ამოცანები, მეთოდები და აქამდე მიღწევები“), Leipzig, 1891 (მეორე გამოცემა 1901 წ.).

- გაიგერ-ი:** Geiger L.: Ursprung und Entwicklung der menschlichen Sprache und Vernunft (ადამიანის ენისა და გონების წარმოშობა და განვითარება“), 1868.
- გერცენ-ი** იხ. ჰერცენი.
- გოვოროვ-ი:** Говоров. Элемент. грам.: Опыт элементарного руководства при изучении русского языка практическим способом. Элементарная грамматика. Изд. 20-ое, Москва, 1897.
- გრიმ-ი:** Grimm Jacob: Deutsche Grammatik („გერმანული ენის გრამატიკა“). I-IV Bde, 1819-1837.
- გროტ-ი:** Грот К.: К вопросу о реформе логики. Опыт новой теории умственных процессов, Лейпциг, 1882.
- დეეტერს-ი:** Deeters G.: Vergleichende Sprachforschung („შედარებითი ენათმეცნიერება“) — კრებულში Lehrbuch der Völkerkunde, Stuttgart, 1937, გვ. 211-235.
- „ Deeters G., Die kaukasischen Sprachen – Houbuch der Orientalistik, Leiden-Köln. 1963.
- დელბრიუკ-ი:** Delbrück B.: Einleitung...: Einleitung in das Studium der indogermanischen Sprachen. Ein Beitrag zur Geschichte und Methodik der vergleichenden Sprachforschung („შესავალი ინდოევროპულ ენათა შესწავლაში. მასალა შედარებითი ენათმეცნიერების ისტორიისა და მეთოდოლოგიისათვის“) — V Aufl., Leipzig, 1908.
- „ Delbrück B.: Grundfragen der Sprachforschung mit Rücksicht auf W. Wundts Sprachpsychologie erörtert („ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, განხილული ვ. ვუნდტის ენის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით“), Strassburg, 1901.
- „ Delbrück B.: Vergl. Synt. I, III: Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen Bd. I (1893), Bd. III (1900), Strassburg („ინდოევროპულ ენათა შედარებითი სინტაქსი“). — იხ. Brugmann und Delbrück: Grundriß der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen, Bd. I-II (შესავალი, ფონეტიკა, მორფოლოგია), Bd. III, IV, V (სინტაქსი).
- „ Введение в изучение языка (Einleitung in das Sprachstudium), — წიგნში: Булич С. К., Очерк истории языкознания в России, I, СПб, 1904.
- დერჟავინი.** Державин: Маленькая грамматика, Москва-Петрогр., 1923.
- დიონისე თრაკიელი-ი:** Dionisä Thracis, Ais grammatica. Ed G. Uhlig, Lipsial, 1883.

დიურ-ი: Dürr იხ. ებინგჰაუზ-ი.

ებინგჰაუზ-ი: Ebbinghaus - Dürr: Grundzüge der Psychologie („ფსიქოლოგიის საფუძვლები“), Bd. II, Leipz., 1932. ეს მეორე ტომი თითქმის მთლიანად დიურის დაწერილია, ებინგჰაუზს პირველი ასიოდე გვერდი თუ დარჩა დაწერილი, დიურმა გააგრძელა და დაამთავრა ეს წიგნი (800 გვერდამდისაა), რომელიც ებინგჰაუზის პირველი ტომის (რუსული თარგმანი ამ პირველი ტომისა 1912 წელს გამოვიდა) გაგრძელებად ითვლება.

ენგელსი ფრიდრ.: „ანტი-დიურინგი“, ქართ. თარგმანი, თბილისი, სახელგამი, 1933.

„ „ „ბუნების დიალექტიკა“: Диалектика природы (რუსულ ენაზე), VI გამოც. 1932 წ. (გამოყენებულია რუს. თარგმანი).

„ „ „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“: Положение рабочего класса в Англии — იხ. К. Маркс и Ф. Энгельс: Сочинения, том III, გვ. 295-589 (გამოყენებულია რუს. თარგმანი).

„ „ „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“; Происхождение семьи, частной собственности и государства. — Москва, Партиздат, 1932 (გამოყენებულია რუსული თარგმანი). „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“ — Роль труда в процессе очеловечения обезьяны" — იხ. Диалектика природы (გამოყენებულია რუსული თარგმანი).

ერდმან-ი: Erdmann Joh.: Gesch. der Philos: Grundriß der Geschichte der Philosophie, I Bd. IV Aufl. Berl. 1896.

ვანდრიეს-ი: Вандриес Ж.: Язык. Лингвистическое введение в историю. Москва. 1937 (თარგმ. ფრანგულიდან. Vendryes J.: Le langage. Introduction linguistique a l'histoire, Paris, 1921).

ვედენსკი: Введенский А. Н.: Логика как часть теории познания. СПб, изд. II, 1912.

ვიგოტსკი: Выготский Л. С.: Мышление и речь. Психологические исследования. Москва-Ленинград. 1934.

ვლადისლავლევი-ი: Владиславлев М. И.: Логика, I изд., 1872, II изд. — 1881 г.

ვუნდტ-ი: Вундт В.: Введение в психологию, перев. под. ред. проф. Н. Ланге, Одесса, 1912.

„ „ Wundt W.: Grundriß der Psychologie („ფსიქოლოგიის ნარკვევი“), IX Aufl., Leipzig, 1909.

- ვუნდტ-ი:** Logik, I: Allgemeine Logik und Erkenntnistheorie („ზოგადი ლოგიკა და შემეცნების თეორია“), IV Aufl., Stuttgart, 1919.
- „ „ „ Sprachgeschichte und Sprachpsychologie mit Rücksicht auf B. Delbrücks "Grundfragen der Sprachforschung" („ენის ისტორია და ენის ფსიქოლოგია ბერ. დელბრიუკის „ენათმეცნიერების ძირითად საკითხებთან“ დაკავშირებით“), Leipzig, 1901.
- „ „ „ Völkerpsychologie. Eine Untersuchung der Entwicklungsgesetze von Sprache, Mythos und Sitte. Bd. I-II, Die Sprache („ხალხთა ფსიქოლოგია. ენის, მითისა და ჩვეულების განვითარების კანონთა გამოკვლევა. ტომი I-II: ენა“): III Aufl./., Leipz., 1911-1912.
- ზიგვარტ-ი:** Зигварт Х.: Логика. т. I: Учение о суждении, понятии и выводе, СПб., 1908 (თარგ. გერმან. 1911).
- თომსენ-ი:** Томсен В.: История языковедения до конца XIX века, Москва, 1938 (თარგმნილია გერმანულიდან, რომელიც, თავის მხრივ დანიური დედნის თარგმანს წარმოადგენს; რუსულ თარგმანს ბოლოსიტყვად დართული აქვს რედაქტორ პ. შორ-ის წერილი: Краткий очерк истории лингвистических учений с эпохи Возрождения до конца XIX века, გვ. გვ. 109-153).
- იელმსლევ-ი:** Hjelmslev L.: Principes de grammaire générale („ზოგადი გრამატიკის პრინციპები“) København (კოპენჰაგენი), 1928.
- იერუსალემ-ი:** Jerusalem: Die Urtheilsfunction. Eine psychologische und Erkenntniskritische Untersuchung („მსჯელობის ფუნქცია. ფსიქოლოგიური და გნოსეოლოგიური გამოკვლევა“), Wien, 1895.
- იესპერსენ-ი:** Jespersen Otto: L'individu et la communauté linguistique („ინდივიდი და ენობრივი კოლექტივი“) — იხ. Journal de Psychologie normale et pathologique, 1927, №7.
- „ Jespersen Otto: Mankind, Nation and Individual from a linguistic point of view („კაცობრიობა, ერი და ინდივიდი ენათმეცნიერული თვალსაზრისით“), Oslo, 1925.
- „ Jespersen Otto: Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung („ენა, მისი ბუნება, განვითარება და წარმოშობა“), Heidelberg, 1925 (თარგმ. ინგლისურიდან).
- „ Jespersen Otto: The Philosophy of Grammar („გრამატიკის ფილოსოფია“), London, 1924 (მეოთხე გამოც. 1935 წ.).

- კაინც-ი:** Kainz Fr., *Psychologie der Sprache*, Bd. I-VI, Stuttgart, 1954-1956.
- კასირერ-ი:** Cassierer E.: *Philosophie der symbolischen Formen*. I — *Die Sprache* („სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფია, I — ენა“), 1923.
- კერნ-ი:** Керн: *Грамматическое предложение и логическое суждение* (თარგმ. გერმან.) — იხ. *Педагогический сборник*, издав. при Глав. Управл. военно-учебн. заведений, СПб, май, 1903.
- კრასნოგორსკი:** Красногорский П.: *Синтаксис: Учебный курс синтаксиса русского языка*, СПб, 1887.
- კროჩე:** Кроче Бенедетто: *Эстетика, как наука о выражении и как общая лингвистика*, I. Москва, 1920 (იტალიურიდან თარგმ. იაკოვენკოსი).
- ლაიბნიც-ი:** Leibniz: *Oeuvres de Leibniz, première série: Nouveaux Essais sur l'Entendement* („ლაიბნიცის თხზულებანი, პირველი სერია: ახალი ცდები გონების შესახებ“), Paris, 1842.
- ლანგე:** Ланге Н. Н.: *Психология. Основные проблемы и принципы*, — VIII ტ. სერიისა: *Итоги науки в теории и практике* — Москва, 1914.
- ლაჯარუს-ი:** Lazarus M.: *Das Leben der Seele in Monographien über seine Erscheinungen und Gesetze* („სულის ცხოვრება მონოგრაფიების სახით მისი [ე. ი. ამ ცხოვრების] მოვლენებისა და კანონების შესახებ“), I ტ., II გამოც. 1876 წ., II ტ. მეორე გამოც. 1878 წ., III ტ. მეორე გამოც. 1882, ბერლინი.
- ლიფს-ი:** Lipps Th.: *Logik: Grundzüge der Logik* („ლოგიკის საფუძვლები“). III Aufl., Leipz., 1923.
- ლოსკი:** Лосский Н. О.: *Логика*, ч. I, Петроград, 1922.
- ლომთათიძე ქეთა:** Ломтатидзе К. В.: *Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах* — საქართველო. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III (1942), ნაკვ. 8.
- ლომონოსოვი:** Ломоносов Михайло. *Российская грамматика*, СПб., 1755.
- მარბე:** Marbe K.: *Untersuchungen: Experimentell-psychologische Untersuchungen über das Urteil. Eine Einleitung in die Logik* („ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები მსჯელობის შესახებ. შესავალი ლოგიკაში“), Leipzig, 1901.
- მარ-ი ნ.:** Марр Н. Я.: *Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории* (1928) — *Избр. раб.*, III, стр. 61-77.

- მარ-ი ნ.:** Марр Н. Я.: Египетский, шумерский, китайский и их палеонтологические встречи (1927) — Избр. раб., IV, 112-114.
- „ „ Марр Н. Я.: Индоевропейские языки Средиземноморья (1923) — Избр. раб. I, 185-186.
- „ „ Марр Н. Я.: История термина "абхаз" — Изд. Акад. Наук, 1912.
- „ „ Марр Н. Я.: К бакинской дискуссии о яфетидологии и марксизме (1930), — Баку, 1932. Изд. Азербайдж. Госуд. Научно-исслед. Института.
- „ „ Марр Н. Я.: Китайский язык и палеонтология речи (1926) — Избр. раб. IV, 101-111.
- „ „ Марр Н. Я.: К семантической палеонтологии в языках неяфетической системы. Тотем "конь"... (элемент С: уоп) в русской речи (1931) — Избр. раб., II, 246-288.
- „ „ Марр Н. Я.: О происхождении языка (1926) — Избр. раб. II, 179-209.
- „ „ Марр Н. Я.: Постановка учения о языке в мировом масштабе и абхазский язык (1928) — Избр. раб. IV, 53-84.
- „ „ Марр Н. Я.: Почему так трудно стать лингвистом-теоретиком? (1928)— Избр. раб. 399-426.
- „ „ Марр Н. Я.: Сдвиги в технике языка и мышления (1932) — Избр. раб. II, 427-443.
- „ „ Марр Н. Я.: Язык (1927) — Избр. раб. II, 127-135.
- „ „ Марр Н. Я.: Язык и мышление (1931) — Избр. раб. III, 90-122.
- „ „ Марр Н. Я.: Языковая политика яфетической теории и удмуртский язык (1930) — Избр. раб. I, 273-289.
- „ „ Марр Н. Я.: Яфетидология и Ленинградском государственном университете (1929) — Избр. раб. I, 254-272.
- „ „ Марр Н. Я.: Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании Средиземноморской культуры (1920) — Избр. раб. I, 79-124.
- „ „ Марр Н. Я.: Яфетические языки (1931) — Избр. раб. I, 290-311.
- „ „ Марр Н. Я.: Яфетические зори на украинском хуторе (Бабушкины сказки о Свиные Красном солнышке) (1930). — Избр. раб. V, 224-271.
- „ „ Марр Н. Я.: Яфетическая теория. Общий курс учения об языке (1928) — Избр. раб. II, 3-126.
- მარტი:** Marty.: Untersuchungen zur Grundlegung der allgemeinen Grammatik und Sprachphilosophie („გამოკვლევა ზოგადი გრამატიკისა და ენის ფილოსოფიის დასაფუძვლებისათვის“), Halle a/S 1908.

- მარქს-ი:** მარქსი კარლ: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ქართ. თარგმანი (გერმანულიდან), თბილისი, 1931 წ.
- მარქს-ი და ენგელს-ი.** გერმანული იდეოლოგია: К. Маркс и Ф. Энгельс: Немецкая идеология, Москва, 1934.
- მეიე.** Мейе А.: Введение в сравнительное изучение индо-европейских языков, Москва-Ленинград, 1938; თარგმანი ფრანგულიდან.
- „ Meillet A.: Etudes: L'état actuel des études de linguistique générale („ზოგადი ენათმეცნიერების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა“) — ესაა შესავალი ლექცია „შედარებითი გრამატიკის კურსში“, რომლის კითხვაც Collège de France-ში 1906 წ. 13 თებერვალს დაუწყია ავტორს. ეს ლექცია გამოქვეყნებულია კრებულში — Meillet A.: Linguistique historique et Linguistique générale Paris, I, 1921.
- „ Meillet A.: Linguistique („ენათმეცნიერება“) — კრებულში De la méthode dans les sciences. Deuxième série, Paris, 1911 (გვ. გვ. 165-314).
- „ Meillet A.: Méthode Compar.: La méthode comparative en linguistique historique („შედარებითი მეთოდი ისტორიულ ენათმეცნიერებაში“), Oslo, 1925.
- „ Meillet A.: Linguist. histor.: კრებული: Linguistique historique et Linguistique générale, Paris, I, 1921.
- მესერ-ი ავგ.:** Messer Aug.; ვიურცბურგის სკოლა — კრებულში „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი“ — დ. უზნაძის რედაქციით, თბილისი, 1935.
- მეშჩანინოვ-ი ვ.:** Мещанинов И. И.: Глоттогонический процесс и проблема стадильности — Изв. Акад. Наук СССР. Отдел. литературы и языка, 1941, №3.
- „ „ Мещанинов И. И.: Новое в учении о языке — 1945. სიტყვა, წარმოთქმული საზეიმო სხდომაზე მეცნ. აკადემიის 220 წლისთავთან დაკავშირებით ლენინგრადში (26. VI. 1945).
- „ „ Мещанинов И. И.: Новое учение о языке. Стадильная типология. Ленинград, 1936 (ლექციათა კურსი, სტუდ. ბ. კარბოვიჩის ჩანაწერთა საფუძველზე).
- „ „ Мещанинов И. И.: Общее языкознание. К проблеме стадильности в развитии слова и предложения. Ленинград, 1940.

- მეშჩანინოვი ვ.:** Мещанинов И. И.: ძირითადი ლინგვისტიკ. ელემენტები: Основные лингвистические элементы (в яфетидологическом освещении, კრებ. Язык и мышление, II (1934), 7-31.
- „ „ Мещанинов И. И.: Основные задачи советского языкознания – Известия Акад. Наук СССР. Отдел. литературы и языка, 1940, №3.
- „ „ Мещанинов И. И.: Проблема классификации языков в свете нового учения о языке, III изд., Ленинград. 1935.
- მილი:** Милль Д. Ст.: Система логики: Система логики силлогистической и индуктивной. Москва, 1900 (თარგმ. ინგლ.).
- მინტო:** Минтов В.: Логика: Дедуктивная и индуктивная логика. VI изд. 1909 (თარგმ. ინგლ.).
- მიროპოლსკი:** Миропольский: Рус. грам.: Курс русской грамматики. СПб, 1884.
- მიულერი:** Мюллер Макс.: Наука о языке, Воронеж, 1868 (თარგმ. ინგლის. ?) — იგივე ფრანგულად: Müller Max.: La science du langage, III გამოც. პარიზი, 1876 წ.
- ფერუზალემი** იხ. იერუზალემი-ი.
- ფესპერსენი** იხ. იესპერსენი-ი.
- ფესიანიკო-კულიკოვსკი:** Овсянко-Куликовский: Руководство к изучению синтаксиса русского языка, Москва, 1907.
- ოტო:** Otto E.: Zur Grundlegung der Sprachwissenschaft, 1919 („ენათმეცნიერების დასაფუძვლებისათვის“).
- პაულ-ი:** Prinzipien: Paul H.: Prinzipien der Sprachgeschichte („ენის ისტორიის პრინციპები“), I გამოც. 1880; IV გამოც. 1909, V გამოც. — 1920 წ.
- პეშკოვსკი:** Пешковский А. М.: Школьная и научная грамматика. IV изд., Москва, 1925.
- პიზანი-ი:** Пизани П. Общее и индоевропейское языкознание. — კრებ. "Общее и индоевропейское языкознание", М., 1956.
- პოტებნია.** Потеня А.: Из записок по русской грамматике I. Введение. II. Составные члены предложения и их замены. Изд. II, Харьков, 1888.
- პრანტლ-ი:** Prantl: Geschichte der Logik im Abendlande, Bd. I („ლოგიკის ისტორია დასავლეთში“), Leipzig, I, 1855.
- რისი-ი:** Ries John: Was ist Syntax? („რა არის სინტაქსი?“), Prag, II გამოც., 1927; (I გამოც. — 1894).
- „ „ „ Zur Wortgruppenlehre („შესიტყვების შესახებ მოძღვრებისათვის“), Prag, 1928.
- „ „ „ Was ist ein Satz? („რა არის წინადადება?“) Prag, 1931.

- როზვადოვსკი:** von Rozwadowski Jan: Wortbildung und Wortbedeutung. Eine Untersuchung ihrer Grundgesetze („სიტყვის წარმოება და სიტყვის მნიშვნელობა. მათი ძირითადი კანონების გამოკვლევა“), Heidelberg, 1904.
„ენათმეცნიერული შრომები“ იხ. „აქტა ლინგვისტიკა“.
- სეშე:** Séchehaye: Programme et méthodes de la linguistique théorique („თეორიული ენათმეცნიერების პროგრამა და მეთოდები“), Paris, 1908.
- სლანსკი:** Сланский: Грамматика как она есть и как должна быть. Спб. 1886.
- სოსიურ-ი:** де Соссюр Фердинанд. Курс общей лингвистики, Москва, 1933, თარგმ. ფრანგულიდან. Ferdinand de Saussure, Cours de linguistique générale, — Paris, I გამოც. — 1916, II გამოც. — 1922, III გამოც. — 1931 წ.
- სტურტევანტ-ი, ჰან-ი:** Sturtevant E., Hahn E. A comparative grammar of the Hittite language I, N.Y., 1951.
- ტრუბეტკო-ი:** N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. — ჟურნ. "Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes", Bd. XXXVII, H. 1-2, 1930.
- უზნაძე დ.** ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940.
„ „ სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები — ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“ (1923), №2/3.
- უოტსონი ჯ.:** Психология как наука о поведении, М., 1926.
- ულენბეკ-ი:** Uhlenbeck C. C.: Vorlateinische indogermanische Anklänge im Baskischen („ლათინურის წინა ხანის ინდოევროპული გამოძახილები ბასკურში“), ჟურნ. Anthropos, ტ. 35-36 (1940-41).
- უსლარ-ი.** Услар П.: Этнография Кавказа. Языкознание. III: Аварский язык, Тифлис, 1889.
- უშინსკი-ი:** Ушинский К. Ж.: Родное слово. — Собрание сочинений, т. 2, М. — Л., 1948.
- ფორტუნატოვი:** Фортунатов Ф. Ф.: О преподавании грамматики русского языка в средней школе, Рус. Филологич. Вестник, т. 53 вып. II (1905, №2).
- ფოსლერი:** Vöblier: K.: Frankreichs Kultur im Spiegel seiner Sprachentwicklung („საფრანგეთის კულტურა, უკუფენილი ფრანგული ენის განვითარებაში“), Heidelberg, 1913.
„ „ Geist und Kultur in der Sprache („გონი და კულტურა ენაში“) 1923. სხვადასხვა დროს გამოსულ წერილთა კრებულია.

- ფოსლერი:** Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft. Eine sprachphilosophische Untersuchung („პოზიტივიზმი და იდეალიზმი ენათმეცნიერებაში. ენის ფილოსოფიური გამოკვლევა“), Heidelberg, 1904.
- „ „ Sprache, als Schöpfung und Entwicklung („ენა, როგორც შემოქმედება და [როგორც] განვითარება“), Heidelberg, 1905.
- ფოხნუა ბიძა:** ფოსლერის საენათმეცნიერო კონცეფცია. I. ფოსლერის ესთეტიზმი, 1942 (საკანდიდატო დისერტაცია).
- ფრანკ-ი:** Франк С. Предмет знания. Об основах и пределах отвлеченного знания. Петроград, 1915.
- ფუნკე:** Funke O.: Studien zur Geschichte der Sprachphilosophie („ნარკვევები ენის ფილოსოფიის ისტორიიდან“), 1928.
- ეიფშიძე ი.:** Кипшидзе И. Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1913.
- შანიძე ა.:** „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, თბილისი, 1920.
- შარაძენიძე თინა:** ენათა კლასიფიკაციების პრინციპები: I (გენეალოგიური კლასიფიკაცია; სტადიური კლასიფიკაცია; შმიდტის კლასიფიკაცია). 1942 (საკანდიდატო დისერტაცია).
- შახმატოვ-ი:** Шахматов А. А.: Синтаксис русского языка. Вып. I: Учение о предложении и словосочетаниях. Ленинград, 1925.
- შლაიხერ-ი:** Schleicher Aug.: Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen („ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის სახელმძღვანელო“). I Aufl. — 1861, IV Aufl. — 1876.
- „ Schleicher Aug.: Die Darwinische Theorie und die Sprachwissenschaft, 1863 („დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“, თარგმანი გერმანულიდან პ. ჭარაიასი, გამოცემულია ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1889 წ.).
- „ Schleicher Aug.: Die deutsche Sprache („გერმანული ენა“), I Aufl. 1859, II Aufl. 1869.
- „ Schleicher Aug.: Formenlehre der kirchenslawischen Sprache erklärend und vergleichend dargestellt („ძველი სლავური ენის მორფოლოგია, ახსნილი და შედარებითი წესით გადმოცემული“), Bonn, 1852 (მოგვყავს Delbrück-ით: Einleitung).

- შლაიხერ-ი:** Schleicher Aug.: Sprachvergleichende Untersuchungen I. Zur vergleichenden Sprachengeschichte (1848). II. Die Sprachen Europas in systematischer Uebersicht (1850) („შედარებითი ენათმეცნიერული ძიებანი: I. ენათა შედარებითი ისტორიისათვის. II. ევროპის ენების სისტემატური მიმოხილვა“), Bonn, 1850.
- „ Schleicher Aug.: Ueber die Bedeutung der Sprache für die Naturgeschichte des Menschen („ენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის საბუნებისმეტყველო ისტორიისათვის“), 1865.
- შორ-ი.** Шор Р. Краткий очерк истории лингвистических учений с эпохи Возрождения до конца XIX века — ბოლოსიტყვაობის სახით დართული აქვს თომსენის შრომას: История языкознания (იხ. თომსენი).
- „ „ „ Язык и общество, Москва. 1926.
- შტაინთალ-ი.** Steinthal H.: Grammatik, Logik und Psychologie, ihre Prinzipien und ihr Verhältnis zueinander (გრამატიკა, ლოგიკა და ფსიქოლოგია, მათი პრინციპები და ურთიერთობა“), Berlin, 1855.
- „ Steinthal H.: Geschichte der Sprachwissenschaft bei den Griechen und Römern mit besonderer Rücksicht auf die Logik („ენათმეცნიერების ისტორია ბერძნებთან და რომაელებთან, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით ლოგიკისადმი“), Bd. I, II, Berlin, II Aufl., 1890-1891 (I გამოც. 1863).
- შტრაიტბერგ-ი:** Streitberg W.: Schleichers Auffassung von der Stellung der Sprachwissenschaft („შლაიხერის აზრი ენათმეცნიერების ადგილის შესახებ მეცნიერებათა წრეში“) — Indogerman. Forschungen, VII (1897).
- შუპე:** Schuppe: Grundriß der Erkenntnistheorie und Logik („შემეცნების თეორიისა და ლოგიკის ნარკვევი“), II Aufl., Berlin, 1910.
- შუხარდტ-ი:** Schuchardt H. Schuchardt-Brevier. Ein Vademecum der allgemeinen Sprachwissenschaft („სათანაო წიგნი ზოგად ენათმეცნიერებაში“) II Aufl., Halle/S 1928.
- შჩერბა:** Щерба Л. В. О трояком аспекте языковых явлений. Известия Акад. Наук СССР. Отдел. обществ. наук, 1931.
- ჩიქობავა არნ.** გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები. — სსრ მეცნიერ. აკად. საქართ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №№2, 3 (1940), გვ. 157-162; 241-248.

- ჩიქობავა არნ.** გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად — კრებ. „არილი“, 1925.
- „ „ ზოგადი ენათმეცნიერება: I: პრობლემეტიკული ნაწილი, თბილისი, I გამოც. 1935 წ., II გამოც. 1939 წ.
- „ „ მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1928, მეორე გამოც., 1968 წ.
- „ „ რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილები I-V ჟურნ. „ახალი სკოლისაკენ“ და „კულტურული აღმშენებლობა“, 1928-1930.
- „ „ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
- „ „ სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა, თბილ. უნივერსიტ. შრომები, ტ. XXVIb (1944).
- „ „ ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), — თბილისი, 1936.
- „ „ ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, — თბილისი, 1938.
- „ „ Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языковедения — ენიკის მოამბე, ტ. X (წაკითხული იყო მოხსენებად საკავშ. მეცნიერ. აკადემ. ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე 27 V. 1940 წ.).
- „ „ Проблема языка как предмета языкознания, М., 1959.
- „ „ Бихевиоризм в понимании сущности языка. — Филологические науки, I, М., 1958.
- „ „ Лингвистика как интегральная наука о языке. — კრებ. "Проблемы языкознания", М., 1967.
- ჩხაიძე მ.:** იაფექტოლოგიის მარქსისტული საფუძვლების შესახებ — თბილისი, 1937 წ. (44 გვ.).
- ცაგარელი-ი:** Цагарели А. Мингрельские этюды, вып. II. Опыт фонетики мингрельского языка — СПб. 1880.
- ქავჭავაძე ილია.** წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე — იხ. ნაწილების სრული კრებული, ტ. IV, ტფილისი, 1927.
- ხომსკი:** Chomsky N., Language and Mind, N. Y., 1972.
- ხუნდაძე სილოვან.** ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.
- ჯანაშვილი მოსე.** ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.

- ჰარის-ი:** Harris.: *Hermes or a Philosophical Inquiry concerning Language and Universal Grammar* („ერმესი ანუ ფილოსოფიური გამოკვლევა ენისა და ზოგადი გრამატიკის შესახებ“), 1751.
- ჰერცენ-ი:** Герцен А. Былое и думы, I, Academia გამოცემა, მოსკ.-ლენინგრ., 1932.
- ჰიელმსლევ-ი** იხ. იელმსლევ-ი.
- ჰონიგსვალდ-ი:** Hönigswald Rich.: *Philosophie und Sprache* („ფილოსოფია და ენა“), Basel, 1938.
- ჰუმბოლდტ-ი:** von Humboldt W.: *Ueber die Kavi-Sprache auf den Insel Java* („კავი ენის შესახებ კუნძულ იავაზე“) — შესავალით *Ueber die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaus und ihren Einfluß auf die gerstige Entwicklung des Menschengeschlechts* („ადამიანის ენის აგებულების სხვაობისა და ამ სხვაობის გავლენის შესახებ კაცობრიობის მოდემის გონითს განვითარებაზე“), 1836-1839.
- დედამიწის ენები.** *Les langues du monde par un groupe de linguistes sous la direction de A. Meillet et Marcel Cohén* („დედამიწის ენები, — ენათმეცნიერთა ჯგუფის მიერ — ა. მეიეს და მარს. კოჰენის ხელმძღვანელობით“), Paris, 1924.
- ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა.** *Grammaire générale et raisonnée, contenant, — Les fondements de l’art de parler, expliquée d’une manière claire et naturelle,*
— *Les raisons de ce qui est commun á toutes les langues et des principales differences qui s’y rencontrent,*
— *Et plusieurs remarques nouvelles sur la Langue Françoise...* „გრამატიკა ზოგადი და რაციონალური, რომელიც შეიცავს — მეტყველების ხელოვნების საფუძვლებს, განმარტებულს ნათლად და ბუნებრივი წესით — იმ საფუძვლებს, რაც საერთოა ყველა ენისათვის და იმ მთავარ განსხვავებებს, რაც ამ მხრივ გვხვდება — და მრავალ ახალ შენიშვნას ფრანგული ენის შესახებ. — პირველი გამოცემა — პარიზი, 1680.
- ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია.** *История лингвистических учений. Древний мир*, Л., 1980.
- წელიწდეულ-ი.** ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტომი I-II, თბილისი (1924-1925).

ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ¹

1. ემპირიული მეცნიერებები ისტორიულად ფილოსოფიაში ჩაისახა, შემდეგ კი გამოეყო მას და დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბდა. არისტოტელეს ფილოსოფია ძველი დროის მეცნიერული ცოდნის ენციკლოპედიას წარმოადგენდა.

ახალი დროის მეცნიერებები (გეოლოგია, ბიოლოგია, ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია...) კვლევას ემპირიული მასალის ანალიზით, კონკრეტულ კანონზომიერებათა დადგენით იწყებენ.

მაგრამ მეცნიერება ემპირიული ცოდნით არ ამოიწურება. მეცნიერების განვითარების პროცესში აუცილებლად დაისმის მოპოვებული ცოდნის თეორიული გააზრების, ძირითად ცნებათა ანალიზის ამოცანა.

ემპირიული მეცნიერება თეორიის გარეშე ვერ იარსებებს. ამა თუ იმ მეცნიერების თეორია არის სწორედ მისი ფილოსოფია.

ემპირიული ცოდნა მისი თეორიული გააზრების გარეშე ბრმა იქნებოდა. თეორია კი, თავის მხრივ, ზუსტი ფაქტობრივი მასალისა და ემპირიულად დადგენილ კანონზომიერებათა გარეშე უსაგნო გამოვიდოდა.

მეცნიერულად უსაფუძვლოა როგორც **ბრმა** ემპირია, ისე **უსაგნო** თეორია.

2. ენათმეცნიერების ფილოსოფიურ საკითხებს ხშირად აიგივებენ ენის თეორიის ფილოსოფიურ საკითხებთან.

ასეთი შეზღუდვა გაუმართლებლად გვეჩვენება. ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩება ენის შესახებ მეცნიერების არსებითი საკითხები, როგორცაა: ლინგვისტური ერთეულებისა და მათი შესწავლის ასპექტების (დონეების) პრობლემა, ენის ანალიზის სპეციალური მეთოდების პრობლემა, ენათმეცნიერების აგებულების პრობლემა (გარეგანი და შინაგანი ლინგვისტიკა, დარგობრივი შედგენილობა და დარგების ურთიერთობა), ლინგვისტური ცოდნის ხასიათი (ბუნება) და ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ენის შესახებ მეცნიერების არსებით საკითხებს. მაგრამ არ შეიძლება არ განვიხილოთ ენათმეცნიერების თეორიაში.

¹ წაკითხულია მოხსენებად საკავშირო საენათმეცნიერო კონფერენციაზე მოსკოვში 1974 წ. 11 ნოემბერს. რუსული ტექსტი — იხ. Известия ОЛЯ АН СССР, ტ. XXXII (1974), ნაკვ. 4, გვ. 312—319.

წინამდებარე ქართული ტექსტი დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, ტ. XX (1978), გვ. 5-20.

3. ენათმეცნიერების თეორია ენათმეცნიერების შემადგენელი ნაწილია. ენათმეცნიერების თეორია შესაძლებელია მხოლოდ ენათმეცნიერების არსებობის პირობებში (მაშინ, როდესაც „ენის ფილოსოფია“ ენათმეცნიერების არსებობას არ საჭიროებს: ის შეიქმნა ენის შესახებ მეცნიერების შექმნამდე დიდი ხნით ადრე).

ენათმეცნიერების თეორია შეიძლება დამუშავდეს ენათა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე, ე. ი. სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკის შედეგების გათვალისწინების საფუძველზე. ამაშია ენათმეცნიერების თეორიის განსხვავება ენის ფილოსოფიისაგან.

ენათმეცნიერების თეორია ვითარდება კვლევითი პრაქტიკის განვითარებასთან ერთად. რაც უფრო ბევრი ენაა ნაკვლევი და რაც უფრო განსხვავებულია მისი სტრუქტურა, მით უფრო მდიდარი აღმოჩნდება ენათმეცნიერების თეორია.

მეორე მხრივ, ენათმეცნიერების თეორია, როგორც ენათმეცნიერების ნაწილი, მოწოდებულია ხელი შეუწყოს ენის შესწავლის სამეცნიერო პრაქტიკის გაუმჯობესებას, ენის შესახებ მეცნიერების განვითარებას: ნაწილი („ენის შესახებ მეცნიერების თეორია“) ემსახურება მთელს („ენის შესახებ მეცნიერებას“).

4. ენათმეცნიერების თეორია, რომელსაც ჩვეულებრივ „ზოგად ენათმეცნიერებას“ უწოდებენ, ენის შესახებ მეცნიერების ურთულესი ნაწილია.

შესწავლილია ასობით ენა — მათი ფონეტიკური შედგენილობა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, ხშირად მათი ისტორიაც გამოკვლეულია. მაგრამ არა გვაქვს საყოველთაოდ აღიარებული განმარტება ისეთი ცნებებისა, როგორცაა: მეტყველება და ენა, სრუქტურა და ფუნქცია, მნიშვნელობა და აზრი, დარგობრივი შედგენილობა და დარგთა ურთიერთობა, ენის შესახებ მეცნიერების ხასიათი (ჰუმანიტარული მეცნიერებაა თუ საბუნებისმეტყველო)...

5. ჩვენს დროში არაჩვეულებრივი სიჭრელე შეინიშნება ენათმეცნიერების თეორიის ძირითად პრობლემათა და ცნებათა გაგებაში.

ერთნი ამას ინტენსიური განვითარების მაჩვენებლად მიიჩნევენ, სხვები კი ამ სიჭრელეში კრიზისის გამოვლენას ხედავენ.

როგორი კვალიფიკაცია არ უნდა მიეცეს ამ სიჭრელეს, ერთი ამკარაა: საქმე გვაქვს „დუღილის“ პროცესთან. ამას თან ახლავს დიდი ნაკადი ახალი ინფორმაციისა, რომელიც არაერთგვაროვანია თავისი მიზანდასახულობისა და ამოსავალი დებულებების მიხედვით, ხშირად კი მეტ-ნაკლებად გაუგებარია როგორც ერთი, ისე მეორე თვალსაზრისით.

სიჭრელე, რომელიც ენათმეცნიერებაში შეიმჩნევა, ორი სახის მიზეზითაა შეპირობებული. ერთი მხრივ, ესაა საკუთრივ ლინგვისტიკური მიზეზები, სახელდობრ, ის, რომ გადაწყვეტილი არაა რიგი ისეთი საკითხი, როგორცაა: ენის სისტემის აღწერის პრინციპები, ისტო-

რიული წარსულის რეკონსტრუქციის გზები და შესაძლებლობები, კონტაქტისა და ურთიერთმოქმედების როლი ენათა განვითარების პროცესში.. მეორე მხრივ, არცთუ მცირეა ექსტრალინგვისტური მიზეზების როლი: იგულისხმება ის ტენდენციები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეცნიერებისათვის არის დამახასიათებელი (ანტიპოზიტივიზმი, ანტიისტორიზმი, ფენომენოლოგიის პრინციპები...).

6. ენათმეცნიერების თეორიის საკითხები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაშასადამე, არ შეიძლება მათი გადაწყვეტა ერთმანეთისაგან მოწყვეტით, „რეგიონალურად“.

მეცნიერების თეორია არ შეიძლება არ იყოს სისტემური, მით უფრო, რომ ანალიზის საგანი — ენა, თავის ყველა რგოლში სისტემას წარმოადგენს.

ფუნდამენტური საკითხების სისტემური გადაწყვეტა გულისხმობს მთლიანი კონცეფციის არსებობას.

7. საბჭოთა მეცნიერების ზოგადპრინციპული დებულებების ერთიანობა სრულიადაც არ გამოორიცხავს სხვადასხვაგვარი კონცეფციების არსებობას, არ გამოორიცხავს ენის შესახებ მეცნიერების პრობლემათა სხვადასხვაგვარ გაგებას; სხვადასხვა ენათმეცნიერულ სკოლებს ისევე აქვს არსებობის უფლება საბჭოთა მეცნიერებაში ენის შესახებ, როგორც სხვა მეცნიერებებში.

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ენათმეცნიერების თეორიის ძირითად საკითხებზე ჩვენ გვესახება, როგორც ამ საკითხების ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი.

როდესაც ენის სპეციალისტი პრეტენზიას აცხადებს „ერთადერთ გადაწყვეტაზე“, ამით იგი ხელს უწყობს ცალკეულ სპეციალისტთა მონოპოლიის შექმნას, რაც, როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ნაკლებად უპასუხებს ენის შესახებ საბჭოთა მეცნიერების განვითარების ინტერესებს.

8. ენა არ არის მხოლოდ ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტი. ენობრივი ფენომენი განსაკუთრებით რთულია: აზრი (ფსიქიკური მოვლენა) ხორცს ისხამს ბგერაში (ფიზიკურ მოვლენაში), რომელსაც ხმარობენ როგორც ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის იარაღს (საზოგადოებრივი მოვლენა).

ენობრივი ფენომენის სირთულე განსაზღვრავს მისი შესწავლის მრავალსპექტიანობას. ენის სხვადასხვა მხარის შესწავლის შედეგად სხვადასხვა დროს შეიქმნა (ენათმეცნიერების გარდა): ენის ფილოსოფია, ენის ფსიქოლოგია, მეტყველების ფიზიოლოგია, ენის სოციოლოგია (სოციოლინგვისტიკა), კიბერნეტიკული (resp. საინჟინრო, გამოთვლითი) ლინგვისტიკა (ეს ტერმინები ჯერჯერობით არ არის დადგენილი და, ამდენად, ერთგვარად პირობითია).

9. ენის ფილოსოფია ევროპაში ჩაისახა კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში: ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ბერძნული ფილოსოფია სწავლობდა არა მხოლოდ ისეთ თეორიულ საკითხებს, როგორცაა სახელის მიმართება მის მიერ აღნიშნულ საგანთან (ე. ი. სვამდა ენობრივი ნიშნის პრობლემას), არამედ ფილოსოფიამ შექმნა გრამატიკის ისეთი ცნებები და ტერმინები, როგორცაა: „სახელი“, „ზმნა“, „ბრუნვა“, „პირდაპირი ბრუნვა“, „ირიბი ბრუნვა“... ეს გასაგებია: ბერძნულ ფილოსოფიაში აზროვნებასა და მეტყველებას განიხილავდნენ გაუდიფერენცირებლად, როგორც ერთს მთლიანობას: არისტოტელეს ლოგიკაში კი („ანალიტიკაში“) ლოგიკურ ცნებათა დეფინიციის დროს „გრამატიკული“ გადახლართულია „ლოგიკურთან“ (მაგალითად, „ლოგოსი“ არისტოტელესთან არის „აზრიც“ და აზრის სიტყვიერი გამოხატულებაც — „წინადადება“). თუ XIX საუკუნეში ლოგიზირებული გრამატიკა გვქონდა, აქ გრამატიზირებულ ლოგიკასთან გვაქვს საქმე.

ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარების პროცესში, როცა „ლოგიკური“ და „გრამატიკული“ თანამიმდევრულად განასხვავეს ერთმანეთისაგან, „აზრობრივისა“ და „სიტყვიერის“ ურთიერთობა უცვლელად დარჩა ფილოსოფიური რეფლექსიის საგნად. ენის აბსტრაქტული თეორიები, რომლებსაც ფილოსოფოსები ქმნიდნენ (ზმირად „ენის ცნების“ ანალიზის გზით), განსაზღვრავდნენ „რაციონალური ანუ საყოველთაო გრამატიკისა“ (XVII—XVIII სს.) და, აგრეთვე, ფილოსოფიური გრამატიკის (XVIII—XIX სს.) იდეათა განვითარებას; ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ (XIX ს.) კი ენის ფილოსოფიური თეორიები გავლენას ახდენენ ყველა „ენის თეორიაზე“ ზოგადენათმეცნიერულ კონცეფციებში, იქნებოდა ეს ჰეგელიანელი შლაიხერის თეორია (XIX ს. 50-იანი წლები), პოზიტივისტ პაულის შეხედულებები (XIX ს. 80-იანი წლები), თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული კონცეფცია სოსიურისა (XX ს. დასაწყისი), ანდა ჰიელმსლევის „გლოსემატიკა“ (XX ს. 40-იანი წლები). ეს უკანასკნელი არსებითად ენის ნეოპოზიტივისტურ ფილოსოფიურ თეორიას წარმოადგენს და არა „ენის თეორიას“, რომელიც ენის შესახებ ემპირიული მეცნიერების მონაცემებს უნდა ემყარებოდეს.

10. ენის ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლაცარუსისა და შტაინთალის ნაშრომებში, მათს ეთნოფსიქოლოგიაში („ხალხთა ფსიქოლოგიაში“ — «Völkerpsychologie»); საამისო ჟურნალი იყო «Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft», რომელიც ლაცარუსმა და შტაინთალმა დააარსეს (ტ. ტ. I—XX, 1860—1890). ენა „ხალხის სულის“ ნაყოფია: ფსიქოლოგია ახსნითი მეცნი-

ერებაა (აქედან ფსიქოლოგიზმი — არა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, არამედ — მათემატიკაშიც).

ვუნდტის ეთნიკური ფსიქოლოგია («*Völkerpsychologie*», ტ. I, *Die Sprache, I—II, Th.*, ლაიფციგი, 1900) ენობრივი ფაქტებისა და პროცესების ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას განიხილავს, როგორც ერთ-ერთ საშუალებას კოლექტივის ფსიქოლოგიის (ეთნოფსიქოლოგიის) კვლევისას, — ე. ი. იმ რთული ფსიქიკური პროცესების შესასწავლად, რომლებიც — ვუნდტის აზრით — ექსპერიმენტული გზით ვერ შეისწავლება (ექსპერიმენტულად — ვუნდტის აზრით — შეიძლება ვიკვლიოთ მხოლოდ ელემენტარული ფსიქიკური პროცესები).

ახალ ნაშრომებში ენის ფსიქოლოგიის შესახებ (Fr. Kainz, «*Psychologie der Sprache*», ტ. ტ. I—IV, შტუტგარტი, 1954—1956) წარმოდგენილია ენის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის დებულებებიც ზოგადი ენათმეცნიერებისათვისაც ფასეულია.

ცალკე უნდა გამოიყოს ის ნაშრომები, რომლებშიც ენის ფსიქოლოგია მჭიდროდ უკავშირდება ენის ფილოსოფიას: კ. ბიულერის „ენის თეორია“ (K. Bühler, «*Sprachtheorie*», იენა, 1934); ანტ. მარტის „გამოკვლევები ზოგადი გრამატიკისა და ენის ფილოსოფიის დაფუძნებისათვის“ (Ant. Marty, «*Untersuchungen zur Grundlegung der allgemeinen Grammatik und Sprachphilosophie*», ჰალე, 1908)...

იგივე ითქმის აგრეთვე ენის ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის ვილჰელმ ჰუმბოლდტის შესახებაც; მას ჩვეულებრივ XIX საუკუნის ენათმეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად თვლიან. ვ. ჰუმბოლდტის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „ხალხთა ენების აგებულების სხვადასხვაობისა და მისი გავლენის შესახებ კაცობრიობის გონითს განვითარებაზე“ («*Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaus und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts*», გამოიცა ავტორის სიკვდილის შემდეგ 1848 წელს) უდავო ინტერესს იწვევს ენის ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. ნეოჰუმბოლდტიანელობა ერთ-ერთი გავლენიანი მიმართულებაა თანამედროვე ენათმეცნიერებაში (ლ. ვაისგერბერი...).

11. როცა „მეტყველების ფიზიოლოგიის“ შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა სამეტყველო ბგერათა არტიკულაცია, რომელიც ფონეტიკაში შეისწავლება, არამედ კონცეფცია, რომლის თანახმადაც მეტყველებას განიხილავენ როგორც „პირობით-რეფლექტორულ მოქმედებას“, ხოლო ენას — როგორც მეორე სასიგნალო სისტემას (ი. პავლოვი, ლ. ორბელი, ს. დობროგაევი).

ენის სოციოლოგია (სოციოლოგიისტიკა), როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ჩვენს დროში ყალიბდება.

კიბერნეტიკული (გამოთვლითი) ლინგვისტიკა, ბუნებრივია, შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ კიბერნეტიკის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინის, ჩამოყალიბების შედეგად (ვინერი, 1948).

ამრიგად, ენათმეცნიერება ისევე ვერ ამოწურავს ენის ყოველმხრივ ანალიზს, როგორც შეუძლებელია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები დაივიწყანთ მხოლოდ გეოლოგიამდე, ანდა მხოლოდ გეოგრაფიამდე.

12. ენის ფილოსოფია, ენის ფსიქოლოგია, მეტყველების ფიზიოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ისევე როგორც ენათმეცნიერება, ბუნებრივ ენებს შეისწავლიან.

მათგან განსხვავებით, კიბერნეტიკულ ლინგვისტიკას, რომელიც ენას ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით განიხილავს, თავის ობიექტად აქვს „ფორმალური ენები“, მანქანებს შეუძლია მხოლოდ ფორმალური (და არა ბუნებრივი) ენების გამოყენება.

კიბერნეტიკული ლინგვისტიკა სწავლობს ენას მის თანამედროვე მდგომარეობაში: ენის ისტორია მას სრულებით არ სჭირდება; კიბერნეტიკულ ლინგვისტიკაში არ დაისმის საკითხი, რა მიმართებაშია ბუნებრივი ენების ფაქტები აზროვნებასთან; მოხსნილია აგრეთვე ენის ფაქტების ინდუქციური კვლევის საკითხი.

კიბერნეტიკული ლინგვისტიკა ახალი სამეცნიერო დისციპლინაა, ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანების თვალსაზრისით, რომლის გადაწყვეტასაც ის ემსახურება (მაგ., ავტომატური თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე); მაგრამ იგი სრულიად განსხვავებულია (შესწავლის საგნის, შესწავლის მეთოდების მიხედვით) ენათმეცნიერებისაგან (ჰუმანიტარული მეცნიერებისაგან ბუნებრივი ენის შესახებ).

13. ეს ახალი დისციპლინა, კიბერნეტიკული ლინგვისტიკა, ვერ შეცვლის ენათმეცნიერებას, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებას, დაახლოებით ისევე, როგორც ატომური ფიზიკა ვერ შეცვლის მოლეკულურ ფიზიკას, ანდა, ვთქვათ, მათემატიკური ლოგიკა — ლოგიკას (ფორმალურს, დიალექტიკურს). ანდა, გეოფიზიკა — გეოლოგიას.

შეუძლებელია ჰუმანიტარული და კიბერნეტიკული ლინგვისტიკის გაერთიანება ერთ სამეცნიერო დისციპლინად, იმდენად არსებითია მათ შორის განსხვავება ენის, როგორც შესასწავლი საგნის გაგებაში („ბუნებრივი ენა“ — „ხელოვნური ენა“); დიდია აგრეთვე განსხვავება იმ სპეციალურ მეთოდებს შორის, რომელთა საშუალებითაც ყოველი მათგანი შეისწავლის ენას („ინდუქცია“ — „ბუნებრივი ენის“ შესასწავლად, „დედუქცია“ — „ფორმალური ენისათვის“).

საბჭოთა მეცნიერების ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით, ბუნებრივ ენათა ლინგვისტიკამ, როგორც ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ, არ შეიძლება უარი თქვას ენის განვითარების პრინციპზე, ისტორიზმის პრინციპზე.

ასევე შეუძლებელია უარი თქვას მენტალიზმზე ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემის კვლევისას; საბჭოთა ფსიქოლოგია აღიარებს ფსიქიკურ მოვლენათა სპეციფიკურობას (და სწორედ ამით არსებითად უარყოფს ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის ფიზიკალიზმსა (მექანიციზმს) და შესაბამისად — ენის ბიპევიორისტულ ინტერპრეტაციას).

კიბერნეტიკული ლინგვისტიკა, ბუნებრივია, იყენებს იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ჰუმანიტარული ლინგვისტიკის მიერ არის დადგენილი, და — პირიქით (ისევე, მაგალითად, როგორც გეოფიზიკა იყენებს გეოლოგიის მონაცემებს, და — პირიქით).

კანონზომიერია ბუნებრივი ენა, როგორც სხვადასხვა დონის ერთეულთა (ბგერათა, სიტყვათა, შესიტყვებათა...) სიმრავლე, შევისწავლოთ კვანტიტატიური მეთოდებითაც, მაგრამ ამით სრულიადაც არ გამოირიცხება ენობრივი ფაქტების აზრობრივი მხარის კვალიტატიური ინტერპრეტაციის აუცილებლობა.

14. ბუნებრივი ენა (§ 12) ენის ფილოსოფიის, ენის ფსიქოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, მეტყველების ფიზიოლოგიის შესწავლის საგანია. მაგრამ ამ დისციპლინათა ურთიერთობა ენათმეცნიერებასთან, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან ენის შესახებ, არ ქმნის ალტერნატივას: ან ერთი, ან მეორე; ენის ფილოსოფია იყო და რჩება ფილოსოფიის ნაწილად, ენის ფსიქოლოგია — ფსიქოლოგიის ნაწილად, მეტყველების ფიზიოლოგია — ფიზიოლოგიის ნაწილად.

„ზოგადი ენათმეცნიერება“ კი, როგორც ენათმეცნიერების თეორია, ბუნებრივია, რომ ენათმეცნიერების ნაწილს წარმოადგენდეს.

„ენათმეცნიერების თეორია“ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ენათმეცნიერება, „ენის ფილოსოფია“ კი წარმოიშვა დიდი ხნით ადრე ენათმეცნიერების წარმოშობამდე. იგი ენათმეცნიერების არსებობას არ საჭიროებს; მისთვის საკმარისია არსებობდეს ენა, რათა შესაძლებელი იყოს „ენის ცნების“, „ენის იდეის“ ანალიზი.

15. ენათმეცნიერება ინტეგრალური მეცნიერებაა ბუნებრივი ენების, მათი სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ (სტატიკაშიც და დინამიკაშიც).

დაპირისპირებები (ანტინომიები): ექსპრესიული (ინტრინდივიდუალური)—საკომუნიკაციო (ინტერინდივიდუალური) ფუნქციები, მეტყველება—ენა, სინქრონია—დიასქრონია (სტატიკა—დინამიკა), სტრუქტურა—ფუნქცია — წარმოიქმნა განსაზღვ-

რულ ისტორიულ პირობებში, მაგრამ ისინი არ შეიცავენ ისეთ დებულებებს, რომ ლოგიკურად გამორიცხავდნენ ერთმანეთს. პირიქით, ისინი ორგანულად ერწყმიან და ავსებენ ერთმანეთს.

ენის ფუნქციათა მიხედვით დახასიათებისას არაიშვიათად უპირისპირებენ ერთმანეთს საკომუნიკაციო (ინტერინდივიდუალურ), ექსპრესიულ (ინტრაინდივიდუალურ) და ობიექტივაციის (ალმნიშვნელის დამოკიდებულება აღსანიშნთან) ფუნქციებს.

ენა, რომელიც აღარ არის ურთიერთობის საშუალება, არ შეიძლება შეინარჩუნონ აზრის ჩამოყალიბების იარაღად და — შესაბამისად — აღარც ობიექტივაციის საშუალებად.

საკომუნიკაციო ფუნქციის წამყვანი როლი ჩანს იმაშიც, რომ ენა, რომელიც აღარ არის ურთიერთობის იარაღი, აღარც ვითარდება.

მაგრამ ენა რომ მხოლოდ საკომუნიკაციო ფუნქციაზე დავიყვანოთ და გამოვირიცხოთ მისი ექსპრესიული ფუნქცია, ეს იქნებოდა ბიპვეიორისტული ფიზიკალიზმის (ბლუმფილდის) პოზიციაზე დადგომა.

მეორე მხრივ, თუ ექსპრესიულ ფუნქციას ჩავთვლით განმსაზღვრელად და ენას განვიხილავთ როგორც „ინდივიდუალურ შემოქმედებას“, მივიღებთ უფრო ცალმხრივ, ნაკლოვან კონცეფციას (ფოსლერის ესთეტიზმი).

საკომუნიკაციო ფუნქციის წამყვანი როლის აღიარებით არ გამოირიცხება ორი დანარჩენი ფუნქცია: მათი დაპირისპირება გაუმართლებელია.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ენისა და მეტყველებების დაპირისპირების შემთხვევაში. ენა გამოვლინდება მეტყველების აქტებში. ენა ყალიბდება როგორც მეტყველების აქტების დანალექი მესხიერებაში. ამიტომ ენაში არაფერია ისეთი, რაც ადრე მეტყველებაში არ ყოფილიყო. ენა შეისწავლება მხოლოდ მეტყველების საშუალებით მეტყველების ფაქტებში (სხვაგვარად ენა მიუწვდომელია). კერძოდ, სისტემურობა ენაში არსაიდან გაჩნდებოდა, რომ ის არ იყოს დამახასიათებელი მეტყველების აქტისათვის. ბუნებრივია გავარჩიოთ „მეტყველება“ და „ენა“, მაგრამ მათი (*resp.* „მეტყველების ლინგვისტიკისა“ და „ენის ლინგვისტიკის“) დაპირისპირებისათვის საფუძველი არ არსებობს.

16. ენა (სამეტყველო ნიშანთა) სისტემაა. „სისტემის“ ცნება გახაზავს მთლიანობას, რომელიც შეპირობებულია ენის ელემენტების შინაგანი ურთიერთკავშირით.

„მთლიანობის“ ცნებას ენის მიმართ იყენებდნენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ტერმინი „სისტემა“ დამკვიდრდებოდა ენათმეცნიერებაში (რაც ფ. დე სოსიურის სახელთან არის დაკავშირებული).

ენობრივი ნიშნები (სიტყვები, შესიტყვებები, წინადადებები) მასალის მიხედვით ფიზიკურია, დანიშნულების მიხედვით — სოციალური. რაკი ეს ნიშნები სოციალურია, მათ აქვთ მნიშვნელობა.

ენობრივი ნიშნები ფიზიკური რომ არ იყვნენ, მათი გამოყენება ურთიერთობის საშუალებად შეუძლებელი იქნებოდა. მათ მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, მაშინ ისინი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის ობიექტები იქნებოდნენ (ასეცაა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში, აქედან — ფიზიკალიზმი).

ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემა (ენათმეცნიერებისათვის) „მნიშვნელობის“ პრობლემაში ვლინდება. მნიშვნელობა (გაგებულ მენტალისტურად და არა ბიჰევიორისტულად) ერთ-ერთი საყრდენი ცნებაა და არა მხოლოდ სემასიოლოგიისა, არამედ მორფოლოგიისაც (რომელიც სწავლობს სიტყვების, როგორც სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს).

17. მნიშვნელობად არ შეიძლება ჩაითვალოს არც „წარმოდგენა“, რომელსაც სიტყვა იწვევს, არც „ცნება“, რომლის აღმნიშვნელი ტერმინიც არის სიტყვა. აზროვნების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ „წარმოდგენა“ არის მნიშვნელობის შესაძლო, მაგრამ არა აუცილებელი კორელატი; ამასთან ის სხვადასხვა პირებთან სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება, შეიძლება ერთსა და იმავე პირთანაც სხვადასხვანაირი იყოს (სხვადასხვა დროს). ცნებებით აზროვნებენ მეცნიერებაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი საგნების შესახებ აზროვნებენ არა „ცნებებით“, არამედ „წარმოდგენებით“, ე. წ. „ზოგადი წარმოდგენებით“ (ისიც „სახეებიანი აზროვნების“ პირობებში). ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ სიტყვის (ისევე როგორც წინადადების) მნიშვნელობა შეიძლება გაგებულ იქნეს კონკრეტული სახის არსებობის გარეშე („უსახო აზროვნება“, „სახეების გარეშე აზროვნება“ — ბინე, მესერი, კიულპე...).

სიტყვის „მნიშვნელობა“ ვიცით, თუ ვიცით, რასთან არის მიმართებაში ეს სიტყვა (რეალურ სინამდვილეში): ეს მიმართება წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობას. თუ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიცვალა მიმართება: თუ წინათ სიტყვა ერთ ფაქტთან იყო მიმართებაში, ახლა სხვასთან იქნება მიმართებაში („კონიაკი“ — ქალაქი საფრანგეთში, სადაც კონიაკს ამზადებდნენ; „კონიაკი“ იქცა გარკვეული მაგარი სასმელის სახელად; სიტყვა „კონიაკის“ მნიშვნელობა იცვალა, ქალაქი სასმელად კი არ ქცეულა, შეიცვალა მხოლოდ „კონიაკ“ სიტყვის მიმართება აღსანიშნავად).

თუ ლექსიკური მნიშვნელობა „მიმართებას“ წარმოადგენს, „გრამატიკული მნიშვნელობა“ გულისხმობს „მიმართებას მიმართებათა შორის“; „ამხანაგის ძმა“ — შდრ. „ძმის ამხანაგი“... „ფილოსოფიის ისტორია“ — შდრ. „ისტორიის ფილოსოფია“.

მიმართება მიმართებათა შორის სიტყვის აგებულებას წარმოაჩენს. რამდენადაც როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობაც მიმართებებს წარმოადგენენ, იხსნება პრინციპული განსხვავება ამ მიმართებებს (მნიშვნელობებს) შორის: მართებულია ამ ცნებათა გარჩევა როგორც პირველადი და მეორეული ხასიათის მიმართებებისა.

ფორმანტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა სიტყვებს შორის დამოკიდებულების გამოსახატავად, ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი: დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს სინტაქსური საშუალებებით (სიტყვათა რიგი...), ფონეტიკური საშუალებებით (ინტონაცია).

ცოტა როდია ენები, რომელთაც ფორმანტები არა აქვს. არსებობს ენები მორფოლოგიის გარეშე, მაგრამ არ არსებობს ენები სინტაქსის გარეშე.

განვითარებული მორფოლოგიური სისტემის მქონე ენებში (მაგ., ლათინური, რუსული, ქართული...) მორფოლოგია წარმოშობისდა კვალად (გენეტურად) სინტაქსიდან მომდინარეობს, სისტემატური აღწერითი ანალიზის თვალსაზრისით კი სინტაქსის თავისებურებანი მორფოლოგიით განისაზღვრება.

18. ენობრივი ნიშნები შეიძლება მოტივაციის მქონე იყოს, თუმცა ნიშანთა უმეტესობა ამჟამად მოტივირებული არ არის: „ორი“, „სამი“, „ოთხი“, „ხუთი“, „ექვსი“, „შვიდი“, „რვა“ არ არის მოტივირებული (არ ვიცით, რატომ ჰქვია ამ რიცხვს ეს სახელი): „ოთხმოცი“ მოტივირებულია: $80=4 \times 20$... მოტივაცია სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვა იყოს: შდრ. რუს. **восемьдесят** „ოთხმოცი“ — $80=8 \times 10$.

ამოსავალი მოტივაცია დროთა განმავლობაში იკარგება: სიტყვის დეტიმოლოგიზაცია ხდება.

ყველა სიტყვა მოტივაციანი რომ იყოს და ამასთან ყველა ენაში ერთგვარად, მაშინ ენობრივი ნიშნები პირობითი არ იქნებოდა.

ენობრივი ნიშანი საგანს აღნიშნავს, საგნის „წარმოდგენა“ („აღქმა“) საგანს ასახავს. ენობრივი ნიშნები საგანს რომ ასახავდნენ, ენისა და აზროვნების ერთიანობა გადაიქცეოდა ენისა და აზროვნების იგივეობად. „ენობრივი ნიშანი ასახავს“ და „წარმოდგენა (აღქმა) აღნიშნავს“ — პოლარულად საწინააღმდეგო დებულებებია. რეალურ ვითარებას არ უპასუხებს არც ერთი, არც მეორე.

19. ეს ნიშანთა დინამიკური სისტემაა: ენის ცვალებადობითაა შეპირობებული ენის სისტემისა და ენის ისტორიის, სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთობის პრობლემები.

ენის სისტემის სხვადასხვა რგოლები იცვლება არა ერთდროულად და არა ერთგვარი ტემპებით: ენის სისტემის განვითარების ყოველ ეტაპზე აღმოჩნდება სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის მოვლენები, ამიტომ შეუძლებელია ენის სისტემის გაგება მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად. ენის სისტემა დამოკიდებულია ისტორიაზე, თავის მხრივ სისტემას, მის თავისებურებებს, შეუძლია გავლენა მოახდინოს ენაში ამა თუ იმ მოვლენის განვითარებაზე, თუმცა გაცილებით უფრო დიდია ენის ისტორიის გავლენა ენის სისტემაზე, ვიდრე ამ უკანასკნელის ზემოქმედება მის ისტორიაზე.

ენის სისტემის თანმიმდევრულად სინქრონიულ აღწერით ანალიზს არ შეუძლია ენის ისტორიის უგულებელყოფა (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკვლავი ფაქტების მექანიკურ რეგისტრაციად იქცეოდა).

ენის განვითარების პრობლემას — ენის განვითარების არსს, განვითარების პრინციპებს, შინაგანი სტიმულებისა და გარეგანი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას — არ შეიძლება ცენტრალური ადგილი არ ეკავოს საბჭოთა ენათმეცნიერების სისტემაში. თუ საბჭოთა მეცნიერების ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპებიდან ამოვალთ, განვითარების პრინციპი, ისტორიზმის პრინციპი არ შეიძლება კონიუნქტურულად შეფასდეს, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რაგვარი ვითარება გვაქვს ზოგად ენათმეცნიერებაში.

ნეოგრამატიკოსების დემონსტრაციული ისტორიზმი თეორიაში — „მეცნიერულია მხოლოდ ისტორიული“ (პაული) — არ განხორციელებულა მათს კვლევით პრაქტიკაში, „ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკაში“. შედარებითი ანალიზი ისტორიის საიმედო საშუალება უნდა იყოს. ხოლო თუ შედარებითი ანალიზი თავისთავადი მნიშვნელობის „ხელოვნებად“ იქცევა, იგი წარმოშობს რეკონსტრუქციებს, რომლებსაც არაფერი შეესაბამება ენის ნამდვილ ისტორიაში.

„ფუძენის“ რეალურობის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია აღვადგინო ეს „ფუძენა“. შეიძლება აღვადგინოთ ცალკეული ენობრივი ფაქტები, სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ენობრივი პროცესები, მაგრამ მთლიანად „ფუძენის“ აღდგენა — ეს ისეთი ამოცანაა, რომელსაც პრინციპულად არ შეიძლება ჰქონდეს დადებითი გადაწყვეტა.

„წინარე ენის“ — მისი ფონემური შედგენილობის, მორფოლოგიური ინვენტარის, ფუძის აგებულების — რეკონსტრუქციის ცდები თავისთავად, კაცმა რომ თქვას, უწყინარი საქმიანობაა, მაგრამ ენათა რეალური ისტორიის თვალსაზრისით იგი მოკლებულია ყოველგვარ შემეცნებით ღირებულებას.

20. ენათმეცნიერება არ ამოიწურება ენის ისტორიით: სისტემის აღწერითი ანალიზი ენის მეცნიერული შესწავლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

მაგრამ ენათმეცნიერება ისტორიზმის გარეშე დაკარგავდა იმ მნიშვნელობას, რომელიც მას, როგორც ზუსტ ჰუმანიტარულ მეცნიერებას, აქვს კულტურის ისტორიისა და აზროვნების ისტორიისათვის.

სიტყვის ეტიმოლოგია, რომელიც დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ენის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ კულტურის ისტორიისა და აზროვნების ისტორიისთვისაც, ორგანულადაა დაკავშირებული ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასთან, ენათა დიაქრონიულ და არა სინქრონიულ შესწავლასთან.

ისტორიული ენათმეცნიერების ნაკლი ის კი არაა, რომ იგი ისტორიულია, არამედ ის, რომ იგი არ ასაკმარისად ისტორიულია: ენათმეცნიერთა განკარგულებაშია მხოლოდ დივერგენციის პროცესების საკვლევი მეთოდები, მაგრამ არ მოგვეპოვება სპეციალური მეთოდები კონვერგენციის პროცესების შესასწავლად („არეალურ ლინგვისტიკას“ მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეუძლია ამ ხარვეზის ამოვსება. „ენათა კავშირის“ ცნება გაუგებრად ტოვებს იმას, რაც ისედაც გაუგებარი იყო: საანალიზო მოვლენათა ისტორიას).

„ენა ნიშანთა დინამიკური სისტემაა“ — ეს არსებითი მნიშვნელობის დებულებაა. ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ისტორიზმის პრინციპი ენის შესწავლაში ენის არსითაა შეპირობებული და, ამდენად, ენის ისტორიას ვერ გავუტოლებთ დიაქრონიას, როგორც რაღაც „სხვადასხვადროულს“.

„წინარე ენის დონის“ რეკონსტრუქციები ფულის ისეთ ნიშნებს მოგვაგონებს, რომლებიც ვალუტით უზრუნველყოფილი არ არის.

ამ თვალსაზრისით ძალზე დამახასიათებელია ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ინდოევროპეისტიკაში ახლად აღმოჩენილი ინდოევროპული ენის — ხეთების სამეფოს ძველი მკვდარი ენის, ნესიტურის ჩვენებათა გათვალისწინებისას (ამ 50 წლის წინ).

„ინდოევროპული წინარე ენის“ ფონემური შედგენილობის რეკონსტრუქცია და, კერძოდ, მისი ვოკალიზმისა და ლარინგალური ფონემების, მათი რაოდენობის დადგენა აუცილებელს ხდის დაზუსტდეს რეკონსტრუქციის რეალური შესაძლებლობანი, ოღონდ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება საჭიროება გაიმიჯნოს ნამდვილი ისტორია განყენებულად ნააზრევი, მოჩვენებითი ისტორიისაგან (ისტორიისა „als ob“).

21. ზემოთქმული განაპირობებს ისეთი პრობლემების აქტუალურობას, როგორიცაა: განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი და გარეგან გავლენათა მნიშვნელობა ენის განვითარებისათვის.

გარეგანი გავლენები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (როგორც გავლენის ინტენსიურობის, ისე მისი შედეგების თვალსაზრისით) იმ კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად, რომლებშიც ხალხს — ენის მატარებელს — უხდება ცხოვრება.

მაგრამ გაუმართლებელი იქნებოდა ენის განვითარება გარეგანი ზემოქმედების პროცესებამდე დაგვეყვანა: იმ ხალხის ენა, რომელიც კარჩაკეტილად ცხოვრობს (გეოგრაფიული პირობების გამო), არ წყვეტს განვითარებას თუ ვითარდება სამეურნეო ცხოვრება, თუ ვითარდება ხალხის კულტურა.

ასეთ პირობებში განვითარების შინაგან სტიმულებს წარმოადგენს:

ა) ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, საზოგადოებრივი (კოლექტიური) დანიშნულება და სამეტყველო აქტებში მისი გამოყენების ინდივიდუალური ხასიათი; ბ) დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ენის განვითარებასა და აზროვნების განვითარების პროცესებს შორის.

22. ენის სისტემის აღწერა („სინქრონიული ანალიზი“) მოწოდებულია უპასუხოს ორ ძირითად კითხვას: ა) რა და რა ენობრივი ერთეულები გვაქვს, რომლებიც უნდა აღიწეროს და ბ) რა თვალსაზრისით ხდება ენობრივი ფაქტების აღწერა: სტრუქტურის თვალსაზრისით თუ ფუნქციის თვალსაზრისით (თუ ერთდროულად ორივე თვალსაზრისის მიხედვით).

ამჟამად შეინიშნება სიჭრელე ენობრივი ერთეულების გაგებაში (სიტყვა თუ მორფემა? შესიტყვება — სინტაგმა თუ წინადადება?) და უფრო მეტად — იმის გაგებაში, თუ რა არის „სტრუქტურა“, „ფუნქცია“. ცნობილია: პრადის სკოლის სტრუქტურალიზმი, ამერიკული სტრუქტურალიზმი („დესკრიფციული ლინგვისტიკა“), დანიის სტრუქტურალიზმი („გლოსემატიკა“), არსებობს ფრანგული სტრუქტურალიზმი, ინგლისური სტრუქტურალიზმი; ოციან წლებზე მოდის სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბება მოსკოვის რუსისტთა სკოლაში (პროცესი ვერ განვითარდა ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ბატონობის პირობებში); სინტაქსისა და მორფოლოგიის ფაქტების მიმართ დამოუკიდებელი სტრუქტურული მიდგომის აუცილებლობას ასაბუთებდა ქართული ენის მასალაზე ამ სტრუქტურის ავტორი (მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, რომელიც 1928 წელს გამოვიდა).

„სტრუქტურა“ სხვადასხვაგვარად ესმით: ზოგ ავტორთან „სტრუქტურული“ გათანაბრებულია „სისტემურთან“, „სტრუქტურალიზმი“ მიჩნეულია „სისტემოლოგიის“ სინონიმად. ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება საერთოდ აღიარებული გაგება იმისა, თუ რა არის „სტრუქტურა“ და რით განსხვავდება „სტრუქტურის“ ცნება „სისტემის“ ცნებისაგან. სტრუქტურა ცნების სხვადასხვაგვარი გაგების შესაბამისად „სტრუქტურალიზმებიც“ სხვადას-

ხვაგვარი გვაქვს: სტრუქტურალიზმის ისეთ მიმდინარეობებს შორის, როგორიცაა „გლოსემატიკა“ და „პრალის სკოლა“, ბევრად უფრო მეტია განსხვავება, ვიდრე პრალის სკოლასა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების რომელიმე წარმომადგენლის, ვთქვათ, ა. მეიეს კონცეფციას შორის.

ენები ამჟღავნებენ მაქსიმალურ სიახლოვეს ფუნქციების მიხედვით და მაქსიმალურ სხვადასხვაობას სტრუქტურის მიხედვით.

შეუძლებელია ენის სისტემის აღწერა ჩაითვალოს მეცნიერულად, თუ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ენის სტრუქტურა. ენის მიმართ სტრუქტურული მიდგომა კანონზომიერია (სტრუქტურა — ლექსიკასთან ერთად — განასხვავებს ერთ ენას მეორისაგან).

ის კი არ არის სადავო სტრუქტურალიზმში, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს სტრუქტურაზე, არამედ ის, რომ სტრუქტურალიზმს ყველაფერი სტრუქტურამდე დაჰყავს. მართალია, ენას აქვს სტრუქტურა, მაგრამ ენა არ არის მხოლოდ სტრუქტურა.

სისტემურობა — ამა თუ იმ ხარისხით — დამახასიათებელია ენის ყველა მხარისათვის (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და, აგრეთვე, ლექსიკისათვის). მაგრამ ის რაც სისტემურია, არ არის აუცილებლად სტრუქტურული.

ბრუნების განვითარებული სისტემა გვაქვს ლათინურშიც და რუსულშიც. მაგრამ ეს სისტემები ქმნიან სტრუქტურულად განსხვავებულ მთლიან ერთეულებს.

სტრუქტურული პრინციპის უნივერსალიზაცია ენათმეცნიერებაში გამოწვეულია არა საკუთრივ ენათმეცნიერული გარემოებებით, არამედ სტრუქტურული განწყობით, როგორც ზოგადი ტენდენციით, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში შეიმჩნევა („სტრუქტურის ეპიდემია“).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რომელიმე, არსებითად სწორი, პრინციპის უნივერსალიზაციას ყოველთვის ცალმხრივობისაკენ მივყავართ.

23. თანამედროვე ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა უნივერსალების პრობლემას, ტიპოლოგიურ შედარებას (ისტორიულის ნაცვლად). ტიპოლოგიურ შედარებას შეუძლია გარკვეულად ხელი შეუწყოს სხვადასხვა ენებში მოვლენათა ისტორიული თანამიმდევრობის გამოვლენას (ვუნდტი, კასირერი...).

იდეალური იქნებოდა, ტიპოლოგიური შედარებისა და ენის სისტემის აღწერითი ანალიზის გზით რომ შეიძლებოდეს უნივერსალური მნიშვნელობის დებულებათა გამოვლენა (იმ პირობით, თუ ეს დებულებები არსებითი მნიშვნელობის საკითხებს შეეხებიან, იქნებიან ნამდვილად უნივერსალური და წარმოადგენენ სინთეზური ხასიათის მსჯელო-

ბეზს). „სამკუთხედში სამი კუთხეა“ — ანალიზური მსჯელობის ნიმუშია. „სამკუთხედის კუთხეთა ჯამი უდრის ორ სწორს“ — სინთეზური მსჯელობაა. ცოდნის შემატება სინთეზურ მსჯელობაშია მოცემული.

აქამდე გამოვლენილ უნივერსალიებს მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალურობის პრეტენზია: ეს უნივერსალიები „სამკუთხედში სამი კუთხეა“ ტიპის ანალიზურ მსჯელობებს წარმოადგენენ.

რასაკვირველია, ცალკეული მოვლენები შეიძლება მეორედბოდეს სხვადასხვა ენაში, მაგრამ არ შეიძლება გვქონდეს უნივერსალური გრამატიკა, რამდენადაც ენის უნივერსალური სისტემა (სტრუქტურა) წარმოუდგენელია.

ისეთი ცნებებიც კი, როგორცაა „სიტყვა“, „შესიტყვება“ საექვოა ყველა ენას გამოადგეს.

ზოგადი კანონზომიერებანი უნდა დადგინდეს ინდუქციურად, კონკრეტულ ენათა სისტემატური გეგმაზომიერი ანალიზის გზით, სტრუქტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ენობრივ ერთეულთა სტრუქტურისა და ფუნქციის სრული დახასიათებით.

ფუნქცია არ განსაზღვრავს სტრუქტურას და, მით უმეტეს, სტრუქტურა — ფუნქციას, ამიტომ აუცილებელია სტრუქტურისა და ფუნქციის ანალიზი ჩავატაროთ დამოუკიდებლად; ჰომოგენურობის პრინციპის თანახმად, სტრუქტურული ცნებები სტრუქტურული ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ, ფუნქციონალური ცნებები — ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით.

გრამატიკულ ტრადიციას არ ეგუება ცნებათა ორმაგი სისტემა (ფუნქციონალური და სტრუქტურული). ერთიან სისტემაში კი, ნაწილობრივ უგულვებლყოფილია ან ფუნქცია, ან სტრუქტურა, ხან კი — ორივე. მეცნიერული აღწერისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ცნება „გრამატიკის“ მოცულობის გადასინჯვა, არამედ აგრეთვე ტერმინ „გრამატიკის“ შეცვლა უფრო ზოგადი და ტრადიციით ნაკლებ დამძიმებული ტერმინით (მაგ., ისეთით, როგორცაა „ანალიზი“).

24. ყოველი მეცნიერება მიზნად ისახავს კანონზომიერებათა ამსახველი განზოგადებები დაადგინოს. ბუნებრივ ენათა ლინგვისტიკამ, როგორც ზემოთ ითქვა (§ 3), შეიძლება მიაღწიოს ასეთ განზოგადებებს განსხვავებულ სტრუქტურისა და განსხვავებულ წარმოშობის მქონე რეალური ენების თავისებურებათა გამოწვლილვით აღნუსხვისა და მათი ისტორიის გათვალისწინების საფუძველზე, ინდუქციის, და არა დედუქციის გზით.

პორ-როიალის „ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა“ (1660) და მისი გაგრძელება ჯემს ჰარისის „ფილოსოფიური გრამატიკა“ (1751) XIX საუკუნის ოციან წლებამდე ესწრაფოდნენ „საყოველთაო გრამატიკის“ შექმნას, რომელიც ერთიანი ლოგიკის საფუძველზე იქნებოდა აგებული: აზრის ერთიანი კატეგორიები ლოგიკაში — და მათი ერთიანი გამოხატულება გრამატიკაში.

25. ისტორიულმა გრამატიკამ XIX საუკუნეში თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ერთიანი ლოგიკა ერთიანი გრამატიკული სისტემის აუცილებლობას არ განსაზღვრავს არათუ ყველა ენისთვის, არამედ ერთი და იმავე ენისათვის მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. აქვე უნდა ითქვას, რომ არც ლოგიკის კატეგორიებია მარადიული და ერთნაირად გაგებული ყველგან (ლევი-ბრიული).

უფრო მეტიც: არა ლოგიკური, არამედ ფსიქოლოგიური კატეგორიები პოულობდნენ ასეთსა თუ ისეთ გამოხატულებას ენაში მისი განვითარების საწყის საფეხურებზე: ენის კატეგორიები გაქვავებულ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს წარმოადგენენ (პაული), ისინი გვეხმარებიან მოვლენათა ახსნაში, მაგრამ ვერ გამოდგებიან საყრდენად ენის სისტემის აღწერითი ანალიზისათვის.

მენტალიზმმა კონკრეტული გამოხატულება პოვა აღწერითი გრამატიკის ლოგიციზმსა და ფსიქოლოგიზმში. ლოგიციზმის პრინციპული დასაბუთება წარმოდგენილი იყო პორ-როიალის „რაციონალურ გრამატიკაში“ (1660). ფსიქოლოგიზმის დამკვიდრება ენათმეცნიერებაში კი დაკავშირებულია გ. შტაინთალის სახელთან („გრამატიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია“, 1855).

ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის წარუმატებლობამ მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში გამოიწვია ის, რომ მენტალიზმს, როგორც აღწერითი ენათმეცნიერების კვლევისათვის პრინციპულად გამოუსადეგარ საფუძველს, ზურგი შეაქციეს.

მენტალიზმის ადგილი დაიკავა ბიჰევიორიზმმა, ანუ ფიზიკალისტურმა ფსიქოლოგიზმმა.

ასეთი იყო ლ. ბლუმფილდის „დესკრიფციული ლინგვისტიკის“ პრინციპული თვალსაზრისი.

დესკრიფციულმა ლინგვისტიკამ, რომელმაც უარი თქვა მენტალიზმზე და ენის ბიჰევიორისტულ გაგებას დაემყარა, ვერ შეძლო ენის აღწერის ძირითადი საკითხები გადაეწყვიტა.

შემთხვევითი არაა ნ. ხომსკის მობრუნება მენტალიზმისაკენ უკანასკნელი წლების ნაშრომებში (სახელდობრ, მის ნაშრომში — „Language and Mind“, 1970). რაციონალური გრამატიკის პრინციპებზე დაყრდნობით ენის აღწერის პრობლემები ვერ გადაწყდება.

26. ენის მნიშვნელობა საყოველთაოდ არის აღიარებული.

ურთიერთობის საშუალების გარეშე შეუძლებელია ადამიანთა კოლექტიური ცხოვრება, შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა.

ენა უეჭველი პირობაა კულტურის განვითარების შემდგომადობისათვის: ენის წყალობით ერთი თაობის მიღწევები შემდგომ თაობათა კუთვნილება ხდება.

ენაცა და აზროვნებაც შრომითი საქმიანობის პროცესში იქმნებოდა (ლ. ნუარე, ფრ. ენგელსი). ეს ასეა ფილოზოფიის თვალსაზრისით, ხოლო ონტოგენეზის თვალსაზრისით (ინდივიდის განვითარება) — ბგერითი ენის არსებობის პირობებში — მეტყველება და მეტყველებითი აზროვნება ბავშვს პირველსავე წლებში უჩნდება.

მეტყველება და მეტყველებითი აზროვნება წარმოადგენს იმ „ზღვარს, რომელსაც ვერც ერთი ცხოველი ვერ გადმოაბიჯებსო“ (პაქსლი).

კონკრეტული ენის მნიშვნელობა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის ნათლად არის ნაჩვენები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში პროგრესულ მოაზროვნეთა ნაშრომებში.

„ყოველი ხალხის ენა თვით ხალხის მიერაა შექმნილი“ — **К. Ушинский**, „Родное слово“ (I გამოცემა 1861 წ., გამოიცა 150-ჯერ), შრომების კრებული, ტ. II, გვ. 555.

„ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე მტკიცე კავშირი, რომელიც აერთიანებს გარდასულ, თანამედროვე და მომავალ თაობებს ერთ დიდ ისტორიულ ცოცხალ ერთობად“ — იქვე, გვ. 557.

„სანამ ხალხის ენა ცოცხლობს ხალხში, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც. არ არსებობს უფრო აუტანელი ძალმომრეობა, ვიდრე — წაართვა ხალხს მემკვიდრეობა, რომელიც მის წინაპართა უთვალავ გარდასულ თაობებს შეუქმნია... მშობლიური ენა არის გონებრივი განვითარების საფუძველი და ყოველგვარი ცოდნის საგანძური“ — იქვე, გვ. 557.

ეს სიტყვები ეკუთვნის კონსტანტინე უშინსკის, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამორჩენილ წარმომადგენელს, დიდ პედაგოგსა და განმანათლებელს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მრავალეროვან საბჭოთა კავშირში პოვა აღიარება და პრაქტიკული გამოყენება კ. უშინსკის პედაგოგიურმა პრინციპებმა და იდეებმა.

27. ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება ბუნებრივი ენების რაობისა და განვითარების შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ჰუმანიტარული მეცნიერებაა.

ამოსავალი დებულებები

1. ბუნებრივ ენათა ლინგვისტიკას (ჰუმანიტარულ მეცნიერებას) და ფორმალურ ენათა ლინგვისტიკას (კიბერნეტიკულ ლინგვისტიკას) არ შეუძლიათ შეენაცვლონ ერთმანეთს. არც მათი გაერთიანება შეიძლება ერთ მეცნიერებად. ისინი ორ სხვადასხვა მეცნიერებას წარმოადგენენ.

2. ენათმეცნიერების თეორია („ზოგადი ენათმეცნიერება“), რომელიც ენათმეცნიერების ნაწილია, უნდა წარმოადგენდეს კვლევითი პრაქტიკის თეორიულ გააზრებას, რათა ხელი შეუწყოს ამ უკანასკნელს. ამაშია ენათმეცნიერების თეორიის არსებითი განსხვავება „ენის ფილოსოფიისაგან“, რომელიც ფილოსოფიის ნაწილს შეადგენს.

3. ენის კვლევის პრაქტიკა საფუძველს არ იძლევა ისეთი დაპირისპირებისათვის, როგორცაა: „ენის ლინგვისტიკა“ და „მეტყველების ლინგვისტიკა“, „სინქრონიული ლინგვისტიკა“ და „დიაქრონიული ლინგვისტიკა“, „სტრუქტურული ლინგვისტიკა“ და „ფუნქციონალური ლინგვისტიკა“. ისინი კი არ გამოირჩევიან ერთმანეთს, არამედ ავსებენ და ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს ენათმეცნიერებაში, როგორც ინტეგრალურ მეცნიერებაში ბუნებრივი ენების შესახებ.

4. ენის სისტემის აღწერითი ანალიზის საკითხების გადაწყვეტა და ენათა კონვერგენციის პროცესთა ისტორიული ანალიზის მეთოდების დამუშავება წარმოადგენს კვლევითი პრაქტიკის პირველი რიგის ამოცანებს.

I. ИСТОРИЗМ И ЛИНГВИСТИКА¹

1. Сложность языка создает объективные предпосылки для различных установок в понимании его сущности и в методах его исследования: язык – система знаков, средство общения коллектива (функция индивидуальная), орудие формирования и объективации мысли (функция интраиндивидуальная), причем ведущей является первая. Знаки языка, физические по материалу, индивидуальные по использованию, коллективны (социальны) по назначению. Если бы знаки языка не являлись физическими по материалу, они не могли бы служить средством общения. Если бы они не являлись знаками, имеющими значение, они оказались бы предметом изучения естественных наук (так называемый физикализм).

На наш взгляд, следует различать науку о реальных (естественных) языках и науку о формализованных языках, прикладное значение которой неуклонно возрастает. Эта наука отлична не только по предмету изучения, но и по методам, которые ею используются: инженерная (кибернетическая) лингвистика – самостоятельная негуманитарная наука.

Лингвистика – интегральная гуманитарная наука о реальных языках, их структуре и функциях: учение о структуре и учение о функции друг друга дополняют, а не исключают. Среди многих сотен языков земного шара не возможно найти такой, который бы не имел ничего общего с другими языками (и тем более – имел бы все общее: тогда это был бы один язык): проблема общего и отличного была и остается фундаментальной проблемой в теоретическом изучении языков. Стояла она еще в филологической грамматике греков (в учении о частях речи), далее – в рациональной грамматике (XVII в.) и ее продолжении – философской грамматике (Дж. Харрис – XVIII в.) и в философских теориях языка XVII–XVIII вв. [Дж. Локк (XVII в.), Г. Лейбниц (XVIII в.) и др.] и последующих веков (В. Гумбольдт, А. Марти и др.). Стояла и стоит она в науке о языке, возникшей в XIX в. (на основе историко-сравнительной грамматики).

2. Проблема общих закономерностей («проблема общего») при этом остается главной целью. Но различны приемы ее решения: в одном случае общее выводится дедуктивно путем анализа языка, его сущности; в другом общее – результат анализа конкретных языков, т. е. обобщение путем индук-

¹ Журнал «Вопросы языкознания», М., 1980, № 6, с. 3–12.

ции. Дедуктивный подход характерен для философии языка, индуктивный – для исторической лингвистики. Конечно, дедуктивная установка не может полностью отключиться от конкретного многообразия языков, а теория, построенная индуктивным путем, не может элиминировать дедукцию. Но различие установок остается в силе: в одном случае с общего начинается, в другом же общим кончается. «Рациональная, или всеобщая грамматика», созданная А. Арно и К. Лансло на основе положений картезианской философии в XVII в., уже в заглавии отмечает, что ее задачей является обоснование того, «что есть общего у всех языков». Слова – знаки представлений («идей»). «Знание того, что происходит в душе, необходимо для того, чтобы понять основание грамматики»¹. «Для всех языков мира есть только одна грамматика, так как логика одна для всех людей»². Итак, логическим определяется грамматическое. Единством логического – общность грамматического: грамматика является «всеобщей», потому что она «рациональная».

Различия между языками не остались незамеченными, но определяющим считалось не то, что отличает, а то, что объединяет. И незыблемая основа общего – это представления («идеи»), которые считались предметом логики (психологии как самостоятельной науки в XVII в. еще не было).

Принципиальная установка рациональной грамматики сохранилась и в философских грамматиках XVIII–XIX вв. («всеобщая» или «философская»).

Характерная «деталь»: рациональная грамматика считала себя «искусством» (*l'art de parler* «искусство говорить»), как и филологическая грамматика греков, созданная Дионисием Фракийским на рубеже II и I вв. до н. э. [*technē grammatikē* «грамматическая (т. е. письменная) техника»]: технику как свод эмпирических наблюдений отличали от «теории» (*theōría*), т. е. «науки» в нашем понимании – рациональная грамматика, равно как и философия, не претендовали быть наукой.

3. Наукой впервые становится историческая (историко-сравнительная) грамматика (XIX в.): она показала, что единые (общие) категории мысли не гарантируют единства (общности) их выражения ни в различных языках, ни в одном и том же языке на различных этапах его развития. Принцип развития был чужд рациональной грамматике. Благодаря принципу развития грамматика становится наукой³.

Как отмечал Б. Дельбрюк, XVIII в. в изучении языка был веком философии, XIX – стал веком истории.

4. Для XX в. характерен сильный крен в сторону антиисторизма: синхронии отводится ведущее место, диахрония («сквозь-временное», «разно-временное») вытесняется «панхронией» (т. е. «всевременным»), что равнозначно «ахронии» (Брэндал). Тем самым лингвистическая теория смыкается

¹ A. Arnaud, G. Lancelot, *Grammaire générale et raisonnée contenant les fondemens de l'art de parler, expliqués d'une manière claire et naturelle; les raisons de ce qui est commun à toutes les langues et des principales différences qui s'y rencontrent: et plusieurs remarques nouvelles sur la langue française*, Paris, 1660 (а не 1676 г., как обычно указывали), стр. 69.

² Там же, стр. 260.

³ Как известно, принцип развития в XIX в. лег в основу биологии и геологии.

с умозрительной философией языка. Принцип историзма не находит положительного отношения в таких влиятельных течениях зарубежной лингвистической мысли, как бихевиоризм Л. Блумфилда или же трансформационная грамматика Н. Хомского, не говоря уже о глоссематике Л. Ельмслева, по существу являющейся дедуктивной теорией языка и лингвистики. Сравнительная типология (с задачей выявления универсалий), имеющая широкое хождение и в советском языкознании, также демонстрирует антиисторический настрой современной лингвистической мысли, забывая, что без помощи истории языка сравнительно-типологические исследования не в состоянии отличить идентичное от одинакового.

Антиисторизм в теоретической лингвистике XX в. нашел выражение в сосюровском противопоставлении «синхронии» и «диахронии», и в преимуществе, которое Соссюр отдавал синхронической точке зрения перед диахронической: язык – система знаков; язык как система – это предмет синхронического изучения, диахрония имеет дело не с языком, а лишь с его изменениями: преимущество объекта изучения призвано обосновать у Соссюра преимущество синхронической лингвистики перед диахронической: «Противопоставление двух точек зрения – синхронической и диахронической – совершенно абсолютно и не терпит компромисса... Лингвистика большое место уделяла истории; теперь ей предстоит вернуться к статической точке зрения традиционной грамматики, но уже с новым духом и новыми приемами»¹... «...Синхронический аспект важнее диахронического, так как для говорящей массы только он – подлинная единственная реальность»².

За последние 50 лет термины «синхрония» и «диахрония» получают все большее распространение, причем «диахрония» почти вытеснила «историю» даже у авторов, не отвергающих историзма, хотя «диахрония» и «история» понятия неоднозначные: «разновременные» («сквозь-временные») феномены окажутся «историческими», если только между ними выявляется связь. Антиисторизм в лингвистике наших дней вряд ли получил бы такой размах, если бы общие тенденции развития философской мысли XX в. (логический позитивизм, феноменология Гуссерля) не способствовали этому. Если XIX в. считается веком «истории языка», то XX в. в определенной степени представляется возвратом к принципам «философской грамматики» XVIII в. В этом смысле показательна ориентация Н. Хомского на философию Декарта и принципы «Рациональной грамматики», восходящие к картезианской философии (и, естественно, несовместимые с бихевиористской психологией Дж. Б. Уотсона³ и А. П. Вейса).

5. Можно ли сказать, что принцип историзма в лингвистике изжил себя, что историзм в лингвистике является лишь достоянием истории? Отвечая на этот вопрос, естественно вспомнить, что дала история языка (resp. историко-сравнительное его изучение) научному осмыслению языка и каково теоретическое обоснование принципа историзма в научном языкознании. В

¹ Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933, стр. 90.

² Там же, стр. 95.

³ Дж. Уотсон, Психология как наука о поведении, М., 1926 (подробнее: см.: А. С. Чкобава, Бихевиоризм в понимании сущности языка, ФН, 1958, 1).

результате применения принципа историзма возникло языкознание – индоевропейское, семитическое, угро-финское, тюркское, иберийско-кавказское и ряд других частных лингвистик, изучающих историю развития соответствующих групп языков.

Назовем наиболее важные из общих результатов, связанных с применением принципа историзма: а) как было отмечено, грамматика приобрела статус науки благодаря принципу историзма – и филологическая, и рациональная (resp. всеобщая, т. е. философская) грамматика считали себя «искусством» (*technē*); б) создание историко-сравнительной грамматики вызвало определенную перестройку описательной грамматики: в самостоятельный раздел, в фонетику превратилось учение о звуках («буквах»); учение о слове дифференцировалось, породив «морфологию» и «семасиологию». К сожалению, реконструкция системы описательной грамматики оказалась частичной, «новостройки» не изменили облика «архитектурного ансамбля». Основные вопросы теории описательной грамматики остались нерешенными. Перестройка «архитектурного ансамбля», описательной лингвистики (грамматики) стоит в порядке дня; в) на основе историко-сравнительной грамматики была создана научная этимология слова (вместо фантастической этимологии – с произвольным членением слова и с произвольной интерпретацией отдельных произвольно выделенных частей слова, как это наблюдалось в течении многих веков); г) грамматика, и филологическая, и философская, составлялась для письменных языков, т. е. обозначаемых буквами (греч. *grammata* «буквы»). Грамматика бесписьменного языка была бы в рамках этих концепций понятием внутренне противоречивым (вроде «деревянное железо»). Историко-сравнительная лингвистика признала бесписьменные языки закономерным объектом науки. В научный обиход тем самым было включено все богатство человеческой речи. Гегельянец А. Шлейхер филолога уподоблял садоводу (его интересуют лишь декоративные растения), а языковеда – ботанику (он изучает все растения)¹. М. Мюллер писал, что «для научного рассмотрения язык Гомера не является более важным и не представляет большего интереса, чем готтентотские наречия»²; е) признанием прав бесписьменных языков решался вопрос об актуальности изучения диалектов как бесписьменных языков, так и языков с письменностью.

6. Быть может, все это прошлые заслуги историзма; теперь же принцип историзма уже устарел; следовательно, отход от историзма закономерен. Такой вывод научно не оправдан, если учесть фундаментальную особенность языка. Язык – феномен изменяющийся. Понять изменяющееся невозможно без учета изменений.

В изменениях языка находят отражение изменения жизни народа, его культуры: язык – правдивый свидетель истории. Еще А. Шлейхер подчеркивал: письменные документы можно подделать, показание же языка подделать невозможно. Отнюдь не случайно П. Услар, автор замечательных монографий по ряду горских иберийско-кавказских языков (абхазскому,

¹ A. Schleich er, Sprachvergleichende Untersuchungen, II – Linguistische Untersuchungen, Bonn, 1850, стр. 121.

² M. Muller, La science du langage, Paris, 1876, стр. 90.

чеченскому, лакскому, даргинскому, лезгинскому, табасаранскому), взялся за изучение кавказских языков, когда ему официально было поручено составить историю кавказских народов.

Изучение языка, его истории представляет существенный интерес с точки зрения психологии мышления, истории человеческой мысли. В. Вундт, создатель экспериментальной психологии, считал целесообразным изучать экспериментально элементарные психические явления (ощущения), для изучения же сложных психических процессов (т. е. процессов мышления) Вундт считал необходимым прибегнуть к анализу продуктов коллективной жизни людей, и прежде всего к языку.

Изучать сложные психические процессы экспериментальным путем в психологии считается теперь вполне возможным. Но, несмотря на это, анализировать показания языка, его историю для изучения мышления считается естественным и закономерным в современной философии и психологии¹: спорят о результатах, а не о постановке вопроса.

7. Изучение языка, таким образом, представляет существенный интерес с точки зрения истории народа, истории культуры, истории развития человеческой мысли.

Это значит: история языка, актуальность его изучения остается в силе. Лингвистика, как объяснительная наука, немислима без принципа историзма. Более того: в помощи истории нуждается и описание системы языка, иначе научное описание языка будет сведено к простой регистрации непонятных фактов.

Взять, например, русский глагол. В настоящем времени он изменяется по лицам, но не различает родов (*читаю, читаешь, читает* – он, она, оно), в прошедшем времени, наоборот, лица не различаются, а род различается (*читал* – он, ты, я..., *читала* – она, ты, я, *читало* – дитя). Почему в прошедшем времени глагол русского языка лиц не различает? (Можно, конечно, запомнить правила, но спрашивая «почему?»).

Достаточно учесть, что *читал* по происхождению представляет собой причастие прошедшего времени и его изменения по родам закономерны (раньше было: *читал есмь, читал еси, читал есть...*, *читала есмь* и т. д.), чем и объясняется различие принципов спряжения в настоящем и прошедшем временах русского глагола.

Система языка изменяется, но изменения различных его звеньев происходят не одновременно (да и темпы изменений могут быть различными). Поэтому на любом срезе системы языка сосуществуют явления различной хронологической давности (инновация наряду с архаизмами): понять систему языка, игнорируя его историю, невозможно. Система языка не может быть «свободной от истории», синхрония не может пренебречь диахронией, диахрония присутствует в синхронии.

8. Говоря о достижениях лингвистики, естественно учитывать не только конкретные достижения науки о языке. Куда важнее принципиальное обоснование исторического подхода к фактам языка, существенным свойствам языка, его изменчивости. Отказ от историзма повел бы к отказу от

¹ Анализу данных языка посвящены первые две книги «Этнической психологии» («Völkerpsychologie») В. Вундта (1-е изд., Leipzig, 1900).

изучения существенного свойства всех живых языков (не изменяются лишь мертвые языки). Отход от историзма в лингвистике порожден не внутренними причинами, а внешними влияниями, антиэволюционистскими тенденциями в развитии философской мысли XX в. Итак: антиисторизм – веяние времени, отражение смены процессов «прилива» и «отлива». Историзм в лингвистике – это не мода. Он и не был модой. И отход от историзма («отлив») в научном рассмотрении фактов языка так же не оправдан, как он был бы не оправдан в современной биологии или же геологии.

Однако защищать историзм не значит защищать младограмматиков (или недооценивать описательную грамматику).

Не в том слабость, у щ е р б н о с т ь лингвистической науки, что в ней избыток историзма, а в том что, история языка недостаточна исторична.

Это можно проследить на примере истории индоевропейских языков, наиболее изученной, на примере сравнительной грамматики индоевропейских языков, которая является своеобразным эталоном для сравнительных грамматик других групп родственных языков. Родственные языки, как полагают, ведут начало от общего исходного источника («праязык», «язык-основа», «комплекс диалектов», «общее состояние»). Без этого общего исходного материала считается, что было бы необъяснимо наличие «общего» в родственных языках. Общий «язык-основа» трансформировался в ряд самостоятельных родственных языков. Проследить этот процесс, процесс становления родственных языков из единого источника, и является основной задачей истории данных языков.

Каков процесс становления родственных языков? Это – процесс дифференциации, дивергенции. Но этим процессом не исчерпывается развитие языка. Необходимо учесть и процесс противоположной направленности – процесс интеграции, конвергенции. Если в процессе дивергенции усиливаются расхождения (вплоть до образования из диалектов самостоятельных языков), то в процессе конвергенции нарастает общее (в лексике, фразеологических кальках, в словообразовательных суффиксах вплоть до того, что один язык вытесняется другим, оставляя лишь следы своего существования в вытеснившем языке).

Удельный вес процессов дивергенции и конвергенции различен в зависимости от различных условий исторической жизни соответствующих языковых коллективов, но вряд ли мыслимо такое состояние языка, когда бы эти процессы не проявлялись (если, конечно, языки живые и носители их не находятся в абсолютной изоляции, что едва ли возможно даже в джунглях тропических лесов).

В истории языка представлена равнодействующая двух процессов (противоположной направленности) – процессов дивергенции и процессов конвергенции. Историческая лингвистика располагает методом изучения процессов дивергенции, ее успехи связаны с изучением процессов дивергенции. Историческая лингвистика не располагает аналогичным методом для изучения процессов конвергенции (интеграции) языков. Именно поэтому история языка – с учетом лишь одного из указанных процессов – не может не быть ущербной.

9. Это, конечно, не значит, что наличие процессов конвергенции остается незамеченным: в «Принципах истории языка» Г. Пауля, излагающих теоретическое кредо младограмматического направления, целая глава посвящена анализу процессов контакта языков и их результатов¹. Процессы конвергенции здесь учитываются, но методы их изучения в истории развития языков не найдены². Пути изучения процессов конвергенции языков не были найдены и после Г. Пауля другими направлениями лингвистической мысли, признававшими значение историзма в изучении языка.

Лингвистическая география, теория субстрата наглядно демонстрируют сложную картину состояния языков и их взаимоотношений, являющихся результатом многообразных процессов конвергенции, но не выявляют методов исследования этих процессов. И вовсе не ясен познавательный смысл понятия «союз языков» («балканский союз», «евразийский союз»). «Союзы языков» выделяют по наличию общих явлений (в лексике, морфологии, синтаксисе) в группе контактирующих языков. Одно из двух: или мы знаем, как возникли, откуда идут эти «общие явления», и тогда понятие «союза языков» излишне; или же нам не известна история возникновения этих общих явлений, и тогда новый термин излишен, от его употребления неизвестное не становится известным.

История языков, документированная показаниями письменности, отражает состояние соответствующего языка далеко не полностью. Но эти неполные данные достоверны.

История же языка, реконструируемая путем сравнения, величина производная: достоверность реконструированных фактов прямо пропорциональна достоверности истории сравниваемых фактов: важно принять во внимание, учтены ли показания всех языков, где эти факты представлены, и относятся ли они к одной и той же ступени развития по фонетическому облику, по семантике.

10. Этим условиям реконструкция далеко не всегда удовлетворяет. Поэтому реконструированные факты (их фонетический облик, их значение) далеко не всегда адекватны фактам реальной истории языков (значимость реконструированных фактов приближительна, условна). Не исключено и то, что в реальной истории языка реконструированным «фактам» ничего не соответствует: это – как бы «боны», выпущенные авторами сравнительных грамматик: они не имеют никакого обеспечения «валютой» т. е. фактами истории.

Открытие в начале XX в. (в архиве хеттских царей) памятников мертвых индоевропейских языков неситов («неситский-хеттский») и некоторых других поставили кардинальные вопросы не только состава индоевропейских языков и их классификации, но и существенные вопросы исторической грамматики индоевропейских языков. Э. Стертевант и Э. Ган на место

¹ H. P a u l, Prinzipien der Sprachgeschichte, IV Aufl., Halle, 1909, стр. 389–404 (русск. перевод: Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960, стр. 450–473).

² И это несмотря на то, что для Г. Пауля лингвистика была не чем иным, как «историей языков». Принципы истории языка – это принципы лингвистики (историческое для Пауля и есть научное). Г. Пауль должное место уделял важному для истории языка принципу аналогии. Понятие же «организм представлений» в концепции Пауля равнозначно понятию «системы языка».

«индоевропейского» выдвинули понятие «протоиндо-хеттского» и выделили две группы языков в составе этого последнего: 1) «протоанатолийскую», которая (через *ti*-анатолийскую ступень) ведет к мертвым языкам Анатолии: хеттскому иероглифическому, лувийскому, палайскому, ликийскому, лидийскому; 2) «протоиндоевропейскую» (с делением на подгруппы – индоиранскую, греческую, италийскую, германскую, славянскую)¹.

Дело, однако, не только в составе индоевропейских языков. Куда сложнее вопросы грамматики, где показания хеттского языка ставят под вопрос положения, выдвинутые сравнительной грамматикой индоевропейских языков – простую систему времен и наклонений в неситском-хеттском – два времени, два наклонения, два числа (вместо трех в древнеиндийском и древнегреческом), два рода (вместо трех в индоевропейском праязыке). Показания этого «нового свидетеля» относятся ко второму тысячелетию (XIX–XII вв. до н. э.), т. е. по меньшей мере они такой же давности, как и памятники древнеиндийского и древнегреческого языков.

Не считаться с этими показаниями нельзя. Весь вопрос лишь в том, что в этих показаниях отражается архаическое, древнее состояние индоевропейских языков, и что представляют собою инновации, народившиеся в процессе изменений самих хеттских языков (в соответствии с тенденциями внутреннего развития или же в результате иноязычных влияний).

Если все эти явления хеттских языков считать архаизмами, сравнительную грамматику индоевропейских языков потребует основательно перестроить. Если же это инновации, положение будет менее драматичным: «свидетельские показания» должны проверяться, если задаются целью установить, что и как было в действительности (а не: могло быть). Это значит: достоверность положений реконструированной истории языков зависит от того, насколько известны исходное количество сравниваемых языковых единиц и их история. Оптимальными в этом отношении оказались условия исследования романских языков и соответственно – надежными результаты, добытые романским языкознанием.

11. Но этого невозможно сказать об индоевропейских языках, начало которых теряется в сумерках доистории, и о реконструкции индоевропейского праязыка. Поэтому понятен и скептицизм, порождаемый этими реконструкциями. В этом отношении характерны высказывания известного итальянского лингвиста В. Пизани, положительно относящегося к принципу историзма в лингвистике. Он пишет: «Большинство рассмотренных до сих пор исследований страдает одним пороком; они все исходят из такого в о с т а н о в - л е н н о г о «индоевропейского языка», который по характеру представления авторов о нем напоминает латинский язык учебника для средней школы: он не имеет развития и не обладает никакими разновидностями. Ученые не ставят перед собой, во-первых, вопроса о том, что задающая до сих пор тон бругмановская реконструкция представляет собой... смесь санскрита с греческим с некоторой приправой из латыни, германских и других языков... Во-вторых, эти ученые не думают о том, что то, что мы называем «индоевропейским

¹ E. Sturtevant, E. Hahn, A comparative grammar of the Hittite language I, New York, 1951.

языком», с одной стороны, могло существовать только как множество территориальных диалектов, весьма отличных друг от друга, а с другой стороны – должно было существовать в таком виде очень длительный период, в течении которого происходили значительные изменения в языке, охватывавшие то одну, то другую часть диалектов... Те исследователи, которые все «восстанавливаемые» ими факты проецируют на одну и ту же плоскость и строят из этих «фактов» систему, отрывают язык от его истории, без которой он немыслим как явление, и занимаются изящной игрой в оторванные от жизни абстракции» (разрядка наша – А. Ч.)¹.

Любопытно отметить, что еще в конце прошлого века Б. Дельбрюк, подчеркивая условный характер реконструкции фактов индоевропейского праязыка, как они мыслились А. Шлейхером, заметил, что, таким образом, отсюда следует вывод: «построенный вид праязыка есть не что иное, как формула, служащая для выражения изменяющихся мнений ученых о размерах и свойствах языкового материала, который вынесли для себя отдельные языки из своего общего праязыка. Таким определением праязыка решается одновременно и вопрос об исторической ценности его теоретически построенных форм» (разрядка наша – А. Ч.)².

12. Вытекает ли из принципов исторического языкознания необходимость реконструкции языка-основы («праязыка»)? Отнюдь нет. Признать реальность существования языка-основы (в виде определенной группы диалектов) как исходного материала для определенной группы родственных языков не значит считать необходимой его реконструкцию.

Такая реконструкция невозможна (невозможна она примерно так же, как невозможно установить, кто именно были прародители того или иного народа или же определенной его части, хотя такие конкретные лица не могли не существовать: речь может идти лишь об определенных чертах физического типа соответствующего народа). Важна и нужна не реконструкция языка-основы, а история развития родственных языков, идущих из языка-основы, его диалектов. Нужна для истории народа, его культуры, вообще для истории культуры и истории мышления. Нужны надежно установленные факты и положения, чтобы на них можно полагаться при решении задач других гуманитарных наук – такие факты и положения, чтобы не поступали «рекламации» (вроде тех, что вызывались глоттохронологическими выкладками).

13. Несколько слов о характере фонетических изменений. Тезис о «непреложности фонетических законов» был выдвинут младограмматиками в процессе исследования индоевропейских языков и в результате объяснения «исключений», которые нарушали установленные формулы звукосоответствий. Вопрос имеет прямое отношение к изучению родства языков и процесса

¹ В. Пизани, *Общее и индоевропейское языкознание*, в сб. «Общее и индоевропейское языкознание», М., 1956, стр.165.

² Б. Дельбрюк, *Введение в изучение языка* (B. Delbrück: Einteilung in das Sprachstudium), в кн.: С. К. Булич, *Очерк истории языкознания в России*, I, СПб., 1904, стр. 57.

дивергенции. Нередко установление «непреложных фонетических законов» объявляется необходимым условием для признания родства языков. Против «непреложности фонетических законов» выступали такие языковеды, как Г. Шухардт, И. А. Бодуэн де Куртене. На наш взгляд, естественно, различать принцип и его реализацию. Закономерный характер изменений неоспорим: в одинаковых условиях будут иметь место одинаковые изменения. Если же эмпирически обнаруживаются отклонения, под вопрос ставится идентичность условий. То же можно сказать о звуковых соответствиях в родственных языках.

В 1930 г. вышло исследование Н. Трубецкого¹, посвященное анализу общих основ северокавказских языков, абхазско-адыгских, нахских и дагестанских (языки эти Н. Трубецкой считал родственными). Материальная общность сравниваемых единиц не вызывает сомнения, обобщенные же формулы звукосоответствий не получились: «Н. Трубецкой выдвинул, – пишет Г. Деетерс, – более 100 сопоставлений (Gleichungen) между восточными и западными кавказскими языками; причем сравнивались и числительные, и детерминативные местоимения. Однако звуковые соответствия большей частью неясны»².

Г. Г. Деетерс ссылается при этом на большую трудность задачи, чем это мы имеем при «реконструкции индогерманского языка-основы», и замечает, что звукосоответствия в северокавказских языках часто затемнены вследствие заимствований на протяжении тысячелетий.

Заимствования, конечно, усложняют задачи сравнительного анализа, но в материалах, анализируемых Н. Трубецким, речь идет о б о б щ и х, корневых элементах, формантах и частицах, в а р и а н т ы которых представлены в сравниваемых языках. Если же все-таки «з в у к о в ы е с о о т в е с т в и я н е я с н ы», то тому причиной и з м е н е н и я, которые имели место в общем материале родственных языков после дифференциации. Пока эти изменения не будут учтены, сравнения будут вестись без п р и в е д е н и я к о б щ е м у и с т о р и ч е с к о м у з н а м е н а т е л ю сравниваемых величин. В этом основная трудность.

Родство кабардинского и абазинского языков подметил уже И. Гюльденштедт (еще в последней четверти XVIII в.). Родство абхазского и адыгейского языков никем не оспаривается. Фонетические же соответствия еще не выявлены, хотя они не могли не иметься.

Вопрос о родстве должен решаться комплексно – с учетом показаний корнеслова, морфологии, фонетики. Морфология – н а и б о л е е з а м к н у т а я зона системы языка, она наиболее к о н с е р в а т и в н а, и ее показания заслуживают особого внимания. Не случайно родство индоевропейских языков было выявлено Ф. Боппом (в 1816 г.) на основе анализа глагольных флексий, т. е. по данным морфологии глагола (фонетические же закономерности были установлены позднее).

¹ N. T r u b e t z k o y, Nordkaukasische Wortgleichungen, «Wiener Zeitung für die Kunde des Morgenlandes 37, 1930.

² Aber die Lautentsprechungen sind meist unklar» (G. D e e t e r s, Die kaukasischen Sprachen, «Handbuch der Orientalistik», Leiden-Köln, 1963, стр. 41).

14. Общепринято положение об общности исходного материала родственных языков («материальное родство» – в отличие от «средства»).

Принципиально новое понимание выдвигается Н. Трубецким в одной из его последних работ (1936 г.)¹: индоевропейские языки объединяет не общность происхождения исходного материала, а общность определенных «структурно-типологических» признаков (названы шесть признаков: два – фонетических, три – морфологических, один – синтаксический): ни общность корне-слова, ни морфология, ни звукосоответствия, таким образом, не решают вопроса. С утерей указанных структурно-типологических признаков язык перестает быть индоевропейским, и наоборот, с приобретением означенных признаков неиндоевропейский язык станет индоевропейским языком.

Спрашивается: удалось бы выделить эти шесть структурных признаков, если бы не было установлено, какие языки являются индоевропейскими? Конечно, нет: объем понятия (какие языки являются индоевропейскими) был определен по признаку генетическому, содержание же понятия (структурно-типологические признаки) предполагает, что объем понятия уже определен.

Структурно-типологическая характеристика могла быть дана Н. Трубецким лишь при условии, что группа языков уже выделена по другому признаку: структурная характеристика зависит здесь от историко-генетической.

Основные положения:

1. Историзм в лингвистике находит принципиальное обоснование в конституционном свойстве языка, его изменчивости.

Отказ от историзма равнозначен неучету данного конституционного свойства языка, означает отказ от изучения этого свойства языка.

2. Лингвистика как объяснительная наука о языке немыслима без историзма.

3. Лингвистика без историзма перестает быть гуманитарной наукой.

4. История языка в связи с историей культуры и историей мышления это главное в историческом языкознании.

5. Для изучения подлинной истории языков лингвистике как гуманитарной науке может оказать значительную помощь не сравнительная грамматика, а грамматика историко-сравнительная².

¹ Русский перевод «Мыслей об индоевропейской проблеме» опубликован в ВЯ 1958, 1.

² Наконец, два пояснения. Первое. В статье речь идет об «изменчивости» как конституционном свойстве языка. О принципах развита языка автор предполагает высказаться особо.

Второе. Отстаивать принцип историзма для автора отнюдь не значит игнорировать проблемы описания системы языка «описательной грамматики»: *suum cuique*.

II. ОПИСАНИЕ СИСТЕМЫ ЯЗЫКА И ПРИНЦИП ГОМОГЕННОСТИ¹

1. Историческая лингвистика, с которой связано возникновение научного подхода к фактам языка, зародилась лишь в первой четверти XIX в. Что же касается описания языка («описательной грамматики»), то у нее весьма почтенный возраст: в странах Европы описательная «филологическая грамматика» существует более 2000 лет. Но описательная филологическая грамматика не претендовала быть «наукой» («theoria», как тогда называли науку): грамматика считалась прикладной эмпирической дисциплиной – «грамматическим искусством» («texnē grammatike»).

«Искусством» («l'art de parler») продолжала оставаться и «рациональная, или всеобщая грамматика», созданная во Франции в XVII в. на основе принципов рационалистической философии Декарта деятелями Пор-Рояля Ант. Арно и К. Лансло.

То же можно сказать и о «философской (всеобщей) грамматике» XVIII в. (Дж. Гаррис, 1751 г.), переставшей существовать лишь во второй половине XIX века.

В этих условиях вопрос о создании научной описательной грамматики того или иного языка, тем более вопрос о принципах научного описания мог быть поставлен лишь после того, как возникла – на базе истории языка и историко-сравнительной грамматики – наука о языке.

Таким образом, научное изучение прошлого оказалось легче осуществимым (был найден метод исследования), чем научное описание языка, доступного прямому наблюдению (не имелось адекватного метода описания).

2. Общеизвестным ныне можно считать, что научное описание системы языка – задача самостоятельная, задача научно важная, задача сложная.

Задача самостоятельная, поскольку мимоходом, путем импровизаций его не решить. Важна она, поскольку фиксировать систему языка в определенный «момент» его существования необходимо: а) во-первых, в качестве отправной точки для отсчета истории системы; б) далее – в плане изучения взаимоотношений речи и мышления, категорий языка (морфологических, лексико-семантических) и категорий мышления.

Не приходится уже говорить о том, описание систем различных языков и их типологическое сравнение в поисках «универсалий» (точнее – более или менее распространенных общих явлений) становится немаловажным стимулом для сторонников «синхронической лингвистики», видящих именно в ней «первую лингвистику».

Задача описания системы языка столь же сложна, сколь и важна. Основной источник трудности – многоплановость языка, в физическом воплощающего психическое и в интраиндивидуальном – интериндивидуальное, а также динамичность языка («в сегодняшнем» состоянии сохраняется что-то от «вчерашнего» и содержится что-то из «завтрашнего»). Отсюда – возможность различных подходов и опорных понятий при описании системы языка; в связи же с динамичностью системы – наличие в любом живом языке переходных,

¹ Журнал «Вопросы языкознания», 1981, № 4, стр. 12–23.

неустоявшихся явлений, которые не уместаются в определенные рубрики (ср. *кадровый рабочий*, но *рабочий класс*: при морфологическом единстве – семантическое расхождение).

К трудностям классификации объективного характера присоединяется несоблюдение общеустановленных логических норм формулирования понятий и их закономерных соотношений. Например, в классификации частей речи, начиная с Дионисия Фракийского, фигурируют как «местоимения», так и «союзы», но некоторые местоимения (*какой, который*) могут выступать в роли «союзов»: «существенные признаки» понятий подобраны неточно (ср. *В работе принимали участие: ленинградцы, москвичи, харьковчане, инженеры, экономисты...*).

В перечень частей речи включают обычно и «междометие» (а в последнее время у некоторых авторов названы и «частицы»), но «часть речи» – это результат классификации слов, междометия же и частицы – не являются словами (кстати, в грамматике Дионисия Фракийского не имелось «междометий»: они выделены позже в грамматике латинского языка).

3. Зарождение исторической лингвистики не повело к коренной реконструкции системы описательной грамматики (по крайней мере, в первой половине XIX в.). Положительные сдвиги наметились более всего в фонетике (учение о звуках пришло на смену учению о буквах); впоследствии, в основном в противовес физикализму экспериментальной фонетики, стали дифференцировать понятие «звука» и «фонемы» как психического эквивалента «звука», как «представления звука», но это уже в процессе психологизации гуманитарных наук и прежде всего – в общелингвистических тенденциях второй половины XIX в.

Учение о частях речи претерпело некоторые изменения в связи с тем, что в исторической лингвистике сформировалась семасиология, как учение о значении слова, точнее, об изменениях в значении слова.

4. Теоретически осмысленные изменения в описательную грамматику в XIX в. (прежде всего – в синтаксис, далее – в толкование морфологических понятий) пытались внести представители логицизма и психологизма.

Синтаксис, начиная с его основоположника Аполлония Дискола (II в. н. э.), изучал связи слов – процессы согласования и управления; учения о предложении и о членах предложения (главных – подлежащем, сказуемом, второстепенных – дополнении, определении, обстоятельствах) в синтаксисе в течение длительного периода не имелось.

Для логицизма характерно рассматривать синтаксические понятия (предложение, его главные члены – подлежащее, сказуемое)¹ как выражение понятий формальной логики – «суждения» и его составных элементов – «субъекта», «предиката»; ср. калькирование латинских логических терминов «*subjectum*», «*praedicatum*» через «подлежащее», «сказуемое» («сказанное») в синтаксисе простого предложения.

¹ Напрасно было бы эти понятия искать, например, в «Российской грамматике» М. Ломоносова (1755): замечательный труд великого первопроходца русской науки в этом вопросе придерживается общепринятого тогда понимания предмета синтаксиса.

Логицистская установка в синтаксисе исходит из того, что обозначаемое («суждение») первично по сравнению с обозначающим («предложением»), т. к. исходить из обозначаемого («логического») для характеристики обозначающего («предложения») представляется теоретически безупречным. Вопрос лишь в том, что не имеется параллелизма между грамматическим и логическим: второстепенные члены предложения в суждении соответствий не находят, да и главным членам предложения в критических случаях приходится рассчитывать на собственное мерило, помощи ждать от логических понятий бесперспективно: логика сама вынуждена искать помощи у грамматики. Возьмем пример: *Книга понравилась читателю*. Что является здесь субъектом? В данном суждении о «книге» утверждается, что она понравилась читателю, или же о «читателе», что ему понравилась книга? Формальная логика (не психологизированная) затруднится сделать выбор. Грамматика может решить вопрос в пользу слова *книга*: именно с ним согласуется форма глагола *понравилась*. Вопрос о слабых местах логицизма в решении синтаксических проблем резче дает о себе знать в языках, по своему строю расходящихся с индоевропейскими.

На смену логицизму пришел психологизм (его теоретические обоснования были заложены Г. Штайнталем в 1854 г.), основывавшийся на ассоциационистской «психологии представлений» Иог. Гербарта. В качестве опорного понятия в психологизме было выдвинуто понятие «психологического суждения» («психологического субъекта», «психологического предиката»). Психологическое «суждение» состоит из двух представлений: п е р в о е из этих представлений – психологический субъект, в т о р о е – психологический предикат, независимо от того, каково слово, которым оно выражается – вопрос решается последовательностью этих элементов в предложении. Так, в нашем примере *Книга понравилась читателю* – психологическим субъектом (PS) будет *книга*. Но психологическим субъектом окажется *читателю*, если предложение начать этим словом: *Читателю понравилась книга*. Равным образом: *понравилась* окажется PS, если сказать *Понравилась читателю книга*. Никакой роли не играет ни значение, ни форма слова. О каком-либо параллелизме между этими психологическими понятиями и синтаксическими членами предложения говорить нет возможности, психологические представления оказываются несравненно более зыбкой, неустойчивой опорой, чем понятия формальной логики «суждения», «субъект», «предикат».

Теоретик младограмматического направления, психологист Г. Пауль, анализируя предложение *Карл едет завтра в Берлин*, выражением психологического субъекта считает слово *Карл*, но им может оказаться любое другое слово той же фразы: *едет* (*Е д е т з а в т р а Карл в Берлин*), *завтра* (*З а в т р а едет Карл в Берлин*), *в Берлин* (*В Б е р л и н едет завтра Карл*) [1].

Ассоциационистской психологии представлений В. Вундт, создатель экспериментальной психологии, противопоставлял свою а п п е р ц е п ц и о н и с т с к у ю психологию, но и у него «предложение» также ориентируется на «психологическое суждение», хотя это суждение понимается им не как сочетание представлений, а, напротив, как расчленение цельного представления («*Gesamtvorstellung*») на представления [2]. Но, определяя суждение, далеко не все психологи остаются в рамках «представлений»,

их соединения или расчленения. «Восприятие» также может интерпретироваться как «суждение» [3], хотя обычно оно рассматривается, как составная часть суждения. Факты же «безобразного мышления» свидетельствуют, что «представления» для понимания значения предложений не являются вообще необходимыми. Одинаковые факты языка получают различную квалификацию – в этом проявляется несостоятельность психологизма в описательной грамматике.

Строить описательный синтаксис (resp. морфологию), ориентируясь на понятия психологии, значило бы определенное, устойчивое строить на неопределенном, неустойчивом. Для описания системы языка психологизм оказался несравненно более зыбкой основой, чем логицизм¹.

5. По иным мотивам против «психологии представлений» выступает бихевиоризм, отклоняющий все субъективное, менталистское в изучении психики. Бихевиоризм (букв. «поведенизм») ограничивает объект изучения лишь тем, что может служить предметом наблюдения в его физической данности («стимул» – «реакция»). Бихевиоризм свою теоретическую установку характеризует как «физикализм», «объективизм» (ср. «объективную психологию», «рефлексологию» В. Бехтерева).

Бихевиоризм – это психология без явлений психики, сознания, без субъективного, без ментального. Сложная, трудная проблема психического, его закономерностей бихевиоризмом не решается, а просто снимается.

На бихевиористских принципах² строится «дескриптивная лингвистика» Л. Блумфилда, изложенная им в книге «Язык». Чем последовательнее в своих суждениях Л. Блумфилд, тем яснее становится, что на основе принципов бихевиористской психологии вопросы описательного синтаксиса (равно, как и морфологии), могут получить должное решение еще в меньшей степени, чем при использовании менталистских понятий «психологии представлений» Иог. Гербарта или В. Вундта³.

6. И логицизм, и психологизм стремились в описании фактов морфологии и синтаксиса исходить из того, что обозначается. Грамматика Дионисия Фракийского, характеризуя «имя», «глагол», как известно, считала нужным указывать и морфологические особенности соответствующих слов: «Имя – склоняемая часть речи, обозначающая тело или вещь (бестелесную), например, *камень, воспитание*» [5]. «Глагол – это беспадешная часть речи, которая может принимать времена, лица, числа, выражает действие или страдание» (6, с. 219). Синтаксиса в грамматике Дионисия не имелось.

¹ Если же представители исторической лингвистики (Г. Пауль, И. А. Бодуэн де Куртене) все-таки ориентировались на психологию, тому причина простая: психологизм во второй половине XIX в. безраздельно властвовал в гуманитарных науках.

² Ранняя работа Л. Блумфилда [4] опиралась на вундтовскую психологию, т. е. ориентировалась на ментализм.

³ Показательно, что Н. Хомский, начавший с бихевиористского антиментализма, с конца пятидесятых годов становится на позиции картезианской философии (и принципы «всеобщей, или рациональной грамматики»), т. е. становится на принципиальные позиции ментализма; ментализм Н. Хомского, в частности, использует фундаментальное понятие В. Гумбольдта «внутренняя форма» в своеобразной интерпретации («глубинная структура»: если бы «глубинное» имело структуру, язык оказался бы пассивным отображением готовых мыслей).

В элементарных школьных учебниках русского языка нередко имя существительное определялось как «название предмета», имя прилагательное – как «название свойства», глагол – «название действия или состояния». Предложение – как «мысль, выраженная словами устно или письменно» («мысль» – «предложение»).

Еще в XIX в., начиная с двадцатых годов, в описании системы языка все больше внимания уделяется именно этому вопросу. Каковы морфологические и синтаксические свойства *о б о з н а ч а ю щ е г о* – иными словами, какова форма (структура) слова, предложения?

Большая работа в этом направлении проведена специалистами русского языка, благодаря богатству форм представляющему большой общелингвистический интерес и являющемуся благодатным материалом для разработки принципов описания, в особенности морфологической и синтаксической систем языка.

7. После этих вводных замечаний остановимся кратко на принципиальных вопросах, которые при планомерном описании системы языка в первую очередь требуют ответа. Эти вопросы суть: 1) Каковы языковые (лингвистические) единицы и как мыслится их иерархия? 2) Как мыслится описание языкового факта, – как описание его структуры или же его функции, или же одновременно и структуры и функции? 3) Каковы отрасли описательной лингвистики и какова их взаимосвязь? 4) Можно ли считать синонимичными понятиями «описательную лингвистику» и «описательную грамматику»? 5) Можно ли решать фундаментальные вопросы описания системы языка применительно к ее различным разделам «регионально»?

Последний вопрос – наиболее общий и простой. Наши краткие по необходимости высказывания начнем с этого вопроса.

8. Язык образует систему в целом. Глобальная система, *ма к р о - с и с т е м а*, включает подсистемы, *м и к р о с и с т е м ы* – фонетическую, морфологическую, синтаксическую (в лексике системный характер ясно прослеживается в образовании производных и сложных слов, слабее – в словах с простыми основами: в различных языках они семантически группируются по-разному).

Описание явлений, образующих систему, не может не быть *с и с - т е м н ы м*. Закономерная взаимозависимость не может не характеризовать описание фонетической, морфологической и синтаксической систем языков такого строя, как индоевропейские, семитические, угро-финские, иберийско-кавказские, палеоазиатские. Отсюда следует: основные вопросы морфологии и синтаксиса не могут иметь «регионального» решения, они должны рассматриваться в комплексе с основными проблемами.

Строгое членение понятий, конструируемых по существенному признаку и с указанием на «ближайшее родовое понятие» (*genus proximum*) и «отличительную особенность» (*differentia specifica*), при классификации фактов языка так же обязательно, как для систематики растений.

9. Единицы языка (лингвистические единицы) и их и е р а р х и я. Минимальная единица – фонема, т. е. звук в системе языка. Несмотря на то, что сущность фонемы понимается по-разному, относительная элементарность фонемы представляется наименее спорной. Максимум расхождений наблюдается в понимании того, что считать следующим звеном, более сложным: слово

или морфему (или же слог). Далее, в зависимости от того, как решится вопрос об этом втором звене, встает вопрос о высшем, т. е. наиболее сложном, звене: словосочетании (синтагме) или же предложении (resp. таксеме).

С иерархией лингвистических единиц тесно связан вопрос о научных специальностях, которыми изучаются (или же закономерно должны изучаться) лингвистические единицы различного уровня, т. е. вопрос об отраслях (разделах) описательной лингвистики, о ее структуре.

Нам представляется наиболее последовательным выделение трехчленной иерархии: *фонема – слово – словосочетание* (синтагма). Из морфем невозможно составить ни словосочетания, ни предложения: следовательно, отношением к высшему звену решается вопрос в пользу слова.

Словосочетание же всегда соотносится со словом как единица высшего уровня: это касается в равной мере как словосочетаний предикативных, выражающих предложение (*Журавли летят*), так и атрибутивных, обозначающих часть предложения (*Высокие горы... Будущее человечества...*), и иных словосочетаний, включающих в свой состав, наряду с полнозначными словами, и служебные слова (*Под сводом небесным..., На краю света...*).

Из словосочетаний состоят периоды, абзацы и иные части текста, но вряд ли имеют основания считать их единицами, которые могут быть соотнесены со «словосочетанием» как единицы более высокого уровня.

10. Единицы трех различных уровней (фонема, слово, словосочетание) можно рассматривать (по крайней мере, в языках индоевропейских, семитических, угро-финских, тюркских, иберийско-кавказских) в различных измерениях: слова и словосочетания в двух измерениях: одно – значение и другое – форма или структура.

Необходимой предпосылкой значения слова служит наличие обозначаемого, десигната¹.

11. Значением и структурой могут обладать слова и словосочетания².

Мы знаем значение слова, если знаем к чему слово относится, что является его десигнатом. Знание это может быть ясным (солнце, луна, звезда), может быть неясным (хомяк, суслик, сурок – грызуны, но отличить их друг от друга не всякий может).

Обычно под значением понимают «представление», которое у говорящего и у слушающего может появляться в связи со словом: считается, что слово – внешне воспринимаемо, а значение – «внутреннее», «психически переживаемое». Одинаковое представление будто бы делает возможным понимание.

Значение – «внутренне переживаемое», но отсюда не следует, что значение – это «представление» («общее представление» или же «понятие»): од-

¹ Там, где лингвистической единице не соответствует никакое обозначаемое, нет оснований говорить о значении.

Так, фонемы не имеют значения, поскольку у них нет десигната (можно лишь говорить об их функции, например, в анлауте, ауслауте, инлауте, сочетаемости, несочетаемости в системе).

Системность характерна для фонем, но говорить о фонемной структуре языка можно, лишь вкладывая в понятие структуры особое, специфическое содержание.

² «Функция» – понятие более общее и менее определенное.

ни и те же слова *река*, *гора* могут вызвать различное представление у разных лиц (применительно к их жизненному опыту); но могут и не вызвать никаких конкретных представлений: представление предмета – это возможное средство репрезентации значения, но значение, как это показали эксперименты, может быть понято и без них, без конкретных представлений, образов (так называемое «мышление без образов», «безобразное мышление»), может быть понято, если только известно, к какому обозначаемому (физической или психической действительности) относится слово. Отношение к обозначаемому, к десигнату и есть значение. Изменяется значение слова – это значит, изменяется отношение: раньше имелся в виду один десигнат, теперь слово относится к другому [9], ср. *Коньяк* (название города во Франции) и *коньяк* – напиток.

Слова могут служить средством общения, поскольку известно, к чему они относятся. Точности знания этих отношений соответствует точность знания значений.

Система значений в различных языках может быть неодинаковой, значение конкретизируется «валентностью» (Ф. де Соссюр). Русск. *общий* и франц. *commun* – слова «одинакового» значения, но различной валентности: соответствием слова «общий» является и франц. *général*. Ономазиология восполняется валентностью. Лексическое значение как отношение к обозначаемому – это отношение первичного характера. Но между лексическими значениями (т. е. между первичными отношениями) могут иметься отношения – ср. *друг брата* и *брат друга*, *отец соседа* и *сосед отца*, *философия истории* и *история философии*: одна и та же пара слов приобретает различное значение, относится к различным обозначаемым в зависимости от того, каковы отношения между значениями слов, выражаемые формой слова, в данном случае формой родительного падежа.

Отношения между отношениями образуют структуру. Это отношения вторичного характера. Они выражаются грамматическими формами.

Отношения первичного характера представлены в однозначных словах всех языков; без этого слово не могло бы быть средством общения. Отношения же вторичного характера, выраженные посредством формантов (аффиксов), представлены далеко не во всех языках и даже не во всех словах языков, где структурное обозначается формантами (бесформенные слова, например, наречия).

Но отношения вторичного характера могут быть выражены и другими средствами: порядком слов, интонацией; синтаксис и фонетика берут на себя задачи морфологии.

12. По средствам выражения отношений вторичного характера между языками наблюдаются максимальные расхождения.

Несмотря на расхождения в значениях слов, связанных с валентностью, «словарь переводим», но морфология «не переводима»: давно замечено, что по грамматике одного языка судить о грамматике другого языка так же невозможно, как по плану одного города ориентироваться в другом.

«Непереводимость морфологии» теперь, казалось бы, общепризнана¹.

«Непереводимость же синтаксиса» – все еще под вопросом: синтаксис все еще рассматривается как сфера отношений первичного характера.

13. Двоякого рода отношения находят выражение как в словах, так и в словосочетаниях.

Им соответствуют установки: лексико-семантическая и структурная (формальная).

Описание слов представлено в морфологии – в классификации слов по частям речи. Описание словосочетаний ныне² дается в синтаксисе – в учении о предложении и членах предложения.

Что представляет собою «часть речи» – это понятие лексико-семантическое или же структурное (или семантико-структурное)? К примеру: «имя существительное – название предмета» или же «имя существительное – склоняемое слово», или «имя существительное – склоняемое слово, обозначающее предмет». В последнем определении совмещены оба признака: и структурный и лексико-семантический. В этом синтетическом определении содержится максимум признаков, т. е. данное определение понятия существительного наиболее содержательно.

Еще в первой грамматике греческого языка Дионисия Фракийского в определении частей речи учитываются оба признака: «имя – склоняемая часть речи, обозначающая тело или вещь (бестелесную)» [5]. В грамматике Дионисия «имя» дано недифференцированно: в него включаются, помимо существительных, и прилагательные, и числительные³.

«Часть речи» (*mere tou logou*) Дионисия – это не понятие морфологии: «речь» (*lógos*) – «предложение»; «часть речи» – «слово как часть предложения, слово, взятое из предложения». Морфологии в современном понимании тогда не было. Слово, выделенное из предложения (из фразы), было охарактеризовано Дионисием по возможности полно. Так или иначе, в определении имени у Дионисия совмещаются признаки и структурный («склоняемое слово»), и семантический («обозначает тело»), как бы реализуя принцип «единства формы и содержания». И русский и древнегреческий языки в данном случае создают благоприятные условия для реализации данного принципа.

А как быть, если слова, обозначающие предмет, не склоняются? В абхазском языке, например, синтаксические функции родительного, дательного, эргативного падежей выполняются глаголом: имя не склоняется (множественное число у имени образуется). Падежные формы отсутствуют во многих языках индейцев Северной и Центральной Америки.

¹ Когда-то винительный падеж искали в склонении грузинского языка, специфический же эргативный падеж оставался незамеченным: пытались переводить морфологию.

Положение о «непереводимости морфологии» обязывает к определенным выводам об универсалиях в морфологии. Универсальная грамматика так же невозможна, как и универсальная структура.

² Учение о предложении и его членах становится предметом синтаксиса в XIX в. Синтаксис древних греков (Аполлоний Дискол) изучал способы сочетания слов. «Подлежащее», «сказуемое», «дополнение», «обстоятельства», без которых синтаксис теперь считается невыносимым, с и н т а к с и с у были чужды вплоть до XIX века.

³ У Дионисия они составляли подгруппы имен; в самостоятельные части речи они были выделены лишь в средние века.

Одно из двух: или в таких языках нет имен существительных, или же морфологическая категория падежа (и склонение) не может рассматриваться как необходимый структурный признак имени, и фактически мы исходим из одного семантического признака: «имя существительное – название предмета» (независимо от того, какими структурными признаками оно обладает). Или же, наконец, игнорируются общеобязательные логические нормы определения понятий.

Структурные расхождения могут идти еще дальше. В русском языке имя прилагательное имеет категории падежа, числа, рода. В аварском языке имя прилагательное различает три грамматических класса («рода»), выражает множественное число, но по падежам не изменяется ни в единственном, ни во множественном числе. В грузинском языке имя прилагательное изменяется факультативно, падежные формы характерны в постпозиции (для некоторых групп – и в препозиции), но ни грамматические классы, ни роды не различаются. В абхазском языке прилагательное не изменяется ни по классам (resp. родам), ни по падежам, ни по числам. Остается семантический признак: свойство предмета (а не свойство независимо от его носителя).

По семантическому признаку и относят к имени прилагательному однозначные слова русского, аварского, абхазского и грузинского языков. Структурные свойства в понятии «прилагательного» не учитываются.

В адыгских языках спряжение глаголов личное: субъектное, субъектно-объектное.

В чеченском, ингушском, аварском спряжение классное: или субъектное (непереходных глаголов) или же объектное (переходных глаголов): в них субъект ничем не обозначается. Личного же спряжения не имеется (лица различаются при помощи местоимений, лексическими средствами). В лезгинском и агульском языках глагол не изменяется ни по лицам, ни по грамматическим классам (ни по числам). В понятии «глагола» в таком случае учитывается лишь семантика слова.

Описательный анализ не вправе игнорировать ни структурные особенности, ни семантику слов.

Совместить же в одном понятии оба момента невозможно: между «семантическим» и «структурным» нет параллелизма (постольку понятие «части речи» как «лексико-грамматических разрядов слов», как общелингвистическое понятие, не оправдано).

14. Возникает вопрос о необходимости понятий двоякого рода – семантических и структурных: семантических, создаваемых по семантическому признаку, структурных – с учетом структурных признаков согласно принципу гомогенности: невозможно по семантическому признаку устанавливать структурные понятия (так же, как по весу предмета невозможно определить длину: вес измеряется в граммах, длина – сантиметрах).

Структурные понятия соответствуют грамматическим категориям. Вопрос о них относительно ясен.

Семантические категории – объект описательной семасиологии. О дескриптивной семасиологии писал в начале нашего века Ант. Марти [10].

Существенный интерес представляют блестящие эксперименты по семантической сочетаемости слов А. М. Пешковского [11].

Семантические категории «предмета», «свойства», «числа», «процесса» используются при определении частей речи, но в области семантических категорий неясностей немало.

Семантические категории в различных языках являются максимально общими, но и семантические категории могут не совпадать. Например: «кто» в иберийско-кавказских языках относится только к «человеку» (точнее – к «личности»), а не ко всему «живому»: «животные» относятся к категории «что»? («Что пасется?» – «Лошадь»).

Первое лицо мн. числа может содержать в себе семантические спецификации. Например: местоимение «мы» с двояким значением: 1) инклюзивным: мы - «я+ты, вы» (собеседник включается: «мы – люди»); 2) эксклюзивным: мы - «я+он, они» (собеседник исключается: «мы – лекторы, советуем вам, студентам»). Так в аварском и в ряде других дагестанских языков.

Вопрос о семантических категориях ставится и применительно к словосочетанию, к синтагме и ее главной разновидности, к предикативной синтагме, к предложению.

Описательная лингвистика претендует на всесторонний научный анализ системы языка (в один определенный «момент» его существования).

Наличие переходных категорий создают трудности в систематике (в классификации) не только фактов языка, но и предметов в естественных науках – в систематике растений, животных. Но трудности систематики не могут оправдать вольностей в использовании логических норм определения и разграничения понятий в процессе описания фактов языка, а наоборот, обязывают к неукоснительному соблюдению этих норм.

Язык не всегда логичен. Алогическое встречается в любом языке. Но наука о языке (и историческая, и описательная, и умозрительная) всегда обязана быть логичной.

15. Всесторонний анализ предусматривает изучение фактов всех уровней, начиная с фонемы и кончая словосочетанием (синтагмой). Разделы описательного анализа при этом мыслятся следующие: описательная фонетика с фонологией; описательная морфология; описательный синтаксис; описательная семасиология (resp. лексикология); описательная «стилистика».

Фонетика (с фонологией) изучают систему звуков как не имеющих десигнатов.

Морфология изучает структуру слова, грамматические категории.

Синтаксис изучает структуру словосочетаний (синтагм).

Описательная семасиология изучает лексику, ее состав, особенности состава, семантические категории (и их модификации применительно к конкретному языку).

Стилистика изучает словосочетание (синтагмы) с точки зрения семантической, в частности, особенностей, характеризующих способы выражения (построения) мысли в описываемом языке.

Производные слова, как и сложные слова (компози́ты) представляют собой объект лексикологии. С морфологией производные слова связаны, поскольку средством их образования служат аффиксы. Но так как в результате их использования создается новая лексическая единица, процесс, ведущий к их образованию, естественно рассматривать в лексикологии.

Было бы более последовательным, если бы разделы, изучающие отношения первичного характера, предшествовали разделам, посвященным анализу отношений вторичного характера. Но в данной схеме нас интересует в первую очередь, состав разделов, необходимых для всестороннего анализа единиц различных уровней языка и специфика тех существенных признаков, по которым они строятся: структурные по структурному, семантические – по семантическому признаку.

16. Всесторонний анализ системы языка подобного рода, насколько нам известно, пока что не выполнен ни по одному языку (даже по мертвым языкам – латинскому, древнегреческому).

Это скорее перспективный план работ в сфере описательной лингвистики, которая по научному уровню соответствовал бы уровню исторической лингвистики.

Что из описательной лингвистики следует включать в описательную грамматику того или иного языка как предмета преподавания – это задача научно-педагогическая и методическая по своему характеру.

Ясно одно: описательная грамматика как предмет преподавания вряд ли может вместить все содержания описательной лингвистики: описательную лингвистику и описательную грамматику как предмет преподавания вряд ли можно считать синонимичными понятиями.

17. С новыми понятиями связан вопрос о новых терминах. Содержательным («контенсиональным») понятиям – суждение, субъект, предикат – обычно соответствуют грамматические – предложение, подлежащее, сказуемое. Можно было бы по аналогии использовать «субстантив», «атрибутив», «квантитатив», «процессив» для семантических понятий, а переводы их – «существительное», «прилагательное», «числительное», «глагол» – для обозначения понятий грамматических (морфологических).

Но практически вопрос о новых терминах может встать лишь тогда, когда положительно решится вопрос о понятиях, – вопрос основной.

Сам термин «грамматика» («буквенное»), подчеркивающий связь с письменным языком, давно «просится в отставку»: во всяком случае, этот термин мало способствует внедрению новых понятий. Вопрос не впервые ставится.

Термин древнеиндийской грамматики *vuakarana* «расчленение», «анализ» [6, с 71] отражает более высокий уровень научной мысли, чем греч. термин «грамматика». «Аналитика» могла бы вместить содержание «описательной лингвистики» («грамматика» была бы «малой аналитикой»).

Основные положения и выводы

1. Описание системы языка – задача описательной лингвистики («синхронной лингвистики»), которая претендует за последние 50 лет на место «первой лингвистики».

Описанием письменного языка занималась и «филологическая грамматика», идущая от схемы Дионисия Фракийского (II–I вв. до н. э.), далее – «рациональная грамматика» (XVII в.), «философская (всеобщая) грамматика» (XVIII–XIX вв.). Эти грамматики не претендовали на роль науки, они считали себя «искусством».

«Научное» утвердилось сначала в изучении истории языка, а отнюдь не в описании языка.

Система описательной лингвистики до сих пор не создана: принципиальные вопросы описания системы языка продолжают оставаться спорными.

2. Наиболее сложной оказывается с и с т е м а т и к а фактов.

О б ъ е к т и в н а я тому причина: многоплановость языковых фактов, их динамичность.

С у б ъ е к т и в н ы м и моментами, усложняющими трудности объективного характера, оказываются: а) «Региональное», несогласованное решение вопросов, требующих комплексного решения; б) Неясности в понимании таких опорных понятий как структура, функция, значение (лексическое, грамматическое); в) Отсутствие последовательности в выделении лингвистических единиц; г) Несоблюдение логических принципов формулировки и разграничения понятий.

3. С учетом исследовательской практики по ряду языков, сильно различающихся по грамматическому строю, нам представляется более обоснованным то понимание, согласно которому основными лингвистическими единицами различного уровня (в таких языках, как индоевропейские, семитические, угро-финские, тюркские, иберийско-кавказские) считаются: ф о н е м а – с л о в о – с л о в о с о ч е т а н и е (предикативное, атрибутивное).

4. Фонема не имеет обозначаемого, десигната. Слово и словосочетание о т н о с я т с я к обозначаемым, они могут иметь два и з м е р е н и я (значение и структуру).

Значение имеется у каждого полнозначного слова (во всех языках, где слово как единица существует).

5. Значение слова – это о т н о ш е н и е к обозначаемому (к предмету действительности – объективной, субъективной). Значение слова, отношение п е р в и ч н о г о характера, это – о с н о в н о е отношение.

Изменение значений – это и з м е н е н и е о т н о ш е н и я к обозначаемому, к десигнату.

Структура слова выражает отношение между з н а ч е н и я м и. Структурные отношения – это отношения в т о р и ч н о г о характера.

6. В языках различного типа с т р у к т у р н ы е отношения могут быть выражены при помощи р а з л и ч н ы х средств.

По семантическим моментам наблюдается м а к с и м а л ь н а я б л и з о с т ь между языками: перевод лексики одного языка на другой осуществим (хотя адекватность достижима не полностью). По структурным же отношениям и средствам их выражения расхождения между языками могут быть м а к с и м а л ь н ы м и. Ни морфология, ни синтаксис «не переводимы»). «Универсальная грамматика» так же н е р е а л ь н а, как нереальна «универсальная структура».

7. В описании слов и словосочетаний можно исходить: а) из того, что обозначается, т. е. из обозначаемого, десигната; б) из того, как обозначается, т. е. из структуры обозначающего; в) одновременно из т о г о и из д р у г о г о.

8. Логицизм и психологизм ориентировались на обозначаемое. Структура обозначающего (слова, предложения) не находила адекватного отображения в соответствующих понятиях.

9. Наиболее простым решением вопроса было бы в понятиях отобразить одновременно и семантику, и структуру – существенные признаки и той и другой. К сожалению, это осуществимо лишь частично, и то в отдельных языках. В большинстве случаев семантическое и структурное в одном понятии «не совмещаются» и вопрос решается в пользу одного из них, обычно – в пользу семантического: структурное своеобразие, как правило, не учитывается.

10. Отсюда – необходимость при описании фактов языка выделить понятие двойного рода: структурные понятия по структурному признаку, семантические – по семантическому, следуя принципу гомогенности...

Это даст возможность должным образом отобразить в описании системы любого языка, независимо от его структуры, и общее, и отличное, т. е. то, что характерно для индивидуальности описываемого языка¹.

ЛИТЕРАТУРА

1. *Paul H.* Prinzipien der Sprachgeschichte. IV Aufl. Halle – Saale, 1909, S. 283.
2. *Wundt W.* Völkerpsychologie. Bd. II. Leipzig, 1912, S. 254.
3. *Jerusalem W.* Die Urtheilsfunktion. Eine psychologische und erkenntniskritische Untersuchung. Wien-Leipzig, 1895.
4. *Bloomfield L.* Introduction to the study of language. New York, 1914.
5. *Dionisä Thracis.* Ars grammatica. Ed. G. Uhlig. Lipsiae, 1883, p. 24.
6. История лингвистических учений. Древний мир. Л., 1980.
7. *Сланский В.* Грамматика как она есть и как должна быть. Пять научных бесед, предложенных в Санкт-Петербургском Педагогическом обществе, СПб., 1887.
8. *Rie J.* Was ist Syntax? Prag, 1894 (I Aufl.) 1927 (II Aufl.).
9. *Чикобава Арн.* Лингвистика как интегральная наука о языке. – В кн.: Проблемы языкознания, М., 1967, с. 17.
10. *Marty Ant.* Untersuchungen zur Grundlegung der allgemeinen Grammatik und Sprachphilosophie. Bd. J. Nall-Salle, 1908, §§17–70.
11. *Пеуковский А. М.* Русский синтаксис в научном освещении. 2-е изд., М., 1920.
12. *Чикобава Арн.* Проблема простого предложения в грузинском языке. I. К вопросу о подлежащем и дополнении в древнегрузинском языке. Тбилиси, 1928 (на груз. яз.). 2-е изд. (с резюме на русск. и франц. яз.) – 1968.

¹ Мы касались самых общих вопросов разработки системы описательной лингвистики. Однако, анализируя общие вопросы синтаксиса (еще в двадцатые годы) [12], мы имели возможность убедиться, как много неясностей существует в понимании исходных общелингвистических понятий и соответствующих опорных понятий логики и психологии. Тогда приходилось отстаивать положение о самостоятельной ценности изучения структуры языка так же, как теперь требуется отстаивать познавательную ценность принципа историзма.

В наши дни описательная лингвистика в отстаивании не нуждается. Однако чрезмерный избыток импровизаций, нагромождая детали, отнюдь не способствует уяснению основных проблем, без решения которых система описательной лингвистики не может быть создана. Изложить одну из возможных постановок этих проблем ставит задачей настоящая статья.

შენიშვნები

1. არნ. ჩიქობავას წინამდებარე წიგნი „ზოგადი ენათმეცნიერება II, ძირითადი პრობლემები“ წარმოადგენს მესამე გამოცემას (პირველი — 1945, მეორე — 1983), იგი უცვლელად იმეორებს მეორე გამოცემის ტექსტს, რომელიც რედაქციულად ავტორმავე მოამზადა (არნ. ჩიქობავა 1985 წლის 5 ნოემბერს გარდაიცვალა). თავის მხრივ, მეორე გამოცემა თითქმის სრულად მოიცავს პირველი გამოცემის ძირითად ტექსტს, ოღონდ მეორე თავში ჩამატებულია ახალი, მერვე, ქვეთავი „ბიჰევიორიზმის ფიზიკალიზმი“ (ათი პარაგრაფი: 70-79), ასევე, ავტორს წიგნისთვის დაურთავს სამი წერილი:

I. „ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ“, რომელიც წაკითხული ყოფილა საკავშირო საენათმეცნიერო კონფერენციაზე მოსკოვში 1974 წ. 11 ნოემბერს. (Всероссийная научная конференция по теоретическим вопросам языкознания. Тезисы докладов и сообщений пленарных заседаний 11-16 ноября 1974 г. М., 144-158); სრული ტექსტი დაბეჭდილია საკავშირო ორგანოში — Известия Акад. наук СССР, Серия литературы и языка, 1974, т. 33, №4, 312-319; ქართულად გამოქვეყნდა „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, ტ. XX (1978), გვ. 5-20;

II. "Историзм и лингвистика" – ჟურნ. "Вопросы языкознания," 1980, №6, с. 3-12;

III. Описание системы языка и принцип гомогенности – ჟურნ. "Вопросы языкознания, 1981, №4, с. 12-23.

II და III წერილები გაერთიანებულია სათაურით „რეზიუმეს ნაცვლად“.

2. პირველი გამოცემის ბოლოს წვრილი შრიფტით აწყობილია „Addenda — დანართი“, რომელიც მეორე გამოცემაში აღარ შესულა და არც ამ დანართში წარმოდგენილი შემდეგი დამატებები ყოფილა გათვალისწინებული (მოგვყავს უცვლელად):

„ გვ. 119, შექვესე შენიშვნად დაემატოს:

ქართულ ენაზე კ. ფოსლერის შეხედულებათა შესახებ მოიპოვება ბიძ. ფოჩხუას მონოგრაფია: „ფოსლერის საენათმეცნიერო კონცეფცია. I, ფოსლერის ესთეტიზმი, 1942, გვ. 013+134 (მანქან.), საკანდიდატო დისერტაცია.

გვ. 252, შენიშვნ. 2-ს დაემატოს:

დიუბინის მოსაზრებაზე: დედა-ენის გრამატიკა საფუძვლიანად უნდა გავიზებოროთ, — ფრ. ენგელსი შენიშნავს: „მაგრამ დედა-ენის მასალა და ფორმა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ **მათი წარმოშობა და თანდათანობითი განვითარება გავითვალისწინეთ**, ეს კი შეუძლებელია დედა-ენის საკუთარი **მკვდარი ფორმების შეუსწავლელად**, ხოლო, მეორე მხრით, **მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენების გაუცნობლად**. მაგრამ ამ ასპარეზზე გადასვლაც გადაჭრით აკრძალულია დიუბინის მიერ. იგი თავისი სკოლის გეგმიდან შლის მთელ **თანამედროვე ისტორიულ გრამატიკას** და ამრიგად ენის სწავლების დარგში აღარაფერი რჩება, გარდა ძველი ყაიდის, სავსებით ძველი კლასიკური ფლოლოგიის სტილზე შეკოწიწებული ტექნიკური გრამატიკისა მთელი **მისი კაზუსტიკითა და თვითნებობით**, რომელიც **ისტორიული საფუძვლის უქონლობიდან გამომდინარეობს**“ — ანტი-დიუბინგი, გვ. 273-274 (ქართ. თარგმ.) (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

დედა-ენის ფაქტების გაგება მოითხოვს მისი ისტორიის შესწავლას, აგრეთვე მონათესავე ცოცხალ და მკვდარ ენებთან მიმართების გათვალისწინებას (ე. ი. შედარებას).

ტექნიკური გრამატიკის კაზუსტიკა და თვითნებობა ისტორიული საფუძვლის უქონლობიდან მომდინარეობს, — ასე ახასიათებს ფრ. ენგელსი ისტორიულ და შედარებით გრამატიკას.

ხაზგასმულია ერთი გარემოებაც: ისტორიულ გრამატიკას ექომაცება ენგელსი არა თავისი დროისათვის, არამედ სოციალისტური საზოგადოების განათლების სისტემის შესახებ მსჯელობისას.

გვ. 282, შენიშ. 4-ის შემდეგ დაემატოს:

რუსულ ენაზე გამოსულ შრომათაგან ამ მხრივ აღსანიშნავია: "Виноградов В. В.: Современный русский язык. I. Грамматическое учение о слове, — Москва, 1938".

რამდენადაც ვერ დავადგინეთ მიზეზი, თუ რატომ აღარ შეიტანა ავტორმა მეორე გამოცემის სათანადო ადგილებზე ზემოთ მოყვანილი დამატებები (გამორჩა თუ სხვა რაიმე მოსაზრებით?), თავს ვერ მივეციოთ უფლება, ჩვენ შეგვეტანა ისინი წინამდებარე გამოცემაში.

3. არნ. ჩიქობავა წიგნის მეორე გამოცემის „წინასიტყვაში“ წერს: „უსაფუძვლო აღმოჩნდა დებულება კლასობრივი ენისა და ენის ზედნაშენურობის შესახებ, დასაბუთდა (ი. სტალინი, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, 1950) და დღესაც ძალაშია დებულება, რომ არ არსებობს კლასობრივი ენები (ენას ხალხი ქმნის, ენა ხალხისაა), რომ ენას ვერ მივიჩნევთ ზედნაშენად (თუმცა ენობრივი ნიშანი მეორეულია აღსანიშნის

მიმართ): ენა არ იცვლება ბაზისის ცვლასთან კავშირში, ენა სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენაა, მასთან — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“. ეს სიტყვები იწერებოდა ოთხმოციანი წლების დასაწყისში, მაგრამ როგორი იყო ავტორის აზრი მაშინ, როცა პრობლემეტიკული ნაწილი იქმნებოდა ან თუნდაც წინამდებარე წიგნის პირველ გამოცემაში ანუ უფრო ადრე, ვიდრე 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შედეგად უარყოფილი იქნებოდა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“?

ჯერ კიდევ „პრობლემეტიკაში“ ავტორი წერდა: „მეტყველების ზედნაშენობის საფუძველია ნიშნადობა... ნიშნად ყოფნა უცილობლად ახასიათებს ყოველივე ენობრივს. ის, რისი ნიშანიც ენობრივი მონაცემია, წარმოდგენს ბაზისს (საფუძველს) ენისათვის“. ცხადია, ამ მსჯელობას არაფერი აქვს საერთო ენის ზედნაშენობის შესახებ მარისეულ თეორიასთან. ასევეა ეს ენის კლასობრიობის საკითხში. არნ. ჩიქობავა ამ მიმართებით ენობრივი მონაცემის მხოლოდ სუბიექტურ დანართს, მის ემოციურ იერს განიხილავს, ამასთანავე იმ შენიშვნით, რომ ემოციური იერი ყოველთვის, რა თქმა უნდა, კლასობრივ თვალსაზრისს არ გამოხატავს.

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემას, იქ უკვე წარმოდგენილია ყველა ის პარაგრაფი („ენა, როგორც ზედნაშენი ნ. მართან, „ენის კლასობრიობის საკითხი ნ. მართან“, „ენის სოციალურობის შესახებ ნ. მართან“ და სხვ.), რომელიც უცვლელადაა შეტანილი მეორე გამოცემაში. სწორედ ამ პარაგრაფებში დოკუმენტირებულად არის დადასტურებული კლასობრივი ენისა და ენის ზედნაშენობის შესახებ დებულების უსაფუძვლობა.

4. იმ მცირეოდენი და არაარსებითი ცვლილებებიდან, რაც მეორე გამოცემაშია, აღვნიშნავთ რამდენიმეს:

— ავტორს შეუცვლია მეორე თავის VI ქვეთავის დასახელება „მექანისტური მატერიალიზმი“ სათაურით „ვულგარული სოციოლოგიზმი ენის რაობის გაგებაში“;

— დაუზუსტებია მეოთხე თავის III ქვეთავის სათაური — „სტატკური ენათმეცნიერების მეთოდები“ — ამგვარად: „სტატკური (აღწერითი) ანალიზის მეთოდები“.

— ჩაუმატებია სქოლიო: „1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის დროს ივ. მეჩხანინოვი ელემენტებს დაუბრუნდა (გაზ. "Правда", 16, V, 1950 წ.).

— არ შეუტანია მეორე გამოცემის შესაბამის პარაგრაფში (§ 67. „ენის კლასობრიობის საკითხი“) ბოლო ერთი გვერდი, სადაც მსჯელობაა სტალინის დებულებაზე ერისა და საერთო ენის შესახებ, რომელიც

წარმოდგენილია სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი“.

— წიგნისთვის აღარ დაურთავს ოც გვერდზე ორ სვეტად დაბეჭდილი „საგნობრივი საძიებელი“, რომელიც პირველ გამოცემას ახლდა.

4. წინამდებარე გამოცემაში გასწორდა ბეჭდვის შეცდომები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ავტორის მიერ იყო მითითებული და რატომღაც გაუსწორებელი დარჩენილა.

ზოგიერთი სიტყვის დაწერილობის არაერთგვაროვნებისას უპირატესობა მივანიჭეთ თანამეოროვე ორთოგრაფიულ ფორმებს, მაგრამ არა იმ შემთხვევებში, რომლებიც ავტორის სტილის კუთვნილებად მივიჩნიეთ.

გასწორდა უცხო გვართა ზოგიერთი სახელი (ბანვენისტი შეიცვალა ბენვენისტით, ჰიელმსლევი — იელმსლევით...). მეორე გამოცემაში ამის პრეცედენტი თვითონ ავტორმა შექმნა: პირველ გამოცემაში მოყვანილი გვარების **Séchehaye, Meillet, Bally** ქართული დაწერილობა იყო სეშაჲ, მეჲე, ბაჲი, მეორეში კი: სეშე, მეიე, ბალი; ტექსტში პირველადვე უნიციალეზოდ ნახსენებ გვარებს (მაგ. : ასკოლი, ლესკინი, ოველაკი, შტრიტბერგი, ჰაქსლი...) ინიციალები მიეწერა.

ტომის რედაქტორისაგან

პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრება

არნ. ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერება, II: ძირითადი პრობლემები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ პირველად 1945 წელს გამოსცა. იმ დროისათვის შესაბამისი სახელმძღვანელო არათუ ქართულ, რუსულ ენაზეც არ მოიპოვებოდა. უფრო მეტიც, ენათმეცნიერების ამგვარი კურსის საჭიროება, როცა იგი 1935-36 წლებში პირველად იკითხებოდა ენათმეცნიერების სტუდენტებისთვის თბილისის უნივერსიტეტში, სადავოდ მიაჩნდათ, რადგან უმაღლესი სკოლის კომიტეტის სასწავლო გეგმებში ასეთი საგანი მაშინ არ აღინიშნებოდა. ამ აკადემიური წლიდან მოკიდებული ზოგადი ენათმეცნიერება ერთ-ერთი წამყვანი დისციპლინა გახდა არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ პედაგოგიურ ინსტიტუტებშიც. მასზე აღიზარდნენ ენათმეცნიერთა მთელი თაობები. ამ თაობათა გამორჩეული წარმომადგენლების, აღნიშნული კურსის პირველი მსმენელების — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ბიძინა ფოჩხუასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. თინათინ შარაძენიძის ხსოვნას უძღვნა ავტორმა „ზოგადი ენათმეცნიერების“ მეორე გამოცემა (1983 წ.).

როცა „ზოგადი ენათმეცნიერება“ იქმნებოდა, საბჭოეთში მთელი საზღვარგარეთული თეორიული ლინგვისტიკა ფაქტობრივად ორი წიგნით იყო წარმოდგენილი: ეს იყო რუსული თარგმანები სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსისა“ (1933 წ.) და სეპირის „ენისა“ (1934 წ.), ვანდრიესის იმავე დასახელების წიგნიც კი 1937 წელს გამოვიდა, ხოლო ვ. თომსენის „ენათმეცნიერების ისტორია“ — 1938 წელს. აღნიშნულის გამო ენათმეცნიერებს ყველგან კავშირში საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმ სიახლეებზე, რაც უცხოეთის ლინგვისტიკაში ხდებოდა. ამიტომ სავსებით ცხადია ის დიდი საგანმანათლებლო როლი, რომელიც არნ. ჩიქობავას წიგნმა ჩვენში შეასრულა.*

* ასეთივე როლი ითამაშა თავის დროზე 1928 წელს გამოსულმა არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელშიც მონოგრაფიულადაა განხილული წინადადების საკითხი, დაწყებული ანტიკური ფილოსოფოსებით. ავტორმა ამ წიგნში უპრეცედენტო სიღრმითა და სივრცით კრიტიკულად გააანალიზა სინტაქსის ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური და ფორმალისტური (ენობრივ-გრამატიკული) მიმართულებები; მოიცვა ევროპულ მეცნიერთა შეხედულებების ფართო სპექტრი, რომელიც საკმაოდ რთულ ვითარებას ასახავდა. სინტაქსის მიმდინარეობათა უფრო სრული და ამავე დროს სისტემატური ანალიზი არც რუსულ და არც უცხოურ ლიტერატურაში დღემდე არ შეგვხვედრია.

მხოლოდ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციან წლებში გამოჩნდა ესპერსენის, პაულის, ბლუმფილდის, ტრუბეტკოის, მარტინესა და სხვათა ნაშრომები. მაშინ დაიწყო მსჯელობები ლინგვისტიკურ სკოლათა და მიმართულებათა შესახებ, არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოში კი უკვე იყო მოცემული არა მარტო ტრადიციული ზოგადენათმეცნიერული თეორიების დეტალური და ღრმა ანალიზი, არამედ თანამედროვედ რომ ითვლებოდა, იმ მიმდინარეობათა დახასიათება-შეფასებაც. ეს ეხება როგორც სოსიურის მოძღვრებას, ისე ანტუან მეიეს შეხედულებებს, როგორც სტრუქტურალიზმს, მისი სხვადასხვა სკოლის გათვალისწინებით, ისე ფოსლერის ესთეტიზმსა და ბლუმფილდის ბიპვეიორიზმს, რომლის განხილვა წიგნის მეორე გამოცემაშია შეტანილი.

თეორიული ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ ცნობილ ნაშრომებში მიმდინარეობათა ამგვარი მოცულობისა და პრობლემათა ასეთი სიღრმით წვდომა-შესწავლის ნიმუში დღემდე არ შეგვხვედრია. მართალია, არსებობს წიგნები, მაგალითად, ფრენსის პატრიკ დინინის „ზოგადი ენათმეცნიერების შესავლის“ მსგავსი, სადაც განხილულია ისეთ მეცნიერთა კონცეფციები, როგორიც არიან სოსიური, სეპირი, ბლუმფილდი, ფერსი, იელმსლევი, ხომსკი, მაგრამ უგულვებელყოფილია ტრადიციული ენათმეცნიერება; ასევეა ჯ. ლაიონზის „თეორიული ენათმეცნიერების შესავალშიც“, სადაც ერთი პარაგრაფი ენათმეცნიერების ერთ მიმართულებას ეძღვნება, მეორე — მეორესა და მესამე — მესამეს, იმგვარად, რომ არც თანამიმდევრულობაა დაცული და არც გადმოცემული მასალის ურთიერთდაკავშირებაა უზრუნველყოფილი; სხვა ტიპის — დოგმატურ თუ არადოგმატურ ნაშრომებში ტრადიციული ენათმეცნიერების ანალიზი მოკლე და ზედაპირულია ანდა შეკუმშული ინფორმაციითაა შენაცვლებული, რაც ამ ნაშრომთა მთავარი ნაკლია — ხშირ შემთხვევაში აქ განხილულ, ავტორთათვის მიუღებელ, მცდარ შეხედულებათა მარტივი უარყოფა და არა დაძლევაა წარმოდგენილი. არნ. ჩიქობავა კი ყველა შემთხვევაში განსახილველ შეხედულებას შესაბამისი დოკუმენტაციითურთ ალაგებს და განმარტავს სათანადო ავტორის შეხედულებათა კონტექსტში. მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა შეფასებას. მისთვის „მეცნიერული კრიტიკული ანალიზის მიზანი სწორედ დაძლევაა და არა მარტივი უარყოფა“.

ამგვარმა მიდგომამ და ავტორის უბადლო ანალიტიკურმა უნარმა, ამასთანავე, ენათმეცნიერების ისტორიის გათვალისწინებამ განაპირობა ის, რომ მან უცხოელ კოლეგებზე ადრე შენიშნა და კრიტიკულად შეაფასა, თუ რა იყო ღირებული და რა — დღემოკლე ან სულაც მცდარი იმ თანა-

მედროვე ლინგვისტიკურ თეორიებსა თუ სკოლებში, რომლებსაც იგი განიხილავდა. ეს შეეხება სოსიურის კონცეფციას, სტრუქტურალიზმის ძირითად თეორიულ დებულებებსა თუ ბლუმფილდის ბიპვეიორიზმს. საერთაშორისო ენათმეცნიერულ სივრცეში მათი კრიტიკული შეფასება ბევრად უფრო გვიან დაიწყო. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ არნ. ჩიქობავას აღრინდელი (1923 წ.) გამონათქვამი, რომელიც ავტორის აზროვნების ნიშანდობლივ თვისებაზე მიუთითებს: „ინდოევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უყოყმანო მიღება ინდოევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას სრულიადაც არ ნიშნავს.“* წიგნი, რომელიც სტუდენტებისთვის დაიწერა, ამ დებულების ილუსტრაციაცაა და ამავე დროს ავტორის მიერ დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა: „უმალღესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, რაც მთავარია, უნდა ასწავლოს მეცნიერული აზროვნება“.

არნ. ჩიქობავა ტრადიციული თუ თანამედროვე ენათმეცნიერების უმთავრეს თეორიათა კრიტიკული ანალიზით იწყებს, და ეს ანალიზი ენათმეცნიერული თეორიის კონსტრუქციულ ფუნქციად იქცევა, რადგან მის არეში ხვდება ლინგვისტიკის ყველა ფუნქციონალური პრობლემა: შესასწავლი საგნის, სპეციალური მეთოდების, სტრუქტურისა და სხვა მეცნიერებათა შორის მისი ადგილის განკუთვნილების პრობლემა.

ენათმეცნიერულ კონცეფციათა დალაგებისათვის ავტორი იყენებს ენის რაობის სხვადასხვაგვარ გაგებას, როგორც ევოლუციურსა და გენეტიურ საშუალებას, რათა ცნების ჩამოყალიბებისა და დაზუსტების ეტაპები თანამიმდევრულად წარმოაჩინოს იმგვარად, რომ ენის არსის დაზუსტების სტადიები მისი ლოგიკური განმარტების საფეხურებს შეესაბამებოდეს. ამგვარი ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება უმთავრესი ლინგვისტიკური ფასეულობანი, რომლებიც წარუვალია და უკავშირდება არა ამა თუ იმ მიმდინარეობასა და განშტოებას, არამედ საერთოდ ენათმეცნიერების შუაგულს, სადაც ინახება და იხვეწება ენის შესახებ მეცნიერების ფუნდამენტური ცნებები.

როდესაც ვლაპარაკობთ არნოლდ ჩიქობავაზე, როგორც ენათმეცნიერების თეორეტიკოსზე, აუცილებლად მიგვაჩნია მეცნიერის თეორიულ მემკვიდრეობაში ორი მხარის აღნიშვნა. ერთი მხრივ, ესაა არნ. ჩიქობავას მიერ სხვადასხვა დროს წამოყენებული აღწერითი თეორიები (მათ ფილოსოფიაში ემპირიულ თეორიებსაც უწოდებენ), რომლებიც უშუალოდ აღწერენ შესასწავლ ობიექტთა, ელემენტთა გარკვეულ ჯგუფებს და წყვეტენ,

* იხ. არნ. ჩიქობავა, შრომები, I, თბ., 2010, გვ. 22.

უწინარეს ყოვლისა, ენობრივი ფაქტების მოწესრიგების ამოცანას. ამ თეორიებში ფორმულირებული ზოგადი კანონები წარმოაჩენენ ემპირიული მასალის გენერალიზაციას, სადაც თვალსაჩინოა კერძობითიდან ზოგადზე ლოგიკური გადასვლა, ზოგადი პრინციპებისადმი კონკრეტულ მოვლენათა დაქვემდებარება.

ემპირიული მასალა, რომელსაც თეორიის აგებისას არნ. ჩიქობავა ეყრდნობა, ორგვარია: ერთი, როცა ლინგვისტური ფაქტები თვითონ მის მიერვე არის მოპოვებული, მათ შორის სავლელე მუშაობის შედეგადაც (მაგალითისთვის მოვიყვანთ -ყე ნაწილაკზე დაკვირვებას, ფერეიდნულში ანდა ქიზიყურში **ს** ბგერის **ა**-დ ქცევის მოვლენას, რამაც მეცნიერს საშუალება მისცა საერთოდ დიალექტურ მოვლენათა განხილვისა და კვალიფიკაციის საკითხები წამოეყენებინა; ასევე იქცევა იგი ენის სოციალურობისა და ინდივიდუალურ თავისებურებათა დიფერენციაციის შესახებ მსჯელობისას — §§ 87, 88). სხვა შემთხვევებში თეორიის ამოსავალ ემპირიულ საფუძვლად გამოყენებულია ენათმეცნიერების ამა თუ იმ დარგში ფიქსირებული და ერთგვარად კიდევაც აღწერილი ენობრივი ფაქტები, რომელთაც ახსნა და თეორიული ინტერპრეტაცია ესაჭიროებოდა.

თეორიის აგების ყველა შემთხვევაში საინტერესოა შემდგომი ეტაპიც, რომელსაც არნ. ჩიქობავა მიმართავს. ეს არის თეორიულ დებულებათა ვერიფიცირება უფრო ფართო მასალაზე, რაც, ჩვეულებრივ, ყოველთვის რთულია. ცნობილია, რომ ვერიფიცირებადობის კრიტერიუმს მეცნიერული კანონები მხოლოდ მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ და თეორეტიკოსებიც ხშირად გვერდს უვლიან მას.

„ეს დებულებები შემოწმდა საკვლევადიებო პრაქტიკაში — ქართული, ზანური, ხუნძური ენების კონკრეტული მასალის ანალიზის პროცესში“, — წერს ერთგან არნ. ჩიქობავა. წიგნის — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ პირველი გამოცემის ავტორისეულ წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ტრანსცენდენტიზმის“ ერთი სახეობის, ლოგიციზმის, კერძობითი განსჯა წარმოდგენილია წერილში — „-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ (1924 წ.). იმავე წელს დაბეჭდილ სტატიაში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ უკვე მოცემულია ენათმეცნიერების ზოგადი პრინციპული საკითხების სქემატური მიმოხილვა იმანენტიზმის თვალსაზრისით: „ამ ნარკვევის (იგულისხმება „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ — გ. კ.) ძირითადი დებულებები იქ ნათქვამის განმეორება-განვრცობაა?“ და მართლაც, მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპების ვერიფიცირება აღნიშნულ წიგნში უფრო ვრცელსა და განსხვავებულ მასალაზე, კერძოდ, სინტაქსურ მონაცემებზე, წარმატებით არის განხორციელებული.

ამგვარად, არნ. ჩიქობავას აღწერითი თეორიები, იქნება ეს დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, სინტაქსისა თუ სხვა სფეროებში, შედეგია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფართო სპექტრის იმ საკვლევადიებო პრაქტიკისა, რომელსაც მეცნიერი მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა. აქვე საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ სამეცნიერო გზის დასაწყისშივე, ოცდახუთი წლის ახალგაზრდამ მეცნიერული აზროვნების მართლაც რომ გასაოცარი სიმწიფე გამოავლინა, როცა იმხანად დაარსებული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საპროგრამო წერილები გამოაქვეყნა, რომლებშიც გამოკვლეული იყო ქართული ენათმეცნიერების საგანიც, მის წინაშე დასახული ამოცანებიცა და მათი გადაჭრის გზებიც. ფაქტობრივად, ამ მეთოდოლოგიური კონცეფციით წარიმართა შემდგომში ქართული ენათმეცნიერების განვითარება.*

არნ. ჩიქობავას თეორიული მემკვიდრეობის მეორე მხარეს, რომელიც პირველისაგან — ანუ კერძო თეორიებისაგან — განუყოფელია და მას საფუძვლადაც გულისხმობს, წარმოადგენს მეცნიერის ერთიანი ზოგადლინგვისტიკური მოძღვრება, რომელიც მოიცავს ენათმეცნიერების ფუძემდებლურ პრობლემებს, თანამედროვე ლინგვისტიკის თითქმის ყველა კარდინალურ საკითხს და, ამასთანავე იძლევა საპროგრამო დებულებებს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიაში.

თუ აქამდე ვსაუბრობდით მეცნიერის თეორიულ ნააზრევზე, რომელიც ენის ფაქტების მოწესრიგებასა და ინტერპრეტაციას ეხებოდა, ახლა, როცა ვახსენებთ არნ. ჩიქობავას მთლიან ზოგადენათმეცნიერულ კონცეფციას, უნდა ვილაპარაკოთ არა ენობრივი ფაქტების, არამედ მათ შესახებ არსებული მეცნიერული ცოდნის მოწესრიგებაზე, თვით ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, შინაგან ორგანიზაციაზე. თეორიის ეს საფეხური ყოველ მეცნიერებაში ყველაზე რთულ და მაღალ საფეხურად ითვლება. ამ სიმაღლის დაძლევა მხოლოდ დიდი შემოქმედებითი ტალანტისა და მაღალი დონის სინთეზური აზროვნების მქონე რჩეულებს თუ შეუძლიათ.

თუ როგორ აავო არნ. ჩიქობავამ თეორიულ შეხედულებათა აღნიშნული სისტემა, ნათლად ჩანს წინამდებარე წიგნში, ხოლო თვით თეორია წარმოდგენილია წერილში — „ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ“, რომელიც 1974 წელს მოხსენებად იყო წაკითხული საკავშირო საენათმეცნიერო კონფერენციაზე მოსკოვში და რომელიც ავტორმა მეორე გამოცემას დაურთო.

* იხ. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულის“ წინასიტყვაობა“ და „ზოგადი თვალსაზრისისათვის (პრინციპული შენიშვნები)“ — არნ. ჩიქობავა, შრომები, I... გვ. 22-24; 51-57.

როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავამ თეორიულ ენათმეცნიერებაში არსებული რთული ვითარების კრიტიკული ანალიზით ნეგატიურად წარმოადგინა ის, რაც შემდეგ პოზიტიურად დასაბუთა. სწორედ წიგნის ის თავი, რომლის სათაურია „ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი: პოზიტიური ნაწილი“ — არის ძირითადი საყრდენი მეცნიერის ზოგადი თეორიისა ენისა და მისი შემსწავლელი დისციპლინის — ენათმეცნიერების შესახებ. ამ უკანასკნელს იგი ყოველთვის განიხილავდა როგორც თავისთავად მეცნიერებას, რომელსაც თავისი საკვლევი ობიექტი და საკუთარი თვალსაზრისი აქვს.

„თავისთავადობა არ ნიშნავს დამოუკიდებლობას: ენათმეცნიერება ვერ იქნება დამოუკიდებელი“ სხვა მეცნიერებათაგან ისევე, როგორც ქიმიკ ვერ იქნება დამოუკიდებელი ფიზიკისაგან, ეს არც სასურველი იქნებოდა. პირიქით, მას უფრო, ვინემ სხვა რომელსამე მეცნიერებას აქვს მრავალი შესახები პუნქტი მეზობელ დისციპლინებთან, როგორცაა ლოლიკა, ფილოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია. ამას განსაზღვრავს მისი საგნის ბუნება: მაშასადამე ამ დამოკიდებულებას იგი გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ მისი მიზანი და აქედან გამომდინარე თვალსაზრისი გარკვეულად იქნეს ჩამოყალიბებული; წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ დამოკიდებულებათა ქსელში მიიჩქმალება მისი თავისთავადობა“,* — წერდა არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ 1924 წელს.

როგორც ვხედავთ, თვითონ ენის, როგორც კვლევის ობიექტის, მრავალსაბექტიანობა ქმნის მისი საზღვრების წაშლის საფრთხეს. მეორე მხრივ, საკუთრივ ენათმეცნიერების რედუქციის ბევრი მაგალითია ცნობილი როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკურ ნაშრომებში. არნ. ჩიქობავა ყოველთვის იდგა გამოკვეთილად ენათმეცნიერულ პოზიციაზე და ამიტომ რომელიმე სხვა დისციპლინის მხრივ (იქნება ეს ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კიბერნეტიკა თუ სხვ.) უზურპაცია პრინციპშივე დაუშვებელი იყო. მიუღებელი იყო მისთვის ენათმეცნიერულ ინტერესთა იმგვარი გაფართოებაც, როცა ეს ინტერესები შეუმჩნეველად ფილოსოფიურ მსოფლმხედველობად იქცევა ხოლმე.

არნ. ჩიქობავას ზოგადლინგვისტიკური კონცეფცია არაწინააღმდეგობრივი შეხედულებების მთლიანობაა, რომელსაც, ამასთანავე, არ ახასიათებს ცალმხრივობა: როცა გასული საუკუნის ოციან წლებში მეცნიერი აღწერილი ენათმეცნიერების სისტემის შემუშავების ზოგად საკითხებს ეხებოდა და აგებდა სტრუქტურის შესახებ მოძღვრებას, წინადადების

* იქვე, გვ. 53-54.

სტრუქტურის შესწავლა, როგორც „ფორმალიზმი“, იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად ითვლებოდა, სწორედ მაშინ იცავდა იგი დებულებას, რომ ენის სტრუქტურა დამოუკიდებელი ღირებულების მქონეა, თუმცა არ ივიწყებდა ფუნქციის მნიშვნელობასაც და, რაღა თქმა უნდა, არც ისტორიზმის პრინციპს უგულვებელყოფდა. მონოგრაფიაში „მარტივი წინადადება ქართულში“ აღწერილი ანალიზისათვის დაძებნილია მეთოდოლოგიური საფუძველი, ხოლო თვით ავტორი ძველი ქართულის კვლევისას მეთოდის ბრწყინვალე ნოვატორად გვევლინება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, ერგატიული კონსტრუქციის აღწერითი ანალიზი მას ესახებოდა როგორც ისტორიული ანალიზის მხოლოდ დამხმარე, წინასწარი სამუშაო. არნ. ჩიქობავა როგორც მაშინ, შემდგომაც ყოველთვის იცავდა სტრუქტურალიზმის ისეთ გაგებას, რომელიც ისტორიზმის პრინციპს კი არ უპირისპირდება, არამედ ორგანულად ერწყმის. შემდეგ კი, სტრუქტურალიზმის ფართო გავრცელებისა და სტრუქტურული პრინციპის უნივერსალიზაციის პირობებში, როცა იზრდილებოდა და ზოგჯერ უგულვებელყოფილიც კი იყო ისტორიზმის პრინციპი, არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერებაში ანტიისტორიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ესე იგი, ამა თუ იმ პრინციპის პედალირებას განსაზღვრავდა ის, თუ როდის რომელი პრინციპი სუსტდებოდა სხვა პრინციპის ჰიპერტროფიის ხარჯზე.

არნ. ჩიქობავას თეორიაში ენათმეცნიერება განხილულია როგორც ინტეგრალური ჰუმანიტარული მეცნიერება, რომელმაც ენა უნდა შეისწავლოს როგორც აღწერილი, ისე ისტორიული თვალსაზრისით, გამოიკვლიოს ენობრივ ერთეულთა როგორც სტრუქტურა, ისე — ფუნქციაც, ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით. ეს არის არნ. ჩიქობავას თეორიული მემკვიდრეობის, ორი ზემოგანხილული მიმართულების გამაერთიანებელი ხაზი. ამ ხაზმა უზრუნველყო ფაქტობრივად პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრების შინაგანი მთლიანობა და თავისთავადობა, თეორიულ შეხედულებათა არაცალმხრივი და არაწინააღმდეგობრივი სისტემის შექმნა.

გ. კვარაცხელია

ტომის საგამოცემოდ მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ვ. შენგელიას (მრავალტომეულის მთავარი რედაქტორი), რ. ჯანაშიას, ლ. აზმაიფარაშვილს, ქ. მარგიანს, ნ. ფონიავას (ტექსტის კორექტურული გასწორება), ლ. ვაშაკიძეს (ტომის ტექნიკური რედაქტორი), თ. გაბროშვილს (ოპერატორი), რ. რატიანს (ოპერატორი).

შინაარსი

ზოგადი ენათმეცნიერება II. ძირითადი პრობლემები	5
და ნ ა რ თ ი	
ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ	431
რეზიუმეს ნაცვლად (რუსულ ენაზე)	
I. ისტორიზმი და ენათმეცნიერება	449
II. ენის სისტემის აღწერა და ჰომოგენურობის პრინციპი	460
შენიშვნები	473
ტომის რედაქტორისაგან	477

Contents

General linguistics II. Core problems	5
A p p e n d i x	
On philosophical issues of linguistics	431
Instead of summary (<i>in Russian</i>)	
I. Historicism and linguistics	449
II. Description of language structure and homogeneity principle	460
Comments	473
From the editor of the volume	477

Содержание

Общее языкознание. II. Основные проблемы	5
Приложение	
О философских вопросах языкознания	431
Вместо резюме	
I. Историзм и языкознание	449
II. Описание системы языка и принцип гомогенности	460
Замечания	473
От редактора тома	477

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

ოპერატორები: **თ. გაბროშვილი, რ. რატიანი**